

მორის უაღიანუვილი
გივი მიქანაძე
ზონა (მან) ხასია

სასჯალღსრულაბის სარათალი (სახალმღვანალო)

მეორე შევსეული და გაღამეშავებული გამოცემა



იუსტიციის
სამინისტრო



თბილისი
2024 წელი

მორის შალიკაშვილი

გივი მიქანაძე

ზოია (მაია) ხასია

სასჯელადსრულების სამართალი
(სახელმძღვანელო)

მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა

თბილისი, 2024

წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის,
სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისათვის და ამ
სფეროთი დაინტერესებული მკითხველისთვის.
წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს იუსტიციის
სამინისტროს მიერ გაცემული #05-001-2023 გრანტის ფარგლებში.

ISBN 978-9941-8-6766-8

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

2023 წლის 15 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო პენიტენციური კოდექსი, რომელიც 2024 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში. პენიტენციურმა კოდექსმა გააერთიანა პატიმრობის კოდექსი და საქართველოს კანონი სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ.

2023 წლის დეკემბერში ავტორთა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, რომლის ფარგლებშიც უნდა შექმნილიყო სასჯელაღსრულების სამართლის მეორე გამოცემა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დააკმაყოფილა ავტორთა ჯგუფის მოთხოვნა და გასცა გრანტი #05-001-2023 სასჯელაღსრულების სამართლის ახალი სახელმძღვანელოს მეორე გამოცემის შექმნის თაობაზე, რომელიც პენიტენციური კოდექსის ნორმების გათვალისწინებით უნდა შექმნილიყო.

ავტორთა ჯგუფის მიერ შეიქმნა სასჯელაღსრულების სამართლის ახალი სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა, რომელიც ამ სფეროს ყველა აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხს აანალიზებს.

სასჯელაღსრულების სამართლის სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა ხელს შეუწყობს როგორც დარგის განვითარებას, ისე სტუდენტთა დაინტერესებას სასჯელაღსრულების სამართლით. ამ საკითხით დაინტერესებული სტუდენტები შექმნიან მომავლის იმ ბირთვს, რომელიც შეძლებს პენიტენციურ სისტემაში დასაქმებას, მის გადახალისებას და ევროპული სტანდარტების დანერგვას აღნიშნულ სფეროში.

სასჯელაღსრულების სისტემაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და მომსახურე პერსონალის უფლებების დაცვა შეუძლებელია ამ უფლება-მოვალეობების ცოდნის გარეშე. მოცემული სახელმძღვანელო ფართოდ განიხილავს პატიმართა და პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურეთა იმ უფლებებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია სასჯელაღსრულების დაწესებულების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის.

სამწუხაროა, რომ სასჯელაღსრულების სამართლის სფეროში ქართულენოვანი ნაშრომები ძალიან ცოტაა, ამიტომ ავტორთა კოლექტივი შეეცადა აქტიურად გამოეყენებინა როგორც უცხოენოვანი ლიტერატურა, ისე საერთაშორისო ნორმები, სახალხო დამცველის ანგარიშები, საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისათვის და ამ სფეროთი დაინტერესებული მკითხველისთვის.

სასჯელაღსრულების სამართლის სახელმძღვანელოს მეორე გამოცემის ავტორები არიან:

მორის შალიკაშვილი (თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ჰამბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი) - პირველი თავი, მეორე თავი, მესამე თავი, მეხუთე თავი, მეშვიდე თავი, 9.2.8. ქვეთავი, მეათე თავი;

გივი მიქანაძე (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი) - მეოთხე თავი, 9.2.9 ქვეთავი, მეთერთმეტე თავი, მეორმეტე თავი, მეცამეტე თავი;

ზოია (მაია) ხასია (წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მრჩეველი სასჯელადსრულების საკითხებში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ-ის სამართლის დოქტორი) - მეექვსე თავი, მერვე თავი, მეცხრე თავი, 11.5. და 11.6. ქვეთავები;

ნუნუ მაღლაკელიძე (დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანალიტიკური დეპარტამენტის სპეციალისტი, თსუ-ის სამართლის მაგისტრი) - მეთოთხმეტე თავი, მეთხუთმეტე თავი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

პირველი თავი	13
პენიტენციური სისტემა საქართველოში	13
1.1. სასჯელადსრულების სამართალი და მისი ადგილი სამართლის სისტემაში	13
1.2. პენიტენციური კოდექსის მოქმედება სივრცეში და პირთა წრის მიმართ	14
1.3. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების საფუძვლები	15
მეორე თავი	18
პენიტენციური სისტემის ორგანიზება	18
2.1. სპეციალური პენიტენციური სამსახური	18
2.2. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ამოცანები და უფლებამოსილება	21
2.3. რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია, როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის ამოცანა	23
მესამე თავი	28
პენიტენციური სისტემის მოსამსახურე	28
3.1. სპეციალური პენიტენციური სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები	28
3.1.1. კანონიერების პრინციპი	28
3.1.2. ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა და პატივისცემა	28
3.1.3. თანაზომიერება	30
3.1.4. გამჭვირვალობა	33
3.1.5. პოლიტიკური ნეიტრალიტეტი	35
3.2. სამართლის პრინციპები, რომლებიც მნიშვნელოვანია პენიტენციური საქმიანობის განხორციელებისას	36
3.2.1. დემოკრატიულობის პრინციპი	36
3.2.2. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი	38
3.2.3. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი	41

3.2.4. ადამიანის წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დაუშვებლობა	44
3.2.5. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი	48
3.2.6. ჰუმანიზმის პრინციპი	50
3.2.7. სასჯელის (მოხდის) ინდივიდუალიზაციის პრინციპი	51
3.2.8. სამართლის ეკონომიკური ანალიზი	53
3.3. სპეციალური პენიტენციური სამსახურის პერსონალის საკანონმდებლო რეგულირება	55
3.3.1. პენიტენციურ სამსახურში მიღება	55
3.3.2. მოსამსახურის უფლება-მოვალეობები და დისციპლინური პასუხისმგებლობა.....	60
3.3.3. მოსამსახურის სოციალური გარანტიები	64
3.4. სასჯელადსრულების პერსონალი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით	66
3.5. სასჯელადსრულების პერსონალის კრიმინოლოგიური ასპექტი.....	74

მეოთხე თავი..... 78

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები	78
4.1. პენიტენციური დაწესებულებები	78
4.2. პატიმართა სტატისტიკა.....	80
4.3. პატიმრობის დაწესებულება.....	81
4.4. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება და მისი ტიპები	81
4.4.1. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.....	82
4.4.2. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	84
4.4.3. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	84
4.4.4. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.....	85
4.4.5. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.....	85
4.4.6. ქალთა სპეციალური დაწესებულება	87
4.4.7. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება.....	87
4.5. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება	87
4.6. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან კონტაქტის ფორმები პენიტენციური დაწესებულებების მიხედვით	88

მეხუთე თავი	89
პენიტენციურ დაწესებულებაში მიღება	89
5.1. პენიტენციურ დაწესებულებაში მიღება, განაწილება, რეესტრი და რისკების შეფასება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით	89
5.1.1. ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიღება.....	89
5.1.2. პატიმრების განაწილება.....	91
5.1.3. რისკის შეფასება/გადაფასება და მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია	92
5.1.4. პატიმართა რეესტრი და პირადი საქმის წარმოება	96
5.2. პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების საერთაშორისო სტანდარტები	97
5.2.1. ევროპული ციხის წესები პატიმრის დაწესებულებაში მიღებისა და განაწილების თაობაზე	97
5.2.2. ნელსონ მანდელას წესები პატიმრის დაწესებულებაში მიღებისა და განაწილების თაობაზე	98
5.3. პენიტენციურ დაწესებულებაში მიღება, განაწილება, რეესტრი და რისკების შეფასებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები.....	100
5.3.1. პენიტენციური დაწესებულებების გადაჭირთულობა	100
5.3.2. მსჯავრდებულების განთავსება ოჯახის წევრებთან ახლოს	100
5.3.3. პატიმართა პერსონალური მონაცემების დაცვა	102
 მეექვსე თავი	 105
პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოება	105
6.1. პენიტენციური კოდექსის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით	105
6.2. საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა უსაფრთხოების სახეების მიხედვით	107
6.3. უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებები	109
6.4. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე.....	113
6.5. პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლი	114
6.6. პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღება, კრიზისული ვითარების მართვა, უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებების გეგმა.....	115
6.7. პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის უფლება	116

მეშვიდე თავი	118
ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა და მსჯავრდებულის დისციპლინური პატიმრობა.....	118
7.1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.....	118
7.1.1. დისციპლინური სახდელის გასაჩივრება.....	125
7.1.2. სამართო საკანში მოთავსება.....	126
7.2. დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკა.....	131
7.2.1. დისციპლინური სახდელების გამოყენების სტატისტიკა.....	131
7.2.2. პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკის კვლევა საქართველოში.....	132
7.3. დისციპლინური დარღვევის პრევენცია.....	135
7.4. მსჯავრდებულისთვის დისციპლინური პატიმრობის შეფარდება.....	136
მერვე თავი	139
სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა.....	139
8.1. პატიმრის შემოწმება.....	142
8.2. სამედიცინო მომსახურება.....	143
8.3. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანა.....	144
8.4. საერთო პროფილის საავადმყოფოში ყოფნის პირობები.....	146
8.5. სამედიცინო კონფიდენციალობა.....	147
8.6. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატიმრები.....	149
8.7. ქალი პატიმრების სამედიცინო მომსახურების განსხვავებული პროცედურები.....	150
8.8. არასრულწლოვანი პატიმრები.....	151
8.9. ხანდაზმული პატიმრები.....	153
8.10. ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.....	154
8.11. არანებაყოფლობითი მკურნალობა.....	157
8.12. თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის პრევენცია.....	157
8.13. გადამდები ინფექციური დაავადების მქონე პირები.....	159

8.14. ექიმების მონაწილეობა დაწესებულების საქმიანობაში	161
8.15. პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსება	163

მეცხრე თავი..... 166

ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები	166
9.1. ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებაში.....	166
9.2 მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებაში.....	172
9.2.1. საცხოვრებლით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით/ ფეხსაცმლით უზრუნველყოფის, სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლება	173
9.2.2. კონტაქტი გარე სამყაროსთან	189
9.2.3. უფასო იურიდიული დახმარებისა და სამართლებრივი კონსულტაციის უფლება	209
9.2.4. მოთხოვნისა და საჩივრის შეტანის უფლება, მოთხოვნისა და საჩივრის შეტანის პროცედურები	212
9.2.5. განათლების უფლება	223
9.2.6. განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვება	229
9.2.7. სარეაბილიტაციო პროგრამებით სარგებლობის უფლება, სპორტულ, კულტურულ და რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება	235
9.2.8. შრომისა და ინდივიდუალური საქმიანობის განხორციელების უფლება	245
9.2.9. საარჩევნო უფლება	250

მეათე თავი..... 261

გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შედეგები და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კვლევა	261
10.1. კულტურის დაკარგვის პროცესი.....	262
10.2. სოციალური კონტაქტების დაკარგვა.....	262
10.3. კრიმინალური სუბკულტურისადმი მიდრეკილება.....	263

10.3.1. დეპრივაციის თეორია	266
10.3.2. კულტურული გადატანის თეორია	268
10.4. სოციალური გაუცხოება	269
10.5. ჯანმრთელობისა და ფსიქოსომატური პრობლემები.....	269
10.6. სუბკულტურის მსხვერპლად ყოფნა	270
10.7. სტიგმატიზება	271
10.8. მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის (კრიმინოლოგიური) კვლევები	272
მეთერთმეტე თავი	277
მსჯავრდებულთა განსაკუთრებული კატეგორიები	277
11.1. არასრულწლოვანი პატიმრები.....	277
11.2. ქალი პატიმრები.....	293
11.3. უვადო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულები	300
11.4. უცხოელი პატიმრები	311
11.5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრები	323
11.6. ხანდაზმული პატიმრები.....	332
მეთორმეტე თავი	336
პენიტენციური სისტემის გადატვირთულობა და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება	336
12.1. პენიტენციური სისტემის გადატვირთულობა	336
12.2. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება	337
12.2.1. გათავისუფლება სასჯელის ვადის სრულად მოხდის შემდეგ	337
12.2.2. სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა	338
12.2.3. ამნისტია და შეწყობა.....	360
12.2.4. ავადმყოფობის და ხანდაზმულობის გამო სასჯელისგან გათავისუფლება.....	365
12.2.5. განაჩენის აღსრულების გადავადება	367
12.2.6. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა და მისი აღსრულება	369

მეცამეტე თავი.....	373
პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების	
შემოწმება/მონიტორინგი	373
13.1. მონიტორინგის განმახორციელებელი ადგილობრივი მექანიზმები	373
13.1.1. საქართველოს სახალხო დამცველი.....	373
13.1.2. პრევენციის ეროვნული მექანიზმი	377
13.1.3. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგი.....	379
13.2. მონიტორინგის განმახორციელებელი საერთაშორისო მექანიზმები.....	380
13.2.1. წამების საწინააღმდეგო გაეროს კომიტეტი და პრევენციის	
ქვეკომიტეტი	380
13.2.2. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)	383
13.2.3. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი.....	385
 მეთოთხმეტე თავი	 387
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სასჯელაღსრულების	
სამართლის სფეროში.....	387
 მეთხუთმეტე თავი	 406
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები ადამიანის უფლებათა	
სტრასბურგის ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში	406
 ბიბლიოგრაფია	 442

პირველი თავი

პენიტენციური სისტემა საქართველოში

1.1. სასჯელადსრულების სამართალი და მისი ადგილი სამართლის სისტემაში
კლასიკური მიდგომით, სამართალი იყოფა ორ სფეროდ: კერძო და საჯარო. კერძო სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც აღიარებს პირადი ავტონომიის პრინციპს, „საჯარო სამართალში, პირიქით, მოქმედებს ლეგალურობისა და კანონით შებოჭვის პრინციპი. საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დადგენილი კანონით“.¹ საჯარო სამართალი ყველა იმ დავას მოიცავს, რომლის ერთ-ერთ მხარედ სახელმწიფოა წარმოდგენილი.² თანამედროვე მიდგომით, სისხლის სამართალი თავისი მნიშვნელოვნების გამო ცალკე გამოიყოფა, რის შედეგადაც სამართალი იყოფა სამი მიმართულებით:³ კერძო სამართალი, საჯარო სამართალი და სისხლის სამართალი.⁴ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხზე, თუ რომელ სფეროს განეკუთვნება პენიტენციური/სასჯელადსრულების სამართალი.

ერთი მოსაზრების თანახმად, პენიტენციური სამართალი არ არის სისხლის სამართლის ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ის არეგულირებს და ემსახურება სასჯელის აღსრულებას. ის ნაწილია საჯარო სამართლის, კერძოდ, განსაკუთრებული ადმინისტრაციული სამართლისა,⁵ რომელიც აერთიანებს მმართველობითი საქმიანობის ისეთ სფეროებს,⁶ როგორებიცაა: სამშენებლო სამართალი, საპოლიციო სამართალი, საგადასახადო სამართალი, სოციალური სამართალი, საბაჟო სამართალი, ეკოლოგიური სამართალი და, მათ შორის, პენიტენციური სამართალი. მეორე მოსაზრება ეფუძნება მართლმსაჯულების განხორციელების სამი სვეტის პრინციპს (Drei-Säulen-Theorie der Justiz), რომელიც პენიტენციური სამართლის ადგილს განსაზღვრავს სისხლის სამართლის სისტემაში. ამ სისტემის მიხედვით, მართლმსაჯულების პირველ სვეტს წარმოადგენს კანონმდებლობა და მატერიალური სისხლის სამართალი; მეორე სვეტს - სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები, ხოლო მესამე სვეტს - პენიტენციური სამართლის სფერო.⁷ მართლმსაჯულების განხორციელების სამი სვეტის პრინციპი პენიტენციურ სამართალს აღიარებს, როგორც სისხლის სამართლის სისტემის დამოუკიდებელ ნა-

¹ გ. ხუბუა, სამართლის თეორია. თბილისი, 2004, გვ. 208.

² გ. კაჟაშვილი, კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის პრინციპები, ზურაბ ახვლედიანის 80 წლის საიუბილეო გამოცემა (დავით ბატონიშვილის ინსტიტუტის სტატიათა კრებული), თბილისი, 2013, გვ. 43.

³ მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, გვ. 12.

⁴ ლადო ჭანტურიას აზრით სისხლის სამართალი საჯარო სამართალს მიეკუთვნება. სისხლის სამართალი არეგულირებს „სახელმწიფოს რეპრესიული უფლების წარმოშობას (მატერიალური სისხლის სამართალი) და მის განხორციელებას (ფორმალური სისხლის სამართალი: სისხლის სამართლის პროცესი). სისხლის სამართლის კუთვნილებას საჯარო სამართლისადმი ის განსაზღვრავს, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქვს სისხლის სამართლებრივი დასჯის უფლებამოსილება, ე. წ. დასჯის მონოპოლია“. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 18.

⁵ Kommentar zum Sreafvollzugsgesetz. 3. Auflage. Darmstat 1990. S. 1.

⁶ გ. ხუბუა / ლ. თორთლაძე (რედ.), განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2012, გვ. 28.

⁷ G. Kaiser/H.-J., Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 25.

წილს, რაც ხელს უწყობს მის განვითარებას.⁸

სასჯელი წარმოადგენს სისხლის სამართლის ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუტს. სასჯელის ცნების, მიზნებისა და თეორიების განხილვას საუნივერსიტეტო სისხლის სამართლის კურსის სწავლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

სასჯელალსრულების/პენიტენციური სამართალი აწესრიგებს სასჯელის მოხდასთან დაკავშირებულ საკითხებს, მმართველობითი ფუნქციების განხორციელებას და ადმინისტრაციულ წარმოებას სასჯელის მოხდის პერიოდში, შესაბამისად, ის მიჩნეულ უნდა იქნეს საჯარო სამართლის სისტემის ნაწილად, რომლის მიზანია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის შესახებ კანონმდებლობის მიზნების სამივე კომპონენტის დამთხვევა სასჯელის მიზნებთან მიუთითებს პენიტენციური სისტემის მუშაობის მხოლოდ სწორ და აუცილებელ მიმართულებაზე (მიზანზე). პენიტენციური კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, „პენიტენციური კოდექსი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობისა და სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების წესსა და პირობებს, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, აწესრიგებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანოების საქმიანობას, ადგენს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებაში სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მონაწილეობის წესსა და პირობებს, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომ – სამსახური) ორგანიზებას, უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესს, პირის სამსახურში მიღების წესს, მოსამსახურის სტატუსს, უწყვეტი პროფესიული მომზადების სისტემასა და სამართლებრივი, სოციალური და უსაფრთხოების დაცვის გარანტიებს“.

პენიტენციური სამართლის კვლევის საგანი მიმართულია იმ სამართლის ნორმებზე, რომლებიც სასჯელის აღსრულების დროს ადმინისტრაციის საქმიანობას აწესრიგებს. ასეთ დროს - „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ნორმატიული საფუძვლის ანალიზს, რომლებიც ადმინისტრაციის კანონიერ მოქმედებებს განაპირობებენ“.⁹ პენიტენციური სამართლის ფარგლებში, სასჯელის აღსრულების ნორმატიული საფუძვლის ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

1.2. პენიტენციური კოდექსის მოქმედება სივრცეში და პირთა წრის მიმართ

პენიტენციური კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, „1. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. 2. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა გამოიყენება როგორც საქართველოს მოქალაქეების, ისე უცხო ქვეყნის მოქალა-

⁸ იქვე.

⁹ ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, გვ. 17.

ქებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ, საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი წესით. 3. არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნასა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოხდასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ამ კოდექსით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსითა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით“.

უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციური კოდექსი, სამწუხაროდ, ვერ ვრცელდება ოკუპირებულ რეგიონებზე. რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე, შეუძლებელია საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელება.

რაც შეეხება პენიტენციური კოდექსის მოქმედებას პირთა წრის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეების გარდა, ის ვრცელდება იმ უცხოელ მოქალაქეებზეც, რომლებიც სასჯელს იხდიან პენიტენციურ დაწესებულებებში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებში განთავსებული იყო 9868 პირი, რომელთაგან 9 526 იყო მამაკაცი, ხოლო 342 - ქალი.¹⁰

2023 წლის დეკემბრის ბოლოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებული 9 868 პირიდან ბრალდებული იყო - 1 783, ხოლო მსჯავრდებული - 8 085. ამავე პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული იყო 821 უცხო ქვეყნის მოქალაქე 51 ქვეყნიდან და მოქალაქეობის არმქონე პირები.¹¹ უცხოელ პატიმრებს შორის, ძირითადად, ჭარბობენ თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, ირანის, უკრაინისა და სომხეთის მოქალაქეები.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის მოხდასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება პენიტენციური კოდექსითა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, რომელიც 2015 წლის 12 ივნისს იქნა მიღებული. 2023 წლის დეკემბრის ბოლოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო 55 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) ბრალდებული და მსჯავრდებული, რაც საერთო რაოდენობის 0.6%-ს შეადგენდა. არასრულწლოვანთა შორის 20 ბრალდებულია, მათ შორის 2 მდედრობითი სქესის.¹²

1.3. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების საფუძვლები

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის საფუძვლები მითითებულია პენიტენციური კოდექსის მეოთხე მუხლში. სანამ უშუალოდ აღნიშნულ ნორმას შევხებით, აუცილებელია სასჯელის თაობაზე საუბარი. სასჯელი, რომლის აღსრულებაც პენიტენციურ დაწესებულებებს ევალებათ, „არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს“.¹³ სასჯელის აღსრულება მნიშვნელოვანია ზოგადი უსაფრთხოებისა და დამნაშავის

¹⁰ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/825/dekemberi> [10.03.2024].

¹¹ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/825/dekemberi> [10.03.2024].

¹² <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/825/dekemberi> [10.03.2024].

¹³ მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2011, გვ. 39.

გამოსწორების აუცილებლობის თვალსაზრისით.¹⁴

სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციას სასჯელთან მიმართებით აქვს კონსტიტუციური რანგი: „nulla poena sine lege“ (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე) და „nulla poena sine culpa“ (არ არსებობს სასჯელი ბრალის გარეშე).¹⁵

„nulla poena sine lege“ - არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე - არის ინდივიდუალური თავისუფლების, ადამიანის ღირსების დაცვის საფუძველი და თვითნებური სისხლის სამართლისაგან დაცვის პრინციპი.¹⁶ შესაბამისად, სასჯელის დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე და მხოლოდ ამისთვის განკუთვნილი ინსტიტუციის (სასამართლოს, სამხედრო ტრიბუნალის) მიერ.

პენიტენციური კოდექსის მეოთხე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პატიმრობის აღსრულების საფუძველია სასამართლოს გადაწყვეტილება პირისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად, პატიმრობა არის აღკვეთის ღონისძიების სახე, რომლის საერთო ვადა არის 9 თვე (სსკ 205 მუხლი), ხოლო არასრულწლოვნებისთვის 6 თვე (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის მეოთხე ნაწილი). პატიმრობა წარმოადგენს აღკვეთის ყველაზე მკაცრ ღონისძიებას და გულისხმობს სასამართლოს განჩინებით განსაზღვრული ვადით ბრალდებულის მკაცრ იზოლაციას გარე სამყაროსგან.¹⁷

„საქმეზე *Barker v Wingo*, აშშ უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლების შეზღუდვის ადგილას გატარებული დრო დაკარგული დროა. სასამართლო განხილვის მოლოდინში საპატიმროში გატარებული დრო უარყოფით გავლენას ახდენს ბრალდებულზე, ვინაიდან პატიმრობა უკავშირდება სამუშაოს დაკარგვას, ბრალდებულის მოწყვეტას ოჯახისგან, ხელს უწყობს სიზარმაცის გაღრმავებას... ზღუდავს ბრალდებულის შესაძლებლობას ეფექტიან დაცვაზე, ამცირებს გამართლებელი მტკიცებულებების მოპოვების და დაცვის განხორციელებისათვის მომზადების შესაძლებლობას“.¹⁸ შესაბამისად, პატიმრობა გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც უკიდურესი ღონისძიება.¹⁹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის მიმართ პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

პენიტენციური კოდექსის მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თავი-

¹⁴ იოპ. ვესელსი / ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 38-ე გამომცემა, თბილისი, 2010, გვ. 4.

¹⁵ მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2011, გვ. 39.

¹⁶ Krivec, B., Von Versailles nach Rom – Der lange Weg von Nullum crimen, nulla poena sine lege. Hamburg 2004. S. 43.

¹⁷ ავტ. კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 590.

¹⁸ იქვე.

¹⁹ მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ყურნალი – www.dgstz.de, 2/2016, გვ. 23.

სუფლების აღკვეთის აღსრულების საფუძველია სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. სასამართლოს განაჩენი შეიძლება ბრალდების ზოგ ეპიზოდში გამამტყუნებელი იყოს, ხოლო ბრალდების სხვა ეპიზოდში – გამამართლებელი. ამავე კოდექსის 269-ე მუხლის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ. მოსახდელი სასჯელის დანიშნით, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს სასჯელის სახე, ზომა და სასჯელის მოხდის ვადის დაწყება. პირის დაკავების, პატიმრობისა და ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ხანგრძლივობა ითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში. სსსკ 279-ე მუხლის თანახმად, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე. „გასაჩივრება არ აჩერებს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლას და მის აღსასრულებლად მიქცევას“.²⁰

²⁰ ავტ. კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 745.

მეორე თავი

პენიტენციური სისტემის ორგანიზება

2.1. სპეციალური პენიტენციური სამსახური

პენიტენციური კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას უზრუნველყოფს სპეციალური პენიტენციური სამსახური და მისდამი დაქვემდებარებული პენიტენციური დაწესებულებები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სფეროში ერთიანი პოლიტიკის წარმართვას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

სპეციალური პენიტენციური სამსახური არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, და რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის მინისტრი (პენიტენციური კოდექსის პირველი და მე-7 მუხლები).

სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი:

- თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს სამსახურის მოსამსახურეებსა და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეებს;
- სამსახურის გენერალურ დირექტორს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე, რომლებსაც სამსახურის გენერალური დირექტორის წარდგინებით თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს მინისტრი;
- სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- სამსახურის გენერალური დირექტორი შეიმუშავებს და მინისტრს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ. სამსახური ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით;
- სპეციალური პენიტენციური სამსახური ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე. სამსახურის გენერალური დირექტორი არანაკლებ წელიწადში ორჯერ მინისტრს წარუდგენს წერილობით ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. მინისტრის მოთხოვნის საფუძველზე სამსახურის გენერალური დირექტორი წარუდგენს მას რიგგარეშე ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
- სამსახურის მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გამგებლობის სფეროში ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვისა და მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმებას, აგრეთვე სამსახურში სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლსა და პენიტენციურ დაწესებულებათა

სისტემურ მონიტორინგს ახორციელებს სამსახურის შიდა კონტროლის განმარტოვებული სტრუქტურული ქვედანაყოფი.

2024 წლის დასაწყისისთვის სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაქვემდებარების ქვეშ არსებობდა შემდეგი პენიტენციური დაწესებულებები:²¹

- **N2 დაწესებულება** (ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. №85) - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 1068 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- **N3 დაწესებულება** (ქ. ბათუმი, თევდორე მღვდლის ქ. №27) - პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 92 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- **N5 დაწესებულება** (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი) - ქალთა სპეციალური დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 867 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- **N6 დაწესებულება** (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი) - პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 309 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- **N8 დაწესებულება** – პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 2325 ბრალდებული/მსჯავრდებული (ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ) და 101 ბრალდებული/მსჯავრდებული (ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11);
- **N10 დაწესებულება** (მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი) – პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი – 700 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- **N11 დაწესებულება** (ქ. თბილისი, გრიგოლ ხანძთელის ქ. №3) - არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება - მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 106 მსჯავრდებული;
- **N12 დაწესებულება** (ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №60) – პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება – ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი – 580 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- **N14 დაწესებულება** (ქ. წყალტუბო, სოფელი გეგუთი, ვარციხის დასახლება) – ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება – მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი – 1362 მსჯავრდებული;
- **N15 დაწესებულება** (მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი) - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 1388 მსჯავრდებული;
- **N16 დაწესებულება** (ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №60) – დაბალი რისკისა

²¹ <https://justice.gov.ge/?m=articles&id=HVCQJiNhZt> [11.03.2024].

და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება – მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი – 528 მსჯავრდებული;

- **N17 დაწესებულება** (ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №64) - ნახევრად დია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 2000 მსჯავრდებული;
- **N18 დაწესებულება** – ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 140 ბრალდებული/მსჯავრდებული (ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ) და 90 ბრალდებული/მსჯავრდებული (მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი).

სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაქვემდებარებაშია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება, რომელიც განთავსებულია გლდანში და მცხეთის მუნიციპალიტეტის დაბა ქსანში. მოცემული ცამეტი პენიტენციური დაწესებულებიდან, ერთი არის ქალთა სპეციალური დაწესებულება თბილისში და ერთი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება ასევე ქალაქ თბილისში.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) მიუთითებს, რომ სასურველია, მსჯავრდებულმა საცხოვრებელი ადგილიდან ახლოს მოიხადოს სასჯელი (წესი #59), ვინაიდან:

- „პატიმრებს, რომლებიც განთავსებული არიან თავიანთ ოჯახსა და მეგობრებთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში, მეტი შანსი აქვთ მათთან რეგულარული კონტაქტის დამყარებისა და შენარჩუნებისათვის. აღნიშნული ხელს უწყობს მათ რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პერსპექტივას.
- პატიმრის განთავსება თავისი საცხოვრებელი სახლის ან ოჯახის ახლოს მდებარე ციხეში ამცირებს პატიმრებსა და პერსონალს შორის არსებულ შესაძლო კულტურულ, რელიგიურ და ლინგვისტურ განსხვავებებს. ამან შეიძლება შეამციროს როგორც პატიმრის იზოლაცია, ასევე ციხის ხარჯები და ხელი შეუწყოს დაწესებულების შეუფერხებელ ფუნქციონირებას. იმავდროულად, სხვა ადგილას მდებარე ციხეში პატიმრის განთავსება უნდა განიხილებოდეს იმ შემთხვევებში, როდესაც მისი სახლის მიმდებარედ არსებულ დაწესებულებაში პატიმრის განთავსებამ შეიძლება გაზარდოს ძალადობის ან სტიგმატიზაციის რისკი.
- პატიმრებს, რომლებიც იღებენ მხარდაჭერას ადგილობრივი არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა თუ ფიზიკური პირებისგან, შეუძლიათ მიიღონ სარგებელი გათავისუფლების შემდგომი მხარდაჭერისა და სერვისებისგან, თუ ისინი ცხოვრობენ იმავე რეგიონში, სადაც მდებარეობს ციხე. ზოგიერთ შემთხვევაში, ექიმებს, ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებს, რომლებიც მუშაობდნენ პირთან მის დაპატიმრებამდე, შესაძლოა მიეცეთ უფლება გააგრძელონ პირის მკურნალობა ციხეში. ანალოგიურად, პატიმრის გათავისუფლების შემდეგ, შესაძლოა, მას დასჭირდეს დაუყოვნებელი ან გრძელვადიანი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მკურნალობა და სამედიცინო მომსახურების მიღება შეიძლება გამარტივდეს, თუ პირისთვის ან მისი ოჯახისთვის ცნობილია ადგილობრივ

ტერიტორიაზე მომუშავე სპეციალისტები.

- საცხოვრებელთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში პირის განთავსება შესაძლოა ასევე მნიშვნელოვანი იყოს იურიდიული მომსახურების მიღების თვალსაზრისით, რადგან ხშირად ოჯახსა და მეგობრებს შეუძლიათ დაეხმარონ პატიმარს ადვოკატის მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხში. ასევე, სავარაუდოა, რომ ოჯახი და მეგობრები დაესწრებიან სასამართლო სხდომებს და მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას საქმის განხილვის სამართლებრივი მიმდინარეობის შესახებ, თუ სამართალწარმოება მიმდინარეობს მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე სასამართლოში²².

2.2. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ამოცანები და უფლებამოსილება პენიტენციური კოდექსის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ამოცანებს.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ამოცანებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება; ბ) პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის და მისი უფლებების დაცვა; გ) პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების დაცვა; დ) პენიტენციური დაწესებულების დაცვა; ე) პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარების მართვა; ვ) პენიტენციურ დაწესებულებაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დანაშაულის ან/და სხვა სამართალდარღვევის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა; ზ) პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის რეაბილიტაციის/რესოციალიზაციის და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ამოცანები სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: უსაფრთხოება, მსჯავრდებულის უფლებების დაცვა და რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია, თუმცა პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/ მსჯავრდებულის უფლებების დაცვა პირდაპირ კავშირშია პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვასთან. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელსაც საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებით აქვს შიში, ვერც საკუთარი უფლებების დაცვისთვის იბრძოლებს და ვერც რესოციალიზაციის ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას. რეალურად, უფლებების დაცვა, უსაფრთხოება და რესოციალიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდ გადააქვული ასპექტებია. ერთის არარსებობაც კი შეუძლებელს ხდის დარჩენილი ორის არსებობას, მიღწევას.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ამოცანები ერთი წინადადებით ასე შეიძლება გამოიხატოს: **სპეციალურმა პენიტენციურმა** სამსახურმა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის/ მსჯავრდებულის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვითა და რესოციალიზაციის მიღწევით.

²² სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, ციხის საერთაშორისო რეფორმა/ღია საზოგადოების ფონდი, თბილისი, 2018, გვ. 27-28, www.osce.org/files/ODIHR_MR_Guidance_Doc_Georgian_AW_WEB_MR.pdf [09.03.2024].

შესაბამისად, **სპეციალური პენიტენციური სამსახურის** ამოცანების მიღწევა ამ სამი კომპონენტის (უსაფრთხოება, მსჯავრდებულის უფლებების დაცვა და რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია) ურთიერთშეთანხმებული/ურთიერთშეჯერებული შესრულებით არის შესაძლებელი.

პენიტენციური კოდექსის მე-10 მუხლი სპეციალური პენიტენციური სამსახურის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს.

ამ მუხლის მიხედვით, სპეციალური პენიტენციური სამსახური უფლება-მოსილია: ა) პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის დასაცავად თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულება (მათ შორის, პენიტენციური დაწესებულების დღის განრიგის შესრულების ზედამხედველობა) და ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება; ბ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის ესკორტირება (პენიტენციური დაწესებულებიდან გაყვანისას, გადაყვანისას და ექსტრადიციისას); გ) პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმდინარე და გაძლიერებული ღონისძიებების გეგმების შემუშავება და განხორციელება; დ) პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების დასაცავად კრიზისული ვითარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მართვისას ინტერვენციის, სპეციალური ან/და სხვა ღონისძიებების განხორციელება; ე) სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო სიტუაციის დროს ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე სამსახურის მოსამსახურეთა განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაყვანის უზრუნველყოფა; ვ) პენიტენციური დაწესებულების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა, შესაბამისი მონაცემების დამუშავება და ანალიზი; ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება; თ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის შესახებ მონაცემების დამუშავება და სათანადო მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება; ი) ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმისა და ბრალდებულთა რეესტრის/მსჯავრდებულთა რეესტრის წარმოება; კ) პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის/სამედიცინო ნაწილის საქმიანობის ორგანიზება და კონტროლი, პენიტენციურ დაწესებულებაში ჯანმრთელობის დაცვის უწყებრივი, სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამების განხორციელება; ლ) პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შემოწმება; მ) სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ნ) სამსახურის მატერიალური და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მათ შორის, სამსახურის ბალანსზე რიცხული ობიექტების დაცვა), შესაბამისი ტექნიკური უსაფრთხოების გეგმების შემუშავება და განხორციელება; ო) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის მოსამსახურისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; პ) მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ჟ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2.3. რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია, როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის ამოცანა

პენიტენციური კოდექსის მე-9 მუხლი სპეციალური პენიტენციური სამსახურის მნიშვნელოვან ამოცანად აცხადებს მსჯავრდებულის უფლებების დაცვასა და რეაბილიტაცია/რესოციალიზაციას.

რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის მნიშვნელობის განხილვამდე აუცილებელია სოციალიზაციის ცნების გარკვევა. სოციოლოგიაში გამოყენებული სოციალიზაციის ცნება ფართოდ არის გავრცელებული პედაგოგიაში, ფსიქოლოგიაში, კრიმინოლოგიაში და სასჯელაღსრულებით სამართალში და გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც „უმწეო ბავშვი თანდათან გადაიქცევა თვითცნობიერ, მცოდნე და იმ კულტურის შემთვისებელ პიროვნებად, რომელშიც იგი დაიბადა“.²³ ბავშვისათვის სოციალიზაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სოციალურ ჯგუფსა და კატეგორიას განეკუთვნება იგი და როგორია ამ ჯგუფების ქცევის წესი.²⁴ ოჯახი წარმოადგენს ბავშვის სოციალიზაციის პირველად წყაროს, საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის აუცილებელ ინსტიტუტს. ოჯახი, თავის მხრივ, არის საზოგადოების ნაწილი. „ოჯახის ფასეულობები, დამოკიდებულებები და ცხოვრების წესი ირეკლავს სოციალურ კლასს, რელიგიას, ეთნიკურ ჯგუფსა და ქვეყნის იმ კუთხეს, რომლის ნაწილიც თვითონ არის“.²⁵

წარმატებული სოციალიზაციისათვის აუცილებელი ფაქტორია კონფორმიზნისაკენ სწრაფვა. სოციალიზაციის არმქონე ადამიანი ურჩხულია, რადგან არ აქვს შესაძლებლობა სხვა ადამიანის ქცევა სუბიექტურად შეაფასოს და რეაგირება მოახდინოს მასზე.²⁶

მსჯავრდებულის რესოციალიზაციას მჭიდრო კავშირი აქვს მის მიერ განვლილ სოციალიზაციის პროცესთან. რესოციალიზაციას ხშირად პირველად ან შემცვლელ სოციალიზაციასაც უწოდებენ,²⁷ რითაც ყურადღების გამახვილება ხდება ადამიანის სოციალიზაციის პირობების პრობლემებზე, არასაკმარის სოციალიზაციაზე,²⁸ რამაც შესაძლოა განაპირობა მისი დამნაშავედ ჩამოყალიბება.²⁹

ადამიანის სოციალიზაციის პროცესი, რასაკვირველია, არ მთავრდება ბავშვობის დასრულებასთან ერთად. ეს პროცესი გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში.³⁰

კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის ლიტერატურაში რესოციალიზაციასთან დაკავშირებული არაერთი განმარტება არსებობს. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.³¹

²³ ე. გილენსი, სოციოლოგია, თბილისი, 2011, გვ. 50; H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 38.

²⁴ ქ. კალჰუნი / დ. ლაითი / ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 5-13), თბილისი, 2007, გვ. 16.

²⁵ იქვე, გვ. 37.

²⁶ H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 28. არასოციალიზირებული ბავშვების შესახებ იხილეთ მაგალითები: ე. გილენსი, სოციოლოგია, თბილისი, 2011, გვ. 51.

²⁷ იქვე.

²⁸ G. Kaiser, Kriminologie. 3. Auflage. Heidelberg 1996. S. 199.

²⁹ H. Cornel/ G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 28.

³⁰ ქ. კალჰუნი / დ. ლაითი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 5-13). თბილისი 2007. გვ. 37.

³¹ H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden

- რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულის სოციალურ ცხოვრებაში დაბრუნება ან დაბრუნება ადამიანთა გაერთიანებაში;
- რესოციალიზაცია არის სოციალიზაციის პროცესის ნაწილი, რა დროსაც წინსართი „რე“ არის იმის გამომხატველი, რომ სოციალიზაციის პროცესის ნაწილი განხორციელდა საზოგადოებისაგან განცალკევებით (ციხეში), რის გამოც, მისი (ამ ადამიანის) საზოგადოებაში ხელმეორედ (განახლებულად) დაბრუნება აუცილებელია;
- რესოციალიზაცია არის სწავლის პროცესი, რომლის დროსაც მსჯავრდებული სწავლობს დანაშაულის გარეშე ცხოვრებას, ქცევას;
- რესოციალიზაცია არის თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სოციალიზაციის სპეციალური ფორმა, რომლის მიზანია სამართლებრივი თვითმშენების ჩამოყალიბება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ნორმებისადმი პატივისცემა;
- რესოციალიზაცია არის ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობა - საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაციის პროცესი. ინტეგრაციის პროცესის დროს მნიშვნელოვანია თავიდან იქნეს არიდებული მსჯავრდებულის ეტიკეტირება;
- რესოციალიზაცია, როგორც სოციალური სახელმწიფოს პრინციპით მოცული მსჯავრდებულის უფლება, არის სახელმწიფოს კრიმინალური პოლიტიკის იარაღი, დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი;³²
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მესამე მუხლის მე-18 პუნქტი აცხადებს, რომ რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არის არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

ამერიკულ ლიტერატურაში მსჯავრდებულის ციხის პირობებში რესოციალიზაციის პროცესი დესოციალიზაციით იწყება.³³ ერვინ გოფმანის თანახმად,³⁴ ციხე არის ე. წ. „ტოტალური ინსტიტუცია“,³⁵ სადაც მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესი იწყება მისი დესოციალიზაციით. დესოციალიზაციის პროცესში მსჯავრდებული კარგავს იმ ძველ, საზოგადოებისათვის მიუღებელ, ფასეულობებსა და ღირებულებებს, რომელთაც მის მიერ დანაშაულის ჩადენა გამოიწვიეს.³⁶ დესოციალიზაციის პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს: საკუთარი ტანისამოსის ჩამორთმევა და მსჯავრდებულის უნიფორმის გადაცემა; თავის გაპარსვა, წარსულის და-

2009. S. 29, 30.

³² G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 24.

³³ მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012. გვ. 135.

³⁴ E. Goffman, Asyl. Über die soziale Situation psychiatrischer Patienten und anderer Insassen. Frankfurt am Main 1972. S. 17.

³⁵ ციხის გარდა ტოტალურ ინსტიტუციად მოიაზრება ფსიქიატრიული სავადმყოფო, უდემამოთა ბავშვთა სახლი, საჯარისო ნაწილი. ქ. კალჭუნი/დ. ლაითი/ს. კულერი, სოციოლოგია (თავები 5-13). თბილისი 2007. გვ. 50; მ. ბალიაშვილი, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი 2010. გვ. 44.

³⁶ მ. ბალიაშვილი, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2010, გვ. 44.

ვიწყების მიზნით. პიროვნულობის დაკარგვა გამოიხატება შემდეგი ქმედებით: ჯგუფთან ერთად ბანაობა, ჭამა და ძილი, მიმართვა არა სახელებითა და გვარებით, არამედ ნომრებით.³⁷ დესოციალიზაციის პროცესი ანადგურებს მსჯავრდებულის „მეს“ (Self-ის) და უნერგავს ზემდგომისადმი მორჩილებას. „ტოტალური ინსტიტუტები ხელს უწყობენ [მსჯავრდებულის] ფსიქოლოგიურ რეგრესს: ისინი ნერგავენ ბავშობისდროინდელ დაუცველობის შეგრძნებას და დამოკიდებულებას“.³⁸ ციხის პირობებში უკვე დესოციალიზებული მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ახორციელებს ციხის ადმინისტრაცია.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ცნება ასევე მოიცავს სხვა ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: გამოსწორება, აღზრდა, სოციალიზაცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია. განვიხილოთ თითოეული ეს ცნება მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან მიმართებით:

გამოსწორება

გამოსწორება, როგორც მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ცნება ბოლო 40 წლის განმავლობაში კრიმინოლოგიაში აღარ გამოიყენება. გერმანულ ლიტერატურაში „გამოსწორება“ გულისხმობდა დამნაშავეს, როგორც მორალურად ავადმყოფი ადამიანის, ნების საწინააღმდეგოდ, მის გამოსწორებას.³⁹

აღზრდა

ხშირად აღზრდა და რესოციალიზაცია სინონიმებადაც კი გამოიყენება. რესოციალიზაცია სწორედ ხელახალ აღზრდას გულისხმობს. გერმანულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ლაიტმოტივად აღიარებულია აღზრდა,⁴⁰ რომელიც მსჯავრდებული არასრულწლოვნის მიმართ კონკრეტული ინდივიდუალური დონისძიებების განხორციელებით მიიღწევა, ანუ გერმანიის სისხლის სამართალი მსჯავრდებულის აღზრდაზე საუბრობს თუ იგი არასრულწლოვანია, ხოლო თუ იგი ზრდასრულია - რესოციალიზაციაზე.

არასრულწლოვანთა აღზრდის იდეა გამომდინარეობს კრიმინოლოგიური თეორიიდან და კვლევებიდან. არასრულწლოვანთა დანაშაული არის ნორმალური, ეპიზოდური და ყველა დროში გავრცელებული, ამავდროს თავისუფლების აღკვეთას მძიმე პიროვნული შედეგები მოაქვს გარდატეხის ასაკში მყოფი არასრულწლოვნისათვის.⁴¹ ამიტომ არასრულწლოვანის (ხელახალი) აღზრდა ჯერ კიდევ შესაძლებელი და აუცილებელია მისთვის კრიმინალური კარიერის თავიდან ასაცილებლად.

მოზარდში, გარდატეხის პერიოდით გამოწვეული პრობლემების გამო, შესაძლებელია ფერხდებოდეს სოციალიზაციის პროცესი, ამიტომ არასრულწლოვანი

³⁷ ქ. კალჰუნი / დ. ლაითი / ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 5-13), თბილისი, 2007, გვ. 50; მ. ბალიაშვილი, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2010, გვ. 44.

³⁸ ქ. კალჰუნი / დ. ლაითი / ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 5-13), თბილისი, 2007, გვ. 50.

³⁹ H. Cornel/ G. Kavamura-Reindl/ B. Maelicke/ B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 35.

⁴⁰ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, მ. ლეკვიშვილი / მ. შალიაშვილი (რედ.), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღზრდებლობითი ხასიათის იძულებითი დონისძიების შეფარდების პრობლემები, სტატი-ათა კრებული, თბილისი, 2011, გვ. 246.

⁴¹ H. Diemer/A. Schoreit/B-R. Sonnen, Jugendgerichtsgesetz-Kommentar. 3. Auflage. Heidelberg 1999. S. 457.

დამნაშავის მიმართ სასჯელი უნდა იყოს აღმზრდელობითი ხასიათის.⁴²

სოციალიზაცია

სოციალიზაცია და რესოციალიზაცია შესაძლებელია სინონიმებადაც კი განიხილებოდეს, მით უფრო, რომ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია რეალურად სწორედ მის ხელახალ სოციალიზაციას გულისხმობს.⁴³

მკურნალობა

საქართველოს კანონის „პენიტენციური კოდექსის“ თანახმად, ცნებაში მკურნალობა იგულისხმება ჯანმრთელობის მკურნალობა. მკურნალობას რესოციალიზაციასთან იმდენად აქვს კავშირი, რამდენადაც მკურნალობის ცნებაში ასევე იგულისხმება ფსიქიკური აშლილობის მქონე მსჯავრდებულის მკურნალობა, ფსიქიატრიული დახმარების გაწევა („ფსიქიკური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი).

რეაბილიტაცია

საქართველოს კანონის „პენიტენციური კოდექსის“ მიხედვით, რეაბილიტაციაში იგულისხმება ის ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია მსჯავრდებულის რეაბილიტაციისათვის.

რეაბილიტაციის ცნება გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების ან პირობების მქონე ადამიანის (პატიმრების) საზოგადოებაში ინტეგრაციას.⁴⁴ ამიტომ რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის ცნებები ძალზე ახლოს დგას ერთმანეთთან. ამ ორ ცნებას ერთმანეთისგან განასხვავებს მიზანი: რეაბილიტაცია გულისხმობს კონკრეტული პროგრამის მეშვეობით კონკრეტული შედეგის მიღწევას (ნარკოტიკული ნივთიერების მიღებაზე უარის თქმა, პროფესიული რეაბილიტაცია),⁴⁵ მაშინ, როცა რესოციალიზაცია უფრო ზოგადი შეიძლება იყოს (საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაცია).

საინტერესოა ის ძირითადი ასპექტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესი:⁴⁶

- მსჯავრდებულის კონსულტაცია, მისთვის რჩევის მიცემა პირადი პრობლემების მოგვარების, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელის შემწყობი თუ ხელის შემშლელი პირობების შესახებ (ხელის შემწყობი პირობების გაძლიერება, ხელის შემშლელი პირობების აღმოფხვრა);
- მსჯავრდებულის მოტივაცია, გაუმჯობესოს საკუთარი ცხოვრების მდგომარეობა (მსჯავრდებულმა უნდა გამოიყენოს სახელმწიფოსაგან ან სამოქალაქო სექტორისაგან შემოთავაზებული ნებისმიერი შანსი საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის);
- მატერიალური დახმარების გაწევა. აქ იგულისხმება პირველადი მოხმარე-

⁴² მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 125.

⁴³ ვინაიდან მოცემულ თავში სოციალიზაციის შესახებ იყო საუბარი, აქ მისი გავრცობისაგან თავს ვიკავებთ.

⁴⁴ H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 46.

⁴⁵ G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 450.

⁴⁶ H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 50; G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 396.

ბის საჭირო საგნებიდან დაწყებული (ყოფილი) მსჯავრდებულის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა;

- პროფესიულ ან ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში მსჯავრდებულის ხელის შეწყობა;
- კრიზისული სიტუაციების მართვის სწავლა ან თანხლება;
- დახმარება სოციალური კონტაქტების აღდგენაში ან ახალი კონტაქტების დამყარებაში;
- მსჯავრდებულის დახმარება, აიღოს საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობა⁴⁷ (მისი გამხნელება, მოწოდება, რომ კონკრეტული ქმედება კარგი და საზოგადოებისათვის მისაღებია);
- საზოგადოებაში საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ტოლერანტული განწყობის დასამკვიდრებლად ყოფილი პატიმრებისა თუ მსჯავრდებულების მიმართ. იმის გაცნობიერება, რომ ყოფილი პატიმრისა თუ მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაციამ შესაძლებელია მათ მიერ განმეორებითი დანაშაული გამოიწვიოს და ისევ საზოგადოება დააზარალოს.

დასკვნის სახით, შესაძლებელია რესოციალიზაციის ცნება ასე იქნეს ჩამოყალიბებული: რესოციალიზაცია არის სოციალური სახელმწიფოს პრინციპით (საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლით) მოცული მსჯავრდებულის უფლება, ხელახლა დაბრუნდეს საზოგადოებაში, მსჯავრდებულის შანსი, განმეორებით მიიღოს მონაწილეობა სოციალიზაციის პროცესში და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, შექმნას საკმარისი პროგრამები და ინიციატივები დამნაშავეს გამოსასწორებლად, რათა დაცულ იქნეს საზოგადოებრივი წესრიგი.

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის „ყველა სათანადო საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული, მათ შორის, რელიგია, განათლება, პროფესიული ორიენტაცია და ტრენინგები, სოციალური დაცვა, დასაქმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები, ფიზიკური განვითარება, მორალური დამოკიდებულების განმტკიცება და ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს პატიმრის პიროვნულ ხასიათს. გათვალისწინებულ უნდა იქნეს პატიმრის სოციალური და კრიმინალური წარსული, ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა და შესაძლებლობები, მისი ტემპერამენტი, სასჯელის ზომა და გათავისუფლების პერსპექტივები“ (წესი #66 (1)).

⁴⁷ მსჯავრდებულის მიერ საკუთარი დანაშაულებრივი საქციელისათვის პასუხისმგებლობის ადება უფრო ადვილია, თუ დამნაშავესა და დაზარალებულს შორის განხორციელდება მედიაცია.

მესამე თავი

პენიტენციური სისტემის მოსამსახურე

3.1. სპეციალური პენიტენციური სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

პენიტენციური კოდექსის მე-8 მუხლში ჩამოთვლილია ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც დაცული და გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საქმიანობის დროს. ეს პრინციპებია: კანონიერების, ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა და პატივისცემა, თანაზომიერება, გამჭვირვალობა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. გარდა ამ პრინციპებისა, სასჯელის მოხდის პერიოდში მნიშვნელოვანია ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპების დაცვა. გთავაზობთ აღნიშნული პრინციპების მოკლე მიმოხილვას პენიტენციური/სასჯელატორული სამართლის ასპექტში.

3.1.1. კანონიერების პრინციპი

კანონიერების პრინციპი (ან კანონიერება) გულისხმობს კანონებისა და სამართლებრივი აქტების ზუსტად და განუხრელად დაცვას და შესრულებას ყველა სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობისა თუ ცალკეული პირების მიერ.⁴⁸ კანონიერება არის დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი აუცილებელი და ძირითადი ელემენტი.⁴⁹ კანონიერების პრინციპი საჯარო სამართლის უმთავრესი ასპექტია. „სახელმწიფო ორგანომ ყველა შემთხვევაში უნდა იმოქმედოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. კანონიერების პრინციპს საჯარო სამართალში იმიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რომ იგი არეგულირებს მოქალაქესა და სახელმწიფო ორგანოს შორის ურთიერთობას. ეს ურთიერთობა არის იერარქიული და, შესაბამისად, მოქალაქე განსაკუთრებულად უნდა იყოს დაცული“.⁵⁰ თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სფეროს ისე არ სჭირდება კანონიერების პრინციპის დაცვა, როგორც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, ვინაიდან პენიტენციურ დაწესებულებებში მოქალაქეები (თავისუფლებადაცვეთილი მსჯავრდებულები) იმყოფებიან 24-საათიანი ზედამხედველობის ქვეშ, ჩაკეტილ სივრცეში და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მათი უფლებების შელახვის ალბათობა უფრო დიდია და უფრო ადვილად არის შესაძლებელი.⁵¹

3.1.2. ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა და პატივისცემა

„ადამიანის ძირითადი უფლებები თანამედროვე დემოკრატიის, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ფუნდამენტი, მისი განუყოფელი შემადგენელი ელემენტია. ადამიანის უფლებანი ქმნიან თავისუფალ, დემოკრატიულ დირექტორებათა საკონსტიტუციო წესრიგს და ამით სახელმწიფოში მატერიალური სამა-

⁴⁸ ვ. ცნობილაძე (რედ.), კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი, ცნობარი, თბილისი, 1998, გვ. 58-იქვე.

⁴⁹ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 208.

⁵¹ იხ.: ფ. ზიმბარდოს სტენფორდის ციხის ექსპერიმენტი, ქვეთავი 3.5.

რთლიანობის (სამართლიანი კანონმდებლობის) არსებობას უზრუნველყოფენ“.⁵² ადამიანის „ძირითადი უფლება ისეთი უფლებაა, რომელიც სახელმწიფოს ძირითადი კანონით, კონსტიტუციითაა აღიარებული და გარანტირებული. ის, ერთი მხრივ, ცალკეულ ადამიანებს, ამ უფლების მატარებელ პირებს, კონკრეტული უფლებებით აღჭურავს, მეორე მხრივ კი, ბოჭავს სახელმწიფოს და აკისრებს ვალდებულებას, ეს უფლებები ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის მეშვეობით უზრუნველყოს“.⁵³

„სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის ძირითადი უფლებების შესაბამისად მოქმედება საჯარო ხელისუფლების ყველა ორგანოსა და დაწესებულების ვალდებულია“.⁵⁴

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ძირითად უფლებებს, გარემოების მიუხედავად, ინარჩუნებენ თავისუფლებააღკვეთილი პირები. ეს უფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს კანონიერი საფუძვლის გარეშე. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ბევრჯერ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების დროს დაიცვას პატიმრის ღირსება: ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი ინდივიდუალური და სოციალური პირობები (მათ შორის, უფლებები), რომელიც პირს უნდა გააჩნდეს დაპატიმრების მიუხედავად.⁵⁵ პატიმრობაში მყოფი პირები დროებით კარგავენ თავისუფლების უფლებას. ზოგიერთი უფლება შეიძლება შეიზღუდოს დაპატიმრების ფაქტის გამო. ეს უფლებებია: პირადი თავისუფლების უფლება, გადაადგილების თავისუფლება, აზრის თავისუფლად გამოხატვის თავისუფლება, შეკრებების თავისუფლება და ა. შ.⁵⁶

მსჯავრდებულს შეუზღუდავად აქვს სიცოცხლისა და პირადი ხელშეუხებლობის⁵⁷ დაცვის უფლება.⁵⁸

„საქართველოს კონსტიტუციამ მთავარ ღირებულებად ადამიანი, მისი ღირსება და თავისუფლება აღიარა და მას წარუვალა და უზენაესი მნიშვნელობა მიანიჭა. კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებების მთავარი ღირებულებითი საფუძველი ადამიანია და აღნიშნული უფლებების განმარტებისა და შეფარდების პროცესში ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს“.⁵⁹ მსჯავრდებულისათვის უფლებების შეზღუდვის დროს აუცილებელია თანაზომიერების და სამართლებ-

⁵² ბ. ლოლაძე / ან. ფირცხალაიშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბილისი, 2023, გვ. 2.

⁵³ ბ. ლოლაძე / ან. ფირცხალაიშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბილისი, 2023, გვ. 3; ასევე იხ.: ირ. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2023, გვ. 49.

⁵⁴ ირ. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2023, გვ. 51.

⁵⁵ K. Laubenthal, Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011. S. 19.

⁵⁶ ს. პაპუაშვილი, თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, თბილისი, 2006, გვ. 242.

⁵⁷ მსჯავრდებულის ფიზიკური დაცვის უფლება გულისხმობს ტკივილისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას, თუნდაც სამოქალაქო საავადმყოფოში გაქცევის მაღალი რისკის მიუხედავად, იხ.: G. Kaiser/H.-J., Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 103.

⁵⁸ G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 103.

⁵⁹ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 11 (ლ. იზორია, მუხლი 7).

რივი უსაფრთხოების პრინციპების დაცვა. მსჯავრდებულისათვის უფლებების შეზღუდვა სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომლისათვის არ გულისხმობს ამ უფლების დარღვევის შესაძლებლობას. სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომელმა უნდა იცოდეს, რომ „ადამიანი უფლებაა“.⁶⁰ თუ მსჯავრდებულს ჩამოვამორებთ ძირითად უფლებებს, იგი „მოაზროვნე ცხოველად“⁶¹ დარჩება მხოლოდ.

ადამიანის (პატიმრების) უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ კანონში დეტალურად, მკაფიოდ, საკმარისი დამაჯერებლობითა და სიცხადით იყოს მოცემული უფლებაში ჩარევის კონკრეტული მიზანი, ამოცანები, საფუძვლები. არაორაზროვანი, ნათელი და განჭვრეტადი უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წესი, ანუ პირებს (პატიმრებს) კანონი უნდა უქმნიდეს ძალიან მკაფიო და თვალნათელ წარმოდგენას, როდის და როგორ შეიძლება აღმოჩნდეს მათი უფლება შეზღუდვის რისკის ქვეშ.⁶²

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, არამედ ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში პატიმრის მხრიდან სახალხო დამცველისა და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის სწრაფი და მოქნილი მექანიზმის არსებობა,⁶³ ვინაიდან სწორედ ისინი წარმოადგენენ უმთავრეს ინსტიტუციურ მექანიზმებს ქვეყანაში.

3.1.3. თანაზომიერება

„სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელია ძირითადი უფლებების თვითნებური და არათანაზომიერი შეზღუდვა. თანაზომიერების პრინციპი ეფუძნება იმ იდეას, რომ სახელმწიფოს მოქმედება არ უნდა იყოს შეუზღუდავი და დაუსაბუთებელი. თანაზომიერების პრინციპი იცავს ინდივიდს სახელმწიფოს თვითნებობისგან“.⁶⁴

თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ნებისმიერი ჩარევის განხილვისას აუცილებელია დადგინდეს, რომ 1) ჩარევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, 2) ჩარევა გამოსადეგია დადგენილი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, როდესაც მიზნის მიღწევა თუნდაც თეორიულად არის შესაძლებელი, 3) ჩარევის ფორმა და ინტენსივობა აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შედარებით რბილი საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, ისეთივე ეფექტიან შედეგს მოგვცემდა, 4) ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (თანაფარდობის ვიწრო გაგება) – ჩარევის შესაბამისობის დადგენისას წარმოებს ჩარევის შეზღუდულ და დაცულ სიკეთეთა ორმხრივი შედარება (აწონ-დაწონვა).⁶⁵

⁶⁰ ბ. ზოიძე, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა: უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, თბილისი, 2013, გვ. 15.

⁶¹ იქვე.

⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.13.

⁶³ ირ. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2023, გვ. 51.

⁶⁴ ბ. ლოლაძე / ან. ფირცხალაიშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბილისი, 2023, გვ. 60.

⁶⁵ ავ. დემეტრაშვილი / ირ. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 92, 93.

თანაზომიერების პრინციპი მოცულია ყველა ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების სამართალწესრიგში. „მას, როგორც საყოველთაო სამართლებრივ პრინციპს, პირველადი სამართლის ხარისხი აქვს და აღიარებულია [ევროპის] გაერთიანების სამართლებრივი დონისძიებების შემზღუდველ ყოვლისმომცველ პრინციპად“.⁶⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპი „პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებლად თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას“.⁶⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილების თანახმად, „თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, ძირითად უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს... [და თუ ნორმა] არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, არ ექვემდებარება თანაზომიერების ტესტს და ხელყოფს ძირითადი უფლების ხელშეუხებელ არსს“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-4 მუხლის⁶⁸ მნიშვნელობიდან, დანიშნულებიდან გამომდინარე, სწორედ მასში ამოიკითხა „თანაზომიერების პრინციპის“ ძირითადი არსი და კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპად მიიჩნია.⁶⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილების თანახმად, „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენენ ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც“.

პენიტენციური სამართლის კუთხით, თანაზომიერების პრინციპის გამოყენების საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის უფლების შეზღუდვის დროს.

⁶⁶ გ. გაბრიჩიძე, თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბილისი, 2006, გვ. 68.

⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება.

⁶⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

⁶⁹ ქ. ერემძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013, გვ. 23.

მსჯავრდებულისათვის პენიტენციურ დაწესებულებაში ნებისმიერი სახის შეზღუდვა უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული თანაფარდობის პრინციპის ელემენტების დაცვით და „უსათუოდ რომელიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს“.⁷⁰ „ადამიანის უფლებების შეზღუდვის სფეროში თანაზომიერების პრინციპის გამოყენება საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერებას ითხოვს. სამართლებრივ სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოების თითოეული წევრი იმის მოლოდინშია, რომ საზოგადოებაში სიკეთეთა გადანაწილება სამართლიანად მოხდება“.⁷¹ კერძო ინტერესი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე.⁷²

ამავე დროს, აქტუალურია საკითხი, თუ რამდენად აკმაყოფილებს მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთა თანაზომიერების პრინციპის კრიტერიუმებს. აღნიშნული გარკვეულ უნდა იქნეს თითოეული სისხლის სამართლის საქმის შესწავლით. ჩვენ განვიხილავთ სასამართლო პრაქტიკიდან ერთ სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც კარგად წარმოაჩენს მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთის თანაფარდობის კონსტიტუციურ პრინციპთან მიმართებას, ანუ საკითხავია, მოყვანილ კონკრეტულ საქმეში ხომ არ არღვევს მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის პატივსა და ღირსებას.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმის #1-108-2008-ის თანახმად, მსჯავრდებული არის 1956 წელს დაბადებული ქალბატონი, რომელიც სასამართლომ, 2009 წლის 3 აპრილის განაჩენით, ცნო დამნაშავედ სსკ 108 მუხლით და მიუსაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონით „ამნისტიის შესახებ“ დამნაშავეს სასჯელი გაუწიეს. გარდა ამისა, ამავე განაჩენით, მსჯავრდებულ ქალბატონს ხუთჯერ ჩადენილი თაღლითობისათვის მიესაჯა 23 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საკითხავია, 23 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა გაივლის თუ არა თანაფარდობის კონსტიტუციური პრინციპის ტესტის კრიტერიუმებს, კერძოდ, არის თუ არა 23 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი?

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილების თანახმად, „პატივისა და ღირსების უფლების შეზღუდვისას სახეზე უნდა იყოს დამამცირებელი მოპყრობა, რომელსაც აქვს შემდეგი კრიტერიუმები: მოპყრობა მსხვერპლში აღძრავს შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას; ეს განცდა ამცირებს და აკნინებს მსხვერპლს; განცდა ტყის მსხვერპლის ფიზიკურ ან მორალურ მდგომარეობას; მოპყრობის მიზანია მსხვერპლის დამცირება; მოპყრობის ხარისხი აღწევს სიმკაცრის მინიმალურ დონეს მაინც“.

53 წლის ადამიანისათვის 23 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთის მისჯამ შესაძლოა გამოიწვიოს შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდა, ვინაიდან მან იცის, რომ იგი ციხეს ცოცხალი ვეღარ დატოვებს (ქალების საშუალო

⁷⁰ ირ. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2023, გვ. 58.

⁷¹ ლ. იზორია, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული, თბილისი, 2002, გვ. 46.

⁷² იქვე.

სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში 70-75 წელია, რაც ციხის პირობებში კიდევ უფრო იკლებს. სახალხო დამცველის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გრძელვადიან თავისუფლების აღკვეთასთან ერთად რთულდებოდა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა);⁷³ მსჯავრდებულში მორალური (ფსიქოლოგიური) მდგომარეობის გაუარესება, რაც შეიძლება აისახოს მის ფიზიკურ მდგომარეობაში (თვითდაზიანებებში).⁷⁴

ამ მხრივ საინტერესოა ასევე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილება. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ თანაზომიერების პრინციპის დარღვევად მიიჩნია სანქციის ისეთი ზომა და ფორმა, რომელსაც მსჯავრდებულის პიროვნების/პიროვნული რაობის განადგურება შეუძლია. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, გრძელვადიანი (დიდი ვადით) თავისუფლების აღკვეთა მიმართულია მსჯავრდებულის პიროვნების პატივისცემის გასანადგურებლად და შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს თანაზომიერების პრინციპს.⁷⁵

გერმანულ სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ მაღალი ზომის სასჯელის დანიშვნა მსუბუქი სახის დანაშაულისათვის ეწინააღმდეგება თანაზომიერების კონსტიტუციურ პრინციპს.

„თანაზომიერების და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპები პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და ამდენად, ამ პრინციპების დარღვევა, როგორც წესი, თავისთავად ნიშნავს ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას“.⁷⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მაღალი ზომის სასჯელი (23 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა) ისეთი სახის დანაშაულისათვის, როგორც არის თაღლითობა (თუნდაც მრავალგზის), ეწინააღმდეგება პროპორციულობის კონსტიტუციურ პრინციპს, ვინაიდან ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას. კერძოდ, მაღალი ზომის სასჯელი მიმართულია და ანადგურებს მსჯავრდებულის მიერ საკუთარი პიროვნებისადმი პატივისცემის გრძნობას, ტყუის მას მორალურად და ფიზიკურად, ხელს უშლის (სპობს) მის სოციალურ გარემოსთან ურთიერთობას.

3.1.4. გამჭვირვალობა

„სამართლებრივი სახელმწიფო კრებითი ცნებაა, რომელიც რამდენიმე კომპონენტისაგან ყალიბდება. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება მოიცავს კანონიერების პრინციპს, ღია და გამჭვირვალე მართვას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას ადმინისტრაციულ პროცესში, სამართლებრივ უკანონო საქმიანობით მიყენებული ზარალის ანაზღაურების უფლებას, რესურსების ეკონომიურად გამო-

⁷³ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე, თბილისი, 2018, გვ. 20-21, <https://ombudsman.ge/res/docs/2019060317571314166.pdf> [07.05.2024].

⁷⁴ პროფესორი ოთარ გამყრელიძე მიიჩნევს, რომ 60 წლის ადამიანისათვის 30 წლით თავისუფლების აღკვეთის მისჯა უტოლდება უვადო თავისუფლების აღკვეთას. იხ.: ოთ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2013, გვ. 112.

⁷⁵ A. Schönke/H. Schröder, Strafesetzbuchkommentar. 27. Auflage, München, 2006. S. 781-782.

⁷⁶ ი. კობახიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ოსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, გვ. 326.

ყენების მოთხოვნასა და სხვა“.⁷⁷ როგორც ვხედავთ, ღია და გამჭვირვალე მართვა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციამ ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას საჯარო მმართველობის დროს.

კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებული სახელმწიფო საიდუმლოებად.

„კონსტიტუციის მე-18 მუხლი უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვის სტანდარტის ამაღლებას. კერძოდ, აღნიშნული უფლება ვრცელდება ნებისმიერ ადამიანზე და არა მხოლოდ მოქალაქეზე. საჯარო სექტორის გამჭვირვალობასა და ღიაობას ორი ძირითადი სტრატეგიული მიზანი აქვს: 1. საჯარო ინფორმაციის მოპოვების თავისუფლებით დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრება და 2. ხელისუფლების კონტროლი, განსაკუთრებით კი კორუფციასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალების თვალსაზრისით“.⁷⁸

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახური ხორციელდება გამჭვირვალედ და ღიად, საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციული „მართვა უნდა იყოს არამართო კანონიერი და მართლზომიერი, არამედ რაციონალური, ეფექტიანი, ეკონომიური და მომჭირნე. მართვის სისტემა უნდა ემსახურობდეს საყოველთაო, საერთო-საზოგადოებრივ ღირებულებებს, ითვალისწინებდეს მოქალაქეთა ჩართულობას, უნდა იყოს გამჭვირვალე და ღია“.⁷⁹

გამჭვირვალობის პრინციპი, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას.⁸⁰ „დემოკრატიული წესწყობილებისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა. თავისუფალი ინფორმაციის არსი ისაა, რომ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, თუ ისინი არ წარმოადგენენ საიდუმლო ინფორმაციას, ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს“.⁸¹

დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში საჯარო მმართველობის განხორციელება მოიაზრებს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალე-

⁷⁷ გ. ხუბუას და კ. პ. ზომერმანის (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2016, გვ. 135.

⁷⁸ შ. ყიფშიძე, საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის პრინციპი, როგორც კარგი მმართველობის უფლების შემადგენელი ელემენტი, ჟურნალი „ორბელიანი“ #5, 2022, გვ. 29.

⁷⁹ გ. ხუბუას და კ. პ. ზომერმანის (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2016, გვ. 42.

⁸⁰ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება BVerfGE 20, 56 (105 f.).

⁸¹ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 498 (ბ. ქანთარია, მუხლი 41).

ველობის სისტემის ჩამოყალიბების რისკს“.⁸⁷

არასტაბილური საჯარო სამსახური ბუნებრივად განაპირობებს პატრიმონიული, პოლიტიზებული მმართველობის სისტემის განვითარებას, სადაც ურთიერთობები პირად ერთგულებასა და არაფორმალურ კავშირებს ემყარება.⁸⁸

„საჯარო მოსამსახურეთა ნეიტრალიტეტი მოითხოვს საჯარო მოსამსახურეთა მხრიდან უფლებამოსილების პოლიტიკური თუ სხვა თვალსაზრისით მიუკერძოებელ განხორციელებას“.⁸⁹

„საჯარო მმართველობის ყველაზე ზოგადი და ნეიტრალური გარე მაკონტროლებელი ინსტანცია არის საზოგადოებრივი, სამოქალაქო კონტროლი“.⁹⁰ შესაბამისად, იმისთვის რომ პენიტენციური მმართველობა იყოს აპოლიტიკური და ნეიტრალური, მნიშვნელოვანია როგორც სახალხო დამცველის საქმიანობა, ასევე ისეთი ტიპის სამოქალაქო სექტორის ჩართულობა, რომელიც პენიტენციურ საკითხზე მუშაობს.

3.2. სამართლის პრინციპები, რომლებიც მნიშვნელოვანია პენიტენციური საქმიანობის განხორციელებისას

როგორც აღინიშნა, სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება მოიცავს კანონიერების პრინციპს, ღია და გამჭვირვალე მართვას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას ადმინისტრაციულ პროცესში, სამართლებრივ უკანონო საქმიანობით მიყენებული ზარალის ანაზღაურების უფლებას, რესურსების ეკონომიურად გამოყენების მოთხოვნასა და სხვ. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ პენიტენციური კოდექსი არ ითვალისწინებს ქვემოთ განხილულ პრინციპებს, ისინი მნიშვნელოვანია სპეციალური პენიტენციური სამსახურის საქმიანობისას და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დასაცავად.

3.2.1. დემოკრატიულობის პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლის თანახმად, საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა და სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.

დემოკრატიულობა მოიცავს ყველა იმ ნორმას, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო სტრუქტურებში ხალხის წარმომადგენელთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას.⁹¹ პენიტენციურ კოდექსში, პატიმრობის კოდექსისგან განსხვავებით, მოცემული აღარ არის დემოკრატიულობის პრინციპი. პენიტენციურ სისტემაში დემოკრატიულობის პრინციპი შესაძლებელია განხილულ იქნეს ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით, იგი გულისხმობს სასჯელის აღსრულებითი პოლიტიკის შემუშავებაში ხალხის, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას

⁸⁷ ირ. კობახიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, გვ. 314.

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ გ. ხუბუას და კ. პ. ზომერმანის (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2016, გვ. 356.

⁹¹ ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, გვ. 169.

არჩევნების გზით, ხოლო, ვიწრო გაგებით, გულისხმობს სამოქალაქო სექტორის მონაწილეობას სასჯელის აღსრულებითი სისტემის მართვაში (მაგ., სპეციალური პენიტენციური დაწესებულების საქმიანობის პროცესში ცალკეული მოქალაქეების ჩართულობა).⁹² „დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს გამოვლინებებს დღეს ხშირად მიაკუთვნებენ აგრეთვე მოქალაქეების მონაწილეობას განსაზღვრულ ადმინისტრაციულ პროცედურებში“.⁹³ კონსტიტუცია ადგენს „ხალხის მონაწილეობის უფლებას მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სამოქალაქო ინიციატივის წახალისება, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოქალაქეთა მქსიმალურად ჩართვა ხელს უწყობს დაძლეულ იქნეს ხელისუფლების „ანონიმურობის“ პრობლემა“.⁹⁴

დღეის მდგომარეობით, დემოკრატიულობის პრინციპი ხორციელდება როგორც ფართო, ასევე ვიწრო გაგებით, ანუ საქართველოს მოქალაქეები არჩევნების გზით მონაწილეობენ ქვეყნის კრიმინალური პოლიტიკის (მათ შორის, სასჯელის აღსრულების მიდგომების) განსაზღვრაში. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ასევე თავად მსჯავრდებულს. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს 18 წელს გადაცილებულ საქართველოს მოქალაქე მსჯავრდებულს, თუ ის გასამართლებულია ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულისათვის. შესაბამისად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს. დემოკრატიულობის პრინციპის ვიწრო გაგებით განხორციელება შეიძლება მოქალაქეების ჩართულობას გულისხმობდეს. პენიტენციური კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი წარმომადგენელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთი წარმომადგენელი. მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს 5 წევრიდან ორი არის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, ანუ მოქალაქეები უშუალოდ არიან ჩართული მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტის პროცესში.

სამოქალაქო ასოციაციები დემოკრატიული მმართველობის ეფექტიანობასა და სიმყარეს უწყობს ხელს.⁹⁵ ასეთი ჩართულობა აყალიბებს და ამყარებს ნდობას სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობისადმი (მათ შორის, პენიტენციური სისტემისადმი).⁹⁶ აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია სწორედ ისეთი პენიტენციური

⁹² ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, გვ. 167; კ-პ. ზომერმანი, საჯარო მმართველობა დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოში. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, სახელმძღვანელო, გ. ხუბუა, კ-პ. ზომერმანი (რედ.), თბილისი, 2016, გვ. 25.

⁹³ კ-პ. ზომერმანი, საჯარო მმართველობა დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოში, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, სახელმძღვანელო, გ. ხუბუა, კ-პ. ზომერმანი (რედ.), თბილისი, 2016, გვ. 25.

⁹⁴ გ. ხუბუა, საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, სახელმძღვანელო, გ. ხუბუა, კ-პ. ზომერმანი (რედ.), თბილისი, 2016, გვ. 65.

⁹⁵ რ. დ. პატნემი, როგორ ვამუშაოთ დემოკრატია, თბილისი, 2005, გვ. 109.

⁹⁶ იქვე.

სისტემისათვის, რომელიც პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობის⁹⁷ მატარებელია და 2012 წლამდე გადაცდომები ჰქონდა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

3.2.2. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულასა და მე-4 მუხლში მოცემული სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, პირველ რიგში, გულისხმობს ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებლობას. სამართლებრივ სახელმწიფოს აქვს ორი გაგება: მატერიალური და ფორმალური. სამართლებრივი სახელმწიფოს მატერიალური გაგების თანახმად, სამართალი, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები იზღუდება, უნდა იყოს სამართლიანი.⁹⁸ „ხელისუფლების შეზღუდვა და თვითშეზღუდვა, რასაც გულისხმობს სამართლებრივი სახელმწიფო, საზოგადოებისაგან სახელმწიფოს დისტანცირებასა და ხელისუფლების თვითნებობის აღკვეთის გზით, კანონის წინაშე ინდივიდთა თანასწორობას ისახავს მიზნად“.⁹⁹ „სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალური გაგება ხაზს უსვამს იმას, თუ რა ინსტიტუტებითა და პროცესუალური მასშტაბებით უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ხელისუფლება“.¹⁰⁰ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ისეთი პრინციპები, როგორიცაა: კანონის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილების და სასამართლოში გასაჩივრების.¹⁰¹

პენიტენციური სისტემის გამართულად მუშაობისთვის მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა: სამართლებრივი უსაფრთხოება, თანაზომიერება, სახელმწიფო საქმიანობაში თვითნებობის აკრძალვა და სასამართლო კონტროლი, განსაზღვრულობა და ნდობა.¹⁰² სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგიერთი ასპექტი (ადამიანის ძირითადი უფლებები, თანაზომიერება, საჯარო მოსამსახურის ნეიტრალიტეტი) განხილულ იქნა ამ თავის დასაწყისში, შესაბამისად, მათ აღარ შევეხებით. განვიხილავთ მხოლოდ სამართლებრივი უსაფრთხოების, სახელმწიფო საქმიანობაში თვითნებობის აკრძალვისა და სასამართლო დაცვის გარანტიის ასპექტებს.

- სამართლებრივი უსაფრთხოება

სამართლებრივი უსაფრთხოება მოიცავს რამდენიმე ელემენტს: აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის წინასწარ განსაზღვრა; კანონების და სამართლებრივი ნორმების გარკვეულობა; სამართლის მიმართ მოქალაქის ნდობის ჩამოყალიბება; სამართლის მთელი სისტემის ურთიერთწინააღმდეგობისაგან გათავისუფლება (დაცვა); მოქალაქეთა შესაძლებლობა, ინფორმირებული იყოს სამართლის მინაარსის შესახებ (სამართლის საჯაროობა).¹⁰³

⁹⁷ პენიტენციური სისტემისადმი ნდობის ან ზოგადად პენიტენციური პრობლემების შესახებ საბჭოთა კავშირში იხ.: ნ. კრისტი, დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია. გულაგების მიმართ დასავლური მიდგომა, თბილისი, 2019.

⁹⁸ ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, გვ. 184.

⁹⁹ ირ. კობახიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, გვ. 309.

¹⁰⁰ ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, გვ. 185.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² F. Hufen, Staatsrecht II. Grundrechte. München, 2007. S. 11.

¹⁰³ ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, გვ. 199-202.

სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის თანახმად, „ინდივიდს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საკმაოდ მკაფიოდ შეიცნოს ქვევის წესი და ამის საფუძველზე განსაზღვროს თავისი ქვევის შინაარსი“.¹⁰⁴ „სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი ნორმის სიცხადეს, ანუ მისი ტექსტის საკმარისად მკაფიოდ ჩამოყალიბებასა და ინდივიდისათვის სამართალშემოქმედის ნების შეცნობადობას მოითხოვს“.¹⁰⁵ „სამართლებრივი ნორმა უნდა იყოს არაორაზროვანი, ხოლო მისი იურიდიული შედეგები - იოლად განჭვრეტადი“.¹⁰⁶

სამართლებრივი უსაფრთხოებისათვის ჩამოთვლილი თითოეული ელემენტი მეტად მნიშვნელოვანია პენიტენციურ სისტემაში სამართლის აღსასრულებლად. ასე მაგალითად, მსჯავრდებულს უნდა შეეძლოს წინასწარ განსაზღვროს პენიტენციური ორგანოს საქმიანობა, რომ მოახდინოს საკუთარი საქციელის მის საქმიანობაზე ორიენტირება, ამგვარად ნაკლებად მოხდება უთანხმოება მსჯავრდებულსა და პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას შორის; სასჯელის აღსრულების ნორმები უნდა იყოს გარკვევით ჩამოყალიბებული და არ უნდა იძლეოდეს ორაზროვნად გაგების შესაძლებლობას, ვინაიდან გაუგებარმა ნორმამ შესაძლებელია მსჯავრდებულის მხრიდან არასწორი ინტერპრეტაცია და მისი უკმაყოფილება გამოიწვიოს; თუ მსჯავრდებულები არ იქნებიან ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ, მათ არ შეეძლებათ თავის დაცვა, და ბოლოს, ერთ-ერთი საინტერესო საკითხია პენიტენციური სამართლის მიმართ მოქალაქის ნდობის ჩამოყალიბება. პენიტენციური სამართლის მიმართ მოქალაქის ნდობის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება მოქალაქის მხრიდან ამ სისტემის ნდობას და, ზოგადად, მოქალაქის ნდობას თანამოქალაქეთა მიმართ (სოციალური კაპიტალი).

„ნდობის საზოგადოება გულისხმობს სახელმწიფოს არა სიძულვილს, არამედ, სიყვარულს თუ არა, ნაკლებ დაპირისპირებას მაინც მასთან. არ შეიძლება სახელმწიფოში მუდმივად შენთან დაპირისპირებულ დაწესებულებას ხედავდე“.¹⁰⁷ მსჯავრდებულს თუ ექნება ხედვა, რომ სახელმწიფო, სასჯელაღსრულების სისტემა მასთან დაპირისპირებული კი არ არის, არამედ, პირიქით, სურს მისი დახმარება (გამოსწორება), მისი რესოციალიზაცია უფრო ადვილი მისადწევი იქნება. რაც შეეხება ადამიანებს შორის ურთიერთნდობის საკითხს, ანუ ნდობას მსჯავრდებულსა და ზედამხედველს შორის, აქ საქართველოს მოსახლეობა დიდი პრობლემის წინაშე დგას. 2008 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტს მიაჩნია, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა სანდოა.¹⁰⁸ თუ მსჯავრდებულსა და ზედამხედველს შორის ურთიერთობა უნდობლობით დაიწყება, ერთია, რომ შემდგომში ამის გამოსწორება მეტად რთული იქნება და დიდ ძალისხმევასთან იქნება დაკავშირებული, და მეორე, ხელს შეუშლის პენიტენცი-

¹⁰⁴ ირ. კობახიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, გვ. 320.

¹⁰⁵ ირ. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი. მესამე გამოცემა, თბილისი, 2023, გვ. 60.

¹⁰⁶ იქვე.

¹⁰⁷ ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა კონტროლი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 141.

¹⁰⁸ მ. შალივაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012, გვ. 39.

ური დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას¹⁰⁹ და მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.

პატიმრობის კოდექსის მე-80 მუხლი მიიჩნევდა და ახლა მოქმედი პენიტენციური კოდექსის 70-ე მუხლი ასევე დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევს „ხმაურს ან სხვაგვარ ქმედებას, რომელიც არღვევს წესრიგს და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას“. სახალხო დამცველის ოფისის მიერ 2019 წელს ჩატარდა პატიმართა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკის ანალიზი.¹¹⁰ ამ კვლევის თანახმად, დისციპლინური სანქციის დაკისრების შესახებ განკარგულებათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 20%-ში ქმედების შემადგენლობა აღწერილია მხოლოდ ორი სიტყვით – „ხმაური საკანში“. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარე, სასურველია, რომ სამართლებრივი ნორმა იყოს არაორაზროვანი, ხოლო მისი შედეგები ბრალდებულისა და მსჯავრდებულისთვის იოლად განჭვრეტადი. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან „ხმაურის“ სუბიექტურმა შეფასებამ, რასაც ბრალდებულისა და მსჯავრდებულის დისციპლინური სახდელი მოჰყვება და შეიძლება უარყოფითად აისახოს მის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე, შესაძლებელია ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვიოს, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებას. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარე, სასურველია, რომ სამართლებრივი ნორმა იყოს არაორაზროვანი, ხოლო მისი შედეგები ბრალდებულისა და მსჯავრდებულისთვის იოლად განჭვრეტადი.

- სახელმწიფო საქმიანობაში თვითნებობის აკრძალვა

სახელმწიფო საქმიანობაში თვითნებობის აკრძალვა გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების მოვალეობას, საკუთარი გადაწყვეტილებები დასაბუთებულად მიიღონ.¹¹¹

სახელმწიფო საქმიანობაში თვითნებობის აკრძალვის პრინციპის განსახორციელებლად აუცილებელია საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის, პარტიული ნეიტრალიტეტისა და კვალიფიციურობის კრიტერიუმების გათვალისწინება.¹¹²

- სასამართლო დაცვის გარანტია

სასამართლო კონტროლი სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისაგან კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა ხდება სწორედ სასამართლოში. სასამართლოში განხორციელებული კონსტიტუციური უფლების დაცვა საჯარო ხელისუფლების მხრიდან ცალკეული ადამიანის სამართლებრივ სფეროში ჩარევისა და შეზღუდვისაგან მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული,¹¹³ ანუ საჯარო ხელისუფლება არ უნდა

¹⁰⁹ სოციალური კაპიტალის ნაკლებობამ შესაძლებელია ადამიანში თავდაცვითი ინსტიქტი გააძლიეროს და აგრესია გამოიწვიოს. იხ.: მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012, გვ. 39, 40.

¹¹⁰ www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf [19.03.2024].

¹¹¹ ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, გვ. 202.

¹¹² იქვე, გვ. 203.

¹¹³ იურ. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 320.

ეროდეს სასამართლო საქმიანობაში.

სასამართლო კონტროლი შესაძლებელია განხორციელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვა დაექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.¹¹⁴

სასამართლო დაცვის გარანტია ინდივიდს იცავს, თუ: 1) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისგან საერთო სასამართლოებში მათი გასაჩივრების და 2) უსამართლო კანონებისაგან, საკონსტიტუციო სამართალწარმოების გზით.¹¹⁵

სასამართლო დაცვის გარანტია მნიშვნელოვანია ბრალდებულისა და მსჯავრდებულისათვის, რათა მას ჰქონდეს შესაძლებლობა მის მიმართ გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილება (მაგ.: დისციპლინური სახდელის დაკისრების ან პირობით ვადამდე გათავისუფლების უარის თქმის თაობაზე) გასაჩივროს სასამართლოში. ამ უფლებას, თავის მხრივ, აქვს პრევენციული ხასიათი.¹¹⁶ პენიტენციური სამსახურის ან პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელმა ან პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივმა საბჭომ თუ იცის, რომ მისი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, ის ნაკლებად მიიღებს უკანონო გადაწყვეტილებას ან მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.

3.2.3. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლში. კონსტიტუციის მეხუთე მუხლში მოცემულია რვა ფუნქციონალური მიზანი, რომელთა რეალიზაცია სახელმწიფოს მთავარ ამოცანად არის მიჩნეული. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, [1] საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. [2] სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. [3] სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს. [4] სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით. [5] სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე. [6] სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე. [7] სახელმწიფო ზრუნავს სპორტის განვითარებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე. [8] სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

სოციალურ სახელმწიფოში მოიაზრება სოციალური უსაფრთხოება, ზოგადი ეკო-

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ ირ. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2023, გვ. 63.

¹¹⁶ იქვე.

ნომიკური წონასწორობის შექმნა (შენარჩუნება), სოციალური სამართლიანობა¹¹⁷ და სოციალური თანასწორობა.¹¹⁸ სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ნორმატიულ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ ძირითად უფლებებთან კავშირში.¹¹⁹

სოციალური სახელმწიფოს გერმანული დოქტრინა¹²⁰ სოციალური სახელმწიფოს პრინციპს მოიაზრებს ორი განსხვავებული კუთხით: (1) სოციალური - წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით (მაგ., სოციალური და ეკონომიკური კონტრასტების გათანაბრება) და (2) სოციალური - სოციალური ურთიერთობების ხელშეწყობა და დაცვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „იმ საზოგადოებაში, რომელმაც კონსტიტუციის პრეამბულაშივე თავის უმთავრეს მიზნად გამოაცხადა ეკონომიკური თავისუფლების, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრება, სახელმწიფოს მიერ გატარებული სამართლებრივი პოლიტიკა და კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა თავსდებოდეს ამ პრინციპების ფარგლებში“, ხოლო ამ ფარგლების დარღვევა, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების იგნორირებაა.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც სოციალური სახელმწიფოს მოწყობის საფუძველი. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს სოციალური სახის ვალდებულებებს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს სოციალურად დაუცველი მოქალაქის დახმარება.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, მსჯავრდებული პირის (ციხის პირობებში) რესოციალიზაცია ეფუძნება ადამიანის ღირსებას და სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. მსჯავრდებულს, როგორც ადამიანური ღირსების მატარებელ პირს, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ღირსეულად (გამოსწორებული) დაუბრუნდეს საზოგადოებას. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, იზრუნოს იმ პირებზე, რომელთაც სოციალურ განვითარებაში ხელი ეშლება, იმის მიუხედავად, მიუძღვის თუ არა პირს პიროვნულად ბრალი შეუზღუდოს (ან ხელი შეუშალოს) სოციალური განვითარება.¹²¹ ასეთი პირების კატეგორიას განეკუთვნებიან მსჯავრდებულები და ციხიდან გათავისუფლებული პირები.¹²²

„სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, ხელისუფლება ვალდე-

¹¹⁷ ბ. ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2012, გვ. 113.

¹¹⁸ თ. ზაალიშვილი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი, თსუ-ის ჟურნალი „სამართალი“, 2012, გვ. 269.

¹¹⁹ ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, გვ. 338.

¹²⁰ იურ. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 312-319; გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfGE) 35, 202 - ლებახის საქმე.

¹²¹ ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 315.

¹²² გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfG 35, 202 (235)).

ბულია ხელი შეუწყოს მსჯავრდებულთა, აგრეთვე ნასამართლევ პირთა რესოციალიზაციას. მსჯავრდებულებს უფლება აქვთ მოსთხოვონ სახელმწიფოს ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიების გატარება. მსჯავრდებულს, აგრეთვე ნასამართლევ პირს, უნდა მიეცეთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შანსი“.¹²³

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის სასჯელადსრულებით მნიშვნელობაზე საინტერესოა გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1973 გადაწყვეტილება, ე. წ. ლებახის საქმეზე.¹²⁴ 1969 წელს გერმანიაში, სოფელ ლებახში, სამი ახალგაზრდა თავს დაესხა სამხედრო ნაწილს, მოკლა ოთხი მძინარე ჯარისკაცი და გაიტაცა მათი იარაღი და ტყვია-წამალი. დამნაშავეები იყვნენ ახლო მეგობრები, რომელთაც ერთმანეთთან ჰქონდათ ჰომოსექსუალური ურთიერთობა. მოპოვებული იარაღით ისინი აპირებდნენ ქონების დაგროვების მიზნით თავდასხმებს. დაგროვებული ქონებით კი სურდათ სამხრეთის ზღვების სანაპიროზე უზრუნველად ეცხოვრათ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სამი მოსამართლისა და ექვსი ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობით, ორ მთავარ დამნაშავეს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მესამეს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, დანაშაულის მესამე თანამონაწილე 1973 წელს გაეთავისუფლებინა პირობით ვადამდე. მსჯავრდებულის გათავისუფლების დღეს ტელეკომპანია ZDF გეგმავდა ეჩვენებინა ორსაათნახევრიანი დოკუმენტური ფილმი, სახელწოდებით „ჯარისკაცების მკვლელობა ლებახში“. „ფილმი მაყურებელს უამბობდა დანაშაულის წინა ისტორიას, ჩადენის დეტალებს, გამოძიების მოქმედებას, დამნაშავეთა დაკავებასა და გასამართლების ფაქტებს. ფილმში მოცემული იყო სამივე დამნაშავეს ფოტოსურათი, მათი ნამდვილი სახელების მითითებით“.¹²⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ ტელეკომპანია ZDF-ს აუკრძალა დოკუმენტური ფილმის ჩვენება და განაცხადა: „მსჯავრდებულს, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ღირსების მატარებელ პირს, შესაძლებლობა უნდა მიეცეს, სასჯელის მოხდის შემდეგ ინტეგრირებულ იქნეს საზოგადოებაში. მსჯავრდებულის ინტერესი რესოციალიზაციაზე გამომდინარეობს გერმანიის კონსტიტუციის მეორე მუხლის პირველი ნაწილიდან. საზოგადოების მხრიდან თუ ვიმსჯელებთ, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს იმ ადამიანებზე ან ჯგუფებზე ზრუნვას, რომელთაც პიროვნული სისუსტის ან საკუთარი ბრალეულობის გამო, ხელი ეშლებათ პიროვნული და სოციალური განვითარებისათვის, ასეთ ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნებიან ასევე მსჯავრდებულები“.¹²⁶

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ე. წ. „ცხოვრების ცვალებადი შემთხვევებისაგან“ დაცვა.¹²⁷

¹²³ ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, გვ. 341.

¹²⁴ გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfG 35, 202); იურ. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 131; კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, გვ. 122.

¹²⁵ კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, გვ. 122.

¹²⁶ გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfG 35, 202 (235)).

¹²⁷ თ. ზაალიშვილი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი, თსუ-ის ჟურნალი „სამართალი“, 2012, გვ. 270.

თავისუფლების აღკვეთა, რა თქმა უნდა, თავისთავად არ არის ადამიანის ღირსების შემლახავი, მაგრამ საჭიროა სახელმწიფომ მსჯავრდებულს ციხეში შეუქმნას ყველა პირობა, რათა იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქე, რომელიც ცხოვრებას დანაშაულის ჩადენის გარეშე გააგრძელებს. ამ მხრივ აუცილებელია, რომ მსჯავრდებულს რეალურად მიეცეს შანსი დაბრუნდეს თავისუფლებაში ყოველგვარი (ციხის პირობებიდან გამომდინარე) უარყოფითი შედეგების გარეშე.¹²⁸

სახელმწიფოს უფლება აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ იგი ვალდებულია შექმნას ციხეში პირობები, რომელიც იქნება მსჯავრდებულისათვის გამოსწორების მომტანი (სოციალური სახელმწიფოს პრინციპი).¹²⁹

ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს 2003 წლის რეკომენდაციით (Rec(2003)23), თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების საცხოვრებელი პირობები, შეძლებისდაგვარად, მიახლოებული უნდა იყოს თავისუფლებაში არსებული ცხოვრების პირობებთან,¹³⁰ რათა არ მოხდეს მსჯავრდებულის, დიდი ხნით თავისუფლებააღკვეთის გამო, სოციალური გადაგვარება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მსჯავრდებულების რესოციალიზაციასთან მიმართებით მოცულია კონსტიტუციის 39-ე მუხლში (ახალი რედაქციით, მე-4 მუხლის მეორე ნაწილი)¹³¹ და საქართველოს სახელმწიფოს ავალდებულებს ციხის პირობებში უზრუნველყოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია (მით უფრო, გრძელვადიანი სასჯელით თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების). სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს მათი სოციალური ურთიერთობების შენარჩუნებასა და გაღრმავებაზე, რათა მსჯავრდებულებში არ მოხდეს მათი (ციხის დატოვების შემდეგ) რესოციალიზაციისათვის აუცილებელ ინსტიტუტებთან გაუცხოება (ოჯახი, სკოლა, მეგობრები, ნათესავები).

3.2.4. ადამიანის წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დაუშვებლობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“.

წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენებისაგან დაცვა ადამიანის აბსოლუტური უფლებაა.¹³² „წამების ან წამების მუქარის აკრძალვის აბსოლუტური ხასიათი არაორაზროვნად,

¹²⁸ გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfGE) 45, 187 (229).

¹²⁹ ლ. იზორია, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. (მუხლი 39). თბილისი, 2013. გვ. 484.

¹³⁰ K. Drenkhahn, Langstrafenvollzug und Menschenrechte. In: Neue Kriminalpolitik 1/2009. S. 10.

¹³¹ ლ. იზორია, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. (მუხლი 39). თბილისი, 2013. გვ. 483-484.

¹³² თ. ტულუში/გ. ბურჯანაძე/გ. მშვენიერაძე/გ. გოცირიძე/ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი, 2013. გვ. 98.

ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, იმპერატიულად არის განსაზღვრული“.¹³³ კონსტიტუციის მე-9 მუხლის ჩანაწერი პირდაპირ მიუთითებს სასჯელის სამართლიანობასა და ჩადენილ ქმედებასთან შესაბამისობის აუცილებლობაზე.¹³⁴ „დანაშაულის ჩამდენი პირი არ უნდა იქცეს დანაშაულთან ბრძოლის მიშველ ობიექტად“.¹³⁵ სასჯელის აღსრულებას არ შეიძლება მოჰყვეს იმაზე მეტი ტკივილი, რაც თავისუფლების აღკვეთით არის გამოწვეული. მსჯავრდებულის ინდივიდუალური და სოციალური პირობები შენარჩუნებულ უნდა იქნეს ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე.¹³⁶ ამისათვის სახელმწიფო ვალდებულია პენიტენციური დაწესებულებები უზრუნველყოს საარსებო მინიმუმით, რომელიც არ შელახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას.¹³⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, თუ სასჯელი დანაშაულთან მიმართებით არაპროპორციულია და არ აკმაყოფილებს სამართლიანობის მოთხოვნებს, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მოთხოვნებს, აღსრულებამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ტანჯვა, რაც თავისთავად იქნება დამატებითი, გაუმართლებელი დასჯა და შედეგად, ადამიანის ღირსების ხელყოფა.¹³⁸

საინტერესოა, ხომ არ იწვევს არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯა?

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1977 წლის 21 ივნისის #E-45, 187 გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ ადამიანის ღირსების შესაბამისი სასჯელადსრულების წინაპირობები მოიცავს უვადო თავისუფლებააღკვეთილისათვის შანსს, როდისმე გახდეს თავისუფალი. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, დამნაშავეს მკვლელობისათვის მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულის ადვოკატმა საკონსტიტუციო სარჩელით მოითხოვა სასჯელის ამ სახის გაუქმება, რადგან იგი (უვადო თავისუფლების აღკვეთა) არღვევდა ადამიანის ღირსებას, ვინაიდან იგი მთელი სიცოცხლე ციხეში უნდა ყოფილიყო და ვერ შეძლებდა პიროვნულად განვითარებას და როგორც ინდივიდი, სიცოცხლეშივე მკვდარი იქნებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მოუსმინა მრავალ ექსპერტს, რომლებიც იკვლევდნენ იმ მსჯავრდებულების პიროვნულ განვითარებას, რომლებსაც მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღიარა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა

¹³³ მ. ტურავა, წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად... სისხლისსამართლებრივად ნებადართული ღონისძიება? (ეროვნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო. სტატიათა კრებული. თბილისი, 2011. გვ. 198.

¹³⁴ კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, გვ. 88.

¹³⁵ იქვე.

¹³⁶ კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, გვ. 88; იურ. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 16.

¹³⁷ იურ. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 16; წამების პრევენციისთვის იხ.: Jikia, B./ Shalikashvili, M., Georgia. In: Does Torture Prevention Work? Carver, R. / Handley L. (Eds.). Liverpool University Press 2016. p. 395-417.

¹³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბერის გადაწყვეტილება №14/592, საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, ვ. 56.

ადამიანის ღირსების უმძიმეს შელახვას წარმოადგენდა, მაგრამ ამ სასჯელის ზომის არსებობა დასაშვებად მიიჩნია, თუ მსჯავრდებულს ექნება შანსი გარკვეული დროის შემდეგ ისევ გახდეს თავისუფალი და გავიდეს ციხიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეწყალების ინსტიტუტი არ იქნა საკმარისად მიჩნეული. სასამართლომ მოითხოვა კანონმდებლისგან, რომ სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ ყოფილიყო გაწერილი, თუ რამდენი წლის მოხდის შემდეგ ექნებოდა უვადო თავისუფლება ალკვეთილს შესაძლებლობა, დაეტოვებინა ციხე. ასეთ ვადად კანონმდებლის მიერ მოგვიანებით განისაზღვრა 20 წელი.¹³⁹

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი უვადო თავისუფლება-ალკვეთილისათვის სასჯელის გადახედვას არეგულირებს 72-ე პრიმა და 73-ე მუხლებით. ერთ შემთხვევაში, უვადო თავისუფლება-ალკვეთილი პირი შეიძლება გათავისუფლდეს ციხიდან, თუ მან მოიხადა 20 წელი,¹⁴⁰ ხოლო მეორე ნორმის მიხედვით - 15 წელი (უვადო თავისუფლება-ალკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით და შინაპატიმრობით შეცვლა).¹⁴¹

საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე საქმეში (იხ. მე-15 თავი) აქვს ნამსჯელი ციხის პირობებში საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით დაცული უფლების შესახებ. ამ მხრივ ძალიან საინტერესო პრაქტიკა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში განიხილავს

¹³⁹ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლოს 1977 წლის 21 ივნისის #E-45, 187 გადაწყვეტილება, იხ.: ვ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, გვ. 89; იურ. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 16.

¹⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე პრიმა მუხლის მიხედვით, „თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების ალკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების ალკვეთის ოცი წელი და წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების ალკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადით. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს უვადო თავისუფლების ალკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით“.

¹⁴¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების ალკვეთა შეიძლება შეეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების ალკვეთის თხუთმეტი წელი, წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების ალკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულის მიერ ამ სასჯელის მოხდის გაგრძელება. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს უვადო თავისუფლების ალკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით. მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების ალკვეთა შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს არანაკლებ ხუთი და არაუმეტეს ათი წლის ვადით, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით - იმავე ვადით, ამ კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაანგარიშების შესაბამისად“.

ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში წამების ფაქტებს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის შინაარსი შეესაბამება კონსტიტუციის მე-9 მუხლის ნორმას.¹⁴² ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.

1984 წლის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის თანახმად, წამება ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც საშინელი ტკივილი ან ტანჯვა, არ აქვს მნიშვნელობა, ფიზიკური თუ სულიერი, განზრახ მიაღწა პირს იმ მიზნით, რომ მისგან ან მესამე პირისგან მოპოვებულიყო ინფორმაცია ან აღიარება მისი დასჯისათვის იმ ქმედების გამო, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან არსებობს ეჭვი, რომ ჩაიდინა, ან დაამინონ, ან გამოიყენონ იძულება მის ან მესამე პირის მიმართ, ან სხვა რაიმე მიზნით, რომელიც ეფუძნება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას.¹⁴³

წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას შორის უმთავრესი განსხვავება მდგომარეობს მიყენებული ტანჯვის სიმძიმეში. მარტივად რომ ვთქვათ, არაადამიანური მოპყრობა გულისხმობს წამებასთან შედარებით ნაკლები სიძლიერისა და ინტენსივობის არასათანადო მოპყრობას,¹⁴⁴ ხოლო დამამცირებელია ქმედება, რომელიც მსხვერპლში წარმოშობს შიშს, ტკივილსა და დამცირების გრძნობას და აღძრავს მასში დათრგუნვილობის გრძნობას, რამაც შეიძლება დაამციროს იგი, შელახოს მისი ღირსება და გატეხოს ის ფიზიკურად და მორალურად.¹⁴⁵

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო მე-3 მუხლის დარღვევისას მხედველობაში იდებს კონკრეტული საქმის ყველა გარემოებას, „აფასებს განხორციელებული მოპყრობისა თუ სასჯელის სისასტიკეს, ითვალისწინებს მსხვერპლის სქესს, ასაკს, ფიზიკურ თუ სულიერ მდგომარეობას და მოპყრობის განხორციელების შედეგად დამდგარ შედეგებს, აგრეთვე, დაკისრებული სასჯელის პროპორციულობას ჩადენილ დანაშაულთან. რამდენიმე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მოპყრობა, მიუხედავად იმისა, რომ იყო არასასიამოვნო და უხეშიც კი, არ ითვლებოდა არაადამიანურად ან დამამცირებლად. მაგალითად, *Guzzardi vs Italy* საქმეში ბ-ნი გუზარდის მდგომარეობა, რომელიც პატიმრობაში იმყოფებოდა კუნძულზე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე ჩაითვალა არასასიამოვნოდ და მომაბეზრებლადაც კი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, მის მიმართ განხორციელებულმა მოპყრობამ ვერ მიაღწია მე-3 მუხლით დადგენილ მინიმალურ ზღვარს“.¹⁴⁶

¹⁴² მ. ტურავა, წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად... სისხლისსამართლებრივად ნებადართული ღონისძიება? (ევროპული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით). კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, სტატიათა კრებული, თბილისი, 2011, გვ. 198.

¹⁴³ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო 1984 წლის კონვენცია, ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს.

¹⁴⁴ ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004, გვ. 151, 153.

¹⁴⁵ კ. კუბლაშვილი, სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველო კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, თბილისი, 2006, გვ. 202.

¹⁴⁶ ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004, გვ. 145.

სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის წამება ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ყველაზე ხშირად ხორციელდება თავისუფლების აღკვეთის ან წინასწარი დაკავების დაწესებულებებში.¹⁴⁷

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „პიროვნების მუდმივი მოთავსება პირობებში, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს არღვევს, შესაძლებელია არღვევდეს მე-3 მუხლის დებულებებს“.¹⁴⁸

3.2.5. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი მომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლიდან. აღნიშნული მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კანონის წინაშე თანასწორობას ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპად მიიჩნევს, რომლის „მიზანია, არ დაუშვას არსებითად თანასწორობის უთანასწოროდ მოპყრობა ან პირიქით“.¹⁴⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1493 და 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილებაში შემდეგნაირად განმარტა: „მე-14 მუხლის [დღევანდელი რედაქციით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი] არსის გაგებისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე თანასწორობის განსხვავებას გათანაბრებისაგან. ამ პრინციპის ფარგლებში სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისათვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას“. „კანონის წინაშე თანასწორობის უფლებისაგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნა, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით“.

კანონის წინაშე თანასწორობის უფლება მსჯავრდებულებთან მიმართებით შემდეგნაირად უნდა იქნეს განხილული: მსჯავრდებულების სხვა არამსჯავრდებულებთან გათანაბრებას კი არ ითხოვს მოცემული პრინციპი, არამედ მათი ღირსების დაცვას. ამავე დროს, აუცილებელია მსჯავრდებულთა ჯგუფის, როგორც

¹⁴⁷ კ. კუბლაშვილი, სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, თბილისი, 2006, გვ. 203.

¹⁴⁸ ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები – პრევენციული სამართლით დადგენილი უახლესი სტანდარტები, კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2009, გვ. 80.

¹⁴⁹ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება.

„მნიშვნელოვნად თანასწორის“¹⁵⁰ მიმართ ერთნაირი მიდგომებისა და საკანონმდებლო ნორმების გამოყენება. „თანასწორობის პრინციპის დარღვევა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო კანონის ნორმის აღრესატთა ერთ ჯგუფს, აღრესატთა მეორე ჯგუფთან შედარებით, განსხვავებულად მოუპყრობა, იმის მიუხედავად, რომ ჯგუფებს შორის არ არსებობს ისეთი მასშტაბის განსხვავება, რომლითაც შეიძლება გამართლებულ იქნეს უთანასწორო მოპყრობა“.¹⁵¹

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი არ არის ამოწურვადი. ეს მუხლი „იცავს ადამიანებს ნებისმიერი საფუძვლით დისკრიმინაციისაგან“.¹⁵² დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, დისკრიმინაცია შესაძლებელია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამონატყვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნით.

2023 წლის დეკემბრის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული 9 868 პირიდან 821 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო 51 ქვეყნიდან.¹⁵³ სამწუხაროდ, არ ვიცით რელიგიური უმცირესობების რაოდენობა პენიტენციურ დაწესებულებებში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა, სადაც მრავალი რელიგიური კონფესია ცხოვრობს, მსჯავრდებულთა შორის თანასწორი მოპყრობა უნდა იყოს პენიტენციური სისტემის უსაფრთხოებისა და სიმშვიდის აუცილებელი წინაპირობა.¹⁵⁴

საინტერესოა, ხომ არ არის დისკრიმინაციული, საოჯახო ჰაემნის უფლების მინიჭება მხოლოდ ქალი მსჯავრდებულებისთვის (პენიტენციური კოდექსის 121-ე მუხლი)? კანონმდებელი ითვალისწინებს ქალის განსაკუთრებულ მდგომარეობას ოჯახისათვის, ქვეყნის კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით, და ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის რეალობა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში დაახლოებით 300 ქალი იხდის სასჯელს, რაც უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს პენიტენციურ დაწესებულებას, ინფრასტრუქტურისა და რესურსების

¹⁵⁰ კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, გვ. 323.

¹⁵¹ იქვე, გვ. 325.

¹⁵² თ. ტულუში / გ. ბურჯანაძე / გ. მშენიერაძე / გ. გოცირიძე / ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 36.

¹⁵³ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/825/dekemberi> [10.03.2024].

¹⁵⁴ წიგნის ერთ-ერთი თანავტორი 2008-2011 წლებში მუშაობდა სახალხო დამცველის ოფისში. 2009 წელს ერთ-ერთი პენიტენციური დაწესებულების ვიზიტის დროს ის გაესაუბრა სამართლო საკანში მყოფ მსჯავრდებულს. მსჯავრდებულმა მას უამბო ის მიზეზი, რის გამოც ის სამართლო საკანში მოხვდა. მისი მონათხრობით, ის სასჯელს იხდიდა ორადგილიან საკანში ისლამური რელიგიის მიმდევარ არაქართველ მსჯავრდებულთან ერთად. როდესაც მისი თანამესაკნე ლოცულობდა მან სიგარეტის მოწვევა დაიწყო. არაქართველმა მსჯავრდებულმა მას უსაყვედურა ლოცვის დროს სიგარეტის მოწვევის თაობაზე, რის საპასუხოდაც მან არაქართველ მსჯავრდებულს სახეში მუშტი დაარტყა. კონფლიქტი სხვადასხვა რელიგიის და ეროვნების მსჯავრდებულებს შორის ყოველთვის იარსებებს. მნიშვნელოვანია, რომ პენიტენციური დაწესებულების მხრიდან ადგილი ჰქონდეს მსჯავრდებულების თანაბარ მოპყრობას მათი სხვადასხვა ნიშნის მიუხედავად.

გათვალისწინებით, უზრუნველყოს სამსაათიანი საოჯახო პაემანი. გასაგებია, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია რესურსების ნაკლებობაზე მიუთითოს, თუმცა ამ საკითხის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრება და ნორმის ამოღება დააზარალებდა ქალ მსჯავრდებულებს, რაც მძიმე დარტყმა იქნება მათი რესოციალიზაციისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2014 წლის საქმეში *Khamtokhu and Aksenchik v. Russia - 60367/08* იმსჯელა პენიტენციურ დაწესებულებებში გენდერულ როლებზე და აღნიშნა, რომ სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპის გათვალისწინებით, სასჯელადსრულების პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ასაკსა და „ფსიქო-სოციალურ“ მახასიათებლებს. რაც თავისი არსით მოიცავს გენდერულად განპირობებულ მიდგომასაც. აგრეთვე, ევროსასამართლოს მსჯელობისას ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო ტენდენციასზე, ქალებისადმი მეტად ჰუმანურ მიდგომასთან დაკავშირებით და CEDAW (ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი) პრაქტიკაზე, დამატებითი უფლების მინიჭებისას დედებისათვის, რაც დისკრიმინაციულად არ არის მიჩნეული.¹⁵⁵ ამავე გადაწყვეტილებაში, მოსამართლე ტურკოვიჩმა განაცხადა, რომ კრიმინოლოგიური კვლევებისა და სასამართლო პრაქტიკის თანახმად, გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთისას ქალთა ტანჯვის მაჩვენებელი უფრო მაღალია და იკვეთება ცალსახა განსხვავება. კვლევების თანახმად, ქალები ოჯახთან კონტაქტის დაკარგვას, ნდობასა და კონტროლის შექნის უფრო მგრძობიარედ აღიქვამდნენ.

3.2.6. ჰუმანიზმის პრინციპი

„ჰუმანიზმი“ ნიშნავს ადამიანის სიყვარულს, მისი პიროვნებისადმი პატივისცემას, მისივე ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა-გათვალისწინებას,¹⁵⁶ კაცთმოყვარეობას.¹⁵⁷

ჰუმანიზმის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში სასჯელის უმაღლესი ზომის, სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი. 1997 წლის 11 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“. იმ არგუმენტებიდან, რომლებსაც ემყარებოდა საქართველოს პარლამენტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ კანონის მიღებისას, ორი გამომდინარეობდა ჰუმანიზმის პრინციპიდან: „არ შეიძლება სახელმწიფო იყოს ჰუმანური, თუ იგი იყენებს სიკვდილით დასჯას და სიცოცხლეს არ აღიარებს, როგორც ხელშეუვალ ღირებულებას; სიკვდილით დასჯა არის არაქრისტიანული, ჰუმანიზმისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სასჯელი“.¹⁵⁸ საქართველოს სასჯელადსრულებით სისტემაში განთავსებული უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები მიეკუთვნებიან იმ მსჯავრდებულთა კატეგორიას, რომელთაც სასამართლოს მიერ 2000 წლიდან მიესაჯათ უვადო თავისუფლების აღკვეთა.

¹⁵⁵ *Khamtokhu and Aksenchik v. Russia - 60367/08*, პარ. 45.

¹⁵⁶ გ. ნაჭყებია /ი. დვალაძე (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სახელმძღვანელო, თბილისი, 2007, გვ 33.

¹⁵⁷ არნ. ჩიქობავა (მთ. რედ.), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986, გვ. 591.

¹⁵⁸ ჯ. ხეცურიანი, ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2011, გვ. 126.

იმის მიუხედავად, რომ ადამიანმა დანაშაული ჩაიდინა, სახელმწიფო მას უნდა მოჰპყროს ჰუმანურად, ანუ კაცთმოყვარედ, ადამიანურად. ჰუმანიზმის პრინციპის ხელყოფის ყველაზე მძიმე გამოვლინებად სასჯელადსრულებით სფეროში შეიძლება პატიმრის მიმართ წამება, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა ჩაითვალოს.¹⁵⁹ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებამეზღულ პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის თანდაყოლილ პიროვნულ ღირსებას.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) მიუთითებს, რომ უნდა შეირჩეს კეთილსინდისიერი, ჰუმანური, კომპეტენტური და დადებითი თვისებების მქონე პერსონალი (წესი 74). პენიტენციური დაწესებულების ჰუმანიზაცია არ გულისხმობს „ციხის სასტუმროდ გადაქცევას“, არამედ მისი მიზანია ისეთი პროგრამების შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს მსჯავრდებულის ემოციურ და ეკონომიკურ დახმარებას გრძელვადიანად.¹⁶⁰

სასჯელადსრულების სისტემის ჰუმანიზაციის თემა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ აღიარებული და დაცული იყოს პატიმრების უფლებები, უპირველეს ყოვლისა: წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა, ასევე ჰუმანური/ადამიანური საცხოვრებელი პირობების შექმნა და პატიმარი არ გახდეს სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურების სამართალწარმოებისა და საქმიანობის ობიექტი.¹⁶¹ შესაბამისად, ეს საკითხი უკავშირდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ადამიანის უფლებების დაცვას და ციხის პერსონალის მხრიდან ჰუმანურ/ადამიანურ მოპყრობას.

3.2.7. სასჯელის (მოხდის) ინდივიდუალიზაციის პრინციპი

სასჯელის ინდივიდუალიზაცია არის სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლის არსიც სასჯელის მიზნებიდან გამომდინარეობს¹⁶² და გულისხმობს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა იყოს ინდივიდუალური და ადამიანმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ქმედებისათვის.¹⁶³

უფრო კონკრეტულად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს სასჯელის შეფარდების დროს სასამართლოს მიერ ყველა იმ გარემოების გათვალისწინებას, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევას და დანაშაულის ჩამდენ პირს ახასიათებს, იქნება ეს დანაშაულის ჩადენისას გამოვლენილი მართლსაწინააღ-

¹⁵⁹ შეად. გ. ნაჭყებია / ი. დვალიძე (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სახელმძღვანელო, თბილისი, 2007, გვ. 37.

¹⁶⁰ Dünkel, F., Konzepte der „Humanisierung des Strafvollzugs“ in den Bundesländern – Ergebnisse einer Umfrage. In: Frieder Dünkel, Kirstin Drenkhahn, Christine Morgenstern (Hrsg.) Humanisierung des Strafvollzugs – Konzepte und Praxismodelle. Mönchengladbach, 2008. S. 9.

¹⁶¹ Morgenstern, Ch., Internationale Instrumente und Entwicklungen zur Humanisierung im Strafvollzug. In: Frieder Dünkel, Kirstin Drenkhahn, Christine Morgenstern (Hrsg.) Humanisierung des Strafvollzugs – Konzepte und Praxismodelle. Mönchengladbach 2008. S. 135.

¹⁶² გ. ნაჭყებია / ი. დვალიძე (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სახელმძღვანელო, თბილისი, 2007, გვ. 31.

¹⁶³ მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, გვ. 619.

მდეგო ნება, შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებები და ა. შ.¹⁶⁴ „სასჯელის ინდივიდუალიზაცია გამსჭვალულია პედაგოგიური სულისკვეთებით. როგორც აღზრდის პრობლემა სწორად ვერ გადაწყდება პედაგოგიური შაბლონით, აღსაზრდელთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, ისე პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი პრაქტიკულად ვერ განხორციელდება ბრალეულთა პიროვნული თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. მითუმეტეს, რომ სასჯელის მიზანი არის არამარტო სამართლიანობის აღდგენა, არამედ მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენაც, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ – პოზიტიური პასუხისმგებლობის აღზრდაც. დანაშაულის ჩამდენი პირის პიროვნულობა მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე არ დაიყვანება. ამიტომ სასამართლო ვალდებულია ღრმად შეისწავლოს ბრალდებული პიროვნება, მისი წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები..., მისი მისწრაფება აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს“.¹⁶⁵ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება სასჯელის აღსრულების პროცესში გაგებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად:

- რესოციალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა მსჯავრდებულების განაწილება ინდივიდუალიზაციის პრინციპით, რაც გულისხმობს ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებას;¹⁶⁶
- სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიერ ციხის ნორმების ან კანონის დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური სახდელის ან დისციპლინური პატიმრობის გამოყენება მოხდეს ინდივიდუალურად და გათვალისწინებულ იქნეს მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები;
- სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი შეიძლება ასევე გულისხმობდეს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ მიდგომას, ანუ სასჯელის მოხდის პერიოდში გათვალისწინებულ იქნეს მსჯავრდებულის ყველა ის თვისება და არსებული გარემოება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის თანდართული წესის (შემთხვევის მართვის წესი)“ შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის #502 ბრძანების თანახმად, **ინდივიდუალური გეგმა** არის დროის განსაზღვრულ მონაკვეთში გაწერილ მომსახურებათა ერთობლიობა, რომელიც კრიმინოგენური ფაქტორების გათვალისწინებით, მიმართულია დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის შემცირებისკენ. ინდივიდუალური გეგმა მსჯავრდებულების შემთხვევაში გულისხმობს „სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას“, ხოლო ყოფილი პატიმრების შემთხვევაში – „ინდივიდუალური მომსახურების გეგმას“.

პენიტენციური კოდექსის მიზანი, მათ შორის, არის ახალი დანაშაულის ჩადენის

¹⁶⁴ გ. ნაჭყებია / ი. დვალიძე (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სახელმძღვანელო, თბილისი, 2007, გვ. 30.

¹⁶⁵ იქვე.

¹⁶⁶ Laubenthal, K., Strafvollzug. 6. neu bearbeitete Auflage. Würzburg, 2011. S. 174.

თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. აღნიშნულის მიღწევა კი შეუძლებელია სასჯელის ინდივიდუალურად მისჯის და ინდივიდუალურად აღსრულების პრინციპის დაცვის გარეშე. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს პენიტენციური დაწესებულების „ამოცანა“ და „მიზანი“. საზოგადოების დაცვის ამოცანა ხორციელდება ციხეში იზოლაციით, ანუ მოძალადის დროებითი „გარიცხვით“ საზოგადოებიდან, უკიდურეს შემთხვევაში, უვადო თავისუფლების აღკვეთით და გარანტიით, რომ დამნაშავე რჩება დაწესებულებაში, იცავს დისციპლინას და პატივს სცემს კანონს. ევროპული სასჯელაღსრულების პრინციპები ამას ძალიან ნათლად გამოხატავს. პატიმრობა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთად უნდა გავიგოთ და სასჯელაღსრულების სისტემამ არ უნდა გააძლიეროს ეს შეზღუდვა. მიზანი არის საზოგადოებაში რეინტეგრაცია (წყარო: 2006 წლის ევროპის საბჭოს რეკომენდაციები, წესი 102.1., 102.2.).¹⁶⁷ ე. ი. პენიტენციური დაწესებულების „ამოცანა“ არის მსჯავრდებულისაგან საზოგადოების დაცვა, ხოლო „მიზანი“ მსჯავრდებულის საზოგადოებაში ინტეგრაცია.

3.2.8. სამართლის ეკონომიკური ანალიზი

„სასჯელის გამოყენება სახელმწიფოს ძვირი უჯდება“.¹⁶⁸ პროფესორ ოთარ გამყრელიძის მოსაზრება სასჯელის გამოყენების ეკონომიკურობის შესახებ დიდი ხანია შესწავლის საგანია დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისათვის.

„სამართლის ეკონომიკურ ანალიზს აინტერესებს იურიდიული სანქციების აღსრულებისთვის გაწეული ხარჯები“.¹⁶⁹

ბუნებრივი და სახელმწიფოებრივი რესურსების სწორად და გააზრებულად გამოყენება არის ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობა. რესურსების რაციონალურად განაწილება ასევე მნიშვნელოვანია სასჯელის გამოყენებისა და აღსრულების კონტექსტში.¹⁷⁰

სამართლის ნორმის ეკონომიკური ანალიზით მიღებული დასკვნა უნდა შეესაბამებოდეს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, კერძოდ, სოციალურ სამართლიანობას,¹⁷¹ ანუ სახელმწიფო რესურსების მიზნობრივად და სამართლიანად გადანაწილებას. „[სოციალური] სამართლიანობა მოითხოვს, რომ კანონმა დაიცვას საზოგადოების სუსტი და ნაკლებად უზრუნველყოფილი წევრები“.¹⁷²

სამართლის ეკონომიკური ანალიზი ძალზე მნიშვნელოვანია კრიმინალური პოლიტიკის ეკონომიკურად წარმართვისათვის. სასჯელის აღსრულებისთვის ეკონომიკური ანალიზის დროს ერთმანეთს უნდა შევადაროთ თავისუფლების აღკვეთისათვის და მისი ალტერნატიული სასჯელის გამოყენებისათვის დახარჯული

¹⁶⁷ Grzywa-Holten, J., Strafvollzug in Polen – Historische, rechtliche, rechtstatsächliche, menschenrechtliche und international vergleichende Aspekte. Mönchengladbach, 2015. S. 151.

¹⁶⁸ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2013, გვ. 111.

¹⁶⁹ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 111.

¹⁷⁰ მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე მეცხეუბლი და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017, გვ. 207.

¹⁷¹ ბ. ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2012, გვ. 113.

¹⁷² გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 112.

ეკონომიკური სახსრები. თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არ შეიძლება სახელმწიფოს იმაზე მეტი თანხა უჯდებოდეს, ვიდრე ალტერნატიული სასჯელის გამოყენება, მით უფრო, რომ მსჯავრდებულის რესოციალიზაციის თვალსაზრისით, თავისუფლების აღკვეთის შემდეგ უფრო მეტია ალბათობა, რომ დამნაშავემ დანაშაული კვლავ ჩაიდინოს.¹⁷³

სახელმწიფომ უნდა გააანალიზოს, თუ რომელი სახის სასჯელის გამოყენება არის მისთვის ეკონომიკურად მომგებიანი და სასჯელის მიზნების მისაღწევად (მსჯავრდებულის რესოციალიზაცია) უფრო მისაღები.

ციხეში მსჯავრდებულთა რაოდენობის წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელია სწორი კრიმინალური პოლიტიკის განხორციელებით. სახელმწიფოს კრიმინალური პოლიტიკა და სასჯელის გამოყენება უნდა ემყარებოდეს გაწეული ხარჯისა და მიღებული სარგებლის შედარებას (Kosten-Nutzen Überlegungen).¹⁷⁴

ევროსაბჭოს 1999 წლის რეკომენდაციით (Recommendation R (99) 22), სასურველია გრძელვადიანი სასჯელების შემცირება და მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის სარეაბილიტაციო ღონისძიებებით (პროგრამებით) ჩანაცვლება.¹⁷⁵

თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, მათ შორის, ქვეყნის ეკონომიკური და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის თვალსაზრისით, უნდა იქნეს გაანალიზებული. ერთი პატიმრის შენახვა პენიტენციურ დაწესებულებაში სახელმწიფოს დღეში დაახლოებით 40 ლარი (12.60 ევრო) უჯდება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებში განთავსებული იყო 9 868 პირი, რომელთაგან 3823 (30%) პირი სასჯელს იხდიდა ეკონომიკური დანაშაულისათვის.¹⁷⁶ უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, მსჯავრდებულთა 80-85% დანაშაულის ჩადენის დროს არის უმუშევარი. ამ უმუშევარ „მსჯავრდებულებს შესაძლებელია დანაშაული საერთოდ არც კი ჩადინათ, თუ მათ სახელმწიფო დღეში პენიტენციურ დაწესებულებაში შენახვის თანხის თუნდაც ნახევარს [20 ლარს] მისცემდა უმუშევრობის შემწეობის სახით“.¹⁷⁷

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი მსჯავრდებულის შენახვა სახელმწიფოს/ციხეს ყოველწლიურად 20 000 დოლარი უჯდება, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთმა მსჯავრდებულმა 430,000 დოლარის ზიანი შეუძლია მიაყენოს საზოგადოებას, როდესაც ის კრიმინალურ ქმედებებს სჩადის.¹⁷⁸ აშშ-ს 1.8 მილიონი მსჯავრდებული ჰყავს. „აშშ-ში 100 ათასზე მეტი ადამიანი, ვინც დაახლოებით 3 400 ადგილობრივ ციხეში მუშაობს. [ყოველ წელს] ციხის „ინდუსტრიაზე“ დაახლოებით 65 მილიარდზე მეტი დოლარი იხარჯება. ადგილობრივი ციხის ბაზარი

¹⁷³ მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017, გვ. 208-209; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2013 წელი, გვ. 111.

¹⁷⁴ F. Dünkel/B. Geng, Fakten zur *Überbelegung* im Strafvollzug und Wege zur Reduzierung von Gefangenenraten. In: Neue Kriminalpolitik 3/2004. S. 149.

¹⁷⁵ იქვე.

¹⁷⁶ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/825/dekemberi> [10.03.2024].

¹⁷⁷ მ. შალიკაშვილი, სასჯელის და სისხლის სამართლის პოლიტიკა, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი – www.dgstz.de, 2/2022, გვ. 58.

¹⁷⁸ ნ. კრისტი, დანაშაულის კონტროლი როგორც ინდუსტრია, გულაგების მიმართ დასავლური მიდგომა, თბილისი, 2019, გვ. 136.

ძალზე მომგებიანია. ციხეები დიდი ბიზნესია“.¹⁷⁹

გერმანიას ერთი მსჯავრდებულის შენახვა 109 ევრო უჯდება,¹⁸⁰ ხოლო 2023 წლის ბოლოს 44 ათასი პატიმარი ჰყავდა.¹⁸¹ 2015 წელს ევროპის 42 ქვეყანაში ერთი მსჯავრდებულის შენახვა ერთ დღეში საშუალოდ ჯდება 51 ევრო, ხოლო მთლიანობაში - 18,8 მილიარდი ევრო, მათგან გერმანია სარჩავდა 3 მილიარდს, იტალია - 2,8 მილიარდს, დიდი ბრიტანეთი - 2,7 მილიარდს, საფრანგეთი - 2,6 მილიარდს და ესპანეთი - 1,5 მილიარდს.¹⁸²

100 000 მოსახლეზე მსჯავრდებულთა რაოდენობა 2022 წლის იანვარში ასე გამოიყურება: საქართველო - 236 მსჯავრდებული, სომხეთი - 71, აზერბაიჯანი - 216, ბულგარეთი - 93, დანია - 70, ფინეთი 50, საფრანგეთი - 106, გერმანია - 67, იტალია - 90, მოლდოვა - 190, ლიეტუვა - 191, პოლონეთი - 190;¹⁸³ 2023 წლის ბოლოს - აშშ-ში - 531, რუსეთში - 433, თურქეთში - 392, ბელარუსში - 345 მსჯავრდებული.¹⁸⁴

ზემოაღნიშნულიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოში 100 000 მოსახლეზე საკმაოდ ბევრი მსჯავრდებულია, თუ ამ რიცხვს შევადარებთ ევროპის სხვა ქვეყნებს. სასურველია, სახელმწიფოში სისხლისსამართლებრივი და პენიტენციური პოლიტიკა ისე განხორციელდეს, რომ შემცირდეს მსჯავრდებულთა რაოდენობა, რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს, რომ ერთ მსჯავრდებულზე უფრო მეტი თანხა გამოყოს, რომელიც პატიმართა რესოციალიზაციის პროგრამების დაფინანსებას მოხმარდება.

3.3. სპეციალური პენიტენციური სამსახურის პერსონალის საკანონმდებლო რეგულირება

პენიტენციური კოდექსის მე-11-31-ე მუხლები არეგულირებენ პენიტენციური სამსახურის თანამშრომლის სამსახურში მიღებას, მიღების წინაპირობებს, უფლება-მოვლილებებს, სოციალურ დაცულობას და სხვა.

3.3.1. პენიტენციურ სამსახურში მიღება

პენიტენციური კოდექსის მე-11 მუხლი ერთმანეთისგან ასხვავებს პენიტენციურ სამსახურში მომუშავე პირს, რომელსაც ჰქვია - მოხელე და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, რომელსაც ჰქვია - მოსამსახურე. ამავე მუხლის თანახმად, პირი სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში მიიღება კონკურსით, გარდა პენიტენციური კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს 18 წელს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) იცის საქართველოს სახელმწიფო ენა; ბ) აკმაყოფილებს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს; გ) პიროვნული და საქმიანი თვისებებით, განათლებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით.

¹⁷⁹ იქვე, გვ. 159.

¹⁸⁰ www.justiz.nrw.de/Gerichte_Behoerden/zahlen_fakten/statistiken/justizvollzug/kosten.pdf [03.04.2024].

¹⁸¹ <https://de.statista.com> [03.04.2024].

¹⁸² <https://de.euronews.com/2018/03/21/welches-land-hat-die-meisten-haftlinge-in-europa-> [03.04.2024].

¹⁸³ https://wp.unil.ch/space/files/2024/01/240111_SPACE-I_2022_FinalReport.pdf [03.04.2024].

¹⁸⁴ <https://de.statista.com/statistik/daten/studie/3213/umfrage/laender-mit-den-meisten-gefangenen-pronull000-einwohner-im-jahr-2007/> [03.04.2024].

მარეობით შეუძლია მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება; დ) შესაბამისი ფიზიკური მომზადებით შეუძლია მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება (ეს მოთხოვნა ვრცელდება მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამსახურის დანაყოფის მოსამსახურეებზე).

პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობა ხშირად იწვევს ემოციურ და ფიზიკურ გადაღლილობას. ამ სამუშაოს კიდევ ერთი სტრესული ასპექტია დაბალი რეპუტაცია საზოგადოებაში, რომელიც ხშირად დამახინჯებულ წარმოდგენებზეა დაფუძნებული და რომელშიც მედია განსაკუთრებულ როლს ასრულებს.¹⁸⁵ სასურველია, პენიტენციური საქმიანობის თაობაზე საზოგადოების უფრო მეტი ინფორმირებულობა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა, მოტივირებული კადრების მოზიდვას. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპის ციხის წესების შესახებ 90.1. წესის თანახმად, ციხის სისტემის ხელმძღვანელობამ მუდმივად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას ციხის სისტემის მიზნებისა და იმ სამუშაოს შესახებ, რომელსაც ციხის თანამშრომლები ასრულებენ. აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ ამაღლდეს საზოგადოებრივი ცნობიერება ციხის სისტემასთან მიმართებით და მის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის შერჩევა უმნიშვნელოვანესი პროცესია, ვინაიდან მოსამსახურე არის პენიტენციური დაწესებულების სტაბილურობის გარანტი. მოსამსახურემ ხელი უნდა შეუწყოს მსჯავრდებულის მიერ მშვიდ გარემოში სასჯელის მოხდას.¹⁸⁶ ამისთვის აუცილებელია მოსამსახურეებს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეთ ელექტრონული საშუალებებით პენიტენციური დაწესებულების სამართავად (ვიდეომეთავალყურეობა).

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით მიიღება პირი, რომელსაც პიროვნული და საქმიანი თვისებებით, განათლებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით ან/და შესაბამისი ფიზიკური მომზადებით შეუძლია შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე ვრცელდება ამ კოდექსის მე-13 მუხლის, მე-18 მუხლის, მე-19 მუხლის (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტისა), მე-20 მუხლის (გარდა იმავე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა), 21-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 22-ე–25-ე მუხლების, 27-ე მუხლის (გარდა იმავე მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებისა და მე-5 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა) და 29-ე მუხლის მოქმედება. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის უფლებები, ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით (პენიტენციური კოდექსის მე-11 მუხლის 6, 8, 9 პუნქტი).

პენიტენციურ სამსახურში პირს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისას არ მოეთხოვება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოხელის სერტიფიკატი, თუმცა მოსამსახურე გამოსაცდელი ვადის განმავლობაში სამინისტროს მმართვე-

¹⁸⁵ Grzywa-Holten, J., *Strafvollzug in Polen – Historische, rechtliche, rechtstatsächliche, menschenrechtliche und international vergleichende Aspekte*. Mönchengladbach, 2015. S. 352.

¹⁸⁶ Debus, E. K., *Konzeptionen ausgewählter deutscher Bundesländer zum Umgang mit besonders sicherungsbedürftigen Gefangenen*. Mönchengladbach, 2020. S. 59.

ლობის სფეროში მოქმედ სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გადის მომზადების შესაბამის სპეციალურ სასწავლო კურსს (შემდგომ – სასწავლო კურსი), თუ მინისტრის ბრძანებით მას განსაზღვრული აქვს შესაბამისი ვალდებულება. ამ პერიოდში მოსამსახურე სამსახურებრივ საქმიანობას ახორციელებს სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის ზედამხედველობით. სასწავლო კურსი, სხვა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სწავლებას. სასწავლო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში მოსამსახურეს ეძლევა შესაბამისი დონის პენიტენციური სისტემის მოსამსახურის სერტიფიკატი (პენიტენციური კოდექსის მე-12 მუხლი). ამავე მუხლის თანახმად, პირი შეიძლება სამსახურში უკონკურსოდ დაინიშნოს.

სამსახურის გასაკვლელად დადგენილია შემდეგი ასაკობრივი შეზღუდვა: ა) უმცროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურისა და საშუალო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურისთვის – 60 წელი; ბ) უფროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურისთვის – 65 წელი.

პენიტენციური კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის, ხანგრძლივი ან/და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, განსაკუთრებული სირთულის მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის ან/და განსაკუთრებული დამსახურებისთვის მოსამსახურის მიმართ გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) სამინისტროს/სამსახურის სიგელით დაჯილდოება; ე) სამკერდე ნიშნით დაჯილდოება; ვ) სამინისტროს/სამსახურის მედალიონით დაჯილდოება; ზ) სამინისტროს/სამსახურის მედლით დაჯილდოება; თ) მორიგი სახელმწიფო სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება; ი) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა; კ) სამოქალაქო ან სამსახურებრივ-სამტატო იარაღით დაჯილდოება. შესაძლებელია მოსამსახურის მიმართ წახალისების რამდენიმე ფორმის ერთდროულად გამოყენება.

პენიტენციური კოდექსის 22-ე მუხლით მოსამსახურისთვის დადგენილია არაუმეტეს 48-საათიანი სამუშაო კვირა და არანორმირებული სამუშაო დღე; მოსამსახურისთვის (გარდა ცვლაში მომუშავე მოსამსახურისა) დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობა ნებაყოფლობითია. ამ შემთხვევაში მას ანაზღაურება ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ცვლაში მომუშავე მოსამსახურის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს, გარდა პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა. ცვლაში მომუშავე მოსამსახურეებისთვის დგინდება თანაბარი ხანგრძლივობის ცვლები; მოსამსახურეები, მინისტრის ბრძანებით, შეიძლება განსაკუთრებულ რეჟიმზე იქნენ გადაყვანილი.

ვინაიდან პენიტენციური დაწესებულების პერსონალს აქვს არანორმირებული სამუშაო დღე, აუცილებელია მათ ჰქონდეთ ისეთი პირადი სივრცე, სადაც შეძლებენ როგორც ფიზიკურად, ასევე ემოციურად დასვენებას. ემოციური მხარდაჭერის ერთ-ერთი საშუალებაა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლისთვის დაწესებულებაში პატარა პირადი სივრცის არსებობა, სადაც ის, დროის თუნდაც მოკლე მონაკვეთით, სხვა პერსონალისაგან განმარტობასა და დასვენებას შეძლებს.

პენიტენციური კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პენიტენციურ სამსახურში არ მიიღება:

ა) ნასამართლევი პირი, აგრეთვე პირი, რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის ფაქტს, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა; ბ) პირი, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი ღვეზა მიმდინარეობს; გ) პირი, რომელიც სასამართლომ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; დ) პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება; ე) პირი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებს; ვ) პირი, რომელიც შესაბამისი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს, გერს ან მეუღლის მშობელს, დას, ძმას; ზ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, გარდა კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისისა; თ) პირი, რომელმაც სპეციალური შემოწმების გავლის შედეგად უარყოფითი შეფასება მიიღო.

ზემოაღნიშნული ჩამონათვალი რამდენიმე საკითხს შეიცავს, რომელიც შეიძლება პრობლემური გახდეს კონკურსანტისთვის. პირველი არის ტერმინი - „ნასამართლევი პირი“. თუ ამ ტერმინს ფართო გაგებით გამოვიყენებთ, მაშინ ყველა პირი, ვის მიმართაც ოდესმე გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, ითვლება ნასამართლევად. ასეთ შემთხვევაში შემცირდება პენიტენციურ სამსახურში მუშაობის მსურველ პირთა რაოდენობა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2006 წლიდან დღემდე დაახლოებით ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი შეიძლება ნასამართლევად იქნეს მიჩნეული, თუ ამ ცნებას ფართო გაგებით განვიხილავთ. ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალური პოლიტიკის ფარგლებში ნასამართლევი პირთა რაოდენობა არაოფიციალური მონაცემებით 300 000 ადამიანს აჭარბებდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნასამართლევი პირებს შორის შესაძლებელია ბევრი იყოს ისეთი ადამიანი, ვისაც სასჯელი არ მოუხდია პენიტენციურ დაწესებულებაში, იყოს პრობაციონერი და პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობის სურვილი ჰქონდეს. შესაბამისად, თუ ტერმინ „ნასამართლევი პირი“ ფართო გაგებით გამოვიყენებთ, მნიშვნელოვნად შევზღუდავთ იმ პირთა წრეს, რომელთაც პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობის შესაძლებლობა მიეცემა.¹⁸⁷

¹⁸⁷ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, პირი მოხელედ არ მიიღება, თუ მას ჩადენილი აქვს განზრახი დანაშაული. ამავე კანონის მე-3 მუხლის ე) პუნქტის თანახმად, პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე (შემდგომ – მოხელე) – პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის სამტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას და, რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი

ტერმინი „ნასამართლევ პირი“ გაგებულ უნდა იქნეს ვიწრო მნიშვნელობით სსკ 79-ე მუხლის ფარგლებში. შესაბამისად, თუ ნასამართლობა გაქარწყლება ამ მუხლით დადგენილი პირობებით, პირს უნდა მიეცეს პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურის კონკურსში მონაწილეობის უფლება: ა) პირობით მსჯავრდებულს – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ; ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულს – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ; გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ. შესაძლებელია ეს არ შეეხოს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევ პირებს. მსჯავრდებულთა ზემოაღნიშნულ კატეგორიაში შეიძლება არ ხვდებოდნენ ისეთი პირები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიან პენიტენციური დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ასეთი პირი არ უნდა იყოს კრიმინალური სუბკულტურის ან მენტალობის მატარებელი. გარდა ამისა, ასეთი პირები, კანონის თანახმად, გადაიან შესაბამის მომზადებას და თავდაპირველად მუშაობენ ზედამხედველობის ქვეშ, რაც შესაძლებელს ხდის უკეთესად შეფასდნენ ისინი (პენიტენციური კოდექსის მე-12 მუხლის მეორე პუნქტი). გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტი, რომ ასეთი პირის „სპეციალური შემოწმება“ მაინც ხდება. საინტერესოა ასევე „სპეციალური შემოწმების გავლის“ საკითხი. როგორც პენიტენციური კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი ადგენს, პირი, რომელმაც სპეციალური შემოწმების გავლის შედეგად უარყოფითი შეფასება მიიღო, ვერ დაიწყებს მოსამსახურედ მუშაობას. პენიტენციური კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, სპეციალური შემოწმება არის საქართველოს კანონმდებლობით დასაშვები ღონისძიებების ერთობლიობა, რომლის მიზანია კანდიდატის ამ კოდექსის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პიროვნული და საქმიანი თვისებების მის მიერ შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის დადგენა. ამ კოდექსის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პიროვნების შემოწმება ხდება შემდეგი ასპექტებით: პიროვნული და საქმიანი თვისებები, განათლება და ჯანმრთელობის მდგომარეობა. „სპეციალური შემოწმება“ მნიშვნელოვანი საკითხია პირის სამსახურში მიღების დროს. შესაბამისად, კარგი იქნება, თუ „სპეციალური შემოწმების“ განმარტება უფრო მკაფიო და განჭვრეტადი გახდება.

პენიტენციურ სამსახურში საქმიანობის დაწყების ზემოაღნიშნულმა შეზღუდვებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პატიმრებისა და პერსონალის თანაფარდობაზე, რაც პრობლემური შეიძლება გახდეს როგორც პერსონალის „სამსახურებრივი გადაწვის“ თვალსაზრისით, ასევე მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის კუთხით. არასაკმარისი პერსონალის პირობებში შეიძლება შეიზღუდოს პატიმართა უფლებები, მაგ., გასეირნების უფლება - ერთი საათის ნაცვლად, დაეთმოს 30 წუთი.

საქართველოს სახალხო დამცველი 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში არ ასახელებს სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა კონკრეტულ რაოდენობას, თუმცა „საქართველოს იუსტიციის მინისტრს მიმართავს რეკომენდაციით, შეიმუშაოს პენიტენციურ დაწესებულებებში გადატვირთულობის პრობლემის დაძლე-

დაცვის გარანტიებს.

ვის გეგმა და გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ ერთი თანამშრომელი. სახალხო დამცველის ეს რეკომენდაცია ეფუძნება ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის თანაფარდობას, რომელიც 2.9-დან 12.9 თანამშრომლამდე მერყეობს ერთ პატიმარზე“.¹⁸⁸

გადატვირთულ დაწესებულებებში შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი პრობლემები: განმარტობის შესაძლებლობის მუდმივი არარსებობა (მათ შორის, ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროსაც კი); საკანს გარეთ ღონისძიებათა/აქტივობათა სიმცირე, რაც განპირობებულია პერსონალის უკმარისობითა და გადატვირთული ინფრასტრუქტურით; ჯანდაცვის სერვისების გადატვირთულობა; მზარდი დაძაბულობა პატიმართა შორის, ასევე პატიმრებსა და პერსონალს შორის ძალადობის განშირება.¹⁸⁹

3.3.2. მოსამსახურის უფლება-მოვალეობები და დისციპლინური პასუხისმგებლობა

პენიტენციური კოდექსის 21-ე მუხლი განსაზღვრავს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის უფლებებს, ვალდებულებებსა და აკრძალვებს.

- მოსამსახურეს უფლება აქვს: ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად; ბ) დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია სამსახურებრივი/თანამდებობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად; გ) უზრუნველყოფილი იყოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებებითა და პირობებით; დ) უშუალო ხელმძღვანელს წარუდგინოს წინადადებები თავისი სამსახურებრივი საქმიანობის სრულყოფის შესახებ და მიიღოს მუშაობისთვის აუცილებელი კონსულტაციები; ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად; ვ) განახორციელოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობითა და თანამდებობრივი ინსტრუქციით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.
- მოსამსახურე ვალდებულია: ა) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიცვას ბრალდებულის/მსჯავრდებულის და სხვა პირის უფლებები და კანონიერი ინტერესები; ბ) პირნათლად შეასრულოს მისთვის თანამდებობრივი ინსტრუქციით დაკისრებული მოვალეობები; გ) დაიცვას მოსამსახურეთა ეთიკის ნორმები; დ) სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;

¹⁸⁸ სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში 2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ. 67.

¹⁸⁹ ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, თბილისი, 2015, გვ. 175.

ე) შეასრულოს ხელმძღვანელის კანონიერი ბრძანება, განკარგულება და მითითება; ვ) დაიცვას შინაგანაწესის მოთხოვნები; ზ) გაუფრთხილდეს სახელმწიფო საკუთრებას, დაიცვას შესაბამისი მატერიალური ფასეულობები; თ) სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, აგრეთვე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოებები, სხვა პირის პერსონალური მონაცემები და სხვა ინფორმაცია (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ი) რესურსების ეკონომიურად გამოყენებით (ხარჯვით) ეფექტიანად და სწორად წარმართოს სამსახურში ორგანიზაციული პროცესი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი, ბოროტად არ გამოიყენოს და არ გაფლანგოს სამსახურებრივი სახსრები; კ) სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას იყოს მიუკერძოებელი და იხელმძღვანელოს მხოლოდ საჯარო ინტერესით; ლ) დაიცვას შრომის დისციპლინა, რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო, არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც შეაფერხებს სამსახურის მუშაობას და შელახავს მის ავტორიტეტს; მ) გაუფრთხილდეს სამსახურებრივ მოწმობასა და სამსახურებრივ-სამშტატო იარაღს, გამოიყენოს ისინი კეთილსინდისიერად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის და არა რაიმე უპირატესობის მოსაპოვებლად; სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ან/და სამსახურებრივი მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სამსახურის შიდა კონტროლის განმხორციელებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფს, საიარაღო სამსახურსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოს. სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ან/და სამსახურებრივი მოწმობის დაკარგვა შეიძლება გახდეს მოსამსახურისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი; ნ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და თანამდებობრივი ინსტრუქციით დაკისრებული სხვა მოვალეობები.

- მოსამსახურეს ეკრძალება: ა) სამსახურში ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნა; ბ) აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობებში) მონაწილეობა; გ) სამსახურებრივი ავტომანქანის ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვა. ეს ქმედება ჩაითვლება ამ კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომად; დ) პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ან წინასწარი შეცნობით ამ კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირთან/პირებთან ისეთი ურთიერთობის დამყარება (გარიგების დადება და სხვა), რომელიც არ მიეკუთვნება მის სამსახურებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის ისეთი საგნის ან/და ნივთიერების გადაცემა, ან შესანახად ან სხვა მიზნით მისგან ისეთი საგნის ან/და ნივთიერების მიღება, რომელიც

არ უკავშირდება მის სამსახურებრივ საქმიანობას.

მოსამსახურეს ასევე ეკრძალება პოლიტიკური პარტიის წევრობა და პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა. სამსახურში მიღებულ პირს უწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა.

სამწუხაროდ, მოსამსახურის ვალდებულებების ჩამონათვალში გვხვდება მხოლოდ ერთი პუნქტი რომელიც პირდაპირ მსჯავრდებულს ან ბრალდებულს ეხება (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიცვას ბრალდებულის/მსჯავრდებულისა და სხვა პირის უფლებები და კანონიერი ინტერესები). სასურველი იქნება, პენიტენციურ კოდექსში პირდაპირ გაიწეროს ისეთი ტიპის მოსამსახურის ვალდებულებები, რომელიც მოსამსახურის მხრიდან ბრალდებულის/მსჯავრდებულის ზრუნვაზე იქნება ორიენტირებული.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)5 წევრი ქვეყნებისადმი ციხის თანამშრომლების ეთიკის ევროპული კოდექსის შესახებ ციხის პერსონალის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად სწორედ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოვლასა და დახმარებას ითვალისწინებს. მოსამსახურეებისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სოციალურ სამსახურთან, ფსიქოლოგებთან, რელიგიურ წარმომადგენლებთან, პატიმრის ოჯახის წევრებსა და დამოუკიდებელ ჯგუფებთან, რომლებიც მსჯავრდებულის რესოციალიზაციას უზრუნველყოფენ.¹⁹⁰

მნიშვნელოვანია მოსამსახურეების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ბრალდებულების/მსჯავრდებულების ოჯახის წევრ ბავშვებს ჰაემების დროს. გერმანიაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინეს, რომ ჰაემანზე მისული ბავშვების დიდი ნაწილი უარყოფითად რეაგირებს პენიტენციურ დაწესებულებაზე. ამ სტრესისა და უარყოფითი ემოციებისაგან დაცვის ერთ-ერთი საშუალება არის დაწესებულების მოსამსახურეების წინასწარი გადამზადება ისეთი ჰაემებისთვის, რომელშიც მონაწილეობას ბავშვებიც იღებენ.¹⁹¹

სასურველია, ყველა პენიტენციურ დაწესებულებას ჰყავდეს მსჯავრდებულის ოჯახთან საკონტაქტო სპეციალურად გადამზადებული პირები, რომლებიც მუდმივად იკონტაქტებენ მსჯავრდებულის ოჯახის წევრებთან, რაც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის ემოციური მდგომარეობის გამყარებას და მის რესოციალიზაციას და, გარდა ამისა, იზრუნებენ ჰაემანზე მისული ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ამის მაგალითი არის მოწმისა და დაზარალებულის ინსტიტუტი, რომელიც დაზარალებულისა და მოწმის მხარდამჭერია სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას.

პერსონალს, განსაკუთრებით ციხის ზედამხედველებს, უნდა ჰქონდეს კარგი სოციალური და კომუნიკაციის უნარები. ისინი მუდმივად უნდა გადიოდნენ ტრენინგებს ამ მიმართულებით. თანამშრომლების ეს ჯგუფი ყოველდღიურ კონტაქტშია პატიმრებთან და შესაბამისად, ისინი მსჯავრდებულისთვის როგორც მისაბაძი, ასევე,

¹⁹⁰ Thiele, Ch. W., Ehe- und Familienschutz im Strafvollzug. Strafvollzugsrechtliche und –praktische Maßnahmen und Rahmenbedingungen zur Aufrechterhaltung familiärer Beziehungen von Strafgefangenen. Mönchengladbach, 2016. S. 312.

¹⁹¹ იქვე, გვ. 87, 90.

საჭიროების შემთხვევაში, მესაიდუმლე შეიძლება იყოს.¹⁹²

პენიტენციური კოდექსის მე-20 მუხლი ეხება მოსამსახურის დისციპლინურ გადაცდომებსა და დისციპლინურ სახდელებს. ამ მუხლის მიხედვით, არსებობს მსუბუქი ან მძიმე დისციპლინური გადაცდომა. კანონით გათვალისწინებული ყველა დისციპლინური გადაცდომა მსუბუქი ხასიათისაა, ხოლო თუ ისინი მძიმე შედეგს გამოიწვევენ, შეფასდება, როგორც მძიმე ხასიათის გადაცდომა. პენიტენციური კოდექსის მე-20 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომებია: ა) სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება; ბ) სამსახურისთვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა; გ) ქვევის ზოგადი წესების უგულბებლყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია მოსამსახურისა და სამსახურის დისკრედიტაციისკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია ის ჩადენილი თუ მის გარეთ; დ) უშუალო ან ზემდგომი ხელმძღვანელის კანონიერი მითითების ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობა; ე) მოსამსახურეთა ეთიკის ნორმების დარღვევა. დისციპლინური გადაცდომა მძიმეა, თუ: ა) დისციპლინურმა გადაცდომამ გამოიწვია მისი ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას; ბ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად შეილახა სამსახურის რეპუტაცია ან ზიანი მიადგა მოსამსახურეს, მესამე პირს ან საჯარო ინტერესს; გ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად სამსახურს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა; დ) ეს არის დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე მოსამსახურის მიერ ჩადენილი ახალი დისციპლინური გადაცდომა; ე) ეს არის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, თუ აღნიშნული ქმედება არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს შემდეგი დისციპლინური სახდელები: შენიშვნა, გაფრთხილება, საყვედური, სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა, სახელმწიფო სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება; არაუმეტეს 10 სამუშაო დღის თანამდებობრივი სარგოს დაკავება; თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1 თვიდან 6 თვემდე ვადით; ჩამოქვეითება; სამსახურიდან დათხოვნა/გათავისუფლება. მოსამსახურე სამსახურიდან შეიძლება დათხოვნა/გათავისუფლებულ იქნეს მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო.

სამსახურის შიდა კონტროლის განმანორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის დასკვნის საფუძველზე სამსახურის გენერალური დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას მოსამსახურისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ. დაუშვებელია ერთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის მოსამ-

¹⁹² Grzywa-Holten, J., *Strafvollzug in Polen – Historische, rechtliche, rechtstatsächliche, menschenrechtliche und international vergleichende Aspekte*. Mönchengladbach, 2015. S. 353; Roos, H., Eicke E-M., *Die Abteilung für ältere Gefangene in der Justizvollzugsanstalt Schwalmsstadt – Abteilung Kornhaus* – In: Frieder Dünkel, Kirstin Drenkhahn, Christine Morgenstern (Hrsg.) *Humanisierung des Strafvollzugs – Konzepte und Praxismodelle*. Mönchengladbach, 2008. S. 113.

სახურისთვის ორი ან ორზე მეტი დისციპლინური სახდელის დაკისრება. მოსამსახურე დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონედ ითვლება მისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში.

პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის აღსრულების წესებს მსჯავრდებულთა უმრავლესობა იცავს და ემიჯნება ძალადობას, ვინაიდან იცის, რომ შეიძლება სანქცირებულ იქნეს. ასეთ დაწესებულებებში პატიმართა და პერსონალს შორის გონივრული, ჰუმანური ურთიერთობაა.¹⁹³ პატიმრებსა და პერსონალს შორის ჰუმანური ურთიერთობა ქმნის ჰარმონიულ პენიტენციურ გარემოს, რაც პერსონალს ნაკლებ ფიზიკურ და ემოციურ სტრესს უქმნის.¹⁹⁴ პერსონალსა და პატიმრებს შორის კონსტრუქციული და პოზიტიური ურთიერთობა აუმჯობესებს ციხის კონტროლისა და უსაფრთხოების დონეს.¹⁹⁵ ემოციურად გაწონასწორებული მოსამსახურე ნაკლებად ჩაიდენს დისციპლინურ სამართალდარღვევას. მეტიც, „ციხის თანამშრომლების დამოკიდებულება და ქცევა აყალიბებს და აწესრიგებს დაწესებულების კულტურას და განსაზღვრავს პატიმრის საერთო საპატიმრო გამოცდილებას. კვლევებმა აჩვენა, რომ ციხის ოფიცრები, რომლებიც თვლიან, რომ სამსახურში მათ აფასებენ, ენდობიან და პატივს სცემენ, უფრო მეტად იყენებენ ამ ღირებულებებს პატიმრებთან მოპყრობისას. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ციხის ოფიცრები, რომლებიც ბედნიერები არიან სამსახურში, თავიანთ ფუნქციებს შეასრულებენ უფრო მაღალი სტანდარტით, ვიდრე ისინი, რომლებიც თავს არასათანადოდ დაფასებულად მიიჩნევენ“.¹⁹⁶

3.3.3. მოსამსახურის სოციალური გარანტიები

პენიტენციური კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის სოციალურ დაცვას სახელმწიფო უზრუნველყოფს. მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევა სავალდებულოა. ამასთანავე, შესაძლებელია მისი მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაზღვევა.

ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავის შეპყრობისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას მოსამსახურის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში, მის ოჯახს (მემკვიდრეს) სა-

¹⁹³ Seifert, H.-J., Wohngruppenvollzug für Untersuchungsgefangene in der Teilanstalt III der Justizvollzugsanstalt Moabit. In: Frieder Dünkel, Kirstin Drenkhahn, Christine Morgenstern (Hrsg.) Humanisierung des Strafvollzugs – Konzepte und Praxismodelle. Mönchengladbach, 2008. S. 77.

¹⁹⁴ Neubacher, F. / Bögelein, N. / Kant, D., „Worauf es im Gefängnis wirklich ankommt...“ - Ein Forschungsprojekt zum Sozialen Klima in Justizvollzugsanstalten. In: BAG-S Informationsdienst Straffälligenhilfe 31. 2023, Heft 3, S. 16-23.

¹⁹⁵ ნ. მჭედლიძე, სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი, 2019, გვ. 20.

¹⁹⁶ სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, 2018, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2018/07/MR_Guidance_Doc_Georgian_Web.pdf [01.04.2024].

ქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 30 000 ლარის ოდენობით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამსახურის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში მას სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება შემდეგი ოდენობით: ა) ჯანმრთელობის მიიმე დაზიანებისას – 7 000 ლარი; ბ) ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისას – 4 000 ლარი; გ) ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისას – 2 000 ლარი (პენიტენციური კოდექსის 27-ე მუხლის მე-12 პუნქტი).

პენიტენციური დაწესებულებების პერსონალის სოციალური და ემოციური მხარდაჭერა მნიშვნელოვანია პენიტენციურ დაწესებულებაში მშვიდი გარემოს შესაქმნელად. პოლონეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დაბალი ანაზღაურება ასეთი რთული სამუშაოსთვის, სამუშაო კმაყოფილების ნაკლებობა, ფსიქოლოგიური სტრესი და დაბალი სოციალური მხარდაჭერა იწვევს ემოციურ გადაღლას და საბოლოოდ შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული ფსიქიკური და ფიზიკური დაავადებები.¹⁹⁷ ასეთი პრობლემებისგან თავის ასაცილებლად აუცილებელია მოსამსახურეთა მუდმივი ემოციური მხარდაჭერა. ძალადობა, რომელსაც ექვემდებარებიან დაწესებულების თანამშრომლები, არის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური და სიტყვიერი, რაც იწვევს დიდ სტრესს.¹⁹⁸

იმისათვის, რომ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის ემოციური მხარდაჭერა მოხდეს, საჭიროა მომსახურეთა რაოდენობა შეესაბამებოდეს მსჯავრდებულთა რაოდენობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი შეიძლება ჰქონდეს ე. წ. Burn out-Syndrom-ს - „სამსახურებრივ გადაწვას“.¹⁹⁹

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97)12 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ (დანართი #1) მე-13 მუხლის თანახმად, უკმაყოფილების გამო სამსახურის დატოვებისა და სამუშაო ძალის ფუჭად დახარჯვის თავიდან ასაცილებლად, უნდა ჩამოყალიბდეს სოლიდური ტრენინგის ბაზა, ასევე შესაბამისი ზომები უნდა გატარდეს ანლად შერჩეული თანამშრომლების ორიენტირებისა და სამუშაოს შესახებ რეალისტური მოსაზრებების ჩამოყალიბებისათვის. ამავე დოკუმენტის მეორე დანართის მე-6 მუხლის თანახმად, კოლეგებს შორის ურთიერთობისას, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპები უპირატესი უნდა იყოს, რაც ხელს შეუწყობს იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი და უსაფრთხო იქნება როგორც თანამშრომლების, ისე ბრალდებულების ან მსჯავრდებულებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლები მზად უნდა იყვნენ, რომ დაეხმარონ

¹⁹⁷ Grzywa-Holten, J., *Strafvollzug in Polen – Historische, rechtliche, rechtstatsächliche, menschenrechtliche und international vergleichende Aspekte*. Mönchengladbach 2015. S. 315, 352.

¹⁹⁸ Grzywa-Holten, J., *Strafvollzug in Polen – Historische, rechtliche, rechtstatsächliche, menschenrechtliche und international vergleichende Aspekte*. Mönchengladbach 2015. S. 147; 6. მჭედლიძე, სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი, 2019, გვ. 20.

¹⁹⁹ Grzywa-Holten, J., *Strafvollzug in Polen – Historische, rechtliche, rechtstatsächliche, menschenrechtliche und international vergleichende Aspekte*. Mönchengladbach 2015. S. 147.

ერთმანეთს სამუშაოს შესრულებისას, განსაკუთრებით ძალადობის ან სხვა სტრესული შემთხვევების დროს.

3.4. სასჯელადსრულების პერსონალი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში ციხეში მუშაობა საჯარო სამსახურს განეკუთვნება. მინისტრები და მაღალჩინოსნები უნდა აჩვენებდნენ, რომ ისინი აფასებენ ციხის თანამშრომლებს მათ მიერ გაწეული სამუშაოსთვის და საზოგადოებას ხშირად უნდა შეახსენონ, რომ ციხეში მუშაობა მნიშვნელოვანი საჯარო სამსახურია.²⁰⁰

სამწუხარო რეალობას წარმოაჩენს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკა, რომ ციხის თანამშრომლებს უფრო დაბალი რანგის პირებად მიიჩნევენ, ვიდრე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სხვა სფეროს წარმომადგენლებს, მაგალითად პოლიციელებს. ხშირად ეს გამოხატულია ციხის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ოდენობაში, რომელიც ბევრ ქვეყანაში საკმაოდ დაბალია. შედეგად კი, ხშირად ძალიან ძნელია სათანადო კვალიფიციური პერსონალის აყვანა ციხეში სამუშაოდ. მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელია, რომ მათი ხელფასები დადგინდეს სათანადო ოდენობით, ხოლო შრომითი ურთიერთობების სხვა პირობები, იყოს ისეთივე, როგორც დაწესებულია საჯარო სამსახურის მსგავსი თანამდებობებისთვის.²⁰¹

ბევრ ქვეყანაში ციხის პერსონალის აყვანა ძალზე რთულია. შედეგად, ამ ადგილებში სამუშაოდ მიდიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც სხვა სამუშაოს ვერ მოულობენ. ხანდახან ისინი ციხეში მუშაობას იწყებენ სავალდებულო სამხედრო ალტერნატივის სახით და სამუშაოს ტოვებენ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემათ.²⁰²

ზემოთქმულის აღმოფხვრისა და ციხის პერსონალთან დაკავშირებით საერთო მიდგომის განსაზღვრის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებმა კონკრეტული სტანდარტები შეიმუშავეს და შესთავაზეს წევრ სახელმწიფოებს. ამ მხრივ აღსანიშნავია სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული გაეროსა და ევროპის საბჭოს დოკუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ პერსონალთან დაკავშირებულ საკითხებს. უფრო მეტიც, რამდენიმე დოკუმენტი უშუალოდ პერსონალის ეთიკურსა და ორგანიზაციულ საკითხებს უკავშირდება. კერძოდ, ეს დოკუმენტებია:

გაეროს დოკუმენტები: 1. პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები „ნელსონ მანდელას წესები“²⁰³ (წესი 74-82); 2. მართლწესრიგის დამცველ

²⁰⁰ ე. კოილი, პენიტენციარული სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციარული სისტემის თანამშრომლებისთვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 12.

²⁰¹ იქვე, გვ. 14.

²⁰² იქვე, გვ. 15.

²⁰³ 2015 წლის 17 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო „განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ“ („ნელსონ მანდელას წესები“). „განახლებული სტანდარტული მინიმალური წესები, შემდგომში „მანდელას წესები“, ეწოდა სამხრეთ

თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი;²⁰⁴ 3. ძირითადი პრინციპები მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების შესახებ;²⁰⁵ 4. წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები) (წესი 81–87);²⁰⁶ 5. წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები) (წესი 29–35).

ევროპის საბჭოს დოკუმენტები: 1. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ევროპის ციხის წესების შესახებ (წესი 71–89); 2. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97)12 საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ; 3. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)5 ციხის თანამშრომელთა ეთიკის ევროპის კოდექსის შესახებ; 4. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (წესი 127–134); 5. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (84)12 უცხოელი პატიმრების შესახებ (წესი 25–26); 6. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12 უცხოელი პატიმრების შესახებ (წესი 38–40); 7. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ (წესი 36–39).

ციხის ადმინისტრაცია უნდა იღვწოდეს ციხის ყველა კატეგორიის პერსონალის ყურადღებით შერჩევითვის, რადგან ციხის კარგი მუშაობა დამოკიდებულია ამ თანამშრომლების კეთილსინდისიერებაზე, ჰუმანურობაზე, კომპეტენტურობასა და პირად თვისებებზე.²⁰⁷ მსგავსი სულისკვეთებაა გატარებული ევროპის ციხის წესებში, რომლის მიხედვითაც, ახალი თანამშრომლის შერჩევასაც ციხის ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ინტეგრაციის, ადამიანურობისა და პროფესიონალიზმის მხარეებზე, აგრეთვე, პიროვნულ შესაბამისობაზე კომპლექსურ სამუშაოსთან, რომლის შესრულებაც მათ მოუწევთ.²⁰⁸

კადრების შერჩევის პროცედურები უნდა იყოს დეტალური, ნათელი, სამართლიანი და არადისკრიმინაციული. სამსახურში აყვანა/არაყვანაზე პასუხისმგებელი ორგანო უნდა შედგებოდეს შესაბამისი გამოცდილების მქონე პირებისაგან და უნდა მუშაობდეს მიუკერძოებლად.²⁰⁹ იმის მიუხედავად, თუ რა მეთოდები გამოიყენება პიროვნული მახასიათებლების შესარჩევად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზომი მექანიზმების მიუკერძოებლობა, ვალიდურობა და კანონიერება.²¹⁰

კადრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქალი და მამაკაცი კადრების სასურველი რაოდენობით წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, ასევე, ეთნიკური

აფრიკის პრეზიდენტის, ნელსონ მანდელას პატივსაცემად, რომელმაც 27 წელი გაატარა ციხეში. სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განხლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, OSCE ODIHR/PRI 2018, გვ. 2.

²⁰⁴ მიღებულია გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის 34/169 რეზოლუციით.

²⁰⁵ მიღებულია გაეროს მერვე კონგრესზე დანაშაულის აღკვეთისა და დამნაშავეთა მოპყრობის შესახებ, ჰავანა, კუბა, 1990წ.

²⁰⁶ მიღებულია გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის 45/113 რეზოლუციით.

²⁰⁷ პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 46(1).

²⁰⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2, წესი 77.

²⁰⁹ საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97)12 საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ, წესი 8.

²¹⁰ იქვე, წესი 9.

უმცირესობების წარმომადგენლობა, რათა შესაძლებელი იყოს ბრალდებულის ან მსჯავრდებულის საჭიროებების დაკმაყოფილება.²¹¹ მაღალ თანამდებობებზე კადრების შერჩევა ეფუძნება პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას და მენეჯერულ პოტენციალს. ეფექტიანი მომსახურების ან მომსახურებების მიწოდების ინტერესებიდან გამომდინარე, მაღალი თანამდებობის კადრების შერჩევასა გათვალისწინებული უნდა იყოს კარიერული ზრდის შესაძლებლობები, ასევე, ახალი მიდგომებისა და კონკრეტული უნარ-ჩვევების განვითარება. გარე შერჩევის შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შერჩეულ პიროვნებას ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება და უნარები.²¹²

ეთიკური ნორმების დაცვის კუთხით, განსაკუთრებით საყურადღებოა ევროპის საბჭოს ფორმატში მიღებული ციხის თანამშრომელთა ეთიკის ევროპული კოდექსი, რომელმაც განსაზღვრა მისი მოქმედების სფერო (ვრცელდება პენიტენციური სისტემის იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე მომსახურე პერსონალზე) და ციხის პერსონალის ძირითადი მიმართულებები:

- ანგარიშვალდებულება - ციხის პერსონალი ყველა დონეზე პირადად აგებს პასუხს და თავის თავზე იღებს საკუთარი ქმედების, უმოქმედობის ან ქვეშევრდომთათვის გაცემული ბრძანებების შედეგებზე პასუხისმგებლობას. ის ვალდებულია, ყოველთვის წინასწარ გადაამოწმოს განზრახული ქმედების კანონიერება;
- კეთილსინდისიერება - ციხის პერსონალი ვალდებულია იყოს პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტების მატარებელი. ციხის პერსონალი უნდა ცდილობდეს დაამყაროს დადებითი პროფესიული ურთიერთობები პატიმრებსა და მათი ოჯახის წევრებთან. ციხის პერსონალმა არ უნდა დაუმკას, რომ მისი პირადი, ფინანსური ან სხვა ინტერესები ეწინააღმდეგებოდეს მის თანამდებობრივ ინტერესებს. ციხის პერსონალი ვალდებულია წინ აღუდგეს კორუფციის ყველა ფორმას ციხის სამსახურის შიგნით. იგი ვალდებულია აცნობოს უშუალო ხელმძღვანელობას და სხვა შესაბამის ორგანოებს ციხის შიგნით კორუფციის ნებისმიერი ფაქტის შესახებ. ციხის პერსონალი ვალდებულია შეასრულოს უშუალო უფროსის ყველა კანონიერი და სწორად გაფორმებული მითითება. ამავე დროს, ევალება თავი შეიკავოს ისეთი მითითებების შესრულებისაგან, რომლებიც აშკარა და სერიოზულ კანონდარღვევას წარმოადგენს და მოსალოდნელი სანქციების შიშის გარეშე განაცხადოს ასეთი მითითებების მიღების შესახებ;
- ადამიანური ღირსების პატივისცემა და დაცვა - ციხის პერსონალი ვალდებულია ყოველთვის პატივი სცეს და დაიცვას ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის უფლება. ყოველდღიური ამოცანების შესრულებისას ციხის პერსონალი ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის ღირსება, მხარი დაუჭიროს და დაიცვას ყველა ადამიანის უფლებები. ციხის პერსონალი არ უნდა ახორციელებდეს, აქეზებდეს ან ეგუებოდეს წამების ან სხვა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, დასჯის აქტებს ნებისმიერ გარემოებებში, მათ შორის, უფროსის ბრძანებითაც. ციხის პერსონალი პატივს

²¹¹ იქვე, წესი 10.

²¹² იქვე, წესი 11.

უნდა სცემდეს და უნდა დაიცვას ყველა პატიმრის ფიზიკური, სექსუალური და ფსიქიკური ხელშეუხებლობა, ასევე, დაიცვას დანარჩენი პატიმრების ან ნებისმიერი სხვა პირის ხელყოფისაგან. ციხის პერსონალი ყოველთვის ზრდილობიანად და პატივისცემით უნდა მოექცეს პატიმრებს, კოლეგებს და ყველას, ვინც ციხის კარიბჭეს გადააბიჯებს. ციხის პერსონალმა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას და მხოლოდ კანონიერი მიზნების მისაღწევად შეიძლება დაარღვიოს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ციხის პერსონალმა არ უნდა გამოიყენოს ძალა პატიმრების წინააღმდეგ, თუ ეს არ არის თავდაცვის ან ციხიდან გაქცევის მცდელობისა და კანონიერი წესრიგისადმი აქტიური ან პასიური ფიზიკური წინააღმდეგობის აღკვეთის მიზნით, და ისიც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ციხის პერსონალი პირად ჩხრეკას უნდა ატარებდეს მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში და ამ დროს არ უნდა ამცირებდეს პატიმრებს.

- მოვლა და დახმარება - ციხის პერსონალი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ცალკეული პატიმრების განსაკუთრებულ მოთხოვნებებს. ამ პატიმართა რიცხვს განეკუთვნებიან არასრულწლოვნები, ქალები, უმცირესობები, უცხოეთის მოქალაქეები, ხნიერი ადამიანები და მშმ პირები, ასევე ნებისმიერი პატიმარი, რომელიც რაიმე სხვა მიზეზის გამო შეიძლება დაუცველად გრძნობდეს თავს. ყველანაირად უნდა დაეხმაროს მათ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. ციხის პერსონალმა უნდა უზრუნველყოს პატიმრობაში აყვანილი პირების ჯანმრთელობის სრული დაცვა, კერძოდ, მიიღოს დაუყოვნებელი ზომები სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად, საჭიროების შემთხვევაში. ციხის პერსონალმა უნდა უზრუნველყოს პატიმრობაში მყოფი ადამიანების უსაფრთხოება, ჰიგიენა და შესაბამისი კვება. ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ პატიმრობის პირობები ციხეებში აკმაყოფილებდეს შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს, კონკრეტულად კი ევროპულ პენიტენციარულ წესებს. ციხის პერსონალმა უნდა იმუშაოს პატიმრების სოციალური რეინტეგრაციის მიმართულებით კონსტრუქციული საქმიანობის, ინდივიდუალური ურთიერთქმედებისა და დახმარების პროგრამების ფარგლებში.
- სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა - ციხის პერსონალი პატივს უნდა სცემდეს პლურალიზმს და მრავალფეროვნებას, არ დაუშვას დისკრიმინაცია არც ერთი პატიმრის მიმართ სქესის, ასაკის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა თვალსაზრისის, ეროვნების, სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი ცენზის, წარმოშობის ან სხვა სტატუსის მიუხედავად, ან მის მიერ სავარაუდოდ ან ნამდვილად ჩადენილი დანაშაულის საფუძველზე. ციხის პერსონალმა სრულად უნდა გაითვალისწინოს რასიზმის, ქსენოფობიის დაგმობის და მათთან ბრძოლის აუცილებლობა; გარდა ამისა, გაითვალისწინოს გენდერული თავისებურებები და არ დაუშვას ნებისმიერი ფორმის სქესობრივი ხელყოფა როგორც სხვა პერსონალის, ასევე პატიმრების მიმართ. ციხის პერსონალმა საკუთარი მოვალეობები უნდა შეასრულოს სამართლიანად, ობიექტურად და თანმიმდევრულად. ციხის პერ-

სონალმა პატივი უნდა სცეს იმ პატიმართა უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომლებიც ჯერ არ არიან გასამართლებული სასამართლოს მიერ. ციხის პერსონალმა უნდა გამოიყენოს ევროპული პენიტენციარული წესებით გათვალისწინებული სამართლიანი და ობიექტური დისციპლინური პროცედურები. გარდა ამისა, მათ უნდა დაიცვან პრინციპი, რომლის მიხედვითაც, დისციპლინურ დარღვევაში ეჭვმიტანილი პატიმარი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი დარღვევა არ დამტკიცდება.

- თანამშრომლობა - ციხის პერსონალმა უნდა უზრუნველყოს, რომ პატიმრებმა საკუთარ აღვოკატებთან და ოჯახის წევრებთან რეგულარული და ადეკვატური კონტაქტის უფლებით ისარგებლონ თავისუფლების აღკვეთის მთელი დროის განმავლობაში. ციხის პერსონალმა ხელი უნდა შეუწყოს პატიმართა კეთილდღეობისათვის მოღვაწე სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი ჯგუფების თანამშრომლობას. ციხის პერსონალმა ხელი უნდა შეუწყოს კოლეგებს შორის თანამშრომლობის, მხარდაჭერის, ურთიერთდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.
- კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა - ციხის პერსონალის ხელთ არსებული კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაცია საიდუმლოდ უნდა იყოს დაცული, თუ საკუთარი მოვალეობების შესრულების ან მართლმსაჯულების საჭიროებები სხვაგვარად არ მოითხოვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საექიმო საიდუმლოს პრინციპის პატივისცემის ვალდებულებას. პირადი მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამოყენება ციხის პერსონალის მიერ უნდა ხდებოდეს მონაცემთა დაცვის პრინციპების სრული დაცვით, კერძოდ, შეზღუდული უნდა იყოს იმ ზომით, რაც აუცილებელია კანონიერი, ლეგიტიმური და კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

კადრების სათანადო შერჩევისა და აყვანის შემდეგ საჭიროა მათი სათანადო გადამზადება. ახალი თანამშრომლების უმეტესობას ნაკლებად აქვს ან საერთოდ არ გაუვლია ამგვარი გადამზადება. ახლად მიღებული თანამშრომლების უმრავლესობას ნაკლებად ან საერთოდ არ გააჩნია ციხის სამყაროს ცოდნა და გამოცდილება. თავდაპირველად საჭიროა პერსონალში ეთიკური კონტექსტის განმტკიცება, რომლის ფარგლებშიც უნდა ხდებოდეს ციხის ადმინისტრირება.²¹³

თანამშრომელთა სათანადო გადამზადება საერთაშორისო სტანდარტების ის მოთხოვნაა, რომელიც იწყება სამუშაოზე აყვანის მომენტიდან და უწყვეტად გრძელდება სამუშაოს საბოლოოდ დატოვებამდე. საჭიროა არსებობდეს ყველა ასაკისა და რანგის თანამშრომლის უწყვეტი განვითარების რეგულარული შესაძლებლობები.²¹⁴

ტრენინგის საწყისი პროგრამები უნდა მოიცავდეს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომლებიც ინდივიდუალურ დავალებებსა და ფუნქციებს უკავშირდება, ასევე, სამსახურის მოწყობასა და ფუნქციების შესახებ ინფორმაციას. პროგ-

²¹³ ე. კოილი, პენიტენციარული სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციარული სისტემის თანამშრომლებისთვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 23–24.

²¹⁴ იქვე, გვ. 24.

რამები უნდა მოიცავდეს ქვევის, კომუნიკაციისა და სხვა ადამიანური უნარ-ჩვევების დაკვირვებასა და ინტერპრეტაციის საკითხების შესწავლას.²¹⁵

მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად უწყვეტი ტრენინგი უნდა მოიცავდეს სხვადასხვა კატეგორიის თანამშრომლებთან ჩასატარებელ პროგრამებს, განურჩევლად მათი წოდებისა და ფუნქციებისა, რათა გაუმჯობესდეს სამსახურში სხვადასხვა კატეგორიის კადრებს შორის თანამშრომლობა. შესაბამისად, ტრენინგის პროგრამები სხვადასხვა სპეციალობის მქონე წევრებისგან შემდგარი ჯგუფების ერთად მუშაობის სწავლებას უნდა ისახავდეს მიზნად.²¹⁶

უნდა განხორციელდეს ტრენინგების სისტემატური შეფასება ტრენინგების ეფექტიანობის გაზომვის მიზნით, რათა გაირკვეს, ერთი მხრივ, რა შეისწავლეს მონაწილეებმა და მეორე მხრივ, რამდენად იყენებენ მიღებულ ცოდნას სამსახურში.²¹⁷

გაეროსა და ევროპის საბჭოს სტანდარტები დამატებით განსაზღვრავს იმ პერსონალისთვის დაწესებულ მოთხოვნებს, რომელიც მუშაობს ციხეში, სადაც პატიმართა სპეციალური კატეგორიების წარმომადგენლები არიან განთავსებული, კერძოდ:

არასრულწლოვან პატიმრებთან მომუშავე პერსონალი

პერსონალი უნდა იყოს კვალიფიციური და უნდა მოიცავდეს ისეთ სპეციალისტთა საკმარის რაოდენობას, როგორებიც არიან: მასწავლებლები, პროფესიული ინსტრუქტორები, იურისტები, სოციალური მუშაკები, ფსიქიატრები და ფსიქოლოგები; ამ და სხვა ტიპის სპეციალისტები მუდმივი შტატით უნდა იქნენ დაქირავებული.²¹⁸

პერსონალს ისეთი ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს, რომელიც მისცემს მას შესაძლებლობას, რომ ეფექტიანად განახორციელოს დაკისრებული პასუხისმგებლობები, კერძოდ, ტრენინგები ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვის კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში.²¹⁹

უნდა არსებობდეს არასრულწლოვნებთან მომუშავე პერსონალის სამსახურში აყვანისა და შერჩევის სპეციალური პროცედურები, რომლის დროსაც მხედველობაში იქნება მიღებული არასრულწლოვნებსა და მათ ოჯახებთან ურთიერთობისათვის აუცილებელი ხასიათის თავისებურებები და პროფესიული კვალიფიკაცია.²²⁰

არასრულწლოვნებთან მუშაობაში შესაფერისი მოხალისეების ჩართვა მისასაღებელი უნდა იყოს.²²¹

არასრულწლოვან პატიმართა დაწესებულების ხელმძღვანელობა უნდა დაევა-

²¹⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97)12 საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ, წესი 17.

²¹⁶ იქვე, წესი 25.

²¹⁷ იქვე, წესი 27.

²¹⁸ წესები თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, წესი 81.

²¹⁹ იქვე, წესი 85.

²²⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ, წესი 128.1.

²²¹ იქვე, წესი 131.2.

ლოს ისეთ პირებს, რომელთაც აქვთ კარგად განვითარებული ლიდერული თვისებები, შეუძლიათ ეფექტიანი რეაგირება მოახდინონ რთულ და ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნებზე, რომლებიც მათ წაეყენებათ როგორც არასრულწლოვანთა, ისე პერსონალის მხრიდან.²²²

ქალ პატიმრებთან მოშუავე პერსონალი

რიგი ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ქალებს ისევე კარგად შეუძლიათ ციხის თანამშრომლის მოვალეობის შესრულება, როგორც მამაკაცებს. მართლაც, შესაძლო კონფრონტაციის პირობებში ქალი თანამშრომლების ადგილზე ყოფნამ ხშირად შეიძლება განმუხტოს უმართავი ინციდენტი.

მამაკაცი მუშაკების ქალთა განყოფილებაში დაშვება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ქალი თანამშრომლების თანხლებით.²²³ პატიმარ ქალებზე ზრუნვა და ზედამხედველობა უნდა დაევალოს მხოლოდ ქალ მუშაკებს; იმავდროულად, ეს არ უნდა უშლიდეს ხელს მამაკაც მუშაკებს, კერძოდ, ექიმებსა და პედაგოგებს, შეასრულონ თავიანთი პროფესიული მოვალეობები ქალთა დაწესებულებებში ან ქალებისთვის გამოყოფილ ცალკე განყოფილებაში.²²⁴

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა თავის მეცხრე საერთო ანგარიშში აღნიშნა, რომ ორივე სქესის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული შერეული პერსონალი არის თავისუფლების ადკვეთის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვანი გარანტი. მამრობითი და მდედრობითი სქესის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული პერსონალის არსებობას შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ეფექტი, როგორც პატიმრობის ფსიქოლოგიური, ასევე – დაწესებულებებში ნორმალური გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით. სქესის მიხედვით შერეული პერსონალის არსებობა აგრეთვე იძლევა თანამშრომელთა მოვალეობების სათანადოდ გადანაწილების საშუალებას გენდერული კუთხით დელიკატური საკითხების დროს, მაგალითად, როგორიცაა ჩხრეკა.²²⁵

ქალთა ციხის თანამშრომლების გადამზადებამ საშუალება უნდა მისცეს მათ უპასუხონ პატიმარი ქალების განსაკუთრებულ სოციალური რეინტეგრაციის საჭიროებებს და მართონ უსაფრთხო და სარეაბილიტაციო დაწესებულებები. ქალი თანამშრომლების გადამზადება ასევე უნდა მოიცავდეს ხელმძღვანელ პოზიციებზე ხელმისაწვდომობას იმ მიზნით, რომ შემუშავდეს ქალი პატიმრების მოპყრობისა და მათ მიმართ მზრუნველობის პოლიტიკა და სტრატეგია.²²⁶

ქალთა ციხის მმართველობაში ჩართულმა ყველა თანამშრომელმა უნდა გაიაროს სპეციალური ტრენინგი გენდერულ საკითხებზე და დისკრიმინაციისა და სექსუალური ძალადობის აკრძალვაზე.²²⁷ ციხის ყველა თანამშრომელმა, რომელიც მუშაობს ქალ პატიმრებთან, უნდა გაიაროს ტრენინგი გენდერულად განსაკუთრებულ

²²² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, ევროპის საბჭოს გამოცემა, თბილისი, 2014, გვ. 139.

²²³ პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 53(2).

²²⁴ იქვე, წესი 53(3).

²²⁵ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, ევროპის საბჭოს გამოცემა, თბილისი, 2014 წ., გვ. 145.

²²⁶ წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, წესი 29.

²²⁷ იქვე, წესი 32.

საჭიროებებსა და ქალი პატიმრების უფლებებზე.²²⁸ ციხის იმ თანამშრომლებისთვის, სადაც ბავშვებს დედებთან დარჩენის უფლება აქვთ, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ცნობიერების ამაღლების ტრენინგი ბავშვთა განვითარებისა და მათი ძირითადი ჯანდაცვის საკითხებზე, რათა მათ შეძლონ სათანადო დახმარების აღმოჩენა საჭიროებების ან საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში.²²⁹

უცხოელ პატიმრებთან მომუშავე პერსონალი

უცხოელ პატიმრებთან მომუშავე პერსონალი შერჩეულ უნდა იქნეს იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც მოიცავს კულტურულ, სენსიტიურობის, ინტერაქციის უნარ-ჩვევებსა და ლინგვისტურ უნარებს.²³⁰ უცხოელ პატიმრებთან მომუშავე პერსონალი მომზადებული უნდა იყოს კულტურული განსხვავებების პატივისცემისა და იმ კონკრეტული პრობლემების გასაცნობიერებლად, რომლებიც შესაძლოა ჰქონდეთ ასეთ პატიმრებს.²³¹ გათვალისწინებული უნდა იყოს გარკვეული პერსონალის მომზადება უცხოელ პატიმრებთან უფრო ინტენსიური მუშაობისთვის და მათი შესაძლებლობების გაზრდა. ამის მიღწევა შესაძლებელია სპეციალიზებული ტრენინგის მეშვეობით, მაგალითად, ენის ან იმ კონკრეტული სირთულეების შესწავლით, რომლებიც წარმოიშობა უცხოელი პატიმრების კონკრეტულ ჯგუფთან მიმართებით.²³²

უვადო და გრძელვადიან პატიმრებთან მომუშავე პერსონალი

უვადო და გრძელვადიან პატიმრებთან მომუშავე პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი დინამიკური უსაფრთხოების აღქმის მიზნით, რომ შეძლოს უსაფრთხოების დაცვისთვის თავისი შეხედულებების გამოყენება მოვალეობების შესრულებისას.²³³ პერსონალის მანიპულაციის გაზრდილი რისკის გამო უნდა წახალისდეს პერსონალის მობილურობისა და როტაციის პრინციპი;²³⁴ უნდა ეწყობოდეს რეგულარული შეხვედრები და დისკუსიები პერსონალის სხვადასხვა კატეგორიას შორის იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს ბალანსი პატიმრების პრობლემების თანაგრძნობით რეაგირებასა და კონტროლის სიმკაცრეს შორის.²³⁵

პატიმრებთან მომუშავე სამედიცინო პერსონალი

ყველა დაწესებულებას უნდა ჰყავდეს, სულ მცირე, ერთი ისეთი კვალიფიციური მედიცინის მუშაკი მაინც, რომელსაც ფსიქიატრიაშიც ექნება განათლება.²³⁶ ყოველი ციხე უნდა სარგებლობდეს მინიმუმ ერთი კვალიფიციური თერაპევტის მომსახურებით.²³⁷

ციხის ექიმებსა და ექთნებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური ცოდნა, რომელიც მათ და-

²²⁸ იქვე, წესი 33(1).

²²⁹ იქვე, წესი 33(3).

²³⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12 უცხოელი პატიმრების შესახებ, წესი 38.

²³¹ იქვე, წესი 39-2.

²³² ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (84)12 უცხოელი პატიმრების შესახებ, წესი 26.

²³³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, წესი 37(ბ).

²³⁴ იქვე, წესი 38.

²³⁵ იქვე, წესი 39.

²³⁶ პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 22(1).

²³⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2, წესი 41.1.

ეხმარება გაუმკლავდნენ ციხის პირობებისთვის დამახასიათებელი პათოლოგიების ფორმებს და შეძლონ სამკურნალო მეთოდების ადაპტირება ციხის პირობებსა და გარემოსთან. სასჯელადსრულების სისტემის სამედიცინო მომსახურების სპეციფიკური ხასიათი შესაძლოა ამართლებდეს ოფიციალური პროფესიული სპეციალიზაციის შემოღებას ექიმებისა და ექთნებისთვის, დიპლომის შემდგომი გადამზადებისა და პერიოდული სამსახურებრივი შიდა ტრენინგების საფუძველზე.²³⁸

3.5. სასჯელადსრულების პერსონალის კრიმინოლოგიური ასპექტი

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სასჯელადსრულების დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მომსახურე პერსონალის ფსიქიკური სიმყარე, ნორმატიული და მორალური ღირებულებებისადმი ორიენტაცია და სოციალური დაცვის გარანტიები.

ციხის მომსახურე პერსონალის შესახებ საინტერესო ლაბორატორიული ექსპერიმენტი ჩატარა ფილიპე ზიმბარდომ. ეს ექსპერიმენტი ცნობილია „სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის“ სახელით.²³⁹ 1971 წლის ზაფხულში ზიმბარდომ და მისმა კოლეგებმა გაზეთში გამოაქვეყნეს განცხადება, რომლითაც ეძებდნენ ხელოვნურად მოწყობილ ციხეში ცხოვრების მსურველებს. 75 მსურველიდან, მათთან ინტერვიუსა და ფსიქოლოგიური ტესტების შემდეგ, შეირჩა 21 კანონმორჩილი, ემოციურად სტაბილური, ფიზიკურად ჯანმრთელი და საშუალო, ნორმალური სტუდენტი. მონეტის ალაღბებზე აგდებით სტუდენტები ორ ჯგუფად იქნენ გაყოფილი - პატიმრები (10 სტუდენტი) და ზედამხედველები (11 სტუდენტი), რომლებიც დღიურად 15 აშშ დოლარს გამოიმუშავებდნენ.²⁴⁰ სტენფორდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ყოფილი პატიმრის - რომელსაც 17 წელი ჰქონდა ციხეში გატარებული - დანმარებითა და რჩევებით, ექსპერიმენტის ორგანიზატორები ცდილობდნენ ბუნებრივ რეალობასთან ახლოს მოეწყოთ ციხის პირობები. დაგეგმილი იყო, რომ ექსპერიმენტი ჩატარებულიყო ორი კვირის განმავლობაში.

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას პატიმრები იმყოფებოდნენ ციხეში, ხოლო ზედამხედველები სტანდარტულად 8 საათს მუშაობდნენ. ზედამხედველები ატარებდნენ უნიფორმას და პატიმრებს ნომრებით მიმართავდნენ. პატიმრებმა მიიღეს ისეთი ტანისამოსი, რომელიც სასაცილოდ წარმოაჩენდა მათ. პატიმრები ვალდებული იყვნენ ზედამხედველებისათვის მიემართათ: „ბატონო ზედამხედველო“.²⁴¹ ექსპერიმენტის რეალობასთან მიახლოების მიზნით, ე. წ. „პატიმრები“ საკუთარ სახლებში იქნენ დაპატიმრებული პოლიციის მიერ. პოლიციელებმა მეზობლების თვალწინ გამოიყვანეს ისინი სახლიდან, ბრალდებულად გამოაცხადეს, ხელობრიკილები დაადეს და ციხის „ზედამხედველებს“ გადასცეს.²⁴² პოლიციელებს ეკეთათ იმავე ფორმის სათვალე, როგორც „ზედამხედველებს“.

²³⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, ევროპის საბჭოს გამოცემა, თბილისი, 2014, გვ. 74-75.

²³⁹ მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012, გვ. 138.

²⁴⁰ F. Neubacher/ M. Walter (Hrsg), Sozialpsychologische Experimente in der Kriminologie. Milgram, Zimbardo und Rosenhan kriminologisch gedeutet, mit einem Seitenblick auf Dürrenmatt. Münster, 2005. S. 69.

²⁴¹ სტენფორდის ექსპერიმენტის შესახებ იხ.: <https://www.stanford-prison-experiment.de/> [24.04.2024].

²⁴² სტენფორდის ექსპერიმენტის შესახებ იხ.: <https://www.stanford-prison-experiment.de/> [24.04.2024].

ექსპერიმენტის მონაწილე პატიმრები ციხეში მისვლისთანავე გააშიშვლეს, დაბანეს, თმები შეაჭრეს, ფეხებზე მძიმე ბორკილები დაადეს²⁴³ და ტანსაცმლის ნაცვლად ხალათი (kittels) ჩააცვეს, რომელსაც ორივე მხარეს პატიმრის საიდენტიფიკაციო ნომერი ეწერა.²⁴⁴

„ზედამხედველებისათვის“ განსაკუთრებული ინსტრუქცია არ მიუციათ. მათ უბრალოდ დაევალებათ ციხეში წესრიგი დაეცვათ და „პატიმრებისაგან“ აღიარება მოეპოვებინათ. ისინი ვალდებულნი იყვნენ თავად გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეოდნენ პატიმრებს.

გარდა ამისა, ზედამხედველები ატარებდნენ ისეთ სათვალეს, რომ პატიმრებს მათი თვალები არ დაენახათ, დაცული ყოფილიყო ანონიმურობა და ადგილი არ ჰქონოდა პატიმრების შებრალებას.

„ზედამხედველები“ - ის სტუდენტები, რომლებიც მშვიდი და გაწონასწორებული იყვნენ, აგრესიულად, ზოგჯერ სადისტურადაც კი იქცეოდნენ. „პატიმრების“ მხრიდან მცირე პროტესტიც კი იწვევდა „პატიმრებისათვის“ ჭამის, ძილის ან დაბანის პრივილეგიის ჩამორთმევას. „ზედამხედველები“ წესების დაუმორჩილებლობის გამო „პატიმრებს“ ასევე აიძულებდნენ ტუალეტის ხელით რეცხვას, აზიდვებს ზურგზე ზედამხედველის ფეხის დადგმით ან კარცერში ჩასმას, ტუალეტში გასვლაზე უარის თქმას, შუადამისას დასათვლელად გაღვიძებას. ერთ-ერთი „პატიმარი“ მოათავსეს ცალკე საკანში შიმშილობის გამოცხადებისათვის. თავდაპირველად მისმა მეგობარმა „პატიმრებმა“ მას მხარი აუბეს და პროტესტი გამოთქვეს მის ცალკე საკანში გადაყვანაზე, მაგრამ როდესაც „ზედამხედველმა“ არჩევანის საშუალება მისცა ცალკე მოთავსებული „პატიმრის“ გათავისუფლების სანაცვლოდ ერთი ღამით უარი ეთქვათ საბანზე, მათ საბანი აირჩიეს და „პატიმარი“ ცალკე საკანში სატანჯველად გაწირეს.²⁴⁵ ამით პატიმრებში მოისპო ერთიანობის გრძნობა. „ზედამხედველები“ ცდილობდნენ ისეთი ახალი დასჯის მეთოდების მოფიქრებას, რომ „პატიმრებს“ თავი უფრო დამცირებულად ეგრძნოთ.

ავტორიტეტის მოპოვების მიზნით „ზედამხედველები“ ყოველ ღამე ხმაურითა და სტვენით აღვიძებდნენ პატიმრებს და აკონტროლებდნენ. პატიმრები ვალდებული იყვნენ საკნებიდან გამოსულიყვნენ და საკუთარი ნომერი დაესახელებინათ. ექსპერიმენტის მეორე ღამეს „პატიმრებმა“ პროტესტი გამოთქვეს არსებულ მდგომარეობაზე, აიხიეს ნომრები, შეურაცხყოფას აყენებდნენ „ზედამხედველებს“ და საწოლები საკნის კარებს მიადგეს, მოაწყვეს ბარიკადები. „ზედამხედველები“ ძალიან გაბრაზდნენ „პატიმრების“ ამ საქციელზე და ითხოვდნენ დამატებითი ძალების მოყვანას. ღამის ცვლას ეთხოვა დარჩენილიყვნენ და წესრიგი დაემყარებინა დილის ცვლასთან ერთად. „ზედამხედველებმა“ გადაწყვიტეს ძალადობაზე ძალადობით ეპასუხათ. ისინი ცეცხლსაქრობ ქაფს ასხამდნენ პატიმრებს, უვარდებოდნენ საკანში, გამოჰყავდათ, აშიშვლებდნენ და საწოლებს ართმევდნენ. ბუნტის ორგანიზატორები ცალ-ცალკე „სამართლო საკანში“ მოათავსეს. სამ „პატიმარს“, რომლებიც აქტიურად არ მონაწილეობდნენ ბუნტში, პრივილეგია მიეცათ.

²⁴³ ბორკილის დადების მიზეზი იყო პატიმარზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა, რომ მას არ დაეინფორმებოდა, რომ იგი ციხეში იმყოფებოდა.

²⁴⁴ სტენფორდის ექსპერიმენტის შესახებ იხ.: <https://www.stanford-prison-experiment.de/> [24.04.2024].

²⁴⁵ ქ. კალპუნი / დ. ლაითი / ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4), თბილისი, 2007, გვ. 36.

მათ სხვების დასანახად დაუბრუნეს ტანისამოსი და განსაკუთრებული საქმელი მიუტანეს. ამით ზედამხედველებმა მოახერხეს პატიმრებს შორის არსებული სოლიდარობა დაემსხვრიათ.²⁴⁶

ერთ დღეს ციხეში მოეწყო პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიის სხდომა. კომისიის წევრებს პატიმრები არ იცნობდნენ, ისინი სტენფორდის უნივერსიტეტის დოქტორანტები და მომუშავე მდივნები იყვნენ. პატიმარი, რომელიც ფიქრობდა, რომ მისი გათავისუფლება შეიძლებოდა, უნდა წარმდგარიყო კომისიის წინაშე. კომისიის წინ გამოსული ყველა პატიმარი მზად იყო უარი ეთქვა უკვე გამომუშავებულ გასამრჯელოზე, თუ მას პირობით ვადამდე გათავისუფლებდნენ. კომისიის თავმჯდომარე იყო ყოფილი პატიმარი, რომელიც რჩევებს აძლევდა ექსპერიმენტის ორგანიზატორებს. იგი იქცა ისეთ მკაცრ და შეუბრალებელ ციხის თანამშრომლად, როგორცაც პატიმრობის დროს თავად ვერ იტანდა. როდესაც სხდომა დამთავრდა და გააცნობიერა თავისი საქციელი, ცუდად გახდა. იგი დაემსგავსა ციხის იმ პერსონალს, რომელმაც პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ მისი 16 განაცხადი არ დააკმაყოფილა.²⁴⁷

„პატიმრებს“, ექსპერიმენტამდე სტაბილური ფსიქიკის მქონე სტუდენტებს, სულ მალე განუვითარდათ პათოლოგიური ქცევები. ისინი მალე შეეგუვნენ ბედს და „ნასწავლი დაუხმარებლობის“, „დასწავლილი უმწეობის“ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ექსპერიმენტის დაწყებიდან 36 საათის შემდეგ ერთ-ერთმა ლიდერმა „პატიმარმა“ თავშეუკავებელი ყვირილი დაიწყო. მას აღენიშნებოდა მძვინვარების შეტევები, აზროვნების დეზორგანიზაცია და ღრმა დეპრესია. მომდევნო დღეებში კიდევ სამ „პატიმარს“ განუვითარდა სტრესული სიმპტომები. კიდევ ერთ „პატიმარს“ სხეულზე ფსიქოსომატური გამონაყარი გაუჩნდა. შესაბამისად, ექსპერიმენტში მონაწილე 10 პატიმრიდან 5-მა მეორე დღეს უარი თქვა მონაწილეობაზე შიშის, დეპრესიისა და ფსიქოსომატური აშლილობის სიმპტომების გამო.

ციხის ექსპერიმენტი ექვსი დღის შემდეგ შეწყდა, რადგან „ზედამხედველების“ მხრიდან „პატიმრებზე“ განხორციელებულმა არაადამიანურმა მოპყრობამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ „პატიმრებისათვის“ აუტანელი გახდა. „ზედამხედველთა“ მინიმუმ ერთი მესამედი ისე აგრესიულად ეპყრობოდა „პატიმრებს“, რომ ექსპერიმენტის ორგანიზატორებმა უარი განაცხადეს ექსპერიმენტზე მასზე კონტროლის დაკარგვის შიშით.

ლაბორატორიული ექსპერიმენტით ზიზმბარდომ დაასკვნა,²⁴⁸ „რომ ციხეში მყოფ ადამიანთა ქცევას უფრო მეტად განსაზღვრავს თავად ციხის სიტუაცია, ვიდრე მასში მყოფი ადამიანების ინდივიდუალური მახასიათებლები“.²⁴⁹

ციხის ექსპერიმენტი შეწყდა შემდეგი ფაქტორების გამო:²⁵⁰

- ცალმხრივად ძალაუფლების გადანაწილება „ზედამხედველებსა“ და „პატიმრებს“ შორის. სოციალური როლების გადანაწილების დროს ისე შესამჩნევი იყო ძალაუფლების სიმბოლოების გადანაწილება („პატიმრების მიმართვის

²⁴⁶ სტენფორდის ექსპერიმენტის შესახებ იხ.: <https://www.stanford-prison-experiment.de/> [24.04.2024].

²⁴⁷ იქვე.

²⁴⁸ ზიზმბარდოს ციხის ექსპერიმენტის კრიმინოლოგიური შეფასება, იხ.: მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012, გვ. 140.

²⁴⁹ ე. გიდენსი, სოციოლოგია, თბილისი, 2011, გვ. 633.

²⁵⁰ H.J. Schneider, Kriminologie der Gewalt. Leipzig, 1994. S. 112.

ფორმა იყო: „ბატონო ზედამხედველო“, ხოლო „ზედამხედველები“ პატიმრებს მიმართავდნენ ნომრებით), რომ ძალაუფლების დემონსტრირება „ზედამხედველებისა“ და „პატიმრების“ ურთიერთობის ნაწილი გახდა. „ზედამხედველები“ და „პატიმრები“ მოერგნენ იმ სოციალურ როლს, რომელიც საზოგადოებაში მათ შესახებ არსებობდა;

- „ზედამხედველების“ მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება განაპირობა უნიფორმის ტარებამ და იმ ფაქტმა, რომ ისინი პოლიციასთან ერთად მუშაობდნენ (ძალაუფლების სიმბოლოს სოციალური თვალსაჩინოება);
- „პატიმრებმა“ ძალიან სწრაფად ისწავლეს საკუთარი უმწეობა. ექსპერიმენტში ისინი ნეგატიურად იქნენ შესულნი. მათმა სასაცილო ჩაცმულობამ და ნომრებით მიმართვამ განაპირობა საკუთარი თავის უპატივცემულობა და „ზედამხედველების“ მორჩილება. დიდი მნიშვნელობის იყო აგრეთვე ის ფაქტი, რომ „პატიმრები“ ვალდებული იყვნენ „ზედამხედველებისათვის“ მიემართათ ბატონობით - „ბატონო ზედამხედველო“.

ზიმბარდომ ექსპერიმენტის შემდეგ გამოყო ციხის ზედამხედველების სამი ტიპი:²⁵¹

- მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ზედამხედველები. ისინი კანონმორჩილი ადამიანები არიან და ციხის კანონებს იცავენ.
- „კარგი ბიჭები“ - ზედამხედველები, რომლებიც პატიმრებს ეხმარებოდნენ და არ სჯიდნენ;
- პატიმრების მტერი და უსამართლო ზედამხედველი, რომლის მიზანი იყო პატიმრის ისეთი ფორმებით დასჯა, რომ მისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა და მისი პიროვნება გაეტუნა. ასეთი ზედამხედველები ამ ძალაუფლებით და ძალაუფლების წარმოჩენა სიამოვნებთ. არ არსებობს არავითარი ფსიქოლოგიური ტესტი, რომელიც იწინასწარმეტყველებს მათ საქციელს.²⁵²

²⁵¹ F. Neubacher, Kriminologie. 5. Auflage. Baden-Baden, 2023. S. 135.

²⁵² სტენფორის ექსპერიმენტის შესახებ იხ.: <https://www.stanford-prison-experiment.de/> [24.04.2024].

მეოთხე თავი

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები

4.1. პენიტენციური დაწესებულებები

პენიტენციური დაწესებულება არის დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი და ფუნქციონირებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემაში.²⁵³ პენიტენციური კოდექსით (მუხლი 33.1) გათვალისწინებულია პენიტენციური დაწესებულებების სამი სახე: პატიმრობის დაწესებულება, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება.

პენიტენციური დაწესებულების შექმნა და გაუქმება საქართველოს იუსტიციის მინისტრის უშუალო პრეროგატივაა.²⁵⁴ მას ასევე შეუძლია, ერთი დაწესებულების ფარგლებში, შექმნას და გააუქმოს შერეული ტიპის პენიტენციური დაწესებულება.²⁵⁵ საქართველოს იუსტიციის მინისტრის კომპეტენციასვე განეკუთვნება ბრძანებით პენიტენციურ დაწესებულებაში განსათავსებელ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობის, ე. წ. „ლიმიტის“, განსაზღვრა.²⁵⁶ 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში ფუნქციონირებს შემდეგი პენიტენციური დაწესებულებები, იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი განთავსების ლიმიტით:

N	პენიტენციური დაწესებულების დასახელება	პენიტენციური დაწესებულების იურიდიული მისამართი	რეგიონი	განთავსების ლიმიტი
1.	#1 პატიმრობის, დაბალი რისკის, ნაწევრად ღია ტიპის, დახურული ტიპისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ლაითური	გურია	700 ბრალდებული / მსჯავრდებული
2.	#2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. #85	იმერეთი	1068 ბრალდებული / მსჯავრდებული
3.	#3 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	ქ. ბათუმი, თევდორე მღვდლის ქ. #27	აჭარის ა/რ	92 ბრალდებული / მსჯავრდებული
4.	#5 ქალთა სპეციალური დაწესებულება	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი	ქვემო ქართლი	867 ბრალდებული / მსჯავრდებული
5.	#6 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი	ქვემო ქართლი	309 ბრალდებული / მსჯავრდებული

²⁵³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 32.1.

²⁵⁴ იქვე, მუხლი 32.2.

²⁵⁵ იქვე, მუხლი 33.2.

²⁵⁶ იქვე, მუხლი 32.2.

6.	#8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	ორი ადგილმდებარეობა: თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ და თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. #11	თბილისი	2426 ბრალდებული / მსჯავრდებული (2325 და 101)
7.	#10 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი	მცხეთა-მთიანეთი	700 ბრალდებული / მსჯავრდებული
8.	#11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება	თბილისი, გრიგოლ ხანძთელის ქ. #3	თბილისი	82 მსჯავრდებული
9.	#12 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. #60	ქვემო ქართლი	580 ბრალდებული / მსჯავრდებული
10.	#14 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	ქ. წყალტუბო, სოფელი გეგუთი, ვარციხის დასახლება	იმერეთი	1362 მსჯავრდებული
11.	#15 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი	მცხეთა-მთიანეთი	1388 მსჯავრდებული
12.	#16 დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. #60	ქვემო ქართლი	528 მსჯავრდებული
13.	#17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. #64	ქვემო ქართლი	2000 მსჯავრდებული
14.	#18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება	ორი ადგილმდებარეობა: თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ და მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი	თბილისი და მცხეთა-მთიანეთი	230 ბრალდებული / მსჯავრდებული (140 და 90)

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა 12332-ს შეადგენს.²⁵⁷

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მოქმედი დაწესებულებების უმრავლესობა შერეული ტიპისაა. პენიტენციური დაწესებულებებიდან 4 განთავსებულია დასავლეთ საქართველოში (ოზურგეთი, ქუთაისი, ბათუმი და წყალტუბო), ხოლო დანარჩენი 10 - აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისი, რუსთავი, გარდაბანი და მცხეთა).

პენიტენციური დაწესებულების დებულებას, რომელიც მოიცავს პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილებას, სტრუქტურასა და მართვის წესს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.²⁵⁸

²⁵⁷ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება #106, 27.08.2015, მუხლი 1.
²⁵⁸ იქვე, მუხლი 32.3.

4.2. პატიმართა სტატისტიკა

საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში მკვეთრად იცვლებოდა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სტატისტიკა, რაც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ასახული.²⁵⁹ საერთაშორისო პრაქტიკაში დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის გამოთვლა ყოველ ასი ათას მოსახლეზე. აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კოეფიციენტი ითვლებოდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით: 4.47 მილიონ მოსახლეობაზე 2012 წლის ჩათვლით და 3.78 მილიონ მოსახლეობაზე 2012 წლის შემდეგ (წლების მიხედვით მონაცემები ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ასახული):

წელი	პატიმართა რაოდენობა	პატიმართა კოეფიციენტი ყოველ 100 ათას მოსახლეზე
2004	7867	182
2006	15465	352
2008	18659	426
2010	23684	530
2012	19350	432
2014	10372	280
2016	9334	251
2018	9575	257
2020	9143	245
2022	9203	249

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულია 9868 პატიმარი, ყოველ ასი ათას მოსახლეზე მოდის 267 პატიმარი.²⁶⁰

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ანალოგიური მაჩვენებლები სხვა ევროპულ ქვეყნებში:²⁶¹

წელი/ქვეყანა	პატიმართა რაოდენობა						პატიმართა კოეფიციენტი ყოველ 100 ათას მოსახლეზე					
	2004	2008	2012	2016	2020	2022	2004	2008	2012	2016	2020	2022
გერმანია	79452	72259	65889	62865	59585	56325	96	88	82	76	72	67
საფრანგეთი	55355	59468	62467	71190	77062	74342	91	96	99	110	119	109
საბერძნეთი	8726	11645	12479	9611	10891	10526	79	104	113	89	102	101
პოლონეთი	80368	83152	84156	71528	67894	73822	211	218	221	188	179	197
თურქეთი	57930	103235	136020	200339	266831	292282	81	144	180	251	319	340
მოლდოვა	10591	7895	6476	8054	6716	6084	293	221	182	285	254	236
რუსეთი	847004	883436	755651	646085	523928	433006	588	622	528	448	363	300

World Prison Brief მონაცემების თანახმად, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მსოფლიოში პატიმართა ჯამური რაოდენობით პირველ ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატებია 1767200 პატიმრით, ხოლო ყველაზე ცოტა პატიმარი ჰყავს სან-მარინოს, სულ 3 პატიმარი. საქართველო ამ რეიტინგში მსოფლიოს 98-ე პოზიციას იკავებს 9959 პატიმრით. პატიმართა კოეფიციენტის მიხედვით, ყოველ ასი ათას მოსახლეზე, ყველაზე მეტი პატიმარი მსოფლიოში ჰყავს ელ-სალვადორს

²⁵⁹ Prison Studies Centre მონაცემები, იხ. http://prisonstudies.org/info/worldbrief/wpbc_country.php?country=122 [30.04.2024].

²⁶⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის წერილი #1910, 15.02.2024 წ.

²⁶¹ Prison Studies Centre მონაცემები, იხ. <http://prisonstudies.org/info/worldbrief/?search=europe&x=Europe> [30.04.2024].

(1086 პატიმარი), ხოლო ყველაზე ცოტა - კვლავაც სან-მარინოს (9 პატიმარი). ამ რეიტინგებში, საქართველო 41-ე ადგილზეა 263 პატიმრით. მსოფლიოში ყველაზე გადაჭირებულ პენიტენციურ სისტემად დასახელებულია კონგოს რესპუბლიკის სისტემა, სადაც პატიმართა რაოდენობა, არსებულ ლიმიტებთან შედარებით, 616.9%-ს აღწევს; ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ნაურუს, სადაც დადგენილი ლიმიტის მხოლოდ 14%-ით არის ათვისებული პენიტენციურ სისტემაში არსებული ადგილები.²⁶² საქართველოს ამ მხრივ დადებითი ბალანსი აქვს და იმყოფება 153-ე ადგილზე დადგენილი ლიმიტის 80%-ის ათვისებით.²⁶³

4.3. პატიმრობის დაწესებულება

პატიმრობის დაწესებულება არის დახურული, განსაკუთრებულად დაცული, სასაჯნო ტიპის დაწესებულება, რომლის მიზანია ბრალდებულის იზოლაცია აღკვეთის ღონისძიების აღსრულების უზრუნველსაყოფად.²⁶⁴ პატიმრობის დაწესებულებაში განთავსებული არიან ბრალდებულები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან/და შერეული ტიპის პენიტენციური დაწესებულების არსებობის შემთხვევისა. შერეული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულები იზოლირებული უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისგან სულ მცირე ერთმანეთისგან განცალკევებული საცხოვრებელი ფართობებით.²⁶⁵ პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.²⁶⁶

4.4. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება და მისი ტიპები

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულება.²⁶⁷ თავის მხრივ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები იყოფა შემდეგ ტიპებად:

- ა) გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;
- ბ) დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;
- გ) ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;
- დ) დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;
- ე) განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;
- ვ) ქალთა სპეციალური დაწესებულება;
- ზ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება.²⁶⁸

²⁶² იქვე.

²⁶³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის წერილი #1910, 15.02.2024 წ.

²⁶⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 33.3.

²⁶⁵ იქვე, მუხლი 33.4.

²⁶⁶ იქვე, მუხლი 33.5.

²⁶⁷ იქვე, მუხლი 33.6.

²⁶⁸ იქვე, მუხლი 33.7.

4.4.1. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, დადგენილი წესით, გადაადგილდეს დაწესებულების ტერიტორიაზე. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრული პირობებითა და ვადით დატოვოს დაწესებულების ტერიტორია. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის მოთავსების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოთავსდეს საშიშროების დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებული, რომლის მიერ ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადა 1 წელს არ აღემატება. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებული თავსდება მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით. წერილობით თანხმობაში მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ თანახმაა, შეასრულოს გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის დადგენილი ვალდებულებები, აგრეთვე ისწავლოს ან/და იმუშაოს და მონაწილეობა მიიღოს ამ დაწესებულების მიერ შემოთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში. სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნულ თვისებებს, დანაშაულის ჩადენის მოტივს, დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გაქცევის რისკს, აგრეთვე იმ საფრთხეს, რომელიც მსჯავრდებულმა შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას.²⁶⁹

კანონმდებლობით დაუშვებელია გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მოთავსება. განსხვავებული მოცემულობაა ქალ მსჯავრდებულებთან. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოთავსდეს აგრეთვე ქალი მსჯავრდებული. საჭიროების შემთხვევაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ორსული ქალებისა და ბავშვებისათვის. დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვითა და პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანხმობით, შესაძლებელია დე-

²⁶⁹ იქვე, მუხლი 34.

დისა და 3 წლამდე ბავშვის ერთად ცხოვრება. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ვალდებულია შექმნას შესაბამისი პირობები. ქალ მსჯავრდებულებთან გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი 3 წლამდე ბავშვის კვებას, მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევასა და შესაბამის სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს უზრუნველყოფს სპეციალური პენიტენციური სამსახური. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი 3 წლამდე ბავშვის კვების ნორმები და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.²⁷⁰

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს უფლება, დატოვოს ეს დაწესებულება, თუმცა დატოვების შემთხვევაში ეკრძალება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა. დაწესებულების დატოვების უფლება მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს ერთ-ერთი შემდეგი პირობითა და ვადით:

- ა) გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ სწავლის ან/და მუშაობის შემთხვევაში, სასწავლო ან/და სამუშაო გრაფიკის შესაბამისად;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენებისა და უქმე დღეებში;
- გ) დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, 1 კვირის განმავლობაში, არა უმეტეს 3 დღე-ღამისა.²⁷¹

ზემოხსენებული უფლებით სარგებლობის შემთხვევაში გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის დაგვიანებით გამოცხადება ან გამოუცხადებლობა იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაგვიანებით გამოცხადების ან გამოუცხადებლობის მიზეზია ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

- ა) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა;
- ბ) მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობის დროს, კერძოდ, სტიქიური უბედურების, ავარიის, ხანძრის, მასობრივი არეულობის, სამხედრო მოქმედების, კარანტინის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში ან/და სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოცხადებას, რასაც ადასტურებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი.²⁷²

²⁷⁰ იქვე, მუხლი 39.5-39.6.

²⁷¹ იქვე, მუხლი 34.

²⁷² იქვე.

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში. თუ მსჯავრდებული არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, არღვევს გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით დადგენილ მოთხოვნას ან/და თუ მან ამ დაწესებულებაში ქცევა მკვეთრად უარყოფითად შეიცვალა, დაწესებულების დირექტორი სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს მიმართავს შუამდგომლობით მსჯავრდებულის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ.²⁷³

4.4.2. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელს იხდის, როგორც წესი, მსჯავრდებული, რომლის პიროვნული თვისებები, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ საფრთხე, რომელიც მან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან გარშემომყოფებს, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცავი ორგანოების უსაფრთხოებას, დაბალია. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებული თავსდება მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. წერილობით თანხმობაში მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ თანახმაა, შეასრულოს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის დადგენილი ვალდებულებები, აგრეთვე ისწავლოს ან/და იმუშაოს და მონაწილეობა მიიღოს ამ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, ამ დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით, გადაადგილდეს დაწესებულების ტერიტორიაზე. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულისთვის სწავლა ან/და მუშაობა და ამ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში მონაწილეობა სავალდებულოა.²⁷⁴

4.4.3. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებული თავსდება მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. წერილობით თანხმობაში მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ თანახმაა, შეასრულოს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის დადგენილი ვალდებულებები, აგრეთვე ისწავლოს ან/და იმუშაოს და მონაწილეობა მიიღოს ამ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, ამ დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით, გადაადგილდეს დაწესებულების ტერიტორიაზე. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულისთვის სწავლა ან/და მუშაობა და ამ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში მონაწილეობა სავალდებულოა.

²⁷³ იქვე.

²⁷⁴ იქვე, მუხლი 35.

ვისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, დადგენილი წესით, გადაადგილდეს დაწესებულების ტერიტორიაზე. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელს იხდიან, როგორც წესი: პირი, რომელიც მსჯავრდებულია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და რომლისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატება 10 წელს; მსჯავრდებული, რომელიც, ამ კოდექსით დადგენილი წესით, გადმოყვანილია სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან; ქალი, რომელსაც სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთა აქვს დანიშნული. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოთავსდეს აგრეთვე სხვა მსჯავრდებული რისკის ფაქტორის გათვალისწინებით.²⁷⁵

4.4.4. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სასიგნალიზაციო სისტემით აღჭურვილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელს იხდიან, როგორც წესი: პირი, რომელიც პირველად არის მსჯავრდებული განზრახი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის და რომელსაც სასამართლომ დაუნიშნა 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა; განზრახი დანაშაულისთვის არაერთგზის ნასამართლევ პირი, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირი და ადრე ნასამართლევ პირი, რომლებსაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ დანიშნული; მსჯავრდებული, რომელიც, ამ კოდექსით დადგენილი წესით, გადმოყვანილია სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოთავსდეს აგრეთვე სხვა მსჯავრდებული რისკის ფაქტორის გათვალისწინებით.²⁷⁶

4.4.5. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სასიგნალიზაციო სისტემით აღჭურვილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც მიღებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები და უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. განსაკუთ-

²⁷⁵ იქვე, მუხლი 36.

²⁷⁶ იქვე, მუხლი 37.

რებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები, როგორც წესი, განთავსებული არიან სპეციალურ, ერთადგილიან ან ორადგილიან საკნებში, სადაც მუდმივად ხორციელდება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. აუდიოსაშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მსჯავრდებულის ერთადგილიან საკანში ან ორადგილიან საკანში განცალკევებით მოთავსების წინაპირობები და წესი განისაზღვრება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად თავსდება საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებული, რომლის პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის, ან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან გარემომცემს, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცავი ორგანოების უსაფრთხოებას.²⁷⁷

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული არ სარგებლობს:

- ა) შრომითი უზრუნველყოფის უფლებით;
- ბ) განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლებით;
- გ) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით.²⁷⁸

საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პარლამენტის წევრის, სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საერთაშორისო ორგანიზაციის (რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე), საქართველოს სამინისტროს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახალხო დამცველის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, ადვოკატის, პროკურორისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს მიერ მსჯავრდებულის სახელზე გაგზავნილი კორესპონდენციის განხილვა ხორციელდება მსჯავრდებულის თანდასწრებით, რომლის დროსაც ვიზუალური დათვალეობა კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე უნდა განხორციელდეს.²⁷⁹ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, ამ დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით, მიიღოს გზავნილი.²⁸⁰

²⁷⁷ იქვე, მუხლი 38.1. – 38.4.

²⁷⁸ იქვე, მუხლი 38.5.

²⁷⁹ იქვე, მუხლი 38.6 და მუხლი 115.7. და 115.8.

²⁸⁰ იქვე, მუხლი 38.7.

4.4.6. ქალთა სპეციალური დაწესებულება

ქალთა სპეციალური დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსებული არიან ქალი მსჯავრდებულები, მათ შორის, არასრულწლოვნები. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მსჯავრდებულები, როგორც წესი, განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ქალთა სპეციალური დაწესებულება, როგორც წესი, გათანაბრებულია ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასთან, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მსჯავრდებული შეიძლება განთავსდეს რისკის შესაბამისად, ამ დაწესებულების ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ორსული ქალებისა და ბავშვებისთვის. დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვითა და ამ დაწესებულების დირექტორის თანხმობით, შესაძლებელია დედისა და 3 წლამდე ბავშვის ერთად ცხოვრება. ქალთა სპეციალური დაწესებულება ვალდებულია შექმნას შესაბამისი პირობები.²⁸¹

4.4.7. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება არის არასრულწლოვანთა განსაკუთრებული საჭიროებების შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და პერსონალით უზრუნველყოფილი, განსაკუთრებულად დაცული დაწესებულება, რომელშიც ათავსებენ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს და სადაც უზრუნველყოფილია მათი მუდმივი მეთვალყურეობა.²⁸² არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვნები განთავსებული არიან სპეციალურ საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.²⁸³

4.5. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება არის საქართველოს პენიტენციურ სისტემაში შემავალი დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას, პროფილაქტიკას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ პირობებში.²⁸⁴

²⁸¹ იქვე, მუხლი 39.1. – 39.5.

²⁸² საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3.17.

²⁸³ იქვე, მუხლი 79.3.

²⁸⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 33.8.

მეხუთე თავი

პენიტენციურ დაწესებულებაში მიღება

5.1. პენიტენციურ დაწესებულებაში მიღება, განაწილება, რეესტრი და რისკების შეფასება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

5.1.1. ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიღება

- ბრალდებულის მიღება

პენიტენციური კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მოსათავსებლად აუცილებელია პირისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, ბრალდებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტი ფოტოსურათით, აგრეთვე დაკავების ოქმი, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია დაკავების ოქმის შედგენა. პირი, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, თავსდება პატიმრობის დაწესებულებაში (პენიტენციური კოდექსის 45-ე მუხლი). ამავე კოდექსის 46-ე მუხლის თანახმად, ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირები პენიტენციურ დაწესებულებაში ცალ-ცალკე თავსდებიან. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია მიიღოს ზომები მათი ერთმანეთთან ურთიერთობის დაუშვებლობის უზრუნველსაყოფად. ეს წესი გამოძიების, პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე სხვა ბრალდებულებზე.

პენიტენციური კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, პატიმრობის დაწესებულება ვალდებულია ბრალდებულის პატიმრობის აღსრულების ადგილზე მიღების შესახებ დაუყოვნებლივ, ან მისი მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა, აცნობოს გამოძიებელს, პროკურორს, სასამართლოს და ბრალდებულის ახლო ნათესავს, აგრეთვე ბრალდებულის თხოვნით – სხვა პირს ან/და ბრალდებულის ადვოკატს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

პენიტენციური კოდექსის 47-ე მუხლი ადგენს ბრალდებულის დაწესებულებაში მიღების წესს. ამ მუხლის თანახმად, ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას სავალდებულოა მისი ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპირება. ფოტოსურათები და მათი ნეგატივები, აგრეთვე დაქტილოსკოპირული ბარათი და ბრალდებულის სიტყვიერი პორტრეტი ინახება ბრალდებულის პირად საქმეში, რომელიც მისი მსჯავრდების შემთხვევაში გადაეგზავნება შესაბამის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას. ბრალდებულის დაქტილოსკოპირული ბარათსა და ფოტოსურათის ელექტრონულ ვერსიას პატიმრობის დაწესებულება დაქტილოსკოპირებიდან და ფოტოგრაფირებიდან 7 დღის ვადაში უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას ბრალდებული და მისი პირადი ნივთები საგულდაგულოდ მოწმდება და ამის შესახებ დგება შესაბამისი აქტი. ბრალდებულის შემოწმებას ახორციელებს პატიმრობის დაწესებულების იმავე სქესის თანამშრომელი. პატიმრობის დაწესე-

ბულებში მიღებისას ბრალდებულმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება. მას ახორციელებს პატიმრობის დაწესებულების ექიმი. ბრალდებულის სამედიცინო შემოწმების შესახებ დგება შესაბამისი ცნობა. ბრალდებულის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში პატიმრობის დაწესებულების ექიმი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საგამომძიებო ორგანოს. ბრალდებულს დაუყოვნებლივ, წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა გააცნონ მისი უფლებები და მოვალეობები, მის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, მის მიერ ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები, დისციპლინური სამართალწარმოების წესები, აგრეთვე მის მიმართ წაყენებული სხვა მოთხოვნები.

ამავე კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებიდან გადაყვანისას მისი მიმღები პატიმრობის დაწესებულება ვალდებულია ამის თაობაზე დაუყოვნებლივ ან მისი მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა აცნობოს გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს და ბრალდებულის ახლო ნათესავს, აგრეთვე ბრალდებულის თხოვნით – სხვა პირს ან/და ბრალდებულის ადვოკატს მის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებიდან გაყვანის ან გადაყვანის შემთხვევაში პატიმრობის დაწესებულების ექიმი ახორციელებს ბრალდებულის სამედიცინო შემოწმებას. ბრალდებულის სამედიცინო შემოწმების შესახებ დგება შესაბამისი სამედიცინო ცნობა.

- მსჯავრდებულის მიღება

პენიტენციური კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსათავსებლად აუცილებელია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, მსჯავრდებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტი ფოტოსურათით, აგრეთვე დაკავების ოქმი, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია დაკავების ოქმის შედგენა. ამავე კოდექსის 42-ე მუხლის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ვალდებულია მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ადგილზე მიღების შესახებ დაუყოვნებლივ ან მისი მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა აცნობოს შესაბამისი განაჩენის გამომტან სასამართლოს და მსჯავრდებულის ახლო ნათესავს, აგრეთვე მსჯავრდებულის თხოვნით – სხვა პირს ან/და მსჯავრდებულის ადვოკატს.

პენიტენციური კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულს დაუყოვნებლივ, წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა გააცნონ მისი უფლებები და მოვალეობები, მის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, მის მიერ ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები, დისციპლინური სამართალწარმოების წესები, აგრეთვე მის მიმართ წაყენებული სხვა მოთხოვნები.

ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს მიერ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშნიდან არაუგვიანეს 20 დღისა სამსახურის გენერალური დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა მოიხადოს მსჯავრდებულმა

სასჯელი. სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი უზრუნველყოფს მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნას სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან არაუგვიანეს 20 დღისა. მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად მიღებიდან 60 დღის ვადაში შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია მსჯავრდებულის რისკის შეფასების გუნდს მსჯავრდებულის რისკის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარუდგინოს სათანადო ინფორმაცია. სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მსჯავრდებული, რომელმაც პენიტენციურ დაწესებულებაში ქცევა (დამოკიდებულება) მკვეთრად უარყოფითად შეიცვალა ან/და რომლის აღნიშნულ პენიტენციურ დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია, დროებით, არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა, გადაიყვანოს დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის რისკის გადასაფასებლად. აღნიშნულ ვადაში მსჯავრდებულის რისკის შეფასების გუნდი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს მსჯავრდებულის რისკის გადაფასებას. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულზე ვრცელდება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულისთვის დადგენილი უფლებები და მოვალეობები.

პენიტენციური კოდექსის 96-ე მუხლის მიხედვით, პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებისას სავალდებულოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება. ამ შემოწმების შესახებ დგება შესაბამისი ცნობა, რომელიც ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათში ინახება.

5.1.2. პატიმრების განაწილება

პენიტენციური კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით, პენიტენციური დაწესებულების სახეებია: ა) პატიმრობის დაწესებულება; ბ) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; გ) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება.

პატიმრობის დაწესებულება არის დახურული, განსაკუთრებულად დაცული, სასაკნე ტიპის დაწესებულება, რომლის მიზანია ბრალდებულის იზოლაცია აღკვეთის ღონისძიების აღსრულების უზრუნველსაყოფად. პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი ამ კოდექსის 58-ე მუხლის შესაბამისად.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სასჯელების აღსრულების დაწესებულება.

პენიტენციური კოდექსი ითვალისწინებს როგორც ბრალდებულთა, ასევე მსჯავრდებულთა განცალკევებით მოთავსებას. ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირები პენიტენციურ დაწესებულებაში ცალ-ცალკე თავსდებათ. ასევე შესაძლებელია, რომ გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცალ-ცალკე განთავსდნენ სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის ბრალდებულებიც (პენიტენციური კოდექსის 46-ე მუხლი). ბრალდებულებისაგან განსხვავებით, პენიტენციური კოდექსის 56-ე მუხლი მკაფიოდ მიუთითებს მსჯავრდებულთა განთავსების თაობაზე. კერძოდ, ამ მუხლის მიხედ-

ვით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, განცალკევებით თავსდება: ა) ქალები; ბ) არასრულწლოვნები; გ) პირველად მსჯავრდებული პირები; დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ ან/და 143² მუხლით/მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე/დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობილი პირები; ე) პირები, რომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მათი წარსული სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, შეიძლება საფრთხე შეექმნას; ვ) განსაკუთრებით საშიში პირები, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და გარემომცემოფთ და ზ) პენიტენციური დაწესებულების სამკურნალო განყოფილებაში განცალკევებით თავსდება არამართვადი ინფექციური დაავადების მქონე პირები.

პენიტენციური კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებული, როგორც წესი, სასჯელს იხდის თავის ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

5.1.3. რისკის შეფასება/გადაფასება და მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია

პენიტენციური კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის რისკის შეფასებასა და პერიოდულ გადაფასებას უზრუნველყოფს რისკის შეფასების გუნდი (შემდგომ – გუნდი). მსჯავრდებულის რისკის სახეები, რისკის შეფასების კრიტერიუმები, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესი, მსჯავრდებულის სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესი, აგრეთვე გუნდის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის #395 ბრძანება - „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“ - არეგულირებს მსჯავრდებულთა რისკის შეფასებისა და გადაფასების საკითხს.

აღნიშნული ბრძანების მიხედვით, მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასებას ახორციელებს გუნდი, რომელიც შედგება 5 ძირითადი და 5 სათადარიგო წევრისაგან. გუნდის შემადგენლობაში შედიან: სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის წარმომადგენლები (სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი), აგრეთვე, დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს სამართლებრივი რეჟიმის სამმართველოს, ოპერატიული სამმართველოსა და სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს წარმომადგენლები.

2019 წლის იუსტიციის მინისტრის #395-ე ბრძანების თანახმად, მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაწესებულების, გარემომცემოფთა, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდა-

მცველი ორგანოების უსაფრთხოებისათვის მსჯავრდებულისგან მომდინარე საშიშროება, რომელიც განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების შეფასების საფუძველზე: ა) მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები; ბ) ჩადენილი დანაშაულის კატეგორია და დანაშაულის ჩადენის მოტივი; გ) დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი; დ) დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა; ე) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი იმგვარი ქმედება, რომელიც იწვევს/გამოიწვევს დაპირისპირებას მსჯავრდებულთა მასასთან და საფრთხეს უქმნის/შეუქმნის მსჯავრდებულის/სხვა მსჯავრდებულების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან პენიტენციური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას; ვ) დაწესებულების წარმომადგენლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან დამოკიდებულება, მათზე უარყოფითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა; ზ) დაწესებულების დებულებითა და დღის განრიგით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება; თ) ალკოჰოლის, აზარტული თამაშების, ნარკოტიკული, ახალი ფსიქოაქტიური და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულება; ი) მსჯავრდებულის მიერ წარსულში, ასევე დაწესებულებაში დანაშაულის ჩადენის ფაქტები; კ) დარჩენილი სასჯელის ხანგრძლივობა; ლ) დაწესებულებიდან გაქცევის ან გაქცევის მცდელობის ფაქტები; მ) წარსულში დაწესებულებაში სასჯელის მოხდის შემთხვევები; ნ) მსჯავრდებულის ასაკი; ო) ქურდულ სამყაროსთან/ტერორიზმთან დამოკიდებულება; პ) დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულობა; ჟ) ისეთი თვითდაზიანების მიყენების/მცდელობის ფაქტები, რომლითაც საფრთხე ექმნება ან შეიძლება შეექმნას დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას; რ) წახალისების, დისციპლინური სახდელის, დისციპლინური პატიმრობის გამოყენების ფაქტი.

რისკ-ფაქტორების განსაზღვრა პენიტენციური დაწესებულებების ყოველდღიურ საქმიანობას მიეკუთვნება. ამავე დროს, კრიმინალური პროგნოზის მიხედვით, გადაწყვეტილების მიმღები პირები ვალდებული არიან, გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ფაქტები გადაამოწმონ და გააანალიზონ.²⁸⁵ პატიმრისთვის გასაგები უნდა იყოს ის კრიტერიუმები, რომელთა საშუალებითაც მისი შეფასება ხდება. ბრძანებაში ჩამოთვლილი ფაქტორები განჭვრეტადი უნდა იყოს მსჯავრდებულისთვის. მსჯავრდებულს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გაუჩინდეს სამართლიანობის განცდა, რაც უნდა განდეს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის საფუძველი.

2019 წლის იუსტიციის მინისტრის #395-ე ბრძანება ასევე განსაზღვრავს საშიშროების რისკის შემდეგ სახეებს:

- ა) დაბალი - საშიშროების დაბალი რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარემომცოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცველი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის დაბალი (მინიმალური). დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

²⁸⁵ მ. შალიკაშვილი, დ. ჩხილაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 71.

- ბ) საშუალო - საშიშროების საშუალო რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარემომცოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის საშუალო. საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.
- გ) მომეტებული - საშიშროების მომეტებული რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარემომცოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის მომეტებული. მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.
- დ) მაღალი - საშიშროების მაღალი რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარემომცოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის მაღალი. მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

გენერალური დირექტორი დამოუკიდებლად განსაზღვრავს, საშიშროების რისკის შესაბამისი ტიპის რამდენიმე დაწესებულებიდან, რომელ დაწესებულებაში იქნება მსჯავრდებული გადაყვანილი სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით. მსჯავრდებულისათვის საშიშროების დაბალი ან საშუალო რისკის დადგენის მიუხედავად, გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული სასჯელის მოხდის მიზნით შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს დახურული ტიპის ან მაღალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როდესაც არსებობს უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენების რომელიმე საფუძველი, ან თუ არსებობს მსჯავრდებულის სიცოცხლის/ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების ან/და მისი დისკრიმინაციისაგან დაცვის აუცილებლობა მისივე წარსული საქმიანობიდან, ცხოვრების წესიდან, ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან ან სხვა ფაქტორიდან გამომდინარე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დახურული ტიპის ან მაღალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულზე ვრცელდება საშიშროების დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებულისათვის დადგენილი პაემნისა (ხანმოკლე, ხანგრძლივი, ვიდუპაემანი) და სატელეფონო საუბრის უფლებები.

პენიტენციური კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად მიღებიდან 60 დღის ვადაში შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდს მსჯავრდებულის რისკის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარუდგინოს სათანადო ინფორმაცია. ამავე მუხლის მიხედვით, სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მსჯავ-

ვრდებული, რომელმაც პენიტენციურ დაწესებულებაში ქცევა (დამოკიდებულება) მკვეთრად უარყოფითად შეიცვალა ან/და რომლის აღნიშნულ პენიტენციურ დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია, დროებით, არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა, გადაიყვანოს დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის რისკის გადასაფასებლად. აღნიშნულ ვადაში მსჯავრდებულის სამიშროების რისკების შეფასების გუნდი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს მსჯავრდებულის რისკის გადასაფასებას. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულზე ვრცელდება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულისთვის დადგენილი უფლებები და მოვალეობები.

ჩრდილოეთ ამერიკული ციხის მაგალითზე შრაგის²⁸⁶ მიერ, სამიშროების ხარისხის მიხედვით, ჩამოყალიბებულ იქნა მსჯავრდებულთა ოთხი ტიპი:²⁸⁷ პროსოციალური, ანტიპროსოციალური, ფსევდოსოციალური და ასოციალური.

პროსოციალური მსჯავრდებულები ორიენტირებულები არიან ლეგალურ ნორმებზე. მათ უფრო მეტი ურთიერთობა აქვთ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ვიდრე სხვა მსჯავრდებულებთან. მათი უმრავლესობა პირველად არის ციხეში, ან არასრულწლოვნობისა და მოზარდობის დროს არ გამოირჩეოდნენ კრიმინალური საქმიანობით. ხშირად ესენი არიან შემთხვევითი დამნაშავეები (Gelegenheitstäter) ან მოძალადეები, რომლებიც ძლიერი სოციალური ან ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ. პროსოციალური ტიპის მსჯავრდებულებს ნაკლები კრიმინალური საქმიანობის პრაქტიკა აქვთ. ისინი თავიანთ თავს არ მიიჩნევენ დამნაშავეებად (კრიმინალებად). მათ მჭიდრო კავშირი აქვთ საკუთარი ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან.

ანტისოციალური მსჯავრდებულები აღიარებენ კრიმინალურ ნორმებს, აქვთ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან მინიმალური კონტაქტი, მაგრამ ხშირი და კარგი კონტაქტი აქვთ, ასოციალური მსჯავრდებულების გარდა, ყველა სხვა ტიპის მსჯავრდებულებთან. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პროცენტული მაჩვენებელი მათში ძალიან მაღალია. ისინი ახალგაზრდობაშივე იწყებენ დანაშაულის ჩადენას და დანაშაულიდან შემოსული ქონებით ირჩენენ თავს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებია: ყაჩაღობა, ქურდობა ბინაში შეღწევით, ჯანმრთელობის დაზიანება. ისინი ეკონომიკურად დაბალი შესაძლებლობის მქონე ოჯახებიდან არიან და ღარიბულ სოციალურ გარემოში ცხოვრობენ.

ფსევდოსოციალური მსჯავრდებულების ტიპი ხშირად იცვლის ნორმებისადმი ორიენტაციას. მათი ნდობა არ შეიძლება. კარგი ურთიერთობა აქვთ როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ასევე მსჯავრდებულებთან. ისინი მოზარდობაში დანაშაულს არ სჩადიან. ისინი დანაშაულის ჩადენას მას შემდეგ იწყებენ, რაც რესპექტაბელურ საზოგადოებრივ პოზიციას მიაღწევენ. ისინი „თეთრსაყელიან“ დამნაშავეთა კატეგორიას განეკუთვნებიან. ძირითადად თაღლითობაა მათი დანაშაულებრივი საქმიანობა. ამ ტიპის მსჯავრდებულებისათვის დამახასიათებელია არათანმიმდევრული აღზრდა, საშუალო ფენიდან

²⁸⁶ C. Schrag, Some Foundation for a Theory of Correction. In: D. Cressey, (Ed.): The Prison. New York 1964.

²⁸⁷ K. Laubenthal, Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011. S. 128; S. Harbordt, Die Subkultur des Gefängnisses. Eine soziologische Studie zur Resozialisierung. Stuttgart 1967. S. 76.

წარმომავლობა და უკეთესი სასკოლო და სამუშაო მდგომარეობა, ვიდრე ანტი-სოციალური ტიპისათვის. შესაძლებელია, რომ ფსევდოსოციალური ტიპის მსჯავრდებულები უბრალოდ კარგი „მსახიობები“ იყვნენ.

ასოციალური მსჯავრდებულები, როგორც ფსევდოსოციალური მსჯავრდებულები, ლოიალურები არიან როგორც მორალური, ისე საკანონმდებლო ნორმების მიმართ. მათ არა აქვთ ხშირი კონტაქტი არც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, არც მსჯავრდებულებთან. მათ ნდობა არ აქვთ და შიშით ეკიდებიან ნებისმიერი სახის პერსონალურ ურთიერთობებს. ყველა დანარჩენი ტიპის მქონე მსჯავრდებულებთან შედარებით, მათ დანაშაულის ჩადენის ყველაზე დიდი სტაჟი აქვთ. მათში ძალიან მაღალია განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი. ისინი დანაშაულს ხშირად ყოველგვარი მოტივის გარეშე ჩადიან. ასოციალური მსჯავრდებულები მშობლებისაგან მიტოვებულები არიან. მათ სოციალური ურთიერთობების უნარი არა აქვთ განვითარებული. ისინი ზედმეტად ეგოცენტრულები არიან და არ შეუძლიათ წარსულის შეცდომებზე სწავლა და საკუთარი მომავლის დაგეგმვა.

წარმატებული რესოციალიზაცია შესაძლებელია პროსოციალური მსჯავრდებულებისათვის. ისინი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ შემოთავაზებულ სარეაბილიტაციო-ადმინისტრაციულ პროგრამებში. საკითხავია მხოლოდ, როგორ დაიცავენ რესოციალიზაციის შედეგებს გრძელვადიანი სასჯელის მოხდის შემთხვევაში პროსოციალური ტიპის მსჯავრდებულები კრიმინალური სუბკულტურის ზეწოლის შემთხვევაში.

5.1.4. პატიმართა რეესტრი და პირადი საქმის წარმოება

პენიტენციური კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, სპეციალური პენიტენციური სამსახური უფლებამოსილია აწარმოოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმისა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რეესტრი.

ამავე კოდექსის 43-ე მუხლის მიხედვით, ბრალდებული, რომელიც პატიმრობის დაწესებულებაში მიიღება, აღირიცხება ბრალდებულთა რეესტრში, ხოლო მსჯავრდებული, რომელიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაიგზავნება - მსჯავრდებულთა რეესტრში. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრი შეიძლება იწარმოებოდეს ელექტრონული ფორმით, მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

პენიტენციური კოდექსის 44-ე მუხლი, არეგულირებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის წარმოების საკითხებს. ამ ნორმის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმე დგება მისი პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებიდან მის გათავისუფლებამდე. ბრალდებულის/მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ მისი პირადი საქმე სამსახურის არქივში ინახება. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის წარმოების წესს, ამ საქმისთვის დასართავი დოკუმენტების ჩამონათვალსა და საქმის სამსახურის არქივში შენახვის ვადას განსაზღვრავს მინისტრი. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეში უნდა იყოს მონაცემები მისი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის შევსების კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედა-

ნაცოფი. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანისას მისი პირადი საქმე შესაბამის დაწესებულებას ეგზავნება. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, გაცენოს თავის პირად საქმეს. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის უფლება აქვთ აგრეთვე სპეციალურად უფლებამოსილ პირებს, რომელთა ნუსხას ამტკიცებს მინისტრი.

5.2. პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების საერთაშორისო სტანდარტები

5.2.1. ევროპული ციხის წესები პატიმრის დაწესებულებაში მიღებისა და განაწილების თაობაზე

ევროპული ციხის წესების 14-18 წესები ეხება პატიმრის მიღებისა და განაწილების საკითხს. ევროპული ციხის წესების მიხედვით, არცერთი პირის მიღება ან მოთავსება საპატიმრო დაწესებულებაში არ უნდა მოხდეს შესაბამისი სათანადო აქტის გარეშე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მიღებისას თითოეულ პატიმართან დაკავშირებით დაუყოვნებლივ უნდა დაფიქსირდეს შემდეგი დეტალები: ა) პატიმრის პირადობის დამადასტურებელი ინფორმაცია; ბ) დაპატიმრების მიზეზი და პასუხისმგებელი პირი, რომელმაც გასცა შესაბამისი განკარგულება; გ) მიღების დღე და საათი; დ) პატიმრის პირადი ნივთების ნუსხა, რომლებიც უნდა მოთავსდეს საპატიმრო დაწესებულების შემნახველ განყოფილებაში; ე) ყოველი ხილული დაზიანება და საჩივარი მოყვანამდე განცდილ ცუდად მოპყრობასთან დაკავშირებით; ვ) სამედიცინო საიდუმლოებას დაქვემდებარებული ნებისმიერი ინფორმაცია პატიმრის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რომელსაც მნიშვნელობა აქვს პატიმრის ან სხვათა ფიზიკური ან ფსიქიკური კეთილდღეობისთვის. დაწესებულებაში მიღებისას ყველა პატიმარს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია 30-ე წესის შესაბამისად²⁸⁸ და გაიცეს შეტყობინება პატიმრის საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ.

დაწესებულებაში მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე უნდა მოხდეს: ა) პატიმრის ჯანმრთელობის შემოწმება; ბ) პატიმრისათვის უსაფრთხოების სათანადო დონის განსაზღვრა; გ) უსაფრთხოებისადმი საშიშროება, რომელსაც პატიმარი წარმოადგენს; დ) პატიმრის სოციალური მდგომარეობის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის შეფასება, რათა მოხდეს მისი პირადი საჭიროებების დამყოფილება.

ევროპული ციხის წესების თანახმად, მსჯავრდებულის განაწილებისა და განთავსების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი: პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს თავიანთ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან; განთავსება ასევე უნდა ითვალისწინებდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაგრძელების მოთხოვნებს, ასევე უსაფრ-

²⁸⁸ ევროპული ციხის წესების 30 მუხლის თანახმად, მიღებისას და შემდგომ, საჭიროებისამებრ, პატიმრებს ხშირად უნდა ეცნობოთ წერილობით და ზეპირად, მათთვის გასაგებ ენაზე თავიანთი უფლებების, მოვალეობებისა და ციხის დისციპლინის მარეგულირებელი წესების შესახებ. პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება თავიანთ საკუთრებაში იქონიონ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის წერილობითი ვერსია. პატიმრებს უნდა შეატყობინონ მათთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოებისა თუ საპროცესო მოქმედებების შესახებ, ან მსჯავრდებულების შემთხვევაში – მოსახდელი ვადისა და პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობების შესახებ.

თხოვებისა და უშიშროების საჭიროებებს და ყველა პატიმრისთვის სათანადო რეჟიმების უზრუნველყოფის საჭიროებებს; რამდენადაც ეს შესაძლებელია, პატიმრებთან უნდა ჩატარდეს კონსულტაცია მათი საწყისი განთავსების ადგილის შესახებ, ასევე ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში შემდგომი გადაყვანისას; პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი შენობა, განსაკუთრებით კი საძინებელი კორპუსი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების, პატივისცემისა და შეძლებისდაგვარად, ასევე განმარტობის მოთხოვნებს. ასევე დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, კლიმატური პირობებისა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰერის მოცულობის, განათების და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით.

პატიმრების კონკრეტულ დაწესებულებაში მოთავსების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების კონკრეტულ განყოფილებაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მოხდეს საპატიმროში მოთავსების შემდეგი პირობების სათანადო გათვალისწინება: ა) მიუსჯელი პატიმრების მისჯილებისაგან ცალკე მოთავსება; ბ) მამაკაცი პატიმრების ქალი პატიმრებისაგან განცალკევებით მოთავსება; და გ) ახალგაზრდა მოზრდილი პატიმრების შედარებით ასაკიანი პატიმრებისაგან ცალკე მოთავსება.

5.2.2. ნელსონ მანდელას წესები პატიმრის დაწესებულებაში მიღებისა და განაწილების თაობაზე

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) შემდგენილია განმარტავს პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მიღების, კატეგორიზაციისა და განთავსების პროცესს (**წესი 6-18**). პატიმრის ციხეში მიღება დაუშვებელია პატიმრობის შესახებ მოქმედი ბრძანების [სასამართლო გადაწყვეტილების] გარეშე. თითოეული პატიმრის მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი სახის ინფორმაცია: ა) ზუსტი ინფორმაცია, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს მისი უნიკალური იდენტობა, მისი თვითაღქმული გენდერის პატივისცემით; ბ) თავისუფლების აღკვეთის მიზეზები და აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანო, ასევე, დაპატიმრების თარიღი, დრო და ადგილი; გ) მისი მიღების, გათავისუფლების და ნებისმიერი გადაყვანის თარიღი და დრო; დ) სხეულის ნებისმიერი სახის ხილული დაზიანება ან საჩივარი არასათანადო მოპყრობის შესახებ; ე) მის პირად სარგებლობაში არსებული ნივთების ინვენტარიზაცია; ვ) ოჯახის წევრების, მათ შორის, შვილების, ვინაობა; შვილების ასაკი, ადგილსამყოფელი და მეურვეობის ან მზრუნველობის სტატუსი; ზ) დეტალები და ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების დროს საკონტაქტო ახლობლის შესახებ. პატიმრობის მიმდინარეობისას, პატიმრის პირადი მონაცემების აღრიცხვის სისტემაში უნდა მოხდეს შემდეგი სახის ინფორმაციის შეტანა: ა) ინფორმაცია სასამართლო პროცესის შესახებ, მათ შორის, სასამართლო მოსმენებისა და სამართლებრივი წარმომადგენლობის თარიღები; ბ) პირველადი შეფასებისა და კლასიფიკაციის შესახებ ანგარიშები; გ) ქცევისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია; დ) განცხადებები და საჩივრები, მათ შორის, სავარაუდო წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შესახებ, გარდა კონფიდენციალური შემთხვე-

ვებისა; ე) ინფორმაცია დისციპლინური სანქციების შესახებ; ვ) ინფორმაცია ნებისმიერი სახის დაზიანების ან სიკვდილის გარემოებებისა და მიზეზების შესახებ. პატიმრის ყოველგვარი ჩანაწერის შენახვა უნდა ხდებოდეს კონფიდენციალურად და მასზე წვდომა უნდა ჰქონდეთ მხოლოდ შესაბამისი პროფესიული პასუხისმგებლობის მქონე პირებს. თითოეულ პატიმარს უნდა მიენიჭოს უფლება, ჰქონდეს წვდომა საკუთარი თავის შესახებ ჩანაწერებზე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად რედაქტირების გათვალისწინებით. პატიმარს ასევე აქვს უფლება, გათავისუფლების დროს მიიღოს ნებისმიერი მსგავსი ჩანაწერის ოფიციალური ასლი.

პატიმრების შესახებ მონაცემების აღრიცხვის მართვის სისტემა ასევე გამოიყენება ციხის პოპულაციის მახასიათებლების, მათი განთავსების დატვირთულობის ტენდენციების შესახებ სანდო მონაცემების მისაღებად და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად (წესი #10).

პატიმრების სხვადასხვა კატეგორია შემდეგნაირად ნაწილდება: ა) მამაკაცები და ქალები შეძლებისდაგვარად უნდა განთავსდნენ განცალკევებულ დაწესებულებაში. თუ მამაკაცები და ქალები მოთავსებული არიან ერთსა და იმავე დაწესებულებაში, ქალებისთვის გამოყოფილი ფლიგელი უნდა იყოს სავსებით ცალკე; ბ) ბრალდებულები უნდა განთავსდნენ მსჯავრდებულებისგან განცალკევებულად; გ) გადაუხდელი ვალის გამო ან სხვა სამოქალაქო საქმეებზე დაპატიმრებული პირები უნდა განთავსდნენ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პატიმრებისაგან განცალკევებით; ე) არასრულწლოვანი პატიმრები უნდა განთავსდნენ სრულწლოვანი პატიმრებისგან განცალკევებით (წესი #11).

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) მიუთითებენ კონკრეტულ გარემოებებზე, რომლებსაც **პენიტენციური დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს პატიმრის** განთავსების დროს (წესი #12-17). ეს პირობებია: პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ცალკე საკანი ან ოთახი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა, მაგალითად, დროებითი გადატვირთულობა, აუცილებელი ხდება ცენტრალურმა ციხის ადმინისტრაციამ მიიღოს გამონაკლისი წესი; საერთო საკნებში მოსათავსებელი პატიმრების შერჩევა უნდა ხდებოდეს ძალიან გულდასმით, რათა ეჭვგარეშე იყოს, რომ მათ შეუძლიათ ასეთ პირობებში ერთად ცხოვრება; ყველა ადგილი, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები, განსაკუთრებით ყველა საძინებელი ოთახი, სრულად უნდა პასუხობდეს სანიტარიულ მოთხოვნებს, განსაკუთრებით ჰაერის კუბურ მოცულობას, მინიმალურ ფართობს, განათებას, გათბობასა და ვენტილაციას. ყველა დაწესებულებაში, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები:

ა) ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის, იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე და კონსტრუირებული უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა; ბ) ხელოვნური განათება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე; სანიტარიული მოწყობილობები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ თითოეულმა პატიმარმა შეძლოს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საჭიროებისამებრ, სისუფთავისა და დამაკმაყოფილე-

ბელ პირობებში; სათანადო სააბაზანო და საშხაპე მოწყობილობანი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ისე, რომ ყოველ პატიმარს შეეძლოს და იყოს ვალდებული, იბანაოს, ან მიიღოს შხაპი შესაბამის ტემპერატურაზე (კლიმატის მიხედვით) და ისეთი სიხშირით, როგორც ამას მოითხოვს ჰიგიენის საერთო ნორმები, წლის პერიოდისა და გეოგრაფიული რაიონის გათვალისწინებით, ანუ ზომიერი კლიმატის პირობებში - კვირაში ერთხელ მაინც; დაწესებულების ყველა იმ ნაწილში, რომელითაც პატიმრები რეგულარულად სარგებლობენ, უნდა იყოს სათანადო წესრიგი და განსაკუთრებული სისუფთავე.

5.3. პენიტენციურ დაწესებულებაში მიღება, განაწილება, რეესტრი და რისკების შეფასებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები

5.3.1. პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა

პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისა და განაწილების პირველი გამოწვევა არის პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთვა. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით, 2023 წლის ბოლოს გადატვირთულობის პრობლემა კვლავ აქტუალური იყო როგორც ნახევრად ღია, ისე დახურული ტიპის ისეთი დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში, როგორებიცაა: №15 (ლიმიტი - 1388 პატიმარი, დადგენილ ლიმიტს აღემატებოდა 427 პატიმრით), №8 (ლიმიტი - 2426 პატიმარი, დადგენილ ლიმიტს აღემატებოდა 166 პატიმრით) და №2 (ლიმიტი - 168 პატიმარი, დადგენილ ლიმიტს აღემატებოდა 21 პატიმრით) პენიტენციური დაწესებულებები. ამ დაწესებულებებში დარღვეული იყო კანონმდებლობით დადგენილი ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების რაოდენობრივი ლიმიტი.²⁸⁹

„ამ დაწესებულებებში, გადატვირთულობის გამო, პატიმრების საკნებში განაწილების დროს კვლავ ყურადღების მიღმა რჩება პატიმრის პიროვნული თვისებები, ჩვევები, ქცევა, რისკები. შედეგად, განსხვავებული კატეგორიისა და მსოფლმხედველობის პატიმრებს ერთ საკანში უწევთ თანაცხოვრება, რაც დახურული სივრცის პირობებში ხშირად ხდება პატიმართა შორის უთანხმოების მიზეზი“.²⁹⁰

ციხეში რისკების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების ხელთ არსებული ინფორმაცია.²⁹¹

5.3.2. მსჯავრდებულების განთავსება ოჯახის წევრებთან ახლოს

საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, „მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ მათი და მათი ოჯახის წევრების (ახლო ნათესავები) საცხოვრებელი ადგილია აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ესა თუ ის მუნიციპალიტეტი და ვინაიდან განთავსებულნი იყვნენ №2 პენიტენციურ დაწესებულებაში (ქუთაისი), შესაბამისი ტიპის (რისკის) აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში ითხოვდნენ გადაყვანას.

²⁸⁹ სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში 2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ. 66.

²⁹⁰ იქვე, 67.

²⁹¹ ნ. მჭედლიძე, სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი, 2019, გვ. 12.

ტერიტორიული სიშორე, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით (მშობელთა ხანდაზმული ასაკი, მცირეწლოვანი შვილები, ოჯახის წევრების ჯანმრთელობის პრობლემები, მატერიალური მდგომარეობა და სხვ.), მნიშვნელოვანი გამოწვევაა. შედეგად, მსჯავრდებულები ვერ სარგებლობენ ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებით. შესწავლილი საქმეების ანალოზიდანაც ჩანს, რომ ლეგიტიმურ საფუძველს მოკლებულია პენიტენციური სამსახურის გადაწყვეტილებები, ინდივიდუალურ შემთხვევებში, უსაფრთხოების ან გადატვირთულობის თავიდან არიდების მოტივით, მსჯავრდებულები განათავსონ მათი ან მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილებიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში“.²⁹²

პატიმარი ციხეში შესვლის შემდეგ კარგავს ჩვეული სოციალური ცხოვრების გარემოს, ჩვეულ (მათ შორის ოჯახურ) კავშირებს. პატიმრობით, განსაკუთრებით ოჯახური და პარტნიორული ურთიერთობებისთვის, წარმოიქმნება პრობლემები და დიდია ამ ურთიერთობის გაწყვეტის რისკი.²⁹³ გერმანიაში ჩატარებულმა სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ გრძელვადიანი პატიმრების, ერთ შემთხვევაში 50%-მა და მეორე შემთხვევაში 70%-მა, რომლებიც პატიმრობამდე იმყოფებოდნენ ქორწინებაში ან პარტნიორულ ურთიერთობაში, პატიმრობის პერიოდში დაკარგა ურთიერთობა პარტნიორთან.²⁹⁴

ოჯახური ურთიერთობის აუცილებელი პირობა არის პაემნის უფლება და ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობა. თუ პატიმარი სასჯელს იხდის შორს საკუთარი ოჯახის წევრისგან, მუშაობელი ხდება პაემნის უფლების განხორციელება, რაც, როგორც აღინიშნა, შესაძლებელია დასრულდეს ოჯახის დანგრევითა და მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესებით.²⁹⁵ იმისათვის, რომ პატიმარმა შეინარჩუნოს ურთიერთობა გარესამყაროსთან, დანიის ზოგიერთი ციხე კვირაში რამდენიმესაათიანი პაემნის უფლებას აძლევს პატიმარს; საფრანგეთსა და ლიეტუვაში პატიმრებს უფლება ჰქონდათ ესარგებლათ გრძელვადიანი პაემნით, ზედამხედველობის გარეშე.²⁹⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ ხაზი გაუსვა ოჯახთან ურთიერთობის მნიშვნელობას მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საკითხში და აღნიშნა, რომ „თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენებას, თავისთავად, თან სდევს ოჯახის წევრებთან და გარესამყაროსთან კავშირის ქონის შესაძ-

²⁹² სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში 2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ. 138.

²⁹³ Thiele, Ch. W., Ehe- und Familienschutz im Strafvollzug. Strafvollzugsrechtliche und –praktische Maßnahmen und Rahmenbedingungen zur Aufrechterhaltung familiärer Beziehungen von Strafgefangenen. Mönchengladbach 2016. S. 43.

²⁹⁴ Thiele, Ch. W., Ehe- und Familienschutz im Strafvollzug. Strafvollzugsrechtliche und –praktische Maßnahmen und Rahmenbedingungen zur Aufrechterhaltung familiärer Beziehungen von Strafgefangenen. Mönchengladbach 2016. S. 67.

²⁹⁵ ამ წიგნის (თავის) ავტორი წლების განმავლობაში იყო პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს წევრი. იყო შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანი იყო აჭარის რეგიონიდან და სასჯელს იხდიდა #11 პენიტენციურ დაწესებულებაში, თბილისში. ამ არასრულწლოვანს 9 თვის განმავლობაში არ ჰქონდა ერთი პაემნის უფლებაც კი განხორციელებული, იმის მიუხედავად, რომ ამ მოზარდს მშობლები ჰყავდა.

²⁹⁶ Debus, E. K., Konzeptionen ausgewählter deutscher Bundesländer zum Umgang mit besonders sicherungsbedürftigen Gefangenen. Mönchengladbach. 2020. S. 157.

ლებლობის შეზღუდვა... თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენება არ გულისხმობს პირის აბსოლუტურ იზოლირებას და მისთვის ოჯახის წევრებთან კონტაქტის სრულ აკრძალვას. როგორც აღინიშნა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ იმ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც ხელს უწყობენ მის შემდგომ რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას. პირადი და ოჯახური ცხოვრების კონსტიტუციური უფლება ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ გარკვეული ხარისხით მაინც უზრუნველყოს პირის შესაძლებლობა, იქონიოს კონტაქტი ოჯახის წევრებთან“.²⁹⁷

5.3.3. პატიმართა პერსონალური მონაცემების დაცვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს განეკუთვნება მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება.

„როგორც ევროპული კავშირის, ისე ევროპის საბჭოს კანონმდებლობის მიხედვით, არსებობს პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიები, რომლებიც, თავიანთი ბუნების თანახმად, დამუშავებისას შესაძლოა შეიცავდეს რისკებს მონაცემთა სუბიექტებისთვის და, შესაბამისად, საჭიროებს გაძლიერებულ დაცვას. სპეციალური კატეგორიის მონაცემთა (სენსიტიური მონაცემები) დამუშავება შესაძლებელია ნებადართულ იქნეს მხოლოდ დაცვის სპეციალური ზომების არსებობის გათვალისწინებით“.²⁹⁸

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, ასეთი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება, თუ:

- საჭიროა დანაშაულის თავიდან აცილების (მათ შორის, სათანადო ანალიტიკური კვლევის), დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, დროებითი მოთავსების იზოლატორში პირის განთავსების უზრუნველყოფის, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საერთაშორისო

²⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის #1/704 გადაწყვეტილება ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 16.

²⁹⁸ მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი, სახელმძღვანელო, თარგმნის ავტორი: კ. გომადე, რედ.: მ. ბეგიაშვილი, თბილისი, 2015, გვ. 57.

დაცვის განხორციელების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების, სამოქალაქო და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან/და მართლწესრიგის დაცვის (მათ შორის, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოს ან სასამართლოს მიერ კრიმინოლოგიური კვლევის ჩატარების) მიზნებისთვის;

- მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, აგრეთვე არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციის მიზნით.

მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა პერსონალური მონაცემების დაცვის კონცეფციის ძირითადი იდეა მდგომარეობს სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში, დამუშავებასა და გამოყენებაში.²⁹⁹ თუმცა აღნიშნული უნდა განხორციელდეს კანონის ფარგლებში და მიზნებისათვის, რა დროსაც დაცულ უნდა იქნეს თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპი. „თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, დაპირისპირებული ინტერესები, უფლებები ან სამართლებრივი პრინციპები ერთმანეთთან თანხვედრაში შეიძლება მოვიდეს თანაზომიერი შეფასებით, რაც გულისხმობს საკითხის ისეთ გადაჭრას, როცა პრიორიტეტი ენიჭება ისეთი ინტერესის, უფლება-თავისუფლების ან სამართლებრივი სიკეთის დაცვას, რომელიც უფრო მეტად ღირებულია და აღემატება დაპირისპირებულ სიკეთეს“.³⁰⁰ ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების დღეს არსებული მეთოდები და სისწრაფე ზრდის ალბათობას, დაირღვეს მოქალაქის, მათ შორის მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა, პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და გამოყენების წესი, რითაც ირღვევა მისი უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ იცოდეს, ვინ, რა და საიდან იცის მის შესახებ.³⁰¹

„პირადი ცხოვრება“ ამომწურავ განმარტებას არ ექვემდებარება. „იგი მოიცავს პირის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური იდენტობის ასპექტებს, როგორცაა პირადი ავტონომიისა და პირადი განვითარების უფლება, სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობის უფლება“.³⁰²

პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს ინდივიდის ცხოვრების ინტიმურ, კერძო და სოციალურ სფეროებს. დაყოფა ეფუძნება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებულ ე. წ. „სფეროთა თეორიას“, რომლის მიხედვითაც პიროვნების თავისუფალი განვითარების სხვადასხვა სფერო განსხვავებული ხარისხითაა დაცული. შიდა (ინტიმური) სფერო არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებელი ნაწილი და სრულად დაცულია სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევებისაგან. ინტიმურ სფეროს მოსდევს კერძო (საიდუმლო) სფერო, რომელში ჩარევაც შესაძლებელია, მაგრამ თანაზომიერების პრინციპის განსაკუთრებით მკაცრი დაცვით. გარე (სოციალური) სფერო ყველაზე ნაკლებადაა დაცული და

²⁹⁹ Laubenthal. K., Strafvollzug. 6. neu bearbeitete Auflage. Würzburg 2011. S. 583.

³⁰⁰ ბ. ლოლაძე, ა. ფირცხალაიშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბილისი, 2023, გვ. 60.

³⁰¹ Laubenthal. K., Strafvollzug. 6. neu bearbeitete Auflage. Würzburg 2011. S. 584.

³⁰² ნ. მჭედლოძე, სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი, 2019, გვ. 282.

მასში ჩარევების გამართლება შესაძლებელია ე. წ. „ნორმალური“ კრიტერიუმების საფუძველზე.³⁰³

მსჯავრდებულთან/ბრალდებულთან მიმართებით ინტიმური სფეროა, მაგალითად გრძელვადიანი პაემანი ოჯახის წევრთან, მეუღლესთან, რომლის დროსაც ნებისმიერი ხასიათის ჩარევა (აუდიო- და ვიდეოჩაწერა/გადაღება) დაუშვებელია. საიდუმლო სფეროს შეიძლება მივაკუთვნოთ მსჯავრდებულის საკნის აუდიო/ვიდეოჩაწერა, რომელიც მსჯავრდებულის უსაფრთხოების მიზნით ხორციელდება (თვითდაზიანების პრევენცია), ხოლო სოციალურ სფეროს განეკუთვნება მსჯავრდებულის საკანი, რომლის სისტემატური შემოწმება აუცილებელია პენიტენციური სისტემის უსაფრთხოებისათვის.

მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა პერსონალურ მონაცემებად შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაცია მათი გარეგნობის, ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის, მსოფლმხედველობის შესახებ: სახელი, გვარი, ასაკი, დაბადების ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, პირადი ნომერი, ნასამართლობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ჯანმრთელობის შესახებ დოკუმენტაცია, გენეტიკური სახის ინფორმაცია, საკრედიტო ბარათის ნომერი და სხვა.³⁰⁴

მსჯავრდებულის/ბრალდებულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა (სენსიტიური მონაცემები) ჯგუფს განეკუთვნება, დამუშავებულ უნდა იქნეს დიდი სიფრთხილით, რათა მათ პირად ცხოვრებაში ჩარევის უნებართვო შემთხვევასთან არ გვქონდეს საქმე. პერსონალს, რომელსაც ამ მონაცემებთან აქვს კავშირი, კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ამ მონაცემების მნიშვნელობა.

³⁰³ ბ. ლოლაძე, ა. ფირცხალაიშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბილისი, 2023, გვ. 308.

³⁰⁴ Laubenthal, K., Strafvollzug. 6. neu bearbeitete Auflage. Würzburg 2011. S. 585.

მეექვსე თავი

პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოება

პენიტენციური დაწესებულებების უსაფრთხოების დაცვა პენიტენციური სისტემის ეფექტიანი მენეჯმენტის მთავარი ქვაკუთხეა. საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი ცხადყოფს, რომ საპატიმრო სასჯელების აღსრულება და პატიმრებთან მოპყრობა საჭიროებს უსაფრთხოების, უშიშროებისა და დისციპლინის საკითხების გათვალისწინებას, ასევე, სასჯელის მოხდის ისეთი პირობების უზრუნველყოფას, რომელიც არ ხელყოფს ადამიანის ღირსებას, არამედ იძლევა პატიმართათვის სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობისა და დასაქმების საშუალებას, მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიზნებისათვის.³⁰⁵ აქედან გამომდინარე, უსაფრთხოება და უსაფრთხოების ნებისმიერი ზომა მიმართული უნდა იყოს პენიტენციური სისტემის მთავარი მიზნის, პატიმართა რეაბილიტაციისა და გათავისუფლების შემდგომ მათი საზოგადოებაში ეფექტიანი რეინტეგრაციის, ხელშეწყობისკენ.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა ხორციელდებოდეს პატიმართა მიღების მომენტიდან მათ გათავისუფლებამდე და ის არ უნდა წარმოადგენდეს რაიმე საგანგებო შემთხვევაზე რეაგირების ფორმას. მაგალითად, პატიმრის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსება უნდა ითვალისწინებდეს უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვას და ყველა პატიმრისათვის სათანადო რეჟიმების უზრუნველყოფის საჭიროებებს.³⁰⁶

ქართული პენიტენციური კანონმდებლობის შედარება საერთაშორისო სტანდარტებთან ცხადყოფს როგორც შესაბამისობის მაღალ ხარისხს უსაფრთხოების რეგულირების ნაწილში, ისე გარკვეულ განსხვავებულ მიდგომებსაც, რომელიც, გარდა კანონმდებლობისა, ასევე შესაძლებელია რეგულირებული იყოს კანონქვემდებარე აქტებითა და შიდა ინსტრუქციებით.

6.1. პენიტენციური კოდექსის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით

პენიტენციური კოდექსი დეტალურად განიხილავს უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციებს და იმ საშუალებებს, რომელთა გამოყენებითაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი უსაფრთხოების დაცვა პენიტენციურ დაწესებულებებში. უსაფრთხოების სამსახურის პერსონალი წარმოადგენს დინამიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტურ ნაწილს, რომელმაც უნდა განახორციელოს გაქცევის, არეულობის, დანაშაულებრივი ქმედებისა თუ სხვა სახის სამართალდარღვევათა პრევენცია ციხეში. ამდენად, უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილების დეტალური განხილვა მნიშვნელოვან ჩანაწერს წარმოადგენს ახალ პენიტენციურ კოდექსში, იმის გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოების სამსახური ტაბუდადებულ თემას წარმოადგენდა პენიტენციური სისტემის ახლო წარსულში და მასთან ხელმისაწვდომობა მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილ პერსონალს ჰქონდა.³⁰⁷

³⁰⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No-R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, შესავალი, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

³⁰⁶ იქვე, წესი 17.2.

³⁰⁷ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის XII თავი, პენიტენციური დაწესებულების ფუნქცი-

დაწესებულების ეფექტიანი მენეჯმენტი და უსაფრთხოება, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე, უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როდესაც დაცულია ბალანსი დინამიკურ, სტატიკურ და პროცედურულ უსაფრთხოებას შორის. ციხის ეფექტიან მენეჯმენტად მოიაზრება მართვის ისეთი მოდელი, როდესაც მინიმუმამდელა დაყვანილი სტატიკური/ფიზიკური უსაფრთხოებების საშუალებების გამოყენება და პრიორიტეტი მინიჭებული აქვს დინამიკურ უსაფრთხოებას.

რას მოიაზრებს უსაფრთხოების სამი მიმართულება:

- ა) დინამიკური უსაფრთხოება,** მოიაზრებს ციხის პერსონალს და მის პირად დამოკიდებულებას თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ, პერსონალის როლს პენიტენციური დაწესებულების, პატიმრების, პერსონალისა თუ ვიზიტორთა უსაფრთხოების დაცვაში. დინამიკური უსაფრთხოების სტანდარტები განმარტავს, რომ ციხის პერსონალი უნდა იყოს მომზადებული და წახალისებული, რათა განავითარონ კარგი პირადი³⁰⁸ და კონსტრუქციული ურთიერთობა პატიმრებთან, იცნობდნენ მათ და აღიქვან ისინი, როგორც პიროვნებები, გამოხატონ თანაგრძნობა და დაეხმარონ მათ პირადი პრობლემების მოგვარებაში, ჩაერთონ მიზანმიმართულ დიალოგში მათთან.³⁰⁹
- ბ) სტატიკური ანუ ფიზიკური უსაფრთხოება** მოიცავს ციხის შენობების არქიტექტურას, შენობების კედლების სიმტკიცეს, გისოსებს ფანჯრებზე, საცხოვრებელი განყოფილებების კარებსა და კედლებს, პერიმეტრის კედლისა და ღობეების სტანდარტებს, საგუშაგო კოშკებს და ა. შ. ისინი ასევე მოიცავენ ისეთ საშუალებებს უსაფრთხოებისთვის, როგორებიცაა: საკეტები, სათვალთვალო კამერები, განგამის სისტემები (შიდა და გარე), რენტგენის აპარატები, ლითონის დეტექტორები, რადიოები, ხელბორკილები და სხვა.³¹⁰
- გ) პროცედურული უსაფრთხოება** მოიაზრებს ეფექტიან სისტემებსა და პროცედურებს, რომლებიც კოორდინირებულია როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე. პროცედურები განიხილება, როგორც ციხის უსაფრთხოების ფუნდამენტური ასპექტი. რას განსაზღვრავენ პროცედურები? ისინი ადგენენ თუ როგორ უნდა განხორციელდეს გაიღლაინები, კანონმდებლობა და რეგულაციები; ადგენენ საბოლოო მიზნის მისაღწევად გადასადგმელ ნაბიჯებს; განსაზღვრავენ პოლიტიკის აღსრულების მექანიზმებს და სწრაფი რეაგირებისთვის საჭირო მითითებებს კრიზისის დროს. ასეთი პროცედურები წარმოადგენენ პერსონალის მომზადების საფუძველს და განაპირობებენ ციხის ეფექტიან მენეჯმენტს. მთლიანობაში უსაფრთხოების

ონირება, პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოება.
³⁰⁸ მოცემულ შემთხვევაში პირადი ურთიერთობები მოიაზრებს მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.
³⁰⁹ UNODC, Handbook on Dynamic Security and Prison Intelligence, 2015, 29, https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/UNODC_Handbook_on_Dynamic_Security_and_Prison_Intelligence.pdf [01 04 2024].
³¹⁰ UNODC, Handbook on Dynamic Security and Prison Intelligence, 2015, 9, https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/UNODC_Handbook_on_Dynamic_Security_and_Prison_Intelligence.pdf [01 04 2024].

დაცვა პენიტენციური დაწესებულების ორგანული შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, რომელიც განსაზღვრავს ნებისმიერ შეზღუდვას მხოლოდ რეალური რისკების შეფასების საფუძველზე, გამოიყენება როგორც სასჯელის მოხდის შემადგენელი ნაწილი და არ საჭიროებს დამატებითი შეზღუდვების შემოღებასა და გამოყენებას. მოცემულის მიღწევა შესაძლებელია, თუ დაწესებულების ადმინისტრაცია მოახდენს პატიმართა სწორ კლასიფიკაციას და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას, მაგალითად, „ყველა პატიმრის სადგომში უნდა იყოს ისეთი პირობები, რომელიც შეესაბამება მათი გაქცევის, საკუთარი თავისა ან სხვისთვის ზიანის მიყენების შესაძლო რისკს და მოიცავს ყველაზე ნაკლებად შემზღუდავ უსაფრთხოების ზომებს“.³¹¹

6.2. საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა უსაფრთხოების სახეების მიხედვით

საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო წესებითა და პრაქტიკით დადგენილი უსაფრთხოების ფორმების ანალიზის შედეგად, ვლინდება შემდეგი:

- პროცედურული უსაფრთხოების გარანტს წარმოადგენს თვითონ პენიტენციური კოდექსი, თუმცა, თუ მას განვიხილავთ უფრო დეტალურად, უმთავრეს ჩანაწერს წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულების დღის განრიგი და სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზება,³¹² რომელიც განიხილავს პენიტენციური დაწესებულების დებულებას და დებულებით დარეგულირებულ საკითხებს. პენიტენციური კოდექსით დეტალურად არის განხილული დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი დეტალი, რომელიც უზრუნველყოფს ციხის უსაფრთხოების დაცვას, როგორცაა: პატიმრის მიღება, განაწილება, უფლება/მოვალეობები, მათთან მოპყრობის სტანდარტები და პირობები პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის ნებისმიერ ეტაპზე, მისი მიღებიდან გათავისუფლებამდე.
- სტატიკური/ფიზიკური უსაფრთხოების რეგულირებას ვხვდებით პენიტენციური კოდექსის 58-ე³¹³ მუხლში, რომელიც განიხილავს ელექტრონული მონიტორინგის სისტემებს, ასევე მოიცავს პროცედურული უსაფრთხოების ასპექტებს, რადგანაც ადგენს სპეციალური საშუალებების გამოყენების სტანდარტებსა და პროცედურებს. კანონში ასევე განხილულია სტატიკური უსაფრთხოების ელემენტები, როგორებიცაა: სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესები, პროცედურები და მათი სახეები, ასევე, პენიტენციური დაწესებულების პერიმეტრი, გარე აკრძალული ზოლის რაობა და მისი სტანდარტები. აქ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტატიკური უსაფრთხოების კომპონენტები შერწყმულია პროცედურული უსაფრთხოების საკითხებთან და მოიცავენ არა მხოლოდ ამ საშუალებებსა და სახეებს, არამედ მისი გამოყენების წესსა და პროცედურებს.

³¹¹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No-R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 18.10, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

³¹² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, 57-ე მუხლი.

³¹³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, 58-ე მუხლი.

- დინამიკური უსაფრთხოების ნაწილში კოდექსით განსაზღვრულია პირის სამსახურში მიღების წესი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პენიტენციური სისტემის ეფექტიანი მუშაობისთვის. პატიმრებთან მუშაობისათვის პერსონალს უნდა ჰქონდეს სათანადო მზაობა, ასევე ჰქონდეს სურვილი, იქონიოს პირადი პროფესიული ურთიერთობა პატიმრებთან და გაუწიოს მათ დახმარება ნებისმიერ საჭირო შემთხვევაში, ასევე გამოხატოს თანადგომა, რაც უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა. კოდექსი ასევე განსაზღვრავს ოპერატიულ/სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნებსა და ამოცანებს, კერძოდ, თუ როდის შეიძლება განხორციელდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები პენიტენციურ დაწესებულებაში, როგორებიცაა: პენიტენციურ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა ან/და სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ოპერატიულ-სამძებრო უზრუნველყოფა,³¹⁴ რის განსახორციელებლადაც საჭიროა „ინფორმაციის (მონაცემების) შეროვება, დამუშავება და ანალიზი“.³¹⁵ სწორედ აქ ვხვდებით დინამიკური უსაფრთხოების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რადგანაც, იმისათვის, რომ პერსონალმა მიიღოს აღნიშნული ინფორმაცია დროულად, კანონდარღვევისა და პატიმარზე ზემოქმედების გარეშე, გააკეთოს სწორი შეფასება და ანალიზი, მოახდინოს მასზე რეაგირება, წარმოადგენს დინამიკური უსაფრთხოების ეფექტიან მაგალითს. ამისათვის კი პერსონალი უნდა იყოს სწორად შერჩეული, მომზადებული და გადამზადებული საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე.

რიგი მკვლევრები განმარტავენ და პრაქტიკაც აჩვენებს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხშირად ციხის რეჟიმი ეყრდნობა ოპერატიულ დანაყოფებს, რომლებიც ინფორმატორების სისტემის გამოყენებით იღებენ ინფორმაციას.³¹⁶ მოცემული პრაქტიკის ძირეული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ე. წ. ინფორმატორები არ იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ინიციატივით ირჩევდნენ ამ როლს, არამედ პატიმრები ხდებოდნენ ინფორმატორები ძალადობის, მუქარის, დამინების ან რიგ შემთხვევებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად. მხოლოდ მცირე ნაწილი თანხმდებოდა მოცემულ პოზიციას დამატებითი სარგებლის მიღების გამო, როგორც იყო ფული, სიგარეტი, ჩაი და სხვა. სწორედ ეს განასხვავებს ინფორმაციის მიღების მეთოდებს დინამიკური უსაფრთხოებისა და საბჭოთა ოპერატიულ საქმიანობას შორის, „სადაც წახალისებულია ინფორმაციის დინება პატიმრებიდან პერსონალამდე და ასევე ციხის თანამშრომლებიდან პატიმრებისკენ“.³¹⁷ ცნობილია, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ „მიზეზს“ სწორედ ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. აღნიშნულ დარღვევას უკავშირდება ევროპის სასამართლოს მიერ გამოტანილი რიგი გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით. მაგალითად,

³¹⁴ იქვე 59-ე მუხლის პირველი ნაწილი.

³¹⁵ იქვე, 59-ე მუხლის მეორე ნაწილი.

³¹⁶ გ. სლეიდი, ტ. ქელბაქიანი, ნ. გაგარელი, კრიმინალური სუბკულტურის გავლენა პენიტენციურ დაწესებულების მართვაზე, 2020, 21, იხ. <https://csf.ge/wp-content/uploads/2020/09/852475fa2ef4b65cd0207afc1db4f1eb.pdf> [03 04 2024.]

³¹⁷ იქვე.

საქმეზე „მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ“³¹⁸ სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ „მომჩივნის თავდაპირველი აღიარება, რომლის დროსაც მან ასევე მისცა ჩვენება მეორე მომჩივნის დანაშაულებით თანამონაწილეობის შესახებ, მისგან მოპოვებულ იქნა ადვოკატის დასწრების გარეშე და არასათანადო მოპყრობის შედეგად, რომელიც წარმოადგენდა წამებას კონვენციის მე-3 მუხლის გათვალისწინებით“. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილს, სადაც განმარტებულია ასეთი გზით მიღებული ინფორმაციის ზიანი, ზოგადად, სისხლის სამართლის პროცესის მიმართ, რომ „მომჩივნის მიმართ წამების გამოყენებამ გამოუსწორებლად საზიანო გავლენა იქონია სისხლის სამართლის პროცესის შედეგებზე და მთლიანობაში სამართალწარმოებას ორივე მომჩივნის მიმართ უსამართლო ხასიათი შესძინა“.³¹⁹

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის მოპოვებაზე, პასუხისმგებელი პერსონალის მომზადების ხარისხსა და კვალიფიციურობაზე, მათი საქმიანობის მკაფიო სტანდარტზე დიდად არის დამოკიდებული არა მხოლოდ პატიმრის მდგომარეობა და პენიტენციური დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება, არამედ მთლიანად სისხლის სამართლის საქმისწარმოება და მისი ობიექტურობა.

6.3. უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებები

უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებები უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. კოდექსში განხილულია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებები და მათი გამოყენების წესი.³²⁰

უსაფრთხოების საშუალებები მოიცავს ელექტრონულ მონიტორინგს, რაც საკმაოდ მგრძობიარე თემაა, რადგანაც მისი გამოყენება უკავშირდება თავისუფლებააღკვეთილი პირის პირადი ცხოვრების უფლებას და პირად სივრცეს. თუ ასეთი საშუალებები გამოყენებულია საერთაშორისო და შიდაეროვნული კანონმდებლობის დარღვევით, ზემოაღნიშნული შესაძლებელია ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვის საფუძველი გახდეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებობდეს ნათლად დადგენილი სტანდარტები, რომელიც წარმოადგენს ტექნიკური საშუალებების გამოყენების საფუძველს, როგორცაა: ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების რისკი, ასევე სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების რისკი და სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევის თავიდან აცილება. ამასთან, კანონით განსაზღვრულია პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, როგორც ასეთი საშუალებების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი პირი.³²¹

ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ასეთი საშუალებების გამოყენების მკაფიო სტანდარტების არსებობა, მაგალითად, პენიტენციური დაწესებულების ვალდებულება, რომ მოახდინოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ინფორმირება, რომ მათ მიმართ უნდა განხორციელდეს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურე-

³¹⁸ ECtHR, *მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ*, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3830426?publication=0> [01. 04. 2024].

³¹⁹ ECtHR, *მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ*, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3830426?publication=0> [01. 04. 2024].

³²⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, 58-ე მუხლი.

³²¹ იქვე.

ობა ან/და აუდიო-/ვიდეოჩანწერის განხორციელება. თუმცა აქ კანონმდებლობა უშვებს გამონაკლისს, რომ ასეთი გაფრთხილება შეიძლება არ განხორციელდეს კანონით დადგენილ შემთხვევებში.³²²

მეთვალყურეობის ნაწილში მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა, ისევე როგორც საერთაშორისო სტანდარტები, განმარტავს მეთვალყურეობის გამოყენებას, როგორც უკიდურეს ღონისძიებას. ასეთი საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია.³²³

მაქსიმალურად უნდა იყოს შემცირებული მეთვალყურეობის საშუალებების დარღვევით გამოყენების რისკი. ასეთია შემთხვევა, როდესაც კანონმდებლობით განსაზღვრულია ტერიტორიები, სადაც დაუშვებელია მოცემული საშუალებების გამოყენება; ასევე, განსაზღვრავს იმ ტერიტორიებს, სადაც დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელება, როგორებიცაა: საერთო სარგებლობის სამხაპე, საერთო სარგებლობის საპირფარეო და ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი ოთახები.³²⁴

როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაშიც, კოდექსის იგივე მუხლი ადგენს გამონაკლისს, როდესაც მითითებულ ადგილებში მეთვალყურეობა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასეთის დაშვების შემთხვევაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, თუ რომელი კანონმდებლობის დადგენილ ნორმებს ეყრდნობა ასეთი გამონაკლისის დაშვება. მეორე მხრივ, დადგენილი გამონაკლისის არსებობა ნებისმიერ შემთხვევაში რისკის შემცველი შეიძლება იყოს, როგორც მეთვალყურეობის საშუალებების მსჯავრდებულის ინტერესების წინააღმდეგ გამოყენება.

ასეთი სახის დაკვირვების დარღვევით გამოყენების შემთხვევებს ვხვდებით საქართველოს პრაქტიკაში. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში³²⁵ ნათქვამია, რომ 2016 წლის აგვისტომდე #6 დაწესებულების დებულებით დადგენილი იყო, რომ დეესკალაციის ოთახში სათვალთვალო კამერის ხედვის არეალში არ უნდა მოხვედრილიყო ტუალეტის ნიჟარა. თუმცა ახალი ბრძანებით მოცემული დათქმა შეიცვალა და დაწესებულების ადმინისტრაციას მიეცა შესაძლებლობა დაკვირვება განხორციელებინა ტუალეტის ნიჟარაზეც. აღნიშნულის შემდგომ სახალხო დამცველის ვიზიტის დროს გამოვლენილ იქნა დეესკალაციის ოთახში ტუალეტის ნიჟარაზე დაკვირვების შემთხვევა, რაც განხილულ იქნა, როგორც პირად ცხოვრებაში არაპროპორციული ჩარევა და გათანაბრებულ იქნა დამამცირებელ მოპყრობასთან. მოცემულ ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა იუსტიციის მინისტრს, დეესკალაციის ოთახში ტუალეტის ნიჟარის იმგვარად განთავსება, რომ ის არ მოხვედრილიყო ელექტრონული თვალთვალის არეალში.³²⁶

³²² იქვე, მესუთე ნაწილი.

³²³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 58-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

³²⁴ იქვე, მესუთე ნაწილი.

³²⁵ საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი, ანგარიში N6, პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის შესახებ, (2018 წლის 2-3 აპრილი), გვ. 5, 13, ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://ombudsman.ge/res/docs/2019040410062929010.pdf> [30 03 2024].

³²⁶ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებუ-

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმად უნდა განვიხილოთ სპეციალური საშუალებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე. ასეთი საშუალებების ნუსხას და მათი გამოყენების წესს ადგენს კანონმდებლობა.³²⁷

როცა ვსაუბრობთ უსაფრთხოების საშუალებებზე, არ შეიძლება ყურადღება არ დაეთმოს საერთაშორისო სტანდარტებს და იმ სიფრთხილეს, რომელიც ამ საშუალებების გამოყენებისას უნდა გამოიჩინოს პენიტენციური სისტემის მენეჯმენტმა და ამ საშუალებების გამოყენებაზე უფლებამოსილიმა პირებმა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს დათქმა, რომ „*მუზღუდვის სპეციალური საშუალებები არასდროს არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დისციპლინური ღონისძიება*“.³²⁸ მემკაცვებელი საშუალებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა უფრო მსუბუქი საშუალებები არაეფექტიანია.³²⁹ მოცემულ მიდგომებს მკაფიოდ შეესატყვისება ქართული კანონმდებლობა.³³⁰ საერთაშორისო სტანდარტები ადგილს უთმობენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დათქმას სპეციალური საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელიც ადგენს, რომ ასეთი საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ საჭირო დროის მონაკვეთში და უნდა მოიხსნას რისკის აღმოფხვრისთანავე.³³¹

ქართულ პრაქტიკაში ვხვდებით ასეთი საშუალებების დარღვევით გამოყენების შემთხვევებს. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში განხილულია #6-ე დაწესებულებაში ხელბორკილების დარღვევით და არაპროპორციულად გამოყენების შემთხვევა. ანგარიშის თანახმად, ხელბორკილების გამოყენება, დადგენილი წესით, შესაძლებელი იყო მაქსიმალური, 1 თვის, ვადით, რაც დირექტორის ბრძანებით, გამოიყენებოდა გარკვეული პირების მიმართ ზედისზედ რამდენიმე თვე ან ზოგ შემთხვევაში დაწესებულებაში ყოფნის მთელი პერიოდით. ანგარიში განმარტავს, რომ ბრძანებაში, რომელიც ადგენდა ასეთი საშუალებების გამოყენებას არ იყო მითითებული დასაბუთებული საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მემკაცვებელი საშუალებები გამოყენებული იყო რისკის წინასწარი შეფასების გარეშე და მიჩნეულ იქნა როგორც არაპროპორციული საშუალება.³³²

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალების მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენების წესებსა და პროცედურებს. საერთაშორისო სტანდარტების დებულების დამტკიცების შესახებ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 აგვისტოს N108 ბრძანება.

³²⁷ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი 63-ე მუხლის პირველი ნაწილი: ა) ხელბორკილი; ბ) დამაწყნარებელი პერანგი; გ) დამაწყნარებელი სკამი; დ) დამაწყნარებელი საწოლი; ე) ხელუკტი; ვ) ცრემლსაღვნი გაზი; ზ) წიწკის გაზი; თ) არალეტალური იარაღი; ი) კუსტიკური საშუალება; კ) ფსიქოლოგიური ზემოქმედების მუქბერითი მოწყობილობა; ლ) წყალსატყორცნი; მ) სასამსახურო ძაღლი.

³²⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 43, პუნქტი 2, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01. 04. 2024].

³²⁹ იქვე, წესი 48, პუნქტი 1 (ა).

³³⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 63-ე მუხლის მესამე ნაწილი.

³³¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 48, პუნქტი 1 (გ), იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01. 04. 2024].

³³² საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი, ანგარიში N6 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის შესახებ (2018 წლის 2-3 აპრილი), გვერდი 11.

რტები განმარტავენ, რომ „შემაკავებელი საშუალებების გამოყენება დაუშვებელია ფუნქციონირების, მშობიარე და ახლადნამშობიარები ქალების მიმართ“.³³³ ქართული კანონმდებლობა კი ადგენს გარკვეულწილად განსხვავებულ მიდგომებს და განმარტავს, რომ „სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების ქონე პირი წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, როგორც წესი, არ იყენებს სპეციალურ საშუალებებს, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებისა“.³³⁴ რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი არ კრძალავს ორსული ქალის მიმართ ასეთი საშუალებების გამოყენებას, არამედ იყენებს ტერმინს „როგორც წესი არ გამოიყენება“, მეორეც, საერთოდ არ ადგენს მშობიარობის წინა და შემდგომ პერიოდთან დაკავშირებულ მიდგომებს. რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტებს, აქ ცალსახად განმარტავენ ქალთა მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენების ამკრძალავ სტანდარტებს და განსაზღვრავენ, რომ შეკავების საშუალებები არასოდეს არ უნდა იქნეს გამოყენებული ქალების მიმართ, როდესაც მას აქვს მშობიარობის ტკივილები (მშობიარობის წინა პერიოდი), მშობიარობის დროს და დაუყოვნებლივ მშობიარობის შემდეგ.³³⁵

შემაკავებელი საშუალებების გამოყენება მკაცრად უნდა იყოს რეგულირებული არაერთი მასთან დაკავშირებული დამაზიანებელი შედეგის გამო, როგორც თვითონ იმ პირის მიმართ, ვის მიმართაც გამოიყენება ასეთი საშუალებები, ისე სხვა პირების მიმართ, რომლებიც ამ პროცესს ესწრებიან და მთლიანად დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ასეთი საშუალებების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს პატიმრის მიერ შესაძლო დამცირების, ტკივილის, წამების, სხვა არასათანადო მოპყრობისა თუ სხვა შეუქცევადი ზიანის მიყენების განცდის მაღალი რისკი.³³⁶

ყველაზე გავრცელებული დარღვევა ძალის გამოყენების შემთხვევაში სასჯელის აღსრულების ადგილებში არის სწორედ არაპროპორციული ძალის გამოყენება. აღნიშნულთან მიმართებით შესაძლებელია განვიხილოთ არაერთი საქმე, რომელიც განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ და დადგენილ იქნა დარღვევა ძალის არაპროპორციული გამოყენების საფუძველით. ასეთი საქმეები გვხვდება როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. მაგალითისთვის, საქმეზე „ტაილი ესტონეთის წინააღმდეგ (TALI v. ESTONIA)“³³⁷ ერთ-ერთ ეპიზოდში განმარტებულია შემაკავებელი საშუალებების გამოყენების პროცესი, რომელიც ასეთი საშუალებების არაპროპორციული გამოყენების ნათელ მაგალითს წარმოადგენს. კერძოდ, განმცხადებლის (ტაილი) თქმით, ა. რ. მას მი-

³³³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), 2015, წესი 48, პუნქტი 2, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01. 04. 2024].

³³⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 64-ე მუხლის მე-16 ნაწილი.

³³⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, ბანგკოკის წესები, წესი 24, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2013/07/PRI-Short-Guide-Bangkok-Rules-2013-Web-Final-Geo.pdf> [02.04.2024].

³³⁶ OSCE/ODIHR, PRI, სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, 2018, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2018/07/MR_Guidance_Doc_Georgian_Web.pdf[01.04.2024].

³³⁷ ECHR, TALI v. ESTONIA. <http://hudoc.echr.coe.int> [30 03 2024].

უახლოვდა, ჩაავლო ხელი მარცხენა ხელში და უთხრა, რომ მისი მატრასი უნდა გაეტანათ. განმცხადებელმა მას ხელი წაართვა, რა დროსაც ვ. გ.-მ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე წიწაკის სპრეი შეასხურა სახეში, ხოლო ამ დროს ა. რ.-მ მისი მკლავის გადაგრეხვა სცადა. განმცხადებელი საკნიდან ღერუფანში გავარდა, სახეზე ხელები აიფარა. მას უკნიდან რამდენიმე დაცვის თანამშრომელი დაესხა თავს და ის იატაკზე დაეცა. ხელბორკილების დადების შემდეგ მას არაერთხელ ჩაარტყეს ზურგში.

6.4. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უფრო მაღალი რისკის შემცველია, ვიდრე სხვა შემკავებელი საშუალებები. მან შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგი, როგორც შეიძლება იყოს იმ პირის, ვის მიმართაც გამოყენებულია იარაღი, ან სხვა პირის სიცოცხლის მოსპობა ან/და მძიმე დაზიანება. ციხეში, სადაც ადამიანების დიდი რაოდენობა იმყოფება ერთ ტერიტორიაზე, ასეთი რისკი განსაკუთრებით მაღალია. ამდენად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება პრაქტიკულად აკრძალვის ზღვარს უნდა აღწევდეს. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დასაშვები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, როდესაც ადგილი აქვს სასიკვდილო შედეგის დადგომის იმწუთიერ რისკს, ან ასეთი საფრთხის ან სერიოზული დაზიანებისგან საკუთარი თავის ან სხვათა დაცვის, სიცოცხლის გადარჩენის მიზნით.³³⁸ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას შემდეგნაირად განმარტავენ საერთაშორისო სტანდარტები, რომ „ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უკიდურეს ზომად ითვლება. ყველა საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღის მოხმარების გამორიცხვისათვის, განსაკუთრებით ბავშვების წინააღმდეგ“.³³⁹ მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობა განსაზღვრავს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესსა და პროცედურებს, ის არ გვთავაზობს განსაკუთრებულ დათქმებს ქალი³⁴⁰ და არასრულწლოვანი³⁴¹ პირების მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით.

როგორც ძალის გამოყენების, ასევე ლეტალური იარაღის გამოყენების საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული არაერთი გადაწყვეტილება შეიძლება იქნეს განხილული. მაგალითად, საქმეზე „კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and others v. Georgia)“ სასამართლომ დაადგინა დარღვევა და ძალის, კერძოდ კი ლეტალური იარაღის, გადამეტებული გამოყენება.

³³⁸ OSCE, PRI, სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, 2018, 95. იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

³³⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, მე-3 მუხლის კომენტარი, იხ. <http://www.humanrights.ge/files/marTlIwesrigis%20damcvel%20Tanamdebobis%20pirTa%20qcevis%20kodeqsi.pdf> [01.04.2024].

³⁴⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, ბანგკოკის წესები, 2010, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2013/07/PRI-Short-Guide-Bangkok-Rules-2013-Web-Final-Geo.pdf> [30.03.2024].

³⁴¹ United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of their Liberty (Havana Rules), 1990, rules 63, 64. https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/United_Nations_Rules_for_the_Protection_of_Juveniles_Deprived_of_their_Liberty.pdf [01.04.2024].

საქმეში აღინიშნა შემდეგი დარღვევები: ა) სპეცოპერაციის რაზმს, რომელიც მონაწილეობდა ციხის ამბოხის ჩახშობაში, არ მიუღია კონკრეტული მითითებები და ბრძანებები ზემდგომი პირებისგან ლეტალური ძალის გამოყენების ფორმასა და ინტენსივობასთან დაკავშირებით, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო მსხვერპლის ალბათობა. ბ) ციხის კედლების მახლობლად ავტომატური იარაღის გამოყენება აუცილებლად გულისხმობდა ფატალური შედეგების მაღალ რისკს. გ) კომპეტენტური ორგანოები ციხეში მომხდარი ინციდენტის ჩახშობის მიზნით არც კი განიხილავდნენ ალტერნატიული, ნაკლებად ძალადობრივი საშუალებების გამოყენებას. დ) შენობების სახურავებზე განთავსებული იყვნენ მსროლელები, რომლებიც ისროდნენ ბრმა ტყვიებს ციხის საკნების მიმართულებით. აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით, ციხის ამბოხის წინააღმდეგ მონაწილე სპეცრაზმის მხრიდან ლეტალური ძალის გამოყენება იყო განურჩეველი და გადაჭარბებული და ა. შ.³⁴²

ზემოხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზეა დარღვევის ისეთი მაგალითი, როგორიცაა: რისკის წინასწარი შეფასების არარსებობა, ასევე, ინსტრუქტაჟის არარსებობა, ლეტალური იარაღის გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირის არარსებობა და სხვა, რამაც შედეგად დააყენა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება გადამეტებული ძალის გამოყენების შესახებ.

6.5. პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლი

საფრთხეების ნაწილში მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლი და მისი რაობა. ამ ტერიტორიას დაწესებულების უსაფრთხოების დაცვის ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. აკრძალული ზოლი არის დაცული ტერიტორია, სადაც მოხვედრა შეუძლია მხოლოდ ამისთვის უფლებამოსილ პირს. არათუ პატიმარს, არამედ პენიტენციური სისტემის არაუფლებამოსილ პირს ამ ტერიტორიაზე დაშვება არ აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ასრულებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას. პატიმრისთვის ამ ტერიტორიაზე მოხვედრა ითვლება ციხიდან გაქცევად და წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას. შესაბამისად, დაუშვებელია აკრძალული ზოლის დარღვევა, როგორც დაწესებულების ტერიტორიის შიგნით, ასევე პერიმეტრის გარეთ და იგი ადგენს აკრძალვას სხვა გარეშე პირების მიმართაც, კერძოდ, „*პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში და ამ ზოლიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება აკრძალულია. ასევე პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლიდან 100 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე ნებისმიერი მშენებლობის განხორციელება უნდა შეთანხმდეს სამსახურთან*“.³⁴³

³⁴² ECHR, *Kukhalashvili and others v. Georgia* https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/kukhalashvili-da-sxvebi-saqartvelos-winaagmdeg.pdf [30.03.2024].

³⁴³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 65-ე მუხლი.

6.6. პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღება, კრიზისული ვითარების მართვა, უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებების გეგმა

პენიტენციურ სისტემაში ან მის რომელიმე ობიექტზე განსაკუთრებული პირობების შემოღება წარმოადგენს გამოწვევის შემთხვევას და ის უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონით დადგენილ საფუძვლებს. საქართველოს კანონმდებლობით ნათლად არის განსაზღვრული აღნიშნული პირობები, როგორცაა: სტიქიური უბედურების, ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების, სიცოცხლისთვის საშიშ დაავადებათა ეპიდემიის ან მასობრივი არეულობის დროს. აგრეთვე შესაძლებელია განსაკუთრებული პირობების შემოღება, თუ პენიტენციური დაწესებულება დაზიანდა ან გამოუსადეგარია“.³⁴⁴

განსაზღვრულია ასევე გადაწყვეტილების მიმღები პირების წრე და ვადები საგანგებო მდგომარეობის შემოღებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგანგებო მდგომარეობის 15 დღის ვადით შემოღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის გენერალური დირექტორი მინისტრის წერილობითი ბრძანების საფუძველზე. ასევე დასაშვებია აღნიშნული ვადის გაზრდა გონივრული ვადით, თუმცა კანონმდებლობა ამ შემთხვევაში არ განმარტავს გონივრული ვადის ხანგრძლივობას, რაც რისკის შემცველი შეიძლება იყოს.³⁴⁵

საერთაშორისო სტანდარტები პრიორიტეტს ანიჭებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების წინასწარ დაგეგმვას ნებისმიერ შემთხვევაში, ვიდრე მასზე ნაჩქარევ რეაგირებას, როდესაც ის უკვე მოხდება. ისინი განმარტავენ ციხის ყველა ვალდებულებას, დადგენილი ჰქონდეს მკაფიო პროცედურების ნუსხა საგანგებო სიტუაციის დროს რეაგირებისათვის.³⁴⁶

აღსანიშნავია, რომ ქართულ კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი საგანგებო სიტუაციის დროს დედებთან ერთად მყოფი მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ მოქმედების წესების შესახებ. ბანგკოკის წესები განმარტავს, რომ ციხის თანამშრომლები უნდა გადამზადდნენ იმისათვის, რომ მათ სათანადო რეაგირება მოახდინონ საჭიროებებისა და საგანგებო სიტუაციების შემთხვევებში.³⁴⁷

კანონმდებლობა არ მოიცავს რეგულაციას საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში პატიმართა, მათ შორის, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა, ინფორმირების შესახებ, როგორებიც არიან: უცხოელები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ): მხედველობის, სმენის და ინფორმაციის აღქმადობის პრობლემების მქონე პირები. ასევე, კოდექსში ვერ ვხვდებით პერსონალის მხრიდან რიგი ქმედებების აკრძალვას საგანგებო სიტუაციის დროს, მაშინ როდესაც საერთაშორისო სტანდარტები განმარტავს, რომ „არანაირი სახის განსაკუთრებული გარემოება, იქნება ეს ომის მდგომარეობა ან ომის საფრთხე, შიდა პოლიტიკური არასტაბილუ-

³⁴⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 66-ე მუხლი.

³⁴⁵ იქვე, მეორე ნაწილი.

³⁴⁶ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 71. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04. 2024].

³⁴⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, ბანგკოკის წესები, წესი 33, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2013/07/PRI-Short-Guide-Bangkok-Rules-2013-Web-Final-Geo.pdf> [01.04.2024].

რობა თუ ნებისმიერი სხვა სახის საგანგებო ვითარება, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წამების გასამართლებლად“.³⁴⁸ აღნიშნული დათქმა ასევე გვხვდება სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტში, რომლებიც ადგენენ წესებს ციხის პერსონალის ქმედებასთან დაკავშირებით, მათ შორის არის მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, რომლის კომენტარებში ნათქვამია, რომ ტერმინი „სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი“ ინტერპრეტირებულ უნდა იქნეს ისე, რომ გაფართოვდეს ფიზიკური ან ზნეობრივი მურაცხყოფისაგან ყველაზე უფრო ფართო შესაძლებელი დაცვა.³⁴⁹

მნიშვნელოვანია კანონმდებლობის დათქმა სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის შესახებ, როგორც საგანგებო სიტუაციის, ასევე უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებების განხორციელებისას. კანონში განმარტებულია ასეთი სტრუქტურები და მათთან თანამშრომლობის ფორმები: „სათანადო მიმართვის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან/და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით დაწესებულების დაცვა შეიძლება გაძლიერდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან/და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ქვედანაყოფებით“.³⁵⁰

თუმცა სტანდარტები სიფრთხილით ეკიდებიან სხვა ძალოვანი სტრუქტურების პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე შესვლას და განმარტავენ, რომ სხვა სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი შეიძლება ჩაერიოს ციხის შიგნით პატიმრებთან ურთიერთობაში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ამგვარი ჩარევის ყველა დეტალი რეგულირებული უნდა იყოს ციხის ადმინისტრაციასა და სამართალდამცავ სახელმწიფო ორგანოს შორის დადებული შეთანხმებით. ასეთი შეთანხმება უნდა მოიცავდეს გარემოებებს, თუ როდის შეიძლება პოლიცია ან სხვა ორგანოების წარმომადგენლები იყვნენ დამკვეთი ციხის ტერიტორიაზე, განსაზღვრავდეს უფლებამოსილების ხარისხს, ძალის გამოყენების საფუძვლებს და პასუხისმგებელ პირს.³⁵¹

6.7. პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის უფლება

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ნუსხას იმ გარეშე პირებისა, რომლებსაც შეუძლიათ პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლა, ასევე შესვლის წესსა და პროცედურებს. ასეთი დათქმის არსებობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგანაც გარეშე პირთა პენიტენციურ დაწესებულებებში დამკვეთა წარმომადგენს დარღვევის პრევენციისა და მისი აღმოფხვრის

³⁴⁸ გაერთიანებული ერების კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, მუხლი 2 (2), იხ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0> [01.04.2024].

³⁴⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, მე-5 მუხლის კომენტარი, იხ. <http://www.humanrights.ge/files/marTlwesrigis%20damcvel%20Tanamdebobis%20pirTa%20qcevis%20kodeqsi.pdf> [01.04.2024].

³⁵⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 66-ე მუხლის მეხუთე ნაწილი.

³⁵¹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 67, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას.³⁵²

ასეთ პირთა ნუსხას საერთაშორისო სტანდარტები არ შეიცავს და მათი განსაზღვრა ეროვნული კანონმდებლობის დისკრეციას წარმოადგენს, თუმცა ისინი ყურადღებას უთმობენ შიდა და გარე მონიტორინგის მნიშვნელობას. სტანდარტები განმარტავენ დამოუკიდებელი მონიტორინგის მწარმოებელ ორგანოებს, რომლებიც უნდა იყვნენ ადმინისტრაციისგან დამოუკიდებელი, რომელიც ასევე შეიძლება მოიცავდეს შესაბამის საერთაშორისო ან რეგიონულ ორგანოებს. განსაზღვრავენ მათ ფუნქციებს, რომ ისინი უნდა ახორციელებდნენ ციხის მონიტორინგს (ინსპექციას).³⁵³

კოდექსი მოცემულ ნაწილში ასევე ადგენს პენიტენციურ დაწესებულებაში ფოტო-/ვიდეოგადაღების წესებსა და პროცედურას. აღსანიშნავია დათქმა, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმებს, სადაც განმარტებულია, რომ „ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება ან მასთან ინტერვიუს ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ ბრალდებულის/ მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობით“.³⁵⁴

აქვე პატიმართა ძალადობისა და არაჰუმანური მოპყრობის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს დათქმა, რომელიც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ანიჭებს უფლებამოსილებას მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ფოტო-/ვიდეოგადაღება, რაც ქმნის შესაძლებლობას, იქონიონ მტკიცებულებები პატიმართა ცხოვრების პირობებისა თუ მათი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ. თუმცა კანონმდებლობა ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს, კერძოდ, ჯგუფის წევრებს შეუძლიათ განახორციელონ პატიმართა ან/და მათი უშუალო განთავსების პირობების, გასეირნების ადგილების, საექიმო-სამედიცინო პუნქტის, კვების ობიექტის, საერთო სარგებლობის საშხაპეების, საერთო სარგებლობის საპირფარეშოებისა და შეხვედრის ოთახების ფოტო-გადაღება.

³⁵² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილი - ა) საქართველოს პრეზიდენტი; ბ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პარლამენტის წევრები; გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი; დ) პროკურატურის სისტემის საამისოდ უფლებამოსილი პირები; ე) საქართველოს სახალხო დამცველი; ვ) მინისტრი და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები; ზ) სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები; თ) სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი პირები.

³⁵³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 83, პუნქტი 1(ბ), იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01. 04. 2024].

³⁵⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 69-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

მეშვიდე თავი

ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა და მსჯავრდებულის დისციპლინური პატიმრობა

7.1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

სანამ უშუალოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინურ პასუხისმგებლობაზე ვისაუბრებდეთ, თავდაპირველად განვიხილოთ პატიმართა მატერიალური პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების საკითხი, ვინაიდან სწორედ პენიტენციურ დაწესებულებაში დადგენილი ნორმების შეუსრულებლობა ან/და დარღვევა შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

პენიტენციური კოდექსის 98-ე მუხლი არეგულირებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მატერიალურ პასუხისმგებლობას. ამ მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მატერიალურ ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს, იურიდიულ პირს ან ფიზიკურ პირს, ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა: შრომითი ვალდებულებების შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის – საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით; სხვა ქმედებით მიყენებული ზიანისთვის – საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით; მკურნალობისთვის - ხარჯები განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით თვითდაზიანების ან სხვისი დაზიანების შემთხვევაში; პენიტენციური დაწესებულებისთვის მიყენებული ზიანისთვის - პენიტენციური დაწესებულებიდან მისი გაქცევის აღკვეთასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები.

ამავე მუხლის მიხედვით, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული ნებაყოფლობით არ აანაზღაურებს ზიანს, ზიანის ანაზღაურების საკითხი განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის არასწორად გადახდევინებული თანხა მას უბრუნდება და პირად საბანკო ანგარიშზე ერიცხება. ასევე, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ქმედებით პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში ამ პირის გადაუდებელი მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

პენიტენციური კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად, ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების წესები და პირობები, შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები და მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნები. ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია: ა) დაიცვას შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები, დღის განრიგი და შეასრულოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნები; ბ) გაუფრთხილდეს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ან სხვა პირის ქონებას და არ დააზიანოს ის; გ) თავაზიანად მოეპყროს სხვა ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს და დაწესებულების მოსამსახურეებს; დ) შეინახოს საკვები პროდუქტები და ინდივიდუალური მოხმარების საგნები სათანადოდ

გამოყოფილ ადგილებსა და სათავსოებში; ე) დაიცვას პირადი ჰიგიენა, სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი/ფეხსაცმელი, საწოლი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი; ვ) სურვილის შემთხვევაში იმუშაოს მხოლოდ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ გამოყოფილ სამუშაო ადგილზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით; ზ) არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალება.³⁵⁵

პენიტენციური კოდექსის 99-ე მუხლის ბრალდებულის/მსჯავრდებულის ვალდებულება ზოგადად არის ჩამოყალიბებული. თუმცა დისციპლინური დარღვევების ჩამონათვალი კონკრეტულია და წარმოდგენას უქმნის პატიმარს, თუ რა შეიძლება დისციპლინურ დარღვევად ჩაითვალოს. მოცემული მოვალეობები და აკრძალვები ემსახურება სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოებასა და წესრიგს. როგორც დისციპლინურ ღონისძიებებს, ისე მოვალეობებსა და აკრძალვებს პრევენციული ხასიათი აქვს და მიმართულია მსჯავრდებულის/ბრალდებულის

³⁵⁵ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ვალდებულებებს და აკრძალვებს ითვალისწინებს თითოეული პენიტენციური დაწესებულების დებულება. გთავაზობთ ერთ-ერთი მათგანიდან ამონარდს:

ბრალდებულის/მსჯავრდებულის ვალდებულება: ა) დაიცვას ამ დებულებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები, დღის განრიგი და ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნები; ბ) გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს დაწესებულების ან სხვა პირის ქონება; გ) თავაზიანად მოუპყროს სხვა ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს და დაწესებულების მოსამსახურეებს; დ) დაიცვას პირადი ჰიგიენა, სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი, სპეციალური საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი; ე) შეინახოს საკვები პროდუქტები და ინდივიდუალური მოხმარების საგნები ამისათვის გამოყოფილ ადგილებსა და სათავსოებში.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის ეკრძალება: ა) მოახდინოს ფიზიკური ზემოქმედება ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე ან სხვა პირზე, შეუქმნას საფრთხე მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ბ) შექმნას კონფლიქტური სიტუაცია; გ) სიტყვიერად შეურაცხყოს ან სხვაგვარად შელახოს დაწესებულების მოსამსახურის ან სხვა პირის ღირსება; დ) რაიმე სახით ხელი შეუშალოს დაწესებულებაში არსებული დაცვის ან სხვა ტექნიკური საშუალებების მუშაობას; ე) შეიძინოს, დაამზადოს, შეინახოს ან/და გამოიყენოს აკრძალული ნივთები; ვ) მატერიალური გამოჩენის მიღების მიზნით ითამაშოს, გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვისოს საკვები პროდუქტები, პირად სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული ნივთები ან ნივთიერებები; ზ) დაარღვიოს ობიექტების დაცვის ხაზი ან დაწესებულების ტერიტორიის საზღვრები; თ) ავიდეს შენობის სახურავზე, მიუახლოვდეს შიდა აკრძალული ზონის ზღვარს; ი) დაარღვიოს დაწესებულებაში გადაადგილების წესები; კ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე გავიდეს საცხოვრებელი ან/და საწარმოო ტერიტორიის იზოლირებული მონაკვეთებიდან; ლ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე დატოვოს სამუშაო ადგილი, მასობრივი ღონისძიებების ჩატარების ადგილი; მ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე იმყოფებოდეს იმ საკანში, სადაც იგი არ ცხოვრობს ან საწარმოო ობიექტზე, სადაც იგი არ მუშაობს; ნ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე შეივადლოს საძინებელი ადგილი; ო) თვითნებურად მოაწყოს საძინებელი ადგილი დაწესებულების ტერიტორიაზე შექმნილ საწარმოებში, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სხვა ნაგებობებში; პ) სხვადასხვა ობიექტზე თვითნებურად მოაწყოს სხვადასხვა ნაგებობა, კარადა, სვიფო და სხვა ნაკეთობები; ე) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე კედლებზე, ტუმბოებსა და საწოლებზე გამოფინოს ფოტოები, რეპროდუქციები, ბარათები, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ამონაჭრები; რ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე დაამზადოს რაიმე სახის ელექტრო ან მექანიკური მოწყობილობა; ს) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე გამოიყენოს მოწყობილობები, ინსტრუმენტები, არასაწარმოო მიზნით გამოიყენებადი მექანიზმები და მასალები; ტ) მოამზადოს და გამოიყენოს საქმელი ამისათვის გაუთვალისწინებელი ადგილები; უ) გამოიყენოს ხმაური, რომელიც არღვევს წესრიგს და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას; ფ) უკანონო ფორმით მიაწოდოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია საკნიდან საკანში ან დაწესებულების გარეთ; დ) განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რაც არღვევს დებულებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს ან/და დღის განრიგს (#8 პენიტენციური დაწესებულების დებულება).

გაფრთხილებისაკენ, რათა მან არ ჩაიდინოს ისეთი საქციელი, რისთვისაც შესაძლებელია დაისაჯოს.³⁵⁶

პენიტენციური კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც არღვევს პენიტენციური დაწესებულების დებულებას, წესრიგს, ზიანს აყენებს უსაფრთხოებას და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ:

- ა) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა;
- ბ) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დარღვევა;
- გ) დაწესებულების მოსამსახურის, სხვა უფლებამოსილი პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მისდამი დაუმორჩილებლობა ან მისთვის წინააღმდეგობის სხვაგვარად გაწევა;
- დ) სხვა პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან მისი ღირსების სხვაგვარად შელახვა;
- ე) დაწესებულების ან სხვა პირის ქონების დაზიანება ან განადგურება (მათ შორის, მისი ვიზუალური მხარის შეცვლით);
- ვ) დაწესებულების მიერ დადგენილი გადაადგილების მუზღუდვების დარღვევა/საზღვრების უნებართვოდ გადაკვეთა;
- ზ) სარგებლის მისაღებად დაწესებულების ტერიტორიაზე საქმიანობის ამ დაწესებულების დირექტორის ნებართვის გარეშე განხორციელება;
- თ) დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული მოწყობილობის/სისტემის ფუნქციონირებაში ამ დაწესებულების დირექტორის ნებართვის გარეშე ჩარევა, შენობა-ნაგებობის დიზაინისა და ფუნქციების თვითნებურად შეცვლა;
- ი) დაწესებულების ტერიტორიაზე იმ ნივთის დამზადება, ფლობა ან გამოყენება, რომლის ქონაც ეკრძალება ბრალდებულს/მსჯავრდებულს და არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას;
- კ) ხმაური ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც არღვევს წესრიგს და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას;
- ლ) ნებისმიერი ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდება საკნიდან საკანში ან დაწესებულების გარეთ;
- მ) დაწესებულების დებულების, დღის განრიგისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ნორმების დარღვევა.

პენიტენციური კოდექსის 71-ე მუხლის მიხედვით, დისციპლინური დარღვევის ჩადენის შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სახდელი, რომელიც დისციპლინური ქმედების პროპორციული უნდა იყოს. ჯგუფური დარღვევის ჩადენის შემთხვევაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური სახდელი ინდივიდუალურად განისაზღვრება. თუ დისციპლინური დარღვევის გარემოებები წარმოშობს ამ კოდექსის 62-ე მუხლით გათვალისწინებული უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენების საფუძველს, უსაფრთხოების ღონისძიება გამოიყენება ამ თავით განსაზღვრული დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე.

ამავე კანონის 72-ე მუხლის თანახმად, დისციპლინური დარღვევისთვის შესაძლებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ იქნეს შემდეგი დისციპლინური სახდელები:

³⁵⁶ R-P. Calliess/H. Müller-Dietz, Strafvollzugsgesetz-Kommentar. München 2000. S. 468.

- ა) გაფრთხილება;
- ბ) საყვედური;
- გ) მუშაობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;
- დ) ნებადართული ნივთებით (გარდა ექიმის მიერ დანიშნული კვების აუცილებელი პროდუქტებისა და მედიკამენტებისა) სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;
- ე) ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა ან/და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;
- ვ) საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა 3 თვემდე ვადით;
- ზ) სამარტოო საკანში მოთავსება 14 დღემდე ვადით;
- თ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;
- ი) პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;
- კ) პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;
- ლ) კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არაუმეტეს წელიწადში 6-ჯერ;
- მ) პირადი ტელევიზორით ან რადიომიმდებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;
- ნ) ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაციის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით.

ამავე მუხლში დაკონკრეტებულია ზოგიერთი დისციპლინური სახდელების გამოყენების პირობები. კერძოდ:

- გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს შეიძლება შეეზღუდოს აგრეთვე ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული უფლება 2 თვემდე ვადით;³⁵⁷
- გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“-„ე“³⁵⁸ და „თ“-„კ“³⁵⁹ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება შეე-

³⁵⁷ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 34-ე მუხლის მე-12 ნაწილი: გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს უფლება, დატოვოს ეს დაწესებულება ერთ-ერთი შემდეგი პირობითა და ვადით: ა) გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ სწავლის ან/და მუშაობის შემთხვევაში, სასწავლო ან/და სამუშაო გრაფიკის შესაბამისად; ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენებისა და უქმე დღეებში; გ) დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, 1 კვირის განმავლობაში არაუმეტეს 3 დღე-ღამისა.

³⁵⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტები: გ) მუშაობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით; დ) ნებადართული ნივთებით (გარდა ექიმის მიერ დანიშნული კვების აუცილებელი პროდუქტებისა და მედიკამენტებისა) სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით; ე) ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა ან/და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით.

³⁵⁹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“, „ი“, „კ“ ქვეპუნქტები: თ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით; ი) პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით; კ) პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა

ზღუდოს 1 თვემდე ვადით;

- გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მიმართ არ გამოიყენება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ“³⁶⁰ და „ლ“-„ნ“³⁶¹ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები;
- ორსული ქალის, მცირეწლოვანი ბავშვის დედის (რომელსაც პენიტენციურ დაწესებულებაში ჰყავს 3 წლამდე ბავშვი ან რომელიც ამ კოდექსის 39-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, შვილთან ურთიერთობის მიზნით, სარგებლობს დასვენებისა და უქმე დღეებში პენიტენციური დაწესებულების დატოვების უფლებით) და 65 წელს მიღწეული ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ არ გამოიყენება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით³⁶² გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები;
- ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“-„კ“³⁶³ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თითოეული უფლების შეზღუდვის ვადა 1 წლის განმავლობაში 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს;
- დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“, „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტებით³⁶⁴ გათვალისწინებული უფლებების ერთდროულად შეზღუდვა;
- ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“³⁶⁵ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში ბრალდებულს/ მსჯავრდებულს უნარჩუნდება სატელეფონო საუბრის უფლება საქართველოს სახალხო დამცველის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დასაკავშირებლად;
- დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის ამ მუხლის პირველი ნაწილის

არაუმეტეს 3 თვის ვადით.

³⁶⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი: ვ) საყნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა 3 თვემდე ვადით.

³⁶¹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“, „მ“, „ნ“ ქვეპუნქტები: ლ) კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არაუმეტეს წელიწადში 6-ჯერ; მ) პირადი ტელეფონით ან რადიომიმდებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით; ნ) ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაციის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით.

³⁶² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები: ვ) საყნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა 3 თვემდე ვადით; ზ) სამართლო საყანში მოთავსება 14 დღემდე ვადით.

³⁶³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“, „ი“, „კ“ ქვეპუნქტები: თ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით; ი) პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით; კ) პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით.

³⁶⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“, „ი“, „ლ“ ქვეპუნქტები: თ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით; ი) პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით; ლ) კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არაუმეტეს წელიწადში 6-ჯერ.

³⁶⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი: თ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით.

„ი“³⁶⁶ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა არ ვრცელდება იმ კორესპონდენციაზე, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, სამსახური, საქართველოს სახალხო დამცველი, ავტოკატი, პროკურორი, სამსახურის ადგილობრივი საბჭო.

პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის მე-2-9 ნაწილების რეგულირება მიმართულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებების დაცვისკენ და ხაზს უსვამს პატიმრების გარე სამყაროსა და მათ შორის, ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შეზღუდვის დაუმჯობესებას.

პენიტენციური დაწესებულების 73-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს, უფლება აქვს: ა) მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობოს დარღვევის არსი და საფუძველი; ბ) დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში ჰქონდეს დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დრო და საშუალება; გ) ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, მათ შორის, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ამას თავად მოითხოვს დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში; დ) დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში მოითხოვოს მის განხილვაზე მოწმეთა დასწრება და დაკითხოს ისინი; ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით, თუ მას არ ესმის სამართალწარმოების ენა.

პენიტენციური კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, დისციპლინური დარღვევის საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. თუ ამ დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიღება, მას უფლება აქვს, აღნიშნული საქმე ზეპირი მოსმენით განიხილოს. დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ჰყავდეს ავტოკატი. ბრალდებულს/მსჯავრდებულს განემარტება უფლება – მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, გაასაჩივროს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულება. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჩამოერთვას ახსნა-განმარტება მის მიერ ჩადენილ დისციპლინურ დარღვევასთან დაკავშირებით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის

³⁶⁶ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი: ი) პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით.

მიერ ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს. დისციპლინური დარღვევის ჩამდენ ბრალდებულს/მსჯავრდებულს, მოწმეს, დაზარალებულს უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს ახსნა-განმარტებები ან/და შენიშვნები. ისინი დაერთვის განკარგულებას დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ. დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს დაჯდომისა და ჩანაწერების გაკეთების საშუალება. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებული იქნება მისი პიროვნება და ქცევა, მის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენის გარემოებები და ბრალდებულის/მსჯავრდებულის ახსნა-განმარტება ამ დარღვევასთან დაკავშირებით. დისციპლინური დარღვევის საქმის განხილვის შემდეგ მტკიცებულების შეფასების საფუძველზე, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, წარმოდგენილი იყოს ადვოკატის მიერ დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისას, რომელიც ეხება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ან „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის გამოყენებას. ზეპირი მოსმენის დაწყებამდე ბრალდებულს/მსჯავრდებულს განემატება საკუთარი ადვოკატის მოწვევის უფლება, რომელიც შესაბამისი თანხმობის მიღების შემთხვევაში ხორციელდება განმარტებიდან 3 საათის განმავლობაში. თუ დადგენილ ვადაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატი არ გამოცხადდება ზეპირ მოსმენაზე, ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი თანხმობით დაენიშნება საზოგადოებრივი ადვოკატი. თუ ბრალდებულის/მსჯავრდებულის ზეპირ მოსმენაზე დასწრებაზე უარს აცხადებს, ეს ფაქტი წერილობით ფიქსირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ბრალდებულის/მსჯავრდებულის. ზეპირი მოსმენა/სხდომა, რომელიც ეხება დისციპლინური სახდელის გამოყენებას, შეიძლება გაგრძელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, თუ ბრალდებულის/მსჯავრდებულის არ ცხადდება სხდომაზე ან თავისი ქმედებით არღვევს წესრიგს ან სხვაგვარად უშლის ხელს სხდომის მიმდინარეობას.

პენიტენციური კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების გამოცემის უფლება აქვს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. ბრალდებულს/მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დისციპლინური დარღვევის გამოვლენის დღიდან არაუგვიანეს 10 დღისა. დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების ერთი ასლი მისი გამოცემისთანავე გადაეცემა ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან მის ადვოკატს. დისციპლინური დარღვევის საქმის მასალები უნდა დაერთოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეს. დისციპლინური სახდელის აღსრულება უნდა დაიწყოს ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის მისი დაკისრებიდან 1 თვის ვადაში. პენიტენციური კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია:

- ერთი დისციპლინური დარღვევის ჩადენისთვის ბრალდებულისთვის/მსჯავ-

ვრდებულისთვის 2 ან 2-ზე მეტი დისციპლინური სახდელის დაკისრება, გარდა ამ კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევისა;

- ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი არ უნდა იყოს დამამცირებელი და პატივისა და ღირსების შემლახველი;
- ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩაღწიდან გასულია 1 წელი.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინურსახდელდაუდებლად ითვლება, თუ მან აღნიშნული სახდელის მოხდიდან 6 თვის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდინა დისციპლინური დარღვევა. ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ან „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინურსახდელდაუდებლად ჩაითვლება, თუ მან მისი მოხდიდან 1 წლის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდინა დისციპლინური დარღვევა. პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია ბრალდებულს/მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელი ვადამდე მოუხსნას, თუ ამ სახდელის მიზანი მიღწეულია.

7.1.1. დისციპლინური სახდელის გასაჩივრება

პენიტენციური კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განჯარგულების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ერთჯერადად გაასაჩივროს სასამართლოში მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი. დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განჯარგულების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მისი სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა ან სხვა განსაკუთრებული გარემოება, რომელიც აფერხებს დისციპლინური სახდელის აღსრულებას, იწვევს მისი აღსრულების გადავადებას ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში დაბრუნებამდე.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება არის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება, რომლის მიზანია „უზრუნველყოს სამართლებრივი მშვიდობა და სამართლებრივი უსაფრთხოება“.³⁶⁷

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე“. სასამართლო იურისდიქციაში იგულისხმება, რომ ეროვნული სასამართლო იყოს კანონის საფუძველზე შექმნილი და ამ საქმის განხილ-

³⁶⁷ მ. ტურავა, 42-ე მუხლის კომენტარი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 517.

ვის კომპეტენციით აღჭურვილი (ე. წ. კანონისმიერი სასამართლოს უფლება).³⁶⁸ საკითხავია, სამართლის რომელი დარგის მოსამართლემ უნდა განიხილოს მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური ღონისძიების გასაჩივრება: სისხლის სამართლის მოსამართლემ, თუ ადმინისტრაციული სამართლის სასამართლომ.

7.1.2. სამართლო საკანში მოთავსება

პენიტენციური კოდექსი მხოლოდ ერთ დისციპლინურ სახდელს განმარტავს საკანონმდებლო დონეზე. ეს დისციპლინური სახდელი არის სამართლო საკანში მოთავსება. სამართლო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეკრძალება ხანმოკლე პაემანი, ხანგრძლივი პაემანი, სატელეფონო საუბარი, კვების პროდუქტების შექმნა, აგრეთვე ეზღუდება შრომითი საქმიანობისა და ინდივიდუალური საქმიანობის უფლებები. მას შეუძლია ისარგებლოს გასეირნების უფლებით – ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა. სამართლო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნარჩუნდება სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა და სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება, თუ ეს ხელს არ უშლის დისციპლინური სახდელის აღსრულებას. სამართლო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნარჩუნდება სატელეფონო საუბრის უფლება საქართველოს სახალხო დამცველის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დასაკავშირებლად. ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი უსაფრთხოების დასაცავად სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევაში სარგებლობს ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლებით. სამართლო საკანი უნდა იყოს განათებული და ვენტილაციით უზრუნველყოფილი. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სკამი და საწოლი. მას უფლება აქვს, მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს საკითხავი მასალა. დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული სენსორული იზოლაციის პირობებში მოთავსება. პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია სამედიცინო პერსონალს აცნობოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამართლო საკანში მოთავსების შესახებ. სამედიცინო პერსონალი სამართლო საკანში მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ყოველდღიურ, განსაკუთრებულ მეთვალყურეობას უნდა ახორციელებდეს. აუცილებლობის შემთხვევაში მისი სამართლო საკანში ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს პენიტენციური დაწესებულების ექიმის დასკვნის საფუძველზე. სამართლო საკანის გამოყენების საერთაშორისო სტანდარტები

• **გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები - ნელსონ მანდელას წესები**
გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) 43-ე წესში მიუთითებს, რომ დაუშვებელია შეზღუდვები ან დისციპლინარული სახდელები რაიმე ვითარებაში უტოლდებოდეს წამებას ან სხვა სახის სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. განსაკუთრებით უნდა აიკრძალოს შემდეგი პრაქტიკა: ა) სამართლო საკანში განუსაზღვრელი ვადით მოთავსება; ბ) სამართლო საკანში ხანგრძლივი ვადით მოთავსება. ნელსონ მანდელას 44-ე და 45-ე წესები ზოგადი მიდგომების დონეზე არეგულირებს სამართლო საკანის გამოყენების საკითხებს.

³⁶⁸ იქვე, გვ. 527-528.

აღნიშნული სტანდარტების 44-ე წესის მიხედვით [განუსაზღვრელი ვადით], სამართლო საკანში მოთავსება გულისხმობს დღეში 22 ან მეტ საათთან განცალკევებულ განთავსებას მნიშვნელოვანი ადამიანური კონტაქტის გარეშე. [ხოლო] სამართლო საკანში ხანგრძლივი მოთავსება გულისხმობს სამართლო საკანში მოთავსებას ზედიზედ 15-ზე მეტი დღით.

ნელსონ მანდელას 45-ე წესის თანახმად, სამართლო საკანში მოთავსების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როგორც უკანასკნელი ზომა, შეძლებისდაგვარად მოკლე პერიოდით და უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ გადასინჯვას შესაბამისი ორგანოს/პირის მიერ და უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი პირის ნებართვის საფუძველზე. დაუშვებელია, მისი დაკისრება პატიმრის სასჯელიდან გამომდინარე [დაუშვებელია, მისი დაკისრება გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე³⁶⁹]. დაუშვებელია, შეზღუდული ფსიქიკური ან ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პატიმრის სამართლო საკანში მოთავსება, როდესაც შესაძლებელია მსგავსი ზომის გამოყენებამ დაამძიმოს მისი მდგომარეობა. კვლავ მოქმედებს სამართლო საკანში მოთავსებისა და მსგავსი ზომების გამოყენების აკრძალვა ქალებისა და ბავშვების შემთხვევაში, როგორც ეს მითითებულია დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ გაერთიანებული ერების სხვა სტანდარტებსა და ნორმებში.

• **წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტები სამართლო საკანთან დაკავშირებით³⁷⁰**

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) თავის სტანდარტებში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სამართლო საკანებში მოთავსებულ პატიმრებს, რადგან ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს აღნიშნული პირების ფსიქიკურ, სომატურ და სოციალურ ჯანმრთელობას. აღნიშნული ზიანი შესაძლოა მყისიერი იყოს და რაც უფრო ხანგრძლივი და გაურკვეველია სამართლო საკანში მოთავსების პერიოდი, მით უფრო მძიმდება. ამ ზიანის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია დაწესებულების სხვა პატიმრებთან შედარებით სამართლო საკანში მოთავსებულ პატიმართა შორის თვითმკვლელობის უფრო მაღალი მაჩვენებელი. გარდა ამისა, სამართლო საკანში მოთავსებამ შესაძლოა შექმნას პირობები არასათანადო მოპყრობის კუთხით, სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და თანამშრომლების ყურადღების მიღმა. CPT-სთვის ტერმინი „სამართლო საკანში მოთავსება“ ნიშნავს ღონისძიებას, რომლის დროს პატიმარს აცალკევებენ სხვა პატიმრებისგან, მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილების ან დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველზე, ასევე პრევენციული ადმინისტრაციული ღონისძიების განხორციელების ან თვით პატიმრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. სამართლო საკანში მოთავსე-

³⁶⁹ Schweizerisches Kompetenzzentrum für Menschenrechte (SKMR), Nelson-Mandela-Regeln. Das Regelwerk der UNO für die Behandlung der Gefangenen und seine Bedeutung für die Schweiz, verfasst von Künzli J./Büchler A./Weber F., Bern 2020. S. 34.

³⁷⁰ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2013, <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008126e> [30.04.2024].

ბული პატიმარი, როგორც წესი, იმყოფება მარტო; თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, შესაძლოა ორი ან სამი პატიმარი იქნეს მოთავსებული ერთად.

საკითხთან დაკავშირებული პრინციპები

სამართლო საკანში მოთავსების პრინციპების გამოყენება დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე.

- ა) პროპორციულობა: პატიმრის უფლებებზე ყოველი დამატებითი შეზღუდვის დაწესება უნდა გამომდინარეობდეს არსებული ან პოტენციური ზიანისგან, რომელიც პატიმარმა უკვე გამოიწვია ან გამოიწვევს თავისი ქმედებით (ან პოტენციური საფრთხისგან, რომელიც მას ემუქრება) სასჯელადსრულების დაწესებულებაში. იქიდან გამომდინარე, რომ სამართლო საკანში მოთავსება მნიშვნელოვნად ზღუდავს თავისუფლებადკვეთილ პირთა უფლებებს, რაც თავისთავად გულისხმობს პატიმრისათვის გარკვეული რისკის არსებობას, არსებული ან პოტენციური ზიანის/საფრთხის მოცულობა უნდა იყოს თანაბრად სერიოზული და აღნიშნული ზომის გამოყენება საკითხის გადაჭრის ერთადერთი გზა უნდა იყოს. ამ პრინციპის გათვალისწინებით, უმეტეს ქვეყნებში სამართლო საკანში მოთავსება გამოიყენება, როგორც ყველაზე სერიოზული დისციპლინური დარღვევების დროს დაწესებული სახდელი.
- ბ) კანონიერება: ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დებულებებს თითოეული შემთხვევისთვის, რომლის დროსაც ქვეყანაში დაშვებულია სამართლო საკანში მოთავსება და ეს დებულებები გონივრული უნდა იყოს. აღნიშნული დებულებები ამომწურავად უნდა ეცნობოს ყველა პირს, ვის მიმართაც ისინი გამოიყენება. კანონმდებლობაში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ყველა ის შემთხვევა, რომელთა დროს შესაძლებელია სამართლო საკანში მოთავსების ზომის გამოყენება, გადაწყვეტილების მიმღები პირები და გასაჩივრების პროცედურები.
- გ) აღრიცხვიანობა: სამართლო საკანში მოთავსების გადაწყვეტილებებისა და მათი გადახედვის შესახებ ინფორმაცია სრულად უნდა იყოს აღრიცხული. ჩანაწერები უნდა მოიცავდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებულ ყველა ფაქტორს და ინფორმაციას, რომლისგანაც ეს ფაქტორები გამომდინარეობს. ჩანაწერები ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გადაწყვეტილების მიღების პროცესში პატიმრის წვლილისა ან მონაწილეობის მიღებაში უარის განცხადების შესახებ. გარდა ამისა, დეტალურად უნდა აღირიცხოს სამართლო საკანში მოთავსების პერიოდში პატიმრისა და პერსონალის ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია, პატიმართან თანამშრომლების მიერ კონტაქტში შესვლის ნებისმიერი მცდელობისა და პატიმრის რეაგირების ჩათვლით.
- დ) აუცილებლობა: წესი, რომლის თანახმადაც დასაშვებია მხოლოდ ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე და უსაფრთხო და სათანადო პატიმრობის უზრუნველსაყოფად, თანაბრად ვრცელდება სამართლო საკანში მოთავსებულ თავისუფლებადკვეთილ პირებზეც. შესაბამისად, სამართლო საკანში

მოთავსებისას თავისუფლებააღკვეთილ პირს ავტომატურად არ უნდა შეუზღუდოს პაემნის, სატელეფონო ზარების და მიმოწერის უფლება, ასევე სხვა აქტივობების ხელმისაწვდომობა, რითაც ჩვეულებრივ სარგებლობს პატიმარი (მაგალითად, საკითხავ მასალაზე ხელმისაწვდომობა). ასევე, დღის რეჟიმი უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რათა თავისუფლებააღკვეთილ პირს მოეხსნას ნებისმიერი შეზღუდვა, რომლის გამოყენებაც არ არის აუცილებელი ინდივიდუალურ შემთხვევებში.

- ე) არადისკრიმინაციულობა: თავისუფლებააღკვეთილი პირის სამართლო საკანში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია არა მხოლოდ რელევანტური საკითხების გათვალისწინება, არამედ იმის უზრუნველყოფა, რომ მხედველობაში არ იქნება მიღებული ისეთი საკითხები, რომლებიც არ არის საქმესთან დაკავშირებული. ხელისუფლებამ უნდა აკონტროლოს სამართლო საკანში მოთავსების თითოეული ფორმის გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ეს ზომა არ არის გამოყენებული არაპროპორციულად, მიზანმიუმართავად და საფუძვლიანი დასაბუთების გარეშე, კონკრეტული პატიმრისა თუ პატიმართა ჯგუფის მიმართ.

სამართლო საკანში მოთავსების სახეები და მათი კანონიერება

ძირითადად არსებობს ოთხი ტიპის სიტუაცია, როდესაც გამოიყენება პატიმრის სამართლო საკანში მოთავსება. თითოეულ სიტუაციას აქვს თავისი ლოგიკური მიზეზი და ისინი ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ:

• **სამართლო საკანში მოთავსება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.** უმეტეს ქვეყნებში, სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება, განჩინების საფუძველზე, ბრალდებული (წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი) გარკვეული დროით მოათავსოს სამართლო საკანში სისხლისსამართლებრივი გამოძიების კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე. CPT მიიჩნევს, რომ სამართლო საკანში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილება, თუნდაც სასამართლოს დისკრეციით, არასოდეს უნდა იყოს განხილული როგორც განაჩენის შემადგენელი ნაწილი. აღნიშნულ კონტექსტში, აუცილებელია საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის გახსენება, რომ დამნაშავეს ციხეში აგზავნიან სასჯელის მოხდის და არა დასჯის მიზნით. თავისუფლების აღკვეთა თავისთავად არის სასჯელი და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის განაჩენის პოტენციურად საშიში გამწვავება დაუშვებელია. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს მსჯავრდებული პირის გარკვეული პერიოდით სამართლო საკანში მოთავსება, თუმცა ეს გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ და არ იყოს სისხლისსამართლებრივი სანქციების ნაწილი.

• **სამართლო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი.** თავისუფლებააღკვეთილი პირის განცალკევება სხვა პატიმრებისგან შესაძლოა დაკისრებულ იქნეს კანონით გაწერილი დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე, როგორც დისციპლინური სახდელის უმაღლესი ზომა. ზოგიერთ ქვეყანაში დაწესებულების ხელმძღვანელს აქვს უფლება, გამოიყენოს სამართლო საკანში განთავსება კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური დროით, ხოლო სასამართლოს ეძლევა უფლებამოსილება გაახანგრძლივოს ეს პერიოდი. უმეტეს

ქვეყნებში აკრძალულია სამართლო საკანში განთავსების ზომის ზედღიზედ რამდენჯერმე უწყვეტი გამოყენება. რადგან სამართლო საკანში მოთავსება პოტენციურად ზიანის მომტანია, CPT მიიჩნევს, რომ პროპორციულობის პრინციპის დაცვით, აღნიშნული ზომა გამოყენებულ უნდა იქნეს, დისციპლინური სახდელის სახით, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როგორც უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება მცირე პერიოდით. ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში შეინიშნება დასჯის სახით სამართლო საკანში მოთავსების მაქსიმალური პერიოდის შემცირების ტენდენცია. CPT მიიჩნევს, რომ აღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული დანაშაულისათვის 14 დღეს და სასურველია, უფრო ნაკლები იყოს. გარდა ამისა, აკრძალულ უნდა იქნეს ერთმანეთზე მიყოლებით დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც სახდელის სახით ითვალისწინებენ წყვეტის გარეშე სამართლო საკანში განთავსებას მაქსიმალურ დასაშვებ პერიოდზე მეტი დროით. რეაგირება თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ ჩადენილ ნებისმიერ დარღვევაზე, რომელიც მიიჩნევა, რომ იმსახურებს გაცილებით მკაცრ ზომებს, უნდა იყოს დარეგულირებული სისხლის სამართლის სისტემის ფარგლებში.

• **სამართლო საკანში მოთავსება, როგორც პრევენციული სახის ადმინისტრაციული ზომა.** ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების სახით სამართლო საკანში იმ პატიმრების მოთავსებას, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს (ან სავარაუდოდ მიაყენებენ) სხვა პირებს ან იმ პატიმრებს, ვინც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ დაწესებულების წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის. ცალკეული ინციდენტის დროს აღნიშნული პატიმრობის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს რამდენიმე საათი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი განსაკუთრებით საშიშია და მუდმივად ქმნის საფრთხეს, მისი იზოლირების პერიოდმა შესაძლოა რამდენიმე წელიც გასტანოს. ზემოაღნიშნული საფუძვლით სამართლო საკანში მოთავსება ყველაზე ხანგრძლივია და თან ახლავს დაცვის ყველაზე მცირე პროცედურული გარანტიები. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს წესები, რომლებიც უზრუნველყოფდა, რომ აღნიშნული ზომის მიღების შესახებ გადაწყვეტილება არ მიიღება ნაჩქარევად (მაგალითად, როგორც მყისიერი რეაგირება თითოეულ დისციპლინურ დარღვევაზე სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე), ზედმეტად ფართოდ და ხანგრძლივი ვადით.

• **დაცვის მიზნით სამართლო საკანში მოთავსება.** ყველა სასჯელალსრულების სისტემაში არსებობენ პატიმრები, რომელნიც საჭიროებენ სხვა პატიმრებისგან დაცვას. ეს შეიძლება მათი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარეობდეს ან მართლმსაჯულების სისტემის ოფიციალურ პირებთან თანამშრომლობასთან, კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის მტრობასთან, დაწესებულების შიგნით ან გარეთ არსებულ ვალებთან ან, ზოგადად, პირის დაუცველობასთან იყოს დაკავშირებული. ასეთ პირობებში, ბევრ შემთხვევაში არის შესაძლებელი პატიმართა თანაცხოვრების უზრუნველყოფა დაწესებულების შიგნით, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში რისკი იმდენად მაღალია, რომ დაწესებულების ხელმძღვანელობა, პატიმრის წინაშე თავისი მოვალეობების უზრუნველყოფის მიზნით, იძულებულია მიიღოს პირის განცალკევების გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს თვითონ პატიმრის თხოვნის საფუძველზე ან საჭიროების შემ-

თხვევაში - დაწესებულების ხელმძღვანელობის ინიციატივით. როგორც არ უნდა იყოს ეს პროცესი, ფაქტია, დაცვის აღნიშნული ზომის ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ თავისუფლებაადკვეთილი პირისათვის შესაძლოა რთული აღმოჩნდეს პატიმრობის დარჩენილი ვადა ან შესაძლოა, მომდევნო ვადებიც. სახელმწიფოებს აქვთ თავისუფლებაადკვეთილი პირისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება და უნდა ეცადონ შეასრულონ აღნიშნული ვალდებულება პატიმრებს შორის, რაც შეიძლება მეტი სოციალური ურთიერთქმედების ხელშეწყობის გზით, რომელიც თავსებადი იქნება სათანადო წესრიგის შენარჩუნებასთან. დაცვის მიზნით სამართლო საკანში მოთავსების ზომა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც აბსოლუტურად არ არსებობს სხვა გზა კონკრეტული პატიმრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

7.2. დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკა

7.2.1. დისციპლინური სახდელების გამოყენების სტატისტიკა

დისციპლინური სახდელების გამოყენება	2023 წელი
ერთი კალენდარული წლის განმავლობაში	
პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 6 თვის ვადით	35
კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არაუმეტეს წელიწადში 6-ჯერ	65
ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით	0
პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლ. უფლებ. შეზღუდ. არაუმეტ. 3 თვის ვადით	41
პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით	11
სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით	609
სამართლო საკანში მოთავსება 14 დღემდე ვადით	739
საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა 6 თვემდე ვადით	13
ამნათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა არაუმეტეს 6 თვის ვადით	30
ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 6 თვის ვადით	0
ინდივიდ. საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაციის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით	0
მუშაობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 6 თვის ვადით	0
საყვედური	1931
გაფრთხილება	115
ჯამში	3589

დისციპლინური სახდელების გამოყენება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ყველაზე ხშირად განხორციელდა შემდეგ ოთხ დაწესებულებაში: მე-8 და-

წესებულება 1237 სახდელი, მე-2 დაწესებულება - 479, მე-3 დაწესებულება – 1101 და მე-6 დაწესებულება - 299.

7.2.2. პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკის კვლევა საქართველოში

- კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია პატიმრების მიმართ საქართველოს მასშტაბით ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში - 2018 წლის 20 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით, 1 აპრილიდან 10 აპრილის ჩათვლით, და 17 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით პერიოდში - დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების თაობაზე.³⁷¹ პენიტენციური დეპარტამენტიდან სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა ინფორმაცია სტატისტიკური მონაცემების შესახებ და წარედგინა დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ 307 განკარგულება. 2018 წლის 20 იანვრიდან 30 იანვრის პერიოდში გამოყენებული იყო - 120 დისციპლინური სახდელი, 2018 წლის 1 აპრილიდან 10 აპრილის ჩათვლით - 82, ხოლო 2018 წლის 17 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით - 105 დისციპლინური სახდელი, ჯამში - 307.

ყველაზე ხშირად გამოყენებული სახდელი იყო „საყვედური“ – 134 შემთხვევა, სიხშირით მეორე ადგილზე იყო „ტელეფონზე საუბრის აკრძალვა“ – 72 შემთხვევა, „გაფრთხილება“ – 33-ჯერ იყო გამოყენებული, სამართლო საკანში პატიმარი 31-ჯერ მოთავსდა, ხანმოკლე პაემანი აკრძალათ – 23-ჯერ, ამანათის მიღების უფლება შეიზღუდა – 8-ჯერ, საკნის ტიპის საცხოვრებელ საკანში პატიმარი გადაიყვანეს 3-ჯერ, პირადი კორექსონდენციისა და მალაზიით სარგებლობის უფლება შეიზღუდა თითო შემთხვევაში. 1 შემთხვევაში საერთოდ არ ყოფილა მითითებული, თუ რა სახდელი დააკისრეს პატიმარს. თხუთმეტიდან ექვს პენიტენციურ დაწესებულებაში - №7, №9, №11, №12, №16 და №19 - საერთოდ არ ყოფილა საანგარიშო პერიოდში დისციპლინური სახდელი გამოყენებული. რამდენიმე ერთეული შემთხვევა გამოვლინდა 5 პენიტენციურ დაწესებულებაში - №5, №14, №15, №17 და №18 დაწესებულებებში. ყველაზე მრავლად დისციპლინური ღონისძიებები გამოყენებული იყო №2, №3, №6 და №8 დაწესებულებებში. ჯამში ამ ოთხ დაწესებულებაში 32-დღიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცხის ადმინისტრაციამ 291 დისციპლინური ღონისძიება გამოიყენა.

- პრაქტიკაში გამოვლენილი ძირითადი მიდგომები/გამოწვევები

დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ გამოთხოვილი 307 განკარგულების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხასიათის ხარვეზები: პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლები ადასტურებენ; დაწესებულების დირექტორები პატიმრის დასჯის პროცესში არ ეყრდნობიან ნეიტრალურ მტკიცებულებებს; არ ჩანს ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მცდელობა; განკარგულებებში მხოლოდ ფორმალურად და

³⁷¹ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში, თბილისი, 2019, chrome-extension://efaidnbmnnnibpc ajpcglclefindmkaj/https://www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf [30.04.2024].

შაბლონურად მიეთითება კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომაზე, არ არის წარმოდგენილი ლეტალური ინფორმაცია იმ ფაქტის შესახებ, რომელიც პატიმრის მხრიდან გადაცდომად ჩაითვალა; არცერთ განკარგულებაში არ ჩანს, თუ რამ გამოიწვია პატიმრის მხრიდან დისციპლინური გადაცდომა, არ არის დადგენილი მიზეზშედეგობრივი კავშირი გადაცდომამდე არსებულ ვითარებასა და პატიმრის მხრიდან ჩადენილ კონკრეტულ გადაცდომას შორის; განკარგულებები არ შეიცავს დასაბუთებას კონკრეტული სანქციის გამოყენების პროპორციულობის შესახებ; განკარგულებები არ შეიცავს დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ ინფორმაციას; ერთი სახის დისციპლინური დარღვევის დროს პატიმართა მიმართ განსხვავებული სანქციები გამოიყენება. ნათელი არ არის არაერთგვაროვანი მიდგომის საფუძველი; არცერთ საქმეზე არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენა და შესაბამისად, პატიმარს არ მისცემია თავისი ინტერესების განმხილველი პირის წინაშე დაცვის შესაძლებლობა; საქმეთა დიდ უმრავლესობაში არ მოიპოვება პატიმრის წერილობითი ახსნა-განმარტება/პოზიციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი; არცერთ საქმეში არ ჩანს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა რელევანტური ინდივიდუალური მახასიათებლების ამსახველი ინფორმაცია; არცერთ საქმეში არ ყოფილა ჩართული ადვოკატი; არცერთ საქმეში არ ჩანს, რომ პატიმარს ეცნობა დისციპლინური ბრალდების შესახებ ინფორმაცია; არცერთ საქმეში არ ჩანს, რომ პატიმარს მიეცა გონივრული დრო ან/და საშუალება, წარმოედგინა მისი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები; არცერთი განკარგულება პატიმარს არ ჩაბარებია. განვიხილოთ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკის ზოგიერთი გამოწვევა:

- ✓ პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლები ადასტურებენ და დაწესებულების დირექტორები პატიმრის დასჯის პროცესში არ ეყრდნობიან ნეიტრალურ მტკიცებულებებს - შესწავლილ საქმეთაგან მხოლოდ 7 შემთხვევაშია მითითებული, რომ მოწმის სახით გამოიკითხა კონკრეტული პირი, თუმცა, შეუძლებელია იმის გარკვევა, ეს მოწმე ისევ სამართლებრივი რეჟიმის ოფიცერია თუ სხვა პირი. მიღებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ გადაცდომათა ჩადენის ადგილი ვიდეოკამერებით 41 შემთხვევაში ფიქსირდებოდა. მიუხედავად ამისა, ვიდეოჩანაწერი მტკიცების წყაროდ, რომლითაც გადაცდომის ფაქტი ან დადასტურდებოდა ან გაბათილდებოდა, არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებიათ. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში პატიმარი იმის გამო დაისაჯა, რომ მან საკანში ტელევიზორი გატუნა. პენიტენციური სამსახურიდან გვეცნობა, რომ პატიმრის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის დროს საკანში ვიდეოსამეთვალყურეო კამერა იყო დამონტაჟებული. მიუხედავად ამისა, ვიდეოჩანაწერები მოპოვებული არ არის. მეორე შემთხვევაში მითითებულია, რომ პატიმარმა უარი განაცხადა საკნიდან გამოსვლაზე, რისთვისაც მის მიმართ გამოიყენეს დისციპლინური ღონისძიება. ამ შემთხვევაშიც საკანში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერა, თუმცა ჩანაწერები არ ამოუღიათ.
- ✓ განკარგულებები არ შეიცავს დასაბუთებას კონკრეტული სანქციის გამოყენების პროპორციულობის შესახებ და სანქციის გამოყენება არის არაერ-

თვჯაროვანი - არცერთი განკარგულება არ შეიცავს დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ჩაითვალა კონკრეტული გადაცდომისთვის აუცილებლად და პროპორციულად კონკრეტული სანქციის გამოყენება, რატომ არ იქნებოდა საკმარისი უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენება. მაგალითად, წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ ოჯახთან კავშირის აკრძალვა დისციპლინური ღონისძიების სახით მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენებოდეს, თანაც მხოლოდ უმოკლესი ვადით (რამდენიმე დღის და არა კვირის ან თვის განმავლობაში), თუ დარღვევა უკავშირდება ოჯახთან კონტაქტის შესაძლებლობის გამოყენებას. აღნიშნული მითითების მიუხედავად, შესწავლის შედეგები საპირისპირო მიდგომას ავლენს. კერძოდ, 60 შემთხვევაში პირს სახდელი ხმაურის გამო დაეკისრა, თუმცა 7 შემთხვევაში პატიმარს სახდელის სახით აკრძალა ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება, რის გამოც შეუზღუდა ოჯახთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე გადაცდომა ორი პატიმრის მხრიდან, ადმინისტრაციის მიერ განსხვავებულად არის შეფასებული და სანქცირებული. განკარგულებიდან შეუძლებელია იმის ამოკითხვა, არსებობდა თუ არა რომელიმე პატიმრისთვის რაიმე დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება, ან იყო თუ არა სხვაობა დარღვევის ხარისხსა და ინტენსივობაში. მსგავსი პრობლემა გამოიკვეთა უკვე ნახსენებ 60 შემთხვევაში, როდესაც დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალა „ხმაური საკანში“. კერძოდ, ხმაურისთვის 7 შემთხვევაში პატიმარს ხანმოკლე პაემნის უფლება აკრძალა, 10 შემთხვევაში - ტელეფონით სარგებლობის უფლება, 6 შემთხვევაში - სამართლო საკანში მოთავსება იყო გამოყენებული, ხოლო 37 შემთხვევაში - საყვედური გამოეცხადათ. განკარგულებებში არ იკვეთება სანქციის პროპორციულობის დასაბუთება და სრულიად გაუგებარია, რა მიზეზით გამოიყენა პენიტენციურმა დაწესებულებამ განსხვავებული პრაქტიკა სხვადასხვა შემთხვევაში. ასევე, მაგალითად, 32 შემთხვევაში პატიმარი დისციპლინური წესით იმის გამო დაისჯა, რომ უარი განაცხადა საკანიდან გამოსვლაზე. აქედან 3 შემთხვევაში იგი მოათავსეს სამართლო საკანში, 1 შემთხვევაში შეუზღუდა ამანათის მიღების უფლება, 1 შემთხვევაში - ხანმოკლე პაემნის უფლება, 2 შემთხვევაში - ტელეფონზე საუბრის უფლება, 12 შემთხვევაში - გამოეცხადათ გაფრთხილება, ხოლო 13 შემთხვევაში - საყვედური. აღნიშნულ შემთხვევებშიც გაუგებარი იყო, რატომ გამოიყენეს დაწესებულების დირექტორებმა განსხვავებული მიდგომა მსგავსი ფაქტობრივი მოცემულობის შეფასებისას.

- ✓ საქმეთა დიდ უმრავლესობაში არ მოიპოვება პატიმრის წერილობითი ახსნა-განმარტება/პოზიციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი - 307 შემთხვევიდან მხოლოდ 5 საქმეში დევს მსჯავრდებულის წერილობითი ახსნა-განმარტება. აღნიშნული საერთო რაოდენობის 1.6%-ია. სხვა 302 შემთხვევაში დაწესებულების დირექტორმა პატიმრის დასჯის გადაწყვეტილება პატიმრის პოზიციის მოსმენის გარეშე მიიღო. ეს მოცემულობა ბადებს ეჭვს, იცოდნენ თუ არა დანარჩენ 302 შემთხვევაში პატიმრებმა მათ წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ.

- ✓ დასაბუთებული განკარგულების ჩაბარება - განკარგულებათა შესწავლით ასევე იკვეთება პატიმართათვის განკარგულების ჩაბარების პრობლემა. პატიმრების მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულებათა 49%-ის (151 განკარგულება) შემთხვევაში საერთოდ არ მოიპოვება ინფორმაცია დოკუმენტის ჩაბარების თაობაზე, ხოლო განკარგულებათა მეორე ნახევარში, 51% (156 განკარგულება) - გვხვდება პენიტენციური დეპარტამენტის სამართლებრივი რეჟიმის ოფიცრის შენიშვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა უარი განაცხადა მასალების ჩაბარებაზე.
- ✓ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების პრაქტიკა - სახალხო დამცველის აპარატის მიერ სასამართლოდან 2018 წლის 1 მაისიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით მიღებული მონაცემების თანახმად, დისციპლინური ღონისძიების შესახებ განკარგულება 24 შემთხვევაში გასაჩივრდა. აქედან 11 შემთხვევაში საჩივარი დახარვეზდა ბაჟის გადაუხდელობის გამო. გასაჩივრებული განკარგულებები დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ხარვეზიანად იქნა მიჩნეული შემდეგი განაწილებით: თბილისის საქალაქო სასამართლოში - 100% (9 შემთხვევა); რუსთავის საქალაქო სასამართლოში - 25% (1 შემთხვევა); ბათუმის საქალაქო სასამართლოში 11% (1 შემთხვევა). მცხეთის რაიონულ სასამართლოში საერთოდ არ იკვეთება ასეთი მიმართვიანობა. უცნაური იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული პასუხი, რომლის თანახმადაც, დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ ადმინისტრაციულ საჩივარზე ბაჟის გადახდის ვალდებულება მოსარჩელეს არ აქვს. სახალხო დამცველის აპარატს წარმოებაში ჰქონდა ერთი საქმე, რომელშიც ერთ-ერთ პატიმარს ერთი და იმავე დარღვევისთვის ორჯერ დააკისრეს დისციპლინური სახდელი. კერძოდ, 2016 წლის 10 და 26 ივნისს, მსჯავრდებულ ზ. კ.-ს დაწესებულების დირექტორის განკარგულებებით დაეკისრა დისციპლინური სახდელები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაუყოვნებლივ აღსრულდა. მსჯავრდებულმა გაასაჩივრა განკარგულებები, შედეგად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ, 2016 წლის 22 სექტემბერს, მიიჩნია, რომ დირექტორის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო, გააუქმა განკარგულებები და საქმე ხელახალი განხილვისთვის გადაეგზავნა დაწესებულებას. დაწესებულებამ კვლავ განიხილა საკითხი და იმ ქმედებებისთვის, რაზეც უკვე აღსრულებული იყო განკარგულებები, 2016 წლის 25 ნოემბერს კვლავ დააკისრა ახალი სახდელები, რომლებიც ისევ აღსრულდა.

7.3. დისციპლინური დარღვევის პრევენცია

პენიტენციური კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, პენიტენციურმა დაწესებულებამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები დისციპლინური დარღვევის თავიდან ასაცილებლად. პენიტენციური დაწესებულების დებულება, დისციპლინური დარღვევისა და შესაბამისი დისციპლინური სახდელების დეტალური ჩამონათვალით, ყველა ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

დისციპლინური დარღვევის საქმის განხილვა დაწესებულების დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ ექვევა ოპორტუნობის პრინციპის ქვეშ.³⁷² დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. იგი თავად წყვეტს, რა შემთხვევაშია გამოსაყენებელი კონკრეტული მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება და რა შემთხვევაშია შესაძლებელი უარი თქვას ასეთ ღონისძიებაზე. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება უნდა შეესაბამებოდეს პენიტენციური დაწესებულების ამოცანებს (უსაფრთხოება, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია).³⁷³

7.4. მსჯავრდებულისთვის დისციპლინური პატიმრობის შეფარდება

პენიტენციური კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში განმეორებით ჩაიდინა ამ კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური დარღვევა, მას შეიძლება შეეფარდოს დისციპლინური პატიმრობა არაუმეტეს 30 დღე-ღამის ვადით. ეს წესი არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაზე. თუ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფმა მსჯავრდებულმა ჩაიდინა ამ კოდექსის 70-ე მუხლის „გ“, „დ“ ან/და „ლ“ ქვეპუნქტით³⁷⁴ გათვალისწინებული დისციპლინური დარღვევა, მას შეიძლება შეეფარდოს დისციპლინური პატიმრობა არაუმეტეს 60 დღე-ღამის ვადით. დისციპლინური პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მიმართ. მსჯავრდებულისთვის 1 წლის განმავლობაში შეფარდებული დისციპლინური პატიმრობების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 60 დღე-ღამეს, ხოლო ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში – 150 დღე-ღამეს. დისციპლინური პატიმრობა არ შეეფარდება 65 წელს მიღწეულ მსჯავრდებულს. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემის უფლება აქვს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. ამ უფლების დელეგირება ხორციელდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემისას მსჯავრდებულს განემარტება უფლება – გაეცნოს ამ განკარგულებას, მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის ან/და ადვოკატის მომსახურებით, გაასაჩივროს დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულება. აღნიშნული განმარტების თაობაზე მითითებული იქნება განკარგულებაში დისციპლინური პატიმრობის

³⁷² K. Laubenthal, Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg, 2011. S. 451.

³⁷³ ადმინისტრაციული ორგანოს ოპორტუნობის პრინციპთან დაკავშირებით იხ.: გ. თუმანიშვილი, პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, თსუ-ის ჟურნალი „სამართალი“, 2009, #1, გვ. 44.

³⁷⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 70-ე მუხლის „გ“ პუნქტი - დაწესებულების მოსამსახურის, სხვა უფლებამოსილი პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მისდამი დაუმორჩილებლობა ან მისთვის წინააღმდეგობის სხვაგვარად გაწევა, „დ“ პუნქტი - დ) სხვა პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან მისი ღირსების სხვაგვარად შელახვა, „ლ“ ქვეპუნქტი - ნებისმიერი ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდება საკნდან საკანში ან დაწესებულების გარეთ.

შეფარდების შესახებ. თარჯიმნის ან/და ადვოკატის მოწვევის თაობაზე უნდა აღინიშნოს დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებაში. დისციპლინური დარღვევის ჩამდენ მსჯავრდებულს, მოწმეს, დაზარალებულს უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს ახსნა-განმარტებები ან/და შენიშვნები. ისინი დაერთვის დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებას. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების ერთი ასლი მისი გამოცემისთანავე გადაეცემა მსჯავრდებულს. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულება გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება უფლებამოსილ სასამართლოს პენიტენციური დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით. მტკიცების ტვირთი ეკისრება განკარგულების გამომცემ თანამდებობის პირს. მოსამართლე დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებას განიხილავს ერთპიროვნულად ღია სასამართლო სხდომაზე, მისი წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში. საქმის განხილვის შემდეგ დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი. დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის სხვა დროისთვის გადადება დაუშვებელია. სასამართლო საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამასთანავე, საქმის განხილვისას არ გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი. სასამართლო საქმეს განიხილავს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მსჯავრდებელი სარგებლობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გარანტირებული ყველა უფლებით. მას უფლება აქვს, სრული თანასწორობის საფუძველზე წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში, მოიწვიოს მოწმეები, მისცეს ახსნა-განმარტება, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვას საკუთარი აზრი საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. საქმის განხილვისას მსჯავრდებულს უფლება აქვს, სასამართლოში გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის ან/და ადვოკატის მომსახურებით. თუ მსჯავრდებულს არ აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯით. დისციპლინური პატიმრობის ვადაში ჩაითვლება მსჯავრდებულის სასამართლოში წარსადგენად გამოყენებული დრო და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოსატანად გამოყენებული დრო.

დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას) არ შეიძლება საფუძველად დაედოს ვარაუდი. ეს გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ შესაბამისი დისციპლინური დარღვევის ჩადენა სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დროს სასამართლოს მიერ მოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე დამტკიცდა. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერია, თუ ის გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) სამართლიანია, თუ შეფარდებული დისციპლინური

პატიმრობა შეესაბამება დისციპლინური დარღვევის ჩამდენ პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის სიმძიმეს. დისციპლინური პატიმრობის შეფარდებისას სასამართლო თანამიმდევრულად წყვეტს შემდეგ საკითხებს: ა) ჩაიდინა თუ არა პირმა ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება; ბ) არის თუ არა პირის ქმედება მართლსაწინააღმდეგო; გ) შეერაცხება თუ არა პირს ბრალად ჩადენილი ქმედება; დ) უნდა შეეფარდოს თუ არა პირს დისციპლინური პატიმრობა და, თუ უნდა შეეფარდოს – რა ვადით; ე) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი.

თუ პირი რამდენიმე დისციპლინური დარღვევის ჩადენაშია მხილებული, საქმის განხილვისას სასამართლო თითოეული დისციპლინური დარღვევის მიხედვით ცალკე და მთლიანად წყვეტს ამ მუხლის მე-6 ნაწილში მითითებულ საკითხებს. სასამართლო უფლებამოსილია დისციპლინური დარღვევის ჩადენაში მხილებული რამდენიმე პირისთვის დისციპლინური პატიმრობის შეფარდების საკითხები განიხილოს ერთობლივად, დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამომცემი თანამდებობის პირის შუამდგომლობის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამ მუხლის მე-6 ნაწილში მითითებული საკითხები თითოეული პირის მიმართ ცალ-ცალკე უნდა გადაწყდეს (პენიტენციური კოდექსის 81-ე მუხლი). პენიტენციური კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, დისციპლინური პატიმრობის ვადა არ ჩაითვლება მსჯავრდებულის სასჯელის ვადაში.

პენიტენციური კოდექსის 82-ე მუხლი ეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინება) გასაჩივრებას. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. მიღებულ საჩივარს სასამართლო დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს და მოწინააღმდეგე მხარეს. სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივარს განიხილავს კოლეგიურად – 3 მოსამართლის შემადგენლობით, ღია სასამართლო სხდომაზე. სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას (განჩინებას) გამოიტანს პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის ამ კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) საბოლოოა და არ საჩივრდება.

მერვე თავი

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, რაც გულისხმობს მოქალაქის უფლებას ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანდაცვაზე. კონსტიტუციით ასევე დადგენილია სახელმწიფოს ვალდებულება აკონტროლოს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულება და სამედიცინო მომსახურების ხარისხი. კონსტიტუცია არ შეიცავს დაშვებას რაიმე სახის გამონაკლის შემთხვევაზე, პირის სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ციხის ჯანდაცვა არ უნდა იყოს გამონაკლისი და ის უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს. კონსტიტუცია ასევე ადგენს ცხოვრების უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობას, კერძოდ, ყველას უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში. შესაბამისად, „ყველაში“ მოიაზრება ნებისმიერი ადამიანი, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად.³⁷⁵

კონსტიტუციური ნორმები შეესაბამება პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების დათქმას, რომელიც ადგენს სახელმწიფო ვალდებულებას, იზრუნოს პატიმრების ჯანმრთელობაზე. განსაკუთრებით კი ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ მიდგომაზე - „*პატიმრები უნდა სარგებლობდნენ ჯანდაცვის სფეროს იმავე სტანდარტების მომსახურებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის*“. ამასთან, წესების თანახმად პატიმარს უნდა ჰქონდეს სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა უფასოდ და დისკრიმინაციის გარეშე მისი სამართლებრივი სტატუსის გამო. მანდელას წესები განმარტავს, რომ ციხის სამედიცინო მომსახურება არ შეიძლება იყოს ცალკე მდგომი სისტემა. ციხის ჯანდაცვის ორგანიზება უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროსთან მჭიდრო კონტაქტში და იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პატიმრის უწყვეტი მკურნალობა. აღნიშნული დათქმა წარმოადგენს გარანტიას, რომ ციხის ჯანდაცვა უზრუნველყოფილი იქნება იმ სტანდარტებითა და ხარისხით, როგორც ეს ორგანიზებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტანდარტებით. წესები ასევე განმარტავენ, რომ ციხის ჯანდაცვა უნდა მოიცავდეს უწყვეტი მკურნალობის შესაძლებლობას აივ, ტუბერკულოზის და სხვა ინფექციური დაავადებების, ასევე წამალდამოკიდებულების არსებობის შემთხვევაში.³⁷⁶

ნიშანდობლივია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის დათქმა, რომელიც არეგულირებს ციხის ჯანდაცვას და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა რეკომენდაციის დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ ციხეში მიღებისთანავე და მოგვიანებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის საჭიროებიდან გამომდინარე, პატიმრებს ნებისმიერ დროს ყოველგვარი დაყოვნების გარეშე უნდა ჰქონდეთ წვდომა ექიმის ან სათანადოდ კვალიფიცირებული ექთნის მომსახურებაზე, მიუხედავად დაკავების

³⁷⁵ საქართველოს კონსტიტუციის 28-29-ე მუხლები.

³⁷⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 24 იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson-Mandela-Rules-Short-Guide-Geo-final.pdf> [01 04 2024].

რეჟიმისა. აღნიშნული რეკომენდაცია ნათლად გამოხატავს დღე-ღამის ნებისმიერ დროს ყოველგვარი დაყოვნების გარეშე პატიმრისათვის სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობას. ასევე რეკომენდაციაში განმარტებულია, რომ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა უნდა იწყებოდეს ჯეროვანი სამედიცინო შემოწმებით საპატიმროში შესვლისთანავე. ყურადღება გამახვილებულია სამედიცინო საკითხებზე, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მაგალითად, განსაკუთრებული ფსიქიკური აშლილობების სკრინინგი, ციხეში ფსიქოლოგიური ადაპტაცია, ნარკოტიკული საშუალებების, მედიკამენტების ან ალკოჰოლის მოხმარების შედეგად გამოწვეული სიმპტომები, გადამდები და ქრონიკული დაავადებები.³⁷⁷

საქართველოს კანონმდებლობა ეხმიანება ციხის ჯანდაცვის სტანდარტის შესაბამისობას საზოგადოებაში არსებულ სტანდარტებთან და განმარტავს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამედიცინო მომსახურება უნდა გაეწიოს იმ სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც დადგენილია ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.³⁷⁸

პატიმრობაში მყოფი ადამიანები ინარჩუნებენ ფუნდამენტურ უფლებას სათანადო ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ასევე უფლებას, მიიღონ სამედიცინო ზრუნვა ისეთი ხარისხით, რომელიც უთანაბრდება, სულ ცოტა, ფართო საზოგადოებისთვის გაწეული სამედიცინო ზრუნვის ხარისხს. საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“ აღიარებს „თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე“.³⁷⁹

ყველა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად, პატიმრებს, მათი სტატუსიდან გამომდინარე, აქვთ დამატებითი გარანტიები. როდესაც ადამიანი ხვდება თავისუფლების აღკვეთის ადგილას, სახელმწიფო იღებს მის ჯანმრთელობაზე ზრუნვის პასუხისმგებლობას, როგორც პატიმრობაში ყოფნის პირობების, ისე ამ პირობებიდან გამომდინარე აუცილებელი ინდივიდუალური მოპყრობის თვალსაზრისით.

ე. კოილის განმარტებით, კარგი ჯანმრთელობა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ეს გავლენას ახდენს ადამიანების ქცევასა და საზოგადოების წევრებად ფუნქციონირების უნარზე. აღნიშნული მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციხის დახურულ გარემოში ყოფნის პირობებში. თავისი ხასიათიდან გამომდინარე, პატიმრობის მდგომარეობამ შეიძლება დამაზიანებელი ეფექტი იქონიოს პატიმრების როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ციხის ადმინისტრაცია მოვალეა, უზრუნველყოს არა მხოლოდ სამედიცინო მზრუნველობა, არამედ პატიმრებსაც და ციხის თანამშრომლებსაც შეუქმნას ნორმალური გარემო პირობები, რომელიც უზრუნველყოფს მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგრადობას. კოილის

³⁷⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (98)7 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი ციხეში ჯანდაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების თაობაზე, 193, იხ. <https://rm.coe.int/1680467fe8> [01 04 2024].

³⁷⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 139-ე მუხლის პირველი ნაწილი.

³⁷⁹ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0> [03 04 2024].

განმარტებით, პატიმრები სასჯელის მოხდის შემდეგ არ უნდა გავიდნენ ციხიდან იმაზე უარეს მდგომარეობაში, რომელშიც ისინი იყვნენ ციხეში შესვლისას. აღნიშნული მოთხოვნა ეხება ციხეში ცხოვრების ყველა ასპექტს, მაგრამ განსაკუთრებით – ჯანმრთელობას.³⁸⁰

წამების პრევენციის ასოციაცია / Association for the Prevention of Torture (APT) განმარტავს ციხის ჯანდაცვის მნიშვნელობას, სადაც აღნიშნულია, რომ პატიმრები ინარჩუნებენ ჯანმრთელობის უფლებას, რომელიც მოიცავს ხელმისაწვდომ, მეცნიერულად და ეთიკურად მისაღებ ჯანდაცვას. APT-ს განმარტება ასევე ეხმიანება სხვა საერთაშორისო სტანდარტების მიდგომებს, რომ ციხის ჯანდაცვა უნდა იყოს სულ მცირე, იმავე სტანდარტებისა, რაც საზოგადოებაშია. მნიშვნელოვანია APT-ს მიდგომა, თუ რატომ აქვს ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა ციხის ჯანდაცვას, რომ ციხეებში მარგინალიზებული და მოწყვლადი ჯგუფების კონცენტრაციის გამო დაავადების გაზრდილი ტვირთი, როგორც წესი, ნიშნავს დამატებითი რესურსების საჭიროებას. ასევე APT იძლევა განმარტებას ციხეში ჯანდაცვის გაზრდილ საჭიროებებზე და მის გამომწვევ მიზეზებზე, რომ ციხეების დახურული სივრცე ნიშნავს, რომ პატიმრები თავიანთი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად დამოკიდებულნი არიან ციხის ხელმძღვანელობაზე. აქვე აღნიშნულია სახელმწიფოს ვალდებულება, რომ პირის თავისუფლების ჩამორთმევით სახელმწიფო თავის თავზე იღებს ზრუნვის განსაკუთრებულ მოვალეობას არა მხოლოდ დაავადებების მკურნალობაზე, არამედ ჯანმრთელობის დაცვასა და პრევენციაზე. შესაბამისად, სახელმწიფოს არ შეუძლია გაამართლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის არარსებობა ანდა არასათანადო ხარისხი რესურსების ნაკლებობით, თუნდაც ეკონომიკურად რთულ დროს.³⁸¹ ქართული კანონმდებლობით დადგენილია, რომ პატიმართა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებაში ეწყობა საექიმო-სამედიცინო პუნქტი. პატიმართა ეფექტიანი სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო პუნქტი არის სამედიცინო დეპარტამენტის ტერიტორიული ერთეული და არ შედის პენიტენციური დაწესებულების სტრუქტურაში. შესაბამისად, საექიმო-სამედიცინო პერსონალი არ წარმოადგენს პენიტენციური სისტემის თანამშრომლებს. საექიმო-სამედიცინო პუნქტში ხორციელდება ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიწოდება; აქვე ფუნქციონირებს აფთიაქი. გარდა აღნიშნული პუნქტისა, პენიტენციურ სისტემაში ფუნქციონირებს ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის სამედიცინო ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ანტიტუბერკულოზური მკურნალობის ჩატარებას.³⁸²

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პრაქტიკაში გამოიყენება შემდეგი ტიპის სამედიცინო მომსახურების ფორმები:

³⁸⁰ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 50, https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf, [01 04 2024].

³⁸¹ APT, Right to health, <https://www.apr.ch/knowledge-hub/dfd/right-health> [01 04 2024].

³⁸² სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მინისტრის 2019 წლის 6 ივნისის # 415 ბრძანება.

- **საექიმო-სამედიცინო პუნქტი** - აღნიშნული ასრულებს პირველადი ჯანდაცვის ფუნქციას. ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციულ მოწყობაში პირველად ჯანდაცვას განსაკუთრებული როლი ეკისრება; კერძოდ, პირველადი ჯანდაცვის ექიმი ახდენს დაავადების პირველად შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს პაციენტს შესაბამის სპეციალისტთან. ამასთან, პირველადი ჯანდაცვის გუნდი მართავს სხვადასხვა დაავადებას, პაციენტის დადგენილი დიაგნოზის შესაბამისად. საექიმო-სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში.
- **მოწვეული სპეციალისტების მომსახურება** - რომელსაც ახორციელებენ იუსტიციის სამინისტროს მიერ დაქირავებული ექიმები, რომლებიც მომსახურებას უწევენ მსჯავრდებულებს პენიტენციურ დაწესებულებებში. ვიწრო სპეციალისტების მომსახურება ჯანდაცვის მეორეულ რგოლს წარმოადგენს, მათი მომსახურების მიღება შესაძლებელია პირველადი ჯანდაცვის ექიმის მიერ გადამისამართების შემდგომ.
- **ორი სტაციონარი სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემაში** - №19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი, ასევე №18 სამკურნალო დაწესებულება, რომლის ფუნქციაა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ პირობებში. №18 დაწესებულება მრავალპროფილურია, საჭირო რესურსების არსებობის შემთხვევაში, პაციენტის გადაყვანა ხორციელდება აღნიშნულ სტაციონარებში.
- **სამოქალაქო სექტორის კლინიკების მომსახურება** - პირველადი სამედიცინო მომსახურების მიღების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, პაციენტის გადაყვანა სამკურნალოდ ხდება კერძო საავადმყოფოებში. სამინისტროს მიერ გამართივებული შესყიდვის გზით იღება ხელშეკრულებები კლინიკებთან, სადაც ხდება პაციენტების გადაყვანა.³⁸³
- **საექიმო-სამედიცინო პუნქტი** - სამედიცინო პუნქტი არის სამედიცინო დეპარტამენტის ტერიტორიული ერთეული და არ შედის პენიტენციური დაწესებულების სტრუქტურაში. შესაბამისად, საექიმო-სამედიცინო პერსონალი არ წარმოადგენს პენიტენციური სისტემის თანამშრომლებს. საექიმო-სამედიცინო პუნქტში ხორციელდება ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიწოდება; აქვე ფუნქციონირებს აფთიაქი. გარდა აღნიშნული პუნქტისა, პენიტენციურ სისტემაში ფუნქციონირებს ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის სამედიცინო ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ანტიტუბერკულოზური მკურნალობის ჩატარებას.³⁸⁴

8.1. პატიმრის შემოწმება

საქართველოს პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ორგანიზაციული ასპექტები

³⁸³ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში N 64/36, 2017, 12-13.

³⁸⁴ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მინისტრის 2019 წლის 6 ივნისის # 415 ბრძანება.

გარკვეულწილად რეგულირებულია პენიტენციური კოდექსით, თუმცა აღნიშნულ საკითხს უფრო დეტალურად განიხილავს პენიტენციური დაწესებულებების დებულებები.³⁸⁵

პენიტენციური ჯანდაცვის როლი იწყება ციხეში პატიმრის მიღების მომენტიდან, რა დროსაც პირი გადის სამედიცინო შემოწმებას. გარდა ამისა, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოწმდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ. პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებაზე პასუხისმგებელია ამავე დაწესებულების ექიმი, შემოწმების შესახებ დგება შესაბამისი ცნობა. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში პატიმრობის დაწესებულების ექიმი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ, დადგენილი წესით აცნობოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. ასევე დადგენილია, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება ხორციელდება მისი თანხმობით, თუმცა კანონმდებლობა ასევე შეიცავს გამონაკლისს, კერძოდ, შემოწმების ან/და მომსახურების გაწევისას, თუ სამედიცინო პერსონალი შეამჩნევს რაიმე ფიზიკურ დაზიანებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც აღნიშნული პაციენტის მიმართ შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის განხორციელების ეჭვს აღუძრავს, სამედიცინო შემოწმება შეიძლება განხორციელდეს მისი თანხმობის გარეშე. ასევე იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილია პენიტენციურ დაწესებულებაში ასეთი დაზიანების აღრიცხვის წესი.³⁸⁶

პენიტენციური დაწესებულების ექიმს აქვს ვალდებულება, განახორციელოს პატიმრობის შემოწმება მისი დაწესებულებიდან გაყვანის ან გადაყვანის შემთხვევაში, რის შესახებაც დგება შესაბამისი სამედიცინო ცნობა.³⁸⁷

8.2. სამედიცინო მომსახურება

მანდელას წესები განმარტავს, რომ ყველა დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ჯანდაცვის სამსახური, რომლის საქმიანობაც მოიცავს პატიმართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასებას, ხელშეწყობას, დაცვასა და გაუმჯობესებას. ციხის სამედიცინო სამსახური უნდა მოიცავდეს საკმარისი რაოდენობით კვალიფიციური პერსონალისაგან შემდგარ ინტერდისციპლინურ ჯგუფს. მათ უნდა შეეძლოთ იმოქმედონ სრული კლინიკური დამოუკიდებლობის საფუძველზე. ასევე განსაზღვრულია, რომ ამ ჯგუფში მყოფ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში, ასევე თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ისარგებლოს კვალიფიციური სტომატოლოგის მომსახურებით.³⁸⁸

³⁸⁵ მაგალითისთვის მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულია №1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 8 სექტემბრის #928 ბრძანება.

³⁸⁶ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 47-ე და 139-ე მუხლის მესამე, მეოთხე და მეექვსე ნაწილები.

³⁸⁷ იქვე, 48-ე მუხლი.

³⁸⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 25, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01 04 2024].

რაც შეეხება კანონმდებლობით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტებს და პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლს, მკურნალობა ხორციელდება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. ყველა დაწესებულებაში უნდა შეიქმნას საექიმო-სამედიცინო პუნქტი. როდესაც მკურნალობა შეუძლებელია დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში, პირი შეიძლება გადაყვანილ იქნეს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში.³⁸⁹ მანდელას წესებით განსაზღვრულია, თუ როგორი უნდა იყოს პაციენტისა და ექიმის ურთიერთობა პენიტენციურ დაწესებულებაში. კერძოდ, ექიმს, ან ზოგ შემთხვევაში სხვა კვალიფიციურ სამედიცინო პერსონალს, უნდა ჰქონდეს ყოველდღიური შესაძლებლობა, მოინახულოს ყველა ავადმყოფი პატიმარი, ყველა პატიმარი, რომელიც უჩივის ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას ან დაზიანებას, ასევე ნებისმიერი პატიმარი, რომლის მიმართაც განსაკუთრებით მიმართულია მათი ყურადღება.³⁹⁰

8.3. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანა

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია შეიცავს განმარტებას, რომ ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პატიმრის ციხის გარეთ მკურნალობა. თუ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს ისეთ მკურნალობას, რომლის ჩატარება ციხის პირობებში შეუძლებელია, ყველა შესაძლო ნაბიჯი უნდა გადაიდგას ციხის გარეთ არსებულ ჯანდაცვის ობიექტებში მკურნალობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ეს პროცესი უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ზომების სრული დაცვით.³⁹¹

გარდა პენიტენციური კოდექსისა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის წესი განსაზღვრულია სამართლებრივი აქტით, რომელიც განმარტავს გადაყვანის საფუძვლებსა და პროცედურებს, შესაბამისად, ეს პროცედურები უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. პაციენტის სამკურნალო დაწესებულებასა და ცენტრში გადაყვანის შესახებ სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაცია მიიღება დაწესებულების ექიმის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც რეგისტრირდება სამედიცინო მომსახურების შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში. ექიმი წერილობით წარუდგენს შუამდგომლობის შესახებ ინფორმაციას დაწესებულების დირექტორს. სამედიცინო დეპარტამენტი ვალდებულია შუამდგომლობა გადაყვანის შესახებ განიხილოს გონივრულ ვადაში ქვეყანაში არსებული სახელმწიფო სტანდარტე-

³⁸⁹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 140-ე მუხლი.

³⁹⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 31, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01 04 2024].

³⁹¹ სასჯელადსრულების სისტემის სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელთა საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების კრებული, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (98)7 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი ციხეში ჯანდაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების თაობაზე, 193, იხ. <https://rm.coe.int/1680467fe8> [01 04 2024].

ბის (პროტოკოლების), ასევე, საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნებზე დაყრდნობით.³⁹²

არსებობს მოცემულ დაწესებულებებში გადაყვანის ორი სახე. პირველი - თუ პაციენტს ესაჭიროება გემიური სამედიცინო მომსახურება, ასეთ შემთხვევაში პირს სამედიცინო პროგრამაში ენიჭება რიგითი ნომერი და რეკომენდაცია მისი სამკურნალო დაწესებულებაში/ცენტრში გადაყვანის შესახებ, გადაყვანამდე არანაკლებ ერთი დღით ადრე, ეგზავნება დაწესებულების დირექტორსა და მთავარ ექიმს. გადაყვანის რიგითობას ასეთ შემთხვევაში განსაზღვრავს სამედიცინო დეპარტამენტი ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით, ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების შესაბამისად. პირის სამკურნალო დაწესებულებაში/ცენტრში გაყვანის თაობაზე ბრძანებას გამოსცემს დაწესებულების დირექტორი სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე.³⁹³

რაც შეეხება გადაყვანის მეორე ფორმას, ეს არის გადაუდებელი შემთხვევები, როდესაც რეკომენდაცია და შუამდგომლობა გადაყვანის საჭიროების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს ტელეფონოგრაფით ან ფაქსით, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში - სხვა საკომუნიკაციო საშუალებით. ასეთ შემთხვევაში დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარ სამმართველოს და სამედიცინო დეპარტამენტს.³⁹⁴

უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციური დაწესებულების დირექტორს უფლება აქვს გადაყვანაზე განაცხადოს უარი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს წერილობით. ასევე, დირექტორს მოეთხოვება, რომ უარი პაციენტის სამკურნალო დაწესებულებაში/ცენტრში გადაყვანის შესახებ იყოს არგუმენტირებული და დაუყოვნებლივ ეცნობოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სამედიცინო დეპარტამენტს.³⁹⁵ დირექტორის უფლებამოსილება პირის საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით, სრულად უარყოფილია მანდელას წესების შესაბამისად, სადაც აღნიშნულია, რომ აუცილებელია, კლინიკურ გადაწყვეტილებებს იღებდეს მხოლოდ პასუხისმგებელი სამედიცინო პერსონალი. წესები კრძალავს სხვა არასამედიცინო პერსონალის ამ პროცესში ჩართვას და განმარტავს, რომ დაუშვებელია, ამ გადაწყვეტილების სხვა, არასამედიცინო პერსონალის გადაწყვეტილების მიერ გადაწონვა ან გაუქმება.³⁹⁶

³⁹² საერთო პროფილის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის N55 ბრძანება, პირველი-მესამე ნაწილები.

³⁹³ იქვე, მესამე-მეექვსე ნაწილები.

³⁹⁴ საერთო პროფილის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის N55 ბრძანება, მეექვსე-მეათე ნაწილები.

³⁹⁵ საერთო პროფილის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ, მეთერთმეტე ნაწილი.

³⁹⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული

8.4. საერთო პროფილის საავადმყოფოში ყოფნის პირობები

სამოქალაქო საავადმყოფოში პატიმართა გადაყვანის პროცესი რეგულირებულია საერთაშორისო სტანდარტებით, სადაც განმარტებულია, თუ რა შემთხვევაში უნდა მოხდეს პატიმრის დაწესებულების გარეთ გაყვანა. მნიშვნელოვანია განმარტება, რომლებსაც იძლევა ევროპული პენიტენციური წესები, რომ ავადმყოფი პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალისტის მკურნალობას, გადაყვანილ უნდა იქნენ სპეციალიზებულ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოში, თუკი ასეთი მკურნალობის შესაძლებლობა არ არსებობს ციხეში.³⁹⁷ შესაბამისად, ციხის ადმინისტრაციას არ აქვს უპირობო ვალდებულება პირის საავადმყოფოში ნებისმიერ შემთხვევაში გადაყვანის შესახებ. აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ასეთი სამედიცინო მომსახურება არ არსებობს ციხის საავადმყოფოში.

რაც შეეხება მანდელას წესებს, მასში განმარტებულია, რომ პატიმრები, რომლებსაც სპეციალიზებული მკურნალობა ან ოპერაცია ესაჭიროებათ, უნდა გადაიყვანონ სპეციალურ დაწესებულებაში ან სამოქალაქო საავადმყოფოში. აქვე განმარტებულია, რომ იმ შემთხვევაში თუ ციხის სამედიცინო სამსახურს გააჩნია ჰოსპიტალური მომსახურება, და ის იღებს ვალდებულებას გაუწიოს პატიმარს მომსახურება, რომელიც ჰოსპიტალში უნდა ჩატარდეს, ციხის ჰოსპიტალი უნდა იყოს სათანადოდ აღჭურვილი და უზრუნველყოფდეს პატიმრების შესაბამის მოვლას და მკურნალობას.³⁹⁸

საერთო პროფილის საავადმყოფოში გადაყვანასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს გადაყვანის საფუძველი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ეს არის პაციენტის გადაყვანა სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისა თუ მკურნალობის მიზნით. ასევე, საერთო პროფილის საავადმყოფოში გეგმური ან გადაუდებელი წესით პაციენტის გადაყვანა ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე, რაც საბოლოოდ დასტურდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, ხოლო სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაციას საფუძვლად უნდა დაედოს დაწესებულების/სამკურნალო დაწესებულების/ცენტრის ექიმის დასაბუთებული შუამდგომლობა, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს წერილობით და დარეგისტრირდეს სამედიცინო პროგრამაში. ასეთი შუამდგომლობა, პირველ რიგში, წარედგინება დაწესებულების/სამკურნალო დაწესებულების/ცენტრის დირექტორს, რომელიც, თავის მხრივ, ინფორმაციას გადასაყვანი პაციენტის შესახებ წარუდგენს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს.³⁹⁹

პატიმრის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის საჭიროების შემთხვევაში, მის მიმღებ საავადმყოფოში ეწყობა დროებითი საგუშაგო. ასეთი სა-

წესები (მანდელას წესები), წესი 27 (2), იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04. 2024].

³⁹⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 46 (1), იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

³⁹⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 27 (1), იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04. 2024].

³⁹⁹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 140-ე მუხლის მეორე, მესამე ნაწილები.

გუშაგო შედგება საბადრაგო ჯგუფის წევრებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაცვასა და მეთვალყურეობას. თუ პატიმარს გადამღები დაავადება დაუდასტურდა, ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის გადამღები დაავადების მატარებელია, სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, მისი მეთვალყურეობა შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით. განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია პენიტენციური კოდექსის მიდგომა ოჯახის წევრებთან ურთიერთობის კონტექსტში, კერძოდ, პატიმრის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ყოფნისას ახლო ნათესავებს,⁴⁰⁰ მისი მკურნალი ექიმის რეკომენდაციითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, შეიძლება მიეცეთ მისი მონახულების უფლება. მისი მკურნალი ექიმის რეკომენდაციითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, მონახულების უფლება ასევე შეიძლება მიეცეს იმ პირს, რომელიც ახლო ნათესავების ჩამონათვალში გათვალისწინებული არ არის.⁴⁰¹

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პენიტენციური კოდექსის დათქმას, რომელიც აძლევს ოჯახის წევრს შესაძლებლობას, იზრუნოს პატიმარზე, თუ მას ესაჭიროება მოვლა, კერძოდ კი, თუ საავადმყოფო ვერ უზრუნველყოფს მომვლელის მომსახურებით, საავადმყოფოს ხელმძღვანელის რეკომენდაციითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, ახლო ნათესავს⁴⁰² შეიძლება მიეცეს მომვლელად ყოფნის უფლება. ასევე დასაშვებია დამატებითი კვების პროდუქტების, ასევე ჰიგიენის დასაცავად საჭირო ნივთების/საშუალებების, ტანსაცმლის/ფეხსაცმლის, თეთრეულისა და სხვა საგნების ამანათის სახით მიღება, მკურნალი ექიმის რეკომენდაციითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით.⁴⁰³

8.5. სამედიცინო კონფიდენციალობა

ყველა სახის სამედიცინო შემოწმება უნდა ტარდებოდეს სრული კონფიდენციალობის დაცვით⁴⁰⁴ და ეს უნდა წარმოადგენდეს განუხრელ უფლებას ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის, რომელსაც რაიმე სახის შეხება აქვს სამედიცინო პერსონალთან.

ექსპერტები განმარტავენ, რომ თითოეულ პაციენტს, რომელსაც საღად აზროვნების უნარი აქვს, შეუძლია უარი თქვას მკურნალობაზე ან სხვა სამედიცინო ჩარევაზე. ამ ფუნდამენტური პრინციპიდან ნებისმიერი გადახვევა უნდა ემყარებოდეს

⁴⁰⁰ იქვე, 141-ე მუხლი, მესამე ნაწილი (შვილს, მეუღლეს, პირს, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელს (მშვილებელს), დედინაცვალს, მამინაცვალს, მეუღლის მშობელს, გერს, ნაშვილებსა და მის შთამომავალს, შვილიშვილს, დას, ძმას, დისშვილს, ძმისშვილსა და მათ შვილებს, ბებიას, პაპას, ბიძას (დედის ძმას, მამის ძმას), დეიდას, მამიდას, ბიძაშვილს, დეიდაშვილს, მამიდაშვილს, პირს, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში).

⁴⁰¹ იქვე, 140-ე მუხლის მესამე ნაწილი.

⁴⁰² იქვე.

⁴⁰³ იქვე, მეოთხე ნაწილი.

⁴⁰⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), 2015, წესი 31, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

კანონს და უხეობდეს მხოლოდ მკაფიოდ და მკაცრად განსაზღვრულ გამონაკლის გარემოებებს. კონფიდენციალობის დაცვა საჭიროა სამედიცინო გამოკვლევებისა და კონსულტაციებისას, რომლებიც, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს კონფიდენციალურ გარემოში, სამედიცინო კონსულტაციის ოთახში. პატიმართა ყველა სამედიცინო გამოკვლევა უნდა ჩატარდეს ციხის თანამშრომლების გარეშე, თუ ექიმი სხვაგვარად არ ითხოვს, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. ასეთი მოთხოვნა კი უნდა ემყარებოდეს არგუმენტირებულ საფუძვლებს. კონფიდენციალობის დაცვა ასევე საჭიროა სამედიცინო დოკუმენტების შედგენისა და შენახვისას, რათა პაციენტთან დაკავშირებული სამედიცინო მონაცემები არ გამჟღავნდეს პაციენტის გამონახტული ნებართვის ან სასამართლოს ოფიციალური ბრძანების გარეშე. სამედიცინო ინფორმაცია უნდა იყოს კონფიდენციალური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი კონფიდენციალობის დაცვა გამოიწვევს პაციენტის ან სხვა პირთა მიმართ რეალურ და გარდაუვალ საფრთხეს. პაციენტის თანხმობისა და სამედიცინო კონფიდენციალობის პრინციპების ნებისმიერი დარღვევა, თუკი ამის აუცილებლობა არ არსებობდა, ექიმმა უნდა დაასაბუთოს და ზედმიწევნით დოკუმენტირებულად ასახოს სამედიცინო ბარათში.⁴⁰⁵

არასათანადო მკურნალობასთან დაკავშირებით, რომელზეც დადგინდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, არაერთი საქმე შეიძლება იქნეს განხილული, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ნიშანდობლივია საქართველოს მაგალითი, რომელშიც საუბარია ახლო წარსულში პენიტენციურ სისტემაში არასათანადო სამედიცინო მომსახურების შესახებ. საქმეში „პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ“ მომჩივანი აცხადებდა, რომ ციხეში მისი გადაყვანა განხორციელდა ოპერაციის შემდგომი ჭრილობის შეხორცებამდე და პატიმრობის პერიოდში სამედიცინო მკურნალობის არარსებობა წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. მომჩივანი სასამართლოს უთითებდა, რომ მისი გაწერა საავადმყოფოდან, როგორც მისმა მკურნალმა ექიმმა აღმოაჩინა, განხორციელდა სამედიცინო ნებართვის გარეშე. კერძოდ, გაწერის ნებართვა არ იყო ხელმოწერილი მისი მკურნალი ექიმის მიერ. ასევე, მომჩივნის მტკიცებით, ის ციხეში გადაყვანისთანავე მოთავსებულ იქნა ჩვეულებრივ საკანში. დაპატიმრების შემდეგ მას არ ჩატარებია ანალიზი სისხლში ვირუსული შემცველობის დონის დადგენის მიზნით და C ჰეპატიტის დიაგნოზის მიუხედავად, არ განხორციელებულა სათანადო მკურნალობა. ასევე, ის აცხადებდა არასათანადო კვებისა და არასათანადო საცხოვრებელი პირობების შესახებ. კერძოდ, ის იმყოფებოდა ცივ საკანში, საბნისა და ლეიბის გარეშე. მოცემულ საქმეში სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა. კერძოდ, დარღვევა გამოიხატა ოპერაციის შემდგომი მკურნალობის ჩატარებისას როგორც ციხის საავადმყოფოში, ისე რუსთავის №6 საპყრობილეში, ასევე C ვირუსული ჰეპატიტის მკურნალობის არარსებობაში, რომლითაც მომჩივანი იყო დაავადებული.⁴⁰⁶

⁴⁰⁵ ი. კონტი, ტ. ვილფრიდ ჰარდინგ, ციხის ჯანდაცვის ორგანიზება და მართვა, სახელმძღვანელო მითითებები, 2019, 28, იხ. <https://rm.coe.int/organisation-and-management-geo/1680a61f9e> [01.04.2024].

⁴⁰⁶ ECHR, პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ, იხ. https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmddeg/pogosiani.pdf [01.04.2024].

8.6. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატიმრები

საქართველოს პრაქტიკაში სპეციფიკური საჭიროების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტები, პრევენციული მომსახურების პაკეტი და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხა განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.⁴⁰⁷

საერთაშორისო სტანდარტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სპეციალური საჭიროების მქონე პირების სამედიცინო მომსახურებას. კერძოდ, მანდელას წესებით განმარტებულია, რომ არსებითი ყურადღება უნდა ექცეოდეს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პატიმრებს; ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმრებს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც ხელს უშლის მათ სათანადო რეაბილიტაციას.⁴⁰⁸

მნიშვნელოვანია ევროპული ციხის წესების მიდგომა განსაკუთრებული საჭიროების მქონე, კერძოდ, ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებთან მიმართებით. წესები ავალდებულებს სამედიცინო მუშაკს, ზრუნავდეს პატიმართა ფიზიკურსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და ნახულობდეს პატიმრებს, რომლებიც უჩივიან ავად ყოფნას ან დაზიანებას და ნებისმიერ პატიმარს, ვინც განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას საჭიროებს. ასეთი ზრუნვა კი უნდა ეყრდნობოდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში მიღებულ სტანდარტებსა და პირობებს.⁴⁰⁹

ასეთი კატეგორიის პატიმრებში განხილული უნდა იყოს არაერთი სპეციალური საჭიროების მქონე პირი, მათ შორის, ქალები, არასრულწლოვნები, შშმ პირები, მოხუცები, გადამღები დაავადებების მქონე პირები და სხვა. პენიტენციურ კოდექსში განსაკუთრებული ყურადღება არ არის დათმობილი მოცემულ საკითხზე, თუმცა შესაბამის ბრძანებაში, რომელიც არეგულირებს პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტებს, განმარტებულია, რომ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შორის იდენტიფიცირებული უნდა იყოს მოწყვლადი კატეგორიები, რომლებსაც განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროებათ, აქვე ბრძანებაში განმარტებულია, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს ქალებზე, დედათა და ბავშვთა საკითხზე, არასრულწლოვან ბრალდებულებზე/მსჯავრდებულებზე და მათზე, ვისაც ფსიქიკური აშლილობა აღენიშნებათ. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში არ არიან შეყვანილი შშმ პირები.⁴¹⁰

⁴⁰⁷ პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის N381 ბრძანება.

⁴⁰⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 25, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson-Mandela-Rules-Short-Guide-Geo-final.pdf> [01.04.2024].

⁴⁰⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 43.1, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁴¹⁰ პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის # 381

8.7. ქალი პატიმრების სამედიცინო მომსახურების განსხვავებული პროცედურები

ქალ პატიმრებს, გარდა ზოგადი, ყველა პატიმრისთვის განკუთვნილი პროცედურებისა, უნდა შეეთავაზოს სპეციალური პირობები. კერძოდ, ქართული კანონმდებლობით, ქალი, რომელსაც ქალთა დაწესებულებაში ჰყავს 3 წლამდე ბავშვი, სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანისას, ამ დაწესებულების ექიმის რეკომენდაციითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, შეიძლება გაყვანილ იქნეს შვილთან ერთად. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სამსახურის გენერალური დირექტორის დასაბუთებული გადაწყვეტილებით.⁴¹¹

„სამედიცინო მომსახურების სტანდარტების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში განმარტებულია მომსახურების სტანდარტების სახეები, რომელშიც შედის შემდეგი დათქმა, რომ ქალი პატიმრისათვის უნდა იყოს დადგენილი სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტი, რომელიც მოიცავს გენდერ სპეციფიკური ინფორმაციის შეგროვებას, როგორცაა: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, მიმდინარე ორსულობის, მოსალოდნელი მშობიარობის ფაქტი ან მეძუძური დედის სტატუსი; ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისა და აღრეული გამოვლენის მიზნით, სპეციფიკური სკრინინგული გამოკვლევები; დედასთან მყოფი 3 წლამდე ასაკის ბავშვის, სამედიცინო საჭიროებების განსაზღვრა; ქალ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს მოითხოვოს იმავე სქესის ექიმის/ექთნის მომსახურებით უზრუნველყოფა და დამატებითი ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა. ასევე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია შესაძლო ძალადობის ნიშნებსა და წარსულში გადატანილი ძალადობის ფაქტების (მათ შორის, სექსუალური ძალადობის ფაქტების) გამოვლენაზე.⁴¹²

ზემოაღნიშნული ბრძანება, ძირითადად, შესაბამისობაშია ბანგკოკის წესების მოთხოვნებთან ქალ პატიმართა სამედიცინო მომსახურების ნაწილში, თუმცა ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე, კერძოდ, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და ინფექციური დაავადებების გამოკვლევაზე. ასევე, საყურადღებოა შემოწმების წინა და შემდგომი კონსულტირების ჩატარება, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქალთა ფსიქოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. მნიშვნელოვანია ფსიქიკური მყურნალობისა და თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების რისკის გამოვლენა, რაც ასევე არ არის გათვალისწინებული პენიტენციური სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობით. ხაზი უნდა გაესვას წესების მიდგომას პატიმრობამდე ან პატიმრობის დროს, გადატანილ სექსუალურ ან სხვა სახის ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში ქალს უნდა მიეწოდოს სრული ინფორმაცია სამართლებრივი პროცედურების შესახებ და გაეწიოს ფსიქოლოგიური დახმარება. ბოლოს კი, მნიშვნელოვანია რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ სამედი-

ბრძანების მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

⁴¹¹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 141-ე მუხლის მეექვსე ნაწილი.

⁴¹² პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის N381 ბრძანების მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი და მე-15 მუხლი.

ცინო კონფიდენციალურობის უფლება, რაც მუდმივად უნდა იქნეს დაცული.⁴¹³ მანდელას წესების თანახმად, ფეხმძიმე და მშობიარე ქალებთან მიმართებით, ქალთა საპატიმრო დაწესებულებებში უნდა იყოს ცალკე საცხოვრებელი ფეხმძიმე და მშობიარე ქალების (პრე-ნატალური და პოსტ-ნატალური) მოვლისა და მკურნალობისათვის.⁴¹⁴

8.8. არასრულწლოვანი პატიმრები

„სამედიცინო სტანდარტების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში განხილულ სპეციალურ კატეგორიას წარმოადგენს არასრულწლოვანი პატიმრები. არასრულწლოვანებისთვის ხდება სამედიცინო მომსახურების განსაკუთრებული პირობების შეთავაზება. არასრულწლოვანი ორ კატეგორიად იყოფიან: I. 15 წლამდე პირები, რომელთა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა ხორციელდება პედიატრიული მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში; II. 15-დან 18 წლამდე ასაკის ბრალდებულები/მსჯავრდებულები, რომლებიც მკურნალობას გადიან როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილთა მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში.⁴¹⁵

არასრულწლოვან პირებს, როგორც დამატებითი მომსახურება, მიეწოდებათ ბავშვთა განვითარების მომსახურებები, ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული იმუნოზაცია. განსაკუთრებული ყურადღება სამედიცინო მომსახურების გაწევისას უნდა დაეთმოს გადამდები დაავადებების (მათ შორის, სქესობრივი გზით) ადრეულ გამოვლენას, მკურნალობასა და პრევენციას; სტომატოლოგიურ მომსახურებას; ადიქტოლოგიასა და ზიანის შემცირების მომსახურებებს; ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებებს; ფიზიკური აქტივობისა და სასწავლო/კოგნიტიური უნარ-ჩვევების განვითარებას.⁴¹⁶

არასრულწლოვან პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტები ერთმანეთისაგან მიჯნავენ არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურებას წინასწარი პატიმრობის პერიოდში და მსჯავრდებული პირების მიმართ. წესების თანახმად, წინასწარი პატიმრობის პერიოდში არასრულწლოვანებზე უნდა ზრუნავდნენ, ისინი უნდა იყვნენ დაცულნი და უზრუნველყოფილნი სათანადო ინდივიდუალური დახმარებით, როგორცაა: სოციალური, საგანმანათლებლო, პროფესიული, ფსიქოლოგიური და სამედიცინო. ასევე ყურადღება უნდა დაეთმოს განმარტებას ფიზიკური განვითარების ხელშეწყობის შესახებ, კერძოდ, არასრულწლოვანს უნდა მიეწოდოს ყველა ის დახმარება, რაც შეიძლება აუცილებელი იყოს მისი ასაკის, სქესისა და პიროვნე-

⁴¹³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო დონისძიებების შესახებ, ბანგკოკის წესები, წესი 6-9, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2013/07/PRI-Short-Guide-Bangkok-Rules-2013-Web-Final-Geo.pdf> [01.04.2024].

⁴¹⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 28, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson-Mandela-Rules-Short-Guide-Geo-final.pdf> [01.04.2024].

⁴¹⁵ პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის N 381 ბრძანების მე-16 მუხლი.

⁴¹⁶ იქვე, მე-16 მუხლი.

ბის გათვალისწინებით.⁴¹⁷

სასჯელის მოხდის ადგილებში განთავსებულმა არასრულწლოვნებმა ასევე უნდა მიიღონ მზრუნველობა, დაცვა და საჭირო დახმარება, როგორც არის: სოციალური, საგანმანათლებლო, პროფესიული, ფსიქოლოგიური და სამედიცინო; დახმარება ფიზიკური განვითარების მიზნით ინდივიდუალურია და გამომდინარეობს არასრულწლოვნის ასაკის, ქქესისა და პიროვნების გათვალისწინებით, აგრეთვე მათი სრულყოფილი განვითარების ინტერესების შესაბამისად.⁴¹⁸

სპეციალური წესები, რომელიც შემუშავებულია თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, განმარტავს, რომ ყოველ არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს, ისარგებლოს როგორც სასწრაფო, ასევე თერაპიული მკურნალობით, მათ შორის, სტომატოლოგიის, ოფთალმოლოგიისა და ფსიქიატრიის მიერ გაწეული დახმარებით. მოცემული წესები, სხვა მომსახურებასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვან პატიმართა უზრუნველყოფაზე ფარმაცევტული პროდუქტებითა და იმ სპეციალური დიეტებით, რომლებიც განსაზღვრულია მკურნალობით.⁴¹⁹

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს წესების დამოკიდებულება სტიგმატიზაციის თავიდან აცილებასთან დაკავშირებით, რაც მოიაზრებს სამედიცინო მომსახურებასთან მიმართებით განსახორციელებელ ნაბიჯებს. ყოველი ასეთი სამედიცინო მკურნალობა, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნისთვის აქ არსებული სამედიცინო მომსახურებით, რათა თავიდან იქნეს არიდებული არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია, რაც ხელს შეუწყობს საკუთარი თავის პატივისცემის ამადღებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.⁴²⁰

სტანდარტები ასევე ყურადღებას ამახვილებენ იმ მიზნებზე, რომლებსაც უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვანთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურება, კერძოდ, აღნიშნული ემსახურება არასრულწლოვნის ფიზიკური ან სულიერი ავადმყოფობის აღმოჩენას, მის დადგენასა და მკურნალობას, პრეპარატების ბოროტად გამოყენებას ან სხვა გარემოებებს, ნებისმიერი იმ გარემოებების აღმოფხვრას, რომლებსაც შეუძლია ხელი შეუშალოს არასრულწლოვნის საზოგადოებაში ინტეგრაციას. წესები ასევე ადგილს უთმობს სამედიცინო პერსონალს და განმარტავს, რომ მთელმა სამედიცინო პერსონალმა უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის სრული დაცვა, რაც ასევე მოიცავს ფიზიკური, სექსუალური, ემოციური ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან დაცვას, ასევე უნდა განახორციელონ დაუყოვნებლივი ქმედებები სამედიცინო ყურადღების უზრუნველსაყოფად.⁴²¹

⁴¹⁷ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები), წესი 13. 5, იხ. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.mart5.pdf> [01.04.2024].

⁴¹⁸ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები), წესი 26.2, იხ. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.mart5.pdf> [01.04.2024].

⁴¹⁹ იქვე, წესი 49.

⁴²⁰ იქვე.

⁴²¹ იქვე, წესი 51.

8.9. ხანდაზმული პატიმრები

სპეციალური საჭიროების მქონე პატიმრებთან მოპყრობის მარეგულირებელ საერთაშორისო დოკუმენტებში განმარტებულია ხანდაზმულ პატიმრებთან მუშაობის თავისებურებები და მათი საჭიროებები. გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისის (შემდგომში - UNODC) სპეციალური სახელმძღვანელო განმარტავს, რომ ციხეები განკუთვნილია ახალგაზრდა პატიმრებისთვის, რომლებიც ციხის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. პატიმართა პროგრამები ასევე შემუშავებულია ახალგაზრდა პატიმრების საჭიროებების გათვალისწინებით.⁴²²

ამდენად, ხშირ შემთხვევაში, ყველა ის მომსახურება, რომელიც შეიძლება ციხეში არსებობდეს, შეიძლება არ იყოს რელევანტური და თანაბრად ხელმისაწვდომი ხანდაზმული პირებისთვის მათი ფიზიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია მათ ასაკთან.

სახელმძღვანელო ასევე განმარტავს, რომ ხანდაზმულ პატიმართა უმეტესობას აქვს სხვადასხვა სახის ჯანდაცვის მოთხოვნილებები, რომლებიც ციხის სისტემების უმეტესობას არ შეუძლია მაქსიმალურად უზრუნველყოს, რაც მნიშვნელოვან ტვირთად აწევა ციხის ჯანდაცვის სამსახურებს. მოცემულია ხანდაზმული პატიმრების მზარდი რაოდენობის სტატისტიკა, მაგალითად, გაერთიანებული სამეფო, 1990-2000 წწ, 50-59 წლამდე პატიმართა რაოდენობა გაიზარდა 111%, ხოლო 60 წელზე ზევით - 216%; აშშ, 55 წელზე ზევით პატიმრების რაოდენობა გაორმაგდა 1981-1990 წლებში; კანადა, 50 წელზე ზევით პატიმართა რაოდენობის მატება - 9.3%, 1996 წლიდან 2005 წლამდე გაიზარდა 15.8%-ით.⁴²³

სახელმძღვანელოში ასევე ვხვდებით განმარტებას ხანდაზმული პატიმრების სპეციფიკურ სამედიცინო საჭიროებებთან და ასევე მათ გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით. ჯანმრთელობის მდგომარეობა მიიჩნევა ყველაზე დიდ პრობლემად ყველა ხანდაზმული პატიმრისთვის, მათი ასაკიდან გამომდინარე. როგორც წესი, ასეთი ტიპის პატიმრების სამედიცინო პრობლემები არის, ძირითადად, ქრონიკული დაავადებები, როგორცაა გულსისხლძარღვთა სისტემებისა და ფილტვების პრობლემა, დიაბეტი, ჰიპერტონია, კიბო, ალცჰეიმერის დაავადება, პარკინსონის დაავადება, წყლული, ცუდი სმენა და მხედველობა, მასსოვრობის პრობლემები და სხვა, რაც, შესაბამისად, განსაკუთრებულ ზრუნვასა და მოვლას საჭიროებს სასჯელის მოხდის ადგილზე ყოფნის დროს.⁴²⁴

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, მასში ხანდაზმული პატიმრებისადმი დამოკიდებულება და მათი სამედიცინო მომსახურების საჭიროებები ცალკე არ არის რეგულირებული, ხოლო რაც შეეხება სამედიცინო სტანდარტების განმსაზღვრელ სამართლებრივ აქტს, მასში მოცემულია დათქმა, რომ დაწესებულებებში უნდა არსებობდეს ხანდაზმული მსჯავრდებულების მოვლის ისეთი ფორმები, როგორცაა ხანგრძლივადიანი საექთნო მოვლა და პრევენციული პროგრამები. ასევე ყურადღება გამახვილებულია მომსახურების ისეთ ფორმებზე, როგორცაა: მხედველობისა და სმენის დაქვეითების პრევენციისა და ეგზოპროთეზებით დრო-

⁴²² UNODC, Handbook on Prisoners with special needs, 2009, 125. https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf [01.04.2024].

⁴²³ იქვე.

⁴²⁴ იქვე, 128.

ული უზრუნველყოფა, რაც ემსახურება მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, ასევე, სმენისა და მხედველობის ხანგრძლივ შენარჩუნებას.⁴²⁵

8.10. ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები
ქართული კანონმდებლობა გარკვეულ ყურადღებას უთმობს შშმ პატიმრებს და მათთვის განსხვავებული პირობების შექმნას, რაც შემოიფარგლება განსხვავებული კვებითა და საცხოვრებელი პირობებით.

რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტებს, ისინი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სასჯელის მოხდის პირობებსა და მათთან მოპყრობის წესებს. მანდელას წესები ადგენს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის ან/და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სხვა პატიმრების მონიტორინგი და მკურნალობა შეიძლება მოხდეს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ზედამხედველობის ქვეშ, სპეციალურ დაწესებულებებში. აქვე განმარტებულია, რომ აუცილებელია, სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფდეს ნებისმიერი პატიმრის ფსიქიატრიულ მკურნალობას, ვისაც ამის საჭიროება აქვს.⁴²⁶

პენიტენციური კოდექსი ყურადღებას უთმობს ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებს და ადგენს სტანდარტებს მსჯავრდებულისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. თუ პენიტენციური სამსახურის ფსიქიატრიული კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს პატიმრისთვის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევას, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, სამსახურის ფსიქიატრიული კომისიის დასკვნის საფუძველზე, მიმართავს უფლებამოსილ საექსპერტო დაწესებულებას მსჯავრდებულისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით. თუ ექსპერტიზის დასკვნით, მსჯავრდებულისთვის არსებობს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის აუცილებლობა, დაწესებულების დირექტორმა 24 საათში უნდა მიმართოს სასამართლოს აღნიშნული პირისთვის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის თაობაზე.⁴²⁷

შშმ პირების სამედიცინო მომსახურება შეიძლება მოიცავდეს ისეთ მომსახურებას, როგორცაა: ფიზიოთერაპია, მეტყველებისა და ოკუპაციური თერაპია, სენსორული შეზღუდული შესაძლებლობების მკურნალობა, ასევე სმენის აპარატების, ეტლების, ყავარჯნებისა და ა. შ. ხელმისაწვდომობა. ასეთი მომსახურების ხარისხი ცხებებში ხშირად არ შეესაბამება სამოქალაქო საზოგადოებისთვის განკუთვნილ სამედიცინო მომსახურებას, რაც საფრთხეს უქმნის მათ მდგომარეობას.

⁴²⁵ პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის N381 ბრძანების მე-17 მუხლი.

⁴²⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 109, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRINelsonMandelaRulesShortGuideGeofinal.pdf> [01.04.2024].

⁴²⁷ საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსის 139-ე მუხლი.

ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურება ეს არის პრინციპი, რომელიც ვრცელდება ყველა პაციმარზე, რომლებსაც აქვთ უფლება მიიღონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურება, თუმცა ამ უფლების რეალიზება ნაკლებად ხდება ციხეში, სადაც, როგორც წესი, სამედიცინო მომსახურება და განსაკუთრებით ფსიქიატრიული დახმარება, არის უკიდურესად არასაკმარისი.⁴²⁸ რაც შეეხება დაწესებულებაში ფსიქიკური პრობლემების და შშმ პირების დამატებითი მომსახურების სტანდარტებს, ის დადგენილია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით „სამედიცინო სტანდარტების შესახებ“, რომელიც ავალდებულებს სამედიცინო დეპარტამენტს, უზრუნველყოს შესაბამისი კატეგორიის პაციმრებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მოვლა. თუ შშმ პირებისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნა დაკავშირებულია განსაკუთრებული საცხოვრებელი პირობების შექმნის აუცილებლობასთან, დაწესებულების სამედიცინო პერსონალმა უნდა განსაზღვროს ასეთი ადაპტირებული საცხოვრისის პირობებით უზრუნველყოფის საჭიროება მათი ფუნქციური შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე. ფუნქციური მდგომარეობის შეფასება გულისხმობს სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე პირის შესაძლებლობის/უნარის განსაზღვრას, რამდენად შეუძლია მსჯავრდებულს/ბრალდებულს განახორციელოს ყოველდღიური საქმიანობა, საკუთარი თავის მოვლა და ზრუნვა საკუთარ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.⁴²⁹ შშმ და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის სათანადო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, გარდა ყველა სხვა პირის მსგავსი სამედიცინო აუცილებლობით განპირობებული სამედიცინო მოვლით უზრუნველყოფისა, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილია დამატებითი მოვლის პირობები. პაციმრის დაწესებულებაში მიღებისას პირველადი სამედიცინო შემოწმების დროს უნდა დადგინდეს პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ან ფუნქციური შეზღუდვის მდგომარეობა და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი საჭიროებები. ასეთი პირობები, გარდა ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფისა, უნდა მოიცავდეს გადაუდებელ დახმარებას ან განცალკევებას. რაც შეეხება განსაკუთრებული მოვლის პირობებს, როგორცაა: შშმ პირებისთვის მათი მდგომარეობის მართვასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოვლა, რომელშიც მოიაზრება, შემანარჩუნებელი მედიკამენტური მკურნალობა, მეთვალყურეობა, დამხმარე საშუალებებითა და ეგზოპროთეზებით უზრუნველყოფა, ხოლო რაც შეეხება ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, ისინი დაწესებულებაში უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და კრიზისული ინტერვენციის

⁴²⁸ ზ. ხასია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელაღსრულების სისტემაში, 2023, გვ. 135, იხ. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Oct/books/Khasia-standards-and-practices-ge.pdf> [01.04.2024].

⁴²⁹ პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის N381 ბრძანების მე-18 მუხლის პირველი პუნქტი.

მომსახურებებით და მედიკამენტებით.⁴³⁰

ასევე დადგენილია საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება გადაყვანილ იქნეს სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებაში. ზემოაღნიშნული საფუძვლები შეიძლება იყოს მდგომარეობა, როდესაც პირს ესაჭიროება ექიმ-სპეციალისტების ინტენსიური მეთვალყურეობა. მოცემულ დაწესებულებაში მას უტარდება სტაციონარული გამოკვლევები და მკურნალობა. მოცემული ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი უსაფრთხოების ზომები.⁴³¹

ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენება ასევე მკაცრად განსაზღვრულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტით, რომელიც ადგენს, რომ ასეთი მედიკამენტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ექიმ-ფსიქიატრის ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე სხვა ექიმ-სპეციალისტის დანიშნულებით. ასეთი დანიშნულება გადასინჯულ უნდა იქნეს პერიოდულად. კანონმდებლობა არ გამორიცხავს ფსიქიკური აშლილობის მქონე ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების (იზოლაცია, მობილობის შეზღუდვა და სხვ.) გამოყენებას, თუმცა აქვე იმპერატიულად განსაზღვრულია, რომ ასეთი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ექიმის პროფესიულ გადაწყვეტილებას.⁴³²

საქართველოს კანონმდებლობა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით შეესატყვისება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. კერძოდ, მანდელას წესები განმარტავს, რომ ციხის თანამშრომელთა დასაკომპლექტებელი სამტატო ერთეულები სხვა სპეციალისტებთან ერთად უნდა მოიცავდნენ ფსიქიატრებს და ფსიქოლოგებს.⁴³³

იუსტიციის მინისტრის ბრძანებით მოთხოვნილია, რომ პენიტენციური სისტემის როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო პერსონალს უნდა ჰქონდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის დროული იდენტიფიკაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და ცოდნა. ასეთი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში მან აღნიშნული პატიმარი დაუყოვნებლივ უნდა გადაამისამართოს შესაბამისი მოვლისთვის. ამასთან განსაზღვრულია ინფორმაციული უზრუნველყოფის სტანდარტები, კერძოდ, ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს და მათ ახლო ნათესავებს (პირის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე) უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ დეტალური ინფორმაცია და ელემენტარული განათლება ფსიქიკური აშლილობის შესახებ, სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცირების, ასევე, ფსიქიკური აშლილობის პრევენციისა და ხელშეწყობის კუთხით. მოცემული ინფორმაციის მიწოდების

⁴³⁰ პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის N381 ბრძანების მე-18 მუხლის მეორე, მესამე, მეხუთე პუნქტები.

⁴³¹ იქვე, მეოთხე პუნქტი.

⁴³² იქვე, მეხუთე და მეექვსე პუნქტები.

⁴³³ გავრთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 78, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson-Mandela-Rules-Short-Guide-Geo-final.pdf> [01.04.2024].

მიზანს წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთაზე მათი ემოციური დამოკიდებულების გააზრება და მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე უარყოფითი ეფექტების შემცირების უზრუნველყოფა. ასევე ინფორმირებულობა ემსახურება მიზანს, რომ როგორც პატიმრებს, ისე მათ ოჯახის წევრებს ჰქონდეთ ინფორმაცია როდის, სად და როგორ უნდა მიიღონ დახმარება ფსიქიკური აშლილობის დროს.⁴³⁴

8.11. არანებაყოფლობითი მკურნალობა

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის არანებაყოფლობითი მკურნალობის შესახებ საკითხები რეგულირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით,⁴³⁵ რომელიც არეგულირებს მოცემულ შემთხვევებს სასჯელადსრულების დაწესებულების გარეთ.

ამასთან, პენიტენციური კოდექსი ადგენს სტანდარტებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს იმისათვის, რომ ასეთი პირი დროულად იქნეს გადაყვანილი კანონით დადგენილი მკურნალობის კურსის გასაგვლელად. კერძოდ, თუ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სამართალწარმოება დასრულებულია, ფსიქიკური აშლილობა აღენიშნება და სამსახურის ფსიქიატრიული კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს მისთვის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევას, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, სამსახურის ფსიქიატრიული კომისიის დასკვნის საფუძველზე, მიმართავს უფლებამოსილ საექსპერტო დაწესებულებას ასეთი პირისათვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას, მსჯავრდებულისთვის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის აუცილებლობის შესახებ, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია, საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე, 24 საათში მიმართოს სასამართლოს მისთვის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის თაობაზე.⁴³⁶

8.12. თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის პრევენცია

სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენცია პენიტენციური სისტემის პერსონალისა და სამედიცინო პერსონალის ვალდებულებას წარმოადგენს, რაზეც ისინი უნდა ზრუნავდნენ პატიმრის მიღებიდან მის გათავისუფლებამდე. ასევე, პირი გათავისუფლებისათვის უნდა მოამზადონ ისე, რომ მისი ამგვარი ქმედების რისკი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გათავისუფლების შემდეგაც.

ე. კოილი განმარტავს პატიმრის მიღების პროცედურებს, სადაც ერთ-ერთი ძირითადი ადგილი სწორედ თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის პრევენციას

⁴³⁴ პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების ჰაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის N381 ბრძანების მე-18 მუხლის მეექვსე-მეოთხე პუნქტები.

⁴³⁵ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ სასამართლოსთვის მიმართვის ფორმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის №89/ბ, ბრძანება.

⁴³⁶ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 142-ე მუხლი.

უკავია. კერძოდ, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი, თუ რატომ უნდა შესთავაზონ პატიმრებს სამედიცინო შემოწმება ციხეში მიყვანისას. ასეთი შემოწმება საშუალებას აძლევს სამედიცინო პერსონალს, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად შეაფასონ პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობა და სათანადოდ დაეხმარონ მათ, ვინც შეიძლება მიდრეკილი იყოს თვითდაზიანებისკენ. აქვე კოილი აღნიშნავს პატიმრობის პირობების სერიოზულ გავლენას პატიმართა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, ავალდებულებს ციხის ადმინისტრაციას მიიღოს ზომები, რათა შეამციროს ამ გავლენის მასშტაბები და შემოიღოს პროცედურები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ინდივიდუალურ პატიმრებზე აღნიშნული გავლენის შედეგების მონიტორინგს. ამ მონიტორინგის მიზანი კი უნდა იყოს იმ პირების გამოვლენა, რომლებიც მიდრეკილნი არიან თვითდაზიანების ან თვითმკვლელობისაკენ. ავტორი განიხილავს არა მხოლოდ სამედიცინო პერსონალის როლს ამ საკითხში, არამედ ციხის პერსონალის მზაობას, ამოიცნონ ასეთი სიმპტომები და განმარტავს, რომ თანამშრომლებს სათანადო სწავლება უნდა ჩაუტარდეთ, რომ ამოიცნონ თვითდაზიანების პოტენციური შესაძლებლობის ინდიკატორები.⁴³⁷

აქვე მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების დათქმები, მაგალითად, ევროპული პენიტენციური წესები ადგენს ციხის სამედიცინო სამსახურის ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფსიქიატრიული მკურნალობა საჭიროების მქონე ყველა პატიმრისთვის და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თვითმკვლელობის პრევენციას.⁴³⁸

სხვა საერთაშორისო სტანდარტების მიდგომები პრევენციულ ღონისძიებებთან მიმართებით, შემდეგია: ისინი დაუშვებლად მიიჩნევენ შეზღუდული ფსიქიკური ან ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პატიმრის სამართლო საკანში მოთავსებას, როდესაც შესაძლებელია მსგავსი სასჯელის გამოყენებამ დაამძიმოს მისი მდგომარეობა. აქვე განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მიდგომას ქალ და არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით. კერძოდ, დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ გაერთიანებული ერების სტანდარტებსა და ნორმებში მითითებულია სამართლო საკანში მოთავსებისა და მსგავსი ზომების გამოყენების აკრძალვის შესახებ ქალებისა და ბავშვების შემთხვევაში.⁴³⁹

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის პრევენციის თვალსაზრისით, ძირითადად, განხილულია კონტროლისა და მონიტორინგის სისტემა, რომელიც განმარტავს, რომ დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობის, თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად კანონი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს

⁴³⁷ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., 2018, 55. იხ. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf, [01.04.2024].

⁴³⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 47.1, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁴³⁹ გაეროს წესები თავისუფლებადკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, წესი 67 (რეზოლუცია 45/113, დანართი); და წესი 22, გაეროს წესებში ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგოკის წესები) (რეზოლუცია 65/229, დანართი).

აძლევს უფლებამოსილებას, მიიღოს გადაწყვეტილება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ.⁴⁴⁰ აღნიშნული დათქმა მიმართულია მოცემული რისკის თავიდან ასაცილებლად, თუმცა მისი გრძელვადიანი პრევენციის გარანტიას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება იუსტიციის მინისტრის ბრძანებას, რომელიც ადგენს სამედიცინო სტანდარტებს, ის განიხილავს სუიციდის პრევენციის საკითხებს და ადგენს ციხის სამედიცინო სამსახურის ვალდებულებას, უზრუნველყოს ფსიქიატრიული მკურნალობა ასეთი საჭიროების მქონე ყველა პატიმრისათვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თვითმკვლელობების (სუიციდი) თავიდან აცილებას.⁴⁴¹

მოცემულ ბრძანებაში ასევე განმარტებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სუიციდის პრევენციის სტანდარტები, სადაც აღნიშნულია, რომ ასეთი პრევენცია გულისხმობს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამოჯანმრთელების ხელშეწყობასა და რელაფსის/ესკალაციის შემცირებას.

სუიციდის პრევენციასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება)⁴⁴² დარღვევა, მაგალითად, საქმე „კეტრები საფრანგეთის წინააღმდეგ“, რომელიც ეხებოდა ნარკოტიკების მომხმარებლის მიერ ჩამოხრჩობით თვითმკვლელობას ციხეში. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას, იმის გათვალისწინებით, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ არ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა თავისუფლება-დკვეთილი პირის სიცოცხლე და აღინიშნა, რომ ციხის ადმინისტრაციისა და სამედიცინო პერსონალისთვის ნათელი იყო, რომ მისი მდგომარეობა კრიტიკული იყო და დისციპლინურ საკანში მისი განთავსებით სიტუაცია მხოლოდ გაუარესდა... სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული პირის დისციპლინურ საკანში ორი კვირით განთავსება არ შეესაბამებოდა ასეთი ფსიქიკურად დაავადებული პირის მიმართ საჭირო მკურნალობის დონეს.⁴⁴³

8.13. გადამდები ინფექციური დაავადების მქონე პირები

ციხის ჯანდაცვის საკითხების განხილვისას მნიშვნელოვანია, ყურადღება დაეთმოს გადამდებ დაავადებათა გამოვლენასა და კონტროლს ციხეში. მისი მნიშვნე-

⁴⁴⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 58-ე მუხლი.

⁴⁴¹ პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის N381 ბრძანება, მე-12 მუხლი.

⁴⁴² ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი, სიცოცხლის უფლება, „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ ხელყოფა, თუ არა სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს“. იხ. https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_kat [01.04.2024].

⁴⁴³ ECHR *Ketreb v France* [2012] ECHR 1626 (19 July 2012) <https://www.hrlc.org.au/human-rights-case-summaries/ketreb-v-france-2012-echr-1626-19-july-2012> [01.04.2024].

ლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დაავადებების გავრცელების დონე ბევრად მაღალია ციხეში, ვიდრე საზოგადოებაში, რაც გამოწვეულია ციხის პირობებით, გადატვირთულობით, ჰიგიენის დაბალი დონით, კვების დაბალი ხარისხით და სხვა. ასეთ დაავადებებში ექსპერტები მოიაზრებენ ისეთ დაავადებებს, როგორიცაა: ტუბერკულოზი, წამლის მიმართ რეზისტენტულობა, ტუბერკულოზი და ტრანსფუზიური ვირუსული ინფექციები, B და C ჰეპატიტი და აივ ინფექცია. ასეთ გარემოში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა მსგავსი ტიპის დაავადებათა პროფილაქტიკა, დიაგნოზირება, მყურნალობა, ეპიდემიოლოგიური გამოკვლევა და დოკუმენტირება. აღნიშნული საქმიანობა კი საჭიროებს ინტეგრაციას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუტებსა და შესაბამის ეროვნულ პროგრამებთან.⁴⁴⁴

ევროპული ციხის წესები ექიმის მოვალეობებში განიხილავს იმ ასპექტებს, რომელთაც უნდა მიექცეს ყურადღება პატიმრის გასინჯვისას, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა იმ პატიმრების იზოლირებას, რომლებსაც აქვთ ინფექციური ან გადამდები დაავადებები. იზოლირება გულისხმობს მათ განცალკევებას მხოლოდ ავადობის განმავლობაში და მოცემულ პერიოდში სათანადო მყურნალობის გაწევას. აქვე წესები განიხილავს მიდგომას აივ ინფექციით დაავადებულ პირებთან მიმართებით და განმარტავს, რომ მათი იზოლირება არ უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ნიშნით, რომ ისინი არიან აივ ინფიცირებულები.⁴⁴⁵

ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია ციხის სამედიცინო პერსონალის როლი, ნებისმიერი დაავადების და განსაკუთრებით კი ინფექციური ან/და გადამდები დაავადებების გამოვლენისა და მართვის პროცესში. გარდა იმისა, რომ ციხის ექიმს უნდა ჰქონდეს ზოგადი ექიმის, ოჯახის ექიმის ან ექთნისთვის საკმარისი სრული კომპეტენცია, ასევე საჭიროა დამატებითი ცოდნა და უნარები, როგორიცაა: ციხის სამედიცინო ეთიკის ღრმა ცოდნა, ციხეში გავრცელებული ჯანმრთელობის ისეთი პრობლემების ცოდნა, როგორიცაა: ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევები, ნარკოტიკებზე დამოკიდებულება და გადამდები დაავადებები, ასევე ძალადობის ფაქტების შეტყობინება, დოკუმენტირება და პროფესიული სკრინინგი.⁴⁴⁶

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია მნიშვნელოვან ადგილს უთმობს პრევენციას და არა მხოლოდ შედეგზე ორიენტირებას, რაც ციხის გარემოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პრევენციის ასეთ ღონისძიებებში მოიაზრება კომპლექსური მუშაობა. პირველ რიგში, ციხის ადმინისტრაციამ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა მიიღოს ზომები, რომ არ დაუმზას ნარკოტიკებისა და ინექციით მისაღები საშუალებების უკანონო შეღწევა ციხეში. მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს სამედიცინო განათლების პროგრამებს ციხეში, რომელიც უნდა გულისხმობდეს პატიმართა ინფორმირებულობას საინექციო ინსტრუმენტების დუზინფექციის მნიშვნელობის შესახებ. ამასთან, პატიმრებსა და მათ ოჯახის წევრებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია აივ ინფექციის შესახებ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ საოჯახო ვიზიტები კონტროლის გარეშე. საგანმანათლებლო პროგ-

⁴⁴⁴ ი. პონტი, ტ. ვილფრიდ ჰარდინგ, ციხის ჯანდაცვის ორგანიზება და მართვა, სახელმძღვანელო მითითებები, 2019, 29, იხ. <https://rm.coe.int/organisation-and-management-geo/1680a61f9e> [01.04.2024].

⁴⁴⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 42.3, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁴⁴⁶ ი. პონტი, ტ. ვილფრიდ ჰარდინგ, ციხის ჯანდაცვის ორგანიზება და მართვა, სახელმძღვანელო მითითებები, 2019, 31, <https://rm.coe.int/organisation-and-management-geo/1680a61f9e> [01.04.2024].

რამები უნდა მოიცავდეს ქალ და არასრულწლოვან პატიმართა განსაკუთრებულ საჭიროებებს.⁴⁴⁷

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ექიმის ან სხვა კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ვალდებულებასთან დაკავშირებით მანდელას წესების განმარტება, რომლის თანახმად, პერსონალი ვალდებულია ნახოს, ესაუბროს და შეამოწმოს ნებისმიერი პატიმარი ციხეში მიღებისთანავე, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, მომდევნო პერიოდშიც. აქვე წესები განმარტავს იმ ასპექტებს, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. სხვა საკითხებთან ერთად, იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც არსებობს ეჭვი ან დადასტურებულია, რომ პატიმარს აქვს გადამდები დაავადება, ინფექციური პერიოდის განმავლობაში უნდა მოხდეს ასეთი პატიმრების კლინიკური იზოლირებისა და შესაბამისი მკურნალობის უზრუნველყოფა.⁴⁴⁸

გადამდები დაავადებების გამოვლენა და მასზე სათანადო რეაგირება უკავშირდება როგორც პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლსა და დანმარებას, ისე პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის უსაფრთხოებას, ვიზიტორების, მომსახურების მიმწოდებელთა და ზოგადად, საზოგადოების ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვას.

8.14. ექიმების მონაწილეობა დაწესებულების საქმიანობაში

გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლისა, საერთაშორისო სტანდარტებით რეგულირებულია ექიმის ვალდებულება, სისტემატურად განახორციელოს ინსპექტირება ისეთი საკითხების შესწავლის მიზნით, როგორებიცაა: საკვების რაოდენობა, ხარისხი, მომზადებისა და განაწილების პირობები; დაწესებულებისა და მისი კონტინგენტის ჰიგიენა და სისუფთავე; სანიტარიული მდგომარეობა, გათბობა, განათება და ვენტილაცია; პატიმრების ტანსაცმლისა და საძილე ნივთების ვარგისიანობა და სისუფთავე. ასევე, ექიმს ევალება გააკონტროლოს ფიზკულტურასა და სპორტთან დაკავშირებული წესების დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სამუშაო არ ეკისრება სპეციალიზებულ პერსონალს. ექიმმა ყოველდღიურად უნდა მოინახულოს ის პატიმრები, რომლებიც მოთავსებული არიან სამარტოო და დისციპლინურ საკნებში და თუ, პატიმრის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, თვლის, რომ სასჯელი უნდა შეწყდეს ან შეიცვალოს, საკუთარი მოსაზრება უნდა შეატყობინოს ციხის დირექტორს.⁴⁴⁹

სამედიცინო სამსახურის როლი მნიშვნელოვანია ასევე უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელებაში, რადგანაც ასეთი ღონისძიების შემდეგ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობა, სამედიცინო პერსონალთან ერთად, დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის სამედიცინო შე-

⁴⁴⁷ Recommendations No. R (93)6, of the Committee of Ministers to Member States concerning Prison and criminological Aspects of the Transmissible Diseases Including AIDS and Related Health Problems in Prison, 1993, <https://rm.coe.int/16804d7777> [01.04. 2024].

⁴⁴⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 30 (დ), იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁴⁴⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 35, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

მოწმებას, რის შესახებაც უნდა შედგეს შესაბამისი აქტი. გარდა უსაფრთხოების ღონისძიებებისა, სპეციალური საშუალების გამოყენების შემდეგაც, პირველი შესაძლებლობისთანავე, უნდა განხორციელდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება.⁴⁵⁰

მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალის როლი დისციპლინურ ღონისძიებებთან ან/და სამართლო საკანში პირის მოთავსებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად კრძალავს მოცემული ტიპის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექიმის მონაწილეობას რაიმე ფორმით. კერძოდ, სამედიცინო პერსონალი არ უნდა მონაწილეობდეს პატიმრისთვის დისციპლინური სანქციის ან სხვა აღმკვეთი ღონისძიების დაწესების პროცესში.⁴⁵¹

თუმცა, ეს დათქმა არ გამორიცხავს ექიმის როლს დისციპლინურ და სამართლო საკანში მოთავსებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ პირის სამართლო საკანში მოთავსებისას დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია სამედიცინო პერსონალს აცნობოს პირის სამართლო საკანში მოთავსების შესახებ. ასეთი პირის მიმართ სამედიცინო პერსონალი ყოველდღიურ, განსაკუთრებულ მეთვალყურეობას უნდა ახორციელებდეს. ასევე, ექიმის დასკვნის საფუძველზე, თუ პატიმრის მდგომარეობა გართულდება, დისციპლინური სახდელი შესაძლებელია შემცირდეს ან შეიცვალოს.⁴⁵²

პატიმრის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით საინტერესოა მიდგომები ევროპის სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში, მაგალითად, საქმეზე „კალამნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც საყურადღებო მაგალითია საპატიმრო დაწესებულებაში არასათანადო სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით. საქმის მიხედვით, განმცხადებელი ციხეში ყოფნის დროს დაავადდა სხვადასხვა დაავადებით, რაც სასამართლომ მიიჩნია არაჰუმანურ მოპყრობად. კერძოდ, საქმეში აღნიშნულია, რომ „განმცხადებელი დაავადდა კანისა და სოკოვანი დაავადებებით, რის შედეგადაც დაკარგა ზედა და ქვედა კიდურების ფრჩხილების ნაწილი. 1996 წლის 11 ნოემბრიდან 1997 წლის 23 აპრილამდე და 1999 წლის 15 აპრილიდან 1999 წლის 3 აგვისტოს პერიოდებში სასამართლო მოსმენები შეჩერდა, რათა განმცხადებელს მისცემოდა მუნის მკურნალობის შესაძლებლობა. ექვს შემთხვევაშივე განმცხადებლის საკანში სხვა პატიმრები მოათავსეს, რომლებიც დაავადებული იყვნენ სიფილისითა და ტუბერკულოზით. აღნიშნულ პერიოდში განმცხადებელს უკეთებდნენ პროფილაქტიკურ ანტიბიოტიკურ აცრებს. ევროპის სასამართლომ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განმცხადებლის საკანში არსებული მკვებარების გასანადგურებლად სანიტარიული ღონისძიებები არ ხორციელდებოდა. მთავრობამ აღნიშნული პრობლემები აღიარა. პატიმრობის განმავლობაში განმცხადებელი დაავადდა კანის სხვადასხვა, მათ შორის, სოკოვანი, დაავადებით. ამ მიზეზით 1996, 1997, 1999 წწ-ში საჭირო გახდა სასამართლო

⁴⁵⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 62-ე და 63-ე მუხლები.

⁴⁵¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდალას წესები), წესი 46, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRINelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁴⁵² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 78-ე მუხლი.

მოსმენების გადადება. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს მკურნალობდნენ, პატიმრობის სავალალო პირობების გამო დაავადებები განმეორებით განვითარდა. სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელთან ერთად საპატიმროში იმყოფებოდნენ სიფილისითა და ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები. ზემოთ განხილულის საფუძველზე პატიმრობის ის პირობები, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა, გადატვირთულობა და ანტისანიტარია, რომელმაც გამანადგურებელი ეფექტი იქონია განმცხადებლის ჯანმრთელობაზე, სასამართლომ მიიჩნია დამამცირებელ მოპყრობად.⁴⁵³ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება სასჯელაღსრულების სისტემის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს, რაც განაპირობებს მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნების ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს. ციხეში ყოფნას არ უნდა ჰქონდეს გამანადგურებელი ეფექტი პატიმარზე და ის საზოგადოებას უნდა დაუბრუნდეს ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელ მდგომარეობაში.

8.15. პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსება

პენიტენციური სისტემის პრაქტიკა განიხილავს პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსებას, რაც გულისხმობს პატიმრის იზოლირებას პირადი ან სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, თუ პატიმარი საფრთხეს უქმნის საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას. დეესკალაციის ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ადჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხო ლეიბით, დისტანციურად მართავდი სათვალთვალ კამერით, დაზიანებისაღმი მედეგი ღია ტიპის ტუალეტით, ონკანით, განათებით და სათანადო ვენტილაციით. დეესკალაციის ოთახი ექვემდებარება 24-საათიან მეთვალყურეობას ვიზუალური საშუალებებით. ამასთან, მოცემულ ოთახში მოთავსებულ პირს მუდმივად უნდა მიუწვდებოდეს ხელი სამედიცინო პერსონალზე. არ შეიძლება პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსება 72 საათზე მეტი ვადით. პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსების რაოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს.⁴⁵⁴ დეესკალაციის ოთახში მოთავსების საფუძველი შეიძლება იყოს სამედიცინო პერსონალის რეკომენდაცია და დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკი, რომელთა საფუძველზე გამოიცემა დირექტორის ბრძანება დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ. ამასთან, პატიმრის მდგომარეობა, გადაყვანიდან არაუგვიანეს 24 საათის ვადაში, უნდა შეფასდეს მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სპეციალური პროგრამის ფარგლებში გადამზადებული სამედიცინო პერსონალი, დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების მოსამსახურეები. ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პატიმრის საკანში დაბრუნების შესახებ. დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობით, გენერალური დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პირის სამკურნალო დაწესებულებაში ან სა-

⁴⁵³ ECHR, Kalashnikov v. Russia იხ. <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22002-5230%22%5D%7D> [30.04.2024].

⁴⁵⁴ №1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 8 სექტემბრის N928 ბრძანების 25-ე მუხლი.

მოქალაქე სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ. ასევე, რეკომენდაცია შეიძლება ითვალისწინებდეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართვას ფსიქიატრიული კომისიისთვის. ღირექტორი 24 საათის განმავლობაში მიმართავს კომისიას.⁴⁵⁵

დეესკალაციის ოთახში გადაყვანა არ წარმოადგენს დისციპლინურ ღონისძიებას. შესაბამისად, დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაყვანა დეესკალაციის ოთახში დასჯის მიზნით. თუმცა აქვე მნიშვნელოვანია კანონმდებლობით გათვალისწინებული დათქმა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სპეციალური საშუალებები, რაც უნდა განხორციელდეს გონივრული ვადით.⁴⁵⁶

დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსება უნდა იყოს დოკუმენტურად გაფორმებული. კერძოდ, განთავსებისთანავე უნდა შედგეს ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსების ზუსტი დრო. ოქმში პერიოდულად კეთდება შესაბამისი ჩანაწერი პირის მდგომარეობის შესახებ.⁴⁵⁷

დეესკალაციის ოთახიდან პირის გამოყვანა არ არის გათვალისწინებული კანონით, გარდა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევისა და დამცველთან/ადვოკატთან შეხვედრის შემთხვევებისა. გამოყვანა ასევე დასაშვებია საგამოძიებო ან/და სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მიღების მიზნით, რის შემდგომ, ბრალდებული/მსჯავრდებული ბრუნდება დეესკალაციის ოთახში, თუ არ აღმოფხვრილა დეესკალაციის ოთახში განთავსების შესაბამისი საფუძველი.⁴⁵⁸ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ანგარიშის თანახმად, სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით, სისტემაში გამოიყვება კრიტიკული ხარვეზები, კერძოდ:

- არაერთგვაროვანი სამედიცინო პერსონალის რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით. შედეგად, ისეთ დაწესებულებებში, სადაც ბევრი მსჯავრდებულია, მომსახურების მიღებაზე რიგია;
- მომსახურების ხელმისაწვდომობას ზოგიერთ დაწესებულებაში აფერხებს სამედიცინო პერსონალის დეფიციტი;
- სამედიცინო პერსონალი დაკავებულია სამედიცინო დოკუმენტაციის სხვადასხვა ფორმის შევსებით, რაც მკვეთრად ამცირებს მათ პროდუქტიულობას. სამედიცინო პერსონალის დეფიციტი შეიძლება აღმოიფხვრას პერსონალის თანაბარი განაწილების კრიტერიუმების შემუშავებით. მეორე მხრივ, ისეთ დაწესებულებაში, სადაც დეფიციტი შეიძლება მაინც გაჩნდეს სხვა გარე ფაქტორის გამო (დაწესებულება დასახლებებიდან შორს მდებარეობს, პერსონალისთვის ტრანსპორტირება რთულია) დამატებითი პერსონალის მოზიდვა მოითხოვს სამოტივაციო ფაქტორების გაუმჯობესებას: შესაბამისი ანაზღაურება, უზრუნველყოფა ტრანსპორტირებითა და კვებით და სხვა;

⁴⁵⁵ იქვე, პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე პუნქტები.

⁴⁵⁶ იქვე, მეექვსე და მეთათე პუნქტები.

⁴⁵⁷ №1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 8 სექტემბრის N928 ბრძანების 25-ე მუხლის მეორე და მეოთხე პუნქტები.

⁴⁵⁸ იქვე, მეთერთმეტე პუნქტი.

- სამინისტროს მიერ არ არის განსაზღვრული კრიტერიუმები, რომლებიც აღგენენ, თუ რა შემთხვევაში უნდა მოხდეს პაციენტის ჰოსპიტალში გადაყვანა. შედეგად, ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს უწევდათ რიგში დგომა, რაც ზოგ შემთხვევაში იწვევდა მათი მდგომარეობის გაუარესებას და გადაუდებელი აუცილებლობით მათ სასწრაფოდ გადაყვანას შესაბამისი პროფილის საავადმყოფოში;
- ექიმ-სპეციალისტების მიერ გაწეული საქმიანობის პროდუქტიულობა და სხვა.⁴⁵⁹

459 სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში N 64/36, 2017.

მეცხრე თავი ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები

9.1. ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებაში

საერთაშორისო სტანდარტები მიუსჯელ პატიმრებს განიხილავენ განსაკუთრებული კატეგორიების პატიმართა ნუსხაში და განმარტავენ, რომ „*მიუსჯელი პატიმრები არიან ის პირები, რომლებიც იმყოფებიან ციხეში სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე*“.⁴⁶⁰

ნიშანდობლივია მიუსჯელი პატიმრების რაოდენობა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მონაცემებით. ხშირად მათი რაოდენობა იმდენად მაღალია, რომ ის თითქმის უტოლდება მისჯილ პატიმართა რაოდენობას. თუ შერჩეული ქვეყნების მაგალითზე განვიხილავთ ევროპის ციხეებში მიუსჯელ პირთა თანაფარდობას მსჯავრდებულებთან, არსებული ტენდენცია თვალნათლივ გამოჩნდება:

**სტატისტიკა
მსჯავრდებულთა და მიუსჯელ პირთა თანაფარდობა⁴⁶¹**

ქვეყანა	ბრალდებული	პატიმართა საერთო რაოდენობასთან თანაფარდობა %	თარიღი
დანია	1,576	38,2	01.02.20
ალბანეთი	2,286	45,2	01.01.20
იტალია	18,872	31,0	31.01.20
ბელგია	3,586	35,6	18.09.18
თურქეთი	100,003	43,1	31.12.17
საქართველო	1,805	18,5	31.12.19

პატიმრობის დაწესებულებების მართვისას მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლებაშეზღუდული ბრალდებულები ითვლებოდნენ უდანაშაულოდ, სანამ საპირისპირო არ დადგინდება სასამართლოს მიერ. მსჯავრდებულებისაგან განსხვავებით, ბრალდებული პირების პატიმრობა არ წარმოადგენს სასჯელს, რადგან არ არის დადგენილი, არიან თუ არა ეს უკანასკნელნი დამნაშავეები. ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ ამ პირებისადმი მოჰყრობა შეესაბამებოდეს და ასახავდეს მათ სტატუსს. დაკავებულ პირთა დიდი რაოდენობის მიმართ სასამართლო ხშირად გამამართლებელ გადაწყვეტილებას იღებს, რაც ადასტურებს იმის აუცილებლობას, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების პერიოდში ისინი აუცილებლად უდანაშაულოდ უნდა იყვნენ აღიარებული.

საქართველოს კანონმდებლობის დათქმები ამ მიმართულებით პრაქტიკულად პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებით დარეგულირებულ ცნებას მიუსჯელ

⁴⁶⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 94.1, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁴⁶¹ ამონარიდი, WPB, World Prison Brief, World Pre-trial/Remand Imprisonment List, 2020 https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/world_pre-trial_list_4th_edn_final.pdf [02.04.2024].

პატიმრებთან მიმართებით და განმარტავს, რომ ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი არ არის დამდგარი.⁴⁶² პროცესუალურად რომ განვმარტოთ, ბრალდებული არის პირი, რომელიც იმყოფება გამოძიების ან სასამართლო განხილვის სტადიაში, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე ან გათავისუფლებამდე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა მყარად ადგენს ბრალდებულის დაცვის გარანტიებს. პირველ რიგში, ის დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. კერძოდ, ბრალდებულ პირს იცავს უდანაშაულობის პრეზუმფცია „*დაძიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშაულობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით*“.⁴⁶³

ბრალდებულის პროცესუალური უფლებები განმარტებულია საპროცესო კანონმდებლობით,⁴⁶⁴ თუმცა უფლებათა ეს ნუსხა სრულად ვერ ფარავს პატიმრის საჭიროებებს მისი საპატიმრო დაწესებულებაში მოხვედრის შემთხვევაში. კერძოდ, ის ბრალდებულები, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა, იმყოფებიან საპატიმრო დაწესებულებებში.⁴⁶⁵ ამდენად, მათ შეზღუდული აქვთ ყველა ის უფლება, რომელიც უკავშირდება პატიმრობას. თუმცა საერთაშორისო სტანდარტებით დგინდება, რომ ბრალდებულს უნდა მოეპყრონ როგორც უდანაშაულო პირს, კერძოდ „*მიუსჯელი პატიმრები ითვლებიან უდანაშაულოდ და მათ უნდა მოეცენ შესაბამისად*“.⁴⁶⁶ ამდენად, საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის დროს მათი პატიმრობისა თუ საცხოვრებელი პირობები, მოპყრობა მათ მიმართ და სხვა პირველადი საჭიროებები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული. შესაბამისად, პენიტენციური კოდექსიც ადგენს იმ უფლებებს, რომლებიც თავისუფლებათა აღკვეთილ პატიმრებს აქვთ საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის დროს. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მიუსჯელი პატიმრები მიეკუთვნებიან განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრებს და, შესაბამისად, მიუსჯელი პატიმრებისთვის არსებული რეჟიმი არ უნდა გულისხმობდეს მიდგომას, რომ პატიმრები შესაძლოა მომავალში გახდნენ მსჯავრდებულები.⁴⁶⁷ სწორედ აღნიშნული დამოკიდებულება წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ მიუსჯელი პატიმრები მიკუთვნებული არიან განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრებს.

წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები უდანაშაულოდ ითვლებიან და, შესაბამისად, არ უნდა ექვემდებარებოდნენ იმავე წესებსა და კანონებს, რომლებიც განსაზღვრულია მსჯავრდებულებისათვის. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც დაკავებულ პირთა უმეტესობისათვის პატიმრობის პირველი წუთები წინასწარი პატიმრობით იწყება. მათთვის ციხეში ყოფნის პირველი დღე-

⁴⁶² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეცხრამეტე ნაწილი, ბრალდებული – პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

⁴⁶³ საქართველოს კანონი, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მეხუთე ნაწილი.

⁴⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლი, 38-ე-46-ე მუხლები.

⁴⁶⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 33-ე მუხლის მესამე ნაწილი.

⁴⁶⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 11, მეორე ნაწილი, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PR1_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [02.02.2024].

⁴⁶⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 95.2, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

ები განსაკუთრებით რთულია, ამიტომ ყოველივე ზემოთ აღნიშნული აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ციხის ადმინისტრაციამ, მათი განთავსების, მათთან მოპყრობისა და ახალ გარემოსთან ადაპტაციის პროცესის დაგეგმვისას.

პირველ რიგში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მიუსჯელი პირები, მათი სტატუსიდან გამომდინარე, უნდა განთავსდნენ მსჯავრდებული პირებისაგან განცალკევებით,⁴⁶⁸ რაც იძლევა პრევენციის საშუალებას, რომ ციხის ადმინისტრაცია არ გამოიყენებს იდენტურ მოპყრობას ყველა დაკავებული პირისადმი, როგორცაა: ქალი თუ მამაკაცი, ზრდასრული თუ არასრულწლოვანი, მსჯავრდებული თუ ბრალდებული. მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იმავე დაწესებულებისათვის ამგვარი მიდგომა უფრო მოსახერხებელი და იოლია, ის არ ემსახურება სამართლიანობის ინტერესებს. ასევე, არსებობს რისკი იმისა, რომ ბრალდებულები შეიძლება უარეს პირობებში აღმოჩნდნენ, ვიდრე მსჯავრდებულები, მათი დიდი რაოდენობიდან გამომდინარე.

ე. კოილი თავის ნაშრომში განმარტავს, რომ ხშირ შემთხვევაში მსჯავრდებული პატიმრები განთავსებულნი არიან სხვადასხვა რეჟიმის ციხეებში, ხოლო წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები ყოველთვის მკაცრი რეჟიმის ციხეებში ხვდებიან. მისი განმარტებით, აღნიშნული პრაქტიკა გაუმართლებელია და არსებითია, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები დაექვემდებარონ მათგან გამომდინარე რისკის შეფასებას.⁴⁶⁹

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ბრალდებულის ძირითად უფლებებს საპატიმრო დაწესებულებაში მიღებიდან მის გათავისუფლებამდე ან სასჯელის მოხდის დაწესებულებაში გადაყვანამდე. აღნიშნული უფლებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრალდებულის საპატიმრო დაწესებულებაში მიღების პროცედურების დაცვა. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას, ასევე პატიმრობის დაწესებულებიდან გაყვანის ან გადაყვანის დროს მან უნდა გაიაროს სრული სამედიცინო შემოწმება, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი.⁴⁷⁰ შემოწმებას უკავშირდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც ბრალდებულის წინასწარი დაკავების ადგილზე მის საპატიმრო დაწესებულებაში გადაყვანამდე წამების პრევენციის მთავარ საშუალებას წარმოადგენს. კერძოდ, ბრალდებულის სხეულზე დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში პატიმრობის დაწესებულების ექიმი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.⁴⁷¹

ბრალდებულის ინფორმირების ვალდებულება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს. ბრალდებულს დაუყოვნებლივ წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე, უნდა ეცნობოს მისი უფლებები და მოვალეობები, ასევე მის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის

⁴⁶⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 11, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [02.04.2024].

⁴⁶⁹ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, 3rd ed., London, 2018. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [02.04.2024].

⁴⁷⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 47-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

⁴⁷¹ იქვე, 139-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები, დისციპლინური სამართალწარმოების წესები და სხვა მოთხოვნები. ამ უფლების რეალიზება უზრუნველყოფს შესაძლებლობას, ბრალდებულმა იცოდეს დაწესებულების ფუნქციონირების წესები, შესაბამისად, დაცული იყოს არაჰუმანური მოპყრობისგან. ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციის ვალდებულება, რომ ბრალდებულის გადაყვანისას მიმდებმა პატიმრობის დაწესებულებამ დაუყოვნებლივ, მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა, აცნობოს სისხლის სამართლის საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ყველა ორგანოს, ასევე ბრალდებულის ახლო ნათესავს, აგრეთვე ბრალდებულის თხოვნით, სხვა პირს ან/და ბრალდებულის ადვოკატს, რაც ასევე არის გარანტი ბრალდებულის გარე სამყაროსთან ურთიერთობისათვის და ამაღლებს მისი დაცულობის ხარისხს, ასევე, დადებით ზეგავლენას ახდენს მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.⁴⁷²

პენიტენციურ კოდექსში განხორციელებული ცვლილება, ბრალდებულისათვის პაემნის უფლების მინიჭების შესახებ მსჯავრდებულებთან თანაბარ პირობებში, კოდექსის მთავარ მონაპოვარს წარმოადგენს. ცვლილების თანახმად, ბრალდებულისთვის პაემნის მიღების პროცესი გათავისუფლდა დამატებითი ბიუროკრატიისაგან. ზემოაღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე ბრალდებულს პაემნის მისაღებად სჭირდებოდა სპეციალური ნებართვა საქმის მწარმოებელი ორგანოსაგან, როგორც იყო გამომძიებელი ან მოსამართლე. აღნიშნული ბიუროკრატიული საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა ცალსახად ქმნიდა დამატებით სირთულეს როგორც ბრალდებულის, ისე მათი ოჯახის წევრებისათვის.⁴⁷³

ბრალდებულის პაემნების რაოდენობა განსაზღვრულია კანონით და დადგენილია, რომ ბრალდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 4 ხანმოკლე პაემანი, ასევე, 1 ხანგრძლივი პაემანი პატიმრობაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. ხანმოკლე პაემნის ხანგრძლივობა მოიცავს 2 საათს, ხოლო ხანგრძლივი პაემნის ხანგრძლივობა - 23 საათს, რაც შეიძლება გაგრძელდეს ციხის დირექტორის გადაწყვეტილებით. ასევე შესაძლებელია ბრალდებულს, ისევე როგორც მსჯავრდებულს, დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობით, სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, წახალისების ფორმით მიეცეს დამატებითი ხანმოკლე პაემნის უფლება. კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს იმ პირთა ნუსხას, რომლებიც შეიძლება დაშვებულ იქნენ პაემანზე და მოიცავს ახლო ნათესავთა წრეს.⁴⁷⁴

გარე სამყაროსთან ურთიერთობის ნაწილში პენიტენციურ კოდექსში ასევე ვხვდებით სიახლეს, როგორიცაა: ბრალდებულის მიერ განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პატიმრობის დაწესებულების დროებით დატოვების უფლება. ამ უფლების რეალიზება პროცედურულად განსაზღვრულია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.⁴⁷⁵ დაწესებულების დატოვების საფუძველი კი შეიძლება

⁴⁷² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 47-ე მუხლის მეხუთე ნაწილი და 48-ე მუხლის მე-სამე ნაწილი.

⁴⁷³ იქვე, 49-ე-50-ე მუხლები და 120-ე-122-ე მუხლები.

⁴⁷⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 120-ე-122-ე მუხლები.

⁴⁷⁵ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების, თავისუფლების ადკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის გარეთ ხანმოკლე გასვლის

იყოს ახლო ნათესავის გარდაცვალება, ან სიცოცხლისთვის საშიში ავადმყოფობა, ან სხვა განსაკუთრებული, პირადი გარემოება, ასევე, ბრალდებულის საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა.⁴⁷⁶

ცალკე ყურადღება უნდა დაეთმოს ბრალდებულის ადვოკატთან ურთიერთობის ფორმებს და ხელმისაწვდომობას მისი საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის დროს. ბრალდებულის შემთხვევაში, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ადვოკატთან შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ბრალდებული იმყოფება გამოძიების ან სასამართლო განხილვის პროცესში და მისი დაცვის უფლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი შეზღუდვის გარეშე. აღნიშნულ სფეროში კოდექსი არ ადგენს განსხვავებულ მიდგომებს ბრალდებულებთან მიმართებით, თუმცა პოზიტიური შეფასება უნდა მიეცეს კოდექსის დათქმას, რომ ბრალდებულს (ასევე მსჯავრდებულს) უფლება აქვს შეუზღუდავად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, შეხვედეს თავის ადვოკატს, რომელიც ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ საადვოკატო საქმიანობას. ამ უფლების განხორციელებისას მნიშვნელოვანია არსებული კონტროლის მექანიზმები, რაც შეიძლება ქმნიდეს რისკს, იქიდან გამომდინარე, რომ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი უფლებამოსილია ადვოკატთან შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, დისტანციური დაკვირვების ტექნიკური საშუალებით, თუმცა დათქმა, რომ ეს უნდა ხდებოდეს ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე, გარკვეულ დაცვის მექანიზმს წარმოადგენს.⁴⁷⁷

ასევე პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები განიხილავს მიუსჯელი პატიმრების ურთიერთობას დამცველთან, ურთიერთობის კონფიდენციალურობას და კანონით დადგენილი კონტროლის სტანდარტებს; ადგენს, რომ ნებისმიერი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი შესაძლებლობით, დროითა და ადგილით, მიიღოს და ნებისმიერ საკითხზე კომუნიკაცია და კონსულტაციები იქონიოს დამცველთან, დაყოვნების, მოსმენისა და ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალურობის დაცვით. ასევე, საერთაშორისო სტანდარტები უშვებენ კონტროლის შესაძლებლობას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ცნება „კონფიდენციალურობის დაცვა“ წარმოადგენს სწორედ გარანტს ბრალდებულისა და დამცველის ეფექტიან ურთიერთობაში, რაც კოდექსში მითითებული არ არის.⁴⁷⁸

შემდეგი მნიშვნელოვანი უფლება ნებისმიერი სტატუსის მქონე პატიმრისთვის, განსაკუთრებით კი ბრალდებული პირისთვის, არის თარჯიმნით სარგებლობა. პენიტენციური კოდექსი ადგენს თარჯიმნის მომსახურების ვალდებულებას მხოლოდ საჩივრების შეტანისას და დისციპლინური საქმისწარმოებისას, სხვა შემთხვევაში ასეთი ვალდებულება კანონით დადგენილი არ არის, თუმცა საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულია თარჯიმნის მომსახურების ვალდებულება

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესის განსაზღვრის შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 13 აგვისტოს №101 ბრძანება.

⁴⁷⁶ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 48-ე მუხლი.

⁴⁷⁷ იქვე, 95-ე მუხლი.

⁴⁷⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 61, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [02.04.2024].

დაწესებულების მიღების მომენტიდან იმ შემთხვევაში, თუ პატიმარს არ ესმის არცერთი იმ ენათაგანი, რომლებიც გამოყენებულია პატიმრებს შორის ინფორმაციის გასაზრცელებლად.⁴⁷⁹

მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების სხვა სპეციფიკური მიდგომები მიუსჯელ პატიმრებთან, რომლის მიხედვით, ასეთ პირებს შეიძლება დაერთონ ნება, რომ, სურვილის შემთხვევაში, პირადი სახსრებით შეიძინონ, ან მიიღონ საკვები გარედან – ციხის ადმინისტრაციის, ოჯახის წევრების ან მეგობრების მეშვეობით. ასევე, აღნიშნულია მათი უფლება, ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი იმ პირობით, რომ იგი სუფთად და შესაფერისად უნდა გამოიყურებოდეს, ხოლო, თუ გამოძიებაში მყოფი პატიმრები ატარებენ ციხის უნიფორმას, ის უნდა განსხვავდებოდეს მსჯავრდებულთა უნიფორმისაგან.⁴⁸⁰ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ პრაქტიკაში ასეთი უნიფორმა ბრალდებული პირებისათვის არ არის დადგენილი კანონით.

შრომასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტები განმარტავენ, რომ ბრალდებულს ყოველთვის უნდა მიეცეს მუშაობის შესაძლებლობა, მაგრამ ეს უკანასკნელი არ უნდა წარმოადგენდეს აუცილებელ მოთხოვნას. ყველა ბრალდებულს უნდა ჰქონდეს საშუალება საკუთარი სახსრებით ან მესამე პირების მეშვეობით შეიძინოს წიგნები, გაზეთები, საწერი და სხვა ნივთები, რომლებიც მისცემენ მას დროის ნაყოფიერად გამოყენების საშუალებას, იმის გათვალისწინებით, რომ ეს თავსებადია სამართლის აღსრულების ინტერესებთან, უსაფრთხოებისა და დაწესებულებაში ნორმალური ცხოვრების მოთხოვნებთან.⁴⁸¹

ყურადღებას იპყრობს განსხვავებული მიდგომები, რომლებსაც ვხვდებით გაეროს მინიმალური წესების განხილვისას. ასეთია მიუსჯელი პირების უფლება, ისარგებლონ პირადი ექიმის მომსახურებით: მათ უფლება უნდა მიეცეთ ციხეში ყოფნის პერიოდში ისარგებლონ საკუთარი ექიმის ან სტომატოლოგის მომსახურებით იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ასეთი მოთხოვნა გამართლებულია და შეუძლიათ დაფარონ ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები.⁴⁸²

საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ, რომ უცვლელად და ყოველთვის მიუღებლად უნდა იყოს აღიარებული პატიმრის ისეთ პირობებში მოთავსება, სადაც არის გადატვირთულობა და შეუსაბამო საწოლი ადგილები, საკვები, სამედიცინო მომსახურება, ვარჯიშისა და დასვენების შესაძლებლობები, სანიტარიული პირობები და დაცვა, აგრეთვე, სადაც შეფერხებულია კონტაქტი გარე სამყაროსთან. ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს, რომ მიუსჯელი პირისთვის შეზღუდვები არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს აუცილებელია სისხლის სამართლის პროცესისთვის და საპატიმრო დაწესებულების უსაფრთხოებისთვის.⁴⁸³

⁴⁷⁹ იქვე, წესი 55.

⁴⁸⁰ იქვე, წესი 114-116.

⁴⁸¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 117, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [02.04.2024].

⁴⁸² იქვე, წესი 118.

⁴⁸³ J. McBride, PRE-TRIAL DETENTION IN THE OSCE AREA, Organization for Security and Co-operation in Europe Review Conference, September 1999, ODIHR Background Paper 1999/2, chapter 4.6.2, <https://www.osce.org/files/f/documents/1/5/42851.html>. [30.03.2024].

9.2 მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებაში

პენიტენციური სფეროს ექსპერტები თანხმდებიან სასჯელაღსრულების დაწესებულების როლზე და მკაფიოდ განმარტავენ, რომ საპატიმრო დაწესებულებებში უამრავი ადამიანი იხდის სასჯელს, მაგრამ ისინი პატიმრობაში იმყოფებიან, როგორც დასჯილები და არა იმისათვის, რომ იქ დაისაჯონ. აღნიშნული მიდგომა განმარტებულია შემდეგნაირად: თავისუფლების აღკვეთა უკვე თავისთავად არის სასჯელი, ამიტომ ციხეში არსებული პირობები და მოპყრობა არ უნდა გადაიქცეს დასჯის დამატებით ფორმად. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი პატიმრობით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება. ამასთან, თავისუფლების აღკვეთის პირობები ვერასდროს ვერ იქნება ნორმალური, მაგრამ ეს პირობები მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ნორმალურთან.⁴⁸⁴

თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში ადამიანის უფლებები უნდა შეიზღუდოს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მის თავისუფლების აღკვეთას. უფლებების შეზღუდვა არ მოიცავს ადამიანის იმ აბსოლუტურ უფლებებს, რომლებიც უნარჩუნდება თითოეულ ადამიანს ნებისმიერი სტატუსის პირობებში, მათ შორის, მისი დაპატიმრების/თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში. არგუმენტად შეიძლება მოვიყვანოთ ე. კოილის შეხედულება წამების სრული აკრძალვის განმარტებისას, რომლის თანახმად, უფლებები ეკუთვნის ყველა პატიმარს, იმის მიუხედავად, იმყოფებიან ისინი წინასწარ პატიმრობაში თუ უკვე შეეფარდათ სასჯელი. ის განმარტავს, რომ პატიმრებს უნარჩუნდებათ ადამიანის ყველა უფლება, გარდა იმ უფლებებისა, რომელთა შეზღუდვაც პირდაპირ გამომდინარეობს პატიმრობის აღსრულებიდან. ციხის ადმინისტრაციას და ციხის თანამშრომლებს კარგად უნდა ესმოდეთ, რას გულისხმობს ეს პრინციპი: წამება, სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობა სრულიად აკრძალულია. გასაგები უნდა იყოს, რომ წამების აკრძალვა არ ეხება მხოლოდ უშუალო ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლის აკრძალვას, არამედ იგი ეხება ასევე მთლიანად იმ პირობებს, რომლებშიც პატიმრები იმყოფებიან.⁴⁸⁵

კანონმდებლობა განმარტავს პატიმრობაში მყოფი პირების, როგორც ბრალდებულების, ისე მსჯავრდებულების, ძირითად უფლებებს, რომლებიც მათ აქვთ საპატიმრო თუ სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში ყოფნის დროს. კოდექსი განიხილავს უფლებათა ფართო სპექტრს, როგორიცაა: საცხოვრებელი პირობები; სუფთა ჰაერზე ყოფნა; ჰიგიენა, თეთრეული და ტანსაცმელი; კვება; კონტაქტი გარე სამყაროსთან; განათლების უფლება; შრომის უფლება; ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სხვა. ასევე ყურადღებას უთმობს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებებს, რაც მხოლოდ ასეთი საჭიროების მქონე პირების შემთხვევაში უნდა იყოს რეალიზებული და არ ვრცელდება ყველა პატიმარზე.⁴⁸⁶

⁴⁸⁴ Making Standards Work, Penal Reform International, 2006 London, chapter, Deprivation of liberty and normal life, 20 <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2013/05/man-2001-making-standards-work-en.pdf> [26. 02. 2024].

⁴⁸⁵ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 35 https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [02.04.2024].

⁴⁸⁶ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის XVI თავი.

პატიმრობის კოდექსისგან განსხვავებით,⁴⁸⁷ ახალი პენიტენციური კოდექსი არ ახდენს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებების დიფერენცირებას, არამედ განიხილავს მათ ერთ ჭრილში ნებისმიერი უფლების ნაწილში. ასეთი ცვლილება მოცემული კოდექსის პოზიტიურ მხარედ უნდა ჩაითვალოს ბრალდებულებთან მიმართებით. ახალი კოდექსით დადგენილია სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე მათი სამართლებრივი და სოციალური დაცვა, პირადი უსაფრთხოების დაცვა და, შესაბამისად, აღნიშნული სტანდარტების დაცვით უზრუნველყოს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება.⁴⁸⁸

9.2.1. საცხოვრებლით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით/ფეხსაცმლით უზრუნველყოფის, სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლება

ა. ადეკვატური საცხოვრებელი პირობები

პატიმართა საცხოვრებლით უზრუნველყოფა პატიმრობისა და სასჯელის მოხდის ნორმალური პირობების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. თუ რა ზომის ფართი უნდა გამოეყოს თითოეულ პატიმარს საცხოვრებლად, მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული, დღე-ღამის განმავლობაში რა დრო უნდა გაატაროს პატიმარმა იქ. მაგალითად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, პატიმარი 23⁴⁸⁹ საათი იმყოფება ამ ფართში, თუ ის მხოლოდ დასაძინებლად გამოიყენება, როდესაც პატიმარი დღის განმავლობაში საკნის გარეთ იმყოფება, სწავლობს, მუშაობს ან მონაწილეობს პროგრამებში და სხვა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტები ადგენენ მინიმალურ წესებს, რომელიც არ განსაზღვრავს კონკრეტულ ფართობს, არამედ ადგენს, რომ პატიმრების სარგებლობისთვის გათვალისწინებული ყველა საცხოვრებელი და, განსაკუთრებით, ძილისთვის განკუთვნილი ადგილი უნდა პასუხობდეს ჯანდაცვის ყველა მოთხოვნას. სათანადოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს კლიმატური პირობები, განსაკუთრებით ჰაერის კუბური შემცველობა, იატაკის მინიმალური სივრცე, განათება, გათბობა და ვენტილაცია.⁴⁹⁰

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს კონკრეტულ ფართობს, რომელიც განკუთვნილია ერთი ბრალდებულის, მსჯავრდებულის განთავსებისთვის. კერძოდ, ნებისმიერი ტიპის დაწესებულებაში სივრცე ერთი პატიმრისთვის არ უნდა იყოს 4კვ.მ-ზე ნაკლები.⁴⁹¹ უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში კანონის მოთხოვნები ფაქტობრივად შეესატყვისება იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ სტანდარტებს, რომლებიც იძლევიან კონკრეტულ რეკომენდაციას მინიმალური სტანდარტის შესახებ. მინიმალური სტანდარტი ნიშნავს, რომ მასზე ნაკლები ფართობის განსაზღვრა ითვლება დაუშვებლად, თუმცა, თუ სახელმწიფოს აქვს რესურსი, შეიძლება ეს ფართობი იყოს გაცილებით მეტი და უფრო

⁴⁸⁷ პატიმრობის კოდექსი, ძალადაკარგულია 15. 12. 2023, #3988.

⁴⁸⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 94-ე მუხლი.

⁴⁸⁹ გასეირნების დროდ გათვალისწინებულია ერთი საათი.

⁴⁹⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდალას წესები), წესი 13, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PR1-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [02.04.2024].

⁴⁹¹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 110-ე მუხლის მეორე ნაწილი.

მიახლოებული ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებთან, განსხვავება იმაშია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ახდენენ ღიფრენციურებას საერთო საცხოვრებლის ტიპის ციხეებისა და დახურული საკნების შემთხვევაში და ადგენენ განსხვავებულ მიდგომებს.

კანონით ასევე დადგენილია განსხვავებული სტანდარტები სპეციალური საჭიროების მქონე პატიმრებისათვის: ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, ავადმყოფებს, შშმ პირებს ან ხანდაზმულებს (ქალი – 60 წლიდან, მამაკაცი – 65 წლიდან) უნდა ჰქონდეთ სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები. თუმცა კანონში არ არის განმარტებული, რას მოიაზრებს განსაკუთრებული პირობები და გულისხმობს თუ არა ის მეტი ფართობის გამოყოფას მათთვის, ასევე არ შეიცავს დათქმას სასჯელაღსრულების დაწესებულების შენობების ადაპტირებაზე, რაც ფიზიკური შშმ პირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა მათ ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა პატიმრებისთვის განკუთვნილ ყველა ობიექტსა და ნაგებობაზე ციხის ტერიტორიაზე.⁴⁹²

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტი განსაზღვრავს საცხოვრებელი ფართის კვადრატულობას, თუმცა აქ დადგენილია განსხვავებული მიდგომები დახურული ტიპის დაწესებულების საკნებსა და საერთო საცხოვრებლებთან მიმართებით. ამ უკანასკნელს ქართულ პრაქტიკაში შეესატყვისება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, სადაც პენიტენციური კოდექსის თანახმად პატიმრები განთავსებული არის საერთო საცხოვრებლებში.⁴⁹³

საცხოვრებელი ფართობი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით:

- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სტანდარტით, მინიმალური ფართი საერთო საცხოვრებლებში განთავსებისთვის ერთ პატიმარზე არ უნდა იყოს 3,4მ²-ზე ნაკლები, ხოლო საკანში კი - 5.4მ²-ზე ნაკლები.⁴⁹⁴
- წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CPT) - საცხოვრებელი ფართობი განსაზღვრულია მინიმუმ 6მ² - დახურული და ინდივიდუალური განთავსების საკნებში, ხოლო საერთო საკნებში - 4მ².⁴⁹⁵
- ორივე შემთხვევაში მოცემული სტანდარტები ადგენენ არა მხოლოდ საერთო ფართობს, არამედ კედლებს შორის დამორებას და ქერის სიმაღლეს: მინიმუმ 2 მეტრი კედლებს შორის და მინიმუმ 2,5 მეტრი ქერსა და იატაკს შორის.

საცხოვრებელ ფართობთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოს პრაქტიკის ანალიზი, კერძოდ, სახალხო დამცველის ანგარიში მიუთითებს შეუსაბამო საცხოვრებელი ფართობის შესახებ სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მაგალითად N2 და N8 დაწესებულებებში 6 და მეტადგილიან საცხოვრებელ საკნებში 1 პატიმარზე მოდის საცხოვრებელი ფართი 2,5–დან 3კვ.მ–მდე. N15 დაწესებულებაში საცხოვრებელი საკნების ფართო-

⁴⁹² იქვე, მეოთხე ნაწილი.

⁴⁹³ იქვე, 35-ე მუხლი.

⁴⁹⁴ ICRC, WATER, SANITATION, HYGIENE AND HABITAT IN PRISONS, 2013, Geneva, 26. <https://www.icrc.org/en/doc/assets/files/other/icrc-002-0823.pdf> [30.03.2024].

⁴⁹⁵ CoE, Living space per prisoner in prison establishments CPT Standard, 1. <https://rm.coe.int/16806cc449> [30.03.2024].

ბები დაახლოებით 15კვ.მ-ია და აღნიშნულ საკნებში, ძირითადად, 5 ან 6 მსჯავრდებულთა განთავსებული.⁴⁹⁶

ადეკვატურ საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით ასევე მკაფიო მითითებებს იძლევა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებშიც საცხოვრებელი პირობების დარღვევის გამო საცხოვრებელი ფართობისა და საცხოვრებელი პირობების არაადეკვატურობის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობა. საქმეში „ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი თბილისის №5 საპყრობილეში პატიმრობის პირობების გამო. მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პატიმრისათვის სათანადო პირობები. კერძოდ კი, 2003 წლის 31 ოქტომბერს განმცხადებელი სასამართლოსთან აცხადებდა, რომ თბილისის მე-5 საპყრობილეში⁴⁹⁷ მისი პატიმრობის პირობები ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს. ის მოთავსებული იყო 35 პატიმართან ერთად საკანში, რომელიც 24 პირისთვის იყო განკუთვნილი. ამ გარემოების გამო პატიმრები იძულებულნი იყვნენ, დაეძინათ რიგრიგობით, საკანი კი ჯანმრთელობისათვის საშიში, კერძოდ, ნესტიანი და უჰაერო იყო.⁴⁹⁸ გარდა პატიმრის განმარტებისა, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციამ შეამოწმა საცხოვრებელი პირობები მოცემულ საპყრობილეში და განმარტა, რომ აქ ერთი პატიმრის საცხოვრებელი ფართი შეიძლება 1,7კვ.მ.-ზე ნაკლებიც კი იყოს. გარდა ამისა, ჩვეულებრივ საკნები ბნელი, გაუნიავებელი, ნესტიანი და უსუფთაო იყო. ზოგჯერ ისინი ნაგვის გროვებით იყო სავსე და მათი მდგომარეობა იმდენად სავალალო იყო, რომ ძნელად ექვემდებარებოდა აღწერას.⁴⁹⁹

საცხოვრებელი ფართობის უზრუნველყოფა არ არის დამოკიდებული მხოლოდ პენიტენციური სისტემის კეთილ ნებაზე ან კარგ მენეჯმენტზე. ციხის გადატვირთულობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული არაერთ ისეთ მაჩვენებელზე, რომელთა გადაჭრაც პენიტენციურ სისტემას დამოუკიდებლად არ ხელეწიფება, არამედ ის დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკაზე დანაშაულებთან მიმართებით, სასამართლოსა და გამოძიების ეფექტიანობაზე და ა.შ. ციხის გადატვირთულობა დაწესებულების ადმინისტრაციას პრაქტიკულად არ აძლევს შესაძლებლობას იმოქმედოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მაგალითად სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში ნათქვამია მე-15 დაწესებულების გადატვირთულობის შესახებ, რომ „N15 დაწესებულებაში მწვავედ დგას გადატვირთულობის პრობლემა. კერძოდ, ვიზიტის დროს მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტს (1 388) 512-ით აღემატებოდა“.⁵⁰⁰ მსგავს

⁴⁹⁶ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019, გვ. 31, იხ. <https://ombudsman.ge/res/docs/2019121618092132463.pdf> [30.03.2024].

⁴⁹⁷ თბილისის N5 საპყრობილე გაუქმებულ იქნა 2000-იანი წლების ბოლოს.

⁴⁹⁸ ECHR, ალიევი საქართველოს წინააღმდეგ (ALIEV v. GEORGIA), იხ. https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/alievi.pdf [30.03.2024].

⁴⁹⁹ იქვე.

⁵⁰⁰ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019, 31, იხ. <https://ombudsman.ge/res/docs/2019121618092132463.pdf> [30.03.2024].

შემთხვევაში საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი ფართობის გამოყოფა თითოეულ პატიმარზე პრაქტიკულად შეუძლებელია.

გარდა საცხოვრებელი ფართისა, ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დადგენილი იყოს საკნის სხვა სტანდარტები, როგორცაა: ფანჯარა და მისი ზომა, ვენტილაცია, განათება და გათბობა, რომლებიც უნდა შეესაბამებოდნენ კლიმატურ პირობებს, რათა არ მიადგეს ზიანი პატიმარს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას, ასევე საცხოვრებელი უნდა იყოს უზრუნველყოფილი გათბობით და ბუნებრივი ან/და ხელოვნური ვენტილაციით. თუმცა ბუნებრივი განათების უზრუნველყოფა, რაზეც კანონი საუბრობს არის რთულად გაზომვადი.⁵⁰¹

თუ განვიხილავთ საერთაშორისო სტანდარტების მიდგომებს, აქ, კოდექსისგან განსხვავებით, ვხვდებით სტანდარტებს, რომლებიც იძლევიან შეფასების შესაძლებლობას, შეესაბამება თუ არა არსებული პირობები პატიმრისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის კრიტერიუმებს. მანდელას წესები განმარტავს, რომ ფანჯარა უნდა იყოს იმ ზომის, რომ პატიმრებს ჰქონდეთ საშუალება, წაიკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივ შუქზე. ასევე, ფანჯრები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ უზრუნველყოს საკანში სუფთა ჰაერის შეღწევა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იქ ხელოვნური ვენტილაცია.⁵⁰²

საქართველოს პრაქტიკის განხილვისას სუფთა ჰაერის შეღწევადობასა და ვენტილაციასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, ვაწყდებით გარკვეულ გამოწვევებს. მაგალითად, ანგარიშის თანახმად, მე-8 დაწესებულების სამართლო საკნებსა და შიდა კლასიფიკაციის საკნებში ხელოვნური ვენტილაცია არ არის, ასევე N14 და N15 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში ცენტრალური ხელოვნური სავენტილაციო სისტემა არ ფუნქციონირებს. ამასთან, ვენტილაციისა და განათების პრობლემა მეტწილად გამოხატულია დეესკალაციისა და უსაფრთხოების საკნებში. კერძოდ, ანგარიშში ნათქვამია, რომ როგორც N2, ასევე N8 დაწესებულებების დეესკალაციის ოთახებში არ იღება ფანჯრები. შესაბამისად, ბუნებრივი ვენტილაცია პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი არ არის.⁵⁰³

ყურადღება უნდა დაეთმოს ევროპული ციხის წესებს საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, პატიმრებისათვის შექმნილი უნდა იყოს არა მხოლოდ ნორმალური საცხოვრებელი პირობები, არამედ უზრუნველყოფილი უნდა იყოს შენობა, განსაკუთრებით კი, საძინებელი კორპუსი, ადამიანის ღირსების პატივისცემისა და განმარტოების მოთხოვნილებების შესაბამისად. გარდა ამისა, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური მოთხოვნილებები, კლიმატური პირობებისა და, განსაკუთრებით, ფართის ოდენობის, ჰაერის მოცუ-

⁵⁰¹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 110-ე მუხლის მესამე ნაწილი.

⁵⁰² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 14.1, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [02.04.2024].

⁵⁰³ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019, 31, იხ. <https://ombudsman.ge/res/docs/2019121618092132463.pdf> [30.03.2024].

ლობის, განათებისა და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით.⁵⁰⁴

აღსანიშნავია ასევე, რომ ევროპის ციხის წესები განათებისა და ვენტილაციის ნაწილში ადგილს უთმობს არა მხოლოდ იმ საკნების მდგომარეობას, რომლებშიც პატიმრები განთავსდებიან, არამედ ყველა იმ ადგილს, სადაც ისინი მუშაობენ ან უბრალოდ იკრიბებიან. წესების მიხედვით, ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათებისას ნორმალურ პირობებში. ასევე, აუცილებელია, ხდებოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიცირების სისტემა. ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს.⁵⁰⁵

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის ციხის წესების ის ნაწილი, სადაც ვხვდებით ისეთ განსხვავებულ მიდგომას, როგორიცაა საკანში სიგნალიზაციის არსებობა და მისი გამოყენება პატიმრის ინტერესებისათვის. კერძოდ, სიგნალიზაციის მეშვეობით პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ დროს გამოიძახოს ციხის თანამშრომელი.⁵⁰⁶

წესები ასევე უდგენს სახელმწიფოებს მოთხოვნას, რომ მან არამხოლოდ უზრუნველყოს ნორმალური საცხოვრებელი პირობები, არამედ კანონმდებლობით უნდა იქნეს მიღებული პრევენციული ზომები, იმისათვის რომ ციხის გადატვირთულობამ არ მოახდინოს ზეგავლენა და არ მოხდეს ინდივიდუალური პატიმრის მდგომარეობის გაუარესება.⁵⁰⁷

ციხეებში გადატვირთულობისა და პატიმართა საცხოვრებელ პირობებთან და საცხოვრებელ ფართობთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია არაერთი ქვეყნის მანკიერი პრაქტიკა, განსაკუთრებით კი ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, რომლებსაც ჰქონდათ იმავე ტიპის პენიტენციური სისტემა და მენეჯმენტი, როგორც საქართველოს. ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ პრეცედენტული საქმე „კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ“. სასამართლომ პატიმრის საყოფაცხოვრებო პირობები და გარემო, სადაც განმცხადებელი იყო განთავსებული, შეაფასა, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, კერძოდ განმცხადებელი მისთვის განკუთვნილ საცხოვრებელ ფართობსა და პირობებს აღწერდა შემდეგნაირად: იგი იმყოფებოდა საკანში, რომლის საერთო ფართობიც შეადგენდა 17² მეტრს და რომელშიც განთავსებული იყო 8 ნარი. მიუხედავად ამისა, საკანში თითქმის ყოველთვის იმყოფებოდა 24 პატიმარი, რომელთა 18-მდე შემცირება მხოლოდ რამდენჯერმე მოხდა. ისინი იძულებულნი იყვნენ დაეძინათ მორიგეობით, რადგან ერთ საწოლზე 3 პატიმარი მოდიოდა, სხვა პატიმრები იწვნენ ან ისხდნენ იატაკზე და ელოდნენ მათ ჯერს. საკანში ძილი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, იმის გამო, რომ ტელევიზორი ჩართული იყო დღე-ღამის განმავლობაში და მთელი დღე საკანში ინტენსიური მოძრაობა იყო. საკნის განათება მოზომილად იყო ჩართული. საკანი, რომელიც არ ნიავებოდა, ზაფხულის განმავლობაში იყო

⁵⁰⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 18.1, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁵⁰⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 18.2, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁵⁰⁶ იქვე.

⁵⁰⁷ იქვე.

აუტანლად ცხელი, ხოლო ზამთარში - ცივი. საკანში არსებული ცუდი ჰაერის გამო პატიმრები იძულებული იყვნენ საკნის ფანჯარა მუდმივად ღია ჰქონოდათ. მწველების გარემოცვაში განმცხადებელი იძულებული იყო გამხდარიყო პასიური მწველი.⁵⁰⁸

მოცემულ საქმეში სასამართლომ არ ჩათვალა აუცილებლად განმცხადებელსა და მთავრობას შორის მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული უთანხმოების გარჩევა, რამდენადაც, წარმოდგენილი მასალების თანახმად, თითოეული პატიმრის პერსონალური სივრცე საშუალოდ 0,9-1,9 კვ.მ იყო. შესაბამისად, საკანი გამუდმებით გადატვირთული იყო, რაც თავისთავად წინ სწევს მესამე მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხს. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა ადეკვატური ვენტილაციის არარსებობაზე და აღნიშნა, რომ ასეთ პირობებში პატიმართა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, რომელთაც შეეძლოთ თამბაქოს მოხმარება, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუსაძლისი ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი გაჰყავდათ ყოველდღიურ ერთსაათიან გასეირნებაზე, დარჩენილი დროის განმავლობაში იგი გამოკეტილი იყო ძალიან მცირე სივრცის მქონე საკანში. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ საქმეში „კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ“ დაადგინა დარღვევა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3⁵⁰⁹ მუხლთან მიმართებით.

საცხოვრებელი პირობების დარღვევამ შესაძლებელია სავალალო ზიანი მიაყენოს პატიმრის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, რაც ასევე ზეგავლენას ახდენს მის ოჯახზე და, ზოგადად, საზოგადოებაზე სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შემდეგ. ამდენად, პენიტენციური სისტემა თავისი საქმიანობის პროცესში ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ ჯანმრთელი საცხოვრებელი გარემოს შექმნას უნდა სახავედეს.

ბ. კვება

კვების ორგანიზება და პატიმართა საკვებით მომარაგება იმ ხარისხით, რომ მან უზრუნველყოს პატიმართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებას წარმოადგენს. საქართველოს პენიტენციური სისტემის ისტორიაში შეგვიძლია განვიხილოთ პერიოდი, როდესაც პატიმართა კვება არ შეესატყვისებოდა არცერთ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ნორმას. მაგალითად, Human Rights Watch-ის ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ვიზიტისას რუსთავის მე-6 საპყრობილის ერთ-ერთმა პატიმარმა განაცხადა: „აქ ძალიან ცუდი საკვებია. ზოგჯერ რაღაც გაუგებარი წარმოშობის ხორცსაც კი ვიღებთ ხოლმე“. ასევე, სხვა პატიმრის ინტერვიუდან ნათლად ჩანს, თუ რა საკვებს სთავაზობდნენ პატიმრებს. ანგარიშში ნათქვამია, რომ პატიმრები უმეტესად მიირთმევენ „წყალწყალა“ წვნიანს, ასეთივე ფაფას, ჩაის, პურსა და კარტოფილს.⁵¹⁰ შესაბამისად, ნათელია,

⁵⁰⁸ ECHR, კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kalashnikov v. Russia), იხ. [file:///C:/Users/A410352/Downloads/CASE%20OF%20KALASHNIKOV%20v.%20RUSSIA%20-%20\[Georgian%20Translation\]%20summary%20by%20Eva%20Gotsiridze.pdf](file:///C:/Users/A410352/Downloads/CASE%20OF%20KALASHNIKOV%20v.%20RUSSIA%20-%20[Georgian%20Translation]%20summary%20by%20Eva%20Gotsiridze.pdf) [30.03.2024].

⁵⁰⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-3-ე მუხლი, წამების აკრძალვა: არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. იხ. <http://www.library.court.ge/upload/2978.pdf> [02.04.2024].

⁵¹⁰ Human Rights Watch, ანგარიში, პატიმართა უფლებების დარღვევა საქართველოში, 2006, გვ. 38, იხ.

რომ პატიმართა კვების სტანდარტები არ შეესაბამებოდა არც კანონით დადგენილ და არც საზოგადოებაში მიღებულ კვების ნორმებს.

საერთაშორისო სტანდარტებით, ერთ-ერთ პრიორიტეტად დადგენილია პატიმართა საკვებისა და მისი მომზადების ხარისხი, ასევე, კალორიულობა. პატიმართან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში, გარდა საკვების ხარისხისა, ყურადღება ეთმობა საკვების მიწოდების პერიოდულობას, საკვების დამზადებისა და მიწოდების პროცესს. კერძოდ, ხაზგასმულია ციხის ადმინისტრაციის ვალდებულება, უზრუნველყოს ყოველი პატიმარი ჯანმრთელობისა და ძალების შენარჩუნებისთვის ადეკვატური კვებითი ღირებულების, ჯანსაღი ხარისხისა და კარგად მომზადებული საკვებით. ასევე, მინიმალური წესებით დადგენილია სასმელი წყლის მიწოდების სტანდარტი, კერძოდ, სასმელი წყალი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყოველი პატიმრისათვის ნებისმიერ დროს, შეუზღუდავი რაოდენობით.⁵¹¹ კვების საკითხებს ასევე ეხმიანება ე. კოილი. ის სახელმძღვანელოში განმარტავს კვების უზრუნველყოფის პირობებს და მნიშვნელობას სასჯელის მოხდის პერიოდში. ის აღნიშნავს, რომ ციხის ადმინისტრაციის ზრუნვის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს, რომ ყველა პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი საკვებითა და სასმელით, რათა პატიმრები არ იტანჯებოდნენ შიმშილით ან არასაკმარისი კვებით გამოწვეული ავადმყოფობით. აქ აღსანიშნავია ის ზიანი, რაც კვების პრობლემებისა და შეუსაბამო საკვების რაციონის გამო შეიძლება მიადგეს პატიმარს ციხეში ყოფნის დროს. ნიშანდობლივია განმარტება სახელმწიფოს ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომ ადამიანებისთვის თავისუფლების ჩამორთმევით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ჯეროვნად იზრუნოს მათზე. ეს აბსოლუტური მოვალეობაა, რომლიდან გადახვევა დაუშვებელია. შესაბამისად, საკვების უკმარისობის შემთხვევაში ციხის ადმინისტრაციამ ყველა ღონეს უნდა მიმართოს ამ პრობლემის გადასაჭრელად.⁵¹²

კოილს მოჰყავს კვების კრიზისიდან თავის დაღწევის პრაქტიკული მაგალითი, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პენიტენციურ სისტემაში იქნა დანერგული: „2011 წლიდან 2013 წლამდე, თითქმის 30 მილიონი კილოგრამი ბოსტნეული, ხილი და ხორცი იქნა წარმოებული პატიმრების მიერ პენიტენციური ცენტრის ფერმებსა და სასაკლაოებზე. ამავე პერიოდში, 5,578,133 პური იქნა წარმოებული ექვს საცხოობში. მხოლოდ ბოქსბურგის პენიტენციური ცენტრის საცხოობში 22 დაკავებული 2,000 პურს აცხოებს ყოველდღიურად, რაც 5,000 დაკავებულს კვებას“.⁵¹³ საქართველოს კანონით და საერთაშორისო სტანდარტებით განმარტებულია, რომ „პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელ კომპონენტებს“.⁵¹⁴

<https://www.hrw.org/reports/georgia0906ka.pdf> [30.03.2024].

⁵¹¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 22, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PR1-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁵¹² A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 46. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04.2024].

⁵¹³ იქვე.

⁵¹⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილი.

კანონით ასევე დადგენილია საკვების მიწოდების პერიოდულობა, კერძოდ, ბრალდებულს/მსჯავრდებულს საკვები უნდა მიეწოდოს დღე-ღამეში სამჯერ, თუმცა არ არის განსაზღვრული დროის რა შუალედში უნდა მოხდეს საკვების მიწოდება. საერთაშორისო სტანდარტები შეიცავს ასევე დათქმას საკვების მიწოდების პერიოდულობასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, გათვალისწინებული უნდა იყოს სამჯერადი კვება გონივრულ ინტერვალებში.⁵¹⁵

საქართველოს პრაქტიკაში განსაზღვრულია განსაკუთრებული კვების პირობები რიგი სპეციალური კატეგორიის პატიმრისათვის, როგორებიც არიან: პატიმარი ქალი, ორსული ქალი, მეძუძური დედა, ავადმყოფი, შშმ პირი ან ხანდაზმული (ქალი – 60 წლიდან, მამაკაცი – 65 წლიდან). ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი კვების პირობებით, თუმცა არ განიმარტება, თუ რა მოიაზრება განსაკუთრებულ პირობებში.⁵¹⁶

გარდა პენიტენციური კოდექსისა, კვების სტანდარტებს უფრო დეტალურად განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება, რომელშიც დადგენილია კვების ნორმები დაწესებულების ტიპების, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალური კატეგორიებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.⁵¹⁷

მნიშვნელოვანია დათქმა, რომ აკრძალულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით საკვების კალორიულობის შემცირება. აკრძალვა განსაზღვრულია როგორც საერთაშორისო სტანდარტებით, ასევე პენიტენციური კოდექსით და მისგან გადახვევა ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია.

კოდექსი ასევე განსაზღვრავს ხელმისაწვდომობას დამატებითი კვების პროდუქტების შესაძენად. განმარტებულია, თუ სად და რა ფორმით შეუძლია შეიძინოს ან მიიღოს დამატებითი კვების პროდუქტები საპატიმრო/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულმა პირმა. ეს დათქმა უფლებას აძლევს ბრალდებულს/მსჯავრდებულს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში შეიძინოს დამატებითი კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები იმ თანხით, რომელიც მან გამოიმუშავა პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობისას ან მის პირად ანგარიშზე ჩარიცხეს ახლო ნათესავებმა ან სხვა პირებმა.⁵¹⁸

ევროპული პენიტენციური წესები ყურადღებას უთმობს ყველა იმ სტანდარტს, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით და მინიმალური წესებით. მოცემულ შემთხვევაში ვხვდებით საკვების შესაბამისობის განსაზღვრას უფრო კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით, რომ პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.

⁵¹⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No-R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 22.1, იხ. <https://rm.coe.int/168070827c/01.04.2024/>.

⁵¹⁶ საქართველოს კანონის პენიტენციური კოდექსის 111-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

⁵¹⁷ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 1999 წლის 22 დეკემბერის ერთობლივი ბრძანება №5/500/ო, მსჯავრდებულთა კვების ნორმების, ტანსაცმლისა და სანიტარო-ჰიგიენური პირობების შესახებ.

⁵¹⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 111-ე მუხლის მეხუთე ნაწილი.

ნებით. ასევე ხაზგასმულია საკვები რაციონის მიმართ დადგენილი მოთხოვნები, როგორცაა: კალორიულობა და ცილების შემცველობა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით. ამასთან, საკვების მომზადება და საქმელად გამოტანა უნდა ხდებოდეს ჰიგიენურ პირობებში.⁵¹⁹

საკვებთან დაკავშირებით აღსანიშნავია სამედიცინო პერსონალის როლის თაობაზე საერთაშორისო სტანდარტების მიდგომა, რომლის თანახმად, „*ექიმმა ან კვალიფიციურმა მედლამ უნდა მოითხოვოს საკვები რაციონის შეცვლა კონკრეტული პატიმრისათვის, როდესაც ეს საჭიროა სამედიცინო მოსაზრებით*“.⁵²⁰

სამედიცინო პერსონალის როლს საკვების მიწოდებასთან დაკავშირებით განსაზღვრავს მანდელას წესები, რომელიც შეიცავს ვალდებულებას, რომ ექიმმა ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენტურმა ორგანომ რეგულარულად შეამოწმოს და აცნობოს ციხის დირექტორს ინფორმაცია საკვების რაოდენობის, ხარისხის, მომზადებისა და მომსახურების შესახებ.⁵²¹

აღსანიშნავია საერთაშორისო პრაქტიკა მსჯავრდებულთა კვებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ირლანდიის პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკვების მიწოდების ხარისხსა და ნაირსახეობაზე ზრუნვას, ასევე მსჯავრდებულისათვის დიეტური და რელიგიური კვების დაცვის ხელშეწყობას. კერძოდ, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული პატიმრისთვის საკმარისი რაოდენობის ჯანსაღი და ნოყიერი საკვებისა და სასმელი წყლის ყოველდღიური მიწოდება. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ საკვები და სასმელი იყოს სათანადოდ მომზადებული და წარმოდგენილი და გონივრულად მრავალფეროვანი. განსაზღვრულია, რომ წესრიგისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მისდიოს იმ რელიგიის ან კულტურის კვების პრაქტიკას, რომლის მიმდევარიც არის.⁵²²

საკვებთან მიმართებით შესაძლებელია განვიხილოთ ევროპის სასამართლოს არაერთი საქმე, რომლებშიც დადგინდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. მაგალითად, საქმეზე „ჰარაქჩიევი და ტოლუმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ“ (Harachiev and Tolumov v. Bulgaria) ნათლად ჩანს, რომ გამამტყუნებელი გადაწყვეტილების ერთ-ერთი არგუმენტი იყო სწორედ საკვები. საქმეში განმცხადებლები განმარტავდნენ, რომ ციხეში საკვები იყო ცუდად მომზადებული, უხარისხო, უგემური, ცივად და არაჰიგიენურ პირობებში მიწოდებული და არასაკმარისი რაოდენობით. პატიმრების განმარტებით, ისინი ხორცს კვირაში ერთხელ მიირთმევდნენ, დანარჩენ დროს საკვები შედგებოდა ლობიოს, ოსპის, კომბოსტოსა და კარტოფილისგან, რომლებიც წვნიანის ან ჩაშუშული სახით იყო მოწოდებული. მიუხედავად მთავრობის მტკიცებისა, რომ საკვების კალორიულობა, საკვების რაოდენობა და ქიმიური და კალორიული

⁵¹⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 22.4, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁵²⁰ იქვე, წესი 22.6.

⁵²¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 35, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁵²² Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 “Prison Rules” Ireland. <https://www.irishstatutebook.ie/eli/2007/si/252/made/en/print> [30.03. 2024].

შემცველობა სრულიად ადეკვატური იყო და დღის ნორმას შეესაბამებოდა, სასამართლომ დაასკვნა, რომ პატიმრობის პირობები და ციხის რეჟიმი, ერთად აღებული, წარმოადგენდა საკმარისად სერიოზულ დარღვევას იმისათვის, რომ კვალიფიცირებული ყოფილიყო როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა.⁵²³

საკვები პროდუქტების, მისი მომზადებისა და მიწოდების ხარისხი და შესაბამისობა პატიმრის რელიგიურ და კულტურულ მოთხოვნებთან უნდა იყოს ციხის ადმინისტრაციის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, რათა თავიდან იქნეს აცილებული როგორც ჯანმრთელობის, ასევე ფსიქიკური პრობლემები სასჯელის მოხდის დროს და ასევე, გათავისუფლების შემდგომ პატიმრის საზოგადოებაში ეფექტიანი რეინტეგრაციის მიზნით.

გ. ჰიგიენა

საპატიმრო დაწესებულებებში ჰიგიენური პირობების დაცვა სასჯელის მოხდის ნორმალური გარემოს უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასჯელის მოხდის პირობები, რომელიც თანხვედრაში იქნება ადამიანის ღირსებასთან, დაცული უნდა იყოს ადეკვატური ჰიგიენური პირობები. კანონმდებლობით დადგენილია მოთხოვნები, რომლებიც დაცული უნდა იყოს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ჰიგიენური გარემო. პირველ რიგში, განმარტებულია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიცვაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები და დაიცვას პირადი ჰიგიენა იმ პირობებში, რომ არ მოხდეს მისი პატივისა და ღირსების შელახვა. ეს განმარტება ზოგადაა, თუმცა იმის მითითება, რომ ის არ უნდა იყოს პატივისა და ღირსების შემლახავი, უკვე ადგენს შესაბამის სტანდარტს.⁵²⁴

საქმეზე „ალექსანდრ მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ“ (CASE OF ALEKSANDR MAKAROV v. RUSSIA) განმარტებულია, რომ სასამართლოს განსაკუთრებული შემოფოტება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საცხოვრებელ ნაწილსა და საპირფარეოს შორის არსებული ტიხარი ვერ უზრუნველყოფდა პირად სივრცეს იმ პატიმრისთვის, რომელიც ტუალეტით სარგებლობდა, რადგანაც ის მაინც ექცეოდა საწოლზე მსხდომი პატიმრებისა და ზედამხედველობის მხედველობის არეში. გარდა ამისა, სასამართლომ გაითვალისწინა განმცხადებლის განმარტება, რომ პატიმრებს არ მიეწოდებოდათ ტუალეტის საწმენდი სითხეები.⁵²⁵

კანონით დადგენილია მხაპის მიღების პერიოდულობა, კერძოდ, მხაპის კვირამი ორჯერ მიღების შესაძლებლობა. ასევე, განმარტებულია საპარიკმახერო (სადალაქო) მომსახურებით სარგებლობის უფლება. პატიმრისთვის საპარიკმახერო მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს არანაკლებ თვეში ერთხელ. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს პატიმრისთვის თმის გადაპარსვის ვალდებულებას, თუმცა უტოვებს ადმინისტრაციას უფლებას მო-

⁵²³ ECtHR, *Harachiev and Tolumov v. Bulgaria*, 2014. [HARAKCHIEV AND TOLUMOV v. BULGARIA \(coe.int\)](#) [01.04.2024].

⁵²⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 99-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ პუნქტი და 112-ე მუხლი.

⁵²⁵ ECtHR *ალექსანდრ მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ* (ALEKSANDR MAKAROV v. RUSSIA), იხ. [ALEKSANDR MAKAROV v. RUSSIA \(coe.int\)](#) [30.03.2024].

სთხოვოს პატიმარს თმის გადაპარსვა განსაკუთრებულ გარემოებებში, თუ არსებობს ექიმის შესაბამისი მოთხოვნა ან ეს აუცილებელია ჰიგიენის დასაცავად.⁵²⁶ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირადი ჰიგიენის დაცვა არ არის პატიმრის მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაცაა. კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ პატიმარი ვალდებულია დაიცვას პირადი ჰიგიენა, სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი/ფეხსაცმელი, საწოლი, საცხოვრებელი და სამუშაო, შესაბამისად, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია შეუქმნას პატიმარს ყველა პირობა ამ ვალდებულების შესასრულებლად.⁵²⁷

საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში ვხვდებით უფრო კონკრეტულ მოთხოვნებს ჰიგიენურ პირობებსა და საჭიროებებთან დაკავშირებით, როგორცაა სანიტარიული კვანძებისა და სამხაპების გონივრული რაოდენობა. სტანდარტები ასევე განსაზღვრავს ჰიგიენის დაცვის უზრუნველყოფისათვის პატიმრის სხვა საჭირო ნივთებით მომარაგების ვალდებულებას. ამასთან, პატიმრებს მოეთხოვებათ საკუთარი სისუფთავის დაცვა, ამ მიზნით კი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ წყლით და ტუალეტისთვის განკუთვნილი ნივთებით. რაც შეეხება მხაპის მიღებას, აქ სტანდარტებში ხაზგასმულია ადეკვატური საბანაო და სამხაპე მოწყობილობებით უზრუნველყოფა ისე, რომ ყველა პატიმარს შეეძლოს და შეიძლება მოეთხოვოს აბანოს ან მხაპის მიღება კლიმატისთვის შესაფერის ტემპერატურაზე, იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროა ზოგადი ჰიგიენისთვის სეზონისა და გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით.⁵²⁸

ჰიგიენასთან მიმართებით მნიშვნელოვანია გაეროს მინიმალური სტანდარტები, რომელიც ადგენს ქალ პატიმრებთან მოპყრობის წესებს. ქალებს, როგორც სხვა განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრებს, აქვთ განსხვავებული საჭიროებები, ასევე ქალ პატიმართა შორის განსაკუთრებულ კატეგორიებს, როგორცაა: ფეხმძიმე ქალები, ბავშვიანი ქალები და სხვა აქვთ დამატებითი საჭიროებები. ამდენად, ზემოთ აღნიშნული და სხვა თემატური საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავენ სტანდარტებს ქალთა სპეციფიკური საჭიროებისათვის, კერძოდ, განმარტებულია, რომ სასჯელის მოხდის დაწესებულებას, სადაც განთავსებული არიან ქალი პატიმრები, უნდა ჰქონდეს შესაბამისი საშუალებები და ნივთები, რაც დააკმაყოფილებს ქალთა განსაკუთრებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს, მათ შორის, ბავშვებისა და ქალების პირადი ჰიგიენის საჭიროებებს. ასევე მოცემული სტანდარტები ადგენს განსაკუთრებული კატეგორიის ქალებისათვის დამატებითი ხელშეწყობის საჭიროებას, მაგალითად, მზარეულობით დაკავებული ქალებისთვის, ორსული და მეძუძური, ასევე ციკლის მქონე ქალებისთვის საჭირო სანიტარიული პირსახოცები და წყალი, რომელიც მიწოდებულ უნდა იქნეს რეგულარულად და უფასოდ.⁵²⁹

⁵²⁶ სავალდებულო თმის გადაპარსვის ვალდებულება კვლავ შემორჩენილია რიგ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში.

⁵²⁷ საქართველოს კანონის პენიტენციური კოდექსის 113-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

⁵²⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდალას წესები), წესი 16, 18, იხ.: https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁵²⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ

პენიტენციური კოდექსით ასევე განსაზღვრულია ქალთა სპეციალური საჭიროებები საცხოვრებელი პირობებისა და კვების თვალსაზრისით. იგი ასევე ადგენს სპეციალურ მიდგომებს ორსული და ბავშვიანი ქალებისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ორსული ქალებისა და ბავშვებისთვის. სპეციალური ქალთა პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია შექმნას შესაბამისი პირობები, თუმცა მასში განსაკუთრებული დათქმა ჰიგიენასთან დაკავშირებით არ არის ხაზგასმული.⁵³⁰

ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის განხილვისას, როგორცაა პატიმართა ჰიგიენური პირობებისა და გარემოს უზრუნველყოფა, საინტერესოა საერთაშორისო პრაქტიკის განხილვა, სადაც ჰიგიენასთან მიმართებით რამდენიმე მნიშვნელოვან, საქართველოსგან განსხვავებულ, მიდგომას ვხვდებით. ირლანდიის პრაქტიკის მიხედვით, ერთ-ერთ ასეთ მოდგომას წარმოადგენს სამრეცხაოსა და სანიტარიული კვანძების მოწყობა საკანებში. აღნიშნულია, რომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სანიტარიული კვანძები და სამრეცხაო მოწყობილი უნდა იყოს მსჯავრდებულის საკანში (ოთახში). იქ, სადაც ადეკვატური სანიტარიული კვანძი და სამრეცხაო არ არის მიწოდებული საკანში, მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული ხელმისაწვდომობა სანიტარიულ კვანძებსა და სამრეცხაოზე.⁵³¹

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია განვიხილოთ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ერთ-ერთი ანგარიში საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, სადაც განხილულია ჰიგიენის მდგომარეობა ციხეებში. ანგარიში განიხილავს, როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ შემთხვევებს. მოცემულ შემთხვევაში მაგალითის სახით შეიძლება განვიხილოთ 2010 წლის ვიზიტის ანგარიში, რომლის მიხედვით, N7 სასჯელაღსრულების დაწესებულების სანიტარიული პირობები გათანაბრებულია ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან. ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ღია“ ნაწილში⁵³² განთავსებული 2,700 პატიმრისთვის გამოიყენებოდა განცალკევებით მდგომი შენობა (იგულისხმება სამხაპე და საპირფარეო), რომელიც შეიცავდა დაახლოებით 30 ფეხსადგოვს, ამავე რაოდენობის პირსაბანს და 11 შხაპს. ეს სანიტარიული საშუალებები საზარელი სანახავი იყო, ყველაფერი ჭუჭყიანი და დამლილი, ციოდა და განმარტოების საშუალებაც არ იყო. თეორიულად პატიმრებს შეეძლოთ შეუზღუდავად ესარგებლათ სამხაპეებით, მაგრამ საეჭვოა, რომ ბევრი მათგანი იყენებდა ამ შესაძლებლობას.⁵³³

სასჯელის მოხდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს იზოლირებული ჰიგიენური კვანძები, რომლებითაც პატიმარს შეუძლია ისარგებლოს განმარტოებით,

ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, ბანგკოკის წესები, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2013/07/PRI-Short-Guide-Bangkok-Rules-2013-Web-Final-Geo.pdf> [30.03.2024].

⁵³⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 39-ე მუხლი.

⁵³¹ Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 “Prison Rules” Ireland, article 24. <https://www.irishstatutebook.ie/eli/2007/si/252/made/en/print> [02.04.2024].

⁵³² „ღია“ ნაწილში მოცემულ შემთხვევაში მოიაზრება ე. წ. კოლონიის ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებები.

⁵³³ საქართველოს ხელისუფლებას წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (წამების საწინააღმდეგო კომიტეტი) საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2010 წლის 5-15 თებერვალი, იხ. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806961dd> [30.03.2024].

რათა მოხდეს სასჯელის მოხდა პატივისა და ღირსების შეუღლებად. ასევე მნიშვნელოვანია ჰიგიენური პირობები პატიმართა სხვადასხვა დაავადებისაგან დაცვისათვის, რამაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს როგორც მსჯავრდებულს, ისე მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც მასთან ვიზიტებს ახორციელებენ, ასევე ციხის პერსონალს და მათ ოჯახებს.

დ. თეთრული და ტანსაცმელი

პატიმართა თეთრულითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა, ისევე როგორც სხვა ქვეთავებში განხილული თემები, წარმოადგენს საცხოვრებელი პირობების შემადგენელ ნაწილს, რომლის უზრუნველყოფა როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სტანდარტებით წარმოადგენს დაწესებულების ადმინისტრაციის ვალდებულებას.

პენიტენციური კოდექსი არეგულირებს პატიმრობაში მყოფი პირის უზრუნველყოფის საკითხს როგორც თეთრულით, ისე ტანსაცმლით. საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულია თეთრულის მიწოდების საკითხი, ასევე განმარტებულია, თუ რა მდგომარეობაში უნდა იყოს თეთრული, რომელიც პატიმარს გადაეცემა. პენიტენციურ კოდექსში აღნიშნულია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს საწოლი და თეთრული. პენიტენციური კოდექსი, მსგავსად საერთაშორისო სტანდარტებისა, მიუთითებს, რომ ყველა პატიმარს უნდა გადაეცეს ინდივიდუალური საწოლი და თეთრული, ამასთან ის უნდა იყოს სუფთა და დაუზიანებელი. ასევე, საგულისხმოა დაწესებულების ადმინისტრაციის ვალდებულება უზრუნველყოს თეთრულის სისუფთავე.⁵³⁴

უნდა აღინიშნოს კანონმდებლობის დათქმა პატიმრის ტანსაცმლის თაობაზე, კერძოდ, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს იქონიოს პირადი ტანსაცმელი, თუმცა არ არის დადგენილი უნიფორმის ტარების ვალდებულება. ადმინისტრაციას აკისრია ვალდებულება: თუ პატიმარს არ აქვს პირადი ტანსაცმელი/ფეხსაცმელი ან/და ჰიგიენის დასაცავად აუცილებელი სხვა პირადი ნივთი, პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფს მას სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლით/ფეხსაცმლით ან/და ჰიგიენის დასაცავად აუცილებელი სხვა პირადი ნივთით. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების ადმინისტრაცია აძლევს პატიმარს ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, კანონი ადგენს სტანდარტს, რომ ის, თავისი ფორმით, არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას. აღნიშნული დათქმა შეიძლება იყოს იმის გარანტი, რომ პატიმარი დაცული იქნება ფსიქოლოგიური ან ფიზიკური შეურაცხყოფისაგან იმ ტანსაცმლის გამო, რომელსაც ის დაწესებულებაში ატარებს.⁵³⁵

ზემოაღნიშნული დათქმები არ ზღუდავს დაწესებულების ადმინისტრაციის უფლებას, საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს პატიმარს უნიფორმის ტარება, კერძოდ, პენიტენციური დაწესებულება უფლებამოსილია ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისცეს სპეციალური ტანსაცმელი/ფეხსაცმელი. ამ შემთხვევაშიც მისი ფორმა არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას. მოცემულ საკითხზე განსაზღვრულია პატიმრის ვალდებულება, ეცვას სპეციალური ტანსაცმელი/ფეხსაცმელი. ეს მოთხოვნა ეხებათ იმ პატიმრებსაც, რომლებიც დაკავებული არიან რაიმე სამუ-

⁵³⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 113-ე მუხლის მესამე ნაწილი.

⁵³⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილი.

შაოს შესრულებით.⁵³⁶

ე. კოილი განმარტავს საერთაშორისო სტანდარტების მიდგომებს ტანსაცმელსა და თეთრულოთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სტანდარტები სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, პატიმარი უზრუნველყოს ისეთი ტანსაცმლით, რომელიც საკმარისია სითბოს ან სიგრილის შესანარჩუნებლად, მისი ჯანმრთელობის მოთხოვნილების მიხედვით. ასევე ხაზგასმულია, რომ აკრძალულია პატიმრების დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი ტანსაცმლით შემოსვა. ეს სტანდარტები აგრეთვე ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყონ ტანსაცმლის სუფთად და ჰიგიენურად შენარჩუნება ან უზრუნველყონ პატიმრები ასეთი საშუალებებით.⁵³⁷

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კოილის განმარტებას უნიფორმის გამოყენების მიზნებთან მიმართებით, რომლის თანახმად, გარდა იმ ზოგიერთი პატიმრისა, რომლებიც მაღალი დონის უსაფრთხოებას მოითხოვენ და რომელთა გაქცევის საფრთხეც მაღალია, არ არსებობს რაიმე მკაფიო მიზეზი იმისათვის, რომ უნიფორმა მათთვის სავალდებულო იყოს. აქვე კოილი ხაზს უსვამს უნიფორმის სადამსჯელო დონისძიების სახით გამოყენებას და აღნიშნავს, რომ ციხის უნიფორმა არ უნდა იყოს დამსჯელი დონისძიების ნაწილი და არც პატიმრის დასამცირებლად გამიზნული.⁵³⁸

მნიშვნელოვანია მინიმალურ სტანდარტულ წესებში სპეციალური დათქმის არსებობა თეთრულისა და ქვეშაგების თაობაზე. წესები გამორიცხავს ციხეში ისეთი ტიპის გადატვირთულობას, როდესაც მსჯავრდებულს შესაძლებელია არ ჰქონდეს ინდივიდუალური საწოლი. ის განმარტავს, რომ თითოეულ პატიმარს, ადგილობრივი ან ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, უნდა მიეცეს ინდივიდუალური საწოლი და თეთრული, რომელიც უნდა იყოს სუფთა გაცემისას, ინახებოდეს მოწესრიგებულად და საკმარისად ხშირად შეიცვალოს სისუფთავის უზრუნველსაყოფად.⁵³⁹

ევროპის ციხის წესებით განსაზღვრულია ცალსახა მიდგომა, რომ მიუსჯელი პატიმრები უფლებამოსილნი უნდა იყვნენ, ატარონ პირადი ტანსაცმელი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მას უწევს უნიფორმის ტარება, ის არ უნდა იყოს მსჯავრდებულისაგან განსხვავებული და არ უნდა უსვამდეს ხაზს მის სტატუსს.⁵⁴⁰

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, შერჩეული ქვეყნებიდან შესაძლებელია განვიხილოთ ინგლისის მაგალითი, როდესაც კანონმდებლობით დადგენილია განსხვავებული მიდგომები მიუსჯელი და მისჯილი პატიმრებისათვის და განმა-

⁵³⁶ იქვე, მეოთხე ნაწილი.

⁵³⁷ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 45. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04.2024].

⁵³⁸ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 45. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04.2024].

⁵³⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 21, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson-Mandela-Rules-Short-Guide-Geo-final.pdf> [02.04.2024].

⁵⁴⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 97.1, 97.2, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

რტებულია, რომ მიუსჯელ პატიმარს შეუძლია ატაროს საკუთარი ტანსაცმელი, თუ ის არის შესაბამისი, სუფთა და მოწესრიგებული. ასევე, მას ეძლევა უფლება, გარედან მიიღოს სუფთა ტანსაცმელი. თუმცა აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ტანსაცმელი დაკავშირებულია ციხის უსაფრთხოებასთან და აღნიშნულია, რომ სანამ არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ არსებობს პატიმრის გაქცევის მცდელობის სერიოზული რისკი, მას შეიძლება დაევალოს ატაროს ტანსაცმელი, რომელიც გამორჩეულია სპეციალურად მარკირებული ან ფერადი ან ორივე ნიშნით ერთად. მსჯავრდებული პირების შემთხვევაში მათ ევალებათ ჩაიცვან კანონით დადგენილი ფორმის ტანსაცმელი, რომელიც უნდა მიეწოდოთ შესაბამისი ტემპერატურისა და ჯანმრთელობისთვის.⁵⁴¹

თეთრულითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფას უკავშირდება არა მხოლოდ მათი მიწოდება, არამედ მათი შენახვის პირობების ორგანიზება, რაც ემსახურება პატიმრის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საქმეზე „ანანიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (ANANYEV AND OTHERS v. RUSSIA) ნათქვამია, რომ აუცილებელი სანიტარული ზომები უნდა მოიცავდეს მღრღნელების, რწყილების, ტილების, ბუზებისა და სხვა მავნებლების საწინააღმდეგო საშუალებებს. აღნიშნული ზომები უნდა მოიცავდეს საკმარის სადეზინფექციო ობიექტებს, სარეცხი საშუალებების რეგულარულ მიწოდებას, სათავსოების რეგულარულ დამუშავებასა და შემოწმებას, განსაკუთრებით თეთრულის, ლეიბებისა და საკვების შესანახად გამოყენებული ადგილების. ეს ყოველივე არის შეუცვლელი ელემენტი კანის ისეთ დაავადებათა პრევენციისათვის, როგორცაა მუნი, რაც, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი მოვლენა იყო რუსეთის წინასწარი პატიმრობის ციხეებში.⁵⁴²

ე. სუფთა ჰაერზე ყოფნა

პატიმართა უფლებების განხილვისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს მის უფლებას ადეკვატური დრო გაატაროს საყნის გარეთ, სუფთა ჰაერზე, რაც მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს სტანდარტებს გასეირნების, ანუ სუფთა ჰაერზე ყოფნის, უფლებასთან მიმართებით. განმარტებულია, რომ როგორც ბრალდებულს, ისე მსჯავრდებულს, რომელიც დახურული ანუ საყნის ტიპის დაწესებულებაში იმყოფება, აქვს სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლება დღის განმავლობაში არანაკლებ 1 საათისა. ნიშანდობლივია დადგენილი სტანდარტი სასეირნო უბნების მოწყობასთან დაკავშირებით. უზო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მეტეოროლოგიურმა პირობებმა ხელი არ უნდა შეუშალოს მის რეალიზებას. შესაბამისად, გასეირნების უფლება არ უნდა შეიზღუდოს, მიუხედავად ამინდისა თუ კლიმატური პირობებისა.⁵⁴³

კანონმდებლობით ასევე განმარტებულია დროის რა პერიოდში დაიშვება პატიმ-

⁵⁴¹ UK statutory instrument, The prison rules, # 728, 1999, article 23. Chapters 1, 3, 4. <https://www.legislation.gov.uk/uksi/1999/728/made> [02.04.2024].

⁵⁴² EcHR, Ananyev and Others v. Russia <https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22itemid%22:%7B%22002-24%22%7D> [01.04.2024].

⁵⁴³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილი.

რის სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლების რეალიზება და ადგილი, სადაც ეს შეიძლება განხორციელდეს. კერძოდ, გასეირნება დასაშვებია დღის საათებში, პენიტენციური დაწესებულების მიერ ამისთვის გამოყოფილ ადგილზე. ასევე, ყურადღება უნდა დაეთმოს დათქმას გასეირნების ვადამდე შეწყვეტის წესებთან დაკავშირებით, რაც დაწესებულების ადმინისტრაციას აძლევს უფლებას, გასეირნება შეწყვიტოს ვადამდე პატიმრის მხრიდან პენიტენციური დაწესებულების დებულებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.⁵⁴⁴

ე. კოილი ხაზს უსვამს სუფთა ჰაერზე ყოფნის აუცილებლობას და განიხილავს შესაბამის სტანდარტებს ამ საკითხთან დაკავშირებით: ბევრი პატიმარი, განსაკუთრებით ბრალდებულები, დღის უდიდეს ნაწილს ატარებენ ჩაკეტილ, შედარებით ვიწრო გარემოში, სინათლესა და სუფთა ჰაერზე შეზღუდული ხელმისაწვდომობით. შესაბამისად, ამ პირობებში, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მათ მიეცეთ საკმარისი დრო ყოველდღიურად გარეთ ყოფნისათვის, აგრეთვე, სეირნობისა და ვარჯიშისათვის.⁵⁴⁵

აღსანიშნავია კოილის განმარტება იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ან რას უნდა ნიშნავდეს სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლება, რომელიც უბრალოდ გარეთ ყოფნას არ უნდა გულისხმობდეს. სუფთა ჰაერზე ყოფნისას პატიმრებს უნდა შეეძლოთ შედარებით ფართო სივრცეში სეირნობა და, შესაძლებლობის შემთხვევაში, მცენარეთა ბუნებრივი ზრდის, ვეგეტაციის ხილვა. ასევე კოილს მოჰყავს მაგალითი იმისა, თუ როგორია გასეირნების პროცესი პრაქტიკაში: რიგ ქვეყანაში ყოველდღიურად, თითო საათით, დიდი რაოდენობით პატიმარი გაჰყავთ ვიწრო, კედლებით შემოზღუდულ ეზოებში, რაც პრაქტიკულად საკანია, მაგრამ სახურავის გარეშე. ის ხაზს უსვამს სუფთა ჰაერზე ყოფნის დროს ვარჯიშის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. კერძოდ, ყველა პატიმარს აქვს უფლება ღია გარემოში ვარჯიშის, მათ შორის მათ, ვინც რაიმე ფორმით გამოცალკევებული ან დასჯილია.⁵⁴⁶

საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას ვხვდებით სუფთა ჰაერზე ყოფნის დადგენილ მინიმალურ ზღვარს, თუმცა აღსანიშნავია პენიტენციური კოდექსის დათქმებისგან განსხვავებული მიდგომებიც, რომელიც არ გულისხმობს პირის მხოლოდ საკნის გარეთ ყოფნას; მინიმალური სტანდარტული წესები ადგენს ვარჯიშის უფლებას და ვარჯიშისათვის საჭირო აღჭურვილობის ქონის ვალდებულებას, რომელსაც განიხილავს, როგორც საცხოვრებელი პირობების ნაწილს და არა რაიმე ბონუსს პატიმრისთვის. ასევე მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ ეს უფლება თანაბრად ხორციელდება ყველა პატიმარზე, რაც ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით მოწყვლადი საკითხია შშმ პატიმრებისთვის ან პირებისთვის, რომლებიც დისციპლინურ საკანში იმყოფებიან.⁵⁴⁷

მინიმალური წესების მსგავსად, ევროპის პენიტენციური წესებიც ადგენს სტანდა-

⁵⁴⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 114-ე მუხლის მეორე ნაწილი.

⁵⁴⁵ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 47. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04.2024].

⁵⁴⁶ იქვე.

⁵⁴⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 42, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

რტებს, რომელთა მიხედვითაც, დაწესებულებებში უნდა მოხდეს ვარჯიშისა და დასვენების ხელშეწყობა, თუმცა მასში ვხვდებით სპეციფიკურ დათქმას: პირველ რიგში, ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს სიჯანსაღეს და უზრუნველყოფს ფიზიკურ ვარჯიშსა და დასვენებას, უნდა წარმოადგენდეს რეჟიმის განუყოფელ ნაწილს და არა რაიმე ცალკე ღონისძიებას. ასევე საინტერესოა ევროპული ციხის წესების განმარტება უამინდობის დროს გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, ციხის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს სათანადოდ ორგანიზებული ღონისძიებები, რომ ავდრის პირობებში პატიმრებს ჰქონდეთ ვარჯიშის ალტერნატიული შესაძლებლობა.⁵⁴⁸

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან და ეროვნული კანონმდებლობისაგან განსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით საერთაშორისო პრაქტიკის განხილვისას. კერძოდ, ირლანდიაში მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის სუფთა ჰაერზე ყოფნის დადგენილი პერიოდულობა კვირის განმავლობაში და, ასევე, ხანგრძლივობა, რომელიც საკმაოდ მოცულობითია, ქართული პრაქტიკისგან განსხვავებით, კერძოდ, კვირაში მინიმუმ 5 დღე, დღეში 5 საათი პირი უნდა იმყოფებოდეს საყინის გარეთ. ასევე, გარდა ვარჯიშისა და სუფთა ჰაერზე ყოფნისა, მას ამ პერიოდში უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ურთიერთობა იქონიოს სხვა პატიმრებთან, რაც მკვეთრად განსხვავდება ქართული პრაქტიკისაგან, რომლის მიხედვითაც დახურული ტიპის დაწესებულებებში მსჯავრდებულებს არა აქვთ უფლება ურთიერთობა იქონიონ სხვა საკანში განთავსებულ მსჯავრდებულებებთან.⁵⁴⁹

ევროპის სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში საქართველოს წინააღმდეგ ვხვდებით პრეცედენტებს, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრებს არ ჰქონდათ სუფთა ჰაერზე გასვლის ხელმისაწვდომობა. საქმეში „რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლომ ხაზი გაუსვა შედეგებს, რომლებიც გამოწვეული იყო ციხის გადატვირთულობით და ასევე უკავშირდებოდა სუფთა ჰაერზე გასვლის შეზღუდვას: „გადატვირთულ საკანში, რომელშიც მხოლოდ 12 საწოლი იდგა, 29 პატიმარი იყო მოთავსებული, შემდეგ საკანს დაემატა კიდევ 6 პირი. პატიმრები იძულებული იყვნენ რიგრიგობით დაეძინათ. ასეთი სიტუარბე, ცხადია, წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობას, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს ის გარემოება, რომ ძილის შეზღუდვა არ კომპენსირდებოდა დღის მანძილზე გადაადგილების თავისუფლებით – ჰაერზე გასეირნებით“.⁵⁵⁰

9.2.2. კონტაქტი გარე სამყაროსთან

გარე სამყაროსთან ურთიერთობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პატიმრის სულიერი მდგრადობის შენარჩუნებისათვის, მისი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, ასევე ის პირდაპირ აისახება სასჯელადსრულების სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე. ცალსახად შეიძლება თქვას, რომ არ შეიძლება პატიმრის სრული იზოლირება გარე სა-

⁵⁴⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 27.1/27.3, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁵⁴⁹ Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 “Prison Rules” Ireland, <https://www.irishstatutebook.ie/eli/2007/si/252/made/en/print> [02.04.2024].

⁵⁵⁰ ECHR, რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (RAMISHVILI AND KOKHREIDZE V. GEORGIA), იხ. https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/ramishvilikoxreidze.pdf [30.03.2024].

მყაროსგან რა სახის დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს მას ჩადენილი. პენიტენციური სისტემის ექსპერტები განმარტავენ, თუ ვის შეიძლება მიეცეს უფლება, მოინახულოს პატიმარი და რა ფორმატში უნდა მიმდინარეობდეს ასეთი შეხვედრები. ე. კოილი აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ ციხეში მოინახულონ პატიმრები. აღნიშნული ვიზიტები უნდა განხორციელდეს იმდენად ბუნებრივ პირობებში, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა დაწესებულება. მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი სიმყუდროვე ოჯახის წევრებთან შეხვედრის დროს. გარდა ამისა, კოილი ხაზს უსვამს იმას, რომ ვიზიტები, განსაკუთრებით ოჯახის წევრებთან, არის არა პრივილეგია, არამედ ადამიანის ელემენტარული უფლება. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ვიზიტების უფლების პარალელურად ადგენს ვიზიტების შეზღუდვებს. ასეთი შეზღუდვა შეიძლება გულისხმობდეს ვიზიტის პირობებისა თუ სიხშირის შეზღუდვას, რაც ავტორის განმარტებით არგუმენტირებულ უნდა იქნეს ყოველ მოცემულ ვითარებაში. ის მაღალ სტანდარტს აწესებს ვიზიტის მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ პრეზუმფციის დონეზე უნდა მიიჩნეოდეს, რომ ნებადართულია ვიზიტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც ხორციელდება შეძლებისდაგვარად ყველაზე მისაღებ პირობებში. ოჯახის ვიზიტებთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია სხვა ტიპის კონტაქტიც, კერძოდ, პატიმრებს უნდა შეეძლოთ, მაქსიმალურად თავისუფლად მიიღონ და გაგზავნონ წერილები და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ისარგებლონ ტელეფონით.⁵⁵¹

ა. მიმოწერის უფლება

მიმოწერა წარმოადგენს გარე სამყაროსთან ბრალდებულის თუ მსჯავრდებულის ურთიერთობის ერთ-ერთ სახეს. მიუხედავად პაემნების უფლების არსებობისა, მიმოწერას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში პირთა წრე და მიმოწერის რაოდენობა არ არის შეზღუდული. კერძოდ, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები. თუმცა დადგენილია შეზღუდვა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის მიმოწერაზე, რაც მოიაზრებს ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის მიმოწერის აკრძალვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები (მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილი (ნაშვილები), გერი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, და, ძმა) არიან. მოცემულ შემთხვევაშიც ასეთი უფლება ბრალდებულს შეიძლება შეუზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით, ხოლო მსჯავრდებულს – პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მოტივირებული გადაწყვეტილებით. ასევე მიმოწერის უფლება შეიძლება შეუზღუდოს პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამომძიებლის გამო პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილ მსჯავრდებულს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით.⁵⁵² აღსანიშნავია დათქმა კონკრეტულ დანაშაულზე ბრალდებული/მსჯავრდებული

⁵⁵¹ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 104. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04. 2024].

⁵⁵² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 115-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

პირისათვის მიმოწერის უფლების შეზღუდვის თაობაზე, რომელიც საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარეობს, როდესაც მიმოწერის უფლება შეიძლება შეზღუდოს პატიმარს ადრესატის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ასევე ქალთა მიმართ ძალადობისთვის ან/და ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს დაზარალებულთან მიმოწერის უფლება უზღუდება დაზარალებულის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.⁵⁵³

მიმოწერის ნაწილში პენიტენციური კოდექსი განიხილავს წერილების გაგზავნისა და მიღებული წერილების ადრესატისათვის გადაცემის პროცედურებს, საწერი საშუალებებით მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა უზრუნველყოფას, კორესპონდენციების შემოწმების სტანდარტებს. ასევე კანონმდებლობით განსაზღვრულია იმ ადრესატების ნუსხა, რომელთანაც გაგზავნილი კორესპონდენციები შემოწმებას არ ექვემდებარება. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე მიღებული წერილის მისთვის ჩაბარებას, აგრეთვე წერილის ადრესატისთვის გაგზავნას უზრუნველყოფს დაწესებულება. რაც შეეხება გაგზავნის ხარჯებს, პირადი ხასიათის კორესპონდენცია იგზავნება ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხარჯით. პენიტენციური დაწესებულების ვალდებულებაა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს იგი საწერი საშუალებითა და ქაღალდით.⁵⁵⁴

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დათქმა შშმ პირებთან მიმართებით, რომ შშმ ბრალდებულს/მსჯავრდებულს მიეწოდება მიმოწერისთვის საჭირო შესაბამისი საშუალებები. პენიტენციური კოდექსით განსაზღვრულია, რომ პატიმარს უნდა მიეწოდოს გონივრული რაოდენობის საწერი საშუალება და ქაღალდი.⁵⁵⁵

საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას ასევე ადგილი ეთმობა პატიმართა მიმოწერის უფლებას. ევროპული პენიტენციური წესების თანახმად, პატიმრებს უფლება უნდა მიეცეთ, რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა თავიანთ ოჯახებთან სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით.⁵⁵⁶

მნიშვნელოვანია წესების განმარტება მიმოწერის შეზღუდვებთან და შემოწმებასთან დაკავშირებით, რომელიც არ გამორიცხავს მათ გამოყენებას, მაგრამ ამასთანავე ადგენს იმ მინიმუმს, რასაც ეს შეზღუდვა არ შეიძლება სცილდებოდეს. პირველ რიგში, განსაზღვრულია მიზნები, რატომ შეიძლება კომუნიკაციები და პაემნები დაექვემდებაროს შეზღუდვებსა და მონიტორინგს, რომელიც საჭირო იქნება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გასაგრძელებლად, წესრიგის შესანარჩუნებლად, უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად და სისხლის სამართლის დანაშაულთა აღსაკვეთად, დანაშაულის მსხვერპლთა დასაცავად. წესების თანახმად, მინიმალური ზღვარი არის ის, რომ ასეთი შეზღუდვები, მათ შორის კონკრეტული შეზღუდვები, უნდა აკმაყოფილებდეს კონტაქტის დასაშვებ მინიმალურ დონეს და მისი სრულად აკრძალვა დაუშვებელია.⁵⁵⁷

⁵⁵³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 115-ე მუხლის მესამე ნაწილი.

⁵⁵⁴ იქვე, მეხუთე ნაწილი.

⁵⁵⁵ იქვე.

⁵⁵⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No-R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 24.1, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁵⁵⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No-R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 24.1, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

კანონმდებლობით დადგენილია კორუპციონდენციის შემოწმების სტანდარტი, რომლის თანახმადაც, კორუპციონდენციის შემოწმება მოიცავს მის ვიზუალურ დათვალიერებას შინაარსის გაცნობის გარეშე. დადგენილია ის გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც შეიძლება დაშვებულ იქნეს კორუპციონდენციის შინაარსის გაცნობა. ეს უკანასკნელი უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს. ასეთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში პენიტენციური კოდექსით უფლება ეძლევა პენიტენციური დაწესებულების შესაბამის მოსამსახურეს, გაეცნოს კორუპციონდენციის შინაარსს და საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება არ გაეგზავნოს კორუპციონდენცია ადრესატს, აღნიშნული შეზღუდვის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კორუპციონდენციის გამგზავნს და კორუპციონდენცია გადაეგზავნოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.⁵⁵⁸

რაც შეეხება დახურული კონვერტით მიღებულ კორუპციონდენციას, ის უნდა გაიხსნას ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანდასწრებით. აღნიშნული კორუპციონდენციის შემოწმება, პენიტენციური კოდექსით დადგენილი სტანდარტის თანახმად, მოიცავს მის ვიზუალურ დათვალიერებას შინაარსის გაცნობის გარეშე.⁵⁵⁹

კორუპციონდენციის მიღება-გაგზავნის შემთხვევაში კორუპციონდენციის შესაძლო შემოწმების საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს კანონმდებლობის იმ ნაწილს, სადაც დადგენილია აკრძალვა, რომლის თანახმად, ადმინისტრაციას ეკრძალება, შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორუპციონდენცია, რომლის ადრესატები არიან შემდეგი ოფიციალური პირები: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, სამსახური, საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, ადვოკატი, პროკურორი, საბჭო.⁵⁶⁰

ბ. სატელეფონო საუბარი

ისევე როგორც მიმოწერა, სატელეფონო საუბრებიც პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმართა ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზებაში. გარე სამყაროსთან კონტაქტის ნაწილში მანდელას წესები განმარტავს, რომ პატიმარს უნდა მიეცეს უფლება რეგულარული კონტაქტი იქონიოს ოჯახსა და მეგობრებთან და ეს კონტაქტი უნდა ექვემდებარებოდეს მხოლოდ აუცილებელ ზედამხედველობას. აღნიშნული კონტაქტისთვის, სხვა ურთიერთობის ფორმებთან

⁵⁵⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 115-ე მუხლის მეექვსე ნაწილი.

⁵⁵⁹ იქვე, მეშვიდე ნაწილი.

⁵⁶⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 115-ე მუხლის მერვე ნაწილი.

ერთად, გამოყოფილია ასევე ყველა ხელმისაწვდომი საშუალება, როგორცაა: ტელეკომუნიკაცია, ელექტრონული, ციფრული და სხვა.

შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სატელეფონო საუბრის უფლება და მისი პერიოდულობა, დაწესებულების რისკების მიხედვით. კერძოდ, სატელეფონო საუბრების რაოდენობა იზღუდება იმდენად, რამდენადაც მკაცრდება დაწესებულების რეჟიმი.

სატელეფონო საუბრების რაოდენობა დაწესებულებების ტიპების მიხედვით:

დაწესებულება	პატიმრის სტატუსი/ანაზღაურება	სატელეფონო საუბრის რაოდენობა თვეში	სატელეფონო საუბრის ხანგრძლივობა	წახალისება
დაბალი რისკის ან/და გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	მსჯავრდებულის საკუთარი ხარჯებით	შეუზღუდავი	თითოეული - არანაკლებ 15 წუთისა	უღიმიტო
ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	მსჯავრდებულის საკუთარი ხარჯებით	შეუზღუდავი	დღე-ღამეში - არანაკლებ 30 წუთისა	უღიმიტო თითოეული - არანაკლებ 15 წუთისა
დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	მსჯავრდებულის საკუთარი ხარჯებით	სამი	თითოეული - არანაკლებ 15 წუთისა	უღიმიტო თითოეული - არანაკლებ 15 წუთისა
განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	მსჯავრდებულის საკუთარი ხარჯებით	ორი	თითოეული - არანაკლებ 15 წუთისა	1 სატელეფონო საუბარი არანაკლებ 15 წუთისა
ქალთა სპეციალური დაწესებულება	მსჯავრდებულის საკუთარი ხარჯებით	ხუთი	თითოეული - არანაკლებ 15 წუთისა	უღიმიტო თითოეული - არანაკლებ 15 წუთისა
	ბრალდებულის	სამი	თითოეული - არანაკლებ 15 წუთისა	-----

გარდა უფლებისა, პენიტენციური კოდექსით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები სატელეფონო საუბრებთან მიმართებით. კერძოდ, სატელეფონო საუბარი აკრძალულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულს/მსჯავრდებულს შორის. თუმცა კანონი აქვს უშვებს ასეთი კონტაქტის შესაძლებლობას, როგორც გამონაკლისს, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ოჯახის წევრები არიან. ასეთი ნებართვისთვის ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართავს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ამ უფლებით სარგებლობამდე 10 დღით ადრე. ასევე, ოჯახის წევრთან სატელეფონო საუბრის უფლება ბრალდებულს შეიძლება შეუზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით, ხოლო მსჯავრდებულს – პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მოტივირებული გადაწყვეტილებით. გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით სატელეფონო საუბრის უფლება შეიძლება

შეუზღუდოს ბრალდებულს, აგრეთვე პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიების გამო, პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილ მსჯავრდებულს. შეუზღუდა ასევე მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ადრესატის წერილობითი მიმართვა. ასეთივე მიმართვის საფუძველზე დაზარალებულთან სატელეფონო საუბარი ეზღუდება პირს, რომელიც ბრალდებულია/მსჯავრდებულია ქალთა მიმართ ძალადობისთვის ან/და ოჯახში ძალადობისთვის.⁵⁶¹ რაც შეეხება სატელეფონო საუბარს წახალისების სახით, საკანონმდებლო დონეზე დადგენილია შემთხვევები, როდესაც დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლება შეიძლება მიეცეს ბრალდებულს/მსჯავრდებულს განსაკუთრებული გარემოების (მაგალითად, როგორცაა, ოჯახის წევრის დაბადების დღე, შვილის დაბადება, სხვა გარემოება) არსებობისას, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით. დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლება, რომელიც ხორციელდება შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში დადგენილი სატელეფონო საუბრის ხანგრძლივობით, შეიძლება მიენიჭოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელსაც შეუზღუდული არ აქვს სატელეფონო საუბრის უფლება.⁵⁶² გარე სამყაროსთან კონტაქტის ფარგლებში ევროპის პენიტენციური წესები პრიორიტეტს ანიჭებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხშირ კომუნიკაციას გარე სამყაროსთან. პატიმრებს ნებართვა უნდა მიეცეთ, რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. წესები ადგენს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეხვედრებისა და კომუნიკაციების შეუზღუდა, რომელიც დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომუნიკაციები და პაემნები შეიძლება დაექვემდებაროს შეუზღუდვებსა და მონიტორინგს, რომელიც საჭირო იქნება სისხლის სამართლის გამოძიების გასაგრძელებლად, წესრიგის შესანარჩუნებლად, უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად და სისხლის სამართლის დანაშაულთა აღსაკვეთად, დანაშაულის მსხვერპლთა დასაცავად. პენიტენციური წესები ასევე ადგენს მოთხოვნას ეროვნული კანონმდებლობისადმი, რომ მასში განსაზღვრული იყოს იმ ორგანოების ზუსტი ნუსხა, რომლებთანაც პატიმარს არ შეიძლება შეუზღუდოს შეხვედრა.⁵⁶³ პენიტენციურ კოდექსში, წესების მსგავსად, განხილულია სატელეფონო საუბრებზე კონტროლის სისტემა, სადაც განმარტებულია, რომ სატელეფონო საუბრები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინასწარ გარკვეული რაოდენობის განსაზღვრულ სატელეფონო ნომრებზე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წინასწარ მიწოდებულ ნომრებში არ შედის ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტების სატელეფონო ნომრები, როგორცაა: სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქართველოს სახალხო დამცველი, სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი და მსჯავრდებულის ადვოკატი. ასევე, კოდექსით დადგენილია იმ სტრუქტურების ნუსხა, სადაც ზარები არ ხორციელდება პატიმრის ხარჯით. ასეთი სტრუქტურებია: საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური საგამოძიებო სამსახური და სა-

⁵⁶¹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 116-ე მუხლის პირველი და მეშვიდე ნაწილები.

⁵⁶² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 116-ე მუხლის მეექვსე ნაწილი.

⁵⁶³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No-R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან. დაკავშირებით, წესი 24.1-24.3, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

მინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ზარები.⁵⁶⁴ კონტროლი სატელეფონო საუბარზე ასევე წარმოადგენს პენიტენციური კოდექსის რეგულირების სფეროს. კერძოდ, დაშვებულია სატელეფონოს საუბრის ჩაწერა და მოსმენა, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს. ასეთი კონტროლის ფორმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს. ასეთი კონტროლის უფლება აქვს სამსახურის უფლებამოსილ სტრუქტურულ ქვედანაყოფს.⁵⁶⁵

სატელეფონო საუბრის კონტროლთან მიმართებით, როდესაც საქმე ეხება სწორედ საუბრის ჩაწერასა და მოსმენას, შესაძლებელია განვიხილოთ ევროპის სასამართლოს საქმე „დოიერგა ნიდერლანდების წინააღმდეგ“ (DOERGA v. THE NETHERLANDS (coe.int)). საქმეში განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე მისი სატელეფონო საუბრების ჩაწერისა და შენახვის გამო. კერძოდ, 1995 წლის 26 იანვარს გაჩნდა ეჭვი, რომ განმცხადებელი, რომელიც იმ დროს იხდიდა სასჯელს სასჯელადსრულების დაწესებულებაში, მონაწილეობდა ტელეფონით პოლიციისთვის ცრუ შეტყობინებაში, რომ სამი პატიმარი გეგმავდა ციხიდან გაქცევას მძევლების აყვანით. სასჯელადსრულების დაწესებულებაში წესრიგის, სიმშვიდისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განმცხადებლის სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერა მოხდა ფირზე. ეს ჩაწერილი საუბრები შენახული იყო ისე, რომ ხელისუფლებას დაეღინა მსგავსი სიტუაციის ხელახლა წარმოქმნის შემთხვევაში მიიღებდა თუ არა განმცხადებელი მონაწილეობას შემდგომ ცრუ სატელეფონო შეტყობინებებში. იმის გათვალისწინებით, რომ ჩანაწერის გაკეთებისა და შენახვისთვის არ არსებობდა მყარი არგუმენტი, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერა და ამ ჩანაწერების შენახვა ციხის ადმინისტრაციის მიერ წარმოადგენდა განმცხადებლის მიმართ კონვენციის მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევას.⁵⁶⁶

სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის უფლების ნაწილში მნიშვნელოვან მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ უცხოელი პატიმრები, რომლებიც ფაქტობრივად ვერ სარგებლობენ ოჯახთან შეხვედრის უფლებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მათი ოჯახის წევრები სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ და უმეტეს შემთხვევაში მათ არ შეუძლიათ ვიზიტის განხორციელება ფინანსური, ფიზიკური თუ ბიუროკრატიული პროცედურების გამო, რაზეც პენიტენციურ კოდექსში არ არის გათვალისწინებული რეგულირების სპეციალური მექანიზმები, ასევე არ არის განხილული შშმ პირთათვის ტელეფონით სარგებლობის სპეციალური პროცედურები.

უცხოელ პატიმრებთან მიმართებით არსებული სტანდარტებით განმარტებულია, რომ სატელეფონო ზარებისა და კომუნიკაციის სხვა ფორმების განხორციელების წესები უცხოელ პატიმრებთან უნდა იქნეს გამოყენებული მოქნილად, რათა

⁵⁶⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 116 მუხლის მეცხრე ნაწილი.

⁵⁶⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 116 მუხლის მეათე ნაწილი.

⁵⁶⁶ EchHR, DOERGA v. THE NETHERLANDS, DOERGA v. THE NETHERLANDS (coe.int) [30.03.2024].

უზრუნველყოფილი იყოს, რომ უცხოელ პატიმრებს, რომლებიც ურთიერთობენ უცხოეთში მყოფ პირებთან, ჰქონდეთ კომუნიკაციის ფორმებზე თანაბარი წვდომა, სხვა პატიმრების მსგავსად.⁵⁶⁷

შპმ პირთა ტელეფონით სარგებლობისა და მიმოწერის უფლების განხილვისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე სასჯელის მოხდის ადგილებში, სადაც ტექნიკურმა შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს შპმ პატიმრისთვის მოცემული უფლებით სარგებლობის სრული აკრძალვა. საქართველოს მაგალითზე შეიძლება განვიხილოთ ის ნეგატიური პრაქტიკა, რომელიც არსებობდა პენიტენციურ სისტემაში და რაზეც მითითებულია სხვადასხვა ნაშრომსა და ანგარიშში. მაგალითად, სასჯელადსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულების შემთხვევა, როდესაც ტელეფონი დამონტაჟებული იყო იატაკიდან 150სმ სიმაღლეზე, რის გამოც, ეტლით მოსარგებლეს გაუჭირდებოდა დამოუკიდებლად ნომრის აკრეფა; საჩივრების ყუთი დამონტაჟებული იყო სასეირნო უბების შესასვლელთან, რომლის ზედაპირის სიმაღლე იატაკიდან 155სმ იყო. ეტლით მოსარგებლე პირებისთვის არ იყო ადაპტირებული სასეირნო უბებამდე მისასვლელი დერეფანი, სადაც იყო სამი ზღურბლი, სიმაღლით 4სმ და კიბის სამი საფეხური. მოცემული მაგალითის საფუძველზე თვალნათლივ ჩანს შპმ პირისათვის, სხვა პატიმრებთან თანაბარ პირობებში, სატელეფონო საუბრითა და მიმოწერის უფლების ხელმისაწვდომობის დარღვევა.⁵⁶⁸

საერთაშორისო პრაქტიკის განხილვისას საინტერესოა ირლანდიის მაგალითი, რომლითაც განსხვავებული პრაქტიკა დადგინდა წერილების გაგზავნის ნაწილში, როდესაც წერილების სხვა პირებთან გაგზავნა განიხილება საკუთარი ქონების მართვის ან ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე. ასევე აღსანიშნავია მიდგომა ხარჯების ანაზღაურების ნაწილში. კერძოდ, დადგენილია წერილების ზღვარი, რომელიც პატიმრისთვის უფასოა. განმარტებულია, რომ მსჯავრდებული, რომელიც აგზავნის 7-ზე მეტ წერილს კვირაში, შესაძლებელია მოეთხოვოს გაგზავნის ხარჯებისა და საწერი საშუალებების თანხის ანაზღაურება.⁵⁶⁹

გ. პაემნის უფლება

პაემნის უფლება გარე სამყაროსთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რადგანაც იგი, განსხვავებით სატელეფონო საუბრისა და მიმოწერისა, მსჯავრდებულს/ბრალდებულს აძლევს ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან პირადი კონტაქტის საშუალებას და განიხილება, როგორც პატიმრის ფსიქიკური მდგრადობის შენარჩუნებისა და რესოციალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ევროპულ პენიტენციურ წესებში პაემნის უფლებასთან დაკავშირებით განმარტე-

⁵⁶⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12 უცხოელი პატიმრების შესახებ, 22.3, იხ. <https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e18394e18395e183a0e1839de1839ee18398e183a1e183a1e18390e18391e183ade1839de183a1-e1839be18398e1839ce18398e183a1e183a2e183a0e18397e183901.pdf> [30.03.2024].

⁵⁶⁸ ზ. ხასია, მუზღულული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელადსრულების სისტემაში, 2023, გვ. 156, იხ. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Oct/books/Khasia-standards-and-practicies-ge.pdf> [02.04.2024].

⁵⁶⁹ Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 “Prison Rules” Ireland, <https://www.irishstatutebook.ie/eli/2007/si/252/made/en/print> [02.04.2024].

ბულია, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული პაემანი და რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ასეთი შეხვედრები. კერძოდ, პაემნების ორგანიზება უნდა განხორციელდეს ისე, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.⁵⁷⁰ ასეთ გარემოში კი მოიაზრება ნაკლები კონტროლი, ასევე ჩარევისგან დაცულობა და შეხვედრის პირობები, რომელიც არ ლახავს ადამიანის ღირსებას არცერთი მხარისთვის, როგორც მსჯავრდებულისათვის, ისე პაემანზე მოსული პირისათვის.

APT (Association of the Prevention of Torture / წამების პრევენციის ასოციაცია) ნათლად აღწერს ოჯახის წევრებთან პატიმრის შეხვედრების მნიშვნელობას და განმარტავს, რომ როცა პირს აღკვეთილი აქვს თავისუფლება, ოჯახთან კონტაქტი იძენს აღმატებულ მნიშვნელობას. ოჯახის წევრებს შეუძლიათ შეასრულონ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ემოციური და ფინანსური მხარდაჭერი როლი პატიმრისთვის რთულ მომენტში. გარდა აღნიშნულისა, APT მიიჩნევს, რომ ოჯახთან კონტაქტი არის კავშირი პატიმარსა და გარე სამყაროს შორის. ხშირად ოჯახის წევრებთან კონტაქტს დამცავი როლიც აქვს, რადგანაც ოჯახი თვალყურს ადევნებს იმას, თუ სად არიან განთავსებული მათი ოჯახის წევრები, ზრუნავენ მათ ზოგად უფლებებზე, ინტერესებსა და კეთილდღეობაზე.⁵⁷¹

აღსანიშნავია ასევე პაემანთან მიმართებით ე. კოილის განმარტება, რომელიც მას ათანაბრებს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასთან და აღნიშნავს, რომ თუკი ციხის ადმინისტრაციას უნდა, რომ პატივი სცეს ადამიანის საყოველთაო უფლებას, იქონიოს ოჯახური ცხოვრება, ასევე, თუ სურს, რომ ხელი შეუწყონ პატიმრის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებას მეუღლის, მშობლისა თუ შვილების წინაშე, მან უნდა უზრუნველყოს პაემნები იმგვარი ფორმით, რომელიც, ერთი მხრივ, მოემსახურება ოჯახის საჭიროებასა და სურვილს, მოინახულონ პატიმრობაში მყოფი პირი, ხოლო მეორე მხრივ, არ შეუქმნის საშიშროებას დაწესებულების უსაფრთხოებას.⁵⁷²

კანონმდებლობა განიხილავს ოჯახის წევრებთან შეხვედრის, ანუ პაემნების, სხვადასხვა სახეს და მისი განხორციელების პროცედურებს, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვით. დადგენილი სტანდარტი მიმართულია პაემნების ხელშეწყობისკენ. მასში განმარტებულია, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული ყველა სახის პაემნით სარგებლობს საფასურის გადაუხდელად. ასევე, კანონით ცალსახად დადგენილია მიდგომა, რომლის თანახმადაც, აკრძალულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული იზოლაცია.⁵⁷³

ხანმოკლე პაემანი

პირველი და ყველაზე ეფექტიანი ფორმა, რომელიც ოჯახთან ხშირი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა, არის ხანმოკლე პაემანი. ხანმოკლე პაემანი, მიუხედა-

⁵⁷⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 24.2, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁵⁷¹ APT, Association of the Prevention of Torture, Family visit <https://www.apt.ch/knowledge-hub/dfd/family-visits> [01.04.2024].

⁵⁷² A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 105. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04.2024].

⁵⁷³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 120-ე მუხლის მეორე ნაწილი.

ვად იმისა, რომ მოკლე დროით შემოიფარგლება და არ იძლევა განცალკევების საშუალებას მისი ორგანიზების პირობებიდან გამომდინარე, მაინც წარმოადგენს ოჯახთან კონტაქტის ეფექტიან საშუალებას.

ხანმოკლე პაემანი ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეძლევა მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე. ხანმოკლე პაემანი პატიმარს შეიძლება მიეცეს ახლო ნათესავთან. რაც შეეხება პირთა წრეს, პენიტენციური კოდექსით დადგენილია გამოწვევის დაშვების უფლება, რომელიც ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობით, სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, წახალისების ფორმით.⁵⁷⁴ ხანმოკლე პაემანი ხორციელდება ერთიდან ორ საათამდე ხანგრძლივობით. რაც შეეხება პაემნების რაოდენობას, ის განსაზღვრულია დაწესებულების ტიპების მიხედვით (იხ. ცხრილი).

ხანმოკლე პაემნების რაოდენობა დაწესებულების ტიპების მიხედვით:⁵⁷⁵

დაწესებულება	რაოდენობა (თვეში) მსჯავრდებული	რაოდენობა (თვეში) ბრალდებული	წახალისება
დაბალი რისკისა და გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	4		2
ნახევრად დია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	2		1
დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	1		1
განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	1		1
ქალთა სპეციალური დაწესებულება	3		1
საკატიმრო დაწესებულება		4	-

პენიტენციური კოდექსით დადგენილია პაემნის განხორციელების პროცედურები, რომელიც, პირველ რიგში, ადგენს დაცვის გარანტიებს ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის. კერძოდ, განმარტებულია, რომ შეხვედრა დასაშვებია მხოლოდ პატიმრის თანხმობის შემთხვევაში. რაც შეეხება ორგანიზაციულ ნაწილს, ხანმოკლე პაემნის მოთხოვნის თაობაზე ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულების დირექტორს წერილობით მიეწოდება. ასევე პატიმრის ნათესავი ვალდებულია დირექტორს წარუდგინოს ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ახლო ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ხანმოკლე პაემანი უნდა შედგეს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, რო-

⁵⁷⁴ იქვე, პირველი ნაწილი „შვილი, მუღღე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილბელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მუღღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისშვილი, ძმისშვილი და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბების დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მემურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში“.

⁵⁷⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 120-ე მუხლის მეორე ნაწილი.

დესაც არსებობს ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემაზე მოტივირებული უარის თქმის საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ პირს უარი ეთქვა პაემნის მიღებაზე, განმცხადებელს იმავე დღეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია. ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემის საკითხს წყვეტს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი.⁵⁷⁶

პენიტენციურ კოდექსში ასევე განხილულია პაემნის უფლების შეზღუდვის საფუძველები, როგორცაა: პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიების გამო პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილი მსჯავრდებულის პაემნის უფლების შეზღუდვა გამოძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით. ასევე დადგენილია, რომ ბრალდებულებს/ მსჯავრდებულებს შორის პაემანი აკრძალულია.⁵⁷⁷

კოდექსის რეგულირების სფეროს წარმოადგენს ასევე ხანმოკლე პაემანზე კონტროლი, რომელსაც ახორციელებს პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენელი. ასეთი კონტროლი მოიცავს პაემნის მიმდინარეობის ვიზუალურ ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას, მაგრამ მოსმენის გარეშე. კანონით დადგენილია პატიმრისა და ვიზიტორის ინფორმირებულობის ვალდებულება. შესაბამისად, სავალდებულოა კონტროლის თაობაზე ბრალდებულის/ მსჯავრდებულის და მასთან ხანმოკლე პაემნის მსურველი პირის წინასწარ გაფრთხილება. რაც შეეხება ხანმოკლე პაემნის კონტროლს, ის შეიძლება განხორციელდეს გაფრთხილების გარეშე, თუმცა დეტალურად არ არის განსაზღვრული, თუ რა საფუძველების არსებობის შემთხვევაში შეიძლება კონტროლის განხორციელება გაფრთხილების გარეშე, რაც აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი გაურკვევლობა და თვითნებური ქცევა პერსონალის მხრიდან.⁵⁷⁸

საოჯახო პაემანი

საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია პაემნის ისეთი სახე, როგორცაა საოჯახო პაემანი, თუმცა, აღსანიშნავია, რომ პაემნის ეს სახე საქართველოში გამოყენებულია მხოლოდ ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ქალი მსჯავრდებულებისთვის.

ე. კოილის განმარტებით, მრავალ ქვეყანაში არსებობს საოჯახო პაემნები ან ხანგრძლივი პაემნები, რომელთაც შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს. აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში არაერთ ციხესა თუ კოლონიას აქვს მცირე ნაგებობები, რომლებიც განლაგებულია ციხის პერიმეტრში, სადაც მნახველებს საშუალება აქვთ, 72 საათამდე დროით იცხოვრონ პატიმრობაში მყოფ ოჯახის წევრთან ერთად. ასეთ შენობებს აქვს საერთო სამზარეულო, ფართი სოციალური ურთიერთობებისათვის, ტუალეტები და სარეცხი საშუალებები. აღნიშნულ საცხოვრებელში თითო ჯგუფისათვის გამოყოფილია ერთი ან ორი საწოლი. საოჯახო პაემნებისთვის განსაზღვრულია რაოდენობა, წელიწადში ოთხჯერ. რაც შეეხება კანადას და ამერიკის შეერთებულ შტატებს, კოილის განმარტებით, რამდენიმე ციხეში არსებობს მსგავსი ტიპის სახლები, მოძრავი ფორმით. ისინი განლაგებულია ციხის პერიმეტრში, გარშემორტყმულია ხის დობით და მიზნად ისახავს

⁵⁷⁶ საქართველოს კანონის პენიტენციური კოდექსის 120-ე მუხლის მეშვიდე-მეათე ნაწილები.

⁵⁷⁷ იქვე.

⁵⁷⁸ იქვე, მეოთხმეტე ნაწილი.

მათთვის მყოფობების შექმნას. უსაფრთხოების მიზნით, აღნიშნული ვიზიტის განმავლობაში პატიმრებს მოეთხოვებათ, რომ გარკვეულ დროს გამოცხადდნენ ადმინისტრაციაში, რათა გაიარონ სათანადო შემოწმება. კოილის შეფასებით, მოცემული ტიპის პაემნები ვერ ჩაითვლება ნორმალურ ოჯახურ ცხოვრებად, თუმცა იქმნება იმგვარი პირობები, როდესაც ოჯახის წევრებს შეუძლიათ პატიმრობაში მყოფ პირთან ოჯახური კავშირის შენარჩუნება თუ გაღრმავება.⁵⁷⁹

როგორც აღინიშნა, საქართველოში ქალი მსჯავრდებულების მიმართ მოქმედებს საოჯახო პაემნის ინსტიტუტი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება სხვა პაემნებისგან. პენიტენციური კოდექსის თანახმად, საოჯახო პაემანი არის ქალი მსჯავრდებულის ახლო ნათესავებთან⁵⁸⁰ შეხვედრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, რომელიც მას მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე ეძლევა.

კანონმდებლობით დადგენილია საოჯახო პაემნების რაოდენობა, რომელიც 1 თვის განმავლობაში შეადგენს 1 საოჯახო პაემანს. ამას ემატება, წახალისების ფორმით, თვეში 1 დამატებითი საოჯახო პაემანი. საოჯახო პაემნის ხანგრძლივობა მოიცავს 3 საათს. აქვე აღსანიშნავია წახალისების ფორმა, რომელიც პატიმარს აძლევს უფლებას, საოჯახო პაემანი ჰქონდეს იმ პირთან, რომელიც არ შედის პაემანზე უფლებამოსილ პირთა სიაში. ეს კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებლობა იქმნება, პატიმარმა, გარდა კანონით ჩამოთვლილი უფლებამოსილი პირებისა, რომელთა ნუსხა საკმაოდ მწირია, პაემანზე ნახოს ისეთი ნათესავი ან ახლობელი, რომელიც განსაკუთრებულ დადებით ზეგავლენას ახდენს მის ფსიქოლოგიურ და მორალურ მდგომარეობაზე.⁵⁸¹

მსჯავრდებულმა საოჯახო პაემნის მოთხოვნით წერილობით უნდა მიმართოს დაწესებულების დირექტორს საოჯახო პაემნის განხორციელებამდე 10 დღით ადრე, ხოლო საოჯახო პაემანზე დამკვეთმა პირმა უნდა წარადგინოს მოცემულ ქალ მსჯავრდებულთან ნათესაობის დამადასტურებელი საბუთი. აღნიშნულის საფუძველზე, მიმართვიდან 5 დღის ვადაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას საოჯახო პაემნის განხორციელებაზე თანხმობის ან მოტივირებული უარის თქმის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მსჯავრდებულს უნდა ეცნობოს წერილობით. წახალისების სახით საოჯახო პაემნის მიცემის პროცედურა განსხვავებულია სტანდარტული პროცედურისგან. ამ შემთხვევაში დაწესებულების დირექტორი სამსახურის გენერალურ დირექტორს მიმართავს შუამდგომლობით საოჯახო პაემნის განხორციელების თაობაზე წახალისების ფორმით. გენერალური დირექტორი 3 დღის ვადაში აძლევს პასუხს დაწესებულების დირექტორს საოჯახო პაემნის განხორციელებაზე თანხმობის ან მოტივირებული უარის შესახებ. დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტი-

⁵⁷⁹ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 105, 106. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04. 2024].

⁵⁸⁰ საქართველოს კანონის პენიტენციური კოდექსის 121-ე მუხლის მეორე ნაწილი (საოჯახო პაემანზე შეხვედრის უფლების მქონე პირები არიან: შვილი, ნაშვილები, გერი, შვილიშვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), ბებია, პაპა, და, ძმა).

⁵⁸¹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 121-ე მუხლის მეხუთე, მეოთხე და მეცხრე ნაწილები.

ლებას მსჯავრდებულისთვის წახალისების ფორმით საოჯახო პაემნის უფლების მიცემის შესახებ თანხმობის მიღების შემთხვევაში.⁵⁸²

საოჯახო პაემნის ორგანიზებაზე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასა და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე ვალდებულება აკისრია სასჯელაღსრულების დაწესებულებას.⁵⁸³

ხანგრძლივი პაემანი

პაემნების ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხანგრძლივი პაემნის უფლებას, რომელიც საშუალებას აძლევს მსჯავრდებულებს, შეინარჩუნონ ოჯახთან კონტაქტი, არ ჩამოსცილდნენ იმ დადებითი ზემოქმედების შესაძლებლობას, რომელსაც მათ მიმართ ავლენენ ოჯახის წევრები. ასეთი ურთიერთობები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მსჯავრდებულის საზოგადოებაში ეფექტიანი დაბრუნების შესაძლებლობას და, რაც მთავარია, ოჯახის შენარჩუნების შესაძლებლობას, რისი საფრთხეც ამა თუ იმ პირის პატიმრობის შემთხვევაში არსებობს.

პენიტენციური კოდექსი იძლევა ხანგრძლივი პაემნის განმარტებას, რომლის თანახმადაც, ეს არის ბრალდებულის/მსჯავრდებულის ოჯახის წევრებთან⁵⁸⁴ ერთად ცხოვრება. ხანგრძლივი პაემანი ეწყობა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, აღნიშნული დაწესებულების წარმომადგენლის დაუსწრებლად.

პაემნების რაოდენობა დამოკიდებულია დაწესებულების ტიპებზე (იხ. ცხრილი, ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა დაწესებულების ტიპების მიხედვით), ასევე კოდექსით განსაზღვრულია ხანგრძლივი პაემნის მიღება, როგორც წახალისების ფორმა, რომელთა რაოდენობაც ასევე დამოკიდებულია დაწესებულების ტიპებზე. პაემანი მოიცავს 23 საათს, ხოლო ბრალდებულს/მსჯავრდებულს წერილობითი თხოვნის საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, კუთვნილი ხანგრძლივი პაემანი წელიწადში ერთხელ შეიძლება გაუგრძელდეს არაუმეტეს 47 საათამდე.⁵⁸⁵

⁵⁸² იქვე, მეხუთე-მეშვიდე ნაწილები.

⁵⁸³ იქვე, მეათე და მეთერთმეტე ნაწილები.

⁵⁸⁴ იქვე, 122-ე მუხლი, მეორე ნაწილი „ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მუუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან, ძმასთან ხანგრძლივი პაემნის უფლება“.

⁵⁸⁵ იქვე, მეექვსე ნაწილი.

ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა დაწესებულების ტიპების მიხედვით:⁵⁸⁶

დაწესებულება	რაოდენობა (წელიწადში) მსჯავრდებული	პატიმრობაში ყოფნის განმავლობაში ბრალდებული	წახალისება
დაბალი რისკისა და გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	6		3
ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	3		2
დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	2		1
განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	1		1
ქალთა სპეციალური დაწესებულება	3		2
საკატიმრო დაწესებულება		1	-

ხანგრძლივი პაემნის პროცედურები მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ხანგრძლივი პაემნის მოთხოვნა დაწესებულების დირექტორს წერილობით უნდა მიეწოდოს პაემნის თარიღამდე არაუგვიანეს 2 კვირისა. პირმა, რომელიც უნდა მოვიდეს ხანგრძლივ პაემანზე, დაწესებულების დირექტორს უნდა წარუდგინოს ბრალდებულთან/ მსჯავრდებულთან ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი. პაემნის ორგანიზება მოხდება განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა. ხანგრძლივი პაემნის უფლების მიცემაზე მოტივირებული უარის თქმის შემთხვევაში ინფორმაცია განმცხადებელს უნდა მიეწოდოს 10 დღის ვადაში წერილობით.⁵⁸⁷

მნიშვნელოვანია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშში მოცემული შეფასება საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთის პენიტენციურ სისტემაში ვიზიტის შესახებ, ასევე, შემოწმების დროს არსებული ხარვეზები და შესაბამისი რეკომენდაციები კომიტეტის მხრიდან. ანგარიშში განმარტებულია, რომ პაემნების სისტემას ჰქონდა ორი მნიშვნელოვანი ხარვეზი: ორგანიზაციული პრობლემებიდან გამომდინარე, პაემნები მხოლოდ კვირის სამუშაო დღეების განმავლობაში ეწყობოდა; რაც შეეხება ხანგრძლივ პაემანს, ის დაშვებული იყო მხოლოდ დაქორწინებული წყვილისათვის. აქვე კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ სასურველი იქნებოდა, შემუშავებულიყო პაემნების ისეთი სისტემა, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი იქნებოდა პაემნების დანიშვნა შაბათ-კვირის დღეებშიც და გრძელვადიანი პაემნების მოწყობა თანაცხოვრებაში მყოფი წყვილებისათვის და არამხოლოდ დაქორწინებულთათვის (პენიტენციური კოდექსით ასეთი შესაძლებლობა დაშვებულია). ასევე, რეკომენდაციის თანახმად, როგორც მსჯავრდებულთა, ისე ბრალდებულთა პაემნებისათვის გამოყოფილი დრო არსებითია, რომ გაიზარდოს და, ნაცვლად თვეში 1 საათისა, გახდეს კვირაში ერთი საათი.⁵⁸⁸

⁵⁸⁶ იქვე, მესამე და მეოთხე ნაწილები.

⁵⁸⁷ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 122-ე მუხლის მეხუთე და მეექვსე ნაწილები.

⁵⁸⁸ ანგარიში წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის

პენიტენციური კოდექსით განსაზღვრულია გარკვეული შეზღუდვები გრძელვადიანი პაემნის უფლებასთან მიმართებით. კერძოდ, დადგენილია, რომ გრძელვადიანი პაემნის უფლება ეზღუდება მსჯავრდებულს, რომელიც საკარანტინო რეჟიმში იმყოფება; მსჯავრდებულს, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური პატიმრობა ან რომელიც მოთავსებულია სამარტოო საკანში; ბრალდებულს – პატიმრობაში ყოფნის პირველი 3 თვის განმავლობაში; ბრალდებულს, რომელიც მოთავსებულია სამარტოო საკანში.⁵⁸⁹

ყურადღება უნდა დაეთმოს პაემნის აკრძალვის საკითხს იმ პირთან მიმართებით, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური პატიმრობა ან რომელიც მოთავსებულია სამარტოო საკანში. აღნიშნულ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ პირს ედება დამატებითი სასჯელი, რადგანაც პაემნის აკრძალვა დისციპლინური სასჯელის დამატებით ფორმას უფრო წარმოადგენს, ვიდრე აუცილებელ ღონისძიებას. იგი წინააღმდეგობაში მოდის მანდელას წესებთან, რომელშიც განმარტებულია, რომ დისციპლინა და წესრიგი უნდა იყოს დაცული შეზღუდვებით არაუმეტეს იმ ოდენობისა, რომელიც აუცილებელია უსაფრთხო პატიმრობის, ციხის უსაფრთხო ფუნქციონირებისა და კარგად მოწესრიგებული საზოგადოებრივი ცხოვრების უზრუნველსაყოფად.⁵⁹⁰

რაც შეეხება ხანგრძლივი პაემნის ორგანიზების საკითხს, მსგავსად პაემნის სხვა სახეებისა, მისი ორგანიზება, ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა წარმოადგენს პენიტენციური სისტემის პრერეგატივას.⁵⁹¹

ვიდეოპაემანი

გარდა ზემოაღნიშნული პაემნების სისტემისა, რომელიც დანერგილია სასჯელაღსრულების სისტემაში, პენიტენციური კოდექსით განსაზღვრულია ვიდეოპაემნის უფლება.

ე. კოილი თავის ნაშრომში ეხმიანება ვიდეოპაემნების პრაქტიკას და განმარტავს, რომ არსებობს ისეთი ციხეები, რომლებშიც პატიმრებს საშუალება აქვთ, ოჯახის წევრებს ეკონტაქტონ ვიდეოს საშუალებით. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ვიდეოპაემანი. მისი განმარტებით, ეს ფორმა უნდა იყოს ურთიერთობის არა ძირითადი, არამედ დამატებითი საშუალება, როდესაც პატიმრის ოჯახის წევრები ცხოვრობენ ციხიდან შორს ან უჭირთ მგზავრობა ციხეში მისასვლელად. ამ ტექნიკურმა საშუალებამ არ უნდა ჩაანაცვლოს პატიმარსა და ოჯახს შორის უშუალო კავშირი. ის უნდა იყოს ალტერნატივა იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი კავშირი შეუძლებელია სხვადასხვა ობიექტური გარემოების გამო, ან როდესაც ის გამოიყენება, როგორც დამატებითი ღონისძიება.⁵⁹²

პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) აფხაზეთის რეგიონში, საქართველო, ვიზიტის შესახებ, 2009 წლის 27 აპრილი - 4 მაისი, გვ. 197, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806961db> [01.04.2024]

⁵⁸⁹ საქართველოს კანონის პენიტენციური კოდექსის 122-ე მუხლის მერვე ნაწილი.

⁵⁹⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 36, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson-Mandela-Rules-Short-Guide-Geo-final.pdf> [01.04.2024].

⁵⁹¹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 122-ე მუხლი, მეთორმეტე ნაწილი.

⁵⁹² A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed.,

ვიდეოპაემანი არის მსჯავრდებულის (გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული რიგი კატეგორიის მსჯავრდებულისა⁵⁹³) პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხიდიო კომუნიკაცია. მსჯავრდებულს უფლება აქვს ისარგებლოს ნებისმიერ პირთან არაუმეტეს 1 ვიდეოპაემნით 10 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო პირებს, რომლებიც განსაკუთრებული რეჟიმის დაწესებულებაში იხდიან სასჯელს, უფლება აქვთ ისარგებლონ 1 წლის განმავლობაში 2 ვიდეოპაემნით. ვიდეოპაემანთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დათქმა, რომ ასეთი კომუნიკაცია შეიძლება პირს ჰქონდეს ნებისმიერ პირთან შეზღუდვის გარეშე. თუმცა არსებობს გამონაკლისი, კერძოდ, ასეთ პირთა წრე დადგენილია იმ მსჯავრდებულებისათვის, რომლებიც იმყოფებიან განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. რაც შეეხება ვიდეოპაემნის ხანგრძლივობას, ის ერთჯერადად არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს.⁵⁹⁴

გარდა ძირითადი ვიდეოპაემნისა, პენიტენციური კოდექსით დადგენილია ასევე ვიდეოპაემნის წახალისების ფორმით გამოყენება. კერძოდ, მსჯავრდებულს წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეს თვეში 1 დამატებითი ვიდეოპაემანი, ხოლო განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს – 1 წლის განმავლობაში 1 დამატებითი ვიდეოპაემანი.⁵⁹⁵

ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლებასთან მიმართებით არსებობს გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ, ვიდეოპაემანი შეიძლება შეიზღუდოს დისციპლინური სახდელის მოხდის, დისციპლინური პატიმრობის, პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღებისა და კრიზისული ვითარების დროს. დადგენილია საფუძვლები, კერძოდ, ვიდეოპაემანი შეიძლება ვადამდე შეწყდეს მსჯავრდებულის სურვილით და უსაფრთხოების დასაცავად.⁵⁹⁶

უნდა აღინიშნოს, რომ ვიდეოპაემნის შეწყვეტის მიზეზი „უსაფრთხოების დასაცავად“ ზოგადად და ის უნდა იყოს უფრო მეტად აღქმადი, რომ მაქსიმალურად მოხდეს მსჯავრდებულის დაცვა ვიდეოპაემნის თვითნებური შეწყვეტისაგან.

დადგენილია ვიდეოპაემნის კონტროლის პროცედურები. პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენელი ახორციელებს მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის ვიზუალურ ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას, მაგრამ მოსმენის გარეშე. აღნიშნულის თაობაზე მსჯავრდებულისა და მასთან ვიდეოპაემნის მსურველი პირის წინასწარი გაფრთხილება სავალდებულოა.⁵⁹⁷

რაც შეეხება ვიდეოპაემნის გამოყენების პროცედურებს, პენიტენციური კოდექსის

London, 2018, 107. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04. 2024].

⁵⁹³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი, ვ) პუნქტი „განსაკუთრებით საშიში პირები, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ხადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქვევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და გარემომყოფთ“.

⁵⁹⁴ იქვე, 123-ე მუხლის მესამე და მერე ნაწილები „მშობელთან (მშვიდებელთან), დედინაცვალთან, მამინაცვალთან, შვილთან (ნაშვილებთან), გერთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, დასთან, ძმასთან“.

⁵⁹⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 123-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

⁵⁹⁶ იქვე, მეხუთე და მერვე ნაწილები.

⁵⁹⁷ იქვე, მეთერთმეტე ნაწილი.

თანახმად, განცხადება დაწესებულების დირექტორს უნდა წარედგინოს ვიდეოპაემნის გამართვამდე არაუგვიანეს 7 დღისა. ვიდეოპაემნის ორგანიზება ხდება მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.⁵⁹⁸

პაემნებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ასევე კომუნიკაციის სხვა სახით სხვადასხვა პაემნის შეცვლის უფლება, რომელიც დადგენილია პენიტენციური კოდექსით, რომელიც უნდა განხორციელდეს პატიმრის წერილობითი თხოვნის საფუძველზე. შეცვლა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმით:⁵⁹⁹

პაემნის შეცვლა კომუნიკაციის სხვა სახით

ძირითადი პაემნის ფორმა	შეცვლა ხანმოკლე პაემნით	შეცვლა ვიდეოპაემნით	შეცვლა სატელეფონო საუბრით
ხანმოკლე პაემანი		ვიდეოპაემნით	სატელეფონო საუბრით
ხანგრძლივი პაემანი	ხანმოკლე პაემნით	ვიდეოპაემნით	სატელეფონო საუბრით
საოჯახო პაემანი	ხანმოკლე პაემნით	ვიდეოპაემნით	სატელეფონო საუბრით

პაემნების ნაწილში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს იმ მსჯავრდებულებისათვის შეხვედრის ორგანიზება და ხელშეწყობა, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პირები ფაქტობრივად მოკლებული არიან ოჯახის წევრებთან შეხვედრის შესაძლებლობას, მნიშვნელოვანია კანონის დათქმა მათ განსაკუთრებულ უფლებასთან მიმართებით. უცხო ქვეყნის მოქალაქეს, უფლება აქვს, შეუზღუდავად შეხვდეს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენელს ან იმ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში მისი ქვეყნის ინტერესების დაცვას ითავსებს. ასევე, მათ უფლება აქვთ შეხვდნენ იმ სახელმწიფოთაშორის ორგანოს წარმომადგენლებს, რომლებიც მათ ინტერესებს იცავენ.⁶⁰⁰

საქართველოს კანონმდებლობისაგან მნიშვნელოვან განსხვავებას ვხვდებით ირლანდიის პრაქტიკაში, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მიუსჯელ პატიმრებთან პაემნის უფლებას. კანონში განმარტებულია, რომ მიუსჯელ პატიმარს უნდა ჰქონდეს თითო შეხვედრა ყოველდღე ნათესავებთან და მეგობრებთან 15 წუთის ხანგრძლივობით კვირაში 6 დღე, სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, მაგრამ სადაც შეუძლებელია, არანაკლებ 3 დღეში ერთხელ. აბსოლუტურად განსხვავებულია მიდგომა გარე სამყაროსთან ურთიერთობის კომპონენტში იმ პატიმრებთან მიმართებით, რომლებსაც არ ჰყავთ ახლო ნათესავები ან მეგობრები. ამ შემთხვევაში კანონმდებლობა აძლევთ მათ გარკვეულ შესაძლებლობას არ იყვნენ იზოლირებული გარე სამყაროსგან და არ ჰქონდეთ გარიყულობის შეგრძნება. შესაბამისად, მსჯავრდებულს, რომელსაც ნათესავები ან მეგობრები არ ჰყავს და სურვილი აქვს შეხვედრის, ამის შესახებ წერილობით უნდა მიმართოს ადმინისტრაციას, სადაც მითითებული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ვიზიტის

⁵⁹⁸ იქვე, მეექვსე და მეთათე ნაწილები.

⁵⁹⁹ იქვე, 119-ე მუხლი.

⁶⁰⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 123-ე მუხლი, მეთორმეტე ნაწილი.

მიზნების შესახებ. ასეთი შეხვედრა შეიძლება იყოს ნებადართული, თუ არსებობს შემდეგი პირობები, რომელიც მხედველობაში იქნება მიღებული: არსებობს შეთანხმება ვიზიტორთან ასეთი შეხვედრის შესახებ; მსჯავრდებულის ინტერესებიდან გამომდინარე; შინაგანაწესის, უსაფრთხოებისა და დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ან/და თუ აუცილებლობა გამომდინარეობს: გამოძიებისა და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, დანაშაულის პრევენციის, დანაშაულის თავიდან აცილების ან გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით და სხვა.⁶⁰¹

პაემნების უფლებასთან დაკავშირებით ევროპის სასამართლოს განხილული არაერთი საქმე შეიძლება იქნეს მოყვანილი, როგორც მაგალითი, რომელიც დასრულდა განმცხადებლის სასარგებლოდ და დადგინდა იქნა ევროპის კონვენციის მოთხოვნათა დარღვევა. მოცემულ საქმეში „კუცერა სლოვაკეთის წინააღმდეგ“ (KUCERA v. SLOVAKIA), განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას არგუმენტირებული საფუძვლის არარსებობისას, არ ეძლეოდა მეუღლესთან შეხვედრის უფლება 13 თვის განმავლობაში, როდესაც ის იმყოფებოდა მიუსჯელი პატიმრებისთვის განკუთვნილ ციხეში. საქმეში სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის⁶⁰² დარღვევა შემდეგი საფუძვლით: სასამართლომ განმარტა, რომ პატიმრობა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც დაკავშირებულია პირის თავისუფლების აღკვეთასთან, იწვევს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების შეზღუდვას. პატიმრის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების განუყოფელი ნაწილია, რომ ხელისუფლებამ მისცეს მას საშუალება ან, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს, შეინარჩუნოს ოჯახთან კონტაქტი. ამ კუთხით ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იქნეს გამოყენებული „კანონის შესაბამისად“, უნდა ემსახუროდეს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე ლეგიტიმურ მიზანს, გარდა ამისა, უნდა იყოს გამართლებული, როგორც „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ცნება „აუცილებლობა“ მე-8 მუხლის მიზნებისთვის ნიშნავს, რომ ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს მწვავე სოციალურ საჭიროებას და უნდა იყოს პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მიმართ. მოცემულ საქმეში სასამართლომ ჩათვალა, რომ შეზღუდვა არ შეიძლება ჩაითვალოს „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისად, დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა განმცხადებლის მეუღლესთან შეხვედრის აკრძალვის გამო.⁶⁰³

დ. პრესიტა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით ინფორმაციის მიღების უფლება

მასობრივი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უნდა განვიხილოთ, როგორც სასჯელის მოხდის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც ხელს უწყობს პატიმრის გარე სამყაროსთან უწყვეტ კონტაქტს, უნარჩუნებს მას ოჯახთან ურთიერთობას და ოჯახის მხარდაჭერას, რაც პატიმრის რეაბილიტაციის

⁶⁰¹ Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 “Prison Rules” Ireland, [https://www.irishstatutebook.ie/eli/2007/si/252/made/en/print \[02.04.2024\]](https://www.irishstatutebook.ie/eli/2007/si/252/made/en/print [02.04.2024]).

⁶⁰² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი N 1, 20 მარტი, 1952 წელი, მე-8 მუხლი, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვლობის უფლება, „ყველას აქვს უფლება, დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა“, იხ. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi91.pdf>

⁶⁰³ ECtHR, KUCERA v. SLOVAKIA, <https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:%22001-81731%22%22> [03.04.2024].

ამოსავალი ქვაკუთხედია. ასევე გარე სამყაროსთან კონტაქტი უზრუნველყოფს პატიმრის ინფორმირებულობას საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია მისი გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის.

პენიტენციური კოდექსი განიხილავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას როგორც მსჯავრდებულების, ასევე ბრალდებულებისათვის და განმარტავს, რომ მათ აქვთ პრესის გაცნობის უფლება, ასევე რადიოსა და ტელეტრანსლაციის ხელმისაწვდომობა საშუაოსგან თავისუფალ დროს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი არ არის ხელმისაწვდომი ყველა პატიმრისათვის და ამ უფლებით ვერ ისარგებლებენ ის პირები, რომელთაც შეფარდებული აქვთ დისციპლინური პატიმრობა ან/და რომელიც მოთავსებულია სამართო საკანში.⁶⁰⁴

ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია პენიტენციური კოდექსის დათქმა, რომ დაწესებულებაში ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა შეიძლება ისარგებლოს აგრეთვე ელექტრონული სარეაბილიტაციო საგანმანათლებლო პროგრამით, თუმცა ასეთ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელი არ მიუწვდებათ პატიმრებს, რომლებიც იმყოფებიან განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.⁶⁰⁵

კანონმდებლობით დადგენილია, თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი პატიმრისათვის რადიომიმდებისა და ტელევიზორის შეძენა და განმარტებულია, რომ პატიმარს ან პატიმართა ჯგუფს უფლება აქვს, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში შეიძინოს პირადი რადიომიმდები ან/და ტელევიზორი. მათ ეს ტექნიკა შეუძლიათ შეიძინონ საკუთარი ხარჯით. ასევე დადგენილია შეზღუდვა დაწესებულებაში არსებულ მაღაზიასთან მიმართებით. კერძოდ, მაღაზიაში არსებული პროდუქციის ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს მის საბაზრო ღირებულებას.⁶⁰⁶

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებს აქვთ უფლება, ჰქონდეთ საკუთარი რადიომიმდები და ტელევიზორი, კანონი უფლებას ანიჭებს დაწესებულების ადმინისტრაციას, ჩამოართვას აღნიშნული ტექნიკა და გადასცეს ის მათ ახლო ნათესავს, ასეთის არყოლის შემთხვევაში კი შენახულ იქნეს პენიტენციურ დაწესებულებაში. აქვე განმარტებულია, რომ ღირებუტორს შეუძლია მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, როდესაც პირადი რადიომიმდების ან/და ტელევიზორის გამოყენებით ირღვევა პენიტენციური დაწესებულების დებულება და სხვა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიმშვიდე.⁶⁰⁷

საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას, საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის ნაწილში, მისი გამოყენების სტანდარტებთან მიმართებით არ გვხვდება ფართო არეალი. მაგალითად, მინიმალური სტანდარტული წესებით განმარტებულია, რომ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, რეგულარულად გაეცნონ ახალი ამბების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს გაზეთების, პერიოდული ან სპეციალური საუწყებო პუბლიკაციების, რადიოს, ლექციების ან სხვა ისეთი სა-

⁶⁰⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 118-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი.

⁶⁰⁵ იქვე, პირველი ნაწილი.

⁶⁰⁶ იქვე, მესამე ნაწილი.

⁶⁰⁷ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 118-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

შუალელებით, რომლებიც ნებადართული და კონტროლირებადია ადმინისტრაციის მიერ.⁶⁰⁸

ევროპის პენიტენციური წესები შედარებით უფრო ფართო სპექტრს გვთავაზობს. ის განიხილავს განსხვავებულ მიდგომებს პატიმრის გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. წესების თანახმად განსაზღვრულია, რომ პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი საქმეების შესახებ, ისარგებლონ საინფორმაციო საშუალებებით. ასევე, პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება გამოიწერონ და იკითხოთ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო ხელისუფლების მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ინდივიდუალურ შემთხვევაში, კონკრეტული აკრძალვაა დაწესებული.⁶⁰⁹

მნიშვნელოვანია ევროპული ციხის წესების მიდგომა მასმედიასთან პატიმრის ურთიერთობის საჭიროებასთან დაკავშირებით. ის მკვეთრად განსხვავდება ქართული კანონმდებლობის მიდგომებისაგან, რომელიც საერთოდ არ განიხილავს პატიმრისთვის ასეთი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას. ევროპული პენიტენციური წესების მიხედვით, პატიმრებს უნდა მიეცეთ მასმედიასთან ურთიერთობის ნებართვა, თუკი არ არსებობს ასეთი კომუნიკაციის აკრძალვის ანგარიშგასაწევი მიზეზი, უსაფრთხოებისა და უშიშროების მოსაზრებიდან გამომდინარე, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესით, ასევე, დაზარალებულის თუ სხვა პატიმრების ან პერსონალის დაცვის ინტერესებით.⁶¹⁰

გარდა რადიო- და ტელემუწყებლობის ხელმისაწვდომობისა, კანონმდებლობა საუბრობს პრესისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობაზე და განმარტავს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საკუთარი სახსრებით, გონივრული ოდენობით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური და მსატრეული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები. ამავე კონტექსტში განიხილავს პატიმრის უფლებას, მიიღოს საწერი საშუალებები.⁶¹¹

საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობას ეხება ე. კოილი, რომელიც განმარტავს იმ ამოსავალ მიზეზს, თუ რატომ უნდა იყოს პატიმრებისთვის საინფორმაციო საშუალებები ხელმისაწვდომი. ის აღნიშნავს, რომ პატიმრებს უნდა შეეძლოთ, თვალყური მიადევნონ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს. აღნიშნული კავშირი გარე სამყაროსთან უზრუნველყოფს, რომ პატიმარი არ გაუცხოვდეს იმ გარე სამყაროსგან, სადაც მას მოუწევს დაბრუნება გათავისუფლების შემდეგ.⁶¹²

⁶⁰⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდალას წესები), წესი 63, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁶⁰⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 24.10, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01 04 2024] [01.04.2024].

⁶¹⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 24.12, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01 04 2024] [01.04.2024].

⁶¹¹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 118-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

⁶¹² A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 109. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd

სახალხო დამცველის ანგარიშში განმარტებულია სასჯელაღსრულებისა და საპატიმრო დაწესებულებებში ტელევიზორის ხელმისაწვდომობის პრობლემები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ისეთ სივრცეში, რომელიც განკუთვნილია ახალმოდებული პატიმრების განსათავსებლად/კარანტინში ხანგრძლივი დროით მოთავსება, ართულებს აქ მოთავსებული პატიმრების უფლებების რეალიზაციას: ვერ სარგებლობენ ტელეფონით და არ აქვთ პაემნები, შესაბამისად, არ აქვთ კონტაქტი ოჯახთან, ამასთან არ არის რადიო და ტელევიზორი.⁶¹³

განსაკუთრებით საყურადღებოა სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილი მაგალითი იმ პატიმრებთან მიმართებით, რომლებსაც რადიოსა და ტელევიზორის შეძენის შესაძლებლობა არ გააჩნიათ. ანგარიშში ხაზგასმულია მაღალი რისკი, რომ ასეთი პატიმრები აღმოჩნდებიან ინფორმაციულ ვაკუუმში, კერძოდ, დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები დღის განმავლობაში მოკლებული არიან შესაძლებლობას დაკავდნენ საინტერესო, თავმესაქცევი აქტივობებით. ზოგიერთ მათგანს ტელევიზორის შეძენის შესაძლებლობა არ აქვს. საგულისხმოა, რომ ამ ხარვეზის აღმოფხვრის გზებს ქართული კანონმდებლობა არ განიხილავს.⁶¹⁴

ანგარიშში ასევე განმარტებულია, რომ ტელევიზორით სარგებლობის შეზღუდვა, ასევე გამოიყენება დისციპლინური სახდელის სახით, რაც დადგენილია პენიტენციური კოდექსით. კერძოდ, დისციპლინური სახდელების სახეებში მოიხსენიება: პირადი ტელევიზორით ან რადიომიმდებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით.⁶¹⁵

9.2.3. უფასო იურიდიული დახმარებისა და სამართლებრივი კონსულტაციის უფლება

არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი შეიცავს მითითებას იურიდიული დახმარების უფლების თაობაზე, რაც გულისხმობს ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებას. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ განმარტავს, რომ „ყველა ადამიანს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარება მისი უფლებების სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე დაცვისათვის“.⁶¹⁶

შესაძლებელია დაისვას კითხვა, რატომ უნდა იქნეს განხილული ადვოკატთან ხელმისაწვდომობის უფლება პენიტენციური სისტემის ქრილში? მოცემული პრინციპები პასუხობს აღნიშნულ შეკითხვას, როდესაც განმარტავს სახელმწიფოთა ვალდებულებას, რომ მათ უნდა უზრუნველყონ ყველა ადამიანი დაუყოვნებლივ ინფორმირებულ იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ მისი უფლებების შესახებ, მოითხოვოს მის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარება დაკავების, დაპატიმრების ან სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენების დროს. შესაბამისად, მოცე-

[ed_english_v5_web.pdf \[30.03.2024\]](#).

⁶¹³ სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში, 2023, გვ. 275, იხ. <https://ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf> [02.04.2024].

⁶¹⁴ სახალხო დამცველის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში, 2023, გვ. 281, იხ. <https://ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf> [02.04.2024].

⁶¹⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი, „მ“ პუნქტი.

⁶¹⁶ გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, 1990, 1-ლი პრინციპი, იხ. <https://gba.ge/pdf/5c3a5201a38b1.pdf/5c3a5201a38b1.pdf> [02.04.2024].

მულ განმარტებას მივყავართ დასკვნამდე, რომ პირის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის დროს სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს პენიტენციურმა სისტემამ უზრუნველყოს, რომ ყველას მიეცეს თანაბარი ხელმისაწვდომობა ადვოკატის დახმარებაზე.⁶¹⁷

კოდექსი ასევე განიხილავს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადვოკატის ხელმისაწვდომობას და განმარტავს, რომ როგორც ბრალდებულს, ასევე მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე შეხვდეს თავის ადვოკატს, რომელიც ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ საადვოკატო საქმიანობას. აქ აღსანიშნავია დათქმა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმისწარმოება დასრულებულია, მას ისევე აქვს უფლება შეხვდეს ადვოკატს, როგორც ბრალდებულს.⁶¹⁸

დადგენილია ადვოკატთან შეხვედრის კონტროლის მექანიზმები და პროცედურები, კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი უფლებამოსილია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატთან შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე.⁶¹⁹

ევროპის პენიტენციური წესების განხილვისას განსხვავებულ მიდგომად შეიძლება იქნეს განხილული დამოკიდებულება იურიდიული კონსულტაციის ხელმისაწვდომობასა და ასეთი კონსულტაციისთვის გარემო პირობების მოწყობასთან. წესებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფიდენციალურობას, რაც უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს ასეთი სახის კონსულტაციების საჭიროებასა და ხარისხს. წესები განმარტავს, რომ ყოველ პატიმარს აქვს იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლება და ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სათანადო ფართი ასეთი დახმარების ხელმისაწვდომობისათვის. წესების მიხედვით პატიმრებს საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე შეუძლიათ საკუთარი ხარჯებით მიმართონ მათ მიერვე შერჩეულ იურისტ-კონსულტანტს. წესები ასევე ავალდებულებს ციხის ადმინისტრაციას, რომ უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამის არსებობისას, ამის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს ყველა პატიმარს. კონსულტაციები და სხვა კომუნიკაციები, ასევე, კორესპონდენცია სამართლებრივ საკითხებზე პატიმრებსა და იურიდიულ კონსულტანტებს შორის უნდა იყოს კონფიდენციალური. აქვე, ევროპული პენიტენციური წესები ითვალისწინებს შეზღუდვებს, რომ სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია, გამონაკლის შემთხვევებში, შეზღუდვები დააწესოს ასეთ კონფიდენციალურობაზე. განმარტებულია მიზეზებიც, თუ რა შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს შეზღუდვები, მაგალითად, სერიოზული დანაშაულის ან ციხის უსაფრთხოებისა და უშიშროების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.⁶²⁰

მანდელას წესები დეტალურად განიხილავს ადვოკატის ხელმისაწვდომობას, ასევე გამოყოფს განსაკუთრებულ შემთხვევებს. კერძოდ, წესები განმარტავს არა

⁶¹⁷ იქვე, მე-5 პრინციპი.

⁶¹⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 95-ე მუხლი.

⁶¹⁹ იქვე.

⁶²⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 23.1-23.5, იხ. <https://rm.coe.int/168070822c> [01.04.2024].

მხოლოდ მეხვედრის უფლებას, არამედ სხვა გარემოებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ეფექტიანი ხელმისაწვდომობა, კერძოდ, პატიმრებს უნდა მიეცეთ ადეკვატური შესაძლებლობა, დრო და საშუალებები, რათა დაუკავშირდნენ, შეხვდნენ და კონსულტაციები გაიარონ თავიანთ დამცველთან ან იურიდიული დახმარების მიმწოდებელთან. მანდელას წესები იძლევა მკაცრად დადგენილ სტანდარტებს, რომ ასეთი კომუნიკაცია უნდა მოხდეს შეფერხების, მოსმენისა და ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალურობით. წესებში ასევე მოცემულია დათქმა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით, რომ კონსულტაციები შეიძლება განხორციელდეს ციხის პერსონალის თვალწინ, მაგრამ არა მოსმენის ფარგლებში. ასევე წესებით დადგენილია, რომ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ეფექტიანი იურიდიული დახმარება.⁶²¹

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მანდელას წესების მიდგომა იმ პატიმრებთან მიმართებით, რომლებიც არ საუბრობენ ადგილობრივ ენაზე. ასეთ შემთხვევაში წესები აყენებს მოთხოვნას ციხის ადმინისტრაციის წინაშე, რომ ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი კომპეტენტური თარჯიმნის მომსახურებას.⁶²²

ასევე წესები ყურადღებას უთმობს მიუსჯელ პატიმრებს, სადაც განმარტებულია, რომ თუ პირს არ ჰყავს მის მიერ არჩეული ადვოკატი, მას უფლება აქვს ჰყავდეს სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანიშნული იურიდიული კონსულტანტი (ადვოკატი), როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები. ეს უნდა მოხდეს პატიმრის მხრიდან ანაზღაურების გარეშე, თუ მას არა აქვს იურიდიული მომსახურებისთვის ფინანსური საშუალება. მოთხოვნა იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ უნდა იქნეს განხილული დაუყოვნებლივ.⁶²³

პენიტენციური კოდექსი არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ დათქმას შშმ პირების გარე სამყაროსთან კონტაქტის ნაწილში, თუმცა ეს ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია ციხეში, რომელსაც სხვადასხვა მომსახურებაზე ელემენტარული ხელმისაწვდომობის მისაღებად განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება და მათი უფლებები ამ სფეროში ცალკე ნათლად უნდა იყოს კანონში ასახული. შესაძლებელია, ოჯახთან და გარე სამყაროსთან კონტაქტი სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თუმცა მისი ხელმისაწვდომობა მეზღუდული იყოს შშმ პირებისათვის მხოლოდ იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ოთახები და ავეჯი არ არის სათანადოდ ადაპტირებული. გამოკითხული შშმ რესპონდენტის აზრით, „*ეტლით მოსარგებლებს უნდა ჰქონდეთ ცალკე შესაბამისად მოწყობილი (ადაპტირებული) საკანი, აბაზანა, რომ ადამიანურ პირობებში შეძლონ მოსვენება და ჰიგიენის დაცვა*“. ოჯახთან ეფექტიანი კომუნიკაციის ხელშემშლელი პრობლემების ნუსხაში, გარდა შენობების ადაპტირებისა, უნდა მოიაზრებოდეს ეტლით მოსარგებლე პირებისათვის ოთახების განლაგება და ხელმისაწვდომობა, კარის ზომის შესაბამისობა ეტლთან, ეტლით ან ყავარჯნით

⁶²¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 61 პირველი და მესამე ნაწილები, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁶²² იქვე.

⁶²³ იქვე, წესი 119.

მოსარგებლე პირებისათვის ოთახის ზომა და მასში ავეჯის განლაგება, ოთახის განლაგება და ოთახის სივრცე მხედველობადაქვეითებული პირებისათვის და ა. შ. ასევე, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია საჭირო გახდეს სმენის აპარატურით სმენადაქვეითებული პატიმრების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით პაემნების დიდ და ხმაურიან ოთახში მუხვედრისთვის.⁶²⁴

9.2.4. მოთხოვნისა და საჩივრის შეტანის უფლება, მოთხოვნისა და საჩივრის შეტანის პროცედურები

მოთხოვნებისა და საჩივრების შეტანის უფლება პატიმართა დაცვის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს წარმოადგენს, როგორც სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან მიმართებით, ასევე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არასათანადო მოპყრობისაგან თავის დაცვის უზრუნველსაყოფად. იმისათვის, რომ სასჯელადსრულების დაწესებულება პატიმრებს უქმნიდეს უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდას, მათ უნდა ჰქონდეთ მოთხოვნებისა და საჩივრების გაგზავნისა და მიღების ნათლად გაწერილი პროცედურები. მნიშვნელოვანია, რომ პატიმრები და მათი ოჯახის წევრები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი აღნიშნული პროცედურების შესახებ. ინფორმაცია პროცედურების შესახებ უნდა იყოს ადვილად გასაგები, ხოლო საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცესი დაცული და კონფიდენციალური, კანონით დადგენილ ფარგლებში.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყონ ნებისმიერი პირი სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებებით, რომლის წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებები და თავისუფლებებიც დაირღვა. პაქტი განმარტებულია, რომ ასეთი დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დარღვევა ჩაიდინეს ოფიციალურად მოქმედმა პირებმა.⁶²⁵

ე. კოილი ფართოდ განიხილავს საჩივრების თემას და განმარტავს, რომ თუკი გადაწყვეტილების ჯეროვნად მიღების უზრუნველსაყოფად იარსებებს ნათლად დადგენილი პროცედურები, არამართებული/არასათანადო გადაწყვეტილებების რაოდენობა და შედეგად მიღებული პრობლემების მოგვარების საჭიროება თავისთავად შემცირდება. კოილის განმარტებით, როგორ კარგადაც არ უნდა იყოს მართული პენიტენციური სისტემა, აუცილებლად იქნება შემთხვევები, როდესაც პატიმრებს, ინდივიდუალურად, ან პატიმართა ჯგუფს უსამართლოდ მოეპყრობიან. ამგვარი ფაქტების შესაძლებლობა არსებობს ყველაზე კარგ ციხეებშიც კი. შესაბამისად, საჭიროა დადგინდეს ის პროცედურები, რომლებიც პატიმარს საშუალებას მისცემს, დააყენოს მოთხოვნა ან დაარეგისტრიროს საჩივარი. მნიშვნელოვანია ასევე, რომ წესები და პროცედურები მოცემული საჩივრებისა თუ მოთხოვნების შესახებ იყოს მარტივად და ნათლად ჩამოყალიბებული, რათა პატიმრებმა

⁶²⁴ იხ. ზ. ხასია, მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელადსრულების სისტემაში, 2023, გვ. 164, იხ. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Oct/books/Khasia-standards-and-practicies-ge.pdf> [01.04.2024].

⁶²⁵ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-2 მუხლი, მე-3 ნაწილი, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0> [03.04.2024].

და ციხის პერსონალმა შეძლონ მათი სწორად აღქმა. კოილი საჩივრების შეტანის პროცედურებთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საჩივრის პროცედურა დეტალურად უნდა აღწერდეს, თუ როგორ უნდა შეიტანოს პატიმარმა საჩივარი ცუდი მოპყრობის შესახებ. შიდა პროცედურების გარდა, იგი დეტალურად უნდა იყოს ინფორმირებული, თუ რა საშუალებებზე მიუწვდება ხელი, დაწყებული პირველი ინსტანციით ადგილობრივ დონეზე, უმაღლესი ინსტანციით დამთავრებული.⁶²⁶ პენიტენციურ კოდექსში ფართოდ აქვს ადგილი დათმობილი საჩივრების შეტანის ხელმისაწვდომობასა და პროცედურებს. კერძოდ, განმარტებულია საჩივრის შეტანის ფორმები და ვადები; პატიმრები უფლებამოსილნი არიან საჩივარი შეიტანონ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად; საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობითი ფორმით, საფუძვლის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში. ასევე, განმარტებულია საჩივრის შეტანის საფუძვლები. მაგალითად, სასჯელადსრულების სისტემის თანამშრომლის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება და კოდექსით გათვალისწინებულ უფლებათა სხვაგვარი ხელყოფა.⁶²⁷

მნიშვნელოვანია ასევე კანონმდებლობის დათქმა საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირებისა და იმ გარემოებების შესახებ, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ეს შესაძლებლობა შეიძლება იყოს გამოყენებული. ასეთ უფლებამოსილებას კოდექსი აძლევს პატიმრის ადვოკატს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ახლო ნათესავს, ისეთი გარემოებების არსებობისას, როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაირღვა ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებები; პატიმარს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია თავად შეიტანოს საჩივარი.⁶²⁸

სხვა პირის მიერ საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ევროპული პენიტენციური წესების პრევენციული სახის მიდგომა. წესებში განმარტებულია, რომ არ შეიძლება პატიმრის ადვოკატმა ან ორგანიზაციამ, რომელიც ზრუნავს პატიმრის კეთილდღეობაზე, შეიტანოს საჩივარი პატიმრის მაგივრად, მისი თანხმობის გარეშე. ასეთი მიდგომა ცალსახად უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენს პატიმრის დასაცავად გარეშე პირების თვითნებური ქმედებისაგან.⁶²⁹

პირველ რიგში, ადგილი უნდა დაეთმოს პატიმრის დაცვის მექანიზმებს იმ შემთხვევაში, თუ იგი საჩივრებს შეიტანს თანამდებობის პირების ქმედებასთან დაკავშირებით. მოცემულ რისკებთან დაკავშირებით კოილი განმარტავს მომჩივანთა ვიქტიმიზაციის დაუშვებლობას, რომ „ციხეში არსებობს მოსაზრება, რომ რადგანაც პატიმარი არის იმ პირის ზედამხედველობის ქვეშ, რომელსაც იგი უჩივის, მისივე ინტერესში არ შედის ჩივილი, რაც არ უნდა მართებული იყოს მისი მიზანი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზგასმულია ადმინისტრაციის ვალდებულება, დაიცვას პატიმარი. ამ უკანასკნელმა უნდა იცოდეს, რომ არ დაისჯება საჩივრის გამო. სა-

⁶²⁶ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., 2018, 115.

https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf

⁶²⁷ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 101-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილები.

⁶²⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 101-ე მუხლის მესამე ნაწილი.

⁶²⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 70.6, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

ჭირთა დაწესდეს სპეციალური პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრის დაცვას ვიქტიმიზაციისაგან.⁶³⁰

საქართველოს პრაქტიკაში საჩივრების განხილვის შიდა პროცედურების განმსაზღვრელი ბრძანებით⁶³¹ დადგენილია საჩივრის შედგენის, მისი შეტანის, განხილვის პროცედურები პენიტენციურ სისტემაში. შესაბამისად, აღნიშნული რეგულირება განსაზღვრავს დაცვის მექანიზმებს საჩივრის შეტანის საფუძველზე პატიმრის დასჯის თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ, ციხის ადმინისტრაციას ეკრძალება ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლების შეზღუდვა, აგრეთვე მათთვის უფლებით სარგებლობაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ მათ შეიტანეს საჩივარი.⁶³²

ა. საჩივრის ადრესატი და საჩივრის განხილვა

მანდელას წესებით განმარტებულია, რომ ნებისმიერ პატიმარს ყოველდღიურად უნდა ჰქონდეს ციხის დირექტორისთვის ან მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი თანამშრომლისთვის განცხადების ან საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა. აღნიშნული კი წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ რაიმე სახის გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში თავიდან იქნება აცილებული ნებისმიერი სიტუაციის ესკალაციის რისკი.⁶³³

ქართული კანონმდებლობით ასევე განმარტებულია ციხის ადმინისტრაციასთან საჩივრით მიმართვის პროცედურები და აღნიშნულია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საჩივრით მიმართოს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს. აღნიშნულ შემთხვევაში კანონით ცალსახად არის დადგენილი თუ რა შემთხვევაში უნდა იყოს დამზებული ასეთი მიმართვა. კერძოდ, ეს შესაძლებელია, თუ საჩივარი უკავშირდება პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურის საქმიანობას. პატიმარს ასევე უფლება აქვს ამავე საფუძველის არსებობის შემთხვევაში მიმართოს სამსახურის გენერალურ დირექტორს.⁶³⁴

კიდევ ერთი დაცვის გარანტია, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს პატიმართან მიმართებით, არის ის, რომ მას უფლება აქვს, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის უარი საჩივრის დაკმაყოფილებაზე გაასაჩივროს სამსახურის გენერალურ დირექტორთან. აქვე პატიმარს უფლება ეძლევა გაასაჩივროს დაწესებულების დირექტორის უკანონო საქმიანობა, რის შესახებაც მას შეუძლია მიმართოს სამსახურის გენერალურ დირექტორს.⁶³⁵

⁶³⁰ Andrew Coyle, Helen Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., 2018, 115. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf

⁶³¹ მსჯავრდებულთა და პატიმართა მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, მოსამსახურეთა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების უკანონო მოქმედების გასაჩივრების და მათი საჩივრების განხილვის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 26 ივნისის №620 ბრძანება.

⁶³² საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი 101-ე მუხლი, მეექვსე ნაწილი.

⁶³³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 56, https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁶³⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁶³⁵ იქვე, მეორე ნაწილი.

საჩივრების ადრესატთან დაკავშირებით დადგენილია პატიმრის დაცვის გარანტიები. კერძოდ, დაუშვებელია საჩივრის გადაწყვეტაში იმ პირის მონაწილეობა, რომლის ქმედება, სამართლებრივი აქტი ან გადაწყვეტილება იქნა გასაჩივრებული პატიმრის მიერ.⁶³⁶

მანდელას წესების თანახმად, პატიმარს აქვს შესაძლებლობა განცხადება ან საჩივარი გადასცეს ციხის ინსპექტორს ციხეში ინსპექციის დროს. ასეთი ურთიერთობა პატიმარსა და ინსპექტორს შორის უნდა შედგეს თავისუფლად და სრული კონფიდენციალურობის დაცვით. კერძოდ, პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დაელაპარაკოს ინსპექტორს ან ინსპექციის ნებისმიერ წევრს, დირექტორის ან ციხის სხვა თანამშრომლების დაუსწრებლად.⁶³⁷

განსხვავებით მანდელას წესებისა, პენიტენციური კოდექსი არ შეიცავს განმარტებას პატიმრის ინსპექტირების განმახორციელებელ პირთან კომუნიკაციის შესახებ ციხის ინსპექტირების დროს, თუმცა დადგენილია პატიმრის უფლება, ნებისმიერ დროს მიმართოს საჩივრით საქართველოს სახალხო დამცველს, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს ან/და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.⁶³⁸

ე. კოილის აქვს განსხვავებული მიდგომა საჩივრის შეტანის წესსა და საჩივრის ადრესატთან დაკავშირებით. ის განიხილავს გასაჩივრების სხვადასხვა ეტაპს, რომელიც იწყება ქვედა რგოლიდან, ანუ ციხის ზედამხედველიდან. კოილის განმარტებით, პატიმარს უნდა ჰქონდეს საშუალება, მისი ნებისმიერი საჩივარი მოისმინოს უშუალო ზედამხედველმა. თუკი საკითხის მოგვარება შეუძლებელია მოცემულ დონეზე, პატიმარს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიმართოს ზემდგომ თანამდებობის პირებს. კოილი ასევე განიხილავს შემდგომ ეტაპს. თუკი ეს ეტაპიც უშედეგოდ დასრულდება, პატიმარს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიაწვდინოს ხმა ზემდგომ ორგანოებს, მათ შორის, ციხის მიღმა. ასევე, ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო პრაქტიკაზე, როდესაც ზოგიერთი ქვეყნის სასჯელაღსრულების სისტემაში მოქმედებს თხოვნებისა და საჩივრების გაზავნის პარალელური, ციხის გარეთა სისტემა. ეს შეიძლება იყოს ადგილობრივი მონიტორინგის ორგანოები, ომბუდსმენი და ადგილობრივი თუ ეროვნული პოლიტიკოსები.⁶³⁹

საჩივრის შეტანის წესი დეტალურად არის განხილული პენიტენციურ კოდექსში, მათ შორის, დადგენილია საჩივრის შედგენის უზრუნველყოფის საკითხი, სადაც განმარტებულია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საჩივრის ადრესატის განსაზღვრის ან სხვა ტექნიკური საკითხის მოგვარების მიზნით, მოითხოვოს სამსახურის სოციალური მუშაკის კონსულტაცია. საჩივრის შედგენისას პატიმარს ასევე უფლება აქვს, მოითხოვოს ადვოკატის კონსულტაცია. აღნიშნული დათქმების მნიშვნელობა ხაზგასმულია კოდექსში, რომლის თანახმად, საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს წერილობით, დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. ამდე-

⁶³⁶ იქვე, მესამე ნაწილი.

⁶³⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 56 (3), https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [03.04.2024].

⁶³⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 102-ე მუხლის მეხუთე ნაწილი.

⁶³⁹ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 115. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04.2024].

ნად, პატიმარს აქვს ვალდებულება, მიუხედავად მისი განათლებისა, ენის ბარიერისა თუ ფიზიკური მდგომარეობისა, შეავსოს დადგენილი ფორმა.⁶⁴⁰ საჩივრის შედგენასა და შეტანაზე დახმარების საკითხს ეხმიანება ევროპული პენიტენციური წესები, რომელიც განმარტავს, რომ პატიმრებს შეუძლიათ მოითხოვონ სამართლებრივი რჩევა საჩივრებსა და საჩივრებით მიმართვების პროცედურებთან დაკავშირებით. წესები ასევე განმარტავს, თუ რა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს პატიმრისათვის ასეთი დახმარების შეთავაზება და აღნიშნავს, რომ პატიმარს შეუძლია მოითხოვოს სამართლებრივი დახმარება, როდესაც ამას მოითხოვს სამართლიანობა.⁶⁴¹

ქართულ პრაქტიკაში საჩივრის წარდგენის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გარანტიას წარმოადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების ყუთის ფუნქციონირება. განმარტებულია, რომ საჩივრების ყუთი უნდა განთავსდეს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ყველა პატიმრისთვის ხელმისაწვდომ ადგილას. იქ, სადაც საჩივრის ყუთებია დამონტაჟებული, აკრძალულია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელება. მნიშვნელოვანია ყუთის თვალსაჩინოება. კერძოდ, საჩივრების ყუთს უნდა გაუკეთდეს აბრა, წარწერით „საჩივრების ყუთი“ და ასეთი ყუთი უნდა იყოს დალუქული. პასუხისმგებელი სუბიექტი ასეთი ყუთის გახსნაზე არის სოციალური მუშაკი, რომელიც საჩივრების ყუთს ხსნის, კეტავს და ლუქავს ყოველი სამუშაო დღის ბოლოს, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ან დირექტორის მოადგილის თანდასწრებით. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საჩივრების ყუთის დაზიანება, კანონი შეიცავს ადმინისტრაციის ვალდებულებას, უმოკლეს ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 3 დღისა, შეაკეთოს ის, ან განათავსოს საჩივრების ახალი ყუთი.⁶⁴²

საჩივრების შემოწმება უნდა განხორციელდეს საჩივრების ყუთის გახსნისთანავე, ხოლო შემოწმების ფორმებთან დაკავშირებით განმარტებულია, რომ ის მოიცავს საჩივრების კონვერტების ვიზუალურ დათვალიერებას, ასევე, საჩივრების ნომრების რეგისტრაციას. აღნიშნული დათქმა დაწესებულების ადმინისტრაციას უდგენს ვალდებულებას, წაიკითხოს საჩივრის ტექსტი. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს საჩივრების რეგისტრაცია და აღრიცხვა, რომელსაც უზრუნველყოფს სამსახურის სოციალური მუშაკი.⁶⁴³

მანდელას წესები ადგენს ყოველგვარი ცენზურის აკრძალვას პატიმრის საჩივართან დაკავშირებით. განმარტებულია, რომ ნებისმიერ პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება წარადგინოს განცხადება ან საჩივარი მისდამი მოპყრობის შესახებ, შინაარსის ცენზურის გარეშე, ციხის ცენტრალურ ადმინისტრაციასა და სამართლებრივ თუ სხვა შესაბამის ორგანოებში. საჩივრების განხილვა უნდა იყოს გადაუდებელი პროცესი, რომ ნებისმიერ განცხადებას ან საჩივარს დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება და პასუხი გაეცეს დაგვიანების გარეშე. ასევე, წესების მიხედვით, განცხადების ან საჩივრის უარყოფის ან გაუმართლებელი დაყოვნების შემთხვევაში,

⁶⁴⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 103-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

⁶⁴¹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 23.1-23.5, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁶⁴² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 104-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილები.

⁶⁴³ იქვე.

მომჩივანს უფლება აქვს, წარადგინოს იგი სასამართლოში ან სხვა ორგანოს წინაშე.⁶⁴⁴

საჩივრის გაგზავნის წესთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილია საჩივრის გაგზავნის კონკრეტული ვადები. აღნიშნული ვადების დაცვა შეადგენს პენიტენციური დაწესებულების ვალდებულებას, საჩივარი მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, გაუგზავნოს ის შესაბამის ადრესატს. რაც შეეხება შიდა დაწესებულების ხელმძღვანელობისათვის განკუთვნილ საჩივრებს, დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს საჩივარი უნდა მიეწოდოს შეუფერხებლად, ამ დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით. აქვე მნიშვნელოვანია დაცვის დადგენილი მექანიზმები, რომ არაკონფიდენციალური საჩივარი განსახილველად არ ეგზავნება იმ პირს ან იმ პირისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ პირს, რომლის ქმედებაც საჩივრდება.⁶⁴⁵

დაწესებულების ადმინისტრაციას ეძლევა ვალდებულება უზრუნველყოს საჩივარში აღნიშნული პრობლემის ადგილზე გადაჭრა. ასეთი საჩივრების განხილვისთვის კანონით არ არის დადგენილი ვადა. აღნიშნულია, რომ არაკონფიდენციალური საჩივარი, რომელიც პენიტენციურმა დაწესებულებამ შეიძლება ადგილზე განხილვით გადაწყვიტოს, გადაწყდება იმ ორგანოსა და პირის მიერ, მისი განხილვის შედეგების დალოდების გარეშე, რომელთაც ის გაეგზავნა.⁶⁴⁶

დადებითი ტენდენციის მატარებელია პატიმრის ინფორმირების მექანიზმები საჩივრის გაგზავნასთან დაკავშირებით, რომ საჩივრის გადაგზავნიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია საჩივრების ყუთთან გამოაკრას გადაგზავნილი საჩივრის რეგისტრაციის ნომერი და შესაბამისი კონვერტის კოდი.⁶⁴⁷

პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი ყველა პირის დაცვის შესახებ განმარტავს, რომ ყოველი თხოვნა და საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული. საჩივარს პასუხი უნდა გაეცეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე. ეს დათქმა ავალდებულებს ციხის ადმინისტრაციას, რომ იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა საჩივრის განხილვის დაყოვნება, მან ამის მიზეზი უნდა დაადასტუროს არგუმენტირებულად. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრინციპების თანახმად, თხოვნის ან საჩივრის მიღებაზე უარის თქმის ან გაუმართლებელი დაყოვნების შემთხვევაში, თხოვნის განმცხადებელს ან მომჩივანს უფლება აქვს იგი წარუდგინოს სასამართლო ან სხვა ორგანოს. ასვე პრინციპები დაუშვებლად მიიჩნევა დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის და ასევე სხვა განმცხადებლის ან მომჩივანის, დევნას შუამდგომლობის, განცხადების ან საჩივრის წარდგენისათვის.⁶⁴⁸

⁶⁴⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), 2015, წესი 56 (3) და 57 (1), იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRJ_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁶⁴⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

⁶⁴⁶ იქვე, 101-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი.

⁶⁴⁷ იქვე, 105-ე მუხლი, მესამე ნაწილი.

⁶⁴⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი ყველა პირის დაცვის შესახებ, 1988, პრინციპი 33, (4), იხ. <http://>

პენიტენციური კოდექსი პენიტენციური სისტემის ოფიციალური პირებისათვის ადგენს საჩივრის განხილვის ვადებს, რომელიც მოცემულია ცხრილში (საჩივრის განხილვის ვადები). აქვე კოდექსით დადგენილია ვადის გაგრძელების შესაძლებლობა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საჩივრის ავტორს, ზეპირად ან წერილობით.

საჩივრის განხილვის ვადები

განცხადების განმხილველი თანამდებობის პირი	საჩივრის განხილვის კანონით დადგენილი ვადა	საჩივრის განხილვის დამატებითი ვადა
დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი	5 სამუშაო დღე	არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა
სამსახურის გენერალური დირექტორი	10 სამუშაო დღე	არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა

ბ. კონფიდენციალური საჩივარი

კონფიდენციალური საჩივრები განსაკუთრებით საყურადღებო თემას წარმოადგენს, რადგან მას ყველა შემთხვევაში შეხება აქვს რაიმე სახის რისკთან ან/და პატიმრისთვის მნიშვნელოვან თემასთან. ასეთი საჩივარი შეიძლება ეხებოდეს როგორც ერთი პირის უსაფრთხოებას, ასევე პირთა ჯგუფის ან მთლიანად დაწესებულების უსაფრთხოებას და მასში არსებულ სხვადასხვა სახის რისკებს. შესაბამისად, კონფიდენციალური საჩივრის მიღებისა და გაგზავნის პროცედურები საჩივრის განხილვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. პრინციპთა ერთობლიობა განმარტავს, რომ თხოვნის ან საჩივრის კონფიდენციალურობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, თუ ამას ითხოვს განმცხადებელი ან მომჩივანი.⁶⁴⁹

საჩივრის კონფიდენციალურობა იძლევა დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ მასში მოცემული ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია საფრთხის შემცველი იყოს, როგორც თვითონ განმცხადებლის, ასევე სხვა პირებისთვის. მანდელას წესებით, კონფიდენციალურ საჩივრებთან მიმართებით განმარტებულია, რომ პენიტენციურმა სისტემამ უნდა შექმნას პატიმრის მიერ განცხადებისა და საჩივრების წარდგენის უსაფრთხოების, ხოლო თუ ამას მომჩივანი ითხოვს, კონფიდენციალურობის გარანტიები. აქვე მოცემული განმარტება პატიმრის ან სხვა პირის რისკებთან დაკავშირებით, ამართლებს კონფიდენციალურობის აუცილებლობას. დაუმჯებელია, პატიმარი, ან ნებისმიერი სხვა პირი, საჩივრის წარდგენის გამო, განდეს შურისძიების, დამცირების ან სხვა სახის უარყოფითი გავლენის მსხვერპლი.⁶⁵⁰

კონფიდენციალური საჩივრის შეტანა ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებას წარმოადგენს. კონფიდენციალურია საჩივარი, რომელიც დალუქულ კონვერტშია

www.humanrights.ge/files/principTa%20erToblioba%20nebismieri%20formiT%20dakavebul%20an.pdf [01.04.2024].

⁶⁴⁹ იქვე.

⁶⁵⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 57 (2), <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson-Mandela-Rules-Short-Guide-Geo-final.pdf> [01.04.2024].

მოთავსებული და რომელზედაც მითითებულია ადრესატი. დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს საჩივრის კონფიდენციალურობის დაცვა. აქვე განსაზღვრულია ადმინისტრაციის ქმედებები იმ შემთხვევაში, თუ კონფიდენციალურ საჩივარზე ადრესატი მითითებული არ არის ან მასზე მითითებული ადრესატის იდენტიფიცირება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში დაწესებულება საჩივრის კონვერტის ნომრისა და საჩივრის გაგზავნაზე უარის თქმის მიზეზის შესახებ ინფორმაციას საჩივრების ყუთთან, თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრავს. საჩივრის გამგზავნს ასეთ შემთხვევაში ეძლევა უფლება დაიბრუნოს კონფიდენციალური საჩივარი 2 კვირის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია კონფიდენციალური საჩივარი შეინახოს არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა, ხოლო ამ ვადის ამოწურვისთანავე, კონფიდენციალურობის დაცვით გაანადგუროს ის.⁶⁵¹

იმის მიუხედავად, რომ სახალხო დამცველის ანგარიში, პენიტენციურ სისტემაში განცხადებებისა და საჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით, მომზადებულია 2015 წელს, მნიშვნელოვანია ყურადღება დაეთმოს მასში არსებულ გამოწვევებს. იგი იძლევა მონაცემებს საქართველოს ციხეებში პატიმართა მხრიდან კონფიდენციალური საჩივრების შეტანის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ანგარიში განმარტავს, რომ გამოკითხულ პატიმართა 4%-მა საჩივრის შეტანისგან თავი სწორედ იმ მიზეზით შეიკავა, რომ არ ჰქონდა კონფიდენციალურობის დაცვის იმედი. ასევე, აღსანიშნავია ანგარიშიში მოცემული განმარტება, რომ გამოკითხულთა 10%-ს საჩივრის შეტანის სურვილის შემთხვევაში ამის განხორციელების საშუალება არ მიეცა. ანგარიში განიხილავს კონფიდენციალური საჩივრების ხელმისაწვდომობას დაწესებულებების ტიპების მიხედვით და განმარტავს, რომ როგორც დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს დადგინდა, პატიმრებს არ აქვთ საშუალება კონფიდენციალურად დაწერონ საჩივარი იმ შემთხვევებში, როცა მათ წერილის დაწერაში დახმარება სოციალური სამსახურის თანამშრომლისგან სჭირდებათ. რას მოიაზრებს ამ შემთხვევაში კონფიდენციალურობის რისკი? კერძოდ, სოციალური სამსახურის თანამშრომლები, თავიანთივე უსაფრთხოების დასაცავად საკანში შედიან უსაფრთხოების თანამშრომელთან ერთად, რაც არღვევს საჩივრის შინაარსის კონფიდენციალურობას. გარდა აღნიშნულისა, ანგარიშიში ადგილი ეთმობა დახურული ტიპის დაწესებულებებში კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღებას, რაც, ანგარიშის თანახმად, პრაქტიკულად შეუძლებელია პატიმრის იდენტიფიცირების გარეშე. ანგარიშიში ასევე აღწერილია პროცედურები, რომლებიც რისკის ქვეშ აყენებენ საჩივრის კონფიდენციალურობას. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, საჩივრის დაწერის მსურველი პატიმარი უშუალოდ მიმართავს სოციალური სამსახურის თანამშრომელს, რომ მიაწოდოს მას კონვერტი (კონვერტები, როგორც ასეთი, არ რიგდება). პატიმრის მიერ კონფიდენციალური კონვერტის მოთხოვნისას სოციალური მუშაკი ინიშნავს კონვერტის ნომერს და იმ პატიმრის სახელსა და გვარს, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს კონვერტი. აღნიშნული კონვერტის ნომრით კი საკმაოდ მარტივია საჩივრის ადრესატის იდენტიფიცირება. დაბოლოს, რისკის შემცველია ასევე ის ფაქტი, რომ კონფიდენ-

⁶⁵¹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 107.

ციალური საჩივრის დაწერის შემდგომ, დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფი პატიმარი საჩივრის ყუთამდე ვერ მივა თანმხლები პირის (უსაფრთხოების ან რეჟიმის თანამშრომლის) გარეშე.⁶⁵²

ბ. წამებასთან და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები როგორც პენიტენციურ კოდექსში, ისე საერთაშორისო სტანდარტებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საჩივრებს, რომელიც დაკავშირებულია წამებასთან და არასათანადო მოპყრობასთან, განსაკუთრებით თუ განმცხადებელი იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში და მას არა აქვს სრული მექანიზმები თავის დასაცავად. აღნიშნული საკითხის განხილვისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია წამების კონვენციის დათქმები, რომელიც, დოკუმენტის სტატუსიდან გამომდინარე, სავალდებულოა ნებისმიერი ხელშემკვრელი ქვეყნისთვის. კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველყოს, რომ „ნებისმიერ პირს, რომელიც აცხადებს, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნა წამება ამ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ რომელიმე ტერიტორიაზე, უფლება ჰქონდეს, საჩივრით მიმართოს და თავისი საქმე სწრაფად და მიუკერძოებლად განახილვის კომპეტენტურ ორგანოებს“. ასევე, კონვენცია ადგენს დაცვის ვალდებულებას, რომ სახელმწიფოებმა მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ მომჩივანი და მოწმეები დაცული იყვნენ ცუდი მოპყრობის ან დაშინებისაგან, რაც შედეგია საჩივრის ან ნებისმიერი მიცემული ჩვენებისა.⁶⁵³

დადგენილია რეგულაციები წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენასთან დაკავშირებით, სადაც განმარტებულია, რომ ასეთი სახის საჩივრის შეტანა განსაკუთრებულ შემთხვევას განეკუთვნება და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული. ასევე დადგენილია იმ აუცილებელ პირთა ნუსხა, რომლებსაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ ასეთი საჩივრების შეტანასთან დაკავშირებით. კერძოდ, საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. აღნიშნული დათქმა გარკვეულწილად ადგენს პროცედურებს, რომელიც ამ სახის საჩივრების პრიორიტეტულობას ადგენს.⁶⁵⁴

პენიტენციური კოდექსის დათქმა ამგვარი საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით ეხმარება მანდელას წესებით განხილულ პროცედურებს, რომ აუცილებელია, პატიმრის წამების ან სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შესახებ საჩივარზე რეაგირება მოხდეს დაუყოვნებლივ და დაიწყოს სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება დამოუკიდებელი ეროვნული ორგანოს მიერ.⁶⁵⁵

⁶⁵² საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში, 2015, 45-46, <https://ombudsman.ge/res/docs/2019040514154865723.pdf>

⁶⁵³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, 1994, მუხლი 13, იხ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0> [01.04.2024].

⁶⁵⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 108-ე მუხლი.

⁶⁵⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული

ბოლოს კი, წამების საკითხებზე საჩივრების შეტანასთან დაკავშირებით ე. კოილი ეხება განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემას, რომ უნდა არსებობდეს ოფიციალური და ღია პროცედურები, რომელთა მეშვეობით, პატიმრებს ექნებათ შესაძლებლობა, დასჯის შიშის გარეშე, საჩივრებით მიმართონ დამოუკიდებელ ორგანოს.⁶⁵⁶

დ. საჩივრის განხილვის შედეგები და გადაწყვეტილების გასაჩივრება
საჩივრების განხილვის ბოლო ეტაპს წარმოადგენს გადაწყვეტილება საჩივრებთან და გადაწყვეტილების გასაჩივრების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა ბრალდებულს/მსჯავრდებულს ხელწერილით უნდა ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც დაერთვება მის პირად საქმეს. საჩივრის განხილვის შემთხვევაში განმხილველი პირი ან ორგანო ვალდებულია საჩივარში მითითებულ ყოველ კონკრეტულ მოთხოვნას გასცეს დასაბუთებული პასუხი. ასევე განსაზღვრულია პროცედურები უარყოფით გადაწყვეტილებასთან მიმართებით, ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ეცნობოს დასაბუთებული პასუხი. კოდექსი ასევე ადგენს გასაჩივრების პროცედურებს, სადაც აღნიშნულია, რომ საჩივრის განხილვის შედეგები შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.⁶⁵⁷

ე. სპეციალური საჭიროებების მქონე პირები

მნიშვნელოვანია გარკვეული სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის საჩივრების შეტანის ხელშეწყობა და მისი წარდგენის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ასეთი კატეგორიის პატიმრებს, როგორცაა წერა-კითხვის არმცოდნე ბრალდებული/მსჯავრდებული, რომელთაც შესაბამისი ინფორმაცია ზეპირად უნდა მიეწოდოს, რამაც ასევე უნდა მოიაზრებოდეს ინფორმაცია საჩივრებისა და მოთხოვნების შეტანის თაობაზე. თუმცა მოცემული დათქმა კონკრეტულად საჩივრებზე არ აპელირებს. შემდეგი კატეგორია, რომელიც კოდექსშია განხილული, არიან პირები, რომლებმაც არ იციან საქართველოს სახელმწიფო ენა, არ ესმით სამართალწარმოების ენა. ასეთ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთ პირებს პასუხი გაეცემათ საქართველოს სახელმწიფო ენაზე.⁶⁵⁸

წერა-კითხვის უცოდინარი პატიმრის შემთხვევას ასევე ეხება მანდელას წესები, რომელიც განმარტავს, რომ მისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ზეპირსიტყვიერად, თუმცა ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე სენსორული შპმ პატიმრებზე, რომლებსაც ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ მათი საჭიროებების გათვალისწინებით.⁶⁵⁹

წესები (მანდელას წესები), 2015, წესი 57 (3), იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁶⁵⁶ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, 3rd ed., 2018, 38. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04.2024].

⁶⁵⁷ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 109-ე მუხლი.

⁶⁵⁸ იქვე, 103-ე მუხლი.

⁶⁵⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 55 (2), https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

მნიშვნელოვანია ყურადღება დაეთმოს საჩივრების ნაწილში შშმ პირთა საჭიროებებს, რომელსაც ცალკე არ გამოყოფს პენიტენციური კოდექსი. მასში განმარტებულია მხოლოდ ხელშეწყობის პროცედურები, რომ პატიმარს, რომელიც შშმ პირია, მიეწოდება მიმოწერისთვის საჭირო შესაბამისი საშუალებები. ხოლო მანდელას წესები განმარტავს ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებას, რომ საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა ასპექტები მოარგოს ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის შშმ პირთა საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს მათი სრული, ეფექტიანი და თანაბარი წვდომა ციხის ცხოვრებაზე. მოცემულ ხელმისაწვდომობაში ასევე შედის საჩივრები და ნებისმიერი საჭიროებები, რაც შშმ პირებს სხვა პატიმრებთან მიმართებით თანაბარ პირობებში აყენებს.⁶⁶⁰

შშმ პირებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები კი აყენებენ მოთხოვნას იმ ბარიერების გაუქმების შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან შშმ პატიმრებს, გაასაჩივრონ საკუთარი პატიმრობა და მოითხოვონ პატიმრობის პირობების გაუმჯობესება. პრინციპები ასევე ადგენს სტანდარტებს, რომ კანონმდებლობით მიენიჭოს სარჩელის აღძვრის უფლება პატიმრების უფლებების დამცველ და შშმ პირების წარმომადგენლობით ორგანიზაციებს. პრინციპებში ხაზგასმულია გასაჩივრების პროცედურების გამარტივება, გადაწყვეტილების გამოტანის ვადების შემცირება, უფლების დაცვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა.⁶⁶¹

საჩივრების განხილვასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ის ხშირად ყოველდღიურ განრიგს ან მოპყრობას ეხება. საკითხები, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანებისათვის მცირე მნიშვნელობისაა, ხშირად დიდი დატვირთვის მატარებელია ციხეში, დაწესებულებაში, სადაც მოქმედებს წესები, რომლებიც ეხება ყოველდღიური ცხოვრების ყველა ასპექტს. მათი უმეტესობა შეიძლება ადმინისტრაციულ საკითხებს ეხებოდეს ან იყოს უმნიშვნელო ხასიათის, მაგალითად, მოთხოვნები და საჩივრები შესაძლებელია ეხებოდეს საჭმელს, დაკარგულ ნივთებს, დაგვიანებულ კორესპონდენციას, პრობლემებს ვიზიტებისას ან თავად ციხის პერსონალის დამოკიდებულებას. პატიმრისათვის უმნიშვნელოვანესია ჰქონდეს განცდა, რომ მისი საჩივარი განიხილება პატიოსნად და გულწრფელად. ასეთ შემთხვევაში ალბათობა იმისა, რომ იგი ისევ გააგრძელებს დავას, საკმაოდ მცირეა. შესაბამისად, ციხის ადმინისტრაციისათვის უმნიშვნელოვანესია უნდა იყოს, რომ ჩვეულებრივი თხოვნა ან მოთხოვნა არ გადაიზარდოს საჩივარსა თუ ოფიციალურ სარჩელში, რომელიც შემდეგ განიხილება კიდევ უფრო მაღალი რანგის ორგანოებში.

კოილის განმარტებით, საჩივრების ყველაზე დიდ დამაბრკოლებელ ფაქტორად გვევლინება პატიმრების შიში. შიში შეიძლება გამომდინარეობდეს იმ რისკიდან, რომ ციხის პერსონალს შეუძლია პასუხი აგებინოს მათ ამ ქმედებაზე. შესაბამისად, პატიმარი დაცული უნდა იყოს ასეთი რისკისაგან და მან უნდა იცოდეს, რომ არ და-

⁶⁶⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 5 (2) და წესი 115, https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁶⁶¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლების შესახებ, იხ. <https://georgia.un.org/sites/default/files/2022-05/geo%20%20WEB.pdf> [01.04.2024].

ისჯება საჩივრის გამო. ასეთი რისკის თავიდან აცილების გარანტია უნდა იყოს სპეციალური პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პატიმრის ვიქტიმიზაციის პრევენციას.⁶⁶²

საჩივრის უფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტება საქმეში „კანო მოია ესპანეთის წინააღმდეგ“ (CANO MOYA v. SPAIN), სადაც სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის 34-ე მუხლი აკისრებს ხელმომწერ სახელმწიფოებს ვალდებულებას, ხელი არ შეუშალონ ინდივიდუალური შუამდგომლობის (საჩივრის) წარდგენას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვალდებულება ატარებს პროცესუალურ ხასიათს და განსხვავდება მატერიალური სამართლისგან, ამ პროცესუალური სამართლის ძირითადი არსიდან გამომდინარეობს ის, რომ ცალკეულ პირებს შეუძლიათ იჩივლონ მათი უფლებების დარღვევის შესახებ. ამასთან, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ ვალდებულება, ხელი არ შეუშალონ ინდივიდუალური საჩივრის უფლების განხორციელებას, გამორიცხავს ნებისმიერ ჩარევას პირის უფლებაში, შეიტანოს საჩივარი და კანონიერად იყოს განხილული სასამართლოში.⁶⁶³

9.2.5. განათლების უფლება

განათლების უფლება დაცულია სავალდებულო ხასიათის საერთაშორისო ინსტრუმენტებით, რომელთა თანახმად, არავის შეიძლება უარი ეთქვას განათლების უფლებაზე.⁶⁶⁴

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, განათლების უფლება განიხილება, როგორც ყველასთვის თანაბარი უფლება და განმარტავს, რომ ყველას აქვს განათლების უფლება. დეკლარაციის მიხედვით, განათლება, დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი - ერთნაირად ხელმისაწვდომი.⁶⁶⁵

საქართველოს კონსტიტუცია, მსგავსად საერთაშორისო სტანდარტებისა, განსაზღვრავს, რომ „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“.⁶⁶⁶ შესაბამისად, გამონაკლისს არც პატიმრები წარმოადგენენ და მათ, ისევე როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეს, აქვს განათლების უფლება. შესაბამისად, კონსტიტუცია ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას განათლების სისტემის ორგანიზების შესახებ. კერძოდ, თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის დაწყებითი და საბაზისო განათლება სავალდებულოა. ზოგადი განათლება სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. მოქალაქეებს უფლება აქვთ, კანონით დადგე-

⁶⁶² A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, 3rd ed., 2018, 115. https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04.2024].

⁶⁶³ ECHR, CANO MOYA v. SPAIN, [CANO MOYA v. SPAIN \(coe.int\)](https://www.coe.int)

⁶⁶⁴ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი N 1, მუხლი 2, იხ. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi91.pdf> [30.03.2024].

⁶⁶⁵ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 26.1. https://www.ohchr.org/sites/default/files/UDHR/Documents/UDHR_Translations/geo.pdf [30.03.2024].

⁶⁶⁶ საქართველოს კანონი საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ნილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.⁶⁶⁷

ე. კოილი საინტერესოდ აღწერს ციხეში პატიმართა განათლების მნიშვნელობას და მოტივაციას, თუ რატომ შეიძლება განათლებას დაუთმოს დრო პატიმარმა და ამის მიზეზად ასახელებს ციხეში მყოფ ადამიანთა განათლების დაბალ დონეს. ის ასევე აღნიშნავს, რომ მათმა დიდმა ნაწილმა არ იცის წერა-კითხვა. საინტერესოა მსჯელობა, როდესაც მას დაბალი განათლება მოჰყავს როგორც ციხეში მოხვედრის მიზეზი და ამბობს, რომ განათლების დაბალმა დონემ, სავარაუდოდ, გავლენა მოახდინა მათ ცხოვრებაზე ციხეში მოხვედრამდე და შეიძლება მათ მიერ დანაშაულის ჩადენამდე დიდი როლი ითამაშა. სამწუხარო რეალობაა, თუმცა ზოგი ადამიანისთვის თვით ციხეში ყოფნის ფაქტი და ის, რომ ერთ ადგილას უწევს დროის გარკვეული ვადის განმავლობაში ყოფნა, წარმოადგენს პირველ რეალურ შესაძლებლობას, ხელი მიჰყოს სათანადო განათლების შექმნას.⁶⁶⁸

საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ადგენს როგორც მსჯავრდებულთა, ისე ბრალდებულთა განათლების უფლებას და მის ხელმისაწვდომობას. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ კანონი განათლების უფლების რეგულირების საწყის ეტაპზე ადგენს პენიტენციური სისტემის ვალდებულებას, შექმნას პირობები ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად. აქვე განსაზღვრავს დაწესებულების ადმინისტრაციის ვალდებულებას ბიბლიოთეკის მოწყობის შეახება. კანონით დადგენილია არა მხოლოდ ხელმისაწვდომობის სტანდარტები, არამედ განსაზღვრულია ლიტერატურა, რომელიც ციხის ბიბლიოთეკაში უნდა იყოს დაცული. კერძოდ, ბიბლიოთეკაში უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ისე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს, ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციური კოდექსის თანახმად, ლიტერატურა უნდა იყოს არა ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გასაგებ ენაზე, ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ იგულისხმება უცხოელი პატიმრებისათვის ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია იმ პირებისათვის, რომლებიც არ ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას, შექმნას პირობები ქართული ენის შესასწავლად.⁶⁶⁹

საერთაშორისო სტანდარტებით განათლება მიჩნეულია, როგორც სასჯელის მოხდის პროცესისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული კომპონენტი. ევროპის საბჭოს სპეციალურ რეკომენდაციაში ციხეში განათლების უფლება განხილულია, როგორც ფუნდამენტური უფლება. ყურადღება გამახვილებულია ციხეში განათლების საჭიროებაზე, რადგან, რეკომენდაციის თანახმად, პატიმართა დიდ ნაწილს ჰქონდა მწირი განათლება და, შესაბამისად, საჭიროებდა განათლების მიღებას. ასევე განმარტებულია განათლების როლი პენიტენციურ სისტემაში და აღნიშნუ-

⁶⁶⁷ იქვე, მეორე ნაწილი.

⁶⁶⁸ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 98, https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf, [01.04.2024].

⁶⁶⁹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 131-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები.

ლია, რომ განათლება ჰუმანურს ხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებას და აუმჯობესებს პატიმრობის პირობებს. ასევე, განათლება დაკავშირებულია პატიმრის რეაბილიტაციასთან; განათლება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას პატიმართა საზოგადოებაში დაბრუნების ხელშესაწყობად.⁶⁷⁰

რეკომენდაციაში ყურადღება ეთმობა ყველა პატიმრისთვის სკოლისა და პროფესიული განათლების, ასევე კულტურული, სპორტული და სხვა სახის განათლებისა და ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობას და აღნიშნულია, რომ ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს განათლების ხელმისაწვდომობა, რომელიც შედგება სკოლის საგნებისაგან, პროფესიული განათლებისაგან, შემოქმედებითი და კულტურული საქმიანობისაგან, ფიზიკური განათლებისა და სპორტისაგან, სოციალური განათლებისა და ბიბლიოთეკისაგან. აღსანიშნავია რეკომენდაციაში მოცემული დათქმა, ციხის განათლების შესაბამისობაზე საზოგადოებაში არსებულ განათლების სისტემასთან, ამასთან, პატიმრებისათვის განათლება უნდა იყოს გარე სამყაროში იმავე ასაკის სამიზნე ჯგუფის განათლების შესაბამისი და სასწავლო შესაძლებლობების არეალი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ფართო; ასევე, ხაზს უსვამს ციხეში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანს, რომელიც მიმართული უნდა იყოს პიროვნების განვითარებისკენ, მისი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.⁶⁷¹

პენიტენციური კოდექსი ადგენს სხვადასხვა დონის განათლების ხელმისაწვდომობას, უპირველეს ყოვლისა, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას. კოდექსი აყალიბებს ზოგადი განათლების სტანდარტს და განმარტავს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს სრული ზოგადი განათლება, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად. ეს პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. ზოგადი ეროვნული სტანდარტისაგან განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ მოცემულ პროგრამაზე არ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და საათობრივი ბაღე. პატიმართა განათლების ხელმისაწვდომობის გარანტიად უნდა ჩაითვალოს პენიტენციური კოდექსის დათქმა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ზოგადი განათლების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დამტკიცებული პროგრამით. აქვე აღნიშნულია, რომ ეს პროგრამა განსხვავებულია, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილისგან განსხვავებული წესით.⁶⁷²

განათლებას ასევე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, რომელიც განმარტავს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ეს დაშვებულია, პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ განათლების მიღების შესაძლებ-

⁶⁷⁰ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(89)12 წევრი სახელმწიფოებისათვის R(89) 12 ციხეში განათლების შესახებ, იხ. <https://www.epea.org/portfolio/r8912-georgian/> [30.03.2024].

⁶⁷¹ იქვე.

⁶⁷² საქართველოს კანონის პენიტენციური კოდექსის 132-ე მუხლი.

ლობით, ასევე ყურადღება გამახვილებულია რელიგიური განათლების მიღების შესაძლებლობაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მანდელას წესებით დადგენილ სტანდარტებს სპეციალური ჯგუფების მიმართ, როგორცაა წერა-კითხვის უცოდინართა და არასრულწლოვანთა განათლება, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს და ციხის მართვის ორგანოებმა ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.⁶⁷³

აღსანიშნავია მინიმალური სტანდარტული წესების მიდგომა ციხის საგანმანათლებლო სისტემასა და საზოგადოებაში არსებული განათლების სტანდარტებს შორის შესაბამისობასთან მიმართებით. წესებში განმარტებულია, რომ პატიმრების განათლება შეძლებისდაგვარად დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყანაში არსებულ განათლების სისტემასთან იმ მიზნით, რომ მომავალში ამ პატიმრებმა დაუბრკოლებლად შეძლონ სწავლის გაგრძელება; იგულისხმება გათავისუფლების შემდგომ განათლების მიღება საზოგადოებაში არსებულ სასწავლო ობიექტებში.⁶⁷⁴

გარდა ზოგადი განათლებისა, კანონმდებლობა ადგენს შესაბამის სტანდარტებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. განმარტებულია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებს უნდა შეექმნათ სათანადო პირობები პროფესიული განათლების მისაღებად. განსაზღვრულია პროფესიების ნუსხა, რომელსაც პროფესიული განათლების მიღების დროს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი, გათვალისწინებულია ის პროფესიები, რომელთა შესწავლაც პენიტენციურ დაწესებულებაშია შესაძლებელი. ზემოაღნიშნული არ გულისხმობს, რომ სხვა პროფესიების დაუფლება არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, არამედ ახდენს რანგირებას პრიორიტეტების მიხედვით.⁶⁷⁵

ევროპის ციხის წესები ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს განათლებას ციხეში, სადაც ვხვდებით სხვა სტანდარტებისაგან განსხვავებულ მიდგომას, როგორცაა მრავალმხრივი განათლების ხელმისაწვდომობა, რომელიც მსჯავრდებულის ინდივიდუალურ საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული. ამ ნაწილში პრიორიტეტი ენიჭება სწორედ წერა-კითხვის უცოდინარ ან სხვა საჭიროების მქონე ახალგაზრდა პატიმრებს. განმარტებულია, რომ ყოველი სასჯელადსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათი მისწრაფებების გათვალისწინებით. პრიორიტეტი ენიჭება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატიმრებს, რომელთაც წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლის საჭიროება აქვთ და აკლიათ საბაზისო და პროფესიული განათლება, ასევე ახალგაზრდა და სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრების განათლებას.⁶⁷⁶

პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ევროპის სპეციალური საბჭოს რეკომენდაციების მიდგომა, რომ პროფესიული განათლების მიზანი

⁶⁷³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 104, მეორე ნაწილი, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁶⁷⁴ იქვე.

⁶⁷⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 133-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

⁶⁷⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No-R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 28.1 - 28.7, იხ. <https://rm.coe.int/168070822c> [30.03.2024].

უნდა იყოს პიროვნების ზოგადი განვითარება. ასევე, ის უნდა შეესაბამებოდეს იმ დროისთვის არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პენიტენციური კოდექსისგან განსხვავებით, აქ პრიორიტეტი ენიჭება არა დაწესებულებაში ხელმისაწვდომ არამედ შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებს.⁶⁷⁷

საქართველოს პრაქტიკაში ასევე დადგენილია მსჯავრდებულის უმაღლესი განათლების უფლება. აქ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ უმაღლესი განათლება არის განათლების ის ფორმა, რომელშიც ბრალდებული არ არის მითითებული და, შესაბამისად, უმაღლესი განათლების უფლება მხოლოდ მსჯავრდებულის უფლებას წარმოადგენს. განსაზღვრულია უმაღლესი განათლების ის საფეხურები, რომლებიც ხელმისაწვდომია მსჯავრდებულებისათვის. კერძოდ, მსჯავრდებულს უფლება აქვს ისარგებლოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე განათლების მიღების უფლებით. რაც შეეხება არასრულწლოვან პირებს, მათ ენიჭებათ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღების უფლება. ხოლო იმ პროფესიების ჩამონათვალი, რომლის მიღების ხელმისაწვდომობა მსჯავრდებულებს აქვთ, კანონის თანახმად, დადგენილია იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.⁶⁷⁸

ასევე კანონმდებლობით დადგენილია, თუ რა ფორმით უნდა მიიღოს უმაღლესი განათლება მსჯავრდებულმა: მსჯავრდებული აკადემიურ უმაღლეს განათლებას იღებს ციფრული სწავლების ფორმით, რაც გულისხმობს განათლების მიღების უზრუნველყოფას პირდაპირი ტელეხილით, სპეციალური ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით. განათლების მიღების შემდეგი დადგენილი ფორმა არის კორესპონდენციული სწავლების ფორმა, რაც გულისხმობს მსჯავრდებულისთვის აკადემიური უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფას საკონტაქტო პირის მეშვეობით, სასწავლო მასალის მიწოდებით და ურთიერთობის წერილობითი ფორმის გამოყენებით. ასევე, კოდექსი ადგენს უმაღლესი განათლების დაფინანსების სტანდარტებს, რომლებიც იგივეა, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესი სხვა სტუდენტებისათვის.⁶⁷⁹

განათლებასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია მოვიყვანოთ საქართველოში არსებული პოზიტიური პრაქტიკა, რაც განმარტებულია სახალხო დამცველის ანგარიშში, რომ N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ხელმისაწვდომია განათლება და ხდება მათი ხელშეწყობა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისა თუ პროფესიულ სასწავლებელში განათლების მიღების გაგრძელების კუთხით, მათ შორის, მცირე ბიზნესის წარმოების, უცხო ენის შესწავლის, კომპიუტერული პროგრამირების დაუფლებისა თუ სხვა მიმართულებით. ანგარიშში ასევე აღნიშნულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან მუშაობის პრაქტიკა, რომ დაწესებულებაში ვიზიტისას ორ არასრულწლოვანს ჰქონდა სპეციალური

⁶⁷⁷ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(89)12 წევრი სახელმწიფოებისათვის R(89) 12 ციხეში განათლების შესახებ; მეცხრე რეკომენდაცია, იხ. <https://www.epea.org/portfolio/r8912-georgian/> [30 03 2024].

⁶⁷⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁶⁷⁹ იქვე, მეორე და მესამე ნაწილები.

საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსი და მათთან მუშაობდა სპეციალური პედაგოგი. გარდა განათლების პროცესისა, ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა აქტივობაში პატიმართა ჩართულობაზე, რომ არასრულწლოვნებს შეუძლიათ ითამაშონ ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ფეხბურთი. ამასთან, არასრულწლოვნები ჩართულები არიან ხის კვეთის წრეში. ასევე, ეწყობა კინოსეანსები შესაბამისი შემდგომი განხილვით.⁶⁸⁰

ანგარიშში მოცემული საქმიანობის აღწერა შეესაბამება ევროპის საბჭოს სპეციალური რეკომენდაციების მოთხოვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ შემოქმედებით და კულტურულ საქმიანობებს უნდა დაეკისროს მნიშვნელოვანი როლი, ვინაიდან ამ საქმიანობებს აქვთ პოტენციალი პატიმრებს მისცენ განვითარებისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობა.⁶⁸¹

ანგარიშში მოცემული პრაქტიკა ასევე შეესაბამება განათლების შესახებ სპეციალური რეზოლუციის მოთხოვნებს, სადაც აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეთ პატიმრებს, რომელთაც აქვთ გარკვეული სიძნელებები, განსაკუთრებით იმ პატიმრებს, რომელთაც აქვთ წერისა და კითხვის პრობლემები.⁶⁸²

განათლებასთან მიმართებით საინტერესოა ირლანდიის მაგალითის განხილვა, სადაც საერთაშორისო სტანდარტების მსგავსად, ვხვდებით ფართო მიდგომებს. მაგალითად, მოქნილი საგანმანათლებლო სისტემის არსებობა ყველა ციხეში, და კანონით განსაზღვრული მიზნები, რომლებიც მას განასხვავებს სხვა ქვეყნების პრაქტიკისგან. განათლება მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნებისაკენ, რომ პატიმარმა განკარგოს და გამოიყენოს თავისი დრო ციხეში ყოფნისას, მიაღწიოს პიროვნულ განვითარებას, მოემზადოს ცხოვრებისთვის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, განავითაროს თავისი პროფესიული უნარები და ნიჭი და გაიუმჯობესოს დასაქმების პერსპექტივები ციხიდან გათავისუფლების შემდეგ. მოცემული მიზნების განხილვისას თვალსაჩინოა მთავარი მიზანი - პირის გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა. გარდა აღნიშნული მიზნებისა, მოცემული ქვეყნის კანონი ასევე აღგენს იმ პედაგოგის ვალდებულებას, რომელიც წარმართავს სასწავლო პროცესს და აღნიშნავს, რომ მოეპყროს პატიმრებს ისეთივე ღირსებითა და პატივისცემით, როგორც ნებისმიერ პირს, რომელიც სარგებლობს მისი მომსახურებით და რომელიც არ არის პატიმარი.⁶⁸³

აღსანიშნავია, საერთაშორისო სტანდარტების მიდგომა ციხეში სწავლების პროცესში საზოგადოების ჩართულობასა და ასევე ციხის გარეთ სწავლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია, რომ როდესაც განათლების უზრუნველყოფა ხდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, გარეთ მყოფი საზოგადოება შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში. ცალსახაა, რომ განათლების პროცესის საზოგადოებრივ სტანდარტებთან

⁶⁸⁰ სახალხო დამცველის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში, გვ. 98. <https://ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf> [30.03.2024.

⁶⁸¹ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(89)12 წევრი სახელმწიფოებისათვის R(89) 12 ციხეში განათლების შესახებ; მეთორმეტე რეკომენდაცია, იხ. <https://www.epea.org/portfolio/r8912-georgian/> [30.03.2024.]

⁶⁸² იქვე, მერვე რეკომენდაცია.

⁶⁸³ Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 "Prison Rules" Ireland <https://www.irishstatutebook.ie/eli/2007/si/252/made/en/print> [30.03.2024].

შესაბამისობისა და სიახლეების დანერგვის მიზნით განათლების პროცესში საზოგადოების ჩართულობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს მთელი პროცესისთვის. სპეციალური რეკომენდაცია აგრეთვე მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რომ პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება მიიღონ განათლება სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთაც.⁶⁸⁴

9.2.6. განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვება

საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს გარე სამყაროსთან ურთიერთობის ისეთ შესაძლებლობას, როგორცაა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან (შემდგომში, დაწესებულება) ხანმოკლე გასვლის უფლება, რომელიც აძლევს საშუალებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, ხელი შეეწყოს გარე სამყაროსთან ეფექტიან ადაპტირებაში, ასევე ჰქონდეს კონტაქტი ოჯახის წევრებთან და სხვა ახლობელ ადამიანებთან სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ.

რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტებს, აქაც ვხვდებით დათქმას დაწესებულების გარეთ გასვლის უფლებასთან მიმართებით. მაგალითად, ევროპული პენიტენციური წესები განმარტავს, რომ თუ გარემოებები იძლევა საშუალებას, პატიმარს უფლება უნდა მიეცეს დატოვოს ციხე. ამავე წესების თანახმად, პირს უნდა მიეცეს უფლება დატოვოს დაწესებულება ბადრეგის თანხლებით ან მარტომ. მსგავსად პატიმრობის კოდექსისა, პენიტენციური კოდექსიც ადგენს იმავე დათქმას დაწესებულების დროებით დატოვების საფუძვლებთან დაკავშირებით. კერძოდ, ეს უფლება შეიძლება მიეცეს პირს ავადმყოფი ნათესავის მოსანახულებლად, დაკრძალვაზე დასასწრებად, თუმცა, პენიტენციური კოდექსისაგან განსხვავებით, ერთ-ერთ საფუძველს ასევე შეიძლება წარმოადგენდეს სხვა ჰუმანიტარული მოსაზრებები, რომელიც შეიძლება გახდეს დაწესებულების დროებით დატოვების მიზეზი.⁶⁸⁵

გარე სამყაროსთან ნებისმიერი სახით ურთიერთობა, თუ ის შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, წარმოადგენს ეფექტიან საშუალებას მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნებისა და საზოგადოებაში ეფექტიანი ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის. მნიშვნელოვან მორალური მხარდაჭერის მექანიზმს წარმოადგენს განსაკუთრებულ პირად გარემოებებთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების ხელმისაწვდომობა. განსაკუთრებული მნიშვნელობით უნდა გამოიკვეთოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან გასვლის უფლება, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირისათვის მისი ფსიქოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

⁶⁸⁴ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(89)12 წევრი სახელმწიფოებისათვის R(89) 12 ციხეში განათლების შესახებ; მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე რეკომენდაცია, იხ. <https://www.epea.org/portfolio/r8912-georgian/> [30.03.2024].

⁶⁸⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 24.7, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

დაწესებულების დატოვების უფლებით სარგებლობა პატიმარს შეუძლია პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება იქნეს მიღებული, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები: სარწმუნო ცნობა მსჯავრდებულის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისთვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე; სოციალური აქტივობის განსახორციელებლად; სხვა განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გასვლის უფლების გამომწვევი საფუძვლები არ არის მკაცრად განსაზღვრული, არამედ პენიტენციური კოდექსი იძლევა შესაძლებლობას პენიტენციური სისტემის გადაწყვეტილება დაეყრდნოს სხვა გარემოებებს, გარდა ახლო ნათესავის ავადმყოფობის ან გარდაცვალებისა. ასეთი გადაწყვეტილება გენერალური დირექტორის მიერ მიიღება დაწესებულების დირექტორის წარდგინების საფუძველზე, რა დროსაც უნდა იქნეს გათვალისწინებული პატიმრის პიროვნება და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. გარდა პირადი გარემოებისა, დაწესებულების დატოვების საფუძველი შეიძლება იყოს მსჯავრდებულის საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის აუცილებლობა.⁶⁸⁶

კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია ასეთი ტიპის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროცედურები, კერძოდ, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების უფლების მისაღებად დაწესებულების დირექტორს შუამდგომლობით მიმართავს მსჯავრდებული, მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი. შუამდგომლობაში, რომელიც წარედგინება დირექტორს, უნდა იყოს მითითებული დაწესებულების დროებით დატოვების მოტივი და ადგილი, სადაც მან უნდა გაატაროს დაწესებულების გარეთ ყოფნისთვის განკუთვნილი დრო. ასეთი ადგილის მითითება მიმართულია ეფექტიანი კონტროლის განხორციელების უზრუნველსაყოფად. აქვე კონტროლისა და პროცესის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კოდექსის დათქმა, რომ დაწესებულების გარეთ გასვლასთან დაკავშირებით, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით, დგინდება გამცილებელ თანამშრომელთა რაოდენობა. მსჯავრდებულის გაცილება ხდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან აღნიშნულების ადგილამდე და უკან.⁶⁸⁷

ასევე განსაზღვრულია დაწესებულების დროებითი დატოვების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს. ამ ვადაში შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დრო. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში. უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსი არ ითვალისწინებს მოქნილ მიდგომას ტერიტორიულ მდებარეობასთან დაკავშირებით, როდესაც პატიმარი არ არის განთავსებული საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. კერძოდ, ზოგიერთ მათგანს სჭირდება გაცილებით მეტი დრო დანიშნულების ადგილამდე მისაღწევად, ვიდრე სხვა პირს, რომელიც შედარებით ახლო მანძილზე გადაადგილდება. მგზავრობისა და სხვა დაწესებულების დატოვებასთან

⁶⁸⁶ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 124-ე მუხლის პირველი, მეორე და მეშვიდე ნაწილები.

⁶⁸⁷ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 124-ე მუხლის მეორე და მეშვიდე ნაწილები.

დაკავშირებული ხარჯები (გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად მსჯავრდებულის გაყვანასთან) ანაზღაურდება პატიმრის ან მისი ოჯახის სახსრებით. კოდექსით დადგენილია გამონაკლისი, ე. წ. საშედავითო შემთხვევები, როდესაც დაწესებულების დროებით დატოვების უფლება შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურების გარეშე, თუმცა კანონმდებლობაში არ ვხვდებით ჩანაწერს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ასეთი გადაწყვეტილების მიღება. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ ჯგუფში მოიაზრებიან ის მოწყვლადი ჯგუფები, რომლებსაც თანხის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნიათ.⁶⁸⁸

პენიტენციური კოდექსი ადგენს შეზღუდვებს, თუ რა შემთხვევაში არ დაიშვება პირად გარემოებებთან დაკავშირებით დაწესებულების დატოვების უფლების გამოყენება: ასეთი უფლება არ მიეცემა იმ მსჯავრდებულს, რომელიც ცნობილია ბრალდებულად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის ჩადენაში და გადაყვანილი იქნება პატიმრობის დაწესებულებაში.⁶⁸⁹

ევროპის სასამართლოს განმარტების თანახმად, კონვენციის მე-8 მუხლი არ აძლევს პატიმრობაში მყოფ პირს უპირობო გარანტიას, რომ ის ისარგებლებს საპატიმრო ადგილის დატოვების უფლებით ნათესავის ავადმყოფობის ან გარდაცვალების გამო. სასამართლოს განმარტებით, ასეთი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადასაწყვეტი საკითხის დეტალურად შეფასების საფუძველზე. ამასთან, სასამართლო (*Vetsev v. Bulgaria*, 2019, §25⁶⁹⁰) განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებაზე, დეტალურად შეისწავლოს ყოველი კონკრეტული საქმე.⁶⁹¹

პენიტენციური კოდექსით დადგენილია დაწესებულების დროებითი დატოვების დღეების რაოდენობა დაწესებულების ტიპების მიხედვით (იხ. ცხრილი, დაწესებულების დროებით დატოვება). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პატიმარს ასეთი უფლება ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მას არ აქვს დისციპლინური სასჯელი.⁶⁹²

⁶⁸⁸ იქვე, მესამე, მეხუთე და მერვე ნაწილები.

⁶⁸⁹ იქვე მე-60-ე მუხლის მეორე ნაწილი.

⁶⁹⁰ ECHR, ვეტსევი ბულგარეთის წინააღმდეგ (*VETSEV v. BULGARIA*), [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-192997%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-192997%22]}) [03.04.2024].

⁶⁹¹ Guide on the case-law of the European Convention on Human Rights, 2022, 24. https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Guide_EU_law_in_ECHR_case-law_ENG

⁶⁹² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 125-ე მუხლი.

დაწესებულების დროებით დატოვება

დაწესებულების ტიპი	კანონით დადგენილი ძირითადი რაოდენობა	წახალისება	დღეების რაოდენობა
დაბალი რისკის ან ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	2	2	5
იმავე ტიპის დაწესებულებაში მყოფი ორსული ქალი, 3 წლამდე ბავშვის დედა	3	2	

ასევე დადგენილია მოთხოვნები, რომლებიც საჭიროა დაწესებულების დროებითი დატოვების უფლების მისაღებად, როგორცაა პატიმრის მიერ მოხდილი სასჯელის სავალდებულო ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან. დაწესებულების დროებით დატოვებაზე განაცხადი შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ დადგენილი ვადების გასვლის შემთხვევაში (იხ. ცხრილი დაწესებულების დატოვების უფლების მისაღებად სავალდებულო მოსახდელი ვადა), გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა.⁶⁹³

დაწესებულების დატოვების უფლების მისაღებად სავალდებულო მოსახდელი ვადა

ჩადენილი დანაშაული	მოსახდელი ვადა
ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელი	თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი
მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელი	თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი
განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელი	თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი

რაც შეეხება დაზურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, მას შესაძლებელია მიეცეს დაწესებულების დატოვების უფლება, თუ ის აკმაყოფილებს ცხრილში მოცემულ მოთხოვნებს სასჯელის ვადის მოხდასთან დაკავშირებით, ასევე, თუ ის მოთავსებულია ასეთი ტიპის დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად; მისი პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; გადამდები ინფექციური დაავადების გამო. ამასთან, შესაძლებელია კანონით გათვალისწინებული ვადების მიუხედავად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლების მიცემა ამავე კოდექსით დადგენილ შემთხვევებში. კანონით განსაზღვრულია შესაძლებლობა, რომ მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე ხანმოკლე გასვლის უფლება შეეცვალოს ხანმოკლე პაემნით ან სატელეფონო საუბრით.⁶⁹⁴

⁶⁹³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 125-ე მუხლის მეოთხე, მეხუთე ნაწილები.

⁶⁹⁴ იქვე, მეექვსე ნაწილი.

საქმე „პლოსკი პოლონეთის წინააღმდეგ“ (PŁOSKI v. POLAND), პატიმრის მიერ დაწესებულების დროებითი დატოვების მოთხოვნასთან მიმართებით, დასრულდა განმცხადებლის სასარგებლოდ. ყურადღება გამახვილდა დაწესებულების ადმინისტრაციის ვალდებულებაზე, თუ რამდენად მყარი უნდა იყოს უარის თქმის საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უარი არ წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლის ცალსახა დარღვევას. აღნიშნულ საქმეში განმცხადებელმა მიმართა ციხის ადმინისტრაციას, მიეცათ დაწესებულების დროებით დატოვების უფლება დედის და მამის გასვენებაზე დასწრების მიზნით და წარადგინა შესაბამისი მტკიცებულება, განაცხადს ასევე თან ახლდა ციხის თანამშრომლის მხარდამჭერი წერილი (ქართულ პრაქტიკას თუ შევადარებთ, ეს ნიშნავს პატიმრის დადებით დახასიათებას). საქმის განხილვის საფუძველზე პენიტენციურმა მოსამართლემ⁶⁹⁵ უარი უთხრა პატიმარს აღნიშნულ უფლებაზე საკმარისი გარემოებების არარსებობის გამო. განმცხადებელმა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით მიმართა ევროპის სასამართლოს და აპელირება გააკეთა შემდეგ ჩანაწერზე, რომ „ყველას აქვს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება“. სასამართლოს განმარტებით, პატიმრის უფლებებში ჩარევა უნდა იყოს გამართლებული, როგორც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ ყურადღება გამახვილა შემდეგ გარემოებაზე, რომ განმცხადებელმა დაკარგა ორივე მშობელი ერთი თვის განმავლობაში. დაკრძალვაზე დასასწრებად შვებულების თაობაზე ორივე განცხადებას თან ახლდა ციხის თანამშრომლების მხარდამჭერი წერილი. შესაბამისად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიჩნია, რომ შიდა ხელისუფლების ორგანოების მიერ მოყვანილი მიზეზები განცხადების უარყოფისთვის დამაკრებელი არ იყო. სასამართლოს მიერ აღინიშნა, რომ სასჯელადსრულების მოსამართლის დასკვნა იმის შესახებ, რომ განმცხადებლის საქმეში არ გამოვლინდა თანამგრძობი გარემოებები, არ მყარდება ფაქტებით. შესაბამისად, სასამართლოს განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ უზრუნველყოფს დაკავებული პირის ნათესავის დაკრძალვაზე დასასწრებად შვებულების უპირობო უფლებას, სასამართლომ მოცემულს საქმეზე დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან საქმის კონკრეტულ გარემოებებში, განმცხადებლის მშობლების დაკრძალვაზე დასწრებაზე უარის თქმა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. რადგან ისინი არ შეესაბამებოდნენ მწვავე სოციალურ საჭიროებას და არ იყო პროპორციული ლეგიტიმური მიზნების მიმართ.⁶⁹⁶

კანონმდებლობით განსაზღვრულია, თუ რა საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება შუამდგომლობის განხილვისას, კერძოდ: მსჯავრდებულის პიროვნება; ოჯახური მდგომარეობა; ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე; დანიშნულების ადგილი; სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც მსჯავრდებულს დადებითად ან უარყოფითად ახასიათებს. ასევე განსაზღვრულია პატიმრის დაცვის მექანიზმები, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სამსახურის გენერალური დირექტორის მოტივირებული უარი შეიძლება გასაჩივრდეს

⁶⁹⁵ ევროპის რიგ ქვეყნებში არსებობს პენიტენციური მოსამართლის ინსტიტუტი, ასეთი მაგალითი არის პოლონეთი.

⁶⁹⁶ ECHR, PŁOSKI v. POLAND, PŁOSKI v. POLAND (coe.int) [01.04.2024] [02.04.2024].

სასამართლოში.⁶⁹⁷

თუ განვიხილავთ ექსპერტების მიდგომებს დაწესებულების დროებით დატოვებასთან დაკავშირებით, საინტერესოა ე. კოილის ხედვა, რომელიც განმარტავს დროებით მინ წასვლის უფლებას და მის მნიშვნელობას. მისი განმარტებით, სასურველია, რომ გარკვეული ღონისძიებები იქნეს გატარებული იმისათვის, რომ პატიმრებს მიეცეთ საშუალება, მცირე ვადით წავიდნენ შინ და მოინახულონ ოჯახები, თუკი საზოგადოებისა და ოჯახის წევრების უსაფრთხოებას საფრთხე არ დაემუქრება. კოილის განმარტებით, ასეთი საშუალების მიცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პატიმრებისთვის, რომლებიც იხდიან მოკლევადიან სასჯელს ან გრძელვადიან სასჯელს, თუმცა ახლოვდება მათი გათავისუფლების დრო. ასევე ის არ გამორიცხავს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ასეთი უფლების რეალიზება იყოს გაუმართლებელი, ამდენად, მსგავსი გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს რისკის ინდივიდუალურ შეფასებას.⁶⁹⁸

კანონმდებლობით განსაზღვრულია გენერალური დირექტორის უფლება, დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლასთან დაკავშირებით შუამდგომლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები, როგორცაა: გირაო – არანაკლებ 2 000 ლარისა; პირადი თავდებობა; ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) საშუალება. ასევე მას ეძლევა უფლება ასეთი ღონისძიებები გამოიყენოს არა ცალ-ცალკე, არამედ ერთობლივად. რაც შეეხება დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხარჯებს, გარდა ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) გამოყენების ხარჯებისა, ანაზღაურდება მსჯავრდებულის ან მისი ახლო ნათესავის სახსრებით. აქვე აღსანიშნავია საშუალო ნორმა, რომ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხარჯების ანაზღაურებისგან გათავისუფლების შემთხვევები. აღნიშნული ნორმა სხვა მსჯავრდებულებთან მიმართებით მეტნაკლებად თანაბარ პირობებში აყენებს გადახდისუუნარო პირებს.⁶⁹⁹ პენიტენციური კოდექსით დადგენილია გირაოს შეტანის პირობები, რომლის მიხედვითაც, გირაო არის ფულადი თანხა, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით. კოდექსი განმარტავს გირაოს შეტანის პროცედურებს და ადგენს, რომ გირაო თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დეპოზიტზე შეაქვს მსჯავრდებულის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს, ოჯახის წევრს ან მისი სახელით სხვა პირს. გირაო სამსახურის ანგარიშზე შეტანილ უნდა იქნეს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში 3 დღის ვადაში. გირაოს შემტანი პირი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების წინაშე იღებს წერილობით ვალდებულებას, რომ ის უზრუნველყოფს მსჯავრდებულის სათანადო ქცევასა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დადგენილ ვადაში გამოცხადებას. გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი. ამ ოქმის ერთი ასლი გირაოს შემტან პირს გადაეცემა. აღსა-

⁶⁹⁷ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 125-ე მუხლის მერვე და მეთოთხმეტე ნაწილები.

⁶⁹⁸ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 104, https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [30.03.2024].

⁶⁹⁹ საქართველო კანონი, პენიტენციური კოდექსის 125-ე მუხლის მერვე და მეცამეტე ნაწილები.

ნიშნავია კოდექსის დათქმა გირაოს შემტანი პირის დამატებით ვალდებულება-სთან დაკავშირებით, რომ მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა პატიმრის ქცევაზე ციხეში დაბრუნებამდე.⁷⁰⁰

ასევე განსაზღვრულია რისკები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს გირაოს შემტანი პირისათვის, რომელიც მას წერილობით გაეცნობა გირაოს შეტანის წინ. ასეთ რისკებს მიეკუთვნება შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებული არასაპატიო მიზეზით თავს აარიდებს დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ დაწესებულებაში დაბრუნებას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. აღნიშნული დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. მსჯავრდებულის მიერ ნაკისრი ვალდებულების ზუსტად და კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა 2 კვირის ვადაში დაუბრუნდება მის შემტან პირს. ასევე კოდექსით განმარტებულია პირადი თავდებობა, რაც ნიშნავს, რომ მსჯავრდებულის დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი, ახლო ნათესავი ან მისი სახელით სხვა პირი იღებს წერილობით ვალდებულებას, რომ ის უზრუნველყოფს მსჯავრდებულის სათანადო ქცევას და დადგენილ ვადაში დაწესებულებაში გამოცხადებას. თავდები შესაძლებელია იყოს ერთი ან რამდენიმე განსაკუთრებით სანდო პირი. პირადი თავდებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით. მოცემულ შემთხვევაში თუ მსჯავრდებული ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც თავდებობა იქნა გამოყენებული, თითოეულ თავდებს დაეკისრება ფულადი ჯარიმა არანაკლებ 10 000 ლარისა.⁷⁰¹

ასევე დადგენილია დაწესებულების დროებით დატოვების შემთხვევაში კონტროლის მექანიზმი, რომელშიც ერთვება პრობაციის სამსახური, კერძოდ, მსჯავრდებული იმავე დღეს უნდა გამოცხადდეს პრობაციის ბიუროში და უნდა დააფიქსიროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის დაწყების დრო. შესაბამისად, მოცემულ პერიოდში მისი გადაადგილების კონტროლს (მონიტორინგს) ახორციელებს პრობაციის სააგენტო. თუ მსჯავრდებული ობიექტური მიზეზით ვერ ახერხებს დაწესებულებაში განსაზღვრულ ვადაში დაბრუნებას, პრობაციის ბიურო უფლებამოსილია გაუგრძელოს მას ვადა არაუმეტეს 2 დღისა.⁷⁰²

9.2.7. სარეაბილიტაციო პროგრამებით სარგებლობის უფლება, სპორტულ, კულტურულ და რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება

ა. სარეაბილიტაციო პროგრამებით სარგებლობის უფლება

საერთაშორისო სტანდარტებით პატიმრობის მიზნად განსაზღვრულია საზოგადოების დაცვა დანაშაულისგან, რომელიც დაფუძნებულია არა უბრალოდ დამნაშავეების საზოგადოებისგან იზოლირებაზე, არამედ მათ რეაბილიტაციაზე. პირის საზოგადოების სრულფასოვან წევრად დაბრუნების მიზნის მისაღწევად ციხის ადმინისტრაციამ უნდა წარმართოს ციხის მენეჯმენტი იმ ფორმით, რომ ბალანსი დაამყაროს უსაფრთხოებასა და იმ პროგრამებს შორის, რომლებიც გათვალისწინ-

⁷⁰⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 126-ე მუხლი, პირველი-მესამე ნაწილები.

⁷⁰¹ იქვე, მეექვსე-მეტერთმეტე ნაწილები.

⁷⁰² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 125-ე მუხლი, მეოთხრმეტე ნაწილი.

ნებულა პატიმრების საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის. იმისათვის, რომ ასეთი ბალანსი იქნეს მიღწეული, საჭიროა არსებობდეს მკაფიო პროცედურები, რომლებითაც განსაზღვრულია ციხის საქმიანობა.

საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“, განმარტებულია პენიტენციური სისტემის საქმიანობის მთავარი მიზანი, რომ პენიტენციურ სისტემაში პატიმართა მიმართ განხორციელებული მოპყრობის მიზანია მათი გამოსწორება და სოციალური რეაბილიტაცია.⁷⁰³

სასჯელის მოხდის პროცესში სარეაბილიტაციო პროგრამების განსაკუთრებულ როლს, რომელსაც განაპირობებს სასჯელის ძირითადი მიზანი, განიხილავს არაერთი სპეციალური სახელმძღვანელო და საერთაშორისო სტანდარტი. მაგალითად, მანდელას წესების შესახებ განმარტების თანახმად, „ნელსონ მანდელას წესების“ სრული იმპლემენტაცია შესაძლებლობას ანიჭებს ციხის ხელმძღვანელ პირებს წვლილი შეიტანონ სისხლის სამართლის სისტემის მთავარი მიზნის მიღწევაში, რაც, საბოლოო ჯამში, გულისხმობს პატიმართა რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოების სასარგებლოდ.⁷⁰⁴

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით რეაბილიტაციის პროგრამებში მონაწილეობა ძირითადად მსჯავრდებულის უფლებაა და მასთან ხელმისაწვდომობა ბრალდებულს ნაკლებად გააჩნია. კერძოდ, ბრალდებულთან მიმართებით რეაბილიტაციის ხელმისაწვდომობას ვხვდებით პენიტენციურ კოდექსში, სადაც განმარტებულია, რომ პენიტენციური სამსახურის ამოცანებში შედის ბრალდებულის/მსჯავრდებულის რეაბილიტაციის/რესოციალიზაციის და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.⁷⁰⁵

მიუხედავად აღნიშნულისა, კანონით არ არის განსაზღვრული დეტალები პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულის სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების შესახებ, განსხვავებით მსჯავრდებულებისაგან. რაც შეეხება მსჯავრდებულს, კანონით განსაზღვრულია, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთან უნდა ჩატარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები და, შესაბამისად, განმარტებულია ის მიზნები, რომლებსაც უნდა ემსახურებოდეს ასეთი პროგრამები. პირველ რიგში, პროგრამები მიმართული უნდა იყოს პიროვნული უნარების ჩამოყალიბებისკენ, რომ პატიმარს განუვითარდეს კანონის, სხვა ადამიანთა შრომის და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისა და ნორმების პატივისცემის გრძნობა; ასევე, დაწესებულებაში მსჯავრდებულთა შორის ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა; მსჯავრდებულის განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება; მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადება და სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაცია. ასევე განმარტებულია, რომ რეაბილიტაციის ხარისხი გათვალისწინებული იქნება მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში, რაც გარკვეულ-

⁷⁰³ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-2 მუხლი, მე-3 ნაწილი, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0> [03.04.2024].

⁷⁰⁴ OSCE/ODIHR, PRI, სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, 2018, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2018/07/MR_Guidance_Doc_Georgian_Web.pdf [01.04.2024].

⁷⁰⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის მე-9 მუხლი.

წილად მოტივატორის როლსაც შეიძლება ასრულებდეს.⁷⁰⁶

კოდექსის დათქმები, სარეაბილიტაციო პროგრამების მიზნებთან დაკავშირებით, შეესაბამება მინიმალურ სტანდარტულ წესებს, სადაც განმარტებულია, რომ პატიმრებთან მოპყრობამ ხელი უნდა შეუწყოს არა მათ გარიყვას საზოგადოებისგან, არამედ მათ მუდმივ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად პატიმრებთან მუშაობის პროცესში უნდა ჩაერთონ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რათა დაეხმარონ ციხის პერსონალს პატიმრების სოციალური რეაბილიტაციის საქმეში.⁷⁰⁷

აქვე უნდა იქნეს განხილული მიდგომები სარეაბილიტაციო პროგრამების მოწყობასთან დაკავშირებით. კოდექსით დადგენილია, რომ, პირველ რიგში, სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების კოორდინირების მიზნით დაწესებულებაში განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი. ასევე, ადგილი ეთმობა თანამშრომლობას სხვა სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებთან.⁷⁰⁸

აღსანიშნავია დათქმა სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის ნებაყოფლობითობასთან და მის პროცედურებთან მიმართებით. ხაზგასმულია, რომ მსჯავრდებული სარეაბილიტაციო პროგრამაში საკუთარი თანხმობით მონაწილეობს. ასევე სარეაბილიტაციო მუშაობა მსჯავრდებულთან ტარდება მისი პიროვნული თვისებებისა და ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით. ასეთი მიდგომა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც წარმატების მიღწევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, ვინაიდან პროგრამას არ აქვს სავალდებულო ხასიათი.⁷⁰⁹

ამ დასკვნების არგუმენტად შეიძლება მოვიყვანოთ ე. კოილის განმარტება, რომ „რეპრესიული უსაფრთხოების ზომები, გამორიცხავს რეაბილიტაციას“.⁷¹⁰

ევროპული პენიტენციური წესები შესავალ ნაწილშივე ადგილს უთმობს სარეაბილიტაციო პროგრამების მნიშვნელობას და განსაზღვრავს იმ საჭიროებებს, რომლებიც თან ახლავს სასჯელის აღსრულების პროცესს, კერძოდ, საპატიმრო სასჯელების აღსრულება და პატიმრებთან მოპყრობა საჭიროებს უსაფრთხოების, უშიშროებისა და დისციპლინის საკითხების გათვალისწინებას, ასევე წესებით განსაზღვრულია ციხის პირობების უზრუნველყოფა, რომელსაც უკავშირებს რეაბილიტაციას და აღნიშნავს, რომ ის არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის ღირსებას, არამედ უნდა იძლეოდეს პატიმართათვის სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის და დასაქმების საშუალებას. აქვე განმარტებულია ამ პროგრამების მთავარი მიზანი, რომელიც მოიცავს მსჯავრდებულთა მომზადებას საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის.⁷¹¹

სარეაბილიტაციო პროგრამების ტექნიკურ უზრუნველყოფასა და დროის ორგანი-

⁷⁰⁶ იქვე, 136-ე მუხლი.

⁷⁰⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 88, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁷⁰⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 137-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

⁷⁰⁹ იქვე, მეოთხე და მეხუთე ნაწილი.

⁷¹⁰ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 63, https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf, [01.04.2024].

⁷¹¹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, შესავალი, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

ზებასთან მიმართებით კოდექსით განსაზღვრულია დროის დაგეგმვის პროცესი, რომ ის გაწერილი უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დღის განრიგში. აქვე განხილულია ტექნიკური უზრუნველყოფის გარანტიები, კერძოდ, სარეაბილიტაციო პროგრამის ორგანიზებისთვის დაწესებულებაში უნდა შეიქმნას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იქნებიან სათანადო სპეციალისტები.⁷¹²

პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ სრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით უნდა მოხდეს შესაბამისი რისკისა და საჭიროებების შეფასება, აგრეთვე ინდივიდუალური გეგმის მომზადება, განხორციელება და მონიტორინგი, რაც განსაზღვრულია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.⁷¹³

სასჯელის დაგეგმვას ეხმიანება ასევე სახელმძღვანელო მანდელას წესების შესახებ, სადაც სასჯელის დაგეგმვის მიზნად განსაზღვრულია პატიმრის რეაბილიტაცია საზოგადოებაში მისი ხელახალი ინტეგრაციის მიზნით, რაც ხორციელდება დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი ძირეული მიზეზების აღმოფხვრის გზით. სასჯელის დაგეგმვის მთავარ მიზნად სწორედ მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო და რეინტეგრაციის პროგრამების ხელშეწყობა სახელდება, რომელიც შესაძლოა შეიცავდეს საგანმანათლებლო და სასწავლო, ასევე ნარკოტიკულ საშუალებებზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულების პროგრამებს. სარეაბილიტაციო პროგრამებთან მიმართებით ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორცაა პირადი ურთიერთობები, ოჯახის გაერთიანება და ბრახის მართვა. აღსანიშნავია, რომ სასჯელის დაგეგმვა მიმდინარე პროცესია და ის პერიოდულად უნდა გადაიხედოს მსჯავრდებულის საჭიროების მიხედვით.⁷¹⁴

კოდექსში ყურადღება ეთმობა რიგ კონკრეტულ პროგრამებს, როგორცაა ოპიოიდებზე დამოკიდებული პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამა, რომლის განხორციელების წესს განსაზღვრავს შესაბამისი ბრძანება.⁷¹⁵ ასევე, ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირის რეაბილიტაციის პროგრამები, რომლის ფარგლებში სამსახურის ორგანიზებით ტარდება ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსები.⁷¹⁶

ციხეში სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების სახელმძღვანელო იძლევა ციხეში დაფუძნებული სარეაბილიტაციო პროგრამების სახეებს და ადგენს მათი ურთიერთკავშირის მნიშვნელობას, საიდანაც ნათლად იკვეთება, რომ სარეაბი-

⁷¹² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 137-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები.

⁷¹³ სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 თებერვლის #502 ბრძანება.

⁷¹⁴ OSCE/ODIHR, PRI, სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, 2018, გვ. 24, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2018/07/MR_Guidance_Doc_Georgian_Web.pdf [01.04.2024].

⁷¹⁵ პენიტენციურ დაწესებულებებში ოპიოიდებზე დამოკიდებული პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 14 ივლისის N92 ბრძანება.

⁷¹⁶ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 137-ე მუხლის მეშვიდე და მეცხრე ნაწილები.

ლიტაცით პროცესი არ არის განცალკევებით მდგომი, არამედ ის მოიცავს პროგრამების კომპლექსს, როგორცაა განათლება, პროფესიული განვითარება, ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა და ქცევის კორექცია.⁷¹⁷

პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა რეაბილიტაციის პროგრამები

რეაბილიტაციის საბოლოო შედეგი: პატიმრების აღჭურვა გათავისუფლების შემდგომი ცხოვრებისთვის.

პენიტენციურ დაწესებულებაში მხოლოდ პატიმართა რეაბილიტაციის პროგრამების გრაფაში მოცემული კომპლექსური მიდგომის შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიღწეული პატიმრის რეაბილიტაცია, რომლის შედეგი იქნება პატიმრის ეფექტიანი რეინტეგრაცია საზოგადოებაში.

ე. კოილი განმარტავს, რომ რეაბილიტირებულად ითვლება არა ის პატიმარი, რომელიც ისწავლის ციხის პირობებში უკეთ გაძლებას, არამედ პირი, რომელიც გათავისუფლების შემდგომ ციხის გარეთ არსებულ სამყაროში მიაღწევს წარმატებას. თუ სასჯელაღსრულების ორგანოები პრიორიტეტად დაისახავენ იმავე სტანდარტს, რომელსაც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი პატიმრების „რეფორმირებასა და სოციალურ რეაბილიტაციას“ უწოდებს, მაშინ ციხეში აქტივობებს საფუძვლად უნდა დაედოს პატიმრების იმ რესურსებითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა, რომლებიც მათ ციხის გარეთ ცხოვრებისთვის დასჭირდებათ. რას გულისხმობს ავტორი ამ განმარტებაში? ის განმარტავს, რომ პატიმრების მიერ ციხეში შესრულებული სამუშაო უნდა უკავშირდებოდეს ციხის გარეთ დასაქმების შესაძლებლობას. პატიმრები უნდა აღიჭურვონ იმ უნარებითა და შესაძლებლობებით, რომლებიც მათ დაეხმარებათ გათავისუფლების შემდგომ საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენაში. ამასთან, მათ უნდა დაეხმარონ იმ დისკრიმინაციული მიდგომების დაძლევაში, რომლებიც, სავარაუდოდ, ყოფილ პატიმრებს შეხვდებათ გათავისუფლების შემდგომ სამუშაოს ძებნის ეტაპზე.⁷¹⁸

ბ. რელიგიურ დონისძიებებში მონაწილეობის უფლება

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა და მისი შეზღუდვა დაუშვებელია ნებისმიერი ადამიანისთვის, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა.⁷¹⁹ კონსტიტუციით დადგენილი რწმენის თავისუფლება წარმოადგენს რელიგიის თავისუფლების გარანტს საქართველოში, ასევე რელიგიის თავისუფლება საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებაა და მისი შეზღუდვა დაუშვებლად არის მიჩნეული. კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის თანახმად, ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. „ყველა“ პირში მოიაზრება ნებისმიერი ადამიანი, მისი დროებითი სტატუსის მიუხედავად. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებასაც.⁷²⁰

⁷¹⁷ Roadmap for the Development of Prison-based Rehabilitation Programmes, 2017, https://www.unodc.org/documents/middleeastandnorthafrica/2018/Roadmap_for_the_Development_of_Prison-based_Rehabilitation_Programmes_ENG.pdf [01.04.2024].

⁷¹⁸ A. Coyle, H. Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018, 93 https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [01.04.2024].

⁷¹⁹ საქართველოს კანონი, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი და მეორე პუნქტი.

⁷²⁰ ბ. ლოლაძე, ა. ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარები, 2023, გვ. 358, რწმე-

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს პირის უფლება ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამყდავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით.⁷²¹ ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია არ გამორიცხავს გარკვეული შეზღუდვების დაწესებას, რომელიც უნდა იყოს მხოლოდ უკიდურესი ღონისძიება და ის დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.⁷²²

რელიგიის თავისუფლებას ადგილს უთმობს ასევე „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ პაქტი, სადაც განმარტებულია, რომ თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიას და მრწამსს, როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძოდ, ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით და მოძღვრებითა და სწავლებით. ასევე „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ პაქტი, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, ადგენს შეზღუდვებს რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით, მაგრამ როგორც უკიდურეს ღონისძიებას.⁷²³

საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს ასევე ესატყვისება პენიტენციური კოდექსი, რომელშიც განხილულია პატიმართა უფლება მონაწილეობა მიიღოს სპორტულ, კულტურულ და რელიგიურ ღონისძიებებში. ასევე კოდექსში ადგილი აქვს დათმობილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის წესს, სადაც განმარტებულია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ რიტუალებში და შეხვდეს სასულიერო პირებს, თან იქონიოს და გამოიყენოს რელიგიური ლიტურატურა და საკულტო საგნები.⁷²⁴

ნის თავისუფლებაში მოიაზრება ადამიანის თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი რელიგიური და მსოფლმხედველობრივი განვითარების მიმართულებები. ამდენად, ის არ შემოიფარგლება მხოლოდ რელიგიის თავისუფლებით, აქვს ფართო მიზანრისი და მოიცავს როგორც რელიგიურ (ქრისტიანობა, იუდაიზმი, ისლამი, ბუდიზმი, კრიშნაიზმი, ზოროასტრიზმი, იეჰოვას მოწმეობა, ალევინიზმი, სიკჰიზმი და ა. შ.), ასევე არარელიგიურ (პაფიფიზმი, ვეგანიზმი, აგნოსტიციზმი, ათეიზმი, აბორტიონალიზმი წინააღმდეგობა და ა. შ.) რწმენას - რელიგიისათვის უცხო ან მისგან თავისუფალ მსოფლმხედველობას.

⁷²¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-9 მუხლი, იხ. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi91.pdf> [03.04.2024].

⁷²² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-9 მუხლი, იხ. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi91.pdf> [03.04.2024].

⁷²³ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-18 მუხლი, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0> [03.04.2024].

⁷²⁴ საქართველოს კანონის პენიტენციური კოდექსის 96-ე მუხლი და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის N187 ბრძანება.

რაც შეეხება ბრძანებას რელიგიის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, აქ უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილია, თუ რომელი კონფესიის წარმომადგენელს აქვს ციხეში ვიზიტის უფლება და ის არ წარმოადგენს მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიას. კერძოდ, ბრძანებაში ნათქვამია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია შეხვდეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის, აგრეთვე რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის და ტრადიციული კონფესიების წარმომადგენელს.⁷²⁵

აქვე მნიშვნელოვანია ევროპული ციხის წესების რეგულირება რელიგიურ ღონისძიებებთან მიმართებით, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კვების უზრუნველყოფაზე, როგორც სხვა ფაქტორების ისე რელიგიის გათვალისწინებით. განმარტებულია, რომ „პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით“.⁷²⁶

პენიტენციური წესები ციხის ადმინისტრაციებს მოუწოდებს პატივი სცენ პატიმართა აზრს, სინდისსა და რელიგიის თავისუფლებას. ასევე აძლევს რეკომენდაციას, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული ციხეებში რელიგიის თავისუფლება: ციხეების რეჟიმი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ პატიმრებს შეძლებისდაგვარად მიეცეთ საშუალება მისდიონ საკუთარ რელიგიას და დაესწრონ აკრედიტებული წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ ღვთისმსახურებასა და შეხვედრებს. ასევე, საკუთრებაში იქონიონ თავიანთ რელიგიასთან ან მრწამსთან დაკავშირებული ლიტერატურა ან წიგნები.⁷²⁷

კანონმდებლობა ასევე ადგენს ლიტერატურის შეძენასთან დაკავშირებულ მიდგომებს, რაც უნება არა მხოლოდ რელიგიურ ლიტერატურას, არამედ საგანმანათლებლო, კულტურულ და სამეცნიერო ლიტერატურას და მისი შეძენის ფორმებსა და მეთოდებს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საკუთარი სახსრებით გონივრული ოდენობით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, მიიღოს საწერი საშუალებები.⁷²⁸

ერთ-ერთი უმთავრესი დათქმა, რომელსაც პენიტენციური წესები ადგენს, არის პატიმართა დაცვა იძულებისაგან, მისდიონ რელიგიას ან სარწმუნოებას, დაესწრონ ღვთისმსახურებას ან შეხვედრებს, მიიღონ მონაწილეობა რელიგიურ ცერემონიაში ან შეხვდნენ რომელიმე რელიგიის ან სარწმუნოების წარმომადგენლებს.⁷²⁹ განსხვავებულია მიდგომა რელიგიასთან მიმართებით მანდელას წესებში და ის არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელშიც საუბარია ციხეში რელიგიის წარმომა-

⁷²⁵ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის N187 ბრძანების მე-2 მუხლი.

⁷²⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 22.1, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁷²⁷ იქვე, წესი 29.2.

⁷²⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 118-ე მუხლის მეექვსე ნაწილი.

⁷²⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 29.3, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

დგენლის დანიშვნაზე. წესებში განმარტებულია, რომ თუ ციხეში განთავსებული არიან საკმარისი რაოდენობის ერთი რელიგიის პატიმრები, შეიძლება დაინიშნოს ან დამტკიცდეს ამ რელიგიის წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ერთი რელიგიის წარმომადგენელთა რაოდენობა იმდენად მალალია, რომ ამართლებს ამ გადაწყვეტილებას და ასევე დაწესებულების პირობები იძლევა ამის შესაძლებლობას, რელიგიის წარმომადგენელი უნდა დაინიშნოს სრულ განაკვეთზე. წესებში ასევე განმარტებულია ის უფლებამოსილება, რომელიც ამ დაინიშნულ პირს უნდა მიეცეს დაწესებულებაში: მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა ჩაატაროს რელიგიური რიტუალები და შეხვდეს თავისი რელიგიის წარმომადგენელ პატიმრებს პირისპირ. წესებში ასევე დადგენილია რელიგიის ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობა ყველა პატიმრისთვის; არცერთ პატიმარს არ შეიძლება უარი ეთქვას რელიგიის წარმომადგენელთან შეხვედრაზე. ასევე, წესები იცავს პატიმრებს რაიმე სახის იძულებისაგან რელიგიასთან მიმართებით: თუ პატიმარი უარს ამბობს რელიგიის წარმომადგენელთან შეხვედრაზე, პატივი უნდა სცენ მის სურვილს.⁷³⁰

რელიგიის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით შესაძლებელია განხილულ იქნეს ევროპის სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა. მაგალითად, საქმეში „პოლტორაკი უკრაინის წინააღმდეგ“ (POLTORATSKIY v. UKRAINE) დაირღვა პატიმრის (განმცხადებლის) უფლება რელიგიის წარმომადგენლის ვიზიტთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სასამართლოს დამოკიდებულება: მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეში კომისიამ ვერ შეძლო საკმარისი სიცხადით დაედგინა, ითხოვეს თუ არა განმცხადებელმა ან მისმა მშობლებმა ნებართვა ეროვნული ხელისუფლებისგან პატიმრის (განმცხადებლის) მოძღვართან შეხვედრის შესახებ 1998 წლის 22 დეკემბრამდე - ანუ, სავარაუდოდ, ვერ იქნა აღმოჩენილი ოფიციალური დარეგისტრირებული განცხადება მოძღვართან შეხვედრის მოთხოვნის თაობაზე - კომისიამ ზეპირი ჩვენებებისა და მიწოდებული მასალის საფუძველზე დაადგინა, რომ განმცხადებელს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო ყოველკვირულ რელიგიურ მსახურებაში, რომელიც ხელმისაწვდომი იყო სხვა პატიმრებისთვის და რომ მას ფაქტობრივად მოძღვართან ვიზიტი არ ჰქონია 1998 წლის 26 დეკემბრამდე. კომისიის დასკვნის საფუძველზე მოცემულ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს გარემოება იყო განმცხადებლის „...რელიგიის ან რწმენის „თავისუფლებაში ჩარევა“, ასეთი ჩარევა კი ეწინააღმდეგება კონვენციის მე-9 მუხლის⁷³¹ დათქმებს.⁷³²

⁷³⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 65, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRINelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [01.04.2024].

⁷³¹ აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი 1990, მე-9 მუხლი, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, „ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით“.

⁷³² ECtHR CASE OF POLTORATSKIY v. UKRAINE, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22item-id%22:%7B%22001-4476%22%7D>

ბ. კულტურულ და სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა

კულტურულ და სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა, ისევე როგორც რელიგია და სარეაბილიტაციო პროგრამები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პატიმრის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებაში და მის მომზადებაში თავისუფლებაში დასაბრუნებლად. მანდელას წესებში განმარტებულია, რომ ყველა ციხეში, რომელშიც მოაზრებულია ნებისმიერი დაწესებულება, მისი უსაფრთხოების ხარისხის მიუხედავად, გათვალისწინებული უნდა იყოს რეკრეაციული და კულტურული აქტივობები პატიმართა ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობისთვის.⁷³³

კოდექსში ძალიან მწირია რეგულაციები კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში პატიმართა მონაწილეობის შესახებ და ის პატიმართა უფლებების ნაწილში მხოლოდ ერთ პუნქტში გვხვდება.⁷³⁴

საერთაშორისო სტანდარტები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მნიშვნელობას, მაგალითად მინიმალურ სტანდარტულ წესებში მითითებულია, რომ ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი მაინც ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას. ამასთან, წესები იძლევა რეკომენდაციას, რომ უამინდობა არ უნდა იყოს ვარჯიშისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი და განმარტავს, რომ ავდრის პირობებში, პატიმრებს ალტერნატიული შესაძლებლობა უნდა მიეცეთ სავარჯიშოდ.⁷³⁵

მინიმალური წესების თანახმად, ასეთი ღონისძიებები უნდა იყოს ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი და არა წამახალისებელი ნაბიჯი ადმინისტრაციის მხრიდან. სათანადოდ ორგანიზებული ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს სიჯანსაღეს და უზრუნველყოფს ფიზიკურ ვარჯიშსა და დასვენებას, უნდა წარმოადგენდეს რეჟიმის განუყოფელ ნაწილს და პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია ხელს უნდა უწყობდეს მსგავს ღონისძიებებს შესაბამისი აღჭურვილობისა თუ ბაზის უზრუნველყოფის მეშვეობით.⁷³⁶

წესებში ადგილი აქვს დათმობილი რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც სასჯელის მოხდის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად ნებისმიერ დაწესებულებაში უნდა იყოს დარეგულირებული. პირველ რიგში ესაა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატიმრები, კერძოდ კი დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ასეთი ღონისძიებების ორგანიზების საკითხები იმ პატიმართათვის, რომლებიც ამას საჭიროებენ. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ეს შესაძლებლობა არ იყოს მიცემული პატიმრისათვის სხვა პატიმრებისაგან იზოლირებულ პირობებში და პატიმრებს ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძ-

⁷³³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 105, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson-Mandela-Rules-Short-Guide-Geo-final.pdf> [01.04.2024].

⁷³⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 94-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

⁷³⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 27.1, 27.2, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

⁷³⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 27.3, 27.4 იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

ლებლობა უნდა მიეცეთ ვარჯიშისა და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს.⁷³⁷

რელიგიურ, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებთან მიმართებით უნდა გამოიყოს პენიტენციური კოდექსისა და ქართული პრაქტიკის ხარვეზი, რამდენადაც მასში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ასეთ ღონისძიებებზე შშმ პატიმართა ხელმისაწვდომობა, რაც უნდა ასახავდეს როგორც ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, ასევე სპეციალურ პროგრამებს აღნიშნული პირებისთვის. ექსპერტთა კვლევებში განხილულია საქართველოში არსებული პრაქტიკა, ვარჯიშის, სპორტისა და სხვა აქტივობებში პატიმართა ჩართულობისა და მისი შედეგების კუთხით. პენიტენციური სისტემის საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში დეტალურად არის გაწერილი მსგავსი ღონისძიებები, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციები მიუთითებენ, სახელმწიფომ გაითვალისწინოს შშმ პირთა საჭიროებების მიზანშეწონილობა, რაზეც კანონმდებლობაში ყურადღება გამახვილებული არ არის. მიუხედავად აღნიშნული ხარვეზისა, ახლად მიღებული პენიტენციური კოდექსი კვლავ ყურადღების მიღმა ტოვებს ამ სფეროს. ნაშრომში ასევე მითითებულია, რომ წამების საწინააღმდეგო კომიტეტი თავის ანგარიშში მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა სახის პროგრამები ყველა კატეგორიის პატიმრისათვის.⁷³⁸

სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას წარმოაჩენს ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელშიც სასამართლოს მიერ განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ საფუძველს სწორედ სპორტულ აქტივობებზე ხელმისაწვდომობის გაუმართლებელი არქონა წარმოადგენდა. საქმეში „ჩიულეგი უნგრეთის წინააღმდეგ“ (CSÜLLÖG v. HUNGARY) განმცხადებელი მოთავსებული იყო სპეციალურ განყოფილებაში (სამარტოო საკანში). მოცემული რეჟიმის ქვეშ მყოფ პატიმრების საცხოვრებელი პირობები იყოს საკმაოდ შეზღუდული, კერძოდ, მათ შეეძლოთ მნახველებს შეხვედროდნენ უსაფრთხოების სპეციალურ ოთახებში, საკვებს იღებდნენ ცალკე; მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლება სპეციალურ ტერიტორიაზე განცალკევებით, რაც, როგორც ევროპულ პენიტენციურ წესებში აღინიშნა, წარმოადგენს მიუღებელ ფორმას. მოცემულ განყოფილებაში მოთავსებულ პირებს არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება კულტურულ ან სპორტულ ღონისძიებებში სხვა პატიმრებთან ერთად; მათ შეეძლოთ მხოლოდ ტელევიზორის ყურება, რადიოს მოსმენა, კითხვა, სპორტით დაკავება ან თავიანთი რელიგიური რიტუალების ჩატარება განცალკევებით საკნებში.⁷³⁹

მოცემულ საქმეში სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ხელისუფლების მიერ არ იყო წარმოდგენილი არსებითი მიზეზები სამარტოო პატიმრობის გამოყენების ან მისი გაგრძელების შესახებ. ამდენად, სასამართლო განმარტავს, რომ დასაბუთების არარსებობის შემთხვევაში, სადავო შეზღუდვა უნდა იქნეს აღ-

⁷³⁷ იქვე, წესი 27.5, 27.7.

⁷³⁸ ზ. ხასია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელაღსრულების სისტემაში, 2023, გვ. 217-218, იხ. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Oct/books/Khasia-standards-and-practicies-ge.pdf> [01.04.2024].

⁷³⁹ ECHR, CSÜLLÖG v. HUNGARY, <https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22itemid%22:%5B%22001-104963%22%5D> [30.03.2024].

ქმული, როგორც თვითნებური გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება უკანონოდ ანუ თვითნებურად გამოყენებულ შემაკავებელ ზომებთან მიმართებით, რომ ასეთი ზომების გამოიყენება დაუცველი პირების მიმართ, როგორებიც არიან პატიმრები, აუცილებლად განაპირობებს დამონების, უძღურებისა და, შესაბამისად, დამცირების განცდას. სასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ხელისუფლებამ არ გამოიყენა რაიმე ზომა გაჭიანურებული სამართლო პატიმრობის ნეგატიური ზემოქმედების დასაძლევად პატიმრის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე.⁷⁴⁰

9.2.8. შრომისა და ინდივიდუალური საქმიანობის განხორციელების უფლება

პენიტენციური კოდექსის მიხედვით, მსჯავრდებულის/ბრალდებულის მიერ შეიძლება განხორციელდეს სამი სახის შრომითი საქმიანობა, რომელიც ფინანსური (და არა მარტო) მოგების მომტანი იქნება პატიმრისთვის. ეს საქმიანობებია: ინდივიდუალური საქმიანობა, სამეურნეო საქმიანობა და დასაქმება პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ CPT სტანდარტის თანახმად, არ არსებობს განსხვავება ბრალდებულისა და მსჯავრდებულის შრომის ანაზღაურებას შორის. 1990 წელს მალტაში ვიზიტის დროს CPT-ს წარმომადგენლებმა დაადგინეს, რომ ბრალდებულები არ იღებდნენ ანაზღაურებას, რაც დაუშვებელია.⁷⁴¹

• ინდივიდუალური საქმიანობა

პენიტენციური კოდექსი ზუსტად არ განსაზღვრავს მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა ინდივიდუალური საქმიანობის წესს. პატიმრის ინდივიდუალურ საქმიანობას განსაზღვრავს ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაციის და ამ მიზნით ინდივიდუალური საქმიანობის გაწვევის წესის დამტკიცების შესახებ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 14 ივლისის 91-ე ბრძანება.

ამ ბრძანების თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს დაწესებულების დირექტორის ბრძანებით ახორციელებდეს ინდივიდუალურ საქმიანობას, რაც ამ წესის მიზნებისთვის გულისხმობს ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს, ასევე, ჰქონდეს საქმიანობისთვის საჭირო ინვენტარი და სამინისტროს ხელშეწყობით შეძლოს ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაცია.

• სამეურნეო საქმიანობა

პენიტენციური კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის ჩარიცხვა ფორმდება ამ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. სამეურნეო სამუშაოების შესრულებისთვის მსჯავრდებულს მიეცემა ანაზღაურება. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია შექმნას მსჯავრდებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემო.

⁷⁴⁰ იქვე.

⁷⁴¹ 6. მჭედლიძე, სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი, 2019, გვ. 369.

2023 დეკემბრის თვეში პენიტენციურ სისტემაში განთავსებული 8 085 მსჯავრდებულიდან პენიტენციური დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული იყო 451 მსჯავრდებული, საიდანაც 402 იყო მამაკაცი და 49 ქალი.⁷⁴² არასრულწლოვანი მსჯავრდებულები სამეურნეო სამსახურში ჩართულები არ არიან.

2023 დეკემბრის თვეში 451 მსჯავრდებულმა 87 158.79 ლარი მიიღო ხელფასის სახით, რაც ერთ მსჯავრდებულზე 193,25 ლარს ნიშნავს.

აღნიშნული თანხა კარგი საშუალებაა მსჯავრდებულის მიერ ისეთი ნივთების შეძენისთვის, რომლებიც მას სჭირდება (სიგარეტი, ყავა და ა. შ.).

- **დასაქმება პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში**

პენიტენციური კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება დასაქმდეს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან/და მის გარეთ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ საწარმოში. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში, როგორც წესი, დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ ბრალდებული/მსჯავრდებული. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც, საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა ისეთი სამუშაოს შესრულება, რომლის შესაბამისი კვალიფიკაცია ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ აქვს, ან როდესაც ასეთი კვალიფიკაციის ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოკლე დროში მომზადება შეუძლებელია, ან როდესაც სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიიდან სისტემატური გასვლა, შესაძლებელია საწარმოში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ იქნეს პირი, რომელიც არ არის ბრალდებული ან მსჯავრდებული. ბრალდებული/მსჯავრდებული საწარმოში დასაქმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პენიტენციური დაწესებულების ორგანიზაციული მონაწილეობით. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, პენიტენციური დაწესებულების მიერ შეთავაზებული სამუშაოებიდან ამოირჩიოს მისთვის შესაფერისი სამუშაო. საწარმოსა და სამსახურს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც საწარმო იღებს ვალდებულებას, რომ ის საქმიანობას განახორციელებს იმ პენიტენციური დაწესებულების დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც ფუნქციონირებს. ასეთივე ვალდებულება ეკისრება საწარმოში დასაქმებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს. ეს ვალდებულება უნდა აისახოს მის მიერ საწარმოსთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში.

2023 წლის 31 დეკემბრის თვეში პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებში განთავსებული იყო 9 868 პატიმარი (ბრალდებული/მსჯავრდებული), რომელთაგან ამ კონკრეტულ დეკემბრის თვეში დასაქმებული იყო 963 (დასაქმება სამეურნეო სამსახურში - 451; დასაქმება (VETCI) – 21; დასაქმება სხვა - 173; შრომა - 318).⁷⁴³

- **პატიმრის დასაქმების საკითხი ევროპული ციხის წესების მიხედვით**

ევროპული ციხის წესები პირდაპირ საუბრობს პატიმართათვის სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის და დასაქმების აუცილებლობაზე, რითაც ხდება პა-

⁷⁴² <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/825/dekemberi> [10.03.2024].

⁷⁴³ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/825/dekemberi> [12.03.2024].

ტიმრის მომზადება საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის.⁷⁴⁴ ევროპული ციხის წესების 26-ე მუხლი პატიმრების დასაქმებას/მუშაობას უხედა. ამ მუხლის მიხედვით: ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს პატიმრების უზრუნველყოფას საკმარისი სასარგებლო სამუშაოთი; პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს; სამუშაო, რომელიც ასევე მოიცავს პროფესიულ სწავლებას, უნდა მიეცეს პატიმრებს, რომლებსაც შეუძლიათ მისგან სარგებლობის მიღება და განსაკუთრებით, ახალგაზრდა პატიმრებს; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები შეძლებისდაგვარად მიახლოებული უნდა იყოს საზოგადოებაში არსებულ სამუშაო სტანდარტებთან, რათა მოხდეს პატიმართა მომზადება ჩვეულებრივი პროფესიული ცხოვრებისათვის; სამუშაოს პატიმრებისთვის უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობა ან საკუთარი სახსრებით ან კერძო კონტრაქტორებთან თანამშრომლობით, როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ისე მის გარეთ; ყველა შემთხვევაში უნდა ხდებოდეს პატიმართა სამუშაოს სამართლიანი ანაზღაურება; პატიმრებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, რომ მათ მიერ გამომუშავებული ანაზღაურების ნაწილი მაინც დახარჯონ საკუთარი მოხმარებისთვის დამზებული საგნების შესაძენად, ასევე ანაზღაურების ნაწილი გამოუყონ საკუთარ ოჯახს; შეიძლება პატიმრების წახალისება, რომ მათ გამომუშავებული ანაზღაურების ნაწილი დაზოგონ, რომელიც გათავისუფლებისას გადაეცემათ ან გამოყენებული იქნება სხვა შეთანხმებული მიზნებისათვის; პატიმრების შრომისას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომები დაცული უნდა იყოს ადეკვატურად და არ უნდა იყოს ნაკლებად მკაცრი, ვიდრე ციხის გარეთ მომუშავეთათვის.

• **პატიმრის დასაქმება „ნელსონ მანდელას წესების“ მიხედვით**

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები ე. წ. „ნელსონ მანდელას წესები“ (წესი 96-103) ითვალისწინებს პატიმრის შრომასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, „ნელსონ მანდელას წესების“ თანახმად, პატიმრები დაკავებული უნდა იყვნენ სასარგებლო შრომით იმდენი საათის განმავლობაში, რომ შეივსოს ნორმალური სამუშაო დღე; პატიმართა შრომა არ უნდა იყოს მტკიცუნეული; პატიმარი არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან არ უნდა იყოს იძულებითი შრომის მსხვერპლი; დაუშვებელია, რომელიმე პატიმრის შრომა ციხის რომელიმე თანამშრომლის პირადი სარგებლის მიზნით; პატიმრებისთვის მიცემული სამუშაო, შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს ისეთი, რომ აუმაღლოს ან მიანიჭოს მათ კვალიფიკაცია, რომელიც გათავისუფლების შემდეგ მისცემს კეთილსინდისიერი შრომის შესაძლებლობას; სასარგებლო ხელობის სწავლებისას ყურადღება უნდა მიექცეთ იმ პატიმრებს, რომლებიც საამისოდ დიდ მონდომებასა და უნარს ამჟღავნებენ, განსაკუთრებით კი - არასრულწლოვნებს; სამუშაო მეთოდები და ორგანიზება უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების ფარგლებს გარეთ არსებულ სამუშაოს, რათა მოხდეს პატიმრების თანდათანობითი მომზადება საზოგადოებასთან ინტეგრირებისთვის; უმჯობესია, რომ ციხეში სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელმძღვანელობა ხორციელდებოდეს უშუალოდ

⁷⁴⁴ ევროპული ციხის წესების 2006 წლის რეკომენდაციის შესავალი ნაწილი.

ციხის ადმინისტრაციის და არა კერძო კომპანიების მიერ; უსაფრთხოების წესები, რომელიც ითვალისწინებს მუშაკთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, გათვალისწინებულია ყველა დაწესებულებაში; სამუშაო დრო უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ პატიმრებს ჰქონდეთ კვირაში ერთი დასვენების დღის საშუალება, სწავლისათვის და სხვა სახის საქმიანობისათვის საკმარისი თავისუფალი დრო, რაც აუცილებელია, მათი გამოსწორებისათვის; პატიმრებმა უნდა მიიღონ თავისი შრომის სამართლიანი ანაზღაურება გარკვეული სისტემის ფარგლებში. ამ სისტემის შესაბამისად, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება დახარჯონ მათ მიერ გამოიმუშავებული ფულის ნაწილი მაინც, რათა შეიძინონ პირადი მოხმარების კანონით დაშვებული ნივთები და გაუგზავნონ თავისანთი ანაზღაურების ნაწილი ოჯახს. ეს სისტემა ასევე უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ პატიმრის მიერ გამოიმუშავებული ფულის ნაწილი შესაძლებელია მიეცეს ადმინისტრაციას, რომელიც გადასცემს პატიმარს ამ თანხას მისი გათავისუფლებისას.

- **პატიმრის შრომა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (BVerGE 98.169)**

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წელს განიხილა პატიმრის შრომასთან დაკავშირებული საკითხი (BVerGE 98.169). სასამართლოს თანახმად, „კონსტიტუციის მოთხოვნების მიხედვით, სასჯელადსრულების სისტემა უნდა ემსახუროს პატიმრის რესოციალიზაციის მიზანს. ნებისმიერ პატიმარს აქვს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა [ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რამდენადაც აღნიშნული არ ხელყოფს სხვათა უფლებებს და არ არღვევს კონსტიტუციურ წყობილებას ან ზნეობრივ ნორმებს] და პირველი მუხლის პირველი პუნქტით [ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. მისი პატივისცემა და დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა] გათვალისწინებული უფლება, მოითხოვოს, რომ მისთვის ყველანაირი აღმჭურავლი ღონისძიებების შეფარდებისას გათვალისწინებულ იქნეს ზემოთ აღნიშნული მიზანი [რესოციალიზაცია] და დაკმაყოფილდეს კონსტიტუციის მოთხოვნები“.⁷⁴⁵

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, „სასჯელადსრულების ფარგლებში პატიმრისათვის დაკისრებული სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაშია რესოციალიზაციის ეფექტიანი საშუალება, როდესაც შესრულებული სამუშაო სათანადოდ არის აღიარებული. აღიარება არ უნდა გამოიხატებოდეს აუცილებლად ფინანსურ მხარეში, იგი გულისხმობს პატიმრისათვის ხელმისაწვდომი და საგრძნობი სარგებლის სახით რეგულარული სამუშაოს პრიორიტეტების გაზიარებასა და ჩვენებას, რომელიც მან შესაძლოა, განახორციელოს მომავალში - არადა-ნაშაულებრივი, დამოუკიდებელი და პატიოსანი ცხოვრების პერიოდში. როდესაც პატიმარს შეუძლია, განახორციელოს პირადად მის მიერ მიზანშეწონილად და სასარგებლოდ მიჩნეული საქმიანობა, კანონმდებელს მხოლოდ მაშინ შეუძლია მიიჩნიოს, რომ პატიმრისათვის სავალდებულო სამუშაოს დაკისრება ეფექტიანი საშუალებაა მისი რესოციალიზაციათვის.

ამ დროს პატიმარი აღნიშნული ვალდებულებითა და შესაბამისი პროფესიული

⁷⁴⁵ შვაბე, ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 215.

უნარ-ჩვევების განვითარებით იღებს დადებით პირად გამოცდილებას მუშაობასთან დაკავშირებით“.⁷⁴⁶

• რესოციალიზაცია და პატიმრის შრომა

პენიტენციური კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულისთვის საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებელი წესების პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.

პატიმართა უმრავლესობისთვის თანამშრომლობითი, შესრულებაზე ორიენტირებული მუშაობა ფართო სოციალური ტრენინგია. ერთი მხრივ, საუბარია მუშაობაზე პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მსჯავრდებულის ინდივიდუალურ მოტივაციას და მუშაობისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესებას, ასევე პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას. მეორე მხრივ, არის სოციალური სწავლის სხვადასხვა მიზნის მიღწევა: ეს მოიცავს კომუნიკაციისა და კონფლიქტის განეიტრალების უნარების განვითარებას, სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდას, კრეატიულობის განვითარებას და საკუთარი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებისა და გამძლეობის უკეთ განვითარებას.⁷⁴⁷ „ბევრი პატიმრისთვის ციხეში ყოფნის დრო შეიძლება მათთვის პირველი შესაძლებლობაც კი იყოს პროფესიულ-ტექნიკური უნარ-ჩვევების შესაძენად და რეგულარული სამუშაოს საკეთებლად. მთავარი მიზანი, რის გამოც პატიმრებს მუშაობა მოეთხოვებათ, არის მათი მომზადება ციხიდან გამოსვლის შემდეგ“.⁷⁴⁸

მუშაობას, უპირველეს ყოვლისა, აქვს დადებითი ეფექტი, რადგან ყველა კომპანია ასწავლის მონაწილეებს ობიექტურობას, პუნქტუალურობასა და წესებისადმი დაქვემდებარებას. ეს ის თვისებებია, რომლებიც პატიმართა უმრავლესობას აკლია,⁷⁴⁹ და რომლებიც მსჯავრდებულს საზოგადოებაში რესოციალიზაციის შესაძლებლობას მისცემს. მსჯავრდებულთა დიდ ნაწილს სწორედ ის თვისებები აკლია, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს მათი რესოციალიზაცია. შესაბამისად, მსჯავრდებულის დასაქმებას შეუძლია მსჯავრდებულში ხელი შეუწყოს ისეთი თვისებების (კომუნიკაციისა და კონფლიქტის განეიტრალების უნარი, სოციალური პასუხისმგებლობის უნარი, კრეატიულობის განვითარების უნარი, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებისა და გამძლეობის უნარი) განვითარებას, რომლებიც მას რესოციალიზაციაში დაეხმარება. საზოგადოებაში რესოციალიზაცია სწორედ იმ უნარ-ჩვევების შექმნაზეა დამოკიდებული, რომელსაც მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში შეიძენს.

რესოციალიზაციის ერთ-ერთ კარგ საშუალებად სწორედ მსჯავრდებულის მუშაობა უნდა ჩაითვალოს. პენიტენციური კოდექსის 135-ე მუხლის მეორე ნაწილის გ) ქვეპუნქტით კანონმდებელი სწორედ დასაქმებას მიიჩნევს რესოციალიზაციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. მსჯავრდებულები შეიძლება დაავალდებულონ,

⁷⁴⁶ იქვე, 83. 216.

⁷⁴⁷ Hillebrand, J., Organisation und Ausgestaltung der Gefangenenarbeit in Deutschland. Mönchengladbach, 2009. S. 58.

⁷⁴⁸ ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, თბილისი, 2007, 83. 93.

⁷⁴⁹ Hillebrand, J., Organisation und Ausgestaltung der Gefangenenarbeit in Deutschland. Mönchengladbach, 2009. S. 58.

რომ „იმუშაონ გარკვეული გარანტიების პირობით, ესენია:

- სამუშაოს უნდა ჰქონდეს მიზანი [მათ შორის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის];
- სამუშაო უნდა დაეხმაროს მათ იმ უნარ-ჩვევების შექმნაში, რომლებიც მათ გამოადგებათ გათავისუფლების შემდეგ;
- პატიმრებს უნდა გადაუხადონ მათ მიერ შესრულებული სამუშაოსთვის;
- შრომის პირობები ძირითადად იგივე უნდა იყოს, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო სამუშაო ადგილზე, განსაკუთრებით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- შრომის საათები არ უნდა იყოს გადაჭარბებული და უნდა ტოვებდეს დროს სხვა საქმიანობებისთვის“.⁷⁵⁰

9.2.9. საარჩევნო უფლება

ხმის მიცემის უფლება არ არის პრივილეგია. ეს ნათლად ილუსტრირებულია გაერთიანებული სამეფოსა და სხვა ქვეყნების საპარლამენტო ისტორიით, სადაც საუკუნეების განმავლობაში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ნელ-ნელა გაფართოვდა ცალკეული ინდივიდებიდან და ელიტარული ჯგუფებიდან მოსახლეობის ფართო ფენებამდე, რაც მხარდაჭერილ იქნა ხელისუფლების მიერ. საყოველთაო საარჩევნო უფლება საბაზისო პრინციპი გახდა⁷⁵¹.

საყოველთაო საარჩევნო უფლების განსამტკიცებლად შესაბამისი დებულებები ჩაიდო სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტში. ამ მხრივ აღსანიშნავია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, რომლის 25-ე მუხლი ადგენს, რომ „თითოეულ მოქალაქეს მე-2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე⁷⁵² უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა: (a) მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში, როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით (b) მისცეს ხმა . . .“.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ 1996 წლის 12 ივლისს მიღებულ ზოგად კომენტარებში, კომიტეტი აცხადებს, inter alia, 25-ე მუხლით გარანტირებულ უფლებასთან დაკავშირებით: „თავიანთ ანგარიშებში მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიუთითონ და ახსნან ის საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც ართმევს მოქალაქეებს ხმის მიცემის უფლებას. ასეთი ჩამორთმევის საფუძველი უნდა იყოს ობიექტური და გონივრული. თუ მსჯავრდება დანაშაულისათვის არის ხმის მიცემის უფლების შეჩერების საფუძველი, შეჩერების ხანგრძლივობა უნდა იყოს თანაზომიერი დანაშაულისა და სასჯელისა. პირებს, რომლებსაც თავისუფლება აღკვეთილი აქვთ, მაგრამ არ აქვთ მსჯავრი დადებული, არ უნდა წაერთვათ ხმის მიცემის უფლების განხორციელების საშუალება“.

⁷⁵⁰ ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, თბილისი, 2007, გვ. 95.

⁷⁵¹ მეთიუ-მოჰინი და კლერფაუტი ბელგიის წინააღმდეგ (Matheiu-Mohin and Clerfayt v Belgium), 1987 წლის 2 მარტი, 51-ე პუნქტი.

⁷⁵² როგორცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, ქონებრივი, დაბადების ან სხვაგვარი მდგომარეობა.

სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პრაქტიკის ანალიზით დადგინდა, რომ საარჩევნო უფლება შეიძლება შეიზღუდოს შვიდი პოტენციური გარემოებით: მინიმალური ასაკის განსაზღვრით, ამომრჩევლის სულიერი აშლილობის მდგომარეობით, მოქალაქეობის მოთხოვნით, საარჩევნო ოლქში ცხოვრების ვალდებულებით, ქვეყანაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრების აუცილებლობით, უცხოეთში მცხოვრებ მოქალაქეებთან დაკავშირებული პირობებითა და პატიმრობით. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში ჩამოთვლილი შვიდი გარემოებიდან ყველაზე ხშირად პირველი ორის საფუძველზე გვხვდება საარჩევნო უფლების შეზღუდვა⁷⁵³. პატიმართათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა მომდინარეობს რწმენიდან, რომ სამოქალაქო საზოგადოება დაფუძნებულია ფუძემდებლურ ხელშეკრულებაზე, რაც ყველას ავალდებულებს, დაიცვას კანონი. ის, ვინც კანონს არღვევს, დადებულ პირობას არღვევს და მისი დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობის მიღება არასათანადოდ მიიჩნევა. პატიმართათვის საარჩევნო უფლების მიცემა ზოგიერთ პრაქტიკულ პრობლემას წარმოშობს, კერძოდ კი, როგორ და სად განახორციელონ ხმის მიცემა. პოლიტიკური უფლებების მინიჭება პატიმართათვის კამათის საგანია. თანამედროვე სასჯელაღსრულების რეჟიმის მიზანია, მოახდინოს პატიმრის რეაბილიტაცია და არა დასჯა, ხოლო პატიმართა საარჩევნო უფლების დაცვა აიოლებს მათ სოციალურ რეინტეგრაციას. ზოგიერთის მოსაზრებით, განსხვავება უნდა არსებობდეს მსუბუქი და მძიმე დანაშაულის ჩამდენ პატიმრებს შორის იმ კუთხით, რომ მხოლოდ ეს უკანასკნელნი დაექვემდებარონ არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევას.⁷⁵⁴

ქვეყნები, რომლებიც ზღუდავენ პატიმართა ხმის მიცემის უფლებას, სხვადასხვა ფორმით აკეთებენ ამას. ყველაზე აპრობირებული გზა არის საარჩევნო უფლების დაკავშირება მისჯილი თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობასთან. დადგინდეს მინიმალური ვადაზე მეტი ხანგრძლივობის თავისუფლების აღკვეთა არჩევნებში ხმის მიცემის უფლების დაკარგვის მომასწავებელია. ასე, მაგალითად: შრი-ლანკაში ეს ვადა 6 თვეა, კანადაში – 2 წელი, ახალ ზელანდიაში – 3 და ავსტრალიაში – 5 წელიწადი. იაპონიასა და გაერთიანებულ სამეფოში პატიმრებს ყველანაირი საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ, მაშინ როდესაც დანიაში, ირლანდიაში, ისრაელში, შვედეთსა და შვეიცარიაში ეს უფლება შენარჩუნებულია, პატიმრობის ვადის მიუხედავად. სამი ქვეყანა განსაკუთრებით საინტერესოა: საფრანგეთი, გერმანია და საბერძნეთი. საფრანგეთში თავისუფლების აღკვეთა ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისათვის არის უფლებების ჩამორთმევის საფუძველი, გერმანიაში მსგავსი რამ ხდება სახელმწიფოს ან დემოკრატიული წყობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისას, ხოლო საბერძნეთში უფლების ჩამორთმევა შეიძლება სანქციის შემადგენელი ნაწილი იყოს და მასზე გადაწყვეტილება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად მიიღება⁷⁵⁵. ორ ქვეყანაში, ბელგიაში და ფილიპინებში, არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის პერიოდი პატიმრობის ვადაზე ხანგრძლივია. ბელგიაში პატიმრებს, რომელთაც 5 ან მეტი წლით თავისუფლების

⁷⁵³ A. Blais, L. Massicotte, A. Yoshinaka, Deciding Who Has the Right to Vote: a Comparative Analysis of Election Laws, *Electoral Studies*, 20, 2001, 41-62.

⁷⁵⁴ იქვე.

⁷⁵⁵ N. Mbodla, Should Prisoners Have a Right to Vote?, *Journal of African Law*, Vol. 46, No. 1, 2002, 92-102.

ადკვეთა მიესაჯათ, სიცოცხლის ბოლომდე ჩამორთმევათ ხმის მიცემის უფლება. 3-იდან 5 წლამდე თავისუფლებაადკვეთილ პირებს, ეს უფლება შეუჩერდებათ 12 წლით, ხოლო 4 თვიდან 3 წლამდე მსჯავრდებულებს – 6 წლით. ფილიპინებში ერთი ან მეტი წლის ვადით მსჯავრდებულებს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აღუდგებათ სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ. შეერთებული შტატების 14 შტატი მსჯავრდებულებს ხმის მიცემის უფლებას სამუდამოდ ართმევს.⁷⁵⁶

1992 წელს კანადის უზენაესმა სასამართლომ ერთსულოვნად გააუქმა საკანონმდებლო დებულება, რომელიც უკრძალავდა პატიმრებს ხმის მიცემას⁷⁵⁷. შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლებმაც შეზღუდა ორი წლით და მეტი ვადით მსჯავრდებული პატიმრების მიმართ აკრძალვა. ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ დებულებას. ამასთან, ამ საქმეზე კომპეტენციის დამდგენი სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, უზენაესმა სასამართლომ 2002 წლის 31 ოქტომბერს საქმეში – საუვე კანადის იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ (no. 2) – ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ დაადგინა, რომ 1985 წლის კანადის საარჩევნო აქტის 51(e)-ე ნაწილი, რომელიც კრძალავდა ხმის მიცემის უფლებას გამოსასწორებელ დაწესებულებაში მყოფი ყველა პატიმრისათვის, რომლებიც ორწლიან ან უფრო ხანგრძლივ სასჯელს იხდიდნენ, არაკონსტიტუციურია, რადგან ის არღვევს უფლებათა და თავისუფლებათა კანადის ქარტიის 1-ელ და მე-3 მუხლებს, რომელთა თანახმად:

„1. უფლებათა და თავისუფლებათა კანადის ქარტია უზრუნველყოფს მასში განმტკიცებულ უფლებებსა და თავისუფლებებს მხოლოდ ისეთი გონივრული შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც დამზებულია კანონით და შეიძლება იყოს ნათლად გამართლებული თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში“, „3. კანადის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, ხმა მისცეს თემთა პალატისა ან საკანონმდებლო ასამბლეის წევრთა არჩევნებში და იყოს თავად არჩეული“.⁷⁵⁸

საქმე – ავგუსტი და სხვები საარჩევნო კომისიისა და სხვების წინააღმდეგ (August and another v. Electoral Commission and others) (CCT8/99: 1999 (3) SA 1) – არის ერთადერთი სამხრეთაფრიკული საქმე, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა პატიმართა საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებული განაცხადი. პირველი განმცხადებელი სასჯელს თაღლითობისათვის იხდიდა, ხოლო მეორე – მიუსჯელი (ბრალდებული) იყო. ორივე პატიმრობაში იმყოფებოდა ამომრჩეველთა ეროვნულ სიაში რეგისტრაციისას. მათ სურდათ, მოახლოებულ არჩევნებში ხმის მიცემა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიმოიხილა სამხრეთ აფრიკის კონსტიტუცია, არჩევნებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ვერ აღმოაჩინა პატიმართა მიერ არჩევნებში ხმის მიცემასთან დაკავშირებით რაიმე დამაბრკოლებელი ნორმა.

ამ საქმის შედეგი სამხრეთ მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, საარჩევნო სიებში რეგისტრაციის პერიოდში პატიმრობაში მყოფ პირებს უნდა მიეცეთ დარეგისტრირ-

⁷⁵⁶ A. Blais, L. Massicotte, A. Yoshinaka, Deciding Who Has the Right to Vote: a Comparative Analysis of Election Laws, Electoral Studies, 20, 2001, 41-62.

⁷⁵⁷ საუვე კანადის წინააღმდეგ (Sauve v. Canada) (no. 1), [2002] 3 S.C.R. 519.

⁷⁵⁸ პირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hirst v UK) (No. 2), 74025/01, 2005 წლის 6 ოქტომბერი, 35-ე პუნქტი.

რების შესაძლებლობა; მეორე, პატიმრობაში მყოფ ყველა რეგისტრირებულ პირს, მათ შორის მათ, ვისაც ეხება დარეგისტრირების ბრძანება, უნდა მიეცეთ ხმის მიცემის უფლება; დაბოლოს, სამხრეთ აფრიკის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ხმის მიცემა როგორც შესაძლებელი, ისე განხორციელებადი გახდა.⁷⁵⁹

სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციით, ყოველი სრულწლოვანი მოქალაქის უფლება, ხმა მიეცა საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში, დადგენილი იყო უპირობოდ და ეს ხაზს უსვამს უფლების მნიშვნელობას: „ხმის მიცემის უფლების საყოველთაო მნიშვნელოვანია არამხოლოდ სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიისათვის. თითოეული და ყველა მოქალაქის ხმა არის ნიშანი ღირსებისა და ინდივიდუალობისა. გადაუჭარბებელი იქნებოდა იმის თქმა, რომ ყველა ადამიანი მნიშვნელოვანია“.⁷⁶⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხმის მიცემის უფლება თავისი არსით საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს და საარჩევნო აქტი უნდა განიმარტოს ისე, რომ კონსტიტუციური დეკლარაციები, გარანტიები და პასუხისმგებლობა ეფექტიანი იყოს. მან მიუთითა, რომ არაერთი დემოკრატიული საზოგადოება გარკვეული კატეგორიის პატიმრების მიმართ ითვალისწინებს საარჩევნო შეზღუდვებს⁷⁶¹. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში არ არის შესაბამისი დებულებები, ის აღიარებს, რომ შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს ფუნდამენტური უფლებების განხორციელებაზე, თუ ისინი, *inter alia*, არის გონივრული და გამართლებული. საკითხი, არის თუ არა გამართლებული კონსტიტუციის მიხედვით ისეთი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც პატიმართა უფლებებს შეზღუდავდა, არ წამოჭრილა სამართალწარმოების დროს და რომ ეს გადაწყვეტილება არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, თითქოს ის უკრძალავს პარლამენტს, გარკვეული კატეგორიის პატიმრების მიმართ არ დაუშვას არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა. ასეთი კანონმდებლობის არარსებობის პირობებში, პატიმრებს აქვთ კონსტიტუციური უფლება, ხმა მისცენ და არც საარჩევნო კომისია და არც საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩამოართვას მათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.⁷⁶²

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის⁷⁶³ მე-3 მუხლი თავისუფალი არჩევნების უფლებას ეხება: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებებს, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომელიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას“. კონვენციის ამ მუხლით გარანტირებული უფლების რეალიზაცია არაერთხელ იქნა განხილული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. პატიმართა საარჩევნო უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პრე-

⁷⁵⁹ N. Mbodla, Should Prisoners Have a Right to Vote?, *Journal of African Law*, Vol. 46, No. 1, 2002, 92-102.

⁷⁶⁰ ავგუსტი და სხვები საარჩევნო კომისიისა და სხვების წინააღმდეგ (*August and another v. Electoral Commission and others*) (CCT8/99: 1999 (3) SA 1), მე-17 პუნქტი.

⁷⁶¹ *Ibid*, 26-ე პუნქტი.

⁷⁶² *Ibid*, 31-ე პუნქტი.

⁷⁶³ პარიზი, 1952 წლის 20 მარტი.

ცედენტული საქმეა ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hirst v. UK*)⁷⁶⁴. მსჯავრდებულმა ჰირსტმა, რომელსაც 1983 წლის სახალხო აქტის წარმომადგენლობის მე-3 ნაწილით აეკრძალა საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემა, აღძრა სამართალწარმოება უმაღლეს სასამართლოში 1998 წლის ადამიანის უფლებათა აქტის მე-4 თავის საფუძველზე და მოითხოვა, რომ ეს დებულება გამოეცხადებინათ შეუსაბამოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან.⁷⁶⁵ სხვა სახელმწიფოებში არსებული პრაქტიკის შესწავლისას მან დაასკვნა, რომ ევროპაში მხოლოდ რვა ქვეყანა, გაერთიანებული სამეფოს ჩათვლით, არ ანიჭებს მსჯავრდებულ პატიმრებს ხმის მიცემის უფლებას, მაშინ როდესაც ოცი სახელმწიფო პატიმრებს არ ართმევს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, ხოლო რვა სახელმწიფო არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევას შეზღუდვებს აწესებს⁷⁶⁶.

საქმესთან დაკავშირებული გარემოებების განხილვის შედეგად სასამართლომ აღნიშნა, რომ ის [1983 წლის სახალხო აქტის წარმომადგენლობის მე-3 ნაწილი] ართმევს კონვენციით გათვალისწინებულ ხმის მიცემის უფლებას პირთა მნიშვნელოვან კატეგორიას და ამას ახდენს განურჩევლად. დებულება ადგენს ბლანკეტურ შეზღუდვას საპატიმროში მყოფი ყველა მსჯავრდებულის მიმართ. ის გამოიყენება ავტომატურად ასეთი პირების მიმართ, მიუხედავად მათი სასჯელის ხანგრძლივობისა და მიუხედავად დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმისა და მათი ინდივიდუალური გარემოებებისა. ასეთი ზოგადი, ავტომატური და განურჩეველი შეზღუდვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კონვენციისეული უფლებისა, სცილდება რაიმე მისაღები შეფასების ფარგლებს, რაც არ უნდა ფართო იყოს ეს ფარგლები და მიჩნეულ უნდა იქნეს შეუთავსებლად პირველი ოქმის მე-3 მუხლთან⁷⁶⁷.

საქმეში „ფროლდი ავსტრიის“⁷⁶⁸ წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (პირველი სექცია) შემოფოთებას გამოხატავდა ავსტრიის კანონმდებლობის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ჩამოერთვათ დანაშაულის ჩადენის მცდელობაში მსჯავრდებულ პირებს, რომელთაც ერთი ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.⁷⁶⁹

სასამართლომ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა, დაეფუძნა რა დიდი პალატის გადაწყვეტილებას ჰირსტის საქმესთან დაკავშირებით: „ჰირსტის ტესტის მიხედვით, მიუხედავად ავტომატური და ბლანკეტური შეზღუდვების არსებობისა, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელი ელემენტია არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის თაობაზე მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღება, და რომ უნდა არსებობდეს კავშირი ჩადენილ დანაშაულსა და არჩევნებთან და დემოკრატიულ ინ-

⁷⁶⁴ ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hirst v UK*) (No. 2), განაცხადი No. 74025/01, 2005 წლის 6 ოქტომბერი.

⁷⁶⁵ *Ibid*, მე-14 პუნქტი.

⁷⁶⁶ *Ibid*, მე-16 პუნქტი.

⁷⁶⁷ *Ibid*, 76-ე პუნქტი.

⁷⁶⁸ ფროლდი ავსტრიის წინააღმდეგ (*Frold v Austria*), 2010 წლის 8 აპრილი.

⁷⁶⁹ S. Briant, The requirements of prisoners voting rights: mixed messages from Strasbourg, *Cambridge Law Journal*, Issue 02, 2011, 279-282.

სტიტუტებთან დაკავშირებულ საკითხებს შორის“.⁷⁷⁰ სასამართლომ დამატებით განაცხადა, რომ „ამ კრიტერიუმის მიზნის არსი არის არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობის, როგორც გამონაკლისი შემთხვევის, დამკვიდრება, თუნდაც მსჯავრდებულებთან მიმართებით“.⁷⁷¹

ფროდლის მოტივაცია გათვალისწინებულ იქნა სასამართლოს (მეორე სექცია) მიერ საქმის „სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ“⁷⁷² განხილვისას. ამ საქმეში სასამართლომ პატიმართათვის, რომელთაც სამი და მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი, არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა კონვენციის პირველი ფაკულტატური ოქმის მე-3 მუხლის დარღვევად ცნო. სასამართლოს უკმაყოფილება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა „ავტომატურად“ იყო გამოწვეული თავისუფლების აღკვეთით, რაც ხდებოდა სასამართლოს მიერ იმის განხილვის გარეშე, თუ რამდენად დაკავშირებული იყო ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა.⁷⁷³

ჰირსტის საქმის ერთგვარი გაგრძელება იყო საქმე „გრინსი და მ. ტ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“.⁷⁷⁴ განმცხადებლები ასაჩივრებდნენ, რომ, როგორც პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული პირები, ისინი დაექვემდებარნენ ბლანკეტურ ნორმას არჩევნებში ხმის მიცემის აკრძალვასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, ვერ შეძლეს, ხმა მიეცათ ევროპარლამენტის არჩევნებში 2009 წლის ივნისში და საერთო არჩევნებში 2010 წლის მაისში, რაც არღვევს კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლით გარანტირებულ უფლებებს.⁷⁷⁵

საქმის განხილვის შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ შესაბამისმა კანონმდებლობამ, კერძოდ, 1983 წლის აქტის მე-3 ნაწილმა, არ განიცადა დამატება ჰირსტის საქმის შემდეგ, რის გამოც განმცხადებლებმა ვერ შეძლეს, ხმა მიეცათ გაერთიანებული სამეფოს საერთო არჩევნებში 2010 წლის მაისში. ბლანკეტური აკრძალვა, რომელიც შემოღებულ იქნა 1983 წლის აქტის მე-3 ნაწილით, გავრცელდა ევროპარლამენტის არჩევნებზე 2002 წლის აქტის მე-8 ნაწილის საფუძველზე, რის გამოც განმცხადებლებმა ვერ შეძლეს, ხმა მიეცათ 2009 წლის ივნისის ევროპარლამენტის არჩევნებში.⁷⁷⁶ ეს მოსაზრებები საკმარისი აღმოჩნდა სასამართლოს დასკვნისათვის, რომ ორივე განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლი.

ანლო წარსულში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ იქნა კონსტიტუციური სარჩელი N431 „საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.⁷⁷⁷ დავის საგანი იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვების – „ან სასამართლოს განაჩენით სასჯელის აღსრულების დაწესე-

⁷⁷⁰ ფროლდი ავსტრიის წინააღმდეგ (Frold v Austria), 2010 წლის 8 აპრილი, 34-ე პუნქტი.

⁷⁷¹ ფროლდი ავსტრიის წინააღმდეგ (Frold v Austria), 2010 წლის 8 აპრილი, 35-ე პუნქტი.

⁷⁷² სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ (Scopolla v Italy), (no. 3), 2012 წლის 22 მაისი.

⁷⁷³ S. Briant, The Requirements of Prisoners Voting Rights: Mixed Messages from Strasbourg, Cambridge Law Journal, Issue 02, 2011, 279-282.

⁷⁷⁴ გრინსი და მ. ტ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Greens and M.T. v UK), 2010 წლის 23 ნოემბერი.

⁷⁷⁵ Ibid, 73-ე პუნქტი.

⁷⁷⁶ Ibid, 78-ე პუნქტი.

⁷⁷⁷ N2/1/431, ქ. ბათუმი, 2008 წლის 31 მარტი.

ბულებამი იმყოფება“ – კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-7⁷⁷⁸ და 28-ე⁷⁷⁹ მუხლებთან მიმართებით. მოსარჩელე, საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის მომენტისთვის იყო მსჯავრდებული, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი გამოძალავაში და იმყოფებოდა სასჯელის აღსრულების დაწყებულუბაში.

კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს კონსტიტუციის მე-7 და 28-ე მუხლებზე. მისი განცხადებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში, კონკრეტულად კი – 28-ე მუხლში გათვალისწინებული უფლებები მათი შეზღუდვისას უნდა ყოფილიყო განხილული საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლთან კავშირში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი არის თანაზომიერების პრინციპის ზოგადი საფუძველი⁷⁸⁰.

კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნული იყო, რომ კონსტრუქციის თვალსაზრისით, სადავო ნორმა და საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი იდენტურია, მაგრამ აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის წესი აზრობრივად იქ არ მთავრდება, სადაც 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი. კონსტიტუციურ ნორმამი გადმოცემული ნამდვილი აზრის გასაგებად საჭიროა არა მხოლოდ გრამატიკული, არამედ სისტემური ანალიზის გამოყენებაც. ამ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის ინტერპრეტაცია, კონსტიტუციის მე-7 მუხლის გათვალისწინებით, შემდეგნაირი იქნება: არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არ აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელაღსრულების დაწყებულუბაში, რამდენადაც ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად დემოკრატიულ საზოგადოებაში. სადავო ნორმა არაპროპორციულად ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით დადგენილ საარჩევნო უფლებას. ის ვერ ჩაითვლება თანაზომიერად იმ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოს⁷⁸¹.

მოსარჩელე პარალელს ავლებდა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლსა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლს შორის. არცერთი ეს ორი ნორმა არ შეიცავს მოთხოვნას, რომ საარჩევნო უფლების შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის პროპორციულად უნდა მოხდეს. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არ უნდა განხორციელდეს აქტიური საარჩევნო უფლების არაპროპორციული შეზღუდვა⁷⁸².

⁷⁷⁸ სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

⁷⁷⁹ არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწყებულუბაში.

⁷⁸⁰ Ibid, I ნაწილი, მე-4 პუნქტი.

⁷⁸¹ Ibid, I ნაწილი, მე-5 პუნქტი.

⁷⁸² Ibid, I ნაწილი, მე-6 პუნქტი.

მოსარჩელის განცხადებით, კონსტიტუცია უნდა იქნეს განხილული, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მუდმივად ვითარდება ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არსებული ვითარების შესაბამისად. ამის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს კონსტიტუციის ამა თუ იმ ნორმის ინტერპრეტაცია. იგი თვლიდა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირების ნაწილს, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მიხედვით, უნდა მიეცეს აქტიური საარჩევნო უფლება⁷⁸³.

მოსარჩელის ეს განცხადება არის „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ – ევროპული კომისიის მიერ (ვენეციის კომისია) თავის 51-ე პლენარულ სხდომაზე (2002 წლის 5-6 ივლისი) მიღებული და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისთვის 2002 წლის 6 ნოემბერს წარდგენილი დოკუმენტის გამოხმაურება. დოკუმენტი შეიცავს ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპებს იმ გარემოებების მიმართ, როდესაც შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს ხმის მიცემისა და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება:

„d. ...

- i. შეიძლება დაწესდეს დებულება ხმის მიცემისა და კენჭისყრის უფლების პირისათვის ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ მხოლოდ შემდეგი კრებითი პირობების საფუძველზე:
- ii. ის უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული;
- iii. უნდა იყოს დაცული თანაზომიერების პრინციპი; არჩევნებში კენჭისყრის უფლების ჩამორთმევის პირობები შეიძლება ნაკლებად მკაცრი იყოს, ვიდრე ხმის უფლების ჩამორთმევა;
- iv. ჩამორთმევა უნდა ეფუძნებოდეს გონებრივ უუნარობას ან სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას სერიოზული დანაშაულისათვის.
- v. ამასთანავე, პოლიტიკურ უფლებათა ჩამორთმევა ან გონებრივი უუნარობის დადგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით“.⁷⁸⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის ნორმები ადგენენ არა მხოლოდ ძირითადი უფლებების შინაარსსა და ფარგლებს, არამედ ამ უფლებების სუბიექტთა წრეს. ზოგ შემთხვევაში ეს წრე შეუზღუდავია, ხოლო ხშირად იგი გარკვეულ ფარგლებშია მოქცეული ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის ნორმების უმრავლესობა სწორედ ამ მიზანს ემსახურება. 28-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ იმ პირებს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, ასევე მათ, ვინც არიან საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ არ შესრულებიათ 18 წელი. 28-ე მუხლის მეორე პუნქტი კი ამომრჩეველთა რიგებიდან გამორიცხავს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეებს და მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებიან სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში. ეს მოქალაქეები, კონსტიტუციის მიხედვით, იზოლირებული არიან საარჩევნო პროცესისაგან და არ არსებობს რაიმე პირობა, გარდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის დასრულებისა, რომელიც

⁷⁸³ Ibid, I ნაწილი, მე-8 პუნქტი.

⁷⁸⁴ ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hirst v UK), 74025/01, 2005 წლის 6 ოქტომბერი, 32-ე პუნქტი.

მათ საარჩევნო უფლების მქონე სუბიექტთა წრეში დააბრუნებდა. კონსტიტუცია მკაფიოდ ადგენს, რომ სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში სასამართლოს განაჩენით მყოფ მოქალაქეს „არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს...“. ამ ჩანაწერით კანონმდებელს მოეჭრა საარჩევნო უფლების სუბიექტთა წრის გაფართოების გზა. აბსოლუტურად უშედეგო იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება, რადგანაც ეს არ გამოიყვანს მოსარჩელეს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი აკრძალვის მოქმედების არეალიდან. ამისათვის საჭიროა კონსტიტუციის შესაბამის ნორმებში ცვლილებების განხორციელება, რაც სცილდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე არ არის იმ ძირითადი უფლების სუბიექტი, რომელთან დაკავშირებითაც მას აქვს შემოტანილი კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში⁷⁸⁵, რის გამოც მას უარი ეთქვა საკონსტიტუციო სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე.

ვენეციის კომისიის აქტიური ჩართულობითა და წარდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2011 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდა რიგი ცვლილებებისა, მათ შორის, ცვლილება შეეხო კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის რედაქციით, ბრალდებულის გარდა, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მიეცა ყველა იმ პირს, რომელმაც ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა. ეს კონსტიტუციური ცვლილება აისახა საქართველოს საარჩევნო კოდექსში, რომლის მე-3 მუხლის „ა.გ.“ ქვეპუნქტის საფუძველზე „არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლემბისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული“.

ცვლილებების განმტკიცებისა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მსჯავრდებულთა შესაბამისი კატეგორიის ხმის მიცემის უზრუნველსაყოფად საქართველოს საარჩევნო კოდექსის 184-ე მუხლის მე-9⁷⁸⁶ პუნქტით საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაევალა, 2012 წლის 15 ივლისამდე გადაეცა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიისათვის მონაცემები საარჩევნო უფლების მქონე იმ პირთა შესახებ, რომელთაც ჰქონდათ ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაული. იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა და უზრუნველყოფილი იყო პატიმრობაში თავისუფლების აღკვეთის ადგილებში აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა შეყვანა ამომრჩეველთა სიაში, საქართველოს საარჩევნო კოდექსმა დაადგინა „ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლების მიზნით ამ მუხლის მე-5 პუნქტის ... „ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული დაწესებულებები [საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იუ-

⁷⁸⁵ საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სარჩელი №431, N2/1/431, ქ. ბათუმი, 2008 წლის 31 მარტი, II ნაწილი, მე-2 პუნქტი.

⁷⁸⁶ არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.

რიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო] – წელიწადში ოთხჯერ საარჩევნო უფლების არმქონე პირთა შესახებ განახლებულ ან ახალ მონაცემებს გადასცემენ ცესკოს ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადებში [ყოველი წლის 1 თებერვალს, 1 მაისს, 15 ივლისს და 1 ნოემბერს]“,⁷⁸⁷ და „ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეჰყავთ: . . . გ) ამომრჩევლები, რომლებიც კენჭისყრის დღეს პატიმრობაში იმყოფებიან. ამ პირთა სიას ადგენს შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას“,⁷⁸⁸ იმ პოზიტიური ფაქტის პარალელურად, რაც უკავშირდება მსჯავრდებულთა შესაბამისი კატეგორიის მონაწილეობას 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ მსჯავრდებულებთან მიმართებით, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა 2012 წლის 16 ივლისიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მიესაჯათ, კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის „ა.გ.“ ქვეპუნქტის მოთხოვნა უგულებელყოფილ იქნა.

2016-2017 წლებში საქართველოს პარლამენტის მე-9 მოწვევის ფარგლებში განხორციელდა საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც პატიმართა არჩევნებში მონაწილეობის უფლებასაც შეუხო. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში...⁷⁸⁹ ამ საკონსტიტუციო ცვლილებით გაფართოვდა პირთა წრე, რომლებსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა და მანამდე არსებულ კატეგორიებს (ბრალდებული და ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი მსჯავრდებული) დაემატა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მძიმე დანაშაულის ჩამდენი მსჯავრდებულები.

პატიმრებისთვის ხმის მიცემის უფლების უარყოფა შეიძლება მიჩნეულ იქნეს გზავნილად, რომელიც ძირს უთხრის კანონისა და დემოკრატიის პატივისცემას, ვიდრე გზავნილად, რომელიც ზრდის ამ ფასეულობებს. კანონის ლეგიტიმურობა და ვალდებულება, რომ დაემორჩილო კანონს, პირდაპირ გამომდინარეობს თითოეული მოქალაქის უფლებიდან, მისცეს ხმა. ხმის მიცემის უფლების აკრძალვა პატიმრებისათვის არის დემოკრატიული ფასეულობებისა და სოციალური პასუხისმგებლობის მათთვის სწავლების მნიშვნელოვანი საშუალების ხელიდან გაშვება და ეს ეწინააღმდეგება ჩართულობის, თანასწორობისა და მოქალაქეობრივი მონაწილეობის დემოკრატიულ პრინციპებს და შეუთავსებელია თითოეული ადამიანის ღირსების პატივისცემასთან.⁷⁹⁰

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, თუ რატომ უნდა იქნეს მიჩნეული ფუნდამენტური დემოკრატიული უფლების [ხმის მიცემის უფლების] აკრძალვა სახელმწიფო დასჯის ფორმად. ის არც კანონიერი სასჯელის ფორმად უნდა ჩაითვალოს, რა-

⁷⁸⁷ 31-ე მუხლი, მე-6 პუნქტი.

⁷⁸⁸ 32-ე მუხლი, „გ“ ქვეპუნქტი.

⁷⁸⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24.2.

⁷⁹⁰ ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hirst v UK*), 74025/01, 2005 წლის 6 ოქტომბერი, 35-ე პუნქტი.

დგან არის თვითნებური და არ ემსახურება სისხლისსამართლებრივ მიზანს. ის არ არის მორგებული ინდივიდუალური კანონდამრღვევის მოქმედებებსა და გარემოებებზე და, ფაქტობრივად, არანაირი კავშირი არ აქვს კანონდამრღვევის კონკრეტულ დანაშაულთან, რადგან არსებული მონაცემები არ იძლევა საშუალებას განვაცხადოთ, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევამ შეამცირა დანაშაული ან მოახდინა დამნაშავეთა რეაბილიტაცია.⁷⁹¹

ზემოთ ჩამოყალიბებული პოზიციის მიუხედავად, გასათვალისწინებელია ის აზრი, რომ ყველა კატეგორიის პატიმარს არ უნდა ჰქონდეს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება. ეს პოზიცია დაფუძნებულია სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და სამართლის უზენაესობის პატივისცემაზე და ძირითადად ორ მიზანს ემსახურება – სამოქალაქო პასუხისმგებლობის წახალისებასა და სისხლისსამართლებრივი სანქციის ზოგადი მიზნების გაზრდას. მიზანი, რომ გაიზარდოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა და სამართლის უზენაესობის პატივისცემა, უკავშირდება კარგი მოქალაქეობის წახალისებას.

სისხლისსამართლებრივი სანქციის ზოგადი მიზნების გაზრდა მართებული მიზანია ხელისუფლებისთვის, რომ განავითაროს სათანადო სანქციები და სასჯელები განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირისთვის. არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა არის სამოქალაქო უფლებაუუნარობა, რომელიც გამომდინარეობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან. ის შეიძლება იყოს თანაზომიერი, ვინაიდან ღონისძიება შესაძლოა რაციონალურად იყოს დაკავშირებული მიზნებთან და იყოს ფრთხილად მორგებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩამდენი დამნაშავეების მიმართ გამოსაყენებლად. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა გზავნილია როგორც საზოგადოებისათვის, ისე თავად დამნაშავეებისათვის, რომ საზოგადოება არ მოითმენს მსგავსი კატეგორიის სისხლისსამართლებრივ დანაშაულს. ამ მოსაზრების მიხედვით, საზოგადოებას შეუძლია აირჩიოს, რომ დროებით შეეზღუდოს ხმის მიცემის უფლების შესაძლებლობა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს, რათა დაჟინებით მოითხოვოს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და სამართლის უზენაესობის პატივისცემა, როგორც მიზნები, რომელთა მიღწევაც დიდი მნიშვნელობისაა, იყოს დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის წინაპირობები.⁷⁹²

⁷⁹¹ იქვე.

⁷⁹² Ibid, 37-ე პუნქტი.

მეათე თავი გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შედეგები და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კვლევა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებში განთავსებული იყო 9868 პირი, რომელთაგან 9 526 იყო მამაკაცი, ხოლო 342 - ქალი.⁷⁹³ მათგან ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის სასჯელს იხდიდა 1 123 მსჯავრდებული, მძიმე დანაშაულისათვის - 3 750 და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის 3 212 მსჯავრდებული.⁷⁹⁴

ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს 2003 წლის 23-ე რეკომენდაციით (Rec(2003) 23), მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთად ითვლება თავისუფლების აღკვეთა ხუთი და მეტი ვადით.

გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის მიზეზი არის სისხლის სამართლის კოდექსში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ზომები. ასევე, ხშირად გამოსაცდელ პერიოდში დანაშაულის ჩადენა იწვევს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას. 2023 წლის დეკემბრის ბოლოს, საქართველოში 24 612 არაპატიმარი მსჯავრდებული დაფიქსირდა.⁷⁹⁵ სამწუხაროდ, პრობაციონერთა დიდი რაოდენობა შეუძლებელს ხდის გამოსაცდელ პერიოდში მათ რეალურ კონტროლს, რაც იწვევს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

კრიმინოლოგიაში ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ „ნორმალური ცხოვრების დანაკლისი და განსაცდელი, რომელიც თან სდევს პატიმრობას, აახლოებს პატიმარს ციხის ნორმებთან და დანაშაულებრივ სამყაროსთან, რის შედეგადაც ხშირია საყოველთაოდ მიღებული სოციალური ფასეულობების უარყოფა“.⁷⁹⁶

(გრძელვადიან) თავისუფლების აღკვეთას შეიძლება ჰქონდეს სერიოზული გვერდითი ეფექტები მსჯავრდებულებისთვის: „მათ შეიძლება დაკარგონ შემოსავალი, შესაძლებლობა, შეინარჩუნონ საცხოვრებელი თავისთვის თუ თავიანთი ოჯახისთვის, შეძლება გადაეღოს მძიმე დაავადება პენიტენციურ დაწესებულებაში, დაკარგონ მნიშვნელოვანი პირადი კონტაქტები, მათ შეიძლება გაუჩნდეთ ფსიქიკური პრობლემები და შეიძინონ ლესტრუქციული ჩვევები და გახდნენ წამადამოკიდებულნი“.⁷⁹⁷

გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შედეგები ინდივიდუალურია თითოეული მსჯავრდებულისათვის, თუმცა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა გამოკვეთა ის ძირითადი პრობლემებიც, რომლებსაც შეიძლება მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთა იწვევდეს მსჯავრდებულში.

⁷⁹³ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/825/dekemberi> [10.03.2024].

⁷⁹⁴ იქვე.

⁷⁹⁵ იქვე.

⁷⁹⁶ პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტიანი გამოყენებისათვის, თბილისი, 2000, გვ. 27.

⁷⁹⁷ ნ. მჭედლიძე, სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი, 2019, გვ. 438.

10.1. კულტურის დაკარგვის პროცესი

ციხისათვის დამახასიათებელი შეზღუდვების (კონტაქტების, უფლებების შეზღუდვა) გამო მსჯავრდებულში იწყება მისთვის ცნობილი ურთიერთობების დავიწყების პროცესი (Verlern-Prozess). რაც უფრო მაღალია თავისუფლების აღკვეთის ზომა, მით უფრო დიდხანს არის მოწყვეტილი მსჯავრდებულის რეალობას - საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ურთიერთობებს და მით უფრო მძიმეა აკულტურობის პროცესის შედეგი.⁷⁹⁸

10.2. სოციალური კონტაქტების დაკარგვა

ის რეალობა, რომ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს არ შეუძლია სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა საკუთარი ოჯახის დახმარების საკითხში, მეტად მძიმე ფსიქოლოგიური და მატერიალური პრობლემის წინაშე აყენებს ოჯახს. მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში ხშირია ოჯახის დანგრევის პრობლემა. ჰარალდ პრასკერმა (Harald Preusker) გამოკითხა თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები სასჯელის აღსრულების დაწყებამდე მათი ოჯახური კონტაქტების შესახებ ანუ, რას ფიქრობდნენ ისინი, რამდენხანს გაგრძელდებოდა მათი ქორწინება, პარტნიორთან ურთიერთობა. გამოკითხულ პატიმართა 65% ციხეში შესვლისას ფიქრობდა, რომ მათ ქორწინებას საფრთხე არ ემუქრებოდა, გამოკითხულთა 87% პატიმრობაში ყოფნიდან რამდენიმე წელში დაენგრა ოჯახი.⁷⁹⁹ გერმანიაში ჩატარებული კვლევის დროს გამოკითხა 200 მსჯავრდებულის და არამსჯავრდებულის. პატიმრების 85% საკუთარ ქორწინებას არ ასახელებდა როგორც სტაბილურს, მხოლოდ 15% მიიჩნევდა სტაბილურად. პატიმართა თვითმუფასების მიხედვით, პატიმრობის პირველი უარყოფითი შედეგი იყო ფინანსური პრობლემები, რესპონდენტებს ასევე ეშინოდათ პარტნიორის დატოვებისა და საკუთარი შვილებთან იდენტიფიკაციის როლის დაკარგვის. მსჯავრდებულები, რომლებთანაც პატიმარზე მეუღლე და ოჯახის წევრები დადიოდნენ, ოჯახურ გარემოს იშვიათად აფასებდნენ რესოციალიზაციისთვის მნიშვნელოვნად.⁸⁰⁰ არასტაბილური ურთიერთობების მქონე მსჯავრდებულთა 20% განქორწინდა სასჯელის მოხდის დროს, როცა იმავე ასაკის, რაოდენობისა (200 გამოკითხული) და სოციალური მდგომარეობის არამსჯავრდებულის მამაკაცების მხოლოდ 5% განქორწინდა.⁸⁰¹ სტაბილური ოჯახების მქონე მსჯავრდებულების ეს 15%, იმის მიუხედავად, რომ დაპატიმრებამ მათ ოჯახებს გარკვეული ფინანსური და სოციალური პრობლემები შეუქმნა, დარჩა ქორწინებაში. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში ოჯახის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია დაპატიმრებამდე არსებული ოჯახური ურთიერთობის სიმყარე.

⁷⁹⁸ ყოფილი მსჯავრდებული, რომელიც პრობაციის ოფიცერთან ერთად დასაქმების ორგანოში მივიდა, ყოველი კარის წინ ჩერდებოდა და ელოდებოდა, რომ პრობაციის ოფიცერს მისთვის კარი „გაედო“, როგორც ციხეში იყო შეჩვეული. G. Kawamura-Reindl, Entlassung nach langem Freiheitsentzug – Voraussetzungen und Efordernisse für eine Rückkehr in die Gesellschaft. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe. Heft 5, 2004. S. 283.

⁷⁹⁹ H. Preusker, Stationen im Vollzug der lebenslangen Freiheitsstrafe. In: W. Nickolai/R. Reindl, Lebenslänglich – Zur Diskussion um die Abschaffung der lebenslänglichen Freiheitsstrafe. Freiburg 1993. S. 20.

⁸⁰⁰ Thiele, Ch. W., Ehe- und Familienschutz im Strafvollzug. Strafvollzugsrechtliche und –praktische Maßnahmen und Rahmenbedingungen zur Aufrechterhaltung familiärer Beziehungen von Strafgefangenen. Mönchengladbach 2016. S. 65.

⁸⁰¹ იქვე.

გერმანიაში განხორციელებული ერთ-ერთი კვლევის დროს გამოიკითხნენ დაპატიმრებული მამაკაცების მეუღლეები. გამოიკითხული ქალების 79% სოციალურად დაუცველი იყო. გამოიკითხული ქალების 67% მეუღლეების დაპატიმრებას „მეხის დაცემად“ აღიქვამდა და ეგზისტენციურ კრიზისს განიცდიდა.⁸⁰²

10.3. კრიმინალური სუბკულტურისადმი მიდრეკილება

გრძელვადიან მსჯავრდებულებს აქვთ ციხის კრიმინალურ სუბკულტურაში მოხვედრის დიდი რისკი. სუბკულტურული თეორიების ანალიზი ნათელს გახდის კავშირს გრძელვადიან თავისუფლების აღკვეთასა და კრიმინალურ სუბკულტურას შორის. პატიმრები კრიმინალურ სუბკულტურაში ხშირად თავის გადარჩენის ან სარგებლის მიზნით ერთიანდებიან.

სუბკულტურა, როგორც დამოუკიდებელი კულტურული ერთეული, საკუთარი დირექციონებითა და ქცევის ნორმებით, რომელიც საზოგადოებაში წარმოიშობა, გვხვდება სასჯელადსრულების დაწესებულებებშიც.⁸⁰³

პატიმართა სუბკულტურა, როგორც მსჯავრდებულთა „მმართველობის ორგანო“⁸⁰⁴ ციხის „ტოტალური ინსტიტუციურობის“⁸⁰⁵ პირობებში გარე სამყაროსაგან დამოუკიდებელი მნიშვნელოვნად დახვეწილი კრიმინალური ჯგუფია. რაც უფრო დიდია პატიმრებზე ციხის ადმინისტრაციიდან ზეწოლა, მით უფრო დიდია ალბათობა ციხის შიგნით ძლიერი სუბკულტურული ჯგუფის ჩამოყალიბების.⁸⁰⁶

გრატიცის აზრით, ციხის ადმინისტრაციის მმართველობა პატიმართა მიერ არ არის მიღებული, რაც ხელს უწყობს პატიმართა შორის საპირისპირო მმართველობის რგოლების ჩამოყალიბებას. „პატიმართა ლოზუნგია, მართალია თქვენს ხელშია ძალაუფლება, ჩვენ აქედან (ციხიდან) არ გაგვიშვით, მაგრამ თქვენს ხელთ არ არის ძალაუფლება ჩვენი გამოსწორების. რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ზეწოლა ჩვენზე, მით უფრო დიდი იქნება ჩვენგან წინააღმდეგობა. ყოველი ჩვენი შევიწროება, არის ჩვენთვის გამოწვევა მოვანდინოთ მისგან თავის დაღწევა“.⁸⁰⁷

ერვინი და კრესი (Irwin, Cressey) პატიმართა სუბკულტურის სამ კატეგორიას გამოყოფენ: კრიმინალური სუბკულტურა, პატიმართა სუბკულტურა და ლეგიტიმური სუბკულტურა.⁸⁰⁸

1. კრიმინალური სუბკულტურის არსი ნათელი ხდება ქურდების სუბკულტურის მაგალითით. ამ კულტურის დირექციონები შეესაბამება „კაი ბიჭის“ –

⁸⁰² იქვე, გვ. 76.

⁸⁰³ M. Shalikhshvili, „Diebe im Gesetz“: Eine kriminelle Organisation im deutschen Jugendstrafvollzug? Die aus der ehemaligen UdSSR stammende kriminelle Organisation „Wor v Sakone“ – „Diebe im Gesetz“ und ihre subkulturelle Existenz unter russischsprachigen Gefangenen in einer deutschen Jugendstrafanstalt bei Hamburg. Berlin, 2009. S. 177.

⁸⁰⁴ W. Gratz, Voraussetzung und Möglichkeiten wirksamer Autoritäten im Strafvollzug. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe (ZfStrVo) 1999, S. 9.

⁸⁰⁵ E. Goffman, Asyl. Über die soziale Situation psychiatrischer Patienten und anderer Insassen. Frankfurt am Main. 1972. S. 16.

⁸⁰⁶ W. Gratz, Das System Gefängnis oder: ist das Gefängnis mit System zu ändern? In: Neue Kriminalpolitik 1995. S. 31.

⁸⁰⁷ W. Gratz, Voraussetzung und Möglichkeiten wirksamer Autoritäten im Strafvollzug. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe (ZfStrVo) 1999, S. 10.

⁸⁰⁸ Irvin, J./Cressey, D.R., Thieves, Convicts and the Inmate Culture. Social Problems 10/1964. S. 142-155.

„right guy“ - როლს. ისინი ხასიათდებიან, როგორც მიმნდობები. იმ პირებს, რომლებიც ქურდების სუბკულტურაზე არიან ორიენტირებული, უნდა ჰქონდეთ Miller-ის სიძლიერე, გონიერება და ავტონომია.⁸⁰⁹ ქურდების სუბკულტურისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ლოიალობა საკუთარი ჯგუფისადმი, მიუხედავად შიდა სადამსჯელო მექანიზმებისა. ვინაიდან დაპატიმრება, როგორც ყოველდღიური პროფესიული რისკი, გარდაუვალია, სუბკულტურის მიზანია, ციხეში დროის გატარება, რაც შეიძლება მარტივად.

2. პატიმართა სუბკულტურა უტილიტარიზმის ცენტრალური ღირებულების მმართველობის ქვეშ ექცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვინც მეტ ოინს ფლობს, საკუთარ ანგარებას ოპტიმალურად მიჰყვება და სხვა პატიმრების ექსპლუატაციით მატერიალურ უპირატესობებსა და გავლენიან პოზიციებს აღწევს. ეს სუბკულტურა ახალგაზრდა ნასამართლვეი პატიმრებისთვის განსაკუთრებულად პატივსაცემია. ამავე დროს, ამ სუბკულტურის ურთიერთობები შემოიფარგლება ძირითადად საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდით.
3. ლეგიტიმური სუბკულტურა მოიცავს პატიმრებს, რომლებიც ორივე განსხვავებულ სუბკულტურაზე უარს ამბობენ. ამის გამო ისინი მათგან იზოლირებული არიან. ამ სუბკულტურის წევრები ორიენტირებული არიან მიზნების იმ საშუალებით მიღწევაზე, რომლებიც ციხის გარეთ ლეგიტიმურად მიიჩნევა.

განვითარება თეორიისა, რომელიც ხსნის, თუ რომელი პირობებისაგან წარმოიქმნება პატიმართა ანუ ციხის სუბკულტურა და რაზეა დამოკიდებული ამ არაფორმალური ჯგუფის სტრუქტურა და წევრების ორგანიზაცია და მათი სუბკულტურის ნორმებისადმი დამორჩილება, ციხის სოციოლოგიაში განმარტებულია სტრუქტურული ფუნქციონალური წარმონაქმნის ჩარჩოებში.⁸¹⁰ ამის დადასტურებაა კლემერის⁸¹¹ (Clemmer) კლასიკური ნაშრომი პრიზონიზაციის და საიკსის⁸¹² (Sykes) დეპრივაციის მოდელის შესახებ.

ციხის სუბკულტურის თეორიების განხილვამდე საინტერესოა პატიმართა ნორმებისა და ღირებულებების ორიენტაციის საკითხის განხილვა.

ციხის სუბკულტურის ნორმად გვევლინება ისეთი სახის წინადადებები, რომლებიც კონკრეტულ ქცევას გამოხატავენ, აღიარებენ ან კრძალავენ. როდესაც ღირებულებებსა და ნორმებს არა მხოლოდ ერთი ადამიანი, არამედ ადამიანების გარკვეული ჯგუფი აღიარებს, მაშინ საქმე გვაქვს სოციალურ ნორმასთან, ღირებულებასთან.⁸¹³ ციხის სუბკულტურული ნორმები ამ კონკრეტული ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი და გამოხატავს იმ მდგომარეობაში (ციხეში) თავის გადარჩენის

⁸⁰⁹ მილერის სუბკულტურის თეორია იხ.: მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი, 2017, გვ. 51.

⁸¹⁰ H. Klingemann, u.a., Prüfung der kulturellen Übertragungstheorie und der strukturell- funktionalen Theorie als Erklärungsansätze für die Insassensubkultur im Jugendstrafvollzug. In: Kriminologisches Journal 1978. S. 142.

⁸¹¹ D. Clemmer, The Prison Community. New York 1958.

⁸¹² G. M. Sykes, The society of captives. A Study of Maximum Security Prisons. Princeton 1958.

⁸¹³ S. Harbordt, Die Subkultur des Gefängnisses. Eine soziologische Studie zur Resozialisierung. Stuttgart 1967. S. 21.

ან მდგომარეობის შემსუბუქების, გაუმჯობესების შესაძლებლობას, რომელშიც ისინი იმყოფებიან. განვიხილოთ ყველაზე გავრცელებული პატიმართა ნორმები/ღირებულებები:⁸¹⁴

• **ერთად დგომა და სოლიდარობა**

მსჯავრდებულებს შორის ერთად დგომა და სოლიდარობა ყველაზე მაღალი კლასის ღირებულებაა. მსჯავრდებულები ერთიანდებიან ციხის დაწესებულების ადმინისტრაციის (ე. წ. „შტაბის“) წინააღმდეგ. მსჯავრდებულების ლოზუნგია: „არასოდეს დაეხმარო შტაბს, თუ იგი პატიმრის ინტერესის წინააღმდეგ არის მიმართული! არასოდეს ითანამშრომლო შტაბთან!“

სოლიდარობის მიზანია შტაბთან დისტანციის დაჭერა და კონფლიქტის შემთხვევებში მსჯავრდებულებს შორის მხარდაჭერის გამოხატვა. მსჯავრდებულები, რომლებიც ორიენტირებული არიან აღნიშნულ ლოზუნგებზე და იცავენ ამ ნორმას, შანსი აქვთ გახდნენ ავტორიტეტები და მისაბაძნი სხვა მსჯავრდებულებისათვის.

• **ძალაუფლება**

ძალაუფლება განიხილება როგორც საშუალება, რომ შტაბიდან წამოსული ზეწოლა იქნეს განეიტრალებული, მოგერიებული. მსჯავრდებულები, რომელიც შეძლებს გაუძლოს შტაბის ზეწოლას, ან შტაბს და სხვა მსჯავრდებულებს საკუთარი სურვილი მოახვიოს თავზე, შეძლებს გახდეს „დამოუკიდებელი“. ძალაუფლების დემონსტრირების ერთ-ერთი შესაძლებლობაა ახალბედა მსჯავრდებულისაგან მატერიალური მოგების, სექსუალური ან სხვაგვარი უპირატესობის მიღება.

• **სიმშვიდე**

სიმშვიდე, როგორც ნორმა შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: 1) მშვიდად იყავი. არ დაკარგო თავი! ნუ შეხვალ ზედამხედველებთან და მსჯავრდებულებთან კონფლიქტში. ამ ნორმით მსჯავრდებულს, სასჯელადსრულებით დაწესებულებაში არსებული მისთვის არასასურველი მდგომარეობის მიუხედავად, მოეთხოვება იაზროვნოს რაციონალურად და აიყვანოს ხელში საკუთარი თავი; 2) არ შემაწუხო. გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა მისჯილი მსჯავრდებულებისათვის, რომელთაც უკვე დაალაგეს ურთიერთობა შტაბთან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მშვიდ ვითარებაში მოიხადონ სასჯელი.

• **მამაკაცურობა**

მამაკაცურობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები. ვინაიდან ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები ციხის პირობებში შეუძლებელია, წინა პლანზე იწევს მამაკაცურობის სხვა კრიტერიუმები. დეპრივაციისა და სიმკაცრის მიუხედავად, არ დაკარგო ღირსება. მამაკაცურობა გამოიხატება ლოზუნგებში: „არ დაგიმორჩილონ! არ აჩვენო სისუსტე! ისწავლე აღებ-მიცემობა როგორც მამაკაცმა!“

მამაკაცურობის ერთ-ერთი ნიშანია მსჯავრდებულის მიერ სხვა მსჯავრდებულების მხრიდან თავდასხმის მოგერიება და არავითარ შემთხვევაში ასეთ საკითხებზე შტაბთან თანამშრომლობა.

• **თანამოსაკნის გაფრთხილება**

თანამოსაკნის გაფრთხილების პუნქტში გამოკვეთილია რამდენიმე მსჯავრდებულისათვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი: 1) არასოდეს ჰკითხო თანამოსაკ-

⁸¹⁴ იქვე, 83: 22-25.

ნეს, რა დანაშაულზე იხდის სასჯელს; 2) თანამოსაკნის მიმართ ისე არ წარმოაჩინო თავი, თითქოს მორალურად მასზე უკეთესი იყო; 3) ნუ იფიქრებ, რომ სასამართლო განაჩენი სამართლიანია. ეცადე სხვა ადამიანებს დააბრალო შენი დანაშაული; 4) არასოდეს აღიარო, რომ ციხეში შეიძლება გამოსწორდე.

• **ნდობა, ლოიალობა, სამართლიანობა, დახმარების გაწევა**

დაბოლოს, წარმოგიდგენთ ნორმებსა და ღირებულებებს, რომლებიც მსჯავრდებულისათვის ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობის შეიძლება გახდეს და ძირითადად ჯგუფებისათვის არის დამახასიათებელი.

ციხის სუბკულტურისათვის არსებობს ორი კლასიკური განმარტების მოდელი: დეპრივაციის თეორია⁸¹⁵ და კულტურული გადატანის თეორია (Deprivationstheorie und die kulturelle Übertragungstheorie). პირველი თეორიის მიხედვით, სუბკულტურის არსებობა შინაგანი ფაქტორებით აიხსნება, მეორე - გარეგანი ფაქტორებით.

10.3.1. დეპრივაციის თეორია

საიკსმა თავის ნაშრომში 1958 წელს განავითარა დეპრივაციის თეორიის ძირითადი თეორიული კონცეფცია. დეპრივაციის მოდელი ეფუძნება სასჯელადსრულებითი დაწესებულების, როგორც ტოტალური ინსტიტუციის, შეცნობას და განასახიერებს პატიმრების რეაქციის გამოვლენის ფორმებს საპატიმრო დეპრივაციის გამო. ამასთან, გოფმანის თანახმად, ტოტალური ინსტიტუცია გამოიხატება შემდეგი ნიშნებით:

1. ცხოვრების ყველა საქმიანობა ციხეში ხორციელდება ერთი და იმავე ადგილას ერთი და იმავე ავტორიტეტების მიერ.
2. ინსტიტუციის წევრები თავიანთი ყოველდღიური სამუშაოს ყოველ ფაზას ახორციელებენ „შემთხვევითი მეგობრების“ დიდი ჯგუფის უშუალო საზოგადოებაში, სადაც ყველას ერთნაირად ექცვიან და ყველა მსგავს საქმიანობას ასრულებს.
3. სამუშაოს ყველა ფაზა ზუსტად არის დაგეგმილი. ერთ საქმიანობას მოსდევს მეორე, წინასწარ ცნობილი დროის მონაკვეთების მიხედვით. საქმიანობის მთელი მიმდინარეობა არის ფორმალური წესები, რომლებიც ზემოდან შტაბის (ციხის ადმინისტრაციის) მუშაკების მიერ წინასწარ დაწერილია.
4. განსხვავებული იძულებითი საქმიანობები ერთიანდება შტაბის რაციონალურ გეგმაში, რომელიც თითქოსდა ინსტიტუციის ოფიციალური მიზნების მიღწევას ემსახურება.

დაწესებულების სიტუაციას პატიმრები პასიურად არ ეგუებიან, მათი დიდი რაოდენობა ეძებს პირობებს სოციალური ინტერაქციის სისტემის შერბილებისათვის იმ მიზნით, რომ ციხის მუშლადული ცხოვრება სხვა ფორმებით შეიმსუბუქოს.

ჰარბორდტი ეთანხმება საიკს და საუბრობს 5 კომპონენტზე, ე. წ. „თავისუფლების აღკვეთით გამოწვეულ ტკივილზე“, რომელიც პატიმრებს ცხოვრებას უმძიმებს. დაუგეგმავი, არა პირდაპირი გარდაუვალი სულიერი ტანჯვა პატიმრებისთვის არანაკლებ დამაზიანებელია. ეს ტანჯვა გამოწვეულია სხვადასხვაგვარი მუშლადებითა და აკრძალვებით, ესენია: თავისუფლების დაკარგვა, მატერიალური და არამატე-

⁸¹⁵ Deprivation – არის გაჭირვების მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება იზოლაციის ან თავისუფლების აღკვეთის გამო.

რიალური სიკეთეების (უფლებების) ჩამორთმევა, ავტონომიის შეზღუდვა, უსაფრთხოების ნაკლებობა კრიმინალი თანაპატიმრების მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში და ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების შეუძლებლობა. ეს 5 ნიშანი ჰარბორდტის მიერ შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:⁸¹⁶

- ა) თავისუფლების დაკარგვა - თავისუფლების დაკარგვა იწვევს პატიმრებისათვის სოციალური ურთიერთობების რადიკალურ შეზღუდვას, ამასთანავე სოციალური როლის დაკარგვას, მაგალითად, მამის, ძმის ან მეგობრის როლის;
- ბ) მატერიალური ან არამატერიალური სიკეთეების ჩამორთმევა - მატერიალური ან არამატერიალური სიკეთეების ჩამორთმევა, ბუნებრივია, არ შეეხება საარსებო მინიმუმს, მაგრამ თითქმის ყველა პირადი საკუთრების დროებითი დაკარგვა და იძულებითი უარის თქმა მათ გამოყენებაზე, იწვევს გაღარიბების შეგრძნებას;
- გ) ჰეტეროსექსუალური ურთიერთობის შეუძლებლობა - ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების შეუძლებლობა არის პატიმრების ძირითადი პრობლემა. წლების განმავლობაში სექსუალური მოთხოვნა იწვევს ამ დარგში ფიქრებისა და შეგრძნებების უზომო კონცენტრაციას. პატიმარს ენატრება ქალის სახის დანახვა და სიცილის გაგონება. შიში მამაკაცობის დაკარგვაზე გავლენას ახდენს პატიმრების ფსიქიკაზე. ამის საფუძველზე კი ეწყებათ ჰომოსექსუალური მიდრეკილებები;
- დ) ავტონომიის შეზღუდვა - ავტონომიის შეზღუდვა ანუ პატიმრის პერსონალური თვითგამორკვევა რესოციალიზაციის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია. სასჯელაღსრულების დაწესებულებების დეტალიზებული განაწესისა და განკარგულებების შესახებ არ არსებობს არავითარი დისკუსია. ეს ემსახურება იმას, რომ მოხდეს პატიმრის კონტროლი და მისი დამორჩილება. ყოველთვის სხვა პირები განსაზღვრავენ, თუ რისი გაკეთების უფლება აქვს პატიმარს და როდის. პატიმარს ექვევნიან არა როგორც ზრდასრულ პირს, არამედ როგორც ბავშვს, რომელმაც ყოველთვის რაღაც უნდა ისწავლოს;
- ე) კრიმინალი პატიმრებისაგან უსაფრთხოების ნაკლებობა - დაბოლოს, უსაფრთხოება თანაპატიმრების მხრიდან სულაც არ არის ყოველთვის საკმარისი. მართალია, დაუწერელი ქვევის წესები პატიმრებს სოლიდარობისაკენ მოუწოდებს, მაგრამ პატიმართა დაჯგუფებებს შორის ჩხუბი ყოველთვის ხდება. ამას კი შედეგად მოჰყვება პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის და მისი ციხის ქონების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები.

აქ მოყვანილი კომპონენტები პატიმრებზე ახდენს უარყოფით გავლენას. თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების არასაკმარისობის გამო პატიმრები განიცდიან ძლიერ იმედგაცრუებას. სხვებისათვის „თავისუფლების აღკვეთის გამო ტანჯვის“ საფუძველზე ხდება საკუთარი ღირსების შეგრძნების ძლიერი დაზიანება. საიკის თანახმად, პატიმარს აქვს ერთადერთი შესაძლებლობა საკუთარი

⁸¹⁶ S. Harbordt, Die Subkultur des Gefängnisses. Eine soziologische Studie zur Resozialisierung. Stuttgart, 1967. S. 11.

ტანჯვის წინააღმდეგ საბრძოლველად. მას შეუძლია შეუერთდეს სხვა პატიმრებს, გამოუცხადოს მათ სოლიდარობა და ამით თავისი „დამჩაგვრელები“, ანუ შტაბის (სასჯელაღსრულების დაწესებულების), წინააღმდეგ წავიდეს, თვითონ შექმნას ან გაერთიანდეს ციხის სუბკულტურაში.

ლაუბენტალი (Laubenthal) აღწერს არა 5 არამედ 9 კომპონენტს, რომლებიც პატიმრების დეპრივაციას იწვევენ.⁸¹⁷ ავტონომიის დაკარგვა, დროებითი გათავისუფლება საკუთარ თავზე ზრუნვისაგან და საკუთარი თავის წინაშე პასუხისმგებლობისაგან, პირადი სფეროს ნაკლებობა, უსაფრთხოების დაკარგვა, ჰეტეროსექსუალური კონტაქტების არქონა, ნათესავებისგან მოცილება და დეპრივაცია სენსორულ სფეროში (რეალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობა - ინტელექტუალური და კოგნიტური სივრცეები), დროის ფაქტორი და მომავლის პერსპექტივების ნაკლებობა (უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სასჯელების დროს).

დეპრივაციის თეორიის დებულება, რომ სუბკულტურული პოზიციები სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გამომუშავდება, ჰურლიმანის (Hurlimann) მიერ გათვალისწინებულია, როგორც სწავლების თეორია.⁸¹⁸ მას პოტენციურ ამოსავალ წერტილად მიაჩნია საზერლენდის დიფერენცირებული ასოციაციების თეორია. ჰურლიმანის აზრით, კრიმინალური შეხედულებები წარმოიქმნება არსებულ სოციალურ სისტემებში და ისინი პატიმართა მიერ შეისწავლება. პატიმრების სუბკულტურა ფლობს ძალიან დიფერენცირებულ იერარქიულ სოციალურ სტრუქტურას. სავარაუდოა, რომ განსაკუთრებით გავლენიან პატიმრებს (არაოფიციალურ მმართველებს) დიდი რაოდენობით კრიმინალური ენერჯია აქვთ და ამის შედეგად ისინი სხვა პატიმრებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ.⁸¹⁹

10.3.2. კულტურული გადატანის თეორია

კულტურული გადატანის (გადაცემის) თეორია არის პატიმართა სუბკულტურის განმარტების მეორე თეორიული შესაძლებლობა. იგი ირვინისა და კრესის მიერ იქნა განხილული თავიანთ სტატიამი „Thieves, convicts and the inmate culture“.⁸²⁰ ავტორთა მიხედვით, პატიმართა სუბკულტურა განიხილება, როგორც ნაწარმი გარე სამყაროს - კერძოდ სოციალურად დაბალი - ფენებისა, რაც იმას გულისხმობს, რომ არსებული სუბკულტურული სტრუქტურები და ნორმები სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გარედან „შედის“ და იგი იქ განაგრძობს არსებობას.

კულტურული გადატანის (გადაცემის) თეორიის მიხედვით, პატიმრები ციხეში უკვე მატარებელნი იყვნენ დანაშაულებრივი „ღირებულებებისა“, რომლებიც ციხის გარეთაც არსებობს. თუ ასეთი პატიმრები ციხეში შეხვდებიან პირებს მსგავსი სოციალური წარმომავლობითა და ქცევის წესებით, წარმოიშობა შესაბამისი კრიმინალური სუბკულტურა.

დეპრივაციისა და კულტურული გადატანის თეორიის ირგვლივ მრავალი ემპირიული კვლევა იქნა განხორციელებული. თუმცა ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ორივე თეორიის მონაწილეობას (კომბინაციას) უკეთ შეუძლია სუბკულტურის წარმოქმნის

⁸¹⁷ K. Laubenthal, *Strafvollzug*, Sechste Auflage. Heidelberg, 2011. S. 112-115.

⁸¹⁸ M. Hurlimann, *Führer und Einflußfaktoren in der Subkultur des Strafvollzugs*. Pfaffenweiler 1993, S. 20.

⁸¹⁹ იქვე.

⁸²⁰ Irvin, J./Cressey, D.R., *Thieves, Convicts and the Inmate Culture*. *Social Problems* 10/1964. S. 142 – 155.

ახსნა-განმარტება. მაიერის ციხეში „სავაჭრო საქმიანობის“ მაგალითზე ნათელი ხდება დეპრივაციისა და კულტურული გადატანის თეორიების კომბინაციის აუცილებლობა.⁸²¹ დეპრივაციის თეორია ადასტურებს საქონლის არალეგალურ ბრუნვას მატერიალური სიკეთეების ნაკლებობის კომპენსაციის გამო. კულტურული გადატანის თეორია კი ხსნის ციხეში კონტრაბანდული ორგანიზაციის სისტემის საქმიანობას, პატიმართა სპეციალური ცოდნის (კონტრაბანდის ბრუნვაზე) საფუძველზე, რომელიც მათ ციხის გარეთ შეიძინეს და ციხის პირობებში იყენებენ.

10.4. სოციალური გაუცხოება

ადამიანებისათვის, რომლებიც გრძელვადიან სასჯელს იხდიან, დამახასიათებელია თანამოქალაქებისადმი დამოკიდებულების შეცვლა.⁸²² სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში ისინი ხშირად ღიზიანდებიან, აგრესიულები ხდებიან, ურთიერთობებში შიშით ან გადამეტებული მგრძობელობით გამოირჩევიან, რაც ართულებს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.⁸²³ მაღალია ასეთი ადამიანების მხრიდან თვითდაზიანებისა და სუიციდის რისკები.⁸²⁴

სოციალურად ახლო მდგომ ადამიანებთან გაუცხოების გამო ბევრი ყოფილი მსჯავრდებული კარგავს საკუთარი თავის იმედს,⁸²⁵ ვეღარ უმკლავდება ყოველდღიურ პრობლემებს და დასწავლილი დაუხმარებლობის, უმწეობის მდგომარეობაში ვარდება.⁸²⁶ ყოველდღიური პრობლემების დაძლევის უნარი ხშირად მსჯავრდებულებს ციხეში მოხვედრამდე აკლდათ, არ გააჩნდათ,⁸²⁷ ციხის პირობებში, რა თქმა უნდა, ეს უნარი მათ უფრო დაკარგეს, რადგან ციხეში მათ რეალურად აღარაფრის გადაწყვეტა არ ევალებათ. მათთვის გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების ხელმძღვანელობა.

10.5. ჯანმრთელობისა და ფსიქოსომატური პრობლემები

ფსიქოსომატური პრობლემები პატიმრებს შორის უფრო ხშირია, ვიდრე მოსახლეობის სხვა ნაწილში.⁸²⁸ ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ მამაკაც პატიმართა 2/3 ფსიქიკურად არაჯანმრთელი და სამკურნალო იყო.⁸²⁹ ციხის სიტუა-

⁸²¹ Meier, A., Subkultur im Jugendstrafvollzug im Kontext von Jugendlichen-biographien. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe (ZfStrVo) 2002. S. 140.

⁸²² G. Kawamura-Reindl, Entlassung nach langem Freiheitsentzug – Voraussetzungen und Erfordernisse für eine Rückkehr in die Gesellschaft. In. Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe. Heft 5, 2004. S. 284.

⁸²³ იქვე.

⁸²⁴ მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012, გვ. 155.

⁸²⁵ W. Greve/D. Hossler/ Ch. Pfeiffer, Gefängnis und die Folgen. Identitätsentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. . Hannover 1997. S.13.

⁸²⁶ G. Kawamura-Reindl, Entlassung nach langem Freiheitsentzug – Voraussetzungen und Erfordernisse für eine Rückkehr in die Gesellschaft. In. Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe. Heft 5, 2004. S. 284; W. Greve/D. Hossler/ Ch. Pfeiffer, Gefängnis und die Folgen. Identitätsentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. . Hannover 1997. S.14.

⁸²⁷ W. Greve/D. Hossler/ Ch. Pfeiffer, Gefängnis und die Folgen. Identitätsentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. Hannover, 1997. S.13.

⁸²⁸ G. Kawamura-Reindl, Entlassung nach langem Freiheitsentzug – Voraussetzungen und Erfordernisse für eine Rückkehr in die Gesellschaft. In. Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe. Heft 5, 2004. S. 284.

⁸²⁹ W. Greve/D. Hossler/ Ch. Pfeiffer, Gefängnis und die Folgen. Identitätsentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. Hannover, 1997. S.14.

ცია პატიმრის ფსიქიკისათვის მეტად რთული ასატანია. გრძელვადიან პატიმრებს შესაძლოა ჰქონდეს ფსიქოლოგიური პრობლემებიც (თვითშეფასების დაკარგვა, უნარ-ჩვევების დაქვეითება.⁸³⁰ პატიმრებში ფსიქიკური არასტაბილურობა ხშირად იწვევს ნაწლავურ და სისხლის მიმოქცევით პრობლემებს. დაწესებულების ექიმის არაკვალიფიციურობის ან არასაკმარისი გამოცდილების გამო ხშირად ჯანმრთელობის გაუარესების დროს ზუსტი დიაგნოზის დადგენა ძალიან რთულია.

საქართველოს სახალხო დამცველის ხელშეწყობით 2014-2017 წლებში ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა რვა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული 1000 პატიმარი ჯანმრთელობის პრობლემებსა და მომსახურებასთან დაკავშირებით, მათ შორის, 840 მამაკაცი და 160 ქალი, 300 ბრალდებული და 700 მსჯავრდებული; 680 გამოკითხული პატიმარი იყო 45 წლის და 45 წელს გადაცილებული, ხოლო 320 - 45 წელზე ნაკლები ასაკის, 403 იყო ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებიდან, ხოლო 297 - დახურული ტიპის დაწესებულებიდან.⁸³¹

სოციოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა კორელაცია პატიმართა ჯანმრთელობის დინამიკის თვითშეფასებასა და პატიმრობის ხანგრძლივობას შორის. ერთ წლამდე პატიმრობის შემთხვევაში ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებაზე მიუთითებს 21-23%, პატიმრობის ვადის გაზრდასთან ერთად ეს მაჩვენებელი მკვეთრად იზრდება: იმ პატიმრების ჯგუფში, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებაში 3-დან 6 წლამდე იმყოფებიან, ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებაზე მიუთითებს რესპონდენტთა 37%, ხოლო ცხრა წელზე მეტი პატიმრობის ხანგრძლივობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 64%-მდე იზრდება.⁸³²

10.6. სუბკულტურის მსხვერპლად ყოფნა

გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი პრობლემა არის პატიმართა იერარქიის წარმოქმნა სიმყარესა და მსხვერპლად ყოფნას შორის. სუბკულტურის მსხვერპლი მსჯავრდებულები ციხის ადმინისტრაციის მხრიდან ადვილად ამოსაცნობი პირები არიან, თუმცა ასეთი მსჯავრდებულების (სუბკულტურის მსხვერპლის) დაცვა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია, ვინაიდან:⁸³³

- სუბკულტურის მსხვერპლი თავს არც კი გრძნობს დაზარალებულად ან მის მიმართ განხორციელებულ უკანონობას სიტუაციიდან გამომდინარე თვლის ან ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს (მაგ., იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი მსჯავრდებულისათვის სისტემატურად საკუთარი თანხით სიგარეტის, ყავის და სხვა პროდუქტების შეძენა);
- სუბკულტურის მსხვერპლთან ურთიერთობა რეგულირდება დადგენილი

⁸³⁰ ნ. მჭედლიძე, სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი, 2019, გვ. 17.

⁸³¹ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე, თბილისი, 2018, გვ. 20-21, <https://ombudsman.ge/res/docs/2019060317571314166.pdf> [07.05.2024]

⁸³² იქვე, გვ. 129.

⁸³³ Kreuzer, A./ Gebhardt Ch./ Maassen, M., Opfer innerhalb krimineller Subkulturen - unter besonderer Berücksichtigung der Drogen-Subkulturen. In: Das Verbrechenopfer in der Strafrechtspflege, Referate des Dritten internationalen Symposiums für Viktimologie 1979 in Münster/Westfalen, H.J. Schneider (Hrsg.), Berlin, 1982, 264-275.

წესებით⁸³⁴, რომელთა გადამეტება სანქცირებული იქნება სხვა მსჯავრდებულების მიერ. ასე რომ, სუბკულტურის მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში შეიძლება ვერც კი გრძნობდეს, რომ უკანონობის მსხვერპლია;

- ციხის ადმინისტრაციის მხრიდან მსჯავრდებულის მსხვერპლად ქცევის შესახებ ინფორმაცია უმეტეს შემთხვევაში შიდა ნორმებითა და სანქციებით რეგულირდება. ციხის ადმინისტრაციის მიერ პროკურატურის ჩართვის შემთხვევაში ზიანი ადგება ადმინისტრაციის მუშაობას (ადმინისტრაცია ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას). ამიტომ, როგორც ციხის ადმინისტრაციას, ასევე სუბკულტურის „ელიტას“, ურჩევნია გარეშე ძალების ჩაურევლად მსხვერპლად გახდომის ფაქტის დამალვა;
- სუბკულტურის მსხვერპლის მხრიდან მომხდარის შესახებ სათანადო ორგანოებისთვის საკუთარი ინიციატივით არშეტყობინება და/ან მტკიცებულებების მოპოვების სირთულე, მიუთითებს ციხის პირობებში მსჯავრდებულთა მსხვერპლად გახდომის დიდ ლატენტურ მაჩვენებელზე.⁸³⁵

10.7. სტიგმატიზება

ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ციხიდან გამოსული ადამიანის დამნაშავედ სტიგმატიზების პრობლემა.⁸³⁶ ეტიკეტირებულის მხრიდან ხდება დამნაშავის იარლიყის მორგება და გამართლება, რაც განმეორებით დანაშაულის ჩადენაში ვლინდება.⁸³⁷

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მსჯავრდებულები, რომლებმაც გრძელვადიანი სასჯელი მოიხადეს, მომზადებული იყვნენ გათავისუფლებისთვის, რადგან მათი დაპატიმრების დროს საზოგადოებასა და სახელმწიფოში მოქმედი სტრუქტურები, რომლებიც მათ ციხიდან გამოსვლის შემდეგ დახმარებას გაუწევდნენ, შეიძლება აღარც კი არსებობდნენ.⁸³⁸ პენიტენციური ორგანოები ვერ მოამზადებენ პატიმრებს გასათავისუფლებლად სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ორგანიზაციების დახმარების გარეშე. სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად უნდა ჩაებან საზოგადოებაში მათი ხელახალი ინტეგრაციის დაგეგმვისთვის. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც გათავისუფლების შემდეგ ყოფილ პატიმრებთან მუშაობენ, უნდა მივიდნენ ციხეში და დაამყარონ ურთიერთობა პატიმრებთან მათ გათავისუფლებამდე.⁸³⁹

იმისათვის, რომ მსჯავრდებულთა საჭიროებების გათვალისწინება და რესოციალიზაცია მოხდეს, აუცილებელია კვლევები ამ კუთხით.

⁸³⁴ „დაწესებულებებში დამკვიდრებული არაფორმალური წესების მიხედვით, ძალადობის მსხვერპლმა არ უნდა გაამჟღავნოს დაზიანების მიყენების ფაქტი და მით უმეტეს – მიზეზები“, საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 61.

⁸³⁵ ვრცლად, მ. შალიკაშვილი, ს. თანდილაშვილი, უ. ბახტაძე, ვიქტიმოლოგია- მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, მეორე გამოცემა, თბილისი, 2023, გვ. 219-222.

⁸³⁶ მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017, გვ. 44.

⁸³⁷ W. Greve/D. Hossler/ Ch. Pfeiffer, Gefängnis und die Folgen. Identitätsentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. Hannover, 1997. S.13.

⁸³⁸ ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, თბილისი, 2007, გვ. 103.

⁸³⁹ იქვე.

10.8. მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის (კრიმინოლოგიური) კვლევები

პენიტენციური კოდექსის 138-ე მუხლი პირდაპირ საუბრობს კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელებაზე პენიტენციურ დაწესებულებაში. ამ მუხლის თანახმად, სამსახური ხელს უწყობს მის სისტემაში ისეთი კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელებას, რომელთა მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის, დანაშაულის პრევენციისა და მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამების მეცნიერული შესწავლა.

გარდა პენიტენციური კოდექსისა, საერთაშორისო აქტებიც პირდაპირ მიუთითებენ პენიტენციურ სისტემაში კვლევების განხორციელების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე. ევროპული ციხის წესების 91-ე წესის თანახმად, ციხის სისტემათა ხელმძღვანელობამ მხარი უნდა დაუჭიროს კვლევისა და შეფასების პროგრამებს ციხეებში, რომლებიც ხორციელდება ციხის სისტემის გაძლიერებისა და მისი როლის ამადლების მიზნით დემოკრატიულ საზოგადოებაში. აგრეთვე, უნდა გააფართოვოს მისი მანდატი გამოკვლევისა და შეფასების სრულად განხორციელების მიზნით.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97)12 წევრი სახელმწიფოსადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ (დანართი #1) 47-ე მუხლის თანახმად, უნდა წახალისდეს თანამშრომელთა მუშაობის შესახებ კვლევის ჩატარება. ამგვარი კვლევის მიზანი უნდა იყოს იმის დადგენა, თუ რამდენად შეიძლება მოცემული მომსახურების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება თანამშრომელთა უკეთესად შერჩევის, ტრენინგის, სამუშაოს ორგანიზებით, დაინტერესებითა და პროფესიული მხარდაჭერის გზით.

პენიტენციურ დაწესებულებაში ემპირიული კვლევის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს ორი მიმართულებით: 1) კრიმინოლოგიური და 2) სანქციის აღსრულების ანუ პენოლოგიური კუთხით. პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული კვლევა ხორციელდება სოციოლოგიური მეთოდების გამოყენებით. სოციოლოგიური სამეცნიერო კვლევის განხორციელებისას დიურკემი იყენებდა შვიდ „სანიმუშო“ ნაბიჯს: პრობლემის განსაზღვრა, ლიტერატურის მიმოხილვა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, კვლევის გეგმის შერჩევა, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა გაანალიზება და დასკვნების გაკეთება.⁸⁴⁰

სამეცნიერო კვლევა უნდა შეფასდეს ორი ნიშნით: დასაბუთებულობა და სანდოობა. დასაბუთებულობა არის მაჩვენებელი, რომლითაც გამოკვლევა საზღვრავს იმას, რისი განსაზღვრის მცდელობაც არსებობს, ხოლო სანდოობა არის მაჩვენებელი, რომლითაც გამოკვლევა იღებს იმავე შედეგებს, როდესაც იმეორებს პირველად ან სხვა მეცნიერების გამოკვლევებს.⁸⁴¹

კრიმინოლოგია, როგორც ადამიანის გამოცდილების სისტემურ ერთიანობაზე დამყარებული მეცნიერება, შეიძლება სამ მნიშვნელოვან ცნებაში გამოიხატოს: დამნაშავე, დანაშაული და დანაშაულის კონტროლი.⁸⁴² პენიტენციური დაწესებუ-

⁸⁴⁰ ქ. კალჰუნი / დ. ლაითი / ს. კელერი / სოციოლოგია (თავები 2, 3, 4), თბილისი, 2007, გვ. 7.

⁸⁴¹ იქვე, გვ. 22.

⁸⁴² მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017, გვ. 1; G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg, 1982. S. 27.

ლების როლი დამნაშავის პიროვნების კვლევაში ძალიან მნიშვნელოვანია. ციხე, როგორც დამნაშავის ცხოვრების გამოცდილების ეტაპი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დამნაშავის პიროვნული კვლევა და მისი გაანალიზება. მნიშვნელოვანია კვლევა საკითხზე, თუ რამდენ წელში კარგავს პატიმარი სოციალური ურთიერთობების (სრულყოფილად) განხორციელების უნარს, ანუ საინტერესოა თავისუფლების აღკვეთის რა ვადაა საჭირო, რომ მსჯავრდებულმა დაკარგოს სოციალური ურთიერთობების სრულყოფილად განხორციელების უნარი.⁸⁴³

დანაშაულის კონტროლის კუთხით აუცილებელია ასევე ციხის სუბკულტურის კვლევა. ხშირად ციხის სუბკულტურა მოქმედებს ციხის გარეთაც. სუბკულტურის ავტორიტეტული კრიმინალური წევრები, როგორც ციხეში, ასევე ციხის გარეთ, ქმნიან კრიმინალურ ჯგუფებს. ეს ჯგუფები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთ საერთო მიზანს ემსახურებიან. ასეთი ჯგუფების განცალკევებით, ციხის გარეთ ან ციხის შიგნით, შესწავლა არ არის შედეგის მომტანი. აუცილებელია ჯგუფის კომპლექსური შესწავლა, რაც წარმოუდგენელია ციხეში კრიმინოლოგიური კვლევის გარეშე.

იმისათვის, რომ სასჯელადსრულებით დაწესებულებაში კრიმინოლოგიური კვლევა განხორციელდეს, აუცილებელია სწორად დაიგეგმოს იგი და ზედმიწევნით ზუსტად შეირჩეს კვლევის მეთოდი, ანუ მსჯავრდებულებისაგან ინფორმაციის მიღების მექანიზმი. მაგალითად, ციხის კრიმინალური სუბკულტურის კვლევის დროს, როდესაც ჩვენ გვსურს, რომ გავიგოთ სუბკულტურის იერარქია, ქცევის კოდექსი, სადამსჯელო სისტემა და ა. შ. გამოკითხვის ჩატარება გაუმართლებელია. ვინაიდან სუბკულტურის ჩვეულებრივი წევრები ავტორიტეტული წევრების მიერ იმართებიან და კითხვარის პასუხები არ იქნება მათი (ჩვეულებრივი წევრების) ნების გამოვლინება.

სასჯელადსრულებით დაწესებულებაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი კვლევის მეთოდები: გამოკითხვა, დაკვირვება, ექსპერიმენტი, შინაარსის ანალიზი და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

გამოკითხვა

სოციოლოგიაში, ისევე როგორც კრიმინოლოგიაში, ყველაზე ხშირად მიმართავენ კვლევის ფორმას - გამოკითხვას. გამოკითხვა შეიძლება იყოს როგორც დამოუკიდებელი კვლევის მეთოდი, ასევე სხვა კვლევის მეთოდის შემადგენელი ნაწილი, მაგ., დაკვირვების ან ექსპერიმენტის დროს საცდელი პირის გამოკითხვა.

კითხვა შეიძლება იყოს ღია ან დახურული. „ღია“ კითხვების დროს სავარაუდო პასუხები არ არის მითითებული, ხოლო „დახურული“ კითხვების დროს მითითებულია ორი ან მეტი სავარაუდო პასუხი.⁸⁴⁴

პენიტენციურ დაწესებულებაში ხშირია სწორედ ზეპირი გამოკითხვის ჩატარება - ინტერვიუ. ინტერვიუს დროს ხდება კითხვის დაზუსტება, რაც ხშირად აუცილებელია მსჯავრდებულისათვის, რათა მან სწორად გაიგოს საკვლევი თემა და დასმული კითხვა.

⁸⁴³ G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg, 1982. S. 27.

⁸⁴⁴ ვრცლად იხ.: მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017, გვ. 17.

ინტერვიუ, როგორც კვლევის მეთოდი, წარმოებს ზედაპირული მონახაზის თანხლებით, ანუ მკვლევარს მომზადებული აქვს სამი-ხუთი კითხვა, მაგრამ მათ გადრმავებას ახდენს ინტერვიუს პერიოდში. ინტერვიუს მიზანია მკვლევარმა დასმული კითხვების მეშვეობით მიიღოს მისთვის საჭირო (ღრმა) ინფორმაცია. ამ მხრივ მკვლევარს გააჩნია თავისუფალი მოქმედების უფრო დიდი სპექტრი, ვიდრე სხვა სოციოლოგიური მეთოდების გამოყენების დროს. მას შეუძლია კითხვათა თავისუფალი ფორმულირება, დალაგება და დამატებითი (განმარტებითი) კითხვების დასმა.⁸⁴⁵

ინტერვიუს ჩატარებისათვის საჭიროა მკვლევარი წინასწარ ფლობდეს ინფორმაციას გამოსაკითხი პიროვნების შესახებ, მის განვლილ და არსებულ ცხოვრების პირობებს.⁸⁴⁶ ინტერვიუს ჩატარება და მისი შეფასება დიდ დროსთან არის დაკავშირებული, ამიტომ უნდა მოხდეს მხოლოდ ადამიანთა პატარა ჯგუფის და კვლევისათვის სპეციალური პრობლემის გამოყოფა და მასზე ინტერვიუს მთელ პერიოდში მაქსიმალური კონცენტრაცია.

იმისათვის, რომ გამოკითხულები იყვნენ გულახდილნი, გამოკითხვის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი კრიტერიუმები:⁸⁴⁷ ა) მკვლევარი ვალდებულია დაიცვას გამოკითხულთა ანონიმურობა; ბ) რესპონდენტები პასუხობენ სიმართლეს; გ) მკვლევარს უნდა ჰქონდეს იმის შეგრძნება, რომ შეაფასოს, სიმართლეს ამბობს რესპონდენტი თუ არა; დ) რესპონდენტებს აქვთ განათლების მაღალი დონე (აღნიშნული შესაძლებელია პრობლემა გახდეს ციხის პირობებში); ე) რესპონდენტს ცოტა ან საერთოდ არა აქვს დანაშაული ჩადენილი; ვ) რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაზე უნდა შეესაბამებოდეს ჯგუფის სხვა წევრების მონათხრობს; ზ) რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს პოლიციის მიერ დაფიქსირებულ და სისხლის სამართლის საქმეში არსებულ საგამოძიებო მასალებს (თუ ამის შესაძლებლობა არსებობს); თ) კითხვარში მოცემული დანაშაულის სახეებიდან რესპონდენტს არ ჩაუდენია არც ერთი, ან მხოლოდ მცირე ნაწილი.

მოცემული კრიტერიუმებიდან, რაც უფრო მეტის შესრულება შეეძლება რესპონდენტს, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ ზუსტად იქნეს დადგენილი პირის ვიქტიმიზაცია.

ექსპერიმენტი

ექსპერიმენტი მეცნიერს აძლევს შესაძლებლობას, დაადგინოს გამომწვევი მიზეზისა და შედეგის ურთიერთმიმართება. ექსპერიმენტში მეცნიერს შეუძლია გამოსცადოს ჰიპოთეზა - „ერთი ცვლადი სიდიდე გავლენას ახდენს მეორე ცვლად სიდიდეზე, თუ ეს მიზეზობრივად იქნა გამოწვეული - საგნების შემოტანით სპეციალურად შექმნილ სიტუაციაში, რომელიც მკვლევარებს საშუალებას აძლევს აკონტროლოს ცვლად სიდიდეზე რაიმე გავლენის მომხდენი არსებითი ფაქტორები“.⁸⁴⁸ ექსპერიმენტი შეიძლება იყოს სავლელ და ლაბორატორიული. სიტუაციათა უმრავლესობა, რომელიც აინტერესებს სოციალურ მეცნიერებებს, ლაბორატორიებში ვერ იქმნება, რადგან მასში მონაწილეებმა იციან, რომ აკვირდებიან, ამიტომ ისინი

⁸⁴⁵ ქ. კალჭუნი / დ. ლაითი / ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4), თბილისი, 2007, გვ. 34.

⁸⁴⁶ ე. გიდენსი, სოციოლოგია. თბილისი, 2011, გვ. 630.

⁸⁴⁷ K-D. Opp, Abweichendes Verhalten und Gesellschaftsstruktur. Neuwid, 1974. S. 60.

⁸⁴⁸ ქ. კალჭუნი / დ. ლაითი / ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4), თბილისი, 2007, გვ. 34.

არაბუნებრივად იქცევიან.⁸⁴⁹

დაკვირვება

დაკვირვება, როგორც კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდი, გულისხმობს მეცნიერის (მკვლევრის) უშუალო მონაწილეობას კვლევის სფეროში. დაკვირვებითი კვლევის სფერო შეიძლება გამომდინარეობდეს ყოველდღიური ცხოვრებიდან. იგი ჩვეულებრივი ცხოვრების დაკვირვებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის არის: ა) სისტემატიური, ბ) მიზანდასახული და გ) მეთოდურად მკვლევრის მიერ კონტროლირებადი.

დაკვირვება არის მიზანმიმართული, წინასწარგანზრახული და სპეციალურად ორგანიზებული აღქმა, რომელიც დამკვირვებლის ამოცანით არის განპირობებული. ეს მეთოდი არის რეალობის აღქმის ფორმა, რომელიც შესასწავლი ობიექტის კანონზომიერებიდან გამომდინარეობს.

სხვა სიტყვებით, დაკვირვება უბრალოდ ყურებას ნიშნავს, დამკვირვებელი ერთვება სიტუაციაში, სადაც მისთვის საინტერესო ქცევა ხორციელდება, აკვირდება და აფიქსირებს ქცევის თავისებურებებსა და გამოვლენის სინშირეს.⁸⁵⁰

დაკვირვება მეტად ძლიერი ინფორმაციის მიღების საშუალებაა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში კრიმინალური სუბკულტურული დაჯგუფების კვლევისას, როდესაც ჯგუფის წევრებმა არ იციან დაკვირვების შესახებ და მკვლევარი ჯგუფის წევრებთან სისტემატიური ურთიერთობით იღებს მათზე მისთვის საჭირო ინფორმაციას.⁸⁵¹ ინფორმაციის მიღება, თავის მხრივ, დამოკიდებულია თავად მკვლევრის უნარზე, მოიპოვოს კვლევაში ჩართული ადამიანების ნდობა.⁸⁵²

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მკვლევარი არ უბნება დასაკვირვებელ პირებს საკუთარი მიზნების შესახებ, დღის წესრიგში შეიძლება დადგეს კვლევის ეთიკური საკითხი, კერძოდ, კვლევის სუბიექტის პირადი უფლების შესახებ.⁸⁵³

შინაარსის ანალიზი

სოციოლოგიურ მეცნიერებაში ანალიზი, როგორც კვლევის მეთოდი, იყოფა ორ ნაწილად: დოკუმენტების ანალიზი და შინაარსის ანალიზი.

დოკუმენტის ანალიზი კრიმინოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდად ითვლება კრიმინოლოგიური ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით.

დოკუმენტის ანალიზში, პირველ რიგში, იგულისხმება დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მეცნიერულად გამოყენება.

დოკუმენტებში იგულისხმება ადამიანების მიერ შედგენილი დოკუმენტები, რომელთა ანალიზითა და განმარტებით შესაძლებელი ხდება ადამიანის ქცევის, დამოკიდებულების და სხვა სოციალური მდგომარეობის მეცნიერული კუთხით გაანალიზება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკის ანალიზი სხვადასხვა ცვლადის მიხედვით: ასაკი, სქესი, სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, დამნაშავის ეთნიკური წარმომავლობა და სხვა.

ამგვარი დოკუმენტებია: პირადი დოკუმენტები (წერილები, დღიურები); ჩანაწერები; ყველა სახის აქტები; ფოტოსურათები და სხვა. ამ დოკუმენტებს შორის

⁸⁴⁹ ე. გიდენსი, სოციოლოგია, თბილისი, 2011, გვ. 632.

⁸⁵⁰ იქვე, გვ. 627.

⁸⁵¹ შუაღ.: ქ. კალჭუნი / დ. ლაითი / ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2, 3, 4), თბილისი, 2007, გვ. 40.

⁸⁵² ე. გიდენსი, სოციოლოგია, თბილისი, 2011, გვ. 628.

⁸⁵³ ქ. კალჭუნი / დ. ლაითი / ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2, 3, 4), თბილისი, 2007, გვ. 41.

ფრიად მნიშვნელოვანია პატიმრის სისხლის სამართლის საქმე.

პატიმრის სისხლის სამართლის საქმე არის დოკუმენტი, რომელიც ყოველი პატიმრისთვის დგება და რომელშიც პატიმრის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახება: განაჩენი, დისციპლინური და წახალისების ღონისძიებები და სხვა პატიმრის პირადი დოკუმენტები. მათი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია პატიმრის მდგომარეობის, ქცევისა და დამოკიდებულების შესახებ კვლევისათვის გარკვეული, ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება.⁸⁵⁴

შინაარსის ანალიზში იგულისხმება ისეთი დოკუმენტების ანალიზი, რომელთაც კომუნიკაციის მნიშვნელობა აქვთ, მაგ.: საგაზეთო სტატიები; ტელე-რადიოგადაცემები; წერილები, პროტოკოლები.

სასჯელადსრულებითი კუთხით, შინაარსის ანალიზის ემპირიული მეთოდის მნიშვნელობა გულისხმობს დამნაშავის პიროვნების შესწავლას სწორედ განაჩენების ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზზე.

კრიმინალური სტატისტიკა

კრიმინალური სტატისტიკის ქვეშ მოიაზრება დანაშაულის კონტროლის სახელმწიფო ორგანოების მიერ სისტემატიურად შედგენილი (შეგროვილი) მონაცემები დანაშაულის და/ან დამნაშავისა და დაზარალებულის შესახებ.⁸⁵⁵

კრიმინალურ სტატისტიკას აქვს ოთხი მნიშვნელობა: 1) ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა არის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ანგარიში; 2) ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა იძლევა ინფორმაციას ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის შესახებ; 3) ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკით ხდება მოსახლეობის ინფორმირება დანაშაულის დინამიკის, მდგომარეობისა და სტრუქტურის შესახებ; 4) ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა ხელს უწყობს დანაშაულის კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას.⁸⁵⁶

ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა შედგება სახელმწიფო ორგანოს მიერ შემუშავებული ხუთი მათემატიკური ციფრისაგან: პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს, პენიტენციური და პრობაციის სტატისტიკა. პენიტენციური სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს პატიმართა რაოდენობის, ასაკის, დისციპლინური სახდელების, პაემნების, პირობით ვადამდე გათავისუფლების, ამნისტიისა და შეწყალების შემდეგ ცხიდან გათავისუფლებული მსჯავრდებულების შესახებ. სტატისტიკური ცხრილები იკითხება რიგებში და სვეტებში. თითოეული უჯრა შეიცავს ინფორმაციის ნაწილს, რომელიც გამოსახულია სიტყვით, რიცხვით, პროცენტულობით ან სხვა სტატისტიკური განზომილებით.⁸⁵⁷

⁸⁵⁴ J-M. Jehle, Ein Problemabriss unter Datenschutzaspekten. In: J-M. Jehle (Hrsg.), Datenzugang und Datenschutz in der kriminologischen Forschung. Wiesbaden, 1987. S. 24.

⁸⁵⁵ მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შეესხებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017, გვ. 21.

⁸⁵⁶ იქვე, გვ. 22.

⁸⁵⁷ ქ. კალპუნი / დ. ლაითი / ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2, 3, 4), თბილისი, 2007, გვ. 19.

მეთერთმეტე თავი მსჯავრდებულთა განსაკუთრებული კატეგორიები

11.1. არასრულწლოვანი პატიმრები

სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებული მნიშვნელობით იყენებს ტერმინებს „არასრულწლოვანი“ და „ბავშვი“. ამასთან, ხშირად სამართლებრივი სისტემები ბავშვისა და არასრულწლოვანის ცნებების ბუნდოვან განმარტებებს შეიცავენ. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, „ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას“. მსგავსი აზრია გატარებული გაეროს წესების მე-11 წესში თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, რომლის თანახმადაც, „არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის ადამიანი. ...“

ასაკი, რომლიდანაც იწყება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სხვადასხვა ასაკი, როდესაც არასრულწლოვანი შეიძლება მოთავსებულ იქნეს სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. თუ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ძალიან დაბალი ზღვრისთვის არის დადგენილი, ან თუ საერთოდ არ არსებობს ქვედა ზღვარი, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება კარგავს თავის მნიშვნელობას.

რიგ ქვეყნებში დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, სარეაბილიტაციო დაწესებულებებში შექმნილია სპეციალური პირობები იმ მიზნით, რომ 21 წლის ასაკის მიღწევამდე მოხდეს მსჯავრდებულთა განცალკევება ზრდასრული პატიმრებისაგან. უფრო მეტიც, არის ქვეყნები (მაგალითად, იაპონია), სადაც ეს ასაკი 24 წლამდეა გაგრძელებული.⁸⁵⁸

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს 14 წლიდან განსაზღვრავს.⁸⁵⁹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანი ბრალდებული, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა იქნა გამოყენებული, თავსდება პატიმრობის დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა - არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. იმავე მუხლით, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დასაცავად პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური და გადამზადებული პერსონალი (პედაგოგი, ექიმი, ექთანი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი და სხვ.).⁸⁶⁰

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული იყო 46 არასრულწლოვანი მამაკაცი და 2 არასრულწლოვანი ქალი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეს მონაცემები შემდეგია: 53

⁸⁵⁸ გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებაადკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 9-10.

⁸⁵⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 33.

⁸⁶⁰ საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 79.3.

არასრულწლოვანი მამაკაცი და 2 არასრულწლოვანი ქალი.⁸⁶¹

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აწესებს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა იზოლირებულად განთავსებას სრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან.⁸⁶² სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი ბრალდებულები განცალკევებით უნდა იყვნენ სრულწლოვნებისგან და დაუყოვნებლივ უნდა წარდგენენ სასამართლოს წინაშე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

რიგი ქვეყნის სასჯელაღსრულების სისტემა უშვებს არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ასაკის ქალი პატიმრების ერთად განთავსებას. აღნიშნული წარმოადგენს არასრულწლოვანი პატიმრების რეაბილიტაციის ერთგვარ ფორმას, რადგან, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, სრულწლოვანი პატიმრები ზრუნავენ არასრულწლოვან პატიმრებზე. რადიკალურად განსხვავებულ სურათს ვიღებთ არასრულწლოვანი და სრულწლოვანი მამაკაცი პატიმრების ერთად განთავსების შემთხვევაში. რაც უფრო დიდი კრიმინალური გამოცდილების მქონე სრულწლოვან პატიმართან ერთად განთავსდება არასრულწლოვანი პატიმარი, მით უფრო მეტ ნეგატიურ გავლენას დაექვემდებარება ის. პრაქტიკაში გავრცელებულია სრულწლოვანი პატიმრების მხრიდან არასრულწლოვან პატიმრებზე სექსუალური ძალადობისა და მათი წამების ფაქტების სიხშირე. რიგ ქვეყნებში დანერგილი არასრულწლოვანი პატიმრების განთავსების პრაქტიკა სრულწლოვან პატიმრებთან ერთად, ამ უკანასკნელთა მიერ მათზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, წარმოადგენს სერიოზულ რისკს არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით, სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენაში არასრულწლოვნების დაყოლიების ან მათზე ძალადობის განხორციელების კუთხით.⁸⁶³

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ საქმეში „გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ“⁸⁶⁴ გამოიტანა გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის⁸⁶⁵ დარღვევასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო პატიმრობის პერიოდში არასრულწლოვანი პირის სრულწლოვან პატიმრებთან ერთად განთავსებით. სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვანი პატიმრის განთავსება სრულწლოვან პატიმართათვის განუთვნილ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ეწინააღმდეგებოდა თურქეთის მოქმედ კანონმდებლობასა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მონაწილეც თურქეთი არის.⁸⁶⁶ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის გამოსავლენად სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან და-

⁸⁶¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის წერილი #1910, 15-02-2024.

⁸⁶² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 56.1; საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 81.2.

⁸⁶³ გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებაადკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 11-12.

⁸⁶⁴ გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ (Guvec v Turkey), 2009 წლის 20 იანვარი.

⁸⁶⁵ არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.

⁸⁶⁶ გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ (Guvec v Turkey), 2009 წლის 20 იანვარი, პუნქტი 88.

კავშირებული პრობლემები საპატიმროში ყოფნის პერიოდში განუვითარდა.⁸⁶⁷ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 90-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში შეიძლება დატოვებულ იქნეს არაუგვიანეს 21 წლის მიღწევისა. უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სარეაბილიტაციო დაწესებულებაში დატოვება შესაძლებელია მანამ, სანამ მსჯავრდებულს შეუსრულდება 22 წელი.⁸⁶⁸ ესტონეთის კანონმდებლობა უშვებს გამონაკლისს, მსჯავრდებულის ხასიათიდან და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური პროგრამიდან გამომდინარე, 18-დან 21 წლამდე ასაკის მსჯავრდებულის ზრდასრულთათვის გათვალისწინებულ დახურული ტიპის სარეაბილიტაციო დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე.⁸⁶⁹ ესტონეთის სასჯელაღსრულების კოდექსი, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ნაცვლად, ამკვიდრებს „ახალგაზრდა მსჯავრდებულის“ ტერმინს. ახალგაზრდა მსჯავრდებულად იწოდება პირი, რომელსაც სასჯელის აღსრულების მომენტისათვის არ შესრულებია 21 წელი.⁸⁷⁰ მათი განთავსება ხდება სპეციალურად გათვალისწინებულ დახურული ან ღია (ახალგაზრდების სარეაბილიტაციო დაწესებულება) ტიპის დაწესებულებაში ან დახურული ტიპის დაწესებულების იზოლირებულ განყოფილებაში (ახალგაზრდების განყოფილება).⁸⁷¹ კანონმდებლობის თანახმად, ახალგაზრდების სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ან ახალგაზრდების განყოფილებაში ერთმანეთისგან იზოლირებულად არიან განთავსებული: (ა) პირები, რომელთაც არ შესრულებიათ 15 წელი; (ბ) 15-დან 16 წლამდე ასაკის პირები; (გ) 16-დან 18 წლამდე ასაკის პირები; (დ) 18-დან 21 წლამდე ასაკის პირები.⁸⁷² კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს არასრულწლოვანთა საკითხებს, ორიენტირებული უნდა იყოს ახალგაზრდების კეთილდღეობაზე და მიზნად ისახავდეს მათ რეაბილიტაციას და არა დასჯას. საქართველოს პენიტენციური კოდექსით განსაზღვრული ექვსი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან, ერთ-ერთი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაა. ამდენად, საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში დაფიქსირებულია არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის იზოლირებული, სარეაბილიტაციო სტატუსის მქონე დაწესებულების არსებობა,⁸⁷³ რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განცალკევებას სრულწლოვანი მსჯავრდებულებისგან და შესაბამება გაეროსა და ევროპულ სტანდარტებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვნები განთავსებული არიან სპეციალურ საცნოვრებელში, სადაც შესაძლე-

⁸⁶⁷ იქვე, პუნქტი 89.

⁸⁶⁸ Уголовно-исполнительные Кодексы, Уголовно-исполнительный Кодекс Украины, статья 148(1), Донецкий Мемориал, Донецк, 2004, ст. 379.

⁸⁶⁹ იქვე, Закон Эстонии об Исполнении Наказаний связанных с изоляцией от общества, статья 82(2), ст. 399.

⁸⁷⁰ იქვე, статья 77.

⁸⁷¹ იქვე, статья 78.

⁸⁷² იქვე, статья 81.

⁸⁷³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 33.7.

ბელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი საქართველოს პენიტენციური კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად. რაც შეეხება დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილებას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დღის განრიგით დადგენილი წესით, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, გადაადგილდეს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ერთმანეთისაგან განცალკევებით განთავსებას: ბრალდებული და მსჯავრდებული არასრულწლოვნებისა; და მდედრობითი და მამრობითი სქესის არასრულწლოვნებისა. ამასთანავე, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვნები, უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, უნდა განთავსდნენ ასაკობრივი ჯგუფის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების, აგრეთვე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა მახასიათებლების მიხედვით.⁸⁷⁴ რაც შეეხება მდედრობითი სქესის არასრულწლოვან მსჯავრდებულებს, ისინი თავსდებიან ქალთა სპეციალური დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში და მათზე ვრცელდება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისათვის დადგენილი ნორმები.⁸⁷⁵

არასრულწლოვანი მსჯავრდებული არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში სასჯელს იხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული სასჯელის შემდგომი მოხდისათვის იგზავნება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის ან დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული რესოციალიზაციის, ზოგადი განათლების მიღებისა და პროფესიული მომზადების მიზნით, პირადი განცხადების საფუძველზე შესაძლებელია დატოვებულ იქნეს სასჯელის მოსახდელად იმავე დაწესებულებაში, რომელშიც სრულწლოვანების მიღწევამდე იხდიდა სასჯელს. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობის საფუძველზე. 18 წელს მიღწეულ მსჯავრდებულზე, რომელიც სასჯელის მოსახდელად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში იქნება დატოვებული, ვრცელდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის დადგენილი სასჯელის მოხდის, კვებისა და საყოფაცხოვრებო ნორმები. 21 წელს მიღწეული მსჯავრდებული, აგრეთვე მსჯავრდებული, რომელიც ზოგადი განათლების მიღებისა და პროფესიული მომზადების მიზნით არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში იქნა დატოვებული და რომელმაც 21 წელს მიღწევამდე მიიღო ზოგადი განათლება და გაიარა პროფესიული მომზადება, სასჯელის შემდგომი მოხდისათვის იგზავნება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის ან დაბალი რისკის თავისუფლების

⁸⁷⁴ საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 81.3.

⁸⁷⁵ იქვე, მუხლი 81.5.

ადკვეთის დაწესებულებაში.⁸⁷⁶

2024 წლის 1 იანვრიდან, ახალი პენიტენციური კოდექსის საფუძველზე, განისაზღვრა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განახლებული საცხოვრებელი პირობები, რომლის თანახმად, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის საცხოვრებელი ფართის ნორმა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში და პატიმრობისა და თავისუფლების ადკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 მ²-ზე ნაკლები.⁸⁷⁷

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანი პატიმრების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას, რომელიც ქვეყანაში დამკვიდრებული სამედიცინო მომსახურების ადკვატური უნდა იყოს. არასრულწლოვანი პატიმარი უზრუნველყოფილია რეგულარული სამედიცინო შემოწმებით, საჭირო მკურნალობით, პრევენციული სამედიცინო მომსახურებითა და სპეციალური სამედიცინო ინვენტარით.⁸⁷⁸

არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები: ა) გაფრთხილების მიცემა; ბ) საყვედურის გამოცხადება; გ) ნებადართული ნივთებით (გარდა ექიმის მიერ დანიშნული კვების აუცილებელი პროდუქტებისა და მედიკამენტებისა) სარგებლობის უფლების შეზღუდვა 1 თვემდე ვადით; დ) დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა 1 თვის ვადით; ე) ამანათისა და გზავნილის მიღების უფლების შეზღუდვა 1 თვემდე ვადით; ვ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა 1 თვემდე ვადით, იმ პირობით, რომ ორი კვირის თავზე, სანიმუშო ყოფაქცევის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს შეუძლია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დირექტორს მიმართოს შეზღუდვის გაუქმების შესახებ განცხადებით; ზ) საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა 1 წლის განმავლობაში 6 თვემდე ვადით.⁸⁷⁹ ჩამოთვლილი დისციპლინური სახდელებიდან, „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს უნარჩუნდება სატელეფონო საუბრის უფლება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დასაკავშირებლად. ამასთან, „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თითოეული უფლების შეზღუდვის ვადა 1 წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. არასრულწლოვანი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სამართლო საკანში მოთავსება და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური პატიმრობის გამოყენება დაუშვებელია.⁸⁸⁰

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევის, საგანმანათლებლო

⁸⁷⁶ იქვე, მუხლი 90.

⁸⁷⁷ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 110.2.

⁸⁷⁸ საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 82.1.

⁸⁷⁹ იქვე, მუხლი 92.1.

⁸⁸⁰ იქვე, მუხლი 92.1¹-92.4.

პროგრამებში მონაწილეობის ან/და სამუშაოსადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში ამ დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) გამოყენებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა; გ) დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; დ) დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; ე) დამატებითი ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; ვ) დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლების მიცემა; ზ) დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლების მიცემა; თ) ამანათით ან ფოსტით ისეთი ნივთების, ნივთიერებებისა და ნაკეთობების მიღება, რომელთა ქონის უფლებაც მსჯავრდებულს სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, ჩვეულებრივ, არ აქვს, მაგრამ რომლებიც აკრძალული არ არის; ი) კომპიუტერული თამაშების თამაშის უფლების მიცემა; კ) აუდიოვიდეო საშუალებებით სარგებლობის უფლების მიცემა; ლ) საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა - დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით.

არასრულწლოვანი პატიმრის ურთიერთობა გარე სამყაროსთან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა საშუალებით, რაც სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის არსებით ნაწილს შეადგენს და მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის საზოგადოებისაკენ მოსაბრუნებლად. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა კონტაქტი გარე სამყაროსთან უნდა განიხილებოდეს როგორც მათი უფლება და არა როგორც პრივილეგია. ამიტომ ასეთი კონტაქტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც წახალისების ან დასჯის ფორმა.

პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (37-ე და 92-ე წესები) ეხება საოჯახო კონტაქტებს. მათი დებულებები თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებით ეხმაურება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ „არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, აგრეთვე არ შეიძლება მისი საცხოვრებელი ბინის, კორესპონდენციის საიდუმლოების ან მისი პატივისა და ღირსების თვითნებური ხელყოფა. ყოველ ადამიანს აქვს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან დაცვის უფლება“. შესაძლოა, ეს დებულება უფრო მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო დაწესებულების შიგნით, ვიდრე მის გარეთ. ხშირად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სარეაბილიტაციო პროცესის მიმდინარეობისას, თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის მხოლოდ ნათესავებთან ურთიერთობაა გარე სამყაროსთან კავშირის ერთადერთი საშუალება. ასევე ცნობილია, რომ ოჯახსა და მეგობრებთან დამორება ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული სარეაბილიტაციო ასპექტია.⁸⁸¹

ოჯახსა და მეგობრებთან კავშირის შენარჩუნების მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, თავს იჩენს პატიმრის განთავსებისას საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. თუ პატიმრები განთავსდებიან სახლიდან ძალზე შორს, მათი მონახულება (ისევე, როგორც სახლში დროებითი გაშვება) უფრო დიდ ძალისხმევასა და ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

⁸⁸¹ ციხის პერსონალის გადაშუადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005, გვ. 115.

ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, არასრულწლოვანი პატიმრების საცხოვრებელთან ახლოს მდებარე პატიმრობის/სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განთავსება სირთულეს წარმოადგენს, რისი მიზეზიც არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი პატიმრობის/სარეაბილიტაციო დაწესებულებების სიმცირეა. საქართველოში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი სარეაბილიტაციო დაწესებულება, განკუთვნილი მსჯავრდებული არასრულწლოვანი ჯაქებისთვის - თბილისის #11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება; არასრულწლოვანი მსჯავრდებული გოგონები განთავსებული არიან ქ. რუსთავის #5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მოქმედ იზოლირებულ განყოფილებაში.

გარე სამყაროსთან (განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებთან) რეგულარული კონტაქტი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რეაბილიტაციის ერთ-ერთ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. შესაბამისად, არასრულწლოვან მსჯავრდებულსა და მისი ოჯახის წევრებს შორის კავშირის უზრუნველყოფა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. შესაძლებლობის ფარგლებში და კანონით დადგენილ შემთხვევებში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს ხანმოკლე ვადით შინ წასვლისა და ოჯახის წევრთა მონახულების უფლება უნდა მიეცეს. როგორც წესი, ეს ვადა ყოველ ჯერზე რამდენიმე დღეს შეადგენს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 88-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს წელიწადში სამჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც. სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში. აღნიშნული უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ არასრულწლოვან მსჯავრდებულს, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა: (ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – სარეაბილიტაციო ვადის არანაკლებ ერთი მესამედი; (ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – სარეაბილიტაციო ვადის არანაკლებ ნახევარი; (გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – სარეაბილიტაციო ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

იმ პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ, რომელშიც არასრულწლოვანი პატიმარია განთავსებული, შეიძლება უფლება მისცეს მას განსაკუთრებულ პირად გარემოებებთან დაკავშირებით დროებით დატოვოს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა მისი ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე (ბრალდებულისა და მსჯავრდებულის შემთხვევაში), სხვა, განსაკუთრებულ პირად გარემოებასთან დაკავშირებით (ბრალდებულისა და მსჯავრდებულის შემთხვევაში), საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობისათვის (ბრალდებულის შემთხვევაში), სოციალური აქტივობის განსახორციელებლად (მსჯავრდებულის შემთხვევაში).⁸⁸² არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დროებით დატოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს,

⁸⁸² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 94.3, მუხლი 50, მუხლი 124.1.

რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.⁸⁸³ დაწესებულების დროებით დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.⁸⁸⁴

რესოციალიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს ოჯახის წევრების ხშირ კონტაქტს არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან. არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს:

- ა) ჰქონდეს თვეში 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;
- ბ) ჰქონდეს წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 6 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;
- გ) ჰქონდეს თვეში 5 სატელეფონო საუბარი საკუთარი ხარჯით, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი საკუთარი ხარჯით;
- დ) ჰქონდეს თვეში 4 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ვიდეოპაემანი;
- ე) შეუზღუდავად მიიღოს წერილები, ამანათები და გზავნილები;
- ვ) ისარგებლოს პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით;
- ზ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარებისა და სხვა საგნების შესაძენად თავის პირად ანგარიშზე არსებული თანხა ყოველთვიურად დახარჯოს დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში.⁸⁸⁵

არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს, ჰქონდეს თვეში არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნისა, აგრეთვე პატიმრობაში ყოფნის განმავლობაში (გარდა პატიმრობაში ყოფნის პირველი 3 თვისა) – 1 ხანგრძლივი პაემანი. მას ასევე უფლება აქვს, პენიტენციური დაწესებულების კონტროლით, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს თვეში არანაკლებ 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა, და შეუზღუდავად მიიღოს წერილები და ამანათები. აღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.⁸⁸⁶

პაემნებსა და შვებულებებს შორის საინტერესო კომპრომისის მაგალითია გერმანიაში, „ბუსუსსაუგანგის“ სახელით ცნობილი, შვებულება ვიზიტის ნაცვლად. ზოგიერთ თავისუფლებაადკვეთილ პირს საშუალება ეძლევა შეხვედეს თავის მნახველს სარეაბილიტაციო დაწესებულების კედლებს გარეთ იმ დროით, რა დროითაც პაემანი უნდა გაგრძელებულიყო. ასეთ გადაწყვეტილებას ის უპირატესობა აქვს, რომ თავისუფლებაადკვეთილი პირი და მისი მნახველი თვითონ არჩევენ შეხვედრის ადგილს და პირობებს და სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსო-

⁸⁸³ იქვე, მუხლი 124.3.

⁸⁸⁴ იქვე, მუხლი 124.6.

⁸⁸⁵ საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 87.1.

⁸⁸⁶ იქვე, მუხლი 87.2.

ნალს აღარ უხდება ამ პრობლემებზე ზრუნვა.⁸⁸⁷

უკრაინის სასჯელაღსრულების კოდექსის 144-ე მუხლის თანახმად, კარგი ქცევის, შრომისა და სწავლის მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, თვითშემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობაში და აღმზრდელობით ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის გამო არასრულწლოვანი მსჯავრდებულები შეიძლება წახალისდნენ. წახალისების ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიება:

- ა) სარეაბილიტაციო დაწესებულების თანამშრომლების თანხლებით კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება დაწესებულების ფარგლებს გარეთ;
- ბ) მშობლების ან სხვა ახლო ნათესავების თანხლებით აღმზრდელობითი დაწესებულების გარეთ გასვლის უფლების მიცემა.

ამასთან, სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ გასვლის ხანგრძლივობას განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორი, მაგრამ იგი არ შეიძლება აღემატებოდეს 8 საათს. აკრძალულია სარეაბილიტაციო დაწესებულების ფარგლებს გარეთ იმ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება, რომელიც საღამოს 20:00 საათის შემდეგ ეწყობა.⁸⁸⁸

ხშირია შემთხვევები, როდესაც სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოხვედრის გამო არასრულწლოვანი მსჯავრდებულები კარგავენ კავშირს საკუთარ ოჯახებთან. არასრულწლოვნის მიერ ახალი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის პრევენციისა და მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულების ადმინისტრაციის ვალდებულებაა დაადგინოს დაწესებულებიდან გასვლის შემდეგ რომელ არასრულწლოვანს აღარ აქვს კონტაქტი საკუთარ ოჯახთან და შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კავშირის დამყარებისა და თანამშრომლობის საფუძველზე, დაეხმაროს სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან გათავისუფლებულ არასრულწლოვანს ამ კავშირის აღდგენაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არის არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.⁸⁸⁹

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ფარგლებში არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს არასრულწლოვნის განათლების უზრუნველყოფა წარმოადგენს. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს სრული ზოგადი განათლება. დაწყებითი განათლებისა და საბაზო განათლების მიცემა სავალდებულოა. არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ზოგადი განათლების მიცემისა და ზოგადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების/განვი-

⁸⁸⁷ ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005, გვ. 118.

⁸⁸⁸ Уголовно-исполнительные Кодексы, Уголовно-исполнительный Кодекс Украины, статья 144, Донецкий Мемориал, Донецк, 2004, ст. 378.

⁸⁸⁹ საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3.18.

თარების, აგრეთვე არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის პროფესიული განათლების მიცემის მიზნით პატიმრობის დაწესებულება/არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესს. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვნისთვის, პენიტენციური კოდექსით დადგენილი წესით, უნდა შეიქმნას პროფესიული განათლების მიღების პირობები, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დატოვების შემდეგ მის დასაქმებას. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სარგებლობს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე განათლების მიღების უფლებით. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ბრალდებულად ყოფნის/სასჯელის მოხდის პერიოდში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში (დიპლომი, სერტიფიკატი, ატესტატი და სხვა) არ მიეთითება ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია არასრულწლოვნის, როგორც ნასამართლევის ან ყოფილი მსჯავრდებულის, იდენტიფიცირება. იმ არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის, რომელსაც აქვს შემენებასა და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ან არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია, უნდა არსებობდეს სპეციალური პროგრამები. მისი სწავლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უნდა მიმდინარეობდეს.⁸⁹⁰

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს უცხოელი ან განსხვავებული კულტურული ან ეთნიკური წარმომავლობის მქონე არასრულწლოვნებისათვის განათლების ხელმისაწვდომობას. არასრულწლოვნებს, რომელთაც არ იციან წერა-კითხვა, ან აქვთ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, უფლება უნდა ჰქონდეთ მიიღონ სპეციალური განათლება. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, უნდა შეექმნას პირობები მის შესასწავლად.⁸⁹¹ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში (მათ შორის, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში) უნდა ფუნქციონირებდეს ბიბლიოთეკა, რომელშიც უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ისე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო კანონმდებლობა ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გასაგებ ენაზე.

არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მუშაობს სწავლისაგან თავისუფალ დროს. ამასთანავე, სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებამ ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას. დასაშვებია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ მუშაობა. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ

⁸⁹⁰ იქვე, მუხლი 84.1.-84.7.

⁸⁹¹ მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 277.

მის პროფესიულ მომზადებასა და დასაქმებას, აგრეთვე ხელს არ შეუშლის მის მიერ განათლების მიღებას. დაუმშვებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმება.⁸⁹²

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში უნდა შემუშავდეს ნარკოტიკების აკრძალვასა და ნარკოტიკული და ალკოჰოლური დამოკიდებულების მქონე მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პროგრამები, რომლებიც წარიმართება კვალიფიციური პერსონალის მიერ. ეს პროგრამები უნდა განხორციელდეს ასაკის, სქესისა და არასრულწლოვანთა სხვა სპეციფიკური მოთხოვნის გათვალისწინებით.

ყოველ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს, განურჩევლად მისი რელიგიური მრწამსისა, უფლება უნდა ჰქონდეს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნის რელიგიასა და სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, იმ მსახურებაზე ან შეხვედრებზე დასწრების გზით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, აგრეთვე, უფლებით, იქონიოს რელიგიური წიგნები და საგნები, რათა მისდიოს საკუთარ აღმსარებლობას.⁸⁹³

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში დასაბრუნებლად მომზადების მიზნით დანერგილია ინდივიდუალური მდგომა. კერძოდ, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას ხდება მისი ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.⁸⁹⁴ აღნიშნული ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება ხდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სააგენტო (შემდგომში სააგენტო) და სპეციალური პენიტენციური სამსახური ინდივიდუალური შეფასების პროცესში შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები.⁸⁹⁵

მოლდოვაში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის, რომელიც გამოსწორების გზას ადგას, გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე, გათა-

⁸⁹² საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 85.

⁸⁹³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 94.5.

⁸⁹⁴ საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 14.1.

⁸⁹⁵ იქვე, მუხლი 27.1.-27.3.

ვისუფლებებისათვის მომზადების მიზნით, შეიძლება გადაყვანილი იყოს საერთო რეჟიმიდან რესოციალიზაციის პირობებში. ასეთ შემთხვევაში ისინი ცხოვრობენ სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ, სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში, ყოველგვარი დაცვის გარეშე, მაგრამ ზედამხედველობის ქვეშ. მათ უფლება აქვთ ისარგებლონ თვეში დამატებითი 1 ხანგრძლივი პაემნით და განუსაზღვრელი რაოდენობის ხანმოკლე პაემნით.⁸⁹⁶

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება უნდა გამოიყენებოდეს შესაბამისი ორგანოების მიერ, შეძლებისდაგვარად ფართო მასშტაბით და ადრეულ ვადებში.⁸⁹⁷

გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ შეზღუდვის საშუალებებისა და ძალის გამოყენება მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევებშია ნებადართული, როდესაც ამოწურულია კონტროლის ყველა სხვა მეთოდი და მათ ვერ გაამართლეს. შეზღუდვის საშუალებების გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დამცირება და შეურაცხყოფა და გამოყენებულ უნდა იქნეს ძალიან შეზღუდულად და მაქსიმალურად მცირე ვადით. სარეაბილიტაციო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, ამგვარი შეზღუდვის საშუალებების გამოყენებას შესაძლოა მიმართონ არასრულწლოვანის მიერ თვითდაზიანების მიყენების, სხვათა დაზიანების ან ქონების განადგურების პრევენციის მიზნით. ამ შემთხვევებში დირექტორი უნდა მოეთათბიროს სამედიცინო და სხვა შესაბამის პერსონალს და ამის შესახებ მოახსენოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.⁸⁹⁸

აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად, პერსონალის მიერ იარაღის ტარება და გამოყენება აკრძალულია ნებისმიერ სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, სადაც განთავსებული არიან არასრულწლოვნები.⁸⁹⁹

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, აკრძალულია არასრულწლოვანის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიარაღებულია და პირდაპირ, უშუალო და იმწუთიერ საფრთხეს უქმნის მესამე პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და სხვა საშუალებებით ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელია; პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან არასრულწლოვანის გაქცევისას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დაუშვებელია.

მოლდოვას სასჯელაღსრულების კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ იარაღის გამოყენების დაუშვებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი მხრიდან დგება ჯგუფური, მათ შორის, შეიარაღე-

⁸⁹⁶ Уголовно-исполнительные Кодексы, Уголовно-исполнительный Кодекс Республики Молдова, статья 109(1), Донецкий Мемориал, Донецк, 2004, ст. 211-212.

⁸⁹⁷ იხ. თავი - სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება.

⁸⁹⁸ გაეროს წესები თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, რეზოლუცია 45/113, 14.12.1990, წესი 64, ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია #11, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ჟენევა 2005, თბილისი, 2007, გვ. 299–300.

⁸⁹⁹ იქვე, წესი 65, გვ. 300.

ბული თავდასხმა, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, რაც საფრთხეს უქმნის გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.⁹⁰⁰

აკრძალულია ძალისა და სპეციალური საშუალების გამოყენება არასრულწლოვნის დაკავებისას, სასამართლოში წარდგენისას, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ან სასჯელის აღსრულებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვნის დასაკავებლად, მის მიერ თვითღაზიანების ან/და სხვებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ყველა სხვა საშუალება გამოყენებულია, მაგრამ უშედეგოდ, და კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი სხვა, ნაკლები ზიანის გამომწვევი საშუალებით ვერ მიიღწევა.⁹⁰¹ შემოსხენებულ შემთხვევებში დასაშვებია მხოლოდ ფიზიკური ძალის და ხელბორჯილისა და მებორჯვის სხვა საშუალებების გამოყენება, ხოლო ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, თავდასხმის მოსაგერიებლად და შეიარაღებული პირის დასაკავებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ხელკეტი, შესაბოჭი ბაღე, ცრემლსადენი გაზი ან/და წყალსატყორცი.⁹⁰²

საერთაშორისო სტანდარტები ერთხმად დეკლარირებენ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვნის მოთავსება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა იყოს უკიდურესი ზომა და გამოიყენებოდეს მაქსიმალურად იშვიათად.⁹⁰³

გაეროს მეექვსე კონგრესმა „დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ“ მე-4 რეზოლუციაში, რომელიც შეეხებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტებს, განაცხადა, რომ წინასწარი დაკავება უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკანასკნელი საშუალება და არასრულწლოვნები უნდა განთავსდნენ ისეთ შენობაში, სადაც ისინი არ დაექვემდებარებიან სრულწლოვანი სამართალდამრღვევების უარყოფით გავლენას.⁹⁰⁴

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ბავშვთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განხორციელებასა და აღსრულებასაც ეხება. კერძოდ, კონვენცია დაუშვებლად მიიჩნევს ბავშვისათვის თავისუფლების უკანონოდ და თვითნებურად აღკვეთას, რადგან დაკავება, დაპატიმრება ან სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ კანონის თანახმად და განიხილებოდეს უკიდურეს ზომად მაქსიმალურად მცირე დროის განმავლობაში.⁹⁰⁵

⁹⁰⁰ Уголовно-исполнительные Кодексы, Уголовно-исполнительный Кодекс Республики Молдова, статья 101(5), Донецкий Мемориал, Донецк, 2004, ст. 209.

⁹⁰¹ საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 34.1.

⁹⁰² იქვე, მუხლი 34.2.

⁹⁰³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებსა ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებთან დაკავშირებით, წესი 10.

⁹⁰⁴ გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 10.

⁹⁰⁵ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, რეზოლუცია 44/25, 20.11.1989, წესი 37(ბ), ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია #11, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბავშვის მოთავსების შემთხვევაში კონვენცია ადგენს, რომ მას უნდა მოეპყრონ ჰუმანურად და ღირსების პატივისცემით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკისთვის დამახასიათებელი მოთხოვნები. ამ მიზნით კონვენცია ასახელებს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომელთა რეალიზაციაც სახელმწიფოების ვალდებულებაა. უფრო კონკრეტულად, ეს პრინციპები შეეხება თავისუფლებააღკვეთილი ბავშვის უფროსებისგან განცალკევებით განთავსებას, თუ არ იქნება მიჩნეული, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის აღნიშნულის გაკეთება არ არის საჭირო; აგრეთვე, ბავშვის უფლებას, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის ან შეხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით.⁹⁰⁶

კონვენცია ხაზს უსვამს თავისუფლებააღკვეთილი ბავშვისათვის გადაუდებელი სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარების გაწევის თაობაზე, აგრეთვე, სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს წინაშე სარეაბილიტაციო კანონიერების გასაჩივრების უფლებას, რაც დაუყოვნებლივ განხილულ უნდა იქნეს და აღნიშნულზე შესაბამისი გადაწყვეტილება გამოტანილი.⁹⁰⁷

გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად მოიცავს ყველა მოთხოვნას, რაც განმტკიცებულია პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში და სხვა აქტებში, რომლებიც სრულწლოვნებს ეხება. თუმცა, თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის წესები უფრო მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში მოპყრობის, განათლებისა და რეაბილიტაციის საკითხებზე, ისევე როგორც სტიგმატიზაციისაგან დაცვაზე.

გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არასრულწლოვანთათვის ღია ტიპის სარეაბილიტაციო დაწესებულებების შექმნას.⁹⁰⁸

განსაკუთრებული პრინციპებია დამკვიდრებული არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისათვის, რომლის ამომავალი პრინციპი ხაზს უსვამს მოვალეობების განხორციელებისას პერსონალის მიერ არასრულწლოვანთა ადამიანური ღირსებისა და ფუნდამენტური უფლებების პატივისცემასა და დაცვას. პერსონალი მოვალეა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის სრული დაცვა, მათ შორის, ფიზიკური, სექსუალური და ემოციური ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან დაცვა და საჭიროების შემთხვევაში უნდა განახორციელონ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული ქმედებები.⁹⁰⁹

კომისიის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ჟენევა 2005, თბილისი, 2007, გვ. 104.

⁹⁰⁶ იქვე, წესი 37(გ).

⁹⁰⁷ იქვე, წესი 37(დ).

⁹⁰⁸ გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, რეზოლუცია 45/113, 14.12.1990, წესი 30, ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია #11, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ჟენევა 2005, თბილისი, 2007, გვ. 290.

⁹⁰⁹ იქვე, წესი 87, გვ. 305–306.

არასრულწლოვან პატიმართა მიმართ სანქციებისა და ზომების გამოყენების თაობაზე ევროპული წესები (შემდგომ ტექსტში - წესები) ეხება საზოგადოებაში როგორც სანქციებისა და ზომების შეფარდებას, ასევე მათ აღსრულებას, აგრეთვე – თავისუფლების აღკვეთას.

წესები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთის ყველა ფორმა უნდა ექვემდებარებოდეს სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლების სისტემას.⁹¹⁰ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა არსებობდეს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს ვადამდე ადრე გათავისუფლების ისეთ წინაპირობებს, როგორებიცაა: მცირე დრო, რომელიც არასრულწლოვანმა ვადამდე ადრე გათავისუფლებამდე სასჯელის სახით უნდა მოიხადოს, პროგნოზირებადი შეფასებები და გათავისუფლების შემდეგ ზედამხედველობის პერიოდი და პირობები. ვადამდე ადრე გათავისუფლების მსგავსმა სქემამ დაადასტურა თავის მხრივ წვლილის შეტანა სოციალური რეინტეგრაციის პროცესში. მათი ზეგავლენა ცხადია მაშინ, როდესაც ის შეადგენს გათავისუფლებისათვის პროგრესული მზადებისა და განგრძობადი მზრუნველობის შემადგენელ ნაწილს.

წესები მოიცავს ზოგად პრინციპებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში ყოველდღიური აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც მიზანმიმართული უნდა იყოს არასრულწლოვანთა რეინტეგრაციის გაუმჯობესებისკენ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანებს უნდა შესთავაზონ აზრობრივი ღონისძიებები და ჩართულობა, რაც ასახული უნდა იყოს მათთვის შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში. ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის, საკუთარი თავისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძობის განვითარების მიზანი ზემოქმედებას ახდენს წესების ადამიანურ მიდგომაზე. სარეაბილიტაციო დაწესებულების ვალდებულებაა მსგავსი აქტივობებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც მხარდაჭერილი უნდა იყოს არასრულწლოვანის მიერ, მათში მონაწილეობის მიღების ფორმით. არასრულწლოვანის მიერ აქტიური მონაწილეობა დაგეგმილ ღონისძიებათა წარმატების აუცილებელი პირობაა, რაც მხარდაჭერილ უნდა იქნეს წახალისებებისა და მიღწევების აღნიშვნის სრულყოფილი სისტემით. მსგავსმა სისტემამ უნდა მოიცვას სასწავლო და პროფტექნიკური ტრენინგები, ისევე, როგორც მუშაობა და დასვენება. წესები ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ყველა ადამიანი სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირების ან პერსონალის მხრიდან განხორციელებული ძალადობისგან. სწორედ ამიტომ, შესაძლოა მოხდეს უფრო ახალგაზრდა არასრულწლოვანების უფრო ზრდასრული არასრულწლოვანებისგან ცალკე განთავსება,⁹¹¹ რისი მიზეზიც მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების უკეთ დაცვა იქნება. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ სტრატეგიებსა და ზომებს, რომლებიც ახდენენ დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციას (ძალადობა, დაშინება ან შანტაჟი, რომლებიც რიც შემთხვევებში შეიძლება ასოცირდებოდეს სუბკულტურასთან) დროებით სხვადასხვა არასრულწლოვანის ერთმანეთისგან

⁹¹⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებსა ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებთან დაკავშირებით, წესი 49-2.

⁹¹¹ იქვე, წესი 59.1

იზოლირებით, თუმცა, სპეციფიკურ შემთხვევებში უფრო მიზანშეწონილი იქნება მსხვერპლის გადაყვანა სხვა უფრო დაცულ დაწესებულებაში ან დაწესებულების განყოფილებაში.

სარეაბილიტაციო დაწესებულებების ფუნქციონალური განსხვავება წარმოადგენს ფუნდამენტურ პრინციპს იმ ინსტიტუტებისთვის, რომლებიც ორიენტირებული არიან დააკმაყოფილონ იქ მოთავსებულ არასრულწლოვანთა სოციალური და საგანმანათლებლო საჭიროებები. ინდივიდუალური მოპყრობის გეგმები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ სარეაბილიტაციო დაწესებულებებში, რომლებიც კონცენტრირებული არიან არასრულწლოვანთა მოთხოვნებსა და საჭიროებებზე. დიდი ზომის სარეაბილიტაციო დაწესებულებებში ინდივიდუალური მიდგომის შესანარჩუნებლად საჭიროა კონკრეტული ფუნქციების მატარებელი სხვადასხვა განყოფილების არსებობა სპეციფიკური მოპყრობისა და საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა თურქეთში 2004 წელს განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში აღნიშნა, რომ არასრულწლოვანის პატიმრობისათვის დამახასიათებელი გარემო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: (1) ცხოვრება პატარა სათავსოებში; (2) შეფასების სათანადო სისტემა განყოფილებების შესაფერისი განთავსების უზრუნველსაყოფად; (3) მულტიდისციპლინური გუნდი (მიზანშეწონილია, რომ წარმოდგენილი იყვნენ ორივე სქესის წარმომადგენლები), რომელთაც გავლილი ექნებათ არასრულწლოვანებთან მუშაობის კურსები; (4) განათლების სრული პროგრამა მათთვის, ვისაც ჯერ არ შესრულებია სკოლის დამთავრების ასაკი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წერა-კითხვისა და მათემატიკის სწავლას, ისევე როგორც უფროსი ასაკის არასრულწლოვანთათვის სწავლის გაგრძელებისა და პროფტექნიკური სწავლების ორგანიზება; (5) შენობა-ნაგებობები, რომლებმაც საშუალება უნდა მისცენ არასრულწლოვანებს, ახლო კონტაქტი იქონიონ თავიანთი ოჯახის წევრებთან. წამების პრევენციის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს ზემოხსენებული კომპონენტების არსებობას არასრულწლოვანთათვის მოქმედ და მომავალში გახსნილ ყველა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, იმისდა მიუხედავად, იქნება ეს პატიმრობის თუ სარეაბილიტაციო დაწესებულება.⁹¹²

არასრულწლოვანების ინსტიტუტები უნდა იყოს მართვადი ზომის. შეუძლებელია ევროპის მასშტაბით განისაზღვროს სპეციალური მაქსიმალური ზომა. ზოგიერთი არასრულწლოვანების სარეაბილიტაციო ინსტიტუტი შედარებით დიდია რამდენიმე ასული ადგილით (როგორც აღმოსავლეთ ევროპასა ან გერმანიაში), მაშინ როცა ამის საწინააღმდეგოდ, სხვა ქვეყნებს ხშირად აქვთ მხოლოდ 15-30 ადგილი, როგორც მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში ან შვეიცარიაში. უკანასკნელი ფრანგული მიდგომა შექმნილიყო ახალგაზრდული პენიტენციური ინსტიტუტი არაუმეტეს 60 ადგილით, მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც კარგი პრაქტიკა, პერსონალის დონის და იმ აქტივობების დიაპაზონის გათვალისწინებით, რასაც ადგილი აქვს აღნიშნულ ინსტიტუტში. ამავდროულად, ფრანგული მიდგომა, შეექმნათ დახურული საგანმანათლებლო ინსტიტუტი, ასევე იმსახურებს პოზიტიურ შეფასებას.

⁹¹² Report to the Turkish Government on the visit to Turkey carried by the CPT from 16 to 29 March 2004 (CPT/Inf2005)18, paragraph 73), www.cpt.coe.int

ასეთ დახურულ ინსტიტუტებს აქვთ არაუმეტეს 10 ადგილისა (საგანმანათლებლო პერსონალის დაახლოებით 20 ადგილით). ინსტიტუტის მთლიანი ზომის მიუხედავად, მნიშვნელოვანია ინსტიტუტები დაიყოს საცხოვრებელ ნაწილებად, სადაც იქნება დაახლოებით 10, მაგრამ არაუმეტეს 15 ადგილისა. ინსტიტუტების უფრო პატარა საცხოვრებელ ნაწილებად დაყოფა არის ინტერვენციის ეფექტიანი სისტემის ორგანიზების საუკეთესო გზა. აღნიშნული ასევე ეხება წინასწარი დაკავების დაწესებულებებს, თუმცა ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას პრაქტიკული სიძნელებები, ვინაიდან, როგორც წესი, არასრულწლოვნები, რომლებიც ბრალდებულნი არიან ერთსა და იმავე დანაშაულში მონაწილეობაში, ცალ-ცალკე იმყოფებიან. ამასთან, სოციალური უნარები უფრო ადვილად ისწავლება პატარა ჯგუფებში. პატარა ჯგუფების ცხოვრების დინამიკა მეტად უზიძგებს არასრულწლოვნებს საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზებაზე. ეს გულისხმობს საკუთარი თავის მოვლას და უფრო ფართოდ სხვებთან პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას დემოკრატიული გზით.⁹¹³

სპეციფიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან არასრულწლოვნები, რომელთაც ფიზიკური ნაკლოვანებები აქვთ. წესები პირდაპირ მიუთითებს, რომ არ შეიძლება ამგვარი თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების გამოცალკეება. შესაბამისად, ისინიც ჩვეულებრივ სარეაბილიტაციო დაწესებულებებში უნდა იყვნენ განთავსებული. ⁹¹⁴ დაწესებულებაში უნდა ფუნქციონირებდეს სპეციალური სასკოლო მეთოდები, პროფესიული დახელოვნების კურსები და სხვა პროგრამები, რომლებიც უნარმეზღუდულ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა საჭიროებებს შეესაბამება. იმ შემთხვევაში, თუ ვერ იქნება მოძიებული ჩვეულებრივი თავისუფლების დაწესებულება, სადაც შეზღუდული უნარების მქონე არასრულწლოვნების სპეციალური მოთხოვნილებები იქნება დაკმაყოფილებული, ისინი გადაყვანილ უნდა იქნენ ისეთ სპეციალიზებულ დაწესებულებაში, სადაც აღნიშნული პირობები იქნება დაცული.⁹¹⁵

11.2. ქალი პატიმრები

სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკის ანალიზს და შედარებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ პატიმართა საერთო რაოდენობის უდიდესი უმრავლესობა ზრდასრული (18 წელს მიღწეული) მამაკაცები არიან და მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენენ ქალი პატიმრები (ზოგადად, სტატისტიკური მაჩვენებელი 2%-დან 8%-მდე მერყეობს, საშუალოდ 4%-5%, რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით ყოველ 20 პატიმარში 1 ქალია).⁹¹⁶

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო 299 ქალი პატიმარი, რაც პატიმართა საერთო შემადგენლობის 3.25%-ს შეადგენდა; ანალოგიური მონაცემები, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

⁹¹³ მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 289.

⁹¹⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებთან დაკავშირებით, წესი 107.1.

⁹¹⁵ იქვე, წესი 107.2.

⁹¹⁶ იხ. www.prisonstudies.org

შემდგენიარად გამოიყურება: 340 ქალი პატიმარი, რაც პატიმართა საერთო შემადგენლობის 3.45%-ია.⁹¹⁷ წარმოდგენილი სტატისტიკური მაჩვენებელი მიუთითებს საქართველოში მსოფლიოში დადგენილი პრაქტიკის შესაბამისობას (2%-დან 8%-მდე ქალი პატიმარი).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოთხოვნას, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევა ქალი პატიმრების განთავსებას მამაკაცი პატიმრებისათვის განკუთვნილ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. რიგ ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოშიც, ფუნქციონირებს შერეული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სადაც ქალი და მამაკაცი პატიმრები ერთ დაწესებულებაში, მაგრამ ერთმანეთისგან იზოლირებულად არიან განთავსებული (ასე მაგალითად, ქუთაისის #2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, სადაც შექმნილია ბრალდებულ ქალთა განყოფილება, იზოლირებულია ბრალდებული და მსჯავრდებული მამაკაცებისგან).

საქართველოში ქალ მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოსახდელად ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი დაწესებულება - #5 ქალთა სპეციალური დაწესებულება. ამავე დაწესებულებაში, განცალკევებულ ფლიგელში, განთავსებული არიან ის ქალი ბრალდებულები, რომელთა მიმართ გამოძიება წარმოებს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის გამო.

საჭიროების შემთხვევაში ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ორსული ქალებისა და ბავშვებისთვის. დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვითა და ამ დაწესებულების დირექტორის თანხმობით, შესაძლებელია დედისა და 3 წლამდე ბავშვის ერთად ცხოვრება. ქალთა სპეციალური დაწესებულება ვალდებულია შექმნას შესაბამისი პირობები. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფი 3 წლამდე ბავშვის კვებას, მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევას და შესაბამის სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს უზრუნველყოფს სპეციალური პენიტენციური სამსახური. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, რომლის 3 წელს მიღწეულმა შვილმა დატოვა დაწესებულება, უფლება აქვს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, შვილთან ურთიერთობის მიზნით, მის მიერ დაწესებულების დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენებისა და უქმე დღეებში დატოვოს დაწესებულება. სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი აღნიშნული საკითხის განხილვისას ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნულ თვისებებს, მისგან მომდინარე საზოგადოებრივ საშიშროებას, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, დანაშაულის ხასიათს, მოტივს, მიზანს, დამდგარ შედეგს, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს, სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევასა და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მის გადაწყვეტილებაზე. მსჯავრდებულს, რომელმაც დასვენებისა და უქმე დღეებზე დატოვა ქალთა სპეციალური დაწესებულება, ეკრძალება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა. თუ მსჯავრდებული სისტემატიურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას, მათ არაჯეროვნად ასრულებს, ბოროტად იყენებს მშობლის უფლებებს, ქალთა სპეცია-

⁹¹⁷ საქართველოს იუსტიციის მინისტრის წერილი #1910, 15.02.2024.

ლური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი რეაგირებისთვის. ქალთა სპეციალური დაწესებულების დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.⁹¹⁸

გარე სამყაროსთან ქალი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების კონტაქტის ფორმა შემდეგნაირადაა განსაზღვრული პენიტენციური კოდექსით:

სატელეფონო საუბარი - მსჯავრდებულ ქალს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს არანაკლებ 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა. ბრალდებულ ქალს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ ჰქონდეს სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა.⁹¹⁹

ხანმოკლე პაემანი - მსჯავრდებულ ქალს 1 თვის განმავლობაში აქვს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. ბრალდებულ ქალს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 4 ხანმოკლე პაემანი.⁹²⁰

ხანგრძლივი პაემანი - ქალ მსჯავრდებულს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. ქალ ბრალდებულს, პატიმრობაში ყოფნის პერიოდში უფლება აქვს ჰქონდეს 1 ხანგრძლივი პაემანი.⁹²¹

საოჯახო პაემანი - საოჯახო პაემანი არის ქალი მსჯავრდებულის მეზვედრა შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან, ძმასთან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ქალ მსჯავრდებულს წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეს სხვა ნებისმიერ პირთან საოჯახო პაემნის უფლება. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 საოჯახო პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი საოჯახო პაემანი. საოჯახო პაემნის ხანგრძლივობაა 3 საათი.⁹²²

ვიდეოპაემანი - მსჯავრდებული ქალი სარგებლობს 10 კალენდარული დღის განმავლობაში ნებისმიერ პირთან არაუმეტეს 1 ვიდეოპაემნის უფლებით და წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეს 1 თვეში 1 დამატებითი ვიდეოპაემანი.⁹²³

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა - მსჯავრდებულ ქალს უფლება აქვს, წელიწადში ორჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. ორსულ ქალს და 3 წლამდე ბავშვის დედას უფლება აქვთ, წელიწადში სამჯერ ისარგებლონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. თავი-

⁹¹⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 39.5.-39.7, მუხლი 39.9.-39.10. და მუხლი 39.13.

⁹¹⁹ იქვე, მუხლი 116.4.-116.5.

⁹²⁰ იქვე, მუხლი 120.2.-120.3.

⁹²¹ იქვე, მუხლი 122.3-122.4.

⁹²² იქვე, მუხლი 121.1.-121.4. და მუხლი 121.9.

⁹²³ იქვე, მუხლი 123.2. და 123.4.

სუფლები ადკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გავლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.⁹²⁴

პენიტენციური დაწესებულებების ხელმძღვანელობამ ქალი პატიმრებისთვის მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ისეთი შესაძლებლობები, როგორცაა: შვებულება, დია ტიპის ციხეები, გარდამავალი დაწესებულებები (halfway houses).⁹²⁵

ქმედითი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა ჩხრეკის დროს დაცული იყოს პატიმარი ქალების ღირსება და პატივი. ჩხრეკა უნდა ჩატარდეს მხოლოდ ქალი თანამშრომლის მიერ, რომელიც სათანადოდ იქნება მომზადებული ჩხრეკის შესაბამის მეთოდებში და დადგენილი პროცედურების მიხედვით განახორციელებს მას.⁹²⁶

შემოწმების ალტერნატიულმა მეთოდმა, როგორცაა სკანირება, უნდა ჩაანაცვლოს შიშველი ჩხრეკა და სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათგან მიღებული ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური ზიანი.⁹²⁷

ციხის თანამშრომლებმა უნდა გამოავლინონ კომპეტენცია, პროფესიონალიზმი და თანაგრძნობა და შეინარჩუნონ პატივისცემა და ღირსება, როდესაც ჩხრეკენ ბავშვს, რომელიც დედასთან ერთად იმყოფება ციხეში, ასევე, დედასთან პაემანზე მისულ ბავშვს.⁹²⁸

ორსული ქალის, მცირეწლოვანი ბავშვების დედის, რომელსაც პენიტენციურ დაწესებულებაში ჰყავს 3 წლამდე ბავშვი ან რომელიც სარგებლობს შვილთან ურთიერთობის მიზნით დასვენებისა და უქმე დღეებში პენიტენციური დაწესებულების დატოვების უფლებით და 65 წელს მიღწეული ბრალდებულის/მსჯავრდებულის (მათ შორის ქალის) მიმართ არ გამოიყენება ისეთი დისციპლინური სახდელები, როგორცაა: სამარტოო საკანში მოთავსება 14 დღემდე ვადით და საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა 3 თვემდე ვადით.⁹²⁹ სამარტოო საკანში მოთავსება ან დისციპლინური იზოლირება, როგორც სასჯელი, არ უნდა იქნეს გამოყენებული ციხეში ორსული ქალების, ახალშობილი ბავშვიანი ქალებისა და მეძუძური დედების მიმართ.⁹³⁰ ქალი პატიმრების მიმართ დისციპლინური სანქციები არ უნდა ითვალისწინებდეს ოჯახთან, განსაკუთრებით ბავშვებთან, კონტაქტის აკრძალვას.⁹³¹ დამატებით, 65 წელს მიღწეულ მსჯავრდებულს, არ შეეფარდება დისციპლინური პატიმრობა.⁹³²

ბრალდებული/მსჯავრდებული ქალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს

⁹²⁴ იქვე, მუხლი 125-1.

⁹²⁵ გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგოკის წესები), 06.10.2010, წესი 45, იხ. <http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf>

⁹²⁶ იქვე, წესი 19.

⁹²⁷ იქვე, წესი 20.

⁹²⁸ იქვე, წესი 21.

⁹²⁹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 72.1. და 72.5.

⁹³⁰ გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგოკის წესები), 06.10.2010, წესი 22, იხ. <http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf>

⁹³¹ იქვე, წესი 23.

⁹³² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 80.5.

მხოლოდ ხელბორკილი, ხოლო ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, თავდასხმის მოსაგერიებლად და შეიარაღებული პირის დასაკავებლად შესაძლებელია აგრეთვე გამოყენებულ იქნეს ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი და წყალსატყორცნი.⁹³³

ქალი პატიმარი განეკუთვნება პატიმართა განსაკუთრებულ კატეგორიას, რაც განპირობებულია მისი სპეციფიკური საჭიროებებით. აგრეთვე, ქალი პატიმრები ხშირად ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არიან, ბევრი მათგანი სხვადასხვა დაავადების მატარებელია. სწორედ აღნიშნული გარემოებები განაპირობებს მათდამი მოპყრობის თავისებურების საჭიროებას.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ბრალდებული ქალი ორსულადაა. ამ გარემოების გათვალისწინებით, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები უნდა შეეცადონ მაქსიმალურად თავი შეიკავონ ორსული ქალის პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებისგან.⁹³⁴ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, კანონმდებლობა ითვალისწინებს ორსული ქალისთვის სასჯელის მოხდის გადავადების შესაძლებლობას.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილებით ორსული ქალი მოთავსდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მისთვის უნდა შეიქმნას ყველა პირობა, აუცილებელი ნორმალური ორსულობისა და ბავშვის მოვლისთვის. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ მშობიარობა განხორციელდეს სამოქალაქო საავადმყოფოში. მიზანშეწონილია ბადრაგის თანხლებით ორსული პატიმრის გადაყვანა სამოქალაქო სამშობიაროში მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე და არა მშობიარობის დაწყების დროს. აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროფესიონალი სამედიცინო პერსონალის სისტემატიური მეთვალყურეობის ქვეშ ორსულობის ნორმალურად მიმდინარეობა და მშობიარობა. ამასთანავე, სამშობიარო სახლში გაჩენილი ბავშვის დაბადების ადგილად მითითებული იქნება აღნიშნული დაწესებულება და არა პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შეუძლებელი იქნება ორსული პატიმარი ქალის სამოქალაქო საავადმყოფოში მშობიარობამდე გადაყვანა და მშობიარობა განხორციელდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (სამედიცინო ნაწილის სპეციალურად მომზადებულ დანაყოფში) მოწვეული გინეკოლოგის დახმარებით, ბავშვის დაბადების ადგილად დაბადების მოწმობაში არ უნდა ჩაიწეროს სასჯელაღსრულების დაწესებულება.⁹³⁵

დედასა და შვილს შორის ურთიერთობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც უპირველესად ბავშვის ინტერესებითაა განპირობებული, სხვადასხვა ქვეყანა თა-

⁹³³ იქვე, მუხლი 63.15.

⁹³⁴ გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებადაღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 36.

⁹³⁵ პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, 1955, წესი 23(1), ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია #11, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ქენევა 2005, თბილისი, 2007, გვ. 19.

ვის კანონმდებლობაში განსაზღვრავს დროის იმ მოწაკვეთს, რომლის განმავლობაში პატიმრობაში მყოფ ქალს უფლებას აძლევენ თან იყოლიოს მცირეწლოვანი ბავშვი. აღნიშნული ვადა შეიძლება იყოს 9, 18, 48 თვე ან უფრო მეტი ხანგრძლივობის მქონე პერიოდი. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ორსული ქალებისა და ბავშვებისათვის. დედის შუამდგომლობით, მურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ნებართვითა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის დირექტორის თანხმობით, შეიძლება დედისა და 3 წლამდე ბავშვისათვის ერთად ცხოვრების პირობების შექმნა.⁹³⁶

მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ბავშვი პენიტენციურ დაწესებულებაში იზრდება, მისი და დედის საცხოვრებელი პირობები და გარემო უნდა იყოს სათანადო. მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რათა ნორმალურად ვითარდებოდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი ბავშვის ფიზიკური და შემეცნებითი ზრდა. კერძოდ, მათ უნდა ჰქონდეთ თამაშისა და ვარჯიშის სათანადო საშუალებები, და როცა არსებობს ამის შესაძლებლობა, დატოვონ დაწესებულება და გამოსცადონ ჩვეულებრივი ცხოვრება მის კედლებს გარეთ. ბავშვის გონებრივი განვითარების ხელშეწყობა დაწესებულების ფარგლებს გარეთ მყოფი ოჯახის წევრების მიერ, ასევე შეიძლება დაეხმაროს ბავშვის აღზრდის ტვირთის განაწილების უზრუნველყოფას (მაგალითად, ბავშვის მამის მიერ). როცა ეს არ არის შესაძლებელი, მიღებულ უნდა იქნას ზომები ბაგა-ბაღის ტიპის დაწესებულებების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ასეთი ღონისძიებები შესაძლებლობას მისცემს ქალებს, რომელთაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, მონაწილეობა მიიღონ მუშაობაში და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებს გარეთ სხვა საქმიანობაში უფრო მეტწილად, ვიდრე ეს სხვა ვითარებაში იქნებოდა შესაძლებელი.⁹³⁷ პატიმარ ქალებს, რომელთაც ციხეში ჰყავთ შვილები, უნდა მიეცეთ საშუალება, მაქსიმალური დრო გაატარონ მათთან ერთად.⁹³⁸

მცირეწლოვანი ბავშვების სასჯელადსრულების დაწესებულებაში დიდი ხნის განმავლობაში ყოფნა მიზანშეწონილია, რადგან დაწესებულების სპეციფიკური გარემო ბავშვის განვითარებაზე ადრეული ასაკიდანვე ახდენს გავლენას. შესაბამისად, კანონმდებლობით განსაზღვრული აუცილებელი გონივრული ვადის გასვლის შემდეგ მართებულია ბავშვმა დატოვოს სასჯელადსრულების დაწესებულება. ხანგრძლივი დროისათვის განკუთვნილი ღონისძიებები, კერძოდ, ბავშვის საზოგადოებისათვის გადაცემა, რომელიც მოიცავს მის დედისაგან განშორებას, უნდა წყდებოდეს თითოეულ შემთხვევაში პედოფსიქიატრიული და სამედიცინო-სოციალური მოსაზრებების გათვალისწინებით.⁹³⁹

⁹³⁶ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 39.5.

⁹³⁷ ამონარიდი მე-10 საერთო ანგარიშიდან (CPT/Inf (2000) 13), პუნქტი 29, ციხეში ჯანმრთელობის დაცვის საკითხების მარეგულირებელი ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და სტანდარტების კრებული, თბილისი, 2012, გვ. 58.

⁹³⁸ გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), 06.10.2010, წესი 50, იხ. <http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf>

⁹³⁹ ამონარიდი მე-3 საერთო ანგარიშიდან (CPT/Inf (93) 12), პუნქტი 66, ციხეში ჯანმრთელობის დაცვის საკითხების მარეგულირებელი ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და სტანდარტების კრებული,

ბავშვისა და დედის დამორების და ბავშვის ოჯახთან ან ნათესავთან დაბინავების ან სხვა ალტერნატიული მზრუნველობის უზრუნველყოფის შემდეგ, პატიმარ ქალებს მაქსიმალურად ბევრჯერ უნდა მიეცეთ საშუალება და შესაძლებლობა შეხვდნენ შვილებს, მაშინ როცა ეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებში იქნება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დათმობის გარეშე.⁹⁴⁰

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ოჯახის სხვა წევრებისთვის ვერ ხერხდება სხვადასხვა მიზეზის გამო (მაგალითად, ოჯახის სხვა წევრის არარსებობისას), დაწესებულების ადმინისტრაციამ შუამდგომლობით უნდა მიმართოს მზრუნველობისა და მეურვეობის შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, სახელმწიფო მზრუნველობის სათანადო დაწესებულებაში ბავშვის განთავსების მიზნით.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ზოგიერთ ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხს, რომლითაც თავისუფლება აღკვეთილი ქალების მოთხოვნილებები მნიშვნელოვანწილად განსხვავდება იმავე მდგომარეობაში მყოფი მამაკაცების მოთხოვნილებებისაგან. ქალთა ჰიგიენის სპეციფიკური მოთხოვნილებები განხილულ უნდა იქნეს სათანადო წესით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: საპირფარეოსა და მხაპის მუდმივ ხელმისაწვდომობას, სისხლით დაღაქავებული ნივთების მოსაწესრიგებელი საშუალებების მოსახერხებელ განლაგებას, ისევე როგორც, ჰიგიენური საშუალებების მარაგს, მაგალითად, როგორც არის: სუფთა პირსახოცები და ტამპონები. ასეთი ძირითადი საჭიროებებით უზრუნველყოფის არარსებობა შეიძლება განიხილებოდეს პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობად.⁹⁴¹

ჯანმრთელობის თანასწორუფლებიანი დაცვა აგრეთვე მოითხოვს, რომ ქალთა უფლება ფიზიკურ მთლიანობაზე დაცულ იქნეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ისევე, როგორც მის ფარგლებს გარეთ საზოგადოებაში. ამგვარად, თუ ე. წ. «morning after» (დილის შემდგომი) აბი და/ან ორსულობის მოშლის სხვა ფორმები ორსულობის უფრო გვიანდელ საფეხურზე, ხელმისაწვდომია იმ ქალებისათვის, რომელნიც თავისუფალნი არიან, მათზე ხელი უნდა მიუწვდებოდეთ იმ ქალებსაც, რომელთაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება.⁹⁴²

რაც შეეხება კონტრაცეპტივებს, ეს წამალი შეიძლება გამოწერილი იყოს სამედიცინო მიზნისათვის და არა როგორც პროფილაქტიკური საშუალება (მაგ.: რათა შემსუბუქებულ იქნას ტკივილები მენსტრუაციის დროს). ის ფაქტი, რომ ქალთა თავისუფლების აღკვეთა შეიძლება თავისთავად დიდად ამცირებდეს ჩასახვის ალბათობას თავისუფლების აღკვეთის პერიოდში, არ არის საკმარისი მიზეზი ამგვარ სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმისათვის.⁹⁴³

რესოციალიზაციის მიზნით აუცილებელია ქალ მსჯავრდებულთათვის პროფესიული უნარ-ჩვევების დასაუფლებელი საგანმანათლებლო კურსების ორგანიზება და მცირე საწარმოების მოწყობა მათი დასაქმების უზრუნველსაყოფად.

თბილისი, 2012, გვ. 50.

⁹⁴⁰ გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), 06.10.2010, წესი 52(3), იხ. <http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf>

⁹⁴¹ იქვე, პუნქტი 30-31, გვ. 59.

⁹⁴² იქვე, პუნქტი 32, გვ. 59-60.

⁹⁴³ იქვე, პუნქტი 33, გვ. 60.

დასაქმების მხრივ ყველაზე გავრცელებული მაგალითია ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოქმედი სამკერვალოები და სამრეცხაოები.

განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა გატარდეს იმ ქალ პატიმართა სპეციალური სამსახურების მომსახურებით უზრუნველყოფისთვის, რომელთაც გადაიტანეს ფიზიკური, მორალური ან სექსუალური შეურაცხყოფა.⁹⁴⁴

ქალ პატიმრებთან მომუშავე პერსონალმა სპეციალური ტრენინგი უნდა გაიაროს, რომლის ფარგლებშიც აქცენტი გაკეთდება ქალის სპეციფიკურობაზე, მის ფსიქოლოგიურ და ემოციურ ასპექტებზე, აგრეთვე, მისთვის დამახასიათებელ საჭიროებებზე.⁹⁴⁵ ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს გადაშინებამ საშუალება უნდა მისცეს, უპასუხონ პატიმარი ქალების სოციალური რეინტეგრაციის განსაკუთრებულ საჭიროებებს.⁹⁴⁶

პენიტენციური დაწესებულების ყველა თანამშრომელმა, რომლებიც მუშაობენ ქალ პატიმრებთან, უნდა გაიაროს ტრენინგი გენდერულად განსაკუთრებულ საჭიროებებსა და ქალი პატიმრების უფლებებთან დაკავშირებით.⁹⁴⁷

პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, იმ დაწესებულებებში, რომლებშიც განთავსებული არიან როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, ქალების განყოფილება უნდა იყოს ქალი მუშაკების დაქვემდებარებაში. მათი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს ამ განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, მათ შორის, განყოფილებაში შეღწევა (ნებართვა, გასაღები და სხვ.). მამაკაცი მუშაკები ქალთა განყოფილებაში დაიშვებიან მხოლოდ ქალი თანამშრომლების თანხლებით. პატიმარ ქალებზე ზრუნვა და ზედამხედველობა უნდა დაევალოს მხოლოდ ქალ მუშაკებს. ამავე დროს, ეს არ უნდა უშლიდეს ხელს მამაკაც მუშაკებს, კერძოდ, ექიმებსა და პედაგოგებს, შეასრულონ თავიანთი პროფესიული მოვალეობები ქალთა დაწესებულებებში ან ქალებისთვის გამოყოფილ ცალკე განყოფილებებში.⁹⁴⁸

11.3. უვადო თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულები

უვადო თავისუფლების აღკვეთა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმოადგენს მაქსიმალურ სადამსჯელო ზომას. მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის პატიმართა მიმართ გამოიყენება ტერმინი „უვადო“ ან „სამუდამო“, როგორც წესი, პრაქტი-

⁹⁴⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 34.2, პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული - სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის პუბლიკაცია, თბილისი, 2010, გვ. 82.

⁹⁴⁵ გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლება აღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 41.

⁹⁴⁶ გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგაკოის წესები), 06.10.2010, წესი 29, იხ. <http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf>

⁹⁴⁷ იქვე, წესი 33(1).

⁹⁴⁸ პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, 1955, წესი 53, ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია #11, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ქენედა, 2005, თბილისი, 2007, გვ. 207.

კაში იმპიათია შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულს მთელი ცხოვრების გატარება სასჯელალსრულების დაწესებულებაში უწევს.⁹⁴⁹ ასეთი კატეგორიის მსჯავრდებულებს, გარკვეული ვადის გასვლის (თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის) შემდეგ, ათავისუფლებენ შესაბამისი სამსახურების ზედამხედველობის ქვეშ.⁹⁵⁰

უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს ხდება, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში მისი შეფარდება განსხვავებული დანაშაულის შემთხვევაში არის შესაძლებელი (ტრეფიკინგი, იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების გარკვეული ოდენობის უკანონოდ დამზადება-გასაღება). ძირითადად, სასჯელის ეს ფორმა განზრახ მკვლელობის ჩადენის დროს გამოიყენება. ასე მაგალითად, ინგლისსა და უელსში უვადო თავისუფლება აღკვეთილთა 80%-ს ეს სასჯელი განზრახი მკვლელობის ჩადენისთვის განესაზღვრა, 12%-ს კი – გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური დანაშაულისათვის.⁹⁵¹

საქართველოში უვადო თავისუფლების აღკვეთა შეეფარდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულის ჩამდენ პირს: განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში,⁹⁵² გაუპატიურება,⁹⁵³ წამება,⁹⁵⁴ პროსტიტუციაში ჩაბმა,⁹⁵⁵ ეკოციდი,⁹⁵⁶ აგრესიის აქტის დაგეგმვა, მომზადება, დაწყება ან წარმოება,⁹⁵⁷ პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ან/და საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა,⁹⁵⁸ ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა,⁹⁵⁹ კიბერტერორიზმი,⁹⁶⁰ არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი),⁹⁶¹ სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, განადგურება ან დაზიანება,⁹⁶² ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება,⁹⁶³ საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა,⁹⁶⁴ საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის

⁹⁴⁹ ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის, თბილისი, 2007, გვ. 145.

⁹⁵⁰ იხ. თავი - სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება.

⁹⁵¹ Life Imprisonment, United Nations Office at Vienna, Crime Prevention and Criminal Justice Branch, Vienna, 1994 იხ. <http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/06/UNODC-1994-Lifers.pdf>

⁹⁵² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 109(3).

⁹⁵³ იქვე, მუხლი 137(4).

⁹⁵⁴ იქვე, მუხლი 144¹(3).

⁹⁵⁵ იქვე, მუხლი 253(3).

⁹⁵⁶ იქვე, მუხლი 409.

⁹⁵⁷ იქვე, მუხლი 404(2).

⁹⁵⁸ იქვე, მუხლი 353¹(3).

⁹⁵⁹ იქვე, მუხლი 331¹(3).

⁹⁶⁰ იქვე, მუხლი 324¹(2).

⁹⁶¹ იქვე, მუხლი 143¹(4).

⁹⁶² იქვე, მუხლი 227²(3).

⁹⁶³ იქვე, მუხლი 260(3).

⁹⁶⁴ იქვე, მუხლი 262(4).

დარღვევა,⁹⁶⁵ საბოტაჟი,⁹⁶⁶ ტერორისტული აქტი,⁹⁶⁷ საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა,⁹⁶⁸ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა,⁹⁶⁹ სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით,⁹⁷⁰ ტერორიზმის დაფინანსება,⁹⁷¹ პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა,⁹⁷² აგრესიული ომის გაჩაღება ან წარმოება,⁹⁷³ გენოციდი,⁹⁷⁴ დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ⁹⁷⁵ და სხვა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51(2) მუხლის თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა 60 წელი. აღნიშნული ნორმა ეხმიანება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას, რომლის თანახმად, „... დაუშვებელია სიკვდილით დასჯა ან სამუდამო პატიმრობა, როდესაც აღნიშნული არ ითვალისწინებს გათავისუფლების შესაძლებლობას, შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირებს ჩადენილი დანაშაულისათვის“.⁹⁷⁶

ყველა ქვეყანა არ იყენებს სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას. მსგავსი სასჯელი აკრძალულია ბრაზილიაში, კოლუმბიაში, ელ სალვადორში, ნიკარაგუაში, ვენესუელაში, ხორვატიაში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და ნორვეგიაში. თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს მსჯავრდებულთა მიერ გრძელვადიანი სასჯელის მოხდას ამ ქვეყნებში. მსჯავრდებულმა შესაძლოა ფაქტობრივად იმაზე მეტი ხანი დაჰყოს თავისუფლების აღკვეთის პირობებში, ვიდრე უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის პირობით გათავისუფლების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის მოხდის მინიმალური ვადაა განსაზღვრული. ესპანეთის სისხლის სამართლის დოქტრინა მიუთითებს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურია, რამდენადაც სასჯელადსრულების დაწესებულების ვალდებულებაა დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ მსჯავრდებული „სოციალურად რეაბილიტირებული“ უნდა იყოს, ხოლო უვადო თავისუფლების აღკვეთა ამ დებულების საწინააღმდეგოა.⁹⁷⁷

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა

⁹⁶⁵ იქვე, მუხლი 308(2).

⁹⁶⁶ იქვე, მუხლი 318(3).

⁹⁶⁷ იქვე, მუხლი 323(3).

⁹⁶⁸ იქვე, მუხლი 325.

⁹⁶⁹ იქვე, მუხლი 326.

⁹⁷⁰ იქვე, მუხლი 330(2).

⁹⁷¹ იქვე, მუხლი 331¹(3).

⁹⁷² იქვე, მუხლი 353¹(3).

⁹⁷³ იქვე, მუხლი 404(2).

⁹⁷⁴ იქვე, მუხლი 407.

⁹⁷⁵ იქვე, მუხლი 408.

⁹⁷⁶ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, რეზოლუცია 44/25, 20.11.1989, მუხლი 37(ა), ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია #11, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ჟენევა 2005, თბილისი, 2007, გვ. 104.

⁹⁷⁷ ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის, თბილისი, 2007, გვ. 146.

სტატისტიკურ მდგომარეობას საქართველოში 2014-2023 წლებში (თითოეული მონაცემი ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით).⁹⁷⁸

წელი	უვადო თავისუფლებაადკვეთილი	მათ შორის კაცი / ქალი
2014	81	სტატისტიკა არ იწარმოებოდა
2015	77	სტატისტიკა არ იწარმოებოდა
2016	74	კაცი - 73, ქალი - 1
2017	74	კაცი - 73, ქალი - 1
2018	72	კაცი - 70, ქალი - 2
2019	74	კაცი - 72, ქალი - 2
2020	73	კაცი - 71, ქალი - 2
2021	71	კაცი - 70, ქალი - 1
2022	73	კაცი - 71, ქალი - 2
2023	78	კაცი - 76, ქალი - 2

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 78 უვადო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულის გარდა, 3 უვადო თავისუფლებაადკვეთილ მსჯავრდებულს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილი აქვს თავისუფლების აღკვეთისგან გათავისუფლების კონკრეტული თარიღი და, ასევე, 3 უვადო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებული მპს „აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ იმყოფება.⁹⁷⁹

ინგლისსა და უელსში ამ კატეგორიის მსჯავრდებულთა რაოდენობა მე-20 საუკუნის ბოლო ათი წლის განმავლობაში 75%-ით გაიზარდა, აშშ-ში – 83%-ით, ხოლო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში – 1000%-ით. აღსანიშნავია, რომ, 2005 წლის სტატისტიკური მონაცემებით, გაერთიანებულ სამეფოში უვადო მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობამ მთელი ევროპის მაჩვენებლის თითქმის ნახევარი შეადგინა.⁹⁸⁰ ცნობილია, რომ ევროპის უმრავლეს ქვეყანაში მსჯავრდებულთა უმეტესი ნაწილი მოკლევადიან სასჯელს იხდის. ამის მიუხედავად, არის ქვეყნები, სადაც სასჯელის საშუალო ხანგრძლივობა რამდენიმე წელს აღწევს. უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიმჩნევა კანონმდებლობის გამკაცრებისა და სასამართლოების მიერ გრძელვადიანი სასჯელის შეფარდების ზრდის ტენდენცია. მართალია, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ფონზე, უვადო თავისუფლებაადკვეთილ მსჯავრდებულთა ხვედრითი წილი ძალზე მცირეა, ორგანიზაციულ-მენეჯერული თვალსაზრისით, მათ საკმაოდ დიდი ყურადღება და ძალისხმევა უსაჭიროებათ. ამ კატეგორიის პატიმრებმა სასჯელადსრულების ადმინისტრაციებს, განსაკუთრებით კი, ადმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, მრავალი პრობლემა გაუჩინეს. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული 21-ე საუკუნის დასაწყისით დამთავრებული, ადმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეტაპობრივად განხორციელდა სიკ-

⁹⁷⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრის წერილი #1910, 15.02.2024.

⁹⁷⁹ იქვე.

⁹⁸⁰ გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებაადკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 45.

ვდილით დასჯის გაუქმება ან მის გამოყენებაზე მორატორიუმის დადება, რასაც სასჯელის უმცარესი ზომის სახით ჩაენაცვლა უვადო თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, ეს ერთგვარი სიახლე იყო აღმოსავლეთ ევროპის პენიტენციური სისტემისთვის და პერსონალი არ იყო სათანადოდ მომზადებული აღნიშნული კატეგორიის პატიმრებთან სამუშაოდ.

უვადო თავისუფლება აღკვეთილ მსჯავრდებულთა კატეგორია მაღალი რისკის მომცველია. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც უმძიმესი დანაშაული აქვთ ჩადენილი და საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგს. სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას მაღალი რისკის მატარებელი უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირისგან სხვა მსჯავრდებულთა და დაწესებულების პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი სრულიად იზოლირებული უნდა იყვნენ სხვა მსჯავრდებულებისგან. გაუმართლებელია ამ კატეგორიის მსჯავრდებულთა ინდივიდუალური ან ჯგუფური იზოლაცია მხოლოდ იმ მოტივით, რომ მათ უვადო თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი.

უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირებში ფსიქიკური დაავადებების წარმოშობის მეტი რისკია, ვიდრე სხვა კატეგორიის პატიმრებში. ასე მაგალითად, 2004 წელს აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ყოველ მეხუთე უვადო თავისუფლება აღკვეთილ მსჯავრდებულს აღნიშნებოდა ფსიქიკური აშლილობა სასჯელის მოხდის სხვადასხვა პერიოდში.⁹⁸¹

გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის განყოფილების 1994 წლის ანგარიშში, რომელიც უვადო თავისუფლების აღკვეთას ეხება, ხაზგასმით ნათქვამია, რომ მსჯავრდებულები, რომელთაც უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, შეიძლება განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ პრობლემებს, რაც შესაძლოა გარდაიქმნას მათ დესოციალიზაციასა და დამოკიდებულებაში, რაც საზიანოა მსჯავრდებულის ჯანმრთელობისთვის. უვადო თავისუფლების აღკვეთას მსჯავრდებულზე შესაძლოა ღრმა სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური გავლენა ჰქონდეს. ეს ერთგვარად უვადო თავისუფლების აღკვეთის განუსაზღვრელი ბუნების შემადგენელი ნაწილია. სტრესი და ნევროზი გამოწვეულია სოციალური ურთიერთქმედების ნორმალური პირობების არარსებობითა და მსჯავრდებულთა მიერ სხვათა მხარდაჭერის შეუძლებლობით. ისინი მოკლებული არიან არა მხოლოდ ოჯახებსა და შვილებთან ხშირი ურთიერთობის, არამედ შვილის ყოლის შესაძლებლობასაც. დროში განვრცობილი პატიმრობისგან გამოწვეულმა პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვამ და დამოკიდებულების ფაქტორის გაზრდამ, შედეგად შეიძლება რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელის შეშლა გამოიწვიოს.⁹⁸²

უვადო თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულები შეიძლება განიცდიდნენ განსხვავებულ მოპყრობასა და სასჯელის უფრო ცუდ პირობებს, ვიდრე სხვა კატეგორიის მსჯავრდებულები. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-11 საერთო ანგარიშში აღწერილია მსგავსი სიტუაციები, როდესაც მსჯავრდებულები ექვემდებ-

⁹⁸¹ იქვე, გ. 46-47.

⁹⁸² Life Imprisonment, United Nations Office at Vienna, Crime Prevention and Criminal Justice Branch, Vienna, 1994 იბ. <http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/06/UNODC-1994-Lifers.pdf>

ბარებოდნენ სპეციალურ აკრძალვებს გრძელვადიანი პატიმრობისათვის დამახასიათებელი მავნე უფექტების გასაძლიერებლად. მოყვანილი მაგალითებიდან შეიძლება დავასახელოთ: განცალკევება სხვა მსჯავრდებულებისგან; ხელბორკილის დადება საკნიდან გამოყვანის დროს; სხვა მსჯავრდებულებთან კომუნიკაციის აკრძალვა; პაემნების მაქსიმალური შეზღუდვა.⁹⁸³

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განვრცობილ და დროში განუსაზღვრელ პატიმრობას არაერთხელ მოჰყვა უვადო მსჯავრდებულის მიერ სუიციდი. ორგანიზაცია Prison Reform Trust–ის მიერ ინგლისსა და უელსში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სუიციდის მაჩვენებელი მამაკაც პატიმრებს შორის ხუთჯერ მეტია, ვიდრე დანარჩენ საზოგადოებაში. კვლევამ დამატებით გამოავლინა, რომ პატიმრობაში მოხვედრილ მამაკაცთა მეხუთედს და ქალების თითქმის ნახევარს ციხეში მოხვედრამდე ჰქონდა სუიციდის მცდელობა.⁹⁸⁴

სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ და პერსონალმა სპეციალური ყურადღება უნდა მიაქციოს და განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს იმ მსჯავრდებულთა პრობლემების მიმართ, რომელთაც, სავარაუდოდ, მთელი ცხოვრება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა გაატარონ. კერძოდ, მათი სასჯელის მოხდის დაგეგმვა უნდა იყოს სათანადოდ დინამიკური და უფლებას აძლევდეს მსჯავრდებულს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საქმიანობასა და პროგრამაში, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ცხოვრებისა და სასჯელის მოხდის პირობების ადაპტაციის ხელშესაწყობად სპეციალურად შექმნილ ინტერვენციისა და ფსიქოთერაპიის პროგრამებში.

საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს უვადო თავისუფლების აღკვეთის აღსრულების საკითხებს. კერძოდ, უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირი თავსდება დახურული ტიპის დაწესებულებაში, რაც წარმოადგენს განსაკუთრებულად დაცულ, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილ, სასიგნალიზაციო სისტემით აღჭურვილ, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარემორტყმულ დაწესებულებას, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.⁹⁸⁵

- უვადო თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულების გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა

2021 წელს იუსტიციის სამინისტროში მომზადდა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა.⁹⁸⁶ ამ პროგრამის მიზანია უვადო თავისუფლების

⁹⁸³ 11th General Report of the CPT's Activities, CPT/Inf (2001)16, paragraph 33, იხ. http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm#_Toc523890680

⁹⁸⁴ Dead Inside, Prison Reform Trust, 2013, იხ. <http://www.prisonreformtrust.org.uk/ProjectsResearch/Mentalhealth/TroubledInside/Deadinside>

⁹⁸⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 37.

⁹⁸⁶ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #682 უვადოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის დამტკიცების შესახებ, 09.02.2021.

აღკვეთით მსჯავრდებული პირების სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გათავისუფლების, აგრეთვე უვადო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან მინაპატიმრობით შეცვლისთვის, შემთხვევის მართვის ფარგლებში, მსჯავრდებულთა ჩართულობა ისეთ ღონისძიებებში (ინტერვენციებში), რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციას და რესოციალიზაციას-რეინტეგრაციისთვის მზადებას.⁹⁸⁷ პროგრამის ამოცანებია: მსჯავრდებულთა შეფასება, ინდივიდუალური პროგრამის შედგენა, საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალური პროგრამებისა და სხვადასხვა აქტივობის უზრუნველყოფა და სასამართლოსთვის წარსადგენად შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება.⁹⁸⁸ პროგრამაში ჩართვა შეუძლია იმ მსჯავრდებულს, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის არანაკლებ 12 წელი და წერილობით თანხმობას აცხადებს პროგრამაში მონაწილეობაზე,⁹⁸⁹ რაც პროგრამაში ჩართულობის ნებაყოფლობითობაზე მიუთითებს.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხანგრძლივობა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 წლის ვადით.⁹⁹⁰ პროგრამა 8 ეტაპისგან შედგება, რომლებშიც ერთიანდება სასწავლო მოდულები და მხარდამჭერი აქტივობები.⁹⁹¹ პროგრამის ეტაპებია:

ეტაპი 1 - მსჯავრდებულის შეფასება, ინდივიდუალური პროგრამის შედგენა და დაზარალებულთან ან მის უფლებამონაცვლესთან დაკავშირებული ინფორმაციის ამსახველი ანგარიშის მომზადება. პირველი ეტაპი გულისხმობს მსჯავრდებულის შეფასებას შემთხვევის მართვის შესაბამისად, მისი ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების განსაზღვრას და მისთვის ინდივიდუალური პროგრამის მომზადებას, რომელსაც ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. პირველი ეტაპი იწყება პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის მიღებისთანავე და გრძელდება 3 თვე. პირველი ეტაპის განხორციელებას უზრუნველყოფენ სპეციალური პენიტენციური სამსახური და სააგენტო. პირველი ეტაპის დაწყებისთანავე, მითითებულ ვადაში, სააგენტოს დაზარალებულთან კომუნიკაციის სპეციალისტი კომუნიკაციას ამყარებს მსჯავრდებულის ქმედებით დაზარალებულ მხარესთან, აგრეთვე ნებისმიერ სხვა იდენტიფიცირებულ პირთან, რომელზეც დანაშაულმა იქონია გავლენა და ამზადებს შესაბამის ანგარიშს. პირველი ეტაპის დაძლევის კრიტერიუმია - მსჯავრდებულის ხელმოწერით დადასტურებული, შევსებული „მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების ინდივიდუალური პროგრამა“.⁹⁹²

ეტაპი 2 - კონსტრუქციული ურთიერთობების აგება. მეორე ეტაპი იწყება მსჯავრდებულის მიერ პირველი ეტაპის დაძლევის შემდეგ და გულისხმობს კონსტრუქციული ურთიერთობების აგებას, კერძოდ, მსჯავრდებულის ოჯახთან კომუნიკაციის აღდგენა/გაძლიერებას, დაზარალებულთან/დაზარალებულის უფლებამონაცვლესთან მედიაციის პროცესის ინიცირებას, საჭიროებიდან გამო-

⁹⁸⁷ იქვე, მუხლი 2.

⁹⁸⁸ იქვე, მუხლი 3.

⁹⁸⁹ იქვე, მუხლი 4.

⁹⁹⁰ იქვე, მუხლი 7(1).

⁹⁹¹ იქვე, მუხლი 7(2).

⁹⁹² იქვე, მუხლი 8(2).

მდინარე, ოჯახთან მუშაობას. მეორე ეტაპის განხორციელებას უზრუნველყოფენ სპეციალური პენიტენციური სამსახური და სააგენტო. მეორე ეტაპი შესაძლოა მიმდინარეობდეს სრული პროგრამის განმავლობაში. მეორე ეტაპის დაძლევის კრიტერიუმია - ინფორმაცია მედიაციის პროცესის ინიცირებისა და მიმდინარეობის შესახებ, ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასება (პროგრამის ბოლოს).⁹⁹³

ეტაპი 3 - ჯანსაღი ცხოვრება და პროფესია. მესამე ეტაპი იწყება მსჯავრდებულის მიერ პირველი ეტაპის დაძლევის შემდეგ და გულისხმობს მსჯავრდებულის შეფასების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით სხვადასხვა საგანმანათლებლო ან/და პროფესიულ აქტივობაში მის ჩართვას, მსჯავრდებულის შრომა-დასაქმებას, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობს აქტივობებში მსჯავრდებულის მონაწილეობას. მესამე ეტაპი შესაძლოა მიმდინარეობდეს სრული პროგრამის განმავლობაში. მესამე ეტაპის განხორციელებას უზრუნველყოფენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი (შემდგომში ცენტრი) და სპეციალური პენიტენციური სამსახური. საჭიროების შემთხვევაში, პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს სააგენტოც. მესამე ეტაპის დაძლევის კრიტერიუმია - მსჯავრდებულის მიერ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა, აგრეთვე შესაბამისი პროფესიული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა.⁹⁹⁴

ეტაპი 4 - ფსიქოსოციალური მხარდაჭერა. მეოთხე ეტაპის განხორციელებას უზრუნველყოფს სამსახური. მეოთხე ეტაპი შემდეგი ორი ნაწილისგან შედგება: **I ნაწილი მოიცავს ფსიქოსოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებს**, რომლებიც ემსახურება მსჯავრდებულის პოზიტიურ ცვლილებებს და რისკის შემცირებას. მათი შერჩევა ხდება მსჯავრდებულის შეფასების შედეგად გამოკვეთილი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სარეაბილიტაციო პროგრამების შემდეგი ჯგუფებიდან: დანამაულოზე ფოკუსირებული, დანამაულოდან დაკავშირებული, საბაზისო კლინიკური და სოციალური უნარების განვითარების პროგრამები. მეოთხე ეტაპის პირველი ნაწილი იწყება პირველი ეტაპის დაძლევის შემდეგ და მიმდინარეობს არანაკლებ 8 და არაუმეტეს 10 თვის განმავლობაში. პირველი ნაწილის განხორციელებას უზრუნველყოფს სამსახური. მსჯავრდებულის მიერ პირველი ნაწილის დაძლევის კრიტერიუმია - დასწრება და შეფასების (ობიექტური) ინსტრუმენტების შედეგები; **II ნაწილი წარმოადგენს სწრაფი ჩარევის პროგრამას**, რომელიც გულისხმობს მსჯავრდებულის ადაპტირებასა და თვითმართვის მხარდაჭერი პროგრამის განხორციელებას. მეოთხე ეტაპის მეორე ნაწილი იწყება სრული პროგრამის დასრულებამდე არანაკლებ 5 თვით ადრე. მეორე ნაწილის ხანგრძლივობა 3 თვეა და მის განხორციელებას უზრუნველყოფს სამსახური. მსჯავრდებულის მიერ მეორე ნაწილის დაძლევის კრიტერიუმია - დასწრება და თემატური ტესტის დაძლევა.⁹⁹⁵

ეტაპი 5 - სამოქალაქო განათლება (საგანმანათლებლო მოდული). მეხუთე ეტაპი

⁹⁹³ იქვე, მუხლი 8(3).

⁹⁹⁴ იქვე, მუხლი 8(4).

⁹⁹⁵ იქვე, მუხლი 8(5).

მსჯავრდებულს დაეხმარება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გააზრებაში, ასევე უზრუნველყოფს მსჯავრდებულის ინფორმირებას საზოგადოებაში თანაცხოვრებისა და ქვეყანაში არსებული რეგულაციების თაობაზე. მეხუთე ეტაპი იწყება პროგრამის მეოთხე ეტაპის პირველი ნაწილის დაძლევის შემდეგ და გრძელდება არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 თვის განმავლობაში. მეხუთე ეტაპის განხორციელებას უზრუნველყოფს სამსახური. მეხუთე ეტაპის დაძლევის კრიტერიუმია - დასწრება და თემატური ტესტის დაძლევა.⁹⁹⁶

ეტაპი 6 - **მკროსისტემები (საგანმანათლებლო მოდული)**. მეექვსე ეტაპი უზრუნველყოფს მსჯავრდებულის ინფორმირებას შესაბამის სფეროში ქვეყანაში არსებული ინსტიტუტებისა და სერვისების შესახებ. მეექვსე ეტაპი იწყება პროგრამის მეხუთე ეტაპის დაძლევის შემდეგ და გრძელდება 3 თვის განმავლობაში. მეექვსე ეტაპის განხორციელებას უზრუნველყოფენ სააგენტო და ცენტრი, სამსახურთან თანამშრომლობით. მეექვსე ეტაპის დაძლევის კრიტერიუმია - დასწრება და თემატური ტესტის დაძლევა.⁹⁹⁷

ეტაპი 7 - **ადაპტაციის უნარების გაუმჯობესება (საგანმანათლებლო/უნარების განვითარების მოდული)**. მეშვიდე ეტაპი უზრუნველყოფს მსჯავრდებულის რეინტეგრაციის ხელშეწყობას და ისეთი უნარების გამომუშავებას, რომლებიც მსჯავრდებულს დაეხმარება პენიტენციური სისტემის გარეთ საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის მოძიებაში, თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებაში და სხვა. მეშვიდე ეტაპი იწყება პროგრამის მეექვსე ეტაპის დაძლევის შემდეგ და გრძელდება 3 თვის განმავლობაში. მეშვიდე ეტაპის განხორციელებას უზრუნველყოფენ სააგენტო და ცენტრი, სამსახურთან თანამშრომლობით. მეშვიდე ეტაპის დაძლევის კრიტერიუმია - დასწრება და თემატური ტესტის დაძლევა.⁹⁹⁸

ეტაპი 8 - **მომავლის კონსტრუქციული დაგეგმვა**. მერვე ეტაპის მიზანია, დაეხმაროს მსჯავრდებულს დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომ არსებული გამოწვევების გააზრებაში, რეალისტური და პროსოციალური აქტივობების დაგეგმვაში. მერვე ეტაპი იწყება პროგრამის მეშვიდე ეტაპის დაძლევის შემდეგ და გრძელდება 2 თვის განმავლობაში. მერვე ეტაპის განხორციელებას უზრუნველყოფს სააგენტო, სამსახურთან თანამშრომლობით. ამავე ეტაპზე მსჯავრდებული, სურვილის შემთხვევაში, გეგმასთან ერთად, ავსებს თვითშეფასების ფორმას. მერვე ეტაპის დაძლევის კრიტერიუმია - შემუშავებულია მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდგომი ინდივიდუალური გეგმა.⁹⁹⁹

პროგრამის დასრულების შემდგომ ხდება შემაჯამებელი ანგარიშის შედგენა, შემთხვევის მართვის ფარგლებში წარმოებული მონაცემებისა და პროგრამის ყველა ეტაპის შეფასების გათვალისწინებით.¹⁰⁰⁰ შემაჯამებელ ანგარიშს თან ერთვის ოჯახისა და სოციალური გარემოს განახლებული შეფასება.¹⁰⁰¹ სასამართლოს მიერ უკუადო თავისუფლების აკვეთის სახით დანიშნული სასჯელის გადასინჯვის

⁹⁹⁶ იქვე, მუხლი 8(6).

⁹⁹⁷ იქვე, მუხლი 8(7).

⁹⁹⁸ იქვე, მუხლი 8(8).

⁹⁹⁹ იქვე, მუხლი 8(9).

¹⁰⁰⁰ იქვე, მუხლი 9(1).

¹⁰⁰¹ იქვე, მუხლი 9(2).

თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში, ხდება მსჯავრდებულის გადაფასება და მის საჭიროებებზე მორგებული განახლებული 6-თვიანი ინდივიდუალური პროგრამის შედგენა, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ამ პროგრამის გარკვეულ მოდულებს/სესიებს.¹⁰⁰²

ბელარუსში უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები სასჯელს იხდიან განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში.¹⁰⁰³ ისინი განთავსებული არიან სასაკნე ან საცხოვრებელი ტიპის სადგომში და ატარებენ სპეციალურ ტანსაცმელს.¹⁰⁰⁴ თუ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი მოთავსებულია საკნის ტიპის სადგომში, როგორც წესი, ორ მსჯავრდებულზე მეტის ერთად განთავსება არ ხდება.¹⁰⁰⁵ საცხოვრებელი ტიპის სადგომში უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის გადაყვანა შეიძლება არანაკლებ ათი წლის თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ.¹⁰⁰⁶ უვადო თავისუფლებააღკვეთილი სარგებლობს წელიწადში ორი ხანმოკლე პაემნითა და ყოველდღიურად ნახევარსაათიანი გასეირნებით.¹⁰⁰⁷

უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და სასჯელადსრულების დაწესებულების ეფექტიანად მართვის მიზნით, დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ყველა ზომა მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამებში ჩასართავად. არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები არ უნდა ჩაერთოს დასაქმების, განათლების, რეაბილიტაციისა თუ სხვა სახის პროგრამებში. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი რესურსებია ხელმისაწვდომი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის აქტივობებში მონაწილეობისთვის, მიზანშეწონილია პრიორიტეტი მიენიჭოს უვადო თავისუფლებააღკვეთილებს, სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით. აღნიშნულს განაპირობებს მათი დიდი ხნით, ხოლო რიგ შემთხვევაში, მთელი სიცოცხლის მანძილზე, იზოლირება საზოგადოებისა და საკუთარი ოჯახებისგან. შესაბამისად, მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება და თავისუფლების აღკვეთის პროგრამებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ციხის ცხოვრებასთან ადაპტირებაში.¹⁰⁰⁸

უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებთან მომუშავე პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი, რომ ჰქონდეს დინამიკური უსაფრთხოების სრული აღქმა, რაც საჭიროა მათი ყოველდღიური საქმიანობის სათანადოდ განსახორციელებლად.¹⁰⁰⁹ სხვადასხვა კატეგორიისა და პროფილის პერსონალი უნდა მართა-

¹⁰⁰² იქვე, მუხლი 7(7).

¹⁰⁰³ Уголовно-исполнительные Кодексы, Уголовно-исполнительный Кодекс Республики Беларусь, статья 172(1), Донецкий Мемориал, Донецк, 2004, ст. 104.

¹⁰⁰⁴ იქვე, статья 173(1).

¹⁰⁰⁵ იქვე, статья 173(2).

¹⁰⁰⁶ იქვე, статья 173(3), ст. 105.

¹⁰⁰⁷ იქვე, статья 173(5).

¹⁰⁰⁸ გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 52.

¹⁰⁰⁹ პუნქტი 37(ბ), ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის თაობაზე, 09.10.2003, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელადსრულებისა და პრობაციის სფეროში, სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 195.

ვდეს რეგულარულ შეხვედრებსა და დისკუსიებს, რათა მიღწეულ იქნეს სწორი ბალანსი მსჯავრდებულთა პრობლემების თანაგრძნობით გაგებასა და კონტროლის სიმკაცრეს შორის.¹⁰¹⁰ უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა მიერ პერსონალის მანიპულაციის გაზრდილი რისკის გამო პერიოდულად უნდა ხდებოდეს პერსონალის როტაცია.¹⁰¹¹

საერთაშორისო დოკუმენტთა ნუსხა, რომლებიც არეგულირებენ უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებთან დაკავშირებულ საკითხებს, სულ რამოდენიმე დოკუმენტს მოიცავს; კერძოდ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია გრძელვადიანი პატიმრების მოპყრობის თაობაზე და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის თაობაზე.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ჯერ კიდევ 1976 წელს მიღებული რეზოლუციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა იმ პატიმარსა და მასზე დამოკიდებულ პირებზე უარყოფითი გავლენის აღმოფხვრა და შემცირება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს გრძელვადიანი პატიმრობის აღსრულებით.¹⁰¹² მართალია რეზოლუცია გრძელვადიან პატიმრებს ეხება, მე-11 პუნქტში მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ანალოგიურად გამოიყენონ რეზოლუციაში ასახული პრინციპები უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებთან მიმართებით.¹⁰¹³

მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ასახული რეზოლუციაში ეხება გარე სამყაროსთან პატიმრის კონტაქტის გაძლიერებას¹⁰¹⁴ და ციხის დასატოვებელი პერიოდების მიცემას, როგორც მოპყრობის პროგრამის არსებითი ნაწილი.¹⁰¹⁵ რეზოლუცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს აღნიშნული კატეგორიის პატიმართათვის ციხეში შექმნან შესაბამისი სამუშაო გარემო და ანაზღაურების ადეკვატური სისტემა.¹⁰¹⁶

რეზოლუციაში ჩამოყალიბებული პრინციპები საფუძვლად დაედო 2003 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ რეკომენდაციას.¹⁰¹⁷

რეკომენდაციის პრეამბულამ განსაზღვრა მისი ძირითადი მიზანი დაკავშირებული პატიმრობის აღსრულების ბალანსის დაცვასთან, ერთი მხრივ, სასჯელადღსრულების ინსტიტუტებში უსაფრთხოების მიზნების უზრუნველყოფით, წესრიგითა და დისციპლინით და, მეორე მხრივ, პატიმრებისათვის მისაღები საცხოვრებელი პირობების, აქტიური რეჟიმისა და გათავისუფლებისათვის კონსტრუქციული მომზადების უზრუნველყოფით.¹⁰¹⁸

¹⁰¹⁰ იქვე, პუნქტი 39.

¹⁰¹¹ იქვე, პუნქტი 38.

¹⁰¹² პრეამბულა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (76)2 გრძელვადიან პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, 17.02.1976, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელადღსრულებისა და პრობაციის სფეროში, სასჯელადღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 200.

¹⁰¹³ იქვე, პუნქტი 11.

¹⁰¹⁴ იქვე, პუნქტი 7.

¹⁰¹⁵ იქვე, პუნქტი 8.

¹⁰¹⁶ იქვე, პუნქტი 4.

¹⁰¹⁷ Rec(2003)23, 09.10.2003.

¹⁰¹⁸ პრეამბულა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის თაობაზე, 09.10.2003, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელადღსრულებისა და პრობაციის სფეროში, სასჯელადღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 182.

რეკომენდაციამ ჩამოაყალიბა უვადო პატიმრისა და გრძელვადიანი პატიმრის განმარტებები. კერძოდ, სამუდამო პატიმრად განსაზღვრულ იქნა პირი, რომელიც სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას იხდის, ხოლო გრძელვადიან პატიმრად – პირი, რომელიც იხდის სასჯელს ან რამდენიმე სასჯელს, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს ხუთი ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთას.¹⁰¹⁹ რეკომენდაციის თანახმად, უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების სწორი და ეფექტიანი მართვა დამოკიდებულია ექვსი ძირითადი პრინციპის განხორციელებაზე, კერძოდ:

- (ა) ინდივიდუალიზაციის პრინციპი – მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განსხვავებები უვადო და სხვა გრძელვადიან პატიმრობაში მყოფი პირების პიროვნულ მახასიათებლებს შორის და უნდა მოხდეს მათი გათვალისწინება სასჯელის აღსრულების პერიოდში ინდივიდუალური გეგმის შედგენისას;¹⁰²⁰
- (ბ) ნორმალიზაციის პრინციპი – ციხის ცხოვრება ისე უნდა მოეწყოს, რომ მაქსიმალურად მიახლოებული იყოს საზოგადოების რეალურ ცხოვრებასთან;¹⁰²¹
- (გ) პასუხისმგებლობის პრინციპი – პატიმრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ციხის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიმუშაონ პირადი პასუხისმგებლობა;¹⁰²²
- (დ) უსაფრთხოებისა და დაცვის პრინციპი – მკაფიო განსხვავება უნდა გაკეთდეს უვადო პატიმრობაში მყოფი და სხვა გრძელვადიანი პატიმრებისგან წამოსულ ნებისმიერ რისკს შორის, რომელიც მიმართულია გარე საზოგადოების, საკუთარი თავების, სხვა პატიმრებისა და იმ პირების მიმართ, რომლებიც მუშაობენ მათთან ან სტუმრობენ მათ;¹⁰²³
- (ე) სეგრეგაციის დაუშვებლობის პრინციპი – დაუშვებელი უნდა იყოს უვადო პატიმრებისა და სხვა გრძელვადიანი პატიმრების სეგრეგაცია მხოლოდ მათი სასჯელის გამო;¹⁰²⁴
- (ვ) პროგრესის პრინციპი – უვადო ან სხვა გრძელვადიანი პატიმრის ცხოვრების ინდივიდუალური დაგეგმვა მიზნად უნდა ისახავდეს პროგრესულ სვლას ციხის სისტემის ფარგლებში.¹⁰²⁵

11.4. უცხოელი პატიმრები

გლობალიზაციის ფონზე მიმდინარე მიგრაციული პროცესები პირდაპირ გავლენას ახდენს უცხოელი პატიმრების რაოდენობის ზრდაზე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ეკონომიკური განვითარებით. ამ ტენდენციას ევროპის საბჭოს ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს, რომლის თანახმად, ევროკავშირის რიგ ქვეყნებში უცხოელი პატიმრების რაოდენობა 20%-დან 50%-მდე მერყეობს (მაგ.: დანია - 1002 (3583), საფრანგეთი - 14688 (77739), გერმანია - 19592

¹⁰¹⁹ იქვე, პუნქტი 1, გვ. 184.

¹⁰²⁰ იქვე, პუნქტი 3, გვ. 185.

¹⁰²¹ იქვე, პუნქტი 4.

¹⁰²² იქვე, პუნქტი 5.

¹⁰²³ იქვე, პუნქტი 6.

¹⁰²⁴ იქვე, პუნქტი 7.

¹⁰²⁵ იქვე, პუნქტი 8.

(65710), ავსტრია - 4441 (8857) და ა. შ.).¹⁰²⁶ ევროპის ქვეყნებში 2015 წელს დაახლოებით 115 000 უცხოელი პატიმარი იყო, რაც ევროპაში პატიმართა საერთო რაოდენობის დაახლოებით 20%-ს შეადგენდა.¹⁰²⁷ ეს მონაცემები ზრდის უცხოელ პატიმართა, როგორც მოწყვლადი ჯგუფის, უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის აქტუალობას. ეს აისახება, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციათა ფორმატში შემუშავებულ სტანდარტებში, ისე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში.

ტერმინი „უცხოელი პატიმარი“ მოიცავს იმ ადამიანთა წრეს, რომლებიც არამოქალაქეობის ქვეყანაში მომხდარ დანაშაულში მონაწილეობის გამო აღმოჩნდნენ პატიმრობასა ან თავისუფლების აღკვეთაში ამ უცხო ქვეყანაში.¹⁰²⁸ უცხო ქვეყანაში პატიმრობაში/თავისუფლების აღკვეთაში ყოფნა მრავალ პრობლემას წარმოშობს, დაწყებული მარტივი კომუნიკაციით ბრალდებულს/მსჯავრდებულსა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს შორის და ზოგადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობით, დასრულებული - ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან რეგულარული კონტაქტის გართულებით.

საქართველოს პენიტენციური კოდექსი პირდაპირ აღიარებს პატიმრის (ბრალდებულისა და მსჯავრდებულის) ყველა იმ უფლებას, რომლებიც მათ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისას გარანტირებული აქვთ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ეროვნული კანონმდებლობით.¹⁰²⁹ თავის მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი უზრუნველყოფს თანასწორობას და დისკრიმინაციის დაუშვებლობას. ამ პრინციპების გათვალისწინებით, ცხადია, რომ საქართველოს პენიტენციური კოდექსით პატიმრებისათვის განსაზღვრული უფლებები ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომელიც აღნიშნული სტატუსით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა, რომელ ენაზე საუბრობს და რომელ რელიგიურ აღმსარებლობას მისდევს.¹⁰³⁰

2010 წელს საქართველოს ციხის მოსახლეობა (პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული ბრალდებული და მსჯავრდებული პირები ერთობლიობაში) იყო 23 684.¹⁰³¹ მათგან მხოლოდ 382 იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე.¹⁰³² უცხოელ პატიმართა რაოდენობა არც 5 წლის შემდეგ შეცვლილა მნიშვნელოვნად და 2015 წლის სექტემბრის ბოლოს მდგომარეობით 368 პატიმარი შეადგინა,¹⁰³³ თუმცა პროცენტულად უფრო მაღალი მაჩვენებელი იყო 2010 წელთან შედარებით, რადგან 2015 წელს (სექტემბრის დასასრულს) საქართველოში 10 236 პატიმარი დაფიქსირდა¹⁰³⁴ (1.6%

¹⁰²⁶ Council of Europe Annual Penal Statistics, SPACE I, 2014, 71-72, see: [www.wp.unil.ch]

¹⁰²⁷ World Prison Brief and Institute for Crime Policy Research, December 2015, see: [www.prisonstudies.org]

¹⁰²⁸ A. Coyle, A Human Rights Approach to Prison Management, Handbook for prison staff, 2nd ed., International Centre for Prison Studies, London, 2009, 107.

¹⁰²⁹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 3.2.

¹⁰³⁰ იქვე.

¹⁰³¹ Criminal justice responses to prison overcrowding in Eastern Partnership countries (Compilation of the Reports on Study carried in Armenia, Georgia, Moldova and Ukraine), Council of Europe publication, Tbilisi, 2016, 156.

¹⁰³² იქვე, 159.

¹⁰³³ იქვე.

¹⁰³⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2016 წლის სექტემბრის ანგარიში, გვ. 1, იხ. [www.moc.gov.ge]

- 2010 წ. და 3.6% - 2015 წ.).

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია წლების მიხედვით საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში უცხოელ პატიმართა სტატისტიკა (მონაცემები ასახავს ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ სტატისტიკას).¹⁰³⁵

წელი	კაცი	ქალი	არასრულწლოვანი კაცი	არასრულწლოვანი ქალი	სულ
2014	229	26	0	0	255
2015	315	53	0	0	368
2016	300	34	0	0	334
2017	407	37	0	0	444
2018	533	68	1	0	602
2019	635	92	1	0	728
2020	497	62	1	4	564
2021	501	58	1	1	561
2022	582	64	1	0	647
2023	740	77	1	0	818

წარმოდგენილი სტატისტიკა მიანიშნებს, რომ საქართველოში უცხოელ პატიმართა რაოდენობა მთლიან პატიმართა რაოდენობასთან შედარებით 8%-9%-ს შეადგენს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული იყო 51 ქვეყნის მოქალაქე, 818 ბრალდებული და მსჯავრდებული (235 ბრალდებული და 582 მსჯავრდებული) და 3 მოქალაქეობის არმქონე პირი (სამივე მსჯავრდებული). ჯამში, 821 პირისგან მხოლოდ 1 იყო არასრულწლოვანი, ყველა დანარჩენი სრულწლოვანი ბრალდებული და მსჯავრდებულია (დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში).¹⁰³⁶

#	მოქალაქეობის სახელმწიფო	ბრალდებული	მსჯავრდებული	ჯამი
1	აზერბაიჯანი	17	84	101
2	ავსტრალია	1	0	1
3	ავღანეთი	1	3	4
4	ალჟირი	5	3	8
5	არაბთა გაერთიანებული საამირო	1	1	2
6	აშშ	3	2	5
7	ბელარუსი	2	5	7
8	ბელგია	1	0	1

¹⁰³⁵ საქართველოს იუსტიციის მინისტრის წერილი #1910, 15.02.2024.

¹⁰³⁶ იქვე.

9	ბულგარეთი	0	3	3
10	ბრაზილია	0	3	3
11	გერმანია	2	2	4
12	ეგვიპტე	8	6	14
13	ერაყი	3	2	5
14	ესტონეთი	0	1	1
15	თურქეთი	85	144	229
16	თურქმენეთი	0	2	2
17	ისრაელი	1	6	7
18	ინდოეთი	17	14	31
19	ინდონეზია	0	1	1
20	იორდანია	7	13	20
21	ირანი	21	36	57
22	კამერუნი	1	0	1
23	კანადა	0	2	2
24	კოლუმბია	0	1	1
25	კორეა	0	2	2
26	ლატვია	1	3	4
27	ლიეტუვა	0	1	1
28	ლიბანი	1	1	2
29	მაროკო	1	1	2
30	მოლდოვა	1	7	8
31	ნიგერია	2	15	17
32	ნიდერლანდების სამეფო	0	1	1
33	პაკისტანი	2	5	7
34	პალესტინა	0	4	4
35	პოლონეთი	1	0	1
36	პორტუგალია	0	1	1
37	რუმინეთი	0	1	1
38	რუსეთი	21	100	121
39	სამხრეთ აფრიკა	0	10	10
40	საუდის არაბეთი	0	3	3
41	საფრანგეთი	0	2	2
42	სირია	1	0	1
43	სერბეთი	0	3	3
44	სომხეთი	7	21	28

45	ტაჯიკეთი	0	2	2
46	ტუნისი	1	1	2
47	უზბეკეთი	1	11	12
48	უკრაინა	13	40	53
49	ყაზახეთი	4	9	13
50	ყირგიზეთი	0	2	2
51	ჩინეთი	3	2	5
52	მოქალაქეობის არმქონე	0	3	3
	სულ			821

ცხრილში ასახული სტატისტიკა მიუთითებს, რომ უცხოელ პატიმართა ძირითადი კონტინგენტი რეგიონის ქვეყნების მოქალაქეები არიან (თურქეთი - 229 პატიმარი, რუსეთი - 121 პატიმარი, აზერბაიჯანი - 101 პატიმარი, ირანი - 57 პატიმარი, უკრაინა - 53 პატიმარი და სომხეთი - 28 პატიმარი).

პენიტენციური დაწესებულების პერსონალის მიერ უცხოელი პატიმრების მიმართ მოპყრობა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული. უცხოელი პატიმრებისთვის ხშირად დამახასიათებელია ენობრივი ბარიერისა და სოციალური და კულტურული იზოლირების პრობლემები, რაც პერსონალის მხრიდან შესაბამის დახმარებას მოითხოვს. ის ფაქტი, რომ პატიმარი უცხოელია, არ შეიძლება დაედოს საფუძვლად დაწესებულებებში მისი გადაადგილებისა და პროგრამებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვას, რაც სხვა პატიმრებისათვის ხელმისაწვდომია.¹⁰³⁷ დისკრიმინაციის შემცველი მოპყრობა უცხოელი პატიმრებისადმი შეიძლება ფიზიკური ან სიტყვიერი ფორმით არ გამოიხატოს, თუმცა შედარებით ნაკლებად შესამჩნევი და არაპირდაპირი ხასიათის იყოს, ასე მაგალითად, გამოხატული იყოს სხვა პატიმრებთან შედარებით უცხოელი პატიმრების საკნის გაურესებელი პირობებით და დისციპლინური დასჯის უფრო ხშირად გამოყენებით.¹⁰³⁸

დაუშვებელია უცხოელი პატიმრების სამედიცინო მომსახურებისთვის საფასურის დადგენა იმ საფუძვლით, რომ ისინი არ ღებენ სათანადო ფინანსურ კონტრიბუციას ქვეყანაში მოქმედ სადაზღვევო სისტემაში. ქვეყნებში, რომლებშიც პენიტენციური დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის უფლებით შეიძლება სარგებლობა (მათ შორის საქართველოშიც), უცხოელ პატიმრებს უარი არ უნდა ეთქვას ამ უფლების განხორციელებაზე იმ მიზეზით, რომ მათ არ აქვთ საცხოვრებელი. რიგ ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციებს გამოყოფილი აქვთ სპეციალური თავშესაფრები, რომლებშიც ამ კატეგორიის პატიმრებს შეუძლიათ დარჩენა და, შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის უფლებით სარგებლობა. უცხოელ პატიმრებს უარი არ უნდა ეთქვას არც საზოგადოებაში რეინტეგრაციაზე ორიენტირებულ პროგრამებში მონაწილეობაზე იმ მიზეზით, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ მოხდება მათი სამშობლოში დეპორტაცია და მიზანი

¹⁰³⁷ A. Coyle, A Human Rights Approach to Prison Management, Handbook for prison staff, 2nd ed., International Centre for Prison Studies, London, 2009, 109.

¹⁰³⁸ J. Murdoch, V. Jiricka, Combating Ill-treatment in Prisons, A Handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, 2016, 58.

არ არის რეინტეგრაცია იმ ქვეყანაში, რომელშიც მან სასჯელი მოიხადა.¹⁰³⁹ ინფორმაციის წვდომის ნაკლებობა, გამოწვეული ენობრივი ბარიერით, შეიძლება გახდეს საფუძველი, რომ უცხოელმა პატიმარმა დაარღვიოს რეჟიმით დადგენილი რეგულაციები და ვერ შეძლოს საკუთარი უფლებების რეალიზაციის მოთხოვნა. წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა შვედეთში 2015 წელს განხორციელებული ვიზიტისას აღმოაჩინა, რომ უცხოელ პატიმრებს ინფორმაცია საკუთარი უფლებებისა და შინაგანაწესის შესახებ მიეწოდებოდათ მათთვის გაუგებარ (შვედურ) ენაზე. ამასთან დაკავშირებით წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა შვედეთის ხელისუფლებას მიმართა რეკომენდაციით, ყველა პატიმრისათვის უზრუნველყო პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისთანავე გასაგებ ენაზე უფლებებსა და შინაგანაწესზე ინფორმაციის მიწოდება ზეპირად, ხოლო მცირეოდენი დაგვიანებით - წერილობითი ფორმით.¹⁰⁴⁰

2014 წლის დასასრულს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის ამსახველ ანგარიშში წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა გამოთქვა შემფოთება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ პატიმრებს (მათ შორის უცხოელ პატიმრებსაც) წერილობითი ხასიათის ინფორმაცია უფლებებსა და დაწესებულების შინაგანაწესზე არ მიეწოდებოდათ. აღნიშნულთან დაკავშირებით სათანადო რეკომენდაცია წარედგინა საქართველოს ხელისუფლებას პატიმრის დაწესებულებაში მიყვანისთანავე მისი საინფორმაციო ბროშურით უზრუნველყოფის თაობაზე, რომელშიც ნათლად იქნება გადმოცემული ინფორმაცია დაწესებულებაში მოქმედ რეჟიმთან, პატიმართა უფლებებთან და მოვალეობებთან, გასაჩივრების პროცედურებთან და ძირითად სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა იქვე მიუთითა, რომ ეს ბროშურა თარგმნილ უნდა იქნეს შესაბამის უცხო ენებზეც.¹⁰⁴¹

უცხოელ პატიმრებს, სხვა პატიმრებსა და პერსონალთან ეფექტიანი ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა და წახალისდნენ, ისწავლონ ის ენა, რომელიც კომუნიკაციისა და ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციების გაცნობის საშუალებას მისცემს მათ.¹⁰⁴² ეს ენა შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი (იმ ქვეყნის სახელმწიფო ენა, სადაც პატიმრობაში/თავისუფლების აღკვეთაში იმყოფება პირი), ისე საერთაშორისო - გასაგები ყველასათვის (პატიმრებისა და პერსონალისთვის).¹⁰⁴³ 2015 წელს საქართველოს რვა პენიტენციურ დაწესებულებაში (N2, N3, N5 (ქალთა), N8, N11 (არასრულწლოვანთა), N15, N16 და N17), რომლებშიც განთავსებული იყო უცხოელ პატიმართა უმრავლესობა, განხორციელდა ქართული ენის შემსწავლელი კურსები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 61-მა უცხოელმა პატიმარმა (უცხოელი პატიმრების დაახლოებით 20%).¹⁰⁴⁴ კომუნიკაციის გაიოლებისა და უცხოელი პატიმრების მიერ ინფორმაციის ხელმი-

¹⁰³⁹ A. Coyle, A Human Rights Approach to Prison Management, Handbook for prison staff, 2nd ed., International Centre for Prison Studies, London, 2009, 109.

¹⁰⁴⁰ CPT/Inf (2016) 1, Para. 75.

¹⁰⁴¹ CPT/Inf (2015) 42, Paras. 128-129.

¹⁰⁴² CoE/CM Recommendation Rec(2012)12 on Foreign Prisoners, Rule 29.1.

¹⁰⁴³ CM(2012)108 add, Commentary to Recommendation CM/Rec(2012)12 of the Committee of Ministers to Member States concerning Foreign Prisoners, 4.

¹⁰⁴⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს წერილი, 01.06.2016.

საწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის საბჭო წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს იზრუნონ შესაბამისი ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზებაზე არა მარტო პატიმრებისთვის, არამედ პენიტენციური დაწესებულების პერსონალისთვისაც.¹⁰⁴⁵

ავსტრიაში ვიზიტისას წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა დააფიქსირა უცხოელ პატიმართა დიდი რაოდენობა. საერთო მდგომარეობით, აღნიშნული კატეგორიის პატიმართა უმრავლესობა ინტეგრირებული იყო პატიმრების ძირითად კონტიგენტთან; მიუხედავად ამისა, ბევრმა უცხოელმა პატიმარმა აღნიშნა, რომ აწყდებოდნენ ენობრივ ბარიერს პერსონალთან კომუნიკაციის დროს. განსაკუთრებით მწვავედ იდგა ეს საკითხი პატიმრების სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობისას. არსებული სატელეფონო სათარჯიმნო მომსახურების ნაცვლად, სამედიცინო კონსულტაციების გაწევისას, დანერგილი იყო სხვა პატიმრების თარჯიმნად გამოყენების პრაქტიკა, რაც წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის შემოფოტების საგანი გახდა. ამ უკანასკნელმა ავსტრიის ხელისუფლებას მოუწოდა ამგვარი პრაქტიკის აღკვეთისაკენ.¹⁰⁴⁶

უცხოელი პატიმრების სხვა პატიმრებისაგან (პატიმართა ძირითადი კონტინგენტისაგან) იძულებითი იზოლირება მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ეს ძირითადად ენობრივი და კულტურული თავისებურებების შედეგია. რიც ქვეყნებში ხდება ერთენოვანი ან ერთი ქვეყნის მოქალაქე პატიმრების ერთსა და იმავე პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსება, რაც მათ ერთმანეთის მხარდაჭერის საშუალებას აძლევს. ევროპული სტანდარტებიც მიუთითებს, რომ უცხოელი პატიმრები შეძლებისდაგვარად განთავსებული უნდა იყვნენ იმ პენიტენციურ დაწესებულებებში, რომლებშიც იმყოფებიან პირები იმავე ქვეყნის მოქალაქეობით და აქვთ საერთო კულტურა, რელიგია ან იმავე ენაზე საუბრობენ.¹⁰⁴⁷ აღნიშნულის მაგალითია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ 2015 წლის დეკემბერში თურქეთში წარმოებული მოლაპარაკება, რომლის საფუძველზეც მიღწეულ იქნა შეთანხმება, მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქე მსჯავრდებულები სასჯელის მოსახდელად განთავსებულიყვნენ ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში.¹⁰⁴⁸ ამგვარი მიდგომა მისაღებია, თუ ის ჰუმანიტარული მიზნით კეთდება და მიუღებელია, თუ ემსახურება უცხოელ პატიმართა შედარებით ცუდ პირობებში მოთავსებას.¹⁰⁴⁹

პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს განსაკუთრებული ყურადღება მოეთხოვებათ პატიმართა ჯგუფებს შორის შესაძლო ან არსებული დაპირისპირების მიმართ, რაც ეფუძნება კულტურულ, რელიგიურ განსხვავებას ან ეთნიკურ ნიადაგზე დაძაბულობას.¹⁰⁵⁰ ამ მხრივ მნიშვნელოვანია, პერსონალმა შეძლოს პა-

¹⁰⁴⁵ CoE/CM Recommendation Rec(2012)12 concerning Foreign Prisoners, Rule 39.3.

¹⁰⁴⁶ CPT/Inf (2015) 34, Para. 90.

¹⁰⁴⁷ CoE/CM Recommendation Rec(2012)12 concerning Foreign Prisoners, Rule 16.3.

¹⁰⁴⁸ ახალი ამბები - კახა კახიშვილმა თურქეთის იუსტიციის მინისტრთან შეხვედრაზე ქართველ მსჯავრდებულთა პირობების გაუმჯობესების საკითხი დააყენა, იხ. [www.moc.gov.ge/ka/pressamsakhuri/akhali-ambebi/article/19570-1449518400].

¹⁰⁴⁹ A. Coyle, A Human Rights Approach to Prison Management, Handbook for prison staff, 2nd ed., International Centre for Prison Studies, London, 2009, 109.

¹⁰⁵⁰ CoE/CM Recommendation Rec(2012)12 concerning Foreign Prisoners, Rule 32.2.

ტიმრებთან ეფექტიანი ურთიერთობა, რომელიც ემყარება ცოდნას პატიმართა შორის კულტურული და რელიგიური განსხვავებებისა და ეთნიკური დაპირისპირების შესახებ.¹⁰⁵¹

დაუშვებელია პერსონალის მხრიდან აგრესიისა და არაადამიანური მოპყრობის გამოვლენა პატიმრების მიმართ. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც არაადამიანურ მოპყრობას საფუძვლად უდევს პატიმრის უცხო ქვეყნის მოქალაქეობა. წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა 2015 წელს სოფიის პენიტენციური დაწესებულების მონახულებისას მიიღო ინფორმაცია, რომ მოხდა პატიმართა მასობრივი ცემის არაერთი ფაქტი. ამასთანავე, ცნობილი გახდა, რომ დაწესებულების პერსონალის ზოგი წარმომადგენელი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა უცხოელი ან სექსუალურ დანაშაულში მხილებული პატიმრების მიმართ. წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა დაადგინა, რომ 2014 წლის 6 ივლისს სოფიის პენიტენციურ დაწესებულებაში პერსონალმა ხელკეტებით სცემა ერთ საკანში განთავსებული რვა უცხოელი პატიმარი და ბულგარეთის ხელისუფლებას მოსთხოვა პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობაზე გამოძიების ჩატარება და „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გატარება.¹⁰⁵²

უცხოელ პატიმართა შორის ხშირად არიან იმ რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრები, რომელიც განსხვავდება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის ქვეყნისა და პატიმართა მოსახლეობის დიდი ნაწილის სარწმუნოებისაგან. ანალოგიური პრაქტიკა არსებობს საქართველოშიც, სადაც უცხოელ პატიმართა ნაწილი მუსლიმანური (ძირითადად თურქეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეები) და გრიგორიანული სარწმუნოების (სომხეთის მოქალაქეები) მიმდევრები არიან, მაშინ როდესაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია.¹⁰⁵³ შესაბამისად, უცხოელ პატიმრებთან მიმართებით საქართველოში დღის წესრიგში დგას მათი რელიგიური აღმსარებლობის საკითხიც. ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობა ადგენს პატიმრის უფლებას, დადგინდეს წესით მიიღოს მონაწილეობა რელიგიურ რიტუალებში და შეხვდეს სასულიერო პირს, თან იქონიოს და ისარგებლოს რელიგიური ლიტერატურითა და საკულტო საგნებით.¹⁰⁵⁴

პატიმარს, საკუთარი გადაწყვეტილებით, უნდა შეეძლოს რელიგიის შეცვლა პატიმრობაში/თავისუფლების აღკვეთაში ყოფნის პერიოდში. უცხოელი პატიმრები დაცული უნდა იყვნენ პროზელიტიზმის რისკისგან როგორც რომელიმე რელიგიის ოფიციალური წარმომადგენლის, ისე პერსონალისა და სხვა პატიმრების მხრიდან.¹⁰⁵⁵ პატიმრებს არ უნდა აიძულებდნენ მისდიონ რელიგიას, დაესწრონ ღვთისმსახურებას ან შეხვედრებს, მონაწილეობა მიიღონ რელიგიურ რიტუალებში ან

¹⁰⁵¹ CM(2012)108 add, Commentary to Recommendation CM/Rec(2012)12 of the Committee of Ministers to Member States concerning Foreign Prisoners, 17.

¹⁰⁵² CPT/Inf (2015) 36, paras. 33-34.

¹⁰⁵³ საქართველოს მოსახლეობის 83.9% მართლმადიდებელი ქრისტიანი, 9.9% მუსულმანი, 3.9% სომხურ-გრიგორიანული, 0.8% კათოლიკე და 1.5% სხვა რელიგიების მიმდევრები არიან, იხ. [www.religionfacts.com].

¹⁰⁵⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 94.5.

¹⁰⁵⁵ CM(2012)108 add, Commentary to Recommendation CM/Rec(2012)12 of the Committee of Ministers to Member States concerning Foreign Prisoners, pg. 15.

შეხვედნენ რომელიმე რელიგიის წარმომადგენელს.¹⁰⁵⁶ პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციამ პატიმარს არ უნდა მოსთხოვოს ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც მის რელიგიას ეწინააღმდეგება.¹⁰⁵⁷ პატიმრებს, რომლებიც რომელიმე კონკრეტულ რელიგიას აღმსარებლობენ, არ უნდა ჰქონდეთ სხვა პატიმრებთან შედარებით პრივილეგიები ან ცხოვრების უკეთესი პირობები.¹⁰⁵⁸

პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს რელიგიის აღმსარებლობისთვის საჭირო ყველა პირობა, რომელიც მოიცავს არა მარტო რელიგიის წარმომადგენელთან შეხვედრას, არამედ განცალკევებულად ლოცვის შესაძლებლობას დღე-ღამის გარკვეულ დროს, შესაბამისი ნივთების ან ტანსაცმლის ტარებას ან მარხვის დაცვას.¹⁰⁵⁹ რელიგიური კუთხით კვების საკითხებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ციხის ევროპული წესები,¹⁰⁶⁰ რის უზრუნველყოფას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ნაწილობრივ ახდენს, კერძოდ, პატიმრებისათვის განკუთვნილი ყოველკვირეული მენიუ-განრიგის შედგენისას ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია, შეძლებისდაგვარად იქნეს გათვალისწინებული პატიმართა სურვილები და მოთხოვნილებები მათი რელიგიური ნიშნის მიხედვით.¹⁰⁶¹ პრაქტიკაში არაქრისტიანული რელიგიის მიმდევარი პატიმრებისათვის არ არსებობს განსხვავებული, ცალკე მენიუ, თუმცა მუსლიმანურ დღესასწაულებთან დაკავშირებით მარხვის პერიოდში პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია ნებას რთავს პატიმრებს, ამანათით მიიღონ სამარხვო საკვები.¹⁰⁶² 2009 წელს უნგრეთში, ტიშალოკის პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტისას წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის დელეგაციისათვის ცნობილი გახდა, რომ მუსლიმან პატიმართა დიეტური მოთხოვნები დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ არ იყო უზრუნველყოფილი. ამ მიზეზით წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა უნგრეთის ხელისუფლებას მოსთხოვა მუსლიმანური რელიგიის მიმდევარი პატიმრებისათვის სპეციალური დიეტური საჭიროებების გათვალისწინება საკვების მომზადებისას.¹⁰⁶³

გარე სამყაროსთან კონტაქტი უცხოელ პატიმრებთან მიმართებით განსხვავებული და სპეციფიკურია, რაც მათი სხვა ქვეყნის მოქალაქეობითა და ოჯახის წევრებისგან დისტანცირებით არის განპირობებული. სწორედ ამიტომ უცხოელ პატიმრებთან დაკავშირებით გარე სამყაროსთან კონტაქტი განხილულ უნდა იქნეს სამი მიმართულებით: (1) კონტაქტი დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ან

¹⁰⁵⁶ CoE/CM Recommendation Rec(2006)2 on European Prison Rules, Rule 29.3.

¹⁰⁵⁷ A. Coyle, *A Human Rights Approach to Prison Management*, Handbook for prison staff, 2nd ed., International Centre for Prison Studies, London, 2009, 117.

¹⁰⁵⁸ იქვე, 120.

¹⁰⁵⁹ Ibid.

¹⁰⁶⁰ CoE/CM Recommendation Rec(2006)2 on European Prison Rules, Rule 22.1.

¹⁰⁶¹ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ, დანართი N1, მე-8 მუხლი, მე-4 პუნქტი, „ზ“ ქვეპუნქტი, 13.08.2015, N88-N01-34/ნ; იხ. [www.matsne.gov.ge].

¹⁰⁶² საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს წერილი, 01.06.2016.

¹⁰⁶³ CPT/Inf (2010) 16, para. 84.

საკონსულოსთან; (2) კონტაქტი ოჯახთან; და (3) მედიასამუალებებით სარგებლობა.

უცხო ქვეყანაში პატიმრობაში/თავისუფლების აღკვეთაში ყოფნა წარმოშობს რიგ პრობლემებს უცხოელი პატიმრისათვის, რომლის გადაჭრაც პენიტენციურ დეპარტამენტსა და დაწესებულების ადმინისტრაციას არ ძალუძს პატიმრის მოქალაქეობის ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ჩართულობის გარეშე, რასაც საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის 1963 წლის კონვენცია (36-ე მუხლი), პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (38-ე წესი), ციხის ევროპული წესები (37.2-ე წესი) და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12 უცხოელი პატიმრების თაობაზე (24.2-ე და 24.3-ე წესი) მოითხოვს.¹⁰⁶⁴

საქართველო, როგორც ვენის კონვენციის მონაწილე და გაეროსა და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა, დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ინფორმირების ვალდებულებას იღებს უცხო ქვეყნის მოქალაქის დაკავების ან პატიმრობის შემთხვევაში. კერძოდ, თუ დაკავებული, დაპატიმრებული ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც აღნიშნულის თაობაზე ატყობინებს შესაბამისი სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს, შეუზღუდავად შეხვდეს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენელს ან იმ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვას ითავსებს. ბრალდებულს/ მსჯავრდებულს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა ან მოქალაქეობის არმქონე პირია, უფლება აქვს, ურთიერთობა ჰქონდეს თავისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებასთან. იმ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება არ აქვს, უფლება აქვს, ურთიერთობა ჰქონდეს იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებასთან, რომელმაც მისი ინტერესების დაცვა საკუთარ თავზე აიღო, ან იმ სახელმწიფოთაშორის ორგანოსთან, რომელიც მის ინტერესებს იცავს.¹⁰⁶⁵

უცხოელი პატიმრის კონტაქტი დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებასთან კონფიდენციურ ხასიათს უნდა ატარებდეს, თუმცა, პატიმრის ნებაზეა დამოკიდებული, სურს თუ არა მას აღნიშნულ წარმომადგენლობასთან ურთიერთობა. ეს უკანასკნელი შეიძლება განაპირობოს პატიმრობაში ყოფნის შესახებ ოჯახისათვის ინფორმაციის დამალვის მიზეზმა ან უნდობლობამ დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მიერ შესაბამისი დახმარების გაწევაზე.¹⁰⁶⁶ ასეთ შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულებე-

¹⁰⁶⁴ A. Coyle, A Human Rights Approach to Prison Management, Handbook for prison staff, 2nd ed., International Centre for Prison Studies, London, 2009, 107.

¹⁰⁶⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 120.12.

¹⁰⁶⁶ A. Coyle, A Human Rights Approach to Prison Management, Handbook for prison staff, 2nd ed., International

ბის ადმინისტრაციამ უნდა აწარმოოს აღრიცხვა, სადაც მითითებული იქნება იმ შემთხვევებზე, როდესაც უცხოელმა პატიმრებმა უარი განაცხადეს საკონსულოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.¹⁰⁶⁷

საქართველოს კანონმდებლობა შესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პატიმრის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ან საკონსულო დაწესებულებასთან ან შესაბამისი მანდატის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სფეროში.

უცხოელ პატიმარს უფლება აქვს, შეუზღუდავად შეხვდეს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენელს ან იმ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში ითავსებს თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვას. იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები არ გააჩნიათ, უფლება აქვთ, ჰქონდეთ ურთიერთობები იმ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებთან, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს მათი ინტერესების დაცვა, ან სახელმწიფოთაშორის ორგანოებთან, რომლებიც ამ პირთა ინტერესებს იცავენ.¹⁰⁶⁸ ანალოგიური გარანტიებია გათვალისწინებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსშიც.¹⁰⁶⁹

უცხოელ პატიმართა უმრავლესობისათვის ოჯახთან კონტაქტი ფაქტობრივად შეუძლებელია ან მინიმალურადაა შესაძლებელი მანძილის გამო. თუ ოჯახის წევრები ჩამოდიან პატიმრის მოსახლეობაში, მიზანშეწონილია შესაბამისი ხელშეწყობა იყოს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან. ასე მაგალითად, შვედეთში, კუმლას მაღალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში, მნახველს შეუძლია პატიმართან იქონიოს პაემანი 2 დღის განმავლობაში მიყოლებით, ხოლო უცხოეთიდან ჩამოსულ მნახველთათვის მოქმედებს განსხვავებული პაემნების სისტემა, რომლის მიხედვით დასაშვებია პატიმართან პაემანი 10 დღის განმავლობაში მიყოლებით, რომლიდანაც 4 დღის გასვლის შემდეგ, კიდევ ერთი 10-დღიანი პაემნით სარგებლობა შეუძლიათ.¹⁰⁷⁰ ეს პრაქტიკა ეფუძნება ევროპულ მიდგომას გარე სამყაროსთან კონტაქტის ოპტიმიზაციის მიზნით უცხოელ პატიმართა საზღვარგარეთ მცხოვრები ოჯახის წევრების ვიზიტების მოქნილი ფორმით ორგანიზებაზე, რაც შეიძლება მოიცავდეს მათთვის ნებადართული პაემნების გაერთიანების შესაძლებლობას.¹⁰⁷¹

სატელეფონო კომუნიკაცია ყველაზე ხშირად გამოყენებადი კონტაქტის საშუალებაა ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ურთიერთობისათვის. ამ უფლების რეალიზაციასთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ უცხოელი პატიმრები, რომლებიც უკავშირდებიან ახლობლებს საზღვარგარეთ, სარგებლობდნენ სხვა პატიმრების

Centre for Prison Studies, London, 2009, 108.

¹⁰⁶⁷ CoE/CM Recommendation Rec(2012)12 concerning Foreign Prisoners, Rule 25.4.

¹⁰⁶⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 120.12.

¹⁰⁶⁹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 31.3.

¹⁰⁷⁰ A. van Kalmthout, F. Hofstee-van der Muelen and F. Dünkel (eds), *Foreign Prisoners in European Prisons*, 2007, Nijmegen, 57.

¹⁰⁷¹ CoE/CM Recommendation Rec(2012)12 concerning Foreign Prisoners, Rule 22.5.

მსგავსი თანაბარი ხელმისაწვდომობით კომუნიკაციის ამ ფორმაზე,¹⁰⁷² ხოლო მათ, ვისაც არ აქვთ მატერიალური საშუალება, განახორციელონ საზღვარგარეთ სატელეფონო კომუნიკაცია, შესაბამისი ფინანსური რესურსების არარსებობის გამო, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ამ ხარჯების დაფარვა.¹⁰⁷³ საქართველოში უცხოელ პატიმრებს კვირის კონკრეტულ დღეებში შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო კოდით და სატელეფონო ზარი განახორციელონ საკუთარ ქვეყანაში.¹⁰⁷⁴ პენიტენციური კოდექსი მიუთითებს, რომ ამგვარი კომუნიკაცია ხორციელდება პატიმრის ხარჯით.¹⁰⁷⁵

საქართველოს კანონმდებლობა გარე სამყაროსთან კონტაქტის მრავალ ფორმას ადგენს: ხანმოკლე პაემანი; ხანგრძლივი პაემანი; ვიდეოპაემანი; საოჯახო პაემანი (მხოლოდ ქალი მსჯავრდებულებისათვის); სატელეფონო საუბარი; პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვება განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით; თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა; მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობა. აღსანიშნავია, რომ ჩამონათვალში მითითებული კონტაქტის ისეთი ფორმები, როგორცაა: საოჯახო პაემანი, ვიდეოპაემანი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა, მხოლოდ მსჯავრდებულის სტატუსის მქონე პირზე ვრცელდება. შესაბამისად, ბრალდებულის სტატუსის მქონე პირი გარე სამყაროსთან ურთიერთობის კუთხით უფლებრივად შეზღუდულია, რაც უფრო მეტად ართულებს უცხო ქვეყნის მოქალაქე ბრალდებულის კონტაქტს ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან. გარე სამყაროსაგან იზოლაციის აღსაკვეთად მნიშვნელოვანია უცხოელ პატიმრებს, შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი მიუწვდებოდეთ რადიო ან სატელევიზიო მაუწყებლობაზე ან კომუნიკაციის სხვა ფორმებზე მათთვის გასაგებ ენაზე.¹⁰⁷⁶ კომუნიკაციის სხვა ფორმებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ინტერნეტით სარგებლობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.¹⁰⁷⁷

უცხო ქვეყნის არასრულწლოვან პატიმრებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ევროპული სტანდარტი, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს ამ კატეგორიის პატიმრებს მისცეს უფრო ხანგრძლივი პაემნებით სარგებლობის უფლება ან სხვა ფორმით გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლება; ამ უკანასკნელში იგულისხმება, მაგალითად, უფრო ხანგრძლივი სატელეფონო საუბრების განხორციელების უფლება, ვიდრე დადგენილია სხვა კატეგორიის არასრულწლოვანი პატიმრებისათვის. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვანია გარე სამყაროსთან რეგულარული კონტაქტის შეუძლებლობის საკომპენსაციოდ.¹⁰⁷⁸

¹⁰⁷² იქვე, Rule 22.3.

¹⁰⁷³ CM(2012)108 add, Commentary to Recommendation CM/Rec(2012)12 of the Committee of Ministers to Member States concerning Foreign Prisoners, pg. 12.

¹⁰⁷⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს წერილი, 01.06.2016.

¹⁰⁷⁵ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 116.2.

¹⁰⁷⁶ CoE/CM Recommendation Rec(2012)12 concerning Foreign Prisoners, Rule 23.2.

¹⁰⁷⁷ CM(2012)108 add, Commentary to Recommendation CM/Rec(2012)12 of the Committee of Ministers to Member States concerning Foreign Prisoners, pg. 13.

¹⁰⁷⁸ CoE/CM Recommendation Rec(2008)11 on European Rules for Juvenile Offenders subject to Sanctions and Measures, Rule 104.5.

საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ იცნობს მსგავს დათქმას, თუმცა გარე სამყაროსთან კონტაქტის ფორმებისა და რაოდენობის თვალსაზრისით პატიმართა ყველა კატეგორიასთან შედარებით, ითვალისწინებს პრივილიგიურებულ მიდგომებს (იხ. არასრულწლოვან პატიმართა თავი). უცხოელ ქალ პატიმრებთან მიმართებით ევროპული სტანდარტები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მცირეწლოვანი ბავშვების მდგომარეობაზე. გადაწყვეტილების მიღებისას უცხოელი პატიმრის მცირეწლოვანი ბავშვის მშობელთან ერთად პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების თაობაზე გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: ა) პირობები, რომელშიც იცხოვრებს ბავშვი პენიტენციურ დაწესებულებაში; ბ) პირობები, რომელიც ბავშვს პენიტენციური დაწესებულების გარეთ ექნება უზრუნველყოფილი; და გ) ბავშვის კანონიერი მურვის შეხედულებები.¹⁰⁷⁹ ექსპერტები თანხმდებიან, რომ დედასთან წლების ან თუნდაც თვეების განმავლობაში ბავშვის განშორება ზიანის მომტანია ბავშვის ემოციური და პიროვნული განვითარებისათვის.¹⁰⁸⁰ მართალია, მცირეწლოვანი ბავშვის განვითარება პენიტენციურ დაწესებულებაში ცხოვრებისას შეიძლება ვერ იყოს სათანადო, მაგრამ ეს ფაქტორი კომპენსირებულია დედასთან ყოფნით გამოწვეული პოზიტიური შედეგებით.¹⁰⁸¹ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება მცირეწლოვანი ბავშვის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების ან მისი დატოვების შესახებ უნდა მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რაზეც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გაეროსა და ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული დოკუმენტები.¹⁰⁸²

ევროპაში ბოლო წლებში შესამჩნევია უცხოელ პატიმართა რაოდენობის ზრდა, რაც ზემოთ მითითებული სტატისტიკითაც დასტურდება. ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან ვიზის ლიბერალიზაციის, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესთან ერთად, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ საქართველოს რეალობაშიც უახლოეს პერიოდში უცხოელ პატიმართა რაოდენობა გაიზრდება.

11.5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრები განეკუთვნებიან პატიმართა განსაკუთრებულ კატეგორიას, აღნიშნული სტატუსის მინიჭება ეყრდნობა იმ განსაკუთრებულ საჭიროებებს, რომლებიც მათ აქვთ, როგორც მოწყვლად/დაუცველ პირებს მათი ფიზიკური თუ მენტალური მდგომარეობის გამო. ასეთი საჭიროებების შესწავლა, გამოვლენა და შემდეგში მისი უზრუნველყოფა კი ციხის ადმი-

¹⁰⁷⁹ CoE/CM Recommendation Rec(2012)12 concerning Foreign Prisoners, Rule 34.1.

¹⁰⁸⁰ Parliamentary Assembly of the Council of Europe, Recommendation 1469 (2000) Mothers and Babies in Prison, Paragraph 4, at [<http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-EN.asp?fileid=16821&lang=en>] and Social, Health and Family Affairs Committee of the Parliamentary Assembly of the Council of Europe, Report Doc. 8762, 9 June 2000, Mothers and Babies in Prison, Paragraph 10.

¹⁰⁸¹ CM(2012)108 add, Commentary to Recommendation CM/Rec(2012)12 of the Committee of Ministers to Member States concerning Foreign Prisoners, pg. 18.

¹⁰⁸² გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია (მუხლები 3, 9(1) და 20(1)), ციხის ევროპული წესები (წესი 36.1) და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის შესაბამისი სტანდარტები (CPT/Inf (2000) 13, Paragraphs 28-29).

ნისტრაციის ვალდებულებას წარმოადგენს, ან უარეს შემთხვევაში, უნდა წარმოადგენდეს, რათა ასეთი პირები ამა თუ იმ გარემოებებში არ აღმოჩნდნენ სხვა პირთა მხრიდან უფლებათა დარღვევისა და ძალადობის სამიზნენი. მეცნიერები გამოყოფენ პატიმართა განსაკუთრებულ კატეგორიებს, რომლებსაც მიაკუთვნებენ პატიმრებს ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი და სექსუალური უმცირესობიდან. პროფესორი მორდოკი განსაკუთრებულად ამხვილებს ყურადღებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, როგორცაა უნარშეზღუდული (handicapped), ავადმყოფი, მენტალურად დაავადებული ან გონებრივად ჩამორჩენილი პატიმრები. მისი აზრით, ისინი არასათანადო მოპყრობისა და დისკრიმინაციის ბევრად უფრო მაღალი რისკის წინაშე დგანან.¹⁰⁸³

საქართველოში შშმ პატიმრების რაოდენობა პროცენტულად მცირეა ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, რასაც აჩვენებს 2019 წლის სტატისტიკა.

საქართველოს პრაქტიკა შშმ პატიმართა რაოდენობა 2019 წლის მონაცემების მიხედვით: ¹⁰⁸⁴

შშმ პირები	22- 25		26- 30		31- 35		36- 40		41- 49		50- 59		60- 64		65- 69		70 და ზევით		სულ			
	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ		
ყვარჯნით მოსარგებლები			1		2		3		4		4		2								16	
ეტლით მოსარგებლები							2		10		6										18	
სასმენი აპარატით მოსარგებლები			2		2				2		1	1	1				1				9	1
ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში განთავსებული პირები					2		2		4		7		2		3		2				22	
დადგენილი შშმ სტატუსის მქონე პირები	1						1	1	3	1	4										9	2
ანოფთალმია			2		3		6		6	1	4										21	1
ზ/კიდურის ამპუტაცია							1		1												2	
სულ																					97	4

თუ გავეცნობით სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ კვლევებს, საქართველოსგან განსხვავებულ სურათს დავინახავთ. მაგალითად, მიჩიგანის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევა თვალსაჩინოდ წარმოადგენს თავისუფლებააღკვეთილ პირთა შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა რაოდენობასა და თანაფარდობას. აღნიშნული კვლევის მიხედვით, ამერიკაში პატიმართა უმეტესობას აქვს,

¹⁰⁸³ ზ. ხასია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელაღსრულების სისტემაში, 2023, გვ. 25, იხ. (Murdoch J., Professor of Public Law, University of Glasgow, School of Law, United Kingdom, Jiricka V., Head Psychologist, Prison Service, Czech Republic, A handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, April 2016, 46.) <https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Oct/books/Khasia-standards-and-practicies-ge.pdf> [10.05 .2024].

¹⁰⁸⁴ იქვე, გვ. 38/39 (მასალა ეყრდნობა შშმ პირებთან მომუშავე ორგანიზაციისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 28 ივნისის №191166/01 წერილით მიწოდებულ ინფორმაციას).

სულ ცოტა, ერთი სახის შეზღუდული შესაძლებლობა, ხოლო ამერიკის იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სტატისტიკის ბიუროს მიერ ჩატარებული უახლესი კვლევის მიხედვით, პატიმართა 10% უჩივის მობილობის გაუარესებას, 6%-ზე მეტი აცხადებს, რომ არის ყრუ ან სმენადაქვეითებული, 7%-ზე მეტი აცხადებს, რომ არის ბრმა ან სუსტი მხედველობის მქონე (რომელიც სათვალის მეშვეობით ვერ გამოსწორდება), 4%-დან 10%-მდე არის ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობებით.¹⁰⁸⁵

მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის თანასწორობის ზემოქმედების შეფასება, რომელიც შემუშავებულია იმისთვის, რომ არ იქნეს დაშვებული ამა თუ იმ ჯგუფის დისკრიმინაცია და გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი შესაძლებლობა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. შეფასება მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, სადაც გამონაკლისს არ წარმოადგენს სასჯელის მოხდის ადგილები. შესაბამისად, თუ საქართველოს პენიტენციურ სისტემას ექნებოდა შეფასებისა და სტატუსის მინიჭების ეფექტიანი სისტემა, შესაძლებელია შშმ პირთა რაოდენობა გაცილებით დიდი ყოფილიყო, ვიდრე ის ოფიციალურად იძებნება.

კოდექსი არ იყენებს ტერმინს „გამონათული“ შეზღუდული შესაძლებლობები, რაც პენიტენციურ სისტემას მისცემდა შშმ პირთა აღრიცხვის შესაძლებლობას, სტატუსის დადგენამდე. შშმ პირთა რაოდენობის ზუსტი სტატისტიკა და შეზღუდული შესაძლებლობების კატეგორიისა და ხარისხის ზუსტი დადგენა პირის თავისუფლების აღკვეთის პირველივე დღეებში უფრო მოქნილს ხდის მისი მდგომარეობის მართვასა და შშმ პირებისათვის სათანადო პირობების შექმნას. მოცემულ საკითხთან მიმართებით, გარკვეულ დათქმებს ვხვდებით იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში, სადაც ნათქვამია, რომ პირველადი სამედიცინო შემოწმების დროს უნდა დადგინდეს პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ან ფუნქციური შეზღუდვის მდგომარეობა და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი საჭიროებები, რაც შეიძლება მოიცავდეს, როგორც ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფას, ისე გადაუდებელ დახმარებას ან განცალკევებას.¹⁰⁸⁶ მოცემული დათქმა მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ის სისტემაში მოქმედ სამედიცინო მოდელზე უფრო მიუთითებს, ვიდრე სოციალურ მოდელზე, რაც მათი ინტეგრირების ხელშეწყობაზე იქნება ორიენტირებული და არ ფოკუსირდება სამედიცინო მომსახურებაზე.

იგივე ბრძანება ადგენს დათქმას როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო პერსონალთან მიმართებით, რომელიც ენება მენტალური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ბრძანება განმარტავს, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო

¹⁰⁸⁵ ზ. ხასია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელადსრულების სისტემაში, 2023, გვ. 23 იხ. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Oct/books/Khasia-standards-and-practices-ge.pdf> [10.05.2024].

¹⁰⁸⁶ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №381, 2019 წლის 15 თებერვალი, მე-18 მუხლი, პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

პერსონალს უნდა გააჩნდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის დროული იდენტიფიკაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და ცოდნა და დაუყოვნებლივ უნდა გადაამისამართოს ასეთი პირი შესაბამისი მოვლისთვის. პატიმარს და მათ ახლო ნათესავებს (პირის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე) უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ დეტალური ინფორმაცია და ელემენტარული განათლება ფსიქიკური აშლილობის შესახებ, სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცირების აღნიშნული მიდგომა მიმართულია ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე უარყოფითი ეფექტების შემცირებასა და ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, თუ როდის, სად და როგორ უნდა მიიღონ დახმარება ფსიქიკური აშლილობის დროს.¹⁰⁸⁷ რაც შეეხება საქართველოს პენიტენციურ კოდექსს, მასში ძალიან მწირია განმარტება ისეთი მაღალი სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრებთან მიმართებით, როგორცაა შშმ პატიმრები. კერძოდ, პირველ რიგში ასეთ დათქმას ვხვდებით საცხოვრებელ პირობებთან მიმართებით, სადაც განმარტებულია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, უნდა ჰქონდეს თავისი სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები.¹⁰⁸⁸ შემდეგი თემა, სადაც ახალი პენიტენციური კოდექსი მოიხსენიებს შშმ პირს, არის კვება. განმარტებულია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც არის ... შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, უნდა შეექმნას მისი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები.¹⁰⁸⁹ თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსი არ იძლევა განმარტებას, თუ რა იგულისხმება განსაკუთრებულ საცხოვრებელ და კვების პირობებში და რა მიზნებს ემსახურება ეს დათქმა. შშმ პირთა საყოფაცხოვრებო პირობებსა და კვებას უხმთანება ასევე საერთაშორისო სტანდარტები, კერძოდ, მანდელას წესები ადგენს ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებას არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო პირობების, არამედ ასევე სხვა საკითხებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია ციხის ცხოვრებასთან ზოგადად, რომ ის მოარგოს ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს. გარდა იმისა, რომ წესები ადგენს სათანადო პირობების შექმნის ვალდებულებას, განმარტავენ იმ მიზნებს, რატომ უნდა მოხდეს ამ ვალდებულების შესრულება: რომ უზრუნველყოფილი იყოს შშმ პირთა სრული, ეფექტიანი და თანაბარი წვდომა ციხის ცხოვრებაზე.¹⁰⁹⁰ აღსანიშნავია, რომ კოდექსი არ მოიაზრებს სიტყვა „ადაპტირებას,“ თუმცა შენობებისა და სხვა ობიექტების ადაპტირება წარმოადგენს უმთავრეს მიმართულებას საცხოვრებელი პირობებისა და ციხის სერვისებთან თანაბარი ხელმისაწვდომობის საკითხებში. განსხვავებით პენიტენციური კოდექსისგან, იუსტიციის მინისტრის ბრძანება განმარტავს, რომ „თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნა დაკავშირებულია განსაკუთრებული საცხოვრებელი პირობების შექმნის აუცილებლობასთან, მათი ადაპტირებული საცხოვრისის პირობებით უზრუნველყოფის საჭიროება

¹⁰⁸⁷ იქვე.

¹⁰⁸⁸ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, 110-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

¹⁰⁸⁹ იქვე, 111-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

¹⁰⁹⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), 2015, წესი 5, იხ. <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI-Nelson-Mandela-Rules-Short-Guide-Geo-final.pdf> [10.05.2024].

დაწესებულების სამედიცინო პერსონალმა უნდა განსაზღვროს მათი ფუნქციური შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე. ფუნქციური მდგომარეობის შეფასება გულისხმობს სამსახურის სამედიცინო ლეპარტამენტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე პირის შესაძლებლობის/უნარის განსაზღვრას, რამდენად შეუძლია მსჯავრდებულს/ბრალდებულს განახორციელოს ყოველდღიური საქმიანობა, საკუთარი თავის მოვლა და ზრუნვა საკუთარ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე“.¹⁰⁹¹

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადაპტირება არ არის მხოლოდ საცხოვრისის მოწესრიგება, არამედ ის უნდა მოიაზრებდეს ციხის ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი ობიექტის ხელმისაწვდომობას, რომელსაც იყენებენ სხვა პატიმრები.

თუ განვიხილავთ ევროპის სასამართლოს საქმეებს შშმ პირებთან მიმართებით, არაერთ პრეცედენტულ საქმეს ვაწყდებით. მაგალითად, საქმეში „პრაისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Price v., The United Kingdom) ვხვდებით შემდეგ პრეცედენტს, რომ პირი, რომელსაც ჰქონდა ოთხივე კიდურის ტალიდომიდის დეფექტი (thalidomide defects) და ასევე აწუხებდა თირკმელები, მოთავსებულ იქნა ციხეში. მას ერთი ღამის განმავლობაში პოლიციის განყოფილების საკანში მოუწია ყოფნა, სადაც იმის გამო, რომ საკანი არ იყო სპეციალურად ადაპტირებული შშმ პირისათვის, ეძინა სიცივეში თავის ეტლში. პოლიციის განყოფილებაში ზემოაღნიშნულ შეუსაბამო პირობებში ყოფნის შემდეგ ის ორი დღით გადაყვანილ იქნა ჩვეულებრივ ციხეში, სადაც განმცხადებელ ქალბატონს დახმარებას უწევდა მამრობითი სქესის დაცვის თანამშრომელი, იმისათვის რომ ესარგებლა ტუალეტით. საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი. კონკრეტულად, სასამართლომ განმარტა, რომ „მძიმე ფორმის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მოთავსება ისეთ პირობებში, სადაც არის ძლიერი სიცივე, არსებობს ნაწოლების გაჩენის რისკი, იმიტომ რომ მისი საწოლი არის ძალიან მაგარი ან საწოლი არ არის ხელმისაწვდომი, არ შეუძლია ისარგებლოს ტუალეტით ან დაიცვას სისუფთავე დიდი სირთულის გარეშე, წარმოადგენს ღირსების შემლახავ მოპყრობას და ხვდება მე-3 მუხლის ქვეშ“. აღნიშნული საქმე ცალსახად მიუთითებს იმ ზიანზე, რომელიც შესაძლებელია გამოიწვიოს მიღების დროს პირის მდგომარეობის გაუთვალისწინებლობამ და შეუსაბამო პირობებში მისმა განთავსებამ.¹⁰⁹²

შემდეგი სფერო, სადაც შშმ პირებს განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ, მათი შეზღუდული შესაძლებლობების კატეგორიისა და ხარისხის შესაბამისად, არის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული პირის დაწესებულებაში მიღების მომენტი-

¹⁰⁹¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №381, 2019 წლის 15 თებერვალი, მე-18 მუხლი, პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

¹⁰⁹² ზ. ხასია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელადრწმუნების სისტემაში, 2023, გვ. 135 (Price v., The United Kingdom (პრაისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), 10 July 2001.), იხ. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Oct/books/Khasia-standards-and-practices-ge.pdf> [10. 05.2024].

დან. მაგალითად, შშმ პირთა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მიღებისას ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა მსჯავრდებულთა შემოწმება, რომლის მიმართ უფრო მგრძობიარე არიან შშმ პირები, როდესაც მათ არ შეუძლიათ მიიღონ (მათ არ აწვდიან ინფორმაციას), თუ რა ხდება პროცედურულად, როცა მას ეხებიან ფიზიკურად. ეს თავისთავად განსაკუთრებულად ამძაფრებს პენიტენციურ სტრესს. გარდა ინფორმაციის მიწოდების ან აღქმის პრობლემისა, ასევე მნიშვნელოვანია ფიზიკური მდგომარეობა, როდესაც პირს არ შესწევს უნარი, გადაადგილდეს თავისუფლად ან/და დაექვემდებაროს ადმინისტრაციის მოთხოვნებს, მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. მიღების დროს პირის შემოწმება, უპირველეს ყოვლისა, არის პროცედურა, როდესაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შშმ პირი შეიძლება დაექვემდებაროს დისკრიმინაციულ, ღირსების შემლახავ ან არაადამიანურ მოპყრობას ორი უმნიშვნელოვანესი გარემოების გამო: მისი ფიზიკური მდგომარეობის, რომელიც არ აძლევს შშმ პირს იმის შესაძლებლობას, რომ სრულად დაექვემდებაროს მოთხოვნებს, რომელთაც ციხის ადმინისტრაცია უყენებს მას და, მეორე, ციხის პერსონალის გამო, რომელმაც შესაძლოა არ იცოდეს, თუ როგორ შეამოწმოს პირი მიღების დროს ან არ ჰქონდეს ინფორმაცია შშმ პირთა შემოწმების თავისებურებების შესახებ და ბოლოს ინფორმაციის არქონის გამო, რომ შშმ პირმა შეიძლება არ იცოდეს რა პროცესთან აქვს საქმე.

პენიტენციური კოდექსის თანახმად, მსჯავრდებულს დაუყოვნებლივ, წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა გააცნონ თავისი უფლებები და მოვალეობები, მის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, მის მიერ ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები, დისციპლინური სამართალწარმოების წესები, აგრეთვე მის მიმართ წაყენებული სხვა მოთხოვნები.¹⁰⁹³ თუმცა, ამ დათქმაში არ არის ნახსენები შშმ პირი და მისი სპეციალური საჭიროებები ინფორმაციის მიღების და გაგების გათვალისწინებით. თუ გვაკეთებთ შედარებას მანდელას წესებთან, ნათელია განსხვავება კოდექსსა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის. სტანდარტებში ნათლად არის განმარტებული, რომ წერა-კითხვის უცოდინარი პატიმრისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ზეპირსიტყვიერად. სენსორული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებს ინფორმაცია მიეწოდებათ მათი საჭიროებების გათვალისწინების გზით.¹⁰⁹⁴

ქართული კანონმდებლობით, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შშმ პირების სამედიცინო მომსახურებაზე, რასაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, კერძოდ, უარყოფითი მხარეა ის, რომ ძირითადი ყურადღება გადატანილია სამედიცინო მომსახურებაზე. საერთაშორისო სტანდარტები და წარმატებული პრაქტიკა კი შეზღუდულ შესაძლებლობას არ განიხილავს როგორც სამედიცინო მოდელს. შეზღუდული შესაძლებლობების სამედიცინო მოდელი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, პირველ რიგში, იქიდან გამომდინარე, რომ ინვალიდობის ტრადიციული მიდგომის დროს ყურადღება გამაზვილებულია

¹⁰⁹³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, 55-ე მუხლის მეორე ნაწილი.

¹⁰⁹⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), 2015, წესი 55, მეორე ნაწილი, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PR1_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [10.05.2024].

ადამიანის ფიზიკურ შეზღუდულობასა და ნაკლოვანებაზე და არა იმ გარე ფაქტორებზე, რომლებიც მას ამ შეზღუდულ შესაძლებლობებს უქმნიან.¹⁰⁹⁵ მოცემული დათქმის დადებით მხარედ უნდა იყოს განხილული ის მიდგომა, რომ შშმ პირებს მოცემული კოდექსი აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ მათი საჭიროების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება ადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და შშმ პირების სამედიცინო მომსახურების დამატებით სტანდარტებს.¹⁰⁹⁶ მოცემული ბრძანების მიხედვით, დადგენილია შემდეგი სახის სამედიცინო მომსახურების სტანდარტები:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და შშმ პირებისთვის სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კატეგორიის მსჯავრდებულების/ბრალდებულების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მოვლა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ყველა სხვა პირის მსგავსად, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სამედიცინო აუცილებლობით განპირობებული სამედიცინო მოვლით, ხოლო დამატებით – შეზღუდული შესაძლებლობის მდგომარეობის მართვასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოვლით, მათ შორის, შემანარჩუნებელი მედიკამენტური მკურნალობით, მეთვალყურეობით, დამხმარე საშუალებებითა და ეგზოპროთეზებით.
- ბრძანება ყურადღებას უთმობს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, რომლებიც დაწესებულებაში უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და კრიზისული ინტერვენციის მომსახურებებითა და მედიკამენტებით.
- ბრძანება ასევე განმარტავს იმ გარემოებებს, როდესაც პირი უნდა მოთავსდეს სპეციალიზებულ ინსტიტუციაში და აღნიშნავს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები, რომელთაც ესაჭიროებათ ექიმ-სპეციალისტების ინტენსიური მეთვალყურეობა, თავსდება სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში შესაბამისი უსაფრთხოების უზრუნველყოფით. აქვე, ბრძანებაში ხაზგასმულია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების მიმართ ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენება (იზოლაცია, მობილობის შეზღუდვა და სხვ.), რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ექიმის პროფესიულ გადაწყვეტილებას. მოცემულ დათქმას ეხმიანება ევროპული ციხის წესები, რომელიც განმარტავს, რომ პირები, რომლებიც ფსიქიკურად დაავადებულები არიან და რომელთა ფსიქიკური მდგომარეობა შეუთავსებელია ციხეში პატიმრობასთან, უნდა მოთავსდნენ სპეციალურად მათთვის

¹⁰⁹⁵ ზ. ხასია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელაღსრულების სისტემაში, 2023, გვ. 33, იხ. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Oct/books/Khasia-standards-and-practices-ge.pdf> [10.05.2024].

¹⁰⁹⁶ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №381, 2019 წლის 15 თებერვალი, მე-18 მუხლი, პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

განკუთვნილ დაწესებულებაში.¹⁰⁹⁷

ევროპული ციხის წესებიც ასევე ხაზს უსვამს ექიმის როლს შშმ პირებთან მიმართებით და განმარტავს, თუ რა საკითხებს უნდა ეპყრობოდეს განსაკუთრებული გულისხმიერებით მედიცინის მუშაკი ან კვალიფიცირებული მედლა პატიმრის გასინჯვისას. მოცემულ ვალდებულებებში ერთ-ერთ პუნქტად მოიაზრება ფიზიკური ან ფსიქიატრიული დაავადების დიაგნოზირება და მის სამკურნალოდ საჭირო ზომების მიღება, ასევე მიმდინარე სამედიცინო მკურნალობის გაგრძელება და იმ ფიზიკური და ფსიქიკური დეფექტების შენიშვნა, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ გათავისუფლების შემდგომი ადაპტაციის პროცესი. აქვე, წესები განმარტავს, რომ ექიმმა უნდა აცნობოს ციხის დირექტორს, თუ მიიჩნევს, რომ პატიმრის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა სერიოზულ რისკს ექვემდებარება პატიმრობის გაგრძელების ან მისი რომელიმე პირობის გამო, სამართლო პატიმრობის ჩათვლით.¹⁰⁹⁸

კონტაქტი გარე სამყაროსთან არის მორიგი სირთულე, რომელსაც შშმ პირები აწყდებიან ციხეში ყოფნის დროს. ოჯახთან და, ზოგადად, გარე სამყაროსთან კონტაქტი მგრძობიარე თემაა ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი, განსაკუთრებით კი შშმ, პირისათვის, რადგანაც ისინი ხშირად მოკლებული არიან თავისუფალი კომუნიკაციის უნარებსა და საშუალებებს. ოჯახთან ურთიერთობა ყოველი ადამიანის უფლებაა და არ შეიძლება პირის შეზღუდული შესაძლებლობა რამენაირად აფერხებდეს მის ოჯახურ ცხოვრებას ან მოცემულ შემთხვევაში ოჯახთან ურთიერთობას. ოჯახთან და გარე სამყაროსთან კონტაქტისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება გამოწვეულია მრავალი ფაქტორით, მაგალითად, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებით, რომ ოჯახის წევრებს, რომლებიც წლების განმავლობაში შშმ პირის გვერდით ცხოვრობენ, კარგად ესმით მათ წინაშე მდგარი პრობლემები და მათი გადაჭრის სავარაუდო საშუალებები და მეთოდები, ასევე იცინა საჭიროებები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობებით არის გამოწვეული.¹⁰⁹⁹ საქართველოს კანონმდებლობა მოცემულ ნაწილში განმარტავს, რომ პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს იგი საწერი საშუალებითა და ქალაქლით, ხოლო ბრალდებული/მსჯავრდებული, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, – მიმოწერისთვის საჭირო შესაბამისი საშუალებებით.¹¹⁰⁰ აქაც კოდექსი არ განმარტავს თუ რომელი სხვა საშუალებები მოიაზრება მოცემულ დათქმაში. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს განსხვავებულ მიდგომებს შშმ პირების მიმართ დისციპლინური ღონისძიებებისა და შეზღუდვის საშუალებების გამოყენებისას. სასჯელადსრულების დაწესებულებებში არსებობს რეგულირების მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება პატიმრების მიერ დისციპლინური გადაცდომის

¹⁰⁹⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, 2006, წესი 12-1, იხ. <https://rm.coe.int/168070827c10.05.2024>].

¹⁰⁹⁸ იქვე, წესი 42-3, 43-3.

¹⁰⁹⁹ ზ. ხასია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელადსრულების სისტემაში, 2023, გვ. 163, იხ. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Oct/books/Khasia-standards-and-practices-ge.pdf> [10.05.2024].

¹¹⁰⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, 115-ე მუხლის მეხუთე ნაწილი.

შემთხვევაში. ეს წესები თავისთავად ვრცელდება ყველა იმ შშმ პირზე, რომლებიც მოცემულ დაწესებულებაში არიან განთავსებული. იმის გათვალისწინებით, რომ რეგულირების მექანიზმები ყველა პატიმარზე ერთნაირად ვრცელდება, დისციპლინის დამრღვევი შშმ პირი ვერ იქნება გამონაკლისი მხოლოდ მისი მდგომარეობიდან გამომდინარე. რადგანაც ასეთმა დაშვებამ შეიძლება გამოიწვიოს დაუსჯელობის გრძობა, რამაც შესაძლებელია გაართულოს დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა და პატიმართა ქცევა. ამდენად, კანონმდებლობით გათვალისწინებული მიდგომები უნდა გავრცელდეს თანაბრად. თუმცა შშმ პირების შემთხვევაში უნდა არსებობდეს განსაკუთრებული განხილვის მექანიზმები, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პროფესიონალების ჩართვას. დისციპლინური ღონისძიების გამოყენება შშმ პატიმართა მიმართ განხილული უნდა იყოს განსაკუთრებული სიფრთხილით, რადგანაც ყოველდღიური საცხოვრებელი პირობების შეცვლა და, უფრო მეტიც, მისი გაუარესება უარყოფითად მოქმედებს ნებისმიერ ადამიანზე, ხოლო შშმ პატიმრებზე შესაძლებელია გამანადგურებელი ზეგავლენა იქონიოს. არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ტიპის შეზღუდულობა აქვს პატიმარს, დისციპლინური სასჯელების გამოყენება, განსაკუთრებით, როდესაც იგი უკავშირდება ყოველდღიური ცხოვრების პირობების შეცვლას, უარყოფითად მოქმედებს შშმ პირის როგორც ფსიქიკურ, ასევე ფიზიკურ მდგომარეობაზე. ამდენად, გადაწყვეტილების მიღება მოცემულ საკითხზე უნდა ხდებოდეს კომისიური წესით, სპეციალისტების მონაწილეობით.¹¹⁰¹

საერთაშორისო სტანდარტები იძლევა ნათელ განმარტებას შშმ პირისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწესებასთან, თუ მისი გამოყენების აკრძალვებთან დაკავშირებით, კერძოდ, მანდელას წესები განმარტავენ, ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებას დისციპლინური სასჯელის დაკისრებამდე, რომ ადმინისტრაციამ უნდა გათვალისწინოს, რამდენად შეიძლებოდა პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას ან განვითარების დარღვევას ემოქმედა მის ქცევასა და დანაშაულებრივ ქმედებაზე ან ქმედებაზე, რომელიც საფუძვლად დაედო დისციპლინურ სახდელს. დაუშვებელია, ციხის ადმინისტრაციამ სასჯელი დაუწესოს პატიმარს რაიმე სახის ქმედებისთვის, თუ ეს ქმედება პირდაპირი შედეგია მისი ფსიქიკური დაავადების ან შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების.¹¹⁰²

მანდელას წესებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შშმ პირის სამართლო საკანში მოთავსებას, სადაც წესები სიფრთხილით ეკიდება პატიმრის მდგომარეობის შესაძლო გართულებას და განმარტავს, რომ დაუშვებელია შეზღუდული ფსიქიკური ან ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პატიმრის სამართლო საკანში მოთავსება, როდესაც შესაძლებელია მსგავსი ზომის გამოყენებამ დაამძიმოს მისი მდგომარეობა.¹¹⁰³ აქვე წესები გამოკვეთს სამედიცინო პერსონალის როლს, რომელსაც უნდა ჰქონდეს უფლება, განიხილოს და რეკომენდაცია გაუწიოს პა-

¹¹⁰¹ ზ. ხასია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელადსრულების სისტემაში, 2023, გვ. 203/204, იხ. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Oct/books/Khasia-standards-and-practicies-ge.pdf> [10.05.2024].

¹¹⁰² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), 2015, წესი 39, მეორე ნაწილი, იხ. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf [10.05.2024].

¹¹⁰³ იქვე, წესი 45.

ტიმრისთვის არანებაყოფლობითი განცალკევების შეცვლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსგავსი განცალკევება არ გაამწვავებს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობას ან გაართულებს მის ფსიქიკურ ან ფიზიკურ შეზღუდულ შესაძლებლობებს.¹¹⁰⁴

მნიშვნელოვანია ყურადღება დაეთმოს ასევე შშმ პირთა მიმართ დამოკიდებულებას და მათი უსაფრთხოების დაცვას საგანგებო სიტუაციების მართვის დროს. ექსპერტები განმარტავენ, რომ მნიშვნელოვანია დაწესებულებას ჰქონდეს საგანგებო სიტუაციაში მოქმედების სპეციალური გეგმა, რათა უმტკივნეულოდ და სიცოცხლისათვის უსაფრთხო პირობებში მოხდეს შშმ პატიმრების ევაკუაცია და უსაფრთხო ადგილას გადაყვანა. ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია მოვიყვანოთ დიდი ბრიტანეთის მაგალითიც, რომელიც განმარტავს, რომ „უნდა შემუშავდეს საგანგებო შემთხვევაში შშმ პირთა სპეციალური ევაკუაციის გეგმა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც აქვს სმენის ან სწრაფი გადაადგილების პრობლემა. ის უნდა იყოს ადაპტირებული კონკრეტული პატიმრების საჭიროებებთან და დაყვანილი შესაბამისი პერსონალის ცნობიერებამდე“.¹¹⁰⁵

შშმ პირებთან მოპყრობის პროცესების დარეგულირება პენიტენციური სისტემის მართვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა და მისი საკანონმდებლო, თუ პრაქტიკული რეგულირება ხელს შეუწყობს პენიტენციური სისტემის ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელებასა და პატიმართა რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის პროცესების ეფექტიანობას.

11.6. ხანდაზმული პატიმრები

ენდრიუ კოილი განმარტავს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, სასჯელის ვადის ზრდასთან ერთად, ციხის ადმინისტრაციას უწევს ასაკოვანი პატიმრების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვაც. უვადო და გრძელვადიანი პატიმრობის შეფარდების ბოლოდროინდელ ტენდენციას შედეგად მოჰყვა ის, რომ იზრდება იმ პატიმრების რაოდენობა, რომლებიც ციხეებში აღწევენ ხანდაზმულობის ასაკს. ხანდაზმულ პატიმართა მზარდი რაოდენობა, რომელიც შეინიშნება სასჯელადსრულების სისტემაში მსოფლიო მასშტაბით, პრობლემების წინაშე აყენებს პენიტენციურ სისტემას.¹¹⁰⁶

ხანდაზმულ პატიმართა სტატისტიკის მაგალითი:

ქვეყანა	წელი	(60 წელს ზევით) ზრდის მაჩვენებელი %
გაერთიანებული სამეფო	2000 წლიდან 2009 წლამდე	216%
იაპონია	2000 წლიდან 2006 წლამდე	160%

ექსპერტების აზრით, „ციხეები განკუთვნილია ახალგაზრდა დამნაშავეებისთვის, რომლებიც პატიმართა უმრავლესობას შეადგენენ. პატიმართა პროგრამებიც

¹¹⁰⁴ იქვე, წესი 46, მესამე ნაწილი.

¹¹⁰⁵ Prison service Order, PSO 2855 - The Management of Prisoners with Physical disabilities, article 11. 3.2.4. Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03.

¹¹⁰⁶ A. Coyle, Helen Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., 2018, 160, https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed_english_v5_web.pdf [08.05.2024].

ასევე შექმნილია ახალგაზრდა პატიმართა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად¹¹⁰⁷ აღნიშნული მსჯელობა ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ დანაშაულს სჩადიან ახალგაზრდა პირები და, შესაბამისად, ციხეში ახალგაზრდა პატიმრები ხვდებიან. მათ არ გააჩნიათ ის საჭიროებები, რომლებიც აქვთ ხანდაზმულ პატიმრებს მათი ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამიტომ აღნიშნული საჭიროებები იშვიათად არის გათვალისწინებული.

კვლევები ავლენს ხანდაზმულ პატიმართა სამ ძირითად კატეგორიას, რომელთა საჭიროებებიც განსხვავებულია, კერძოდ:

- პირველ ჯგუფში შედიან ისინი, ვისაც ახალგაზრდობაში მიესაჯა ხანგრძლივი პატიმრობა და ციხეში ხდებიან ხანდაზმულები. მათი უმეტესობისთვის ეს არის პირველი ნასამართლობა და მათ ჩადენილი აქვთ ძალადობრივი დანაშაული.
- მეორე ჯგუფს შეადგენენ ტიპური კრიმინალები/რეციდივისტები, რომლებმაც მთელი ცხოვრება გაატარეს ციხეში. პერიოდულად თავისუფლდებოდნენ ციხიდან და ბრუნდებოდნენ უკან.
- მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც გასამართლებულ იქნა ხანდაზმულ ასაკში. მათ, როგორც წესი, ჩადენილი აქვთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.¹¹⁰⁸

სამივე მოცემულ კატეგორიას, მიუხედავად იმისა, რომ ერთი სტატუსი- ხანდაზმული ასაკი - აერთიანებთ და ერთგვაროვანი საჭიროებები აქვთ, ასევე ახასიათებთ განსხვავებული საჭიროებებიც. კერძოდ, პირველი კატეგორია ხანგრძლივი პატიმრობის გამო ახდენს ციხეში ინსტიტუციონალიზაციას და კარგავს სოციალურ კავშირებს თავისუფალ საზოგადოებასთან. ეს არის კატეგორია, რომელიც განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდება გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში რეინტეგრაციის თვალსაზრისით. მეორე კატეგორია კარგად ადაპტირებულია ციხის ცხოვრებასთან, თუმცა ისინი გამოირჩევიან ქრონიკული, განსაკუთრებით სხვადასხვა სახის დამოკიდებულებასთან დაკავშირებული დაავადებებით. მათ უფრო აქვთ სოციალური კავშირები, პირველი კატეგორიისგან განსხვავებით, თუმცა მათ ასევე უჭირთ საზოგადოებასთან რეინტეგრაცია. რაც შეეხება მესამე კატეგორიას, მათ, პირველი ორისგან განსხვავებით, აქვთ ციხეში ადაპტირების პრობლემები და შესაძლებელია გახდნენ სხვა პატიმრებისაგან ძალადობის მსხვერპლი. უმეტესობა ამ კატეგორიის პატიმრებისა, ექსპერტების აზრით, არიან პატიმრები, რომლებიც პირველად არიან გასამართლებული და უმეტეს შემთხვევაში - სექსუალური დანაშაულის ჩადენისთვის.

ხანდაზმული პატიმრების საჭიროებების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადეკვატური საცხოვრებელი უზრუნველყოფა. ამ საჭიროებას იწვევს სხვადასხვა გარემოებები, როგორცაა, მაგალითად, კიბე, რომელზეც მოხუცი ასაკის პატიმრებს უჭირთ ასვლა, ასევე სხვა არქიტექტურული წინაღობები, რის გამოც მათ შესაძლოა შეექმნათ სირთულეები სანიტარიული ობიექტების ხელმისაწვდომობაში, თუ ეს ობიექტები არ არის ადაპტირებული. ციხის გადატვირთულობა, ასევე ტე-

¹¹⁰⁷ UNODC, Handbook on Prisoners with special needs, 2009, 124. https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf [08.05.2024].

¹¹⁰⁸ UNODC, Handbook on Prisoners with special needs, 2009, 127. https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf [08.05.2024].

მპერატურა, ძლიერი სიცხე ან სიცივე, ასევე ქმნიან სირთულეებს, რაც თანმდევ საჭიროებებსა და გართულებებს იწვევს.

პენიტენციური კოდექსი გარკვეულწილად ეხება ხანდაზმული პატიმრების ყოფნას ციხეში და სამ ასპექტში უთმობს მას ყურადღებას: პირველი, ეს არის საცხოვრებელი პირობები, სადაც ნათქვამია, რომ ხანდაზმულ პირებს (ქალი – 60 წლიდან, მამაკაცი – 65 წლიდან) უნდა ჰქონდეთ თავიანთი სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები.¹¹⁰⁹ შემდეგი დათქმა, რომელსაც კოდექსში ვხვდებით, არის კვების ორგანიზება, სადაც კანონი განმარტავს, რომ ხანდაზმულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს (ქალი – 60 წლიდან, მამაკაცი – 65 წლიდან), უნდა შეექმნას მისი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები.¹¹¹⁰ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონში არ არის განმარტებული, თუ რა მოიაზრება განსაკუთრებულ საცხოვრებელ და კვების პირობებში.

ბოლოს კი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კანონის დათქმას სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ნაწილში, სადაც პენიტენციური კოდექსით განმარტებულია, რომ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველი შესაძლებელია გახდეს ხანდაზმულობის ასაკი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.¹¹¹¹

2023 წლის დეკემბერის მონაცემებით: საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში 60 წელს გადაცილებულ პატიმართა რაოდენობა ასე გამოიყურება: 60-64 წლამდე ბრალდებული - 160, მსჯავრდებული - 236; 65-69 წლამდე ბრალდებული - 34, მსჯავრდებული 160; 70 წელს ზევით ბრალდებული - 8, მსჯავრდებული - 63.¹¹¹²

ხანდაზმული პატიმრების კვების საჭიროებაზე ყურადღებას ამახვილებს ევროპული ციხის წესები, სადაც განმარტებულია, რომ პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურისა და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.¹¹¹³

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამედიცინო მომსახურებას ამ კატეგორიის პატიმრებთან მიმართებით. ექსპერტების აზრით, ხანდაზმულ პატიმართა უმეტესობას აქვს სხვადასხვა სახის ჯანდაცვის საჭიროებები, რომელთა უმეტესობა ციხის სისტემას არ შეუძლია მაქსიმალურად უზრუნველყოს და რაც მნიშვნელოვან ტვირთად აწვება ციხის სამედიცინო მომსახურების რესურსებს. ხანდაზმული ასაკის პატიმრების საჭიროებები განსაკუთრებულად ეფუძნება ასაკთან დაკავშირებული სამედიცინო პრობლემების მომრავლებას. ზოგიერთი ქვეყნის სასჯელადსრულების სისტემას უწევს გაუმკლავდეს პატიმართა ფიზიკურ უძლურებას ან დემენციას. ეს დამატებით მოთხოვნებს დააყენებს ციხის ადმინისტრაციის წინაშე, უზრუნველყოს სათანადო ჯანდაცვის მომსახურების დაგეგმვა.¹¹¹⁴

¹¹⁰⁹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსის 110-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

¹¹¹⁰ იქვე, 111-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

¹¹¹¹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹¹¹² <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/825/dekemberi> [10.03.2024].

¹¹¹³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 22.1, იხ. <https://rm.coe.int/168070827c> [01.04.2024].

¹¹¹⁴ A. Coyle, Helen Fair, Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., 2018, 50, https://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_3rd_ed

შემდეგი საკითხი უკავშირდება ციხის პერსონალს და მის გადამზადებას, რომ პერსონალი მზად უნდა იყოს ასაკოვან პატიმრებთან სამუშაოდ, რათა გამოიჩინონ ემპათია და თანადგომა ასაკოვანი პატიმრების მიმართ, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ფსიქიკური პრობლემები, მისი ჯანმრთელობის, სოციალური კონტაქტების დაკარგვის, სიკვდილის შიშისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. მათთვის ციხის ადმინისტრაციას უწევს მთელი რიგი სპეციალური პირობების შექმნა, რათა მოაგვაროს მათი უმოძრაობისა თუ გონებრივი მდგომარეობის გაუარესების პრობლემები.

მეთორმეტე თავი

პენიტენციური სისტემის გადატვირთულობა და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება

12.1. პენიტენციური სისტემის გადატვირთულობა

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა და ციხის მოსახლეობის ზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას ციხის შესაბამისი დაწესებულებების ადმინისტრაციისთვის და სისხლისსამართლებრივი სისტემისთვის როგორც ადამიანის უფლებების, ასევე სასჯელადსრულების ინსტიტუტების ეფექტიანი მენეჯმენტის მიმართულებით.¹¹¹⁵

გადატვირთულობის მაქსიმალური დონეების თავიდან ასაცილებლად, უნდა განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულებების მაქსიმალური შესაძლებლობები.¹¹¹⁶ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა აღიარა, რომ გადატვირთულობის პრობლემა პირდაპირ ჯდება მის მანდატში. თუ დადგენილზე მეტი პატიმრის განთავსება მოხდება დაწესებულებაში, ამას უარყოფითი ზეგავლენა ექნება პატიმართათვის მოქმედ ყველა მომსახურებასა და აქტივობაზე. ცხოვრების პირობების არსებული ხარისხი შემცირდება, რიგ შემთხვევაში მნიშვნელოვნადაც. უფრო მეტიც, დაწესებულებაში ან მის რომელიმე ნაწილში გადატვირთულობა, თავისი ფიზიკური მდგომარეობით, შესაძლოა გაუთანაბრდეს არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.¹¹¹⁷

როდესაც დგას გადატვირთულობის პრობლემა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანურ ღირსებაზე, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია უნდა ისწრაფოდეს გამოიყენოს ადამიანური და პოზიტიური მოპყრობა, მოახდინოს პერსონალის როლის სრული აღქმა და დანერგოს ეფექტიანი თანამედროვე მენეჯმენტის მიდგომები.¹¹¹⁸ პატიმრობისათვის განკუთვნილი შენობა, განსაკუთრებით კი საძინებელი კორპუსი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემის და, შეძლებისდაგვარად, განმარტობის მოთხოვნებს. გარდა ამისა, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, კლიმატური პირობებისა და, განსაკუთრებით, ფართის ზომის, ჰაერის მოცულობის, განათებისა და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით.¹¹¹⁹ ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნვე-

¹¹¹⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია # (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, პრეამბულა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელადსრულებისა და პრობაციის სფეროში, ს.ს.ი.პ. სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 145.

¹¹¹⁶ იქვე, მუხლი 6, გვ. 148.

¹¹¹⁷ 2nd General Report of the CPT, CPT/Inf (92) 3, paragraph 46, at <http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-02.htm#III.b>.

¹¹¹⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია # (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, მუხლი 7, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელადსრულებისა და პრობაციის სფეროში, ს.ს.ი.პ. სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 148.

¹¹¹⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია # (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, წესი 18.1, პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული – სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, თბილისი, 2010, გვ. 66.

ლყოფს იმას, რომ ამ მოთხოვნების დარღვევა არ მოხდეს ციხეების გადატვირთულობით.¹¹²⁰

პროკურორები და მოსამართლეები უნდა ჩაერთონ სისხლის სამართლის პოლიტიკის დაგეგმვაში ციხის კონტინგენტის ზრდასა და ციხის გადატვირთულობასთან დაკავშირებით, იმ მხრივ, რომ გამოხატონ საკუთარი მხარდაჭერა და თავიდან აიცილონ საწინააღმდეგო შედეგების მომცემი სასჯელების პრაქტიკა.¹¹²¹

ევროპის საბჭო მოუწოდებს წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებებს ხელი შეუწყონ იმ ზომების განვითარებას, რომელიც შეამცირებს არსებული სასჯელის მოხდის ვადებს, რომლის დროსაც უპირატესობა მიენიჭება ინდივიდუალურ ზომებს, როგორცაა პირობით ვადამდე გათავისუფლება, ვიდრე კოლექტიურ ზომებს ციხის გადატვირთულობის მენეჯმენტისას (ამნისტია, კოლექტიური შეწყალება).¹¹²²

12.2. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება

12.2.1. გათავისუფლება სასჯელის ვადის სრულად მოხდის შემდეგ

მსჯავრდებული თავისუფლება სასჯელის მოხდის დასრულების წინა დღეს. თუ მისი გათავისუფლების დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა, მსჯავრდებული თავისუფლება წინა სამუშაო დღეს. გათავისუფლებისას მას ეძლევა სათანადო ცნობა. მსჯავრდებულის გათავისუფლებისას სავალდებულოა მისი დაქტილოსკოპირება. გათავისუფლებულ მსჯავრდებულს უბრუნდება პირადი ნივთები, ტანსაცმელი/ფეხსაცმელი, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებაში ინახებოდა. თუ გათავისუფლებულ მსჯავრდებულს პირადი ტანსაცმელი/ფეხსაცმელი არ აქვს, ან ის არ შეეფერება შესაბამის სეზონს, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია მას უსასყიდლოდ გადასცეს ამ სეზონის შესაფერისი ტანსაცმელი/ფეხსაცმელი. მსჯავრდებულს პირად საბანკო ანგარიშზე დაგროვილი თანხის სრულად განკარგვის უფლება ეძლევა გათავისუფლების დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.¹¹²³

¹¹²⁰ იქვე, წესი 18.4, გვ. 67.

¹¹²¹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია # (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, მუხლი 19, გვ. 151.

¹¹²² იქვე, მუხლი 23, გვ. 152.

¹¹²³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 87.

2014-2023 წლებში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება სასჯელის მოხდის საფუძვლით დატოვა შემდეგი რაოდენობის მსჯავრდებულმა:¹¹²⁴

წელი	მსჯავრდებულთა რაოდენობა
2014	272
2015	253
2016	155
2017	176
2018	234
2019	188
2020	254
2021	197
2022	283
2023	264

12.2.2. სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა

პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება წარმოადგენს ყოველი თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებას, რომლის არსებობის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე საუბარი.

პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის დახმარებას, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ცხოვრება გარდაქმნას საზოგადოებაში კანონმორჩილ ცხოვრებად გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნითა და ზედამხედველობით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ამ მიზნის მიღწევას და წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.¹¹²⁵

ვადამდე გათავისუფლების მარეგულირებელი სამართალი და პოლიტიკა უმნიშვნელოვანესია თავისუფლების აღკვეთის დაკისრებისა და აღსრულებისათვის, რამდენადაც ისინი ცხადყოფენ იმ რეალობას, რომლითაც დგინდება თუ რამდენად ხორციელდება კონსტიტუციური წყობილების ქვეყანაში დასჯის ძალაუფლების შეზღუდვა უფრო ზოგადი პრინციპებით, რომელიც სასჯელის მიზანს ემსახურება.¹¹²⁶

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა, რაც დღესდღეობით ბევრ ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს, აიძულებს ხელისუფლებას იმსჯელოს სასჯელის განსაზღვრის პოლიტიკაზე, რომ შეზღუდოს ან შეამციროს პატიმრობის მაჩვენებლები. ამგვარი ინიციატივები დაფუძნებულია „წინა კარის“ ან „უკანა კარის“ სტრატეგიაზე, რაც გულისხმობს თავისუფლებააღკვეთილ პირთა რაოდენობის შემცირებას გამოწვეულს ალტერნატიული სასჯელების გამოყენე-

¹¹²⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი #43754/01, 14.02.2024.

¹¹²⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პრეამბულა.

¹¹²⁶ D. van Zyl Smit and Sonja Snacken, Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011, p. 316.

ბის ზრდით („წინა კარის“ სტრატეგია) და პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობის გაზრდას („უკანა კარის“ სტრატეგია).¹¹²⁷ 2006-დან 2013 წლამდე საქართველოში „წინა კარის“ სტრატეგია უფრო აქტიურად გამოიყენება, ვიდრე პირობით ვადამდე გათავისუფლება,¹¹²⁸ თუმცა, აღნიშნული იმდენად არ იყო გამოსატყულებელი ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ზრდით, რამდენადაც – პირობითი მსჯავრის შეფარდებით.

ევროპის საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების განტვირთვა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობა წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვანწილად აქცენტი კეთდება ეფექტური პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის ფუნქციონირებაზე წევრ სახელმწიფოებში. პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის სწორად წარმართვისა და ეფექტიანი სისტემების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა სპეციალური რეკომენდაციაც მიიღო და რიგ სხვა რეკომენდაციაშიც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ამ საკითხზე.

ამ მხრივ აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)22 რეკომენდაცია, რომლითაც პირობით ვადამდე გათავისუფლების როგორც სტატისტიკური აღრიცხვიანობის წარმოების უცილებლობა, ასევე - გაფართოებულ კონტექსტში კვლევითი საქმიანობის წარმოება განისაზღვრა, რაც არსებული პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის შესაბამისობასა და მის შემდგომ განვითარებაზე მეტი ცოდნისა და ინფორმაციის მიღების პირობას ქმნის.

ევროპაში პირობით ვადამდე გათავისუფლების ორი ფუნდამენტური სახე არსებობს, დისკრეციული და სავალდებულო ანუ ავტომატური გათავისუფლების სისტემა. ორივე ეს სისტემა აღიარებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)22 რეკომენდაციით.

დისკრეციული გათავისუფლების სისტემა გულისხმობს პირობით ვადამდე გათავისუფლების მოპოვებისთვის მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადის განსაზღვრას კანონით.¹¹²⁹ დისკრეციული გათავისუფლების სისტემა, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალურ შეფასებას, გამოიყენება ისეთ ქვეყნებში როგორცაა ავსტრია, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია, ესპანეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.¹¹³⁰ საქართველოც, არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის თვალსაზრისით, სწორედ ევროპული ქვეყნების ამ ჯგუფს მიეკუთვნება. სავალდებულო პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში უნდა მოხდეს სასჯელის იმ პერიოდის განსაზღვრა, რომელიც მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს

¹¹²⁷ F. Dunkel, Kommentierung §57 StGB, in U. Kindhauser, U. Neumann and H. Paeffgen (eds) Nomos Kommentar zum Strafgesetzbuch. Vol. 1 (3rd edn.). Baden-Baden: Nomos Verlag 2010.

¹¹²⁸ ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის მიერ 2012 წლის 9 თებერვალს მოწოდებული სტატისტიკის თანახმად 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 24114 პატიმარი და მსჯავრდებული იყო განთავსებული საქართველოს სასჯელადსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში, ხოლო პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა 38681 მსჯავრდებული.

¹¹²⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პუნქტი 16.

¹¹³⁰ N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 420

იმისათვის, რომ გათავისუფლების უფლება მოიპოვოს. სავალდებულო პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემისას მხოლოდ კანონით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევები უნდა არსებობდეს გათავისუფლების გადასავადებლად. ამასთანავე, გათავისუფლების გადავადების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს პირობით ვადამდე გათავისუფლების ახალი თარიღი. ინგლისმა, უელსმა, ფინეთმა, საბერძნეთმა, შვედეთმა და თურქეთმა პირობით ვადამდე გათავისუფლების სავალდებულო ფორმა დანერგეს პრაქტიკაში.¹¹³¹

ევროპის საბჭო უპირობოდ ემხრობა პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის დანერგვას წევრ სახელმწიფოებში, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ამ მხრივ საყურადღებოა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდის თაობაზე, რომლის პრეამბულაც მითითებს, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა და ციხის მოსახლეობის ზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას დაწესებულების ადმინისტრაციისა და სისხლის სამართლის სისტემისათვის როგორც ადამიანის უფლებების, ისე პენიტენციური დაწესებულებების ეფექტიანი მართვის თვალსაზრისით. ამასთანავე, რეკომენდაცია მითითებს, რომ „თავისუფლების აღკვეთა უნდა განიხილებოდეს როგორც უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქცია ან ზომა და შესაბამისად უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა დანაშაულის სიმძიმე სხვა სანქციებისა და ზომების გამოყენებას აშკარად არაადეკვატურად გამოაჩენს“.¹¹³²

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია ხაზგასმით აყალიბებს მნიშვნელოვან პოსტულატს, რომლის თანახმად „ხელი უნდა შეეწყოს იმ ზომების განვითარებას, რომლებიც შეამცირებს არსებული სასჯელის მოხდის ვადებს, რომლის დროსაც უპირატესობა მიეცემა ინდივიდუალიზებულ ზომებს, როგორცაა პირობით ვადამდე გათავისუფლება, ვიდრე კოლექტიურ ზომებს ციხის გადატვირთულობის მართვისას (ამნისტია, კოლექტიური შეწყალება)“.¹¹³³

ვადამდე გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების აქტიურად გამოყენებისადმი დამოკიდებულება დღითიდღე პოზიტიურისკენ იცვლება, სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება შეიწყალოს მსჯავრდებულები კვლავაც კონტინენტის ბევრ სახელმწიფოში რჩება მსჯავრდებულთა ვადამდე გათავისუფლების ყველაზე ეფექტიან საშუალებად. მასობრივი შეწყალების პროცესი კვლავაც რეალობას წარმოადგენს. მათი გამოყენება განსაკუთრებით აღინიშნება როგორც დიდი პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში (მაგალითად, როგორც იყო კომუნისტების შემდგომ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპაში), ასევე - როგორც ჩვეულებრივი მექანიზმი მსჯავრდებულთათვის სასჯელის შემსუბუქების ან სულაც გასათავისუფლებლად (ასე მაგალითად საფრანგეთში).¹¹³⁴

¹¹³¹ იქვე.

¹¹³² ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდის თაობაზე, პუნქტი 1.

¹¹³³ იქვე, პუნქტი 23.

¹¹³⁴ R. Levy, Pardon and Amnesties as Policy Instruments in Contemporary France (2007) 36, Crime and Justice, pp 551-590.

საქართველო არ წარმოადგენს აღნიშნული ტენდენციისგან გამონაკლისს. 2012 წლამდე საქართველოში ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა წლიური სტატისტიკის მიხედვით, მოწინავე პოზიცია პრეზიდენტის მიერ შეწყალებით გათავისუფლებულ მსჯავრდებულებს ეკავა, მხოლოდ შემდეგ მოდიოდა პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობა და ბოლო ადგილზე იყო ამნისტიით გათავისუფლებულთა რაოდენობა. ასე მაგალითად, 2006-2011 წლებში შეწყალებით გათავისუფლდა 6303 მსჯავრდებული (მათ შორის, 5942 მამაკაცი, 282 ქალი და 79 არასრულწლოვანი), პირობით ვადამდე გათავისუფლდა 2896 მსჯავრდებული (მათ შორის, 2699 მამაკაცი, 166 ქალი და 31 არასრულწლოვანი), ხოლო 2007-2009 წლებში განხორციელებული ამნისტიით გათავისუფლდა 701 მსჯავრდებული (მათ შორის, 635 მამაკაცი, 60 ქალი და 6 არასრულწლოვანი).¹¹³⁵ განსხვავებული სურათი დაფიქსირდა 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ივნისამდე პერიოდში (18 თვე). კერძოდ, პრეზიდენტის შეწყალებას დაექვემდებარა 652 მსჯავრდებული (მათ შორის, 617 მამაკაცი, 30 ქალი და 5 არასრულწლოვანი),¹¹³⁶ პირობით ვადამდე გათავისუფლდა 1852 მსჯავრდებული (მათ შორის, 1655 მამაკაცი, 177 ქალი და 20 არასრულწლოვანი) და ამნისტიის კანონი შეეხო 17706 მსჯავრდებულს (მათ შორის, 16818 მამაკაცს, 822 ქალს და 66 არასრულწლოვანს).¹¹³⁷ პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა 2014-2023 წლებში (ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) შემდეგნაირად გამოიყურება:¹¹³⁸

წელი	განხილული საქმეები	დადებითი გადაწყვეტილება	დადებითი გადაწყვეტილება ჩაშლილი			
			კაცი	ქალი	არასრულწ. კაცი	არასრულწ. ქალი
2014	10655	894	829	45	20	0
2015	12906	1059	1006	25	28	0
2016	10875	959	903	46	10	0
2017	11393	1037	998	36	3	0
2018	8077	821	794	24	3	0
2019	7582	1286	1238	40	8	0
2020	6067	830	785	39	6	0
2021	6601	829	780	40	8	1
2022	6529	635	594	35	4	2
2023	6729	434	403	28	3	0

¹¹³⁵ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალური წერილი #2249/01/01, 21.02.2012.

¹¹³⁶ Response of the Georgian Government to the Report of the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) on its visit to Georgia from 19 to 23 November 2012, CPT/Inf (2013) 19, Attachment No.9, at www.cpt.coe.int/documents/geo/2013-19-inf-eng.pdf

¹¹³⁷ იქვე, Attachment no.7.

¹¹³⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი #43754/01, 14.02.2024.

რეკომენდაციაში (99)22 ასახული მიდგომა გამყარებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით (2003)22, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლებას განმეორებითი სამართალდარღვევის აცილებისა და პატიმრის საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან და კონსტრუქციულ საშუალებად აღიარებს.¹¹³⁹ რეკომენდაცია პირობით ვადამდე გათავისუფლებას განმარტავს, როგორც მსჯავრდებულის ვადამდე გათავისუფლებას, შემდგომი ინდივიდუალური პირობებით. ამასთანავე, რეკომენდაცია არ ეხება ამნისტიასა და შეწყალების საკითხებს.¹¹⁴⁰

ევროპის საბჭოს წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა დიდი ხნის წინათ აღიარა, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა პირდაპირ კავშირშია წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის გამოწვევასთან, რომლის პრევენციაც მის კომპეტენციას განეკუთვნება.¹¹⁴¹ ბოლო წლებში კომიტეტმა გააფართოვა თავისი ხედვა და განმარტა, რომ სახელმწიფოების მიერ ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც ამცირებს თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა რაოდენობას, წარმოადგენს ყველაზე ეფექტიან საშუალებას ცუდი მოპყრობის პრევენციის მიზნით.¹¹⁴² ერთ-ერთი საშუალება, რომელიც თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა რიცხოვნობას აკონტროლებს, პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა წარმოადგენს და ისიც კომიტეტის მიერ იქნა მხარდაჭერილი; კომიტეტმა გამორჩეული განცხადება გააკეთა, რომლითაც წევრ ქვეყნებს მოუწოდა, რომ ყველა თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს, მათ შორის, უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებსაც, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ და მონაწილეობდნენ პირობით ვადამდე გათავისუფლების მოსამზადებელ პროგრამებში და მათი პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი უნდა დაექვემდებაროს განხილვას.¹¹⁴³

რიგით საქმეში პირობით ვადამდე გათავისუფლება ჩვეულებრივ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს, და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც აშკარაა მსჯავრდებულთან დაკავშირებული ნეგატიური პროგნოზები, არ უნდა ხდებოდეს მისი ვადამდე გათავისუფლება. ამგვარ პრაქტიკას ვაწყდებით ბელგიაში, დანიაში და შვეიცარიაში. მაგალითისათვის, შვედეთში მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ხდება სასჯელის ვადის ორი მესამედის მოხდის შემდეგ, თუ არ არსებობს რიგი წინააღმდეგობრივი გარემოებები. 2007 წლის 1 იანვრიდან ერთ-ერთ ასეთ საფუძველს წარმოადგენს პირობითი სასჯელის დარღვევა, რასაც მისი გაუქმება მოჰყვება შედეგად.¹¹⁴⁴

ფრანგული სისხლის სამართლის პროცედურები შეიცავს ზოგიერთ ყურადსაღებ ელემენტს. კერძოდ, იმის ნაცვლად, რომ მსჯავრდებულმა წარადგინოს თავის რესოციალიზაციასთან დაკავშირებით მყარი მტკიცებულებები, მან უბრალოდ უნდა

¹¹³⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პრეამბულა.

¹¹⁴⁰ იქვე, პუნქტი 1.

¹¹⁴¹ CPT 7th General Report [CPT/Inf (97)10] ss. 12-15.

¹¹⁴² CPT 11th General Report [CPT/Inf (2001)16] s. 28.

¹¹⁴³ CPT Hungary Visit 2007 [CPT/Inf (2007)24] s. 33.

¹¹⁴⁴ N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 421.

აჩვენოს, რომ იგი პოზიტივისკენ შეიცვალა. პირობით ვადამდე მსჯავრდებულის გათავისუფლება საფრანგეთში სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ, ხოლო რეციდივისტების შემთხვევაში - ორი მესამედის გასვლის შემდეგ არის შესაძლებელი. მსჯავრდებულს, რომელსაც ჰყავს ათ წლამდე მცირეწლოვანი შვილი და რომელიც მასთან იზრდებოდა თავისუფლების აღკვეთამდე, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას აღნიშნულ გარემოებას არსებითი ყურადღება ექცევა, რაც განპირობებულია ოჯახური კავშირების გამყარების ხელშეწყობითა და თავისუფლების აღკვეთის უარყოფითი ასპექტების შემცირებით. ასეთი შემთხვევებისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის აღარ არსებობს მინიმალურად სავალდებულო ვადა და პირი შესაძლოა თავისუფლების აღკვეთიდან უმცირეს ვადაში გათავისუფლდეს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პრაქტიკა ძალზედ იშვიათად გამოიყენება. მსგავსი ოჯახურ ურთიერთობებზე ორიენტირებული პირობით ვადამდე გათავისუფლების რეგულაციები მოქმედებს იტალიაშიც.¹¹⁴⁵

საქართველოს კანონმდებლობა სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულზე სასჯელის სათანადო მინიმალურ მოსახდელ ვადას აწესებს. კერძოდ, ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში მსჯავრდებულს მოხდელი უნდა ჰქონდეს სასჯელის ნახევარი, მძიმე დანაშაულის შემთხვევაში - სასჯელის ორი მესამედი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში - სასჯელის სამი მეოთხედი; აგრეთვე, სამი მეოთხედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების ჯიუტად თავის არიდებისათვის, ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, ან განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის; სამი მეოთხედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელსაც წინათ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით და შეცვლილი სასჯელი გაუქმდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე.¹¹⁴⁶

ესპანეთის კანონმდებლობა პირობით ვადამდე გათავისუფლების ორ სახეობას იცნობს: ღია რეჟიმს (რაც მოიცავს შინაპატიმრობას ელექტრონული მონიტორინგის ზედამხედველობით) და პირობით ვადამდე გათავისუფლებას. პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულს სასჯელის ვადის ამოწურვამდე უწესდება ზედამხედველობა, რაც დაკავშირებულია გარკვეული წესების ან პირობების დადგენასთან, რომელთა შორის ყოველთვისაა ვალდებულება ხელახალი დანა-

¹¹⁴⁵ იქვე.

¹¹⁴⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 73.10 „თუ ამ მუხლის მე-3 ან მე-7 ნაწილით გათვალისწინებულმა მსჯავრდებულმა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდისას: ა) განზრახ თავი აარიდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ან თუ სხვა მიზეზით სასჯელის შემდგომი მოხდა მიზანშეუწონელია, სასამართლოს შეუძლია დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და აღსრულდეს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი; ბ) გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო“.

შაულის ჩაუღუნლობის შესახებ.¹¹⁴⁷

ესპანეთის კანონმდებლობა პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდეგ ფორმებს ცნობს – საერთო, ნაადრევ, ჰუმანიტარული ხასიათისა და ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებას:

- ა) საერთო ხასიათის პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება გავრცელდეს მსჯავრდებულზე სასჯელის ვადის სამი მეოთხედის მოხდისას იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს მესამე დონის კლასიფიკაციის (ღია რეჟიმი ან შინაპატიმრობა ელექტრონული მონიტორინგის ზედამხედველობით) მოთხოვნილებებს (კარგი ყოფაქცევა და დაბალი რისკის მაჩვენებელი), რაც მოიწოდებს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებიდან გამომდინარე სამოქალაქო სამართლის ვალდებულებათა შესრულებას;
- ბ) ნაადრევი ხასიათის პირობით ვადამდე გათავისუფლება იძლევა სასჯელის ვადის ორი მესამედის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, ნახევრის მოხდის შემდეგ მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლების შესაძლებლობას, თუ ეს უკანასკნელი სხვადასხვა პროგრამასა და საქმიანობაში ჩართულობის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. ესპანეთის კანონმდებლობა არ შეიცავს სამართლებრივ კრიტერიუმებს (ამას არც სასამართლო პრაქტიკა ადგენს), რაც განასხვავებდა ერთმანეთისგან საერთო და ნაადრევი ხასიათის პირობით ვადამდე გათავისუფლების გამოყენებას;
- გ) ჰუმანიტარული ხასიათის პირობით ვადამდე გათავისუფლება ეხება იმ მსჯავრდებულებს, რომელთაც 70 ან მეტი წლის ასაკი შეუსრულდათ, ან, რომლებიც განუკურნებელი სენით არიან დაავადებულნი. ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სასჯელის მოხდის მინიმალურ ვადას, რომლის მოხდის შემდეგ იქნება შესაძლებელი პირობით ვადამდე გათავისუფლება და, შესაბამისად, ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს გამოყენებული;
- დ) ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებულ პირთა პირობით ვადამდე გათავისუფლება ბევრად გართულებულ წესებს მოიცავს. ამ კატეგორიის მსჯავრდებულებმა სხვა მოთხოვნებთან ერთად უარი უნდა თქვან დანაშაულებრივ ქმედებებზე და ბოდიში მოიხადონ მსხვერპლის წინაშე. მათი პირობით ვადამდე გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასჯელის სამ მეოთხედს მოიხდიან. პირობით ვადამდე გათავისუფლების სხვა ფორმები მათზე არ ვრცელდება.¹¹⁴⁸

ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა ორგანო იხილას და იღებს პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე გადაწყვეტილებას. ყველგან არ არის გერმანიის მსგავსი სისტემა, სადაც დამოუკიდებელი სასამართლო იღებს ამგვარ გადაწყვეტილებას. ბელგიაში მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის კომპეტენციას განეკუთვნება პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღება ყველა იმ საქმეში, როდესაც მსჯავრდებულს სამ წლამდე თავისუფლების

¹¹⁴⁷ J. Cid, B. Tebar, Revoking early conditional release measures in Spain, European Journal of Probation, Vol. 4, N1, 2012, 112-124, [www.ejprob.ro].

¹¹⁴⁸ იქვე.

აღკვეთა აქვს მისჯილი; ყველა სხვა შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებენ სასჯელის აღმასრულებელი სასამართლოები, რომლებიც სამი წევრისგან - მოსამართლისგან, სოციალური ინტეგრაციის ექსპერტისა და პენიტენციურ საკითხებში ექსპერტისგან შედგება. ევროპის კონტინენტზე წარმოდგენილია ქვეყნები,¹¹⁴⁹ სადაც რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილებას იღებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია, ხოლო რიგ შემთხვევებში - იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. ინგლისსა და უელსში ფუნქციონირებს პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭო, რომელიც ბელგიის მსგავსად შედგება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისგან. სხვა ქვეყნებში სპეციალიზებული მოსამართლის შემოღება ან ტრიბუნალის შექმნა იქნა მხარდაჭერილი (ასე მაგალითად, ხორვატიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთში, იტალიაში, პოლონეთში, სლოვენიაში და ესპანეთში). მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში ამგვარი კომპეტენციით აღჭურვილია პირველი ინსტანციის სასამართლოები (ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, საბერძნეთი და ლიეტუვა). ყველასგან გამორჩეულ სისტემას გვთავაზობს ჰოლანდია, სადაც გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებრივი პროკურორი.¹¹⁵⁰

საქართველომ პირობით ვადამდე გათავისუფლების ოთხი სისტემა გამოსცა და დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან. 2006 წლამდე მოქმედებდა სისტემა, რომლის მიხედვით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი წარადგენდა მსჯავრდებულის საქმეს ტერიტორიული სასამართლოს წინაშე პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად. 2006 წლიდან ეს ფუნქცია დაწესებულების დირექტორებს ჩამოერთვათ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შექმნილ კომისიას გადაეცა, რომელიც ერთგვარი „ფილტრის“ ფუნქციას ასრულებდა, განიხილავდა რა ყველა მსჯავრდებულის საქმეს, რომელმაც პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის საჭირო მინიმალური სასჯელის ვადა მოიხადა და იღებდა გადაწყვეტილებას რომელი საქმე წარედგინა სასამართლოში საბოლოო განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად. ამ შემთხვევაშიც საბოლოო სიტყვა სასამართლოს რჩებოდა.

2009 წლის სექტემბერში პირობით ვადამდე გათავისუფლების ეს მოდელიც გაუქმდა და იგი ჩაანაცვლა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიამ. ამ შემთხვევაში საკითხის განხილვის კომპეტენციამ დეპარტამენტიდან სამინისტროს დონეზე გადაინაცვლა იმ განსხვავებით, რომ საკითხს განიხილავდა და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა მუდმივმოქმედი კომისია და არა სასამართლო.

2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს პატიმრობის კოდექსი, რომელიც მოქმედებდა 2024 წლამდე და, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში იმ დროისათვის მოქმედი პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა და გარკვეულწილად იგი ინგლისსა და უელსში მოქმედი სისტემის იდენტურად ჩამოაყალიბა. კერძოდ, შეიქმნა მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და თავისუფლების აღკვეთის დარჩენილი ვადის უფრო მსუბუქი სას-

¹¹⁴⁹ დანია, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია.

¹¹⁵⁰ N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 425.

ჯელით შეცვლის საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოები (შემდგომში „ადგილობრივი საბჭო“),¹¹⁵¹ რომელთაც დაევაღათ მსჯავრდებულთა საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული სისტემის შემოღებით, მხარეს დარჩა უფლება ადმინისტრაციული წესით ერთჯერადად გაესაჩივრებინა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლოში, მაგრამ იმ შემთხვევაშიც თუ სასამართლო დაადგენდა, რომ მიღებული გადაწყვეტილებისას არ იყო გათვალისწინებული ყველა გარემოება, რასაც შეეძლო არსებითი ზეგავლენა მოეხდინა საბოლოო გადაწყვეტილებაზე, იგი უფლებამოსილი იყო მხოლოდ დაებრუნებინა ადგილობრივ საბჭოს საქმე ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად.¹¹⁵²

ადგილობრივი საბჭოს ინსტიტუტის შემოღებით ავტომატურად არ მომხდარა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის გაუქმება. მართალია, კანონმდებლობამ არ განსაზღვრა მუდმივმოქმედი კომისიის მაკოორდინირებელი როლი ადგილობრივ საბჭოებთან მიმართებით, მაგრამ დაუწესა ადგილობრივ საბჭოებს სამთვეში ერთხელ გაწეული საქმიანობის შესახებ მუდმივმოქმედი კომისიისათვის ანგარიშის წარდგენა და მათ საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო მუდმივმოქმედი კომისიის ფუნქცია, განეხილა იმ მსჯავრდებულთა საქმეები, რომლებსაც ადგილობრივი საბჭოების მიერ ეთქვათ პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე და მიეღო ადგილობრივი საბჭოებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება, რაც ზემდგომი იურიდიული ძალისა და პირი დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ექვემდებარება.¹¹⁵³ 2011 წლის განმავლობაში სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლდა 28 მსჯავრდებული (მათ შორის, 24 მამაკაცი, 3 ქალი და 1 არასრულწლოვანი), რომელთაც უარი ეთქვათ ადგილობრივი საბჭოების მიერ.¹¹⁵⁴ მუდმივმოქმედმა კომისიამ 2015 წლის 17 დეკემბრამდე იარსება და სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის #172-ე ბრძანებით გაუქმდა.

2014 წლამდე ფუნქციონირებდა ერთი ადგილობრივი საბჭო, ხოლო 2014 წლიდან ჩამოყალიბდა 3 ადგილობრივი საბჭო: ა) აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო, რომელიც განიხილავდა საქართველოს დედაქალაქის ქ. თბილისის,

¹¹⁵¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72-1; საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის #151 ბრძანებით განისაზღვრა აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო, დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო და არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო (ძალადაკარგული).

¹¹⁵² საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება #151 საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, 28.10.2010, მუხლი 21 (ძალადაკარგული).

¹¹⁵³ საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის #185 ბრძანება მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 4; საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის #151 ბრძანება ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 22-2 (ძალადაკარგული).

¹¹⁵⁴ საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის წერილი #2249/01/01, 21.02.2012.

თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის, გარდაბნისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების საქმეებს, გარდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეებისა; ბ) დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო, რომელიც განიხილავდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის, ზუგდიდის, წყალტუბოს და ხონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდებარე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების საქმეებს, გარდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეებისა; და გ) არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო, რომელიც განიხილავდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეებს.¹¹⁵⁵ ამ სტრუქტურაში მალევე შევიდა ცვლილება და აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭო (განიხილავდა საქართველოს დედაქალაქის ქ. თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების საქმეებს, გარდა არასრულწლოვან მსჯავრდებულების საქმეებს, გარდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეებისა) და აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო (განიხილავდა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების საქმეებს, გარდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეებისა).¹¹⁵⁶ ამ ცვლილებებიდან ერთ კვირაში გამოიცა ახალი ბრძანება, რომლითაც ცალკე ჩამოყალიბდა ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო.¹¹⁵⁷ 2018 წელს გამოცემული ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველოში 3 ადგილობრივი საბჭო ჩამოყალიბდა, რომელთაგან მეორეს კვლავინდებურად რუსთავსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტში, პირველს მხოლოდ ქალაქ თბილისში და მესამეს - მცხეთის მუნიციპალიტეტში მდებარე დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების საქმეების განხილვა დაევალა.¹¹⁵⁸

ადგილობრივი საბჭო შედგება 5 წევრისგან. მის შემადგენლობაში შედიან: ა) სპეციალური პენიტენციური სამსახურის 1 მოსამსახურე; ბ) პრობაციის სააგენტოს 1 თანამშრომელი; გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 წარმომადგენელი; დ) არასამთავრობო ორგანიზაციების 1 წარმომადგენელი; ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 1 წარმომადგენელი.¹¹⁵⁹ საბჭოს წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სათანადო განათლება და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე საქმიანი და

¹¹⁵⁵ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება #69, 02.05.2014, მუხლი 1 (ძალადაკარგულია).

¹¹⁵⁶ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება #79, 21.05.2014, მუხლი 1 (ძალადაკარგულია).

¹¹⁵⁷ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება #93, 28.05.2014, მუხლი 1 (ძალადაკარგულია).

¹¹⁵⁸ იუსტიციის მინისტრის ბრძანება #320 საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ, 07.08.2018, მუხლი 3.

¹¹⁵⁹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 90.2.

მორალური თვისებებით შეუძლია საბჭოს წევრის ფუნქციების შესრულება.¹¹⁶⁰ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი საბჭოს არანაკლებ ერთ წევრს დამატებით უნდა ჰქონდეს არასრულწლოვნებთან მუშაობის სათანადო გამოცდილება ან/და სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, ხოლო ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი საბჭოს არანაკლებ ერთ წევრს დამატებით უნდა ჰქონდეს სპეციალური მომზადება ან/და სამუშაო გამოცდილება გენდერულ საკითხებზე და ქალი პატიმრების უფლებებთან დაკავშირებით.¹¹⁶¹ საბჭოს წევრი ინიშნება 1 წლის ვადით.¹¹⁶²

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ავტომატურად იხილავს პირობით ვადამდე გათავისუფლების საქმეებს და გამოაქვს გადაწყვეტილება, თუ აღნიშნული ხდება მაშინ, როდესაც მას მოუხმობენ აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად. იმ დროს როდესაც გერმანიაში სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელი საბჭო წარადგენს პატიმრის საკითხს განსახილველად, რომელსაც გასდის დადგენილი სასჯელის მოხდის ორი მესამედი, სხვა ქვეყნებში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციას¹¹⁶³ ან პროკურატურასაც¹¹⁶⁴ უფლება აქვს გააკეთონ სათანადო წარდგინებები.¹¹⁶⁵

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 განსაზღვრავს, რომ შესაბამისმა ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს საჭირო პროცედურები იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, როგორც კი მსჯავრდებული მოიხდის მინიმალურ პერიოდს.¹¹⁶⁶

აღნიშნული სტანდარტი მიუთითებს ხელისუფლების წარმომადგენელთა ვალდებულებაზე განახორციელოს ყველა ის აქტივობა, რაც უზრუნველყოფს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის სრულფასოვან განხილვას, დაწყებული საქმის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენიდან, დასრულებული დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მსჯავრდებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებითა და შესაბამის საზედამთავრო ორგანოსათვის მსჯავრდებულის საქმის გადაგზავნით. საქართველოში 2013 წლის 1 იანვრამდე მოქმედი კანონმდებლობა არ მოდიოდა შესაბამისობაში აღნიშნულ სტანდარტთან, რადგან საქმის პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე ადგილობრივი საბჭოს წინამე განსახილველად წარდგენა ძირითადად თავად მსჯავრდებულის, მისი დამცველის/კანონიერი წარმომადგენლის ან ახლო ნათესავის ტვირთს წარმოადგენდა. 2013 წლიდან ეს მანკიერი პრაქტიკა გაუქმდა და დაწესებულების ადმინისტრაციას

¹¹⁶⁰ იქვე, მუხლი 90.3.

¹¹⁶¹ იუსტიციის მინისტრის ბრძანება #320 საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ, 07.08.2018, მუხლი 4.9.

¹¹⁶² საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 90.7.

¹¹⁶³ ბულგარეთი, ხორვატია, დანია, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია. პოლონეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, თურქეთი.

¹¹⁶⁴ ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, საფრანგეთი, სლოვაკეთი, თურქეთი.

¹¹⁶⁵ H. Tubex and P.V. Tournier (2003) Study of Conditional Release (Parole) in the Member States, Analysis of Replies to the General Questionnaire (Council for Penological Co-operation, PC-CP (2000) 24 Rev 4 [restricted]).

¹¹⁶⁶ პუნქტი 17.

დაევალა საქმის მომზადება და შესაბამისი ორგანოსთვის განსახილველად დროულად გადაგზავნა.¹¹⁶⁷ ცვლილებების გატარებამდე, აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი რიც პრობლემებს წარმოშობდა; კერძოდ, იყო შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასწორად ხდებოდა სასჯელის ვადის გამოთვლა და თუნდაც ერთი დღის ცდომილების შემთხვევაში, თუ დადგინდებოდა, რომ წარდგენილი შუამდგომლობა ვადაზე ადრე გაკეთდა, გამოიწვევდა მსჯავრდებულის საქმის განხილვის რამდენიმე თვით გადადებას. დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ საქმის წარდგენის დაგვიანების შემთხვევაში, ეს საკითხი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორთან ან იუსტიციის მინისტრთან) ან სასამართლოში.¹¹⁶⁸

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ამგვარ წარდგინებებთან მიმართებით მსჯავრდებულთა პროცედურული უფლებები თითქმის ერთნაირია. უმრავლეს ქვეყანაში მსჯავრდებულს უფლება აქვს იქნეს მოსმენილი და თითქმის ყველგან მას ეძლევა დადგენილ პროცედურებში მონაწილეობის მიღება (განხილვაში ან ზეპირ მოსმენაში). დოკუმენტებთან ხელმისაწვდომობის უფლება (ზოგიერთ შემთხვევაში არა პირდაპირ, არამედ ადვოკატის მეშვეობით) აღიარებულია კონტინენტის მრავალ ქვეყანაში, მაგრამ არა ბულგარეთში, ხორვატიაში, კვიპროსში, ლიეტუვაში, ლატვიაში, მალტაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, სლოვაკეთსა და თურქეთში. მიუხედავად აღნიშნულისა, ყველა ქვეყანაში მსჯავრდებულს ეცნობება განხილვის შედეგები.¹¹⁶⁹ საქართველოც არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს და უნდა ითქვას, რომ ახალი სისტემის დანერგვით შესაძლებელი გახდა მსჯავრდებულის ზეპირ მოსმენაზე მონაწილეობა.¹¹⁷⁰ ამასთან, მსჯავრდებული უფლებამოსილია ზეპირ მოსმენაზე იყოლიოს დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი; აგრეთვე, მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ დაწესებულების წარმომადგენელსაც, სადაც მსჯავრდებული იხდიდა ან იხდის სასჯელს.¹¹⁷¹

პერიოდი, როდესაც ახალი განაცხადი არ შეიძლება იყოს წარდგენილი, განსაზღვრულია ევროპის ყველა ქვეყანაში, გამონაკლისს წარმოადგენს შვედეთი. ამგვარი პერიოდის მაქსიმუმია ერთი წელი, რაც დადგენილია ბელგიაში, პორტუგალიაში, რუმინეთში, მოლტანდიაში, სლოვაკეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში,

¹¹⁶⁷ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 91.1, თუ მსჯავრდებულმა, გარდა სამიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა, ფაქტობრივად მოიხდა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა და ეს აცნობოს მსჯავრდებულს. თუ საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას დამატებითი დრო სჭირდება, პენიტენციური დაწესებულება უფლებამოსილია აღნიშნული შუამდგომლობა საბჭოს 7 დღის ვადამდე წარუდგინოს.

¹¹⁶⁸ იქვე, მუხლი 101.4.ა.

¹¹⁶⁹ N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 426

¹¹⁷⁰ საქართველო კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 91.5.

¹¹⁷¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #320 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“, 07.08.2018, მუხლი 16.2.

მაშინ როდესაც ევროპის უმრავლეს ქვეყანაში ეს პერიოდი როგორც წესი ერთი, ორი, სამი ან ექვსი თვეა.¹¹⁷² საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის ხელახალი განხილვა შესაძლებელია ყოველ ექვს თვეში ერთხელ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება. თუ მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება, ადგილობრივი საბჭო მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს განიხილავს მსჯავრდებულის წერილობითი განცხადების საფუძველზე.¹¹⁷³

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რიც საქმეებში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმეორებით განხილვის ვადებზე და მიუთითა, რომ, მაგალითად, საქმეში ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,¹¹⁷⁴ იმის განსასაზღვრად, წარმოადგენდა თუ არა მსჯავრდებული კვლავაც საშიშროებას, უნდა განხილულიყო გონიერი ინტერვალებით და ორი წელი განხილვებს შორის ზედმეტად დიდი შუალედი იყო.¹¹⁷⁵

მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.¹¹⁷⁶ საჩივრის განხილვის შედეგად სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) ძალაში დატოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს (შემდგომ – ადგილობრივი საბჭო) გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ან მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ; ბ) სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავალოს მას სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა; გ) ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავალოს მას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ ან მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.¹¹⁷⁷

ამ საკითხებს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო ადგილობრივი საბჭოს ადგილსამყოფლის მიხედვით.¹¹⁷⁸ 2022 წელს სასამართლოში გასაჩივრდა ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული 176 გადაწყვეტილება, რომელთაგან 18-ზე

¹¹⁷² N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 426-427.

¹¹⁷³ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 921.7.

¹¹⁷⁴ ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hirst v. United Kingdom), 24 ივლისი 2001 წელი.

¹¹⁷⁵ D. van Zyl Smit and Sonja Snacken, Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011, p. 332.

¹¹⁷⁶ საქართველო კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 91.6.

¹¹⁷⁷ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 27¹.1.

¹¹⁷⁸ იქვე, მუხლი 27¹.3.

შეწყდა საქმის წარმოება, 57 იყო მიმდინარე, 29 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 66 არ დაკმაყოფილდა და 6 სრულად დაკმაყოფილდა; 2023 წელს სასამართლოში გასაჩივრდა ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული 157 გადაწყვეტილება, რომელთაგან 4-ზე შეწყდა საქმისწარმოება, 71 იყო მიმდინარე, 11 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 60 არ დაკმაყოფილდა და 9 სრულად დაკმაყოფილდა.¹¹⁷⁹

ყოველი მსჯავრდებულისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ფლობას გათავისუფლების მექანიზმისა და შესაძლო თარიღის შესახებ. მსჯავრდებულისთვის გათავისუფლება, თუნდაც ეს პირობითი იყოს, აღიქმება თავისუფლების ხელახალ მოპოვებად, რაც მისი უფლებების მნიშვნელოვანი ელემენტია.¹¹⁸⁰

პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ ევროპის საბჭოს (2003)22 რეკომენდაციით დადგენილი კრიტერიუმები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მე-20 წესს, რომლის თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლების კრიტერიუმები ისე უნდა იყოს გამოყენებული, რომ ამ უფლებას ანიჭებდეს ყველა მსჯავრდებულს, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმორჩილი მოქალაქის მინიმალურ მოთხოვნებს.

პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შეზღუდვის, უარყოფითი ეფექტის შემცირებისა და მსჯავრდებულის რეინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით.¹¹⁸¹ ამ მხრივ გამორჩეულ ყურადღებას იქცევს ის სპეციფიკა, რაც დაკავშირებულია ისეთი განსაკუთრებული კატეგორიის მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან, როგორებიც არიან უვადო, არასრულწლოვანი, ქალი და უცხო ქვეყნის მოქალაქე თავისუფლებააღკვეთილი პირები.

უვადოდ თავისუფლების აღკვეთა ყველაზე მძიმე ხასიათის სანქციაა, რომელიც შეიძლება განესაზღვროს იმ იურისდიქციებში, რომლებშიც ან კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, ან ამჯობინებენ, არ გამოიყენონ სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯის, როგორც სანქციის, არარსებობის პირობებში უვადოდ თავისუფლების აღკვეთას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც მაქსიმალური სადამსჯელო სასჯელი. მართალია, სხვადასხვა ქვეყანაში უვადოდ თავისუფლების აღკვეთას განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, ერთი საერთო მახასიათებელი, რაც აქვს, არის მისი განუსაზღვრელობა. სინამდვილეში, უმეტეს ევროპულ იურისდიქციაში მხოლოდ რამდენიმე უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მოიხდის სასჯელს სრულად. მათი დიდი უმრავლესობა დაუბრუნდება საზოგადოებას, როგორც წესი, გარკვეული ზედამხედველობის დაწესებით და, შესაბამისად, სასჯელის დაგეგმვა აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.¹¹⁸²

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისათვის უვადოდ თავისუფლების აღ-

¹¹⁷⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი #43754/01, 14.02.2024.

¹¹⁸⁰ Van Zyl Smit D., Snacken S., Principles of European prison law and policy, Oxford University Press. Inc., New York, 2009, 316.

¹¹⁸¹ იქვე.

¹¹⁸² Coyle A., A Human Rights Approach to Prison Management, 2nd ed., International Centre for Prison Studies, London, 2009, 151.

კვეთა განუსაზღვრელი სასჯელია, რაც გულისხმობს მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთაში ყოლას მისი დარჩენილი სიცოცხლის ბოლომდე, ან იმ დრომდე, სანამ სასამართლო, კვაზისასამართლო, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანო კომპეტენტურად შეაფასებს, რომ მსჯავრდებულის ფართო საზოგადოებისთვის რისკის მატარებელი აღარ არის და გაათავისუფლებს მას.

სასჯელის მოხდის მინიმალური ვადა პირობით ვადამდე გასათავისუფლებლად განსხვავდება ქვეყნებს შორის. მაგალითად, ყველაზე მცირე პერიოდია 12 წელი (დანასა და ფინეთში) და 15 წელი (ავსტრიაში, ბელგიაში, გერმანიაში და შვეიცარიაში), ხოლო ხანგრძლივი – 40 წელი (თურქეთში, რამდენიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში). იმ ქვეყნების უმრავლესობა, რომელთაც სანქციათა ჩამონათვალში აქვთ უვადოდ თავისუფლების აღკვეთა, პირობით ვადამდე გაათავისუფლებისთვის მოსახდელ მინიმალურ ვადად 20-იდან 30 წლამდე პერიოდს აწესებს. გაერთიანებულ სამეფოში საქმის განმხილველი მოსამართლე ადგენს იმ მინიმალურ ვადას (ე. წ. „ტარიფს“), რისი მოხდის შემდეგ იხილება უვადოდ თავისუფლებაღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გაათავისუფლების საკითხი. კანონმდებლობა არ ადგენს ამ ვადის მინიმალურ ზღვარს. ზოგ ქვეყანაში (ბულგარეთი, ლიეტუვა, მალტა, ნიდერლანდები და, ზოგიერთი დანაშაულისთვის, უნგრეთი, სლოვაკეთი და თურქეთი) არ მოქმედებს პირობით ვადამდე გაათავისუფლების მექანიზმი უვადოდ თავისუფლებააღკვეთილებთან მიმართებით. უვადოდ თავისუფლების აღკვეთა პირდაპირ სიცოცხლის ბოლომდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს. იმავდროულად, ევროპის საბჭოს რამდენიმე ქვეყანას (ანდორა, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, მონტენეგრო, პორტუგალია, სან-მარინო, სერბეთი, სლოვენია და ესპანეთი) საერთოდ არ აქვს სასჯელთა ჩამონათვალში უვადოდ თავისუფლების აღკვეთა. სანაცვლოდ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მათ გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის სასჯელები აქვთ, რაც, როგორც წესი, 20-იდან 40 წლამდე ვადას მოიცავს.¹¹⁸³

საქართველოს, ბევრი სხვა ევროპული ქვეყნის მსგავსად, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილის საქმის პირობით ვადამდე გასათავისუფლებლად განხილვისათვის დაწესებული ჰქონდა 25-წლიანი ვადა, რაც შემდგომ 20-წლიანი ვადით შეიცვალა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა პირობით ვადამდე გაათავისუფლების საკითხის განმხილველ ორგანოდ სასამართლო განისაზღვრა¹¹⁸⁴ (აღრე ეს ფუნქცია ადგილობრივი საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა). თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადოდ თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 20 წელი და წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის პირის გაათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გამოსაცდელი ვადით (არანა-

¹¹⁸³ 25th General Report of the CPT, 1 January – 31 December 2015, Situation of life-sentenced prisoners, Council of Europe, 2016, 33-34.

¹¹⁸⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72¹.1.

კლებ 2 და არაუმეტეს 7 წლის ვადით).¹¹⁸⁵ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით.¹¹⁸⁶

საქართველოს კანონმდებლობით, უვადოდ თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება შეეფარდოს არასრულწლოვნებს,¹¹⁸⁷ აგრეთვე პირებს, რომელთაც სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის დღისთვის შეუსრულდათ 60 წელი,¹¹⁸⁸ თუმცა ეს სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ქალებს. სხვა იურისდიქციებისგან განსხვავებით, რომლებშიც უვადოდ თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება შეეფარდოს ქალებს, ზოგადად,¹¹⁸⁹ ან ორსულებს,¹¹⁹⁰ საქართველოში ეს გამონაკლისი არ მოქმედებს.

უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული არცერთი კატეგორიის მსჯავრდებულთან მიმართებით. ამგვარი უფლების არარსებობა შეესაბამება არამართო არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, არამედ ხელს უშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე, ადამიანის ღირსების შემლახველია; მისივე განმარტებით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება ადამიანის ღირსების შესაბამისი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს გათავისუფლების კონკრეტული და შესაძლებელი მოლოდინი. ადამიანის ღირსება შელახულია, თუ მსჯავრდებული, მისი პირადი განვითარების მიუხედავად, დაკარგავს ოდესმე თავისუფლების დაბრუნების ყველანაირ იმედს.¹¹⁹¹

როგორც აღინიშნა, ევროპის საბჭოს რამდენიმე წევრ ქვეყანაში პირს შეიძლება შეეფარდოს უვადოდ თავისუფლების აღკვეთა პირობით ვადამდე გათავისუფლების პერსპექტივის გარეშე. ამას „რეალურ ან სრულ უვადოდ თავისუფლების აღკვეთას“ უწოდებენ.¹¹⁹² წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა გააკრიტიკა ეს პრინციპი ზოგიერთ ქვეყანაში ვიზიტის ამსახველ ანგარიშში და გამონახა სერიოზული შემოთება იმ ფაქტზე, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირი მიჩნეულია აუცილებლად სახიფათო პირად და ჩამორთმეული აქვს პირობით ვადამდე გათავისუფლების ყველანაირი იმედი (გარდა განუკურნებელი სენით დაავადებისას ან შეწყალებით მიღებული თავისუფლებისა). წამების პრევენციის

¹¹⁸⁵ იქვე, მუხლი 64.2.

¹¹⁸⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72¹.1.

¹¹⁸⁷ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 66.

¹¹⁸⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 51.2.

¹¹⁸⁹ მოლდოვის სისხლის სამართლის კოდექსი, 18.04.2002, მუხლი 71.3.

¹¹⁹⁰ სომხეთის სისხლის სამართლის კოდექსი, 18.04.2003, მუხლი 60.2.

¹¹⁹¹ გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი, 2008 წელი, გვ. 48-49.

¹¹⁹² 25th General Report of the CPT, 1 January – 31 December 2015, Situation of life-sentenced prisoners, Council of Europe, 2016, 37.

ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ ადამიანის მთელი სიცოცხლის ვადით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსება, გათავისუფლების რაიმე რეალური შესაძლებლობის გარეშე, არის არაადამიანური მოპყრობა. იმ ადამიანებსაც კი, რომლებიც პასუხისგებაში მიეცნენ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ (ან სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის (მაგალითად, გენოციდი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები), შეუძლიათ, გარკვეულ ეტაპზე გათავისუფლდნენ პირობით ვადამდე.¹¹⁹³

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი ადრე თუ გვიან უნდა გათავისუფლდეს. საზოგადოების დაცულობა უდავოდ მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, თითოეული სასჯელი, გარკვეულ ეტაპზე, უნდა დაექვემდებაროს სერიოზულ განხილვას, რაც უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმვას, სასჯელის მოხდის დასაწყისში განსაზღვრულ მიზნებს და თუ პირველი განხილვა არ დასრულდა (პირობით ვადამდე) გათავისუფლებით, საქმე შემდგომ რეგულარულ განხილვას უნდა დაექვემდებაროს. ეს არა მხოლოდ იმედს ჩაუსახავს მსჯავრდებულს, არამედ განუსაზღვრავს მიზნად კარგად ქცევის მოტივაციას. ეს, აგრეთვე, ხელს შეუწყობს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციას, ეფექტიანად აწარმოოს ურთიერთობა მსჯავრდებულებთან, განსხვავებით სიტუაციისა, როდესაც მსჯავრდებულს არა აქვს არც გათავისუფლების იმედი და შესაბამისად, „არც არაფერი დასაკარგი“.¹¹⁹⁴ ბოლო წლების განმავლობაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმეები, რომელთა მიხედვით, ადგილობრივმა სასამართლოებმა კონკრეტულ პირებს მიუსაჯეს უვადოდ თავისუფლების აღკვეთა პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე და რომლებშიც განუკურნებელი სენით დაავადება ან განსაკუთრებული საგამონაკლისო გარემოებები არ იქნა გათვალისწინებული, რის საფუძველზეც უვადოდ თავისუფლების აღკვეთა სიცოცხლის ბოლომდე თავისუფლების აღკვეთის ტოლფასად იქნა მიჩნეული. დიდი პალატის მიერ მიღებული ყველაზე ცნობილი გადაწყვეტილება საქმეზე – ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ¹¹⁹⁵ – ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ადამიანის ღირსებასთან სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეუთავსებლობას, რაც დამნაშავის თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ამ უფლების ოდესმე აღდგენის შანსის მიცემის გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების არქონა. საქმეში - ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ - სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთი უვადო თავისუფლების აღკვეთის დაკისრებამ, რომელიც გამორიცხავს სხვა სახის სასჯელით შეცვლის შესაძლებლობას, შეიძლება წამოჭრას კონვენციის

¹¹⁹³ იქვე.

¹¹⁹⁴ იქვე.

¹¹⁹⁵ Vinter and Others v. the UK [GC], nos. 66069/09, 130/10 and 3896/10, 09.07.2013. სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები: Törköly v. Hungary, nos. 4413/06, 05.04.2011; Čačko v. Slovakia, nos. 49905/08, 22.07.2014.

მე-3 მუხლით დაცული უფლების დარღვევის საკითხი.¹¹⁹⁶

საქმეში - კაფკარისი კვიპროსის წინააღმდეგ - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის წინაშე დადგა უვადო თავისუფლების აღკვეთით კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი, რადგან განმცხადებელს არ ჰქონდა გათავისუფლების შესაძლებლობა. თუმცა, სასამართლომ თავი აარიდა საკითხს, განაცხადა რა, რომ საქმის ზოგიერთი ფაქტის ვიწრო ინტერპრეტაციის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო იმის თქმა, რომ კაფკარისს არ ჰქონდა გათავისუფლების შესაძლებლობა.¹¹⁹⁷

კაფკარისის საქმეში რამდენიმე აშკარა მინიშნებაა იმის თაობაზე, რომ თუ სამომავლოდ სასამართლოს წინაშე დადგება შეუმცირებადი უვადო თავისუფლების აღკვეთის საკითხი, იგი მიიჩნევს აღნიშნულს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. მტკიცებულების ნიშნად შეიძლება მოვიშველიოთ სასამართლოს განცხადება, რომლის თანახმად „მე-3 მუხლის მიზნებისთვის საკმარისია ის გარემოება, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა *de jure* და *de facto* შემცირებადია“.¹¹⁹⁸ აღნიშნული პოზიცია კიდევ უფრო გამყარებულ იქნა მოსამართლე ბრატცას განსხვავებულ აზრში, სადაც მან განაცხადა, რომ „დადგა დრო, როდესაც სასამართლომ დიად უნდა დაადასტუროს, რომ შეუმცირებადი უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯა, თუნდაც სრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის, პრინციპში ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს“.¹¹⁹⁹

მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა, გამოსაცდელ ვადაში: ა) განზრახ თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, სასამართლო უფლებამოსილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ორგანოების წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს გამოსაცდელი ვადა და აღსრულდეს უვადო თავისუფლების აღკვეთა; ბ) გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა, გამოსაცდელი ვადის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო; გ) განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უნიშნავს მას სასჯელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით დადგენილი წესით. იმავე წესით დაენიშნება მსჯავრდებულს სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ სასამართლო გაუქმებს გამოსაცდელ ვადას.¹²⁰⁰

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)23 რეკომენდაცია უფრო შორს წავიდა, დაადგინა რა სტანდარტი, რომლის თანახმად, თუ პირობით გათავისუფლების გაუქმების შემდეგ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი დაბრუნდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მის მიმართ ხელახლა უნდა განისაზღვროს პროგრამები მისი საზოგადოებაში ხელახალი დამკვიდრების მომზადების მიზნით.¹²⁰¹ ამ კუთხით საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მო-

¹¹⁹⁶ ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Einhorn v. France), 16 ოქტომბერი 2001 წელი, 27-ე პუნქტი.

¹¹⁹⁷ D. van Zyl Smit and Sonja Snacken, Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011, p. 331.

¹¹⁹⁸ კაფკარისი კვიპროსის წინააღმდეგ (Kafkaris v. Cyprus), 12 თებერვალი 2008 წელი, 98-ე პუნქტი.

¹¹⁹⁹ იქვე, მოსამართლე ბრატცას განსხვავებული აზრი (შიდა პარაგრაფების გარეშე).

¹²⁰⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72¹.

¹²⁰¹ პუნქტი 35.

წინავე საქმე - სტაფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.¹²⁰² აღნიშნულ საქმეში განმცხადებელი, რომელიც დამნაშავედ იქნა ცნობილი მკვლელობაში, პირობით ვადამდე გათავისუფლდა უვადო თავისუფლების აღკვეთისგან. საზოგადოებაში დაბრუნების შემდეგ მას არაძალადობრივი და წინა დანაშაულთან კავშირის არმქონე ახალი დანაშაულის ჩადენისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. განსახილველი საკითხი ეხებოდა იმას, უნდა გაეგრძელებინა თუ არა მას თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდა მას შემდეგ, რაც მეორე დანაშაულის ჩადენისათვის განკუთვნილი ვადა ამოიწურებოდა იმ საფუძველზე, რომ მან დაარღვია პირობით ვადამდე გათავისუფლებით ნაკისრი პირობა. სასამართლოს მიერ არსებითად იქნა მხარდაჭერილი პოზიცია, რომლის მიხედვითაც თაღლითობის, არაძალადობრივი დანაშაულის, ჩადენა არ წარმოადგენს ჩადენილი მკვლელობისთვის თავისუფლების აღკვეთის სახით შემდგომი სასჯელის მოხდის საფუძველს.¹²⁰³

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის დადგენილი სასჯელის მოხდის მინიმალური ვადა პირობით ვადამდე გათავისუფლების მოპოვებისთვის განსხვავებულია სრულწლოვანი მსჯავრდებულებისგან. კერძოდ, არასრულწლოვანი მსჯავრდებული პირობით ვადამდე ადრე შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან მოიხადა: ა) სასჯელის 1/3 ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის; ბ) სასჯელის 1/2 – მძიმე დანაშაულისთვის; და გ) სასჯელის 2/3 – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის.¹²⁰⁴ საქართველოს კანონმდებლობით შექმნილია სპეციალური ადგილობრივი საბჭო, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება მხოლოდ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა.¹²⁰⁵ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი საბჭოს ერთ წევრს მაინც დამატებით უნდა ჰქონდეს არასრულწლოვნებთან მუშაობის სათანადო გამოცდილება ან/და სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.¹²⁰⁶

სრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან განსხვავებით, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო ყოველ 3 თვეში ერთხელ განიხილავს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეებს.¹²⁰⁷

საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა მსჯავრდებული ქალებისთვის სრულწლოვანი მსჯავრდებული მამაკაცებისთვის დადგენილი სისტემის მსგავსია. მიუხედავად ამისა, არის რიგი განსხვავებები, რაც ქალების სპეციფიკურ საჭიროებებთანაა დაკავშირებული. საქართველოს პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა შემდეგი სახის განსხვავებებს იცნობს მსჯავრდებულ ქალებთან მიმართებით: ა) მსჯავრდებულ ქალთა პირობით ვადამდე გათავი-

¹²⁰² სტაფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Stafford v. United Kingdom), 28 მაისი, 2002 წელი.

¹²⁰³ D. van Zyl Smit and Sonja Snacken, Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011, p. 333

¹²⁰⁴ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 95.1.

¹²⁰⁵ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №138 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების თაობაზე, 19.10.2015, მუხლი 3-ის „დ“ ქვეპუნქტი.

¹²⁰⁶ იქვე, მუხლი 4.8.

¹²⁰⁷ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 95.9.

სუფლების განსახილველად სპეციალურად შექმნილი ადგილობრივი საბჭო ფუნქციონირებს;¹²⁰⁸ ბ) მსჯავრდებულ ქალთა საქმეების განმხილველი საბჭოს ერთ წევრს მაინც დამატებით უნდა ჰქონდეს სპეციალური მომზადება ან/და სამუშაო გამოცდილება გენდერულ საკითხებზე და პატიმარი ქალების უფლებებთან დაკავშირებით;¹²⁰⁹ გ) მსჯავრდებული ქალის საქმის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებს, მათ შორის, ქალის, როგორც დედის, როგორც ოჯახში.¹²¹⁰

უცხოელი მსჯავრდებულები, სხვა მსჯავრდებულების მსგავსად, სარგებლობენ პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლებით და არ უნდა მოხდეს მათი დისკრიმინირება ამ კუთხით.¹²¹¹ არსებითად თანასწორი მოპყრობის უზრუნველსაყოფად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ დადებითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას უცხოელი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განსახილველად, რათა ამ უკანასკნელთ შეძლონ, ისარგებლონ ამგვარი გათავისუფლებით.¹²¹² მაგალითად, ღონისძიებები უნდა გატარდეს, რომ თავისუფლების აღკვეთა უსაფუძვლოდ არ გაჭიანურდეს საიმიგრაციო სტატუსის ვადის ამოწურვის მიუხეობით.¹²¹³ იმის გათვალისწინებით, რომ უცხოელი მსჯავრდებული შეიძლება იყოს საიმიგრაციო ან სხვა პროცედურების ობიექტი, ყურადღება უნდა გამახვილდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადაწყვეტილებების მიღების უსაფუძვლო ბიუროკრატიული გაჭიანურებები და უზრუნველყოფილი იყოს კოორდინაცია შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის.¹²¹⁴

პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ხასიათის უცხოელ მსჯავრდებულებთან მიმართებით, იგი მიღებულ უნდა იქნეს ინდივიდუალური საქმის გარემოებების გათვალისწინებით. მხოლოდ საკუთრების ან ოჯახთან კავშირის არარსებობა არ უნდა განდეს პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის საფუძველი. ამგვარ გათავისუფლებაზე უარი დამატებით ფაქტორებს უნდა ეფუძნებოდეს, როგორებიცაა, მაგალითად: ყალბი პასპორტის ქონა, ყალბი სახელის გამოყენება, საპატიმროში გადაყვანისგან თავის არიდების წინარე მცდელობები. რისკების გათვალისწინებით გადაწყვეტილებების მიღება თითოეულ საქმეზე ინდივიდუალურად უნდა ხდებოდეს.¹²¹⁵

ზოგიერთ ქვეყანაში უცხოელი მსჯავრდებული შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს მაშინაც კი, თუ გათავისუფლების შემდეგ ის დაექვემდებარება

¹²⁰⁸ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება № 138 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების თაობაზე, 19.10.2015, მუხლი 3-ის „ე“ ქვეპუნქტი.

¹²⁰⁹ იქვე, მუხლი 4.8.

¹²¹⁰ იქვე, მუხლი 20.3.

¹²¹¹ Council of Europe Recommendation CM/Rec(2012)12 concerning Foreign Prisoners, Rule 36.1.

¹²¹² European Committee on Crime Problems (CDPC), Commentary to CM/Rec(2012)12 concerning Foreign Prisoners, Rule 35, 06.09.2012.

¹²¹³ Council of Europe Recommendation CM/Rec(2012)12 concerning Foreign Prisoners, Rule 36.2.

¹²¹⁴ European Committee on Crime Problems (CDPC), Commentary to CM/Rec(2012)12 concerning Foreign Prisoners, Rule 36, 06.09.2012.

¹²¹⁵ იქვე.

ქვეყნიდან გაძევებას. უფრო მეტიც, უცხოელი მსჯავრდებულები უნდა დაექვემდებარონ ვადამდე გათავისუფლების ყველა მექანიზმს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მცირეწლოვანი ბავშვების მშობლები არიან. უცხოელ მსჯავრდებულებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი სამართლებრივ კონსულტაციასა და დახმარებაზე, რათა სრულფასოვნად აღიქვან და მიიღონ მონაწილეობა მათი გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღების პროცესში.¹²¹⁶

ნიდერლანდებში განასხვავებენ უცხოელ პატიმართა სხვადასხვა კატეგორიას: პირველს განეკუთვნებიან პატიმრები, რომლებიც უსაფრთხოებისა და იუსტიციის მინისტრის ან ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ მიკუთვნებული არიან „არასასურველ უცხოელთა“ კატეგორიას. ეს პატიმრები ნიდერლანდის უკანონო რეზიდენტები არიან, რომელთაც განმეორებით ჩაიღინეს დასჯადი ქმედება ან კანონიერი რეზიდენტები, რომელთაც ჩაიღინეს 3 ან მეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას დაქვემდებარებული დანაშაული. პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში, ხდება მათი ქვეყნიდან მყისიერი დეპორტირება; მეორე კატეგორიას ის უცხოელი პატიმრები მიეკუთვნებიან, რომლებიც გასამართლდნენ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის. ასეთ შემთხვევაში უსაფრთხოებისა და იუსტიციის მინისტრი ან ადმინისტრაციული სასამართლო უფლებამოსილია, მაგრამ ვალდებული არაა, მიაკუთვნოს ისინი უკანონო უცხოელებს და დაატოვებინოს ქვეყანა; და ბოლოს, არიან უცხოელი პატიმრები, რომლებიც არ კარგავენ ნიდერლანდებში ცხოვრების უფლებას, რაც მათ კანონიერად მინიჭებული აქვთ. ისინი იმავე პირობებს ექვემდებარებიან, რასაც ნიდერლანდების მოქალაქე პატიმრები.¹²¹⁷

საქართველოში 2015-2016 წლებში მხოლოდ 4 უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულის მიმართ გადაწყდა დადებითად პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი (უცხოელ მსჯავრდებულთა 1%).¹²¹⁸

უცხოელი მსჯავრდებული, ვინც პირობით ვადამდე გათავისუფლდა, ვალდებულია კანონმდებლობით, დაექვემდებაროს საქართველოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) ზედამხედველობას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მთელი ვადის განმავლობაში.¹²¹⁹ პირობით ვადამდე გათავისუფლებულ უცხოელ მსჯავრდებულს საქართველოს საზღვრების დატოვება პრობაციის შესაბამისი ბიუროს ხელმძღვანელის ნებართვით (სააგენტოს უფროსთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე) შეუძლია.¹²²⁰ ასეთ შემთხვევაში, მსჯავრდებული ვალდებულია, გადაიხადოს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი დადგენილი საფასური: 700 ლარი 1 თვემდე ვადით საზღვარგარეთ გამგზავრებისას, 1200 ლარი 1-დან 2 თვემდე ვადით გამგზავრებისას, 1500 ლარი 2-დან 4 თვემდე ვადით გამგზავრები-

¹²¹⁶ იქვე.

¹²¹⁷ Padfield N., Van Zyl Smit D., Dunkel F., Release from Prison - European Policy and Practice, Willan Publishing, Devon, UK, 2010, 306-307.

¹²¹⁸ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წერილი, MOC 41700415021, 02.06.2017.

¹²¹⁹ საქართველოს კანონი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, 19.06.2007, მუხლი 12.1.

¹²²⁰ იქვე, მუხლი 14.1.

სას, 2000 ლარი 4-დან 6 თვემდე ვადით გამგზავრებისას, 2700 ლარი 6-დან 9 თვემდე ვადით გამგზავრებისას და 3500 ლარი 9-დან 12 თვემდე ვადით გამგზავრებისას.¹²²¹ საქართველოს საზღვრებს გარეთ ყოფნისას მსჯავრდებულს შეუძლია, ჩამოსვლელად გაიხანგრძლივოს ეს ვადა, თუ სათანადო თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება პრობაციის ბიუროს.¹²²²

ბოლო წლებში მთავარი ყურადღება გადატანილია აღკვეთის ღონისძიებებისა და სასჯელის შეფარდების საკითხებზე და, ფაქტობრივად, ყურადღების მიღმა დარჩა პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უკან შებრუნების საკითხი. დაუმზებელია უკან შებრუნების ტექნიკურად იზოლირება სასჯელის შეფარდების პოლიტიკისა და პრაქტიკისაგან, რამეთუ ვადამდე გათავისუფლების კონტექსტის სრულყოფილად აღქმა შეუძლებელია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის შებრუნების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და დადგენილი პირობების დარღვევის პრაქტიკის გათვალისწინების გარეშე.¹²²³

2018-2023 წლების სტატისტიკა ადასტურებს, რომ საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმება და მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის შებრუნება ხშირად არ ხდება. ამის მტკიცებულება ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:¹²²⁴

პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის აღსრულების სტატისტიკა წლების მიხედვით	შუამდგომლობის დაკმაყოფილება
2018	0
2019	0
2020	6
2021	8
2022	5
2023	4
ჯამი	23

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლება ეხება არასაპატიმრო სასჯელის მქონე პირებსაც. კერძოდ, პირი, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან შინაპა-

¹²²¹ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება #89 არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის სააღსრულებო წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 11.07.2016, მუხლი 15.2¹.

¹²²² იქვე, მუხლი 15.4.

¹²²³ B. Weaver, C. Tata, M. Munro, M. Barry, The Failure of Recall to Prison: Early Release, Front-Door and Back-Door Sentencing and the Revolving Prison Door in Scotland, European Journal of Probation, Vol. 4, N1, 2012, 85-98, [www.ejprob.org].

¹²²⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი #43754/01, 14.02.2024.

ტიმრობა, შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, ხოლო პირი, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. ამასთანავე, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.¹²²⁵

12.2.3. ამნისტია და შეწყალება

ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ან/და მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.¹²²⁶

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში (მე–20 საუკუნის დასასრულიდან) ოცდაერთი ამნისტიის კანონი იქნა მიღებული.¹²²⁷ მათ შორის, ყველაზე მასობრივი ხასიათის ამნისტია საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებული კანონი იყო, რომლის საფუძველზეც საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლდა 8718 ბრალდებული/მსჯავრდებული (მათ შორის, 8260 მამაკაცი, 433 ქალი და 25 არასრულწლოვანი მამაკაცი), საპატიმრო სასჯელი გაუნახვერდა 769 ბრალდებულს/მსჯავრდებულს (მათ შორის, 740 მამაკაცს, 12 ქალს და 17 არასრულწლოვან მამაკაცს) და საპატიმრო სასჯელი შეუმცირდა 8231 ბრალდებულს/მსჯავრდებულს (მათ შორის, 7829 მამაკაცს, 378 ქალს და 24 არასრულწლოვან მამაკაცს).¹²²⁸ ამნისტია საერთო ჯამში შეეხო 17718 ბრალდებულსა და მსჯავრდებულს.¹²²⁹

იმავ კანონით პირობითი მსჯავრი მოეხსნა 17876 მსჯავრდებულს (მათ შორის, 16449 მამაკაცს, 1172 ქალს და 166 არასრულწლოვანს (მათ შორის, 156 მამაკაცს და 10 ქალს)), გაუნახვერდა 2803 მსჯავრდებულს (მათ შორის, 2436 მამაკაცს, 203 ქალს და 154 არასრულწლოვანს (მათ შორის, 150 მამაკაცს და 4 ქალს)) და შეუმცირდა 8517 მსჯავრდებულს (მათ შორის, 7777 მამაკაცს, 646 ქალს და 15 მამაკაც არასრულწლოვანს).¹²³⁰ ამნისტია საერთო ჯამში შეეხო 29916 პირობით მსჯავ-

¹²²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72.1.

¹²²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 77.2.

¹²²⁷ 1991 წლიდან 2024 წლამდე, იხ. ს.ს.ი.პ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი: www.matsne.gov.ge

¹²²⁸ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილი MCLA 3 13 00014973, 26.08.2013.

¹²²⁹ იქვე.

¹²³⁰ იქვე.

ვრდებულს.¹²³¹ დანაშაულის კატეგორიის მიხედვით, ამნისტირებულ პირობით მსჯავრდებულთა მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: პირობითი მსჯავრი მოეხსნა 10280 ნაკლებად მძიმე, 3271 მძიმე და 4325 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს; პირობითი მსჯავრი გაუნახევრდა 249 ნაკლებად მძიმე, 2137 მძიმე და 417 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს; პირობითი მსჯავრი შეუმცირდა 1295 ნაკლებად მძიმე, 6018 მძიმე და 1204 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს.¹²³²

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს რეფერენდუმის მოწყობას ამნისტიისა და შეწყალების გამო. კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულთა შეწყალება საქართველოს პრეზიდენტის უშუალო კომპეტენციას წარმოადგენს. შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესით. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ან/და მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. სასჯელმოხდის შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.¹²³³

წინა ქვეთავში (იხ. ქვეთავი 12.2.2. „სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა“) აღინიშნა, რომ საქართველოში 2012 წლამდე პრეზიდენტის შეწყალებით გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა აღემატებოდა პირობით ვადამდე გათავისუფლებულ და ამნისტიის შედეგად თავისუფლების აღკვეთისგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა რაოდენობას.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2012 წელს პრეზიდენტმა შეიწყალა 2289 პირი (მათ შორის, 2165 მამაკაცი, 118 ქალი და 6 არასრულწლოვანი). შეწყალების აქტით 1832 მსჯავრდებული გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან (მათ შორის, 1732 მამაკაცი, 96 ქალი და 4 არასრულწლოვანი), 306 სასჯელი შეუმსუბუქდა (მათ შორის, 290 მამაკაცს, 14 ქალს და 2 არასრულწლოვანს) და 151 მსჯავრდებულს მოეხსნა პირობითი მსჯავრი (მათ შორის, 143 მამაკაცს და 8 ქალს).¹²³⁴ 2013 წელს (9 აგვისტოს მდგომარეობით) პრეზიდენტმა შეიწყალა 658 მსჯავრდებული (მათ შორის, 623 მამაკაცი, 30 ქალი და 5 არასრულწლოვანი). შეწყალების აქტით 480 მსჯავრდებული გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან (მათ შორის, 461 მამაკაცი და 14 ქალი და 5 არასრულწლოვანი), 122 სასჯელი შეუმსუბუქდა (მათ შორის, 112 მამაკაცს და 10 ქალს) და 56 მსჯავრდებულს მოეხსნა პირობითი მსჯავრი (მათ შორის, 50 მამაკაცს და 6 ქალს).¹²³⁵

2014-2023 წლებში შეწყალების სტატისტიკა შემდეგია:¹²³⁶

¹²³¹ იქვე.

¹²³² იქვე.

¹²³³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 78.

¹²³⁴ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილი MCLA 3 13 00014973, 26.08.2013.

¹²³⁵ იქვე.

¹²³⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი #43754/01, 14.02.2024.

საფუძველი	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
2014 წელი							
საპატიმრო სასჯელისგან გათავისუფლება	526	17	543	12	0	12	555
სხვა შეღავათი	210	6	216	16	0	16	232
სულ	736	23	759	28	0	28	787
2015 წელი							
საპატიმრო სასჯელისგან გათავისუფლება	691	37	728	10	0	10	738
სხვა შეღავათი	233	23	256	12	0	12	168
სულ	924	60	984	22	0	22	1006
2016 წელი							
საპატიმრო სასჯელისგან გათავისუფლება	532	42	574	3	0	3	577
საპატიმრო სასჯელისგან შემდგომი გათავისუფლება	5	0	5	2	0	2	7
სხვა შეღავათი	237	10	247	3	0	3	250
სულ	774	52	826	8	0	8	834
2017 წელი							
საპატიმრო სასჯელისგან გათავისუფლება	507	37	544	2	0	2	546
საპატიმრო სასჯელისგან შემდგომი გათავისუფლება	5	0	5	3	0	3	8
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა	1	0	1	0	0	0	1
სხვა შეღავათი	275	9	284	1	0	1	285
სულ	788	46	834	6	0	6	840
2018 წელი							
საპატიმრო სასჯელისგან გათავისუფლება	304	12	316	1	0	1	317
საპატიმრო სასჯელისგან შემდგომი გათავისუფლება	7	0	7	2	0	2	9
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა	0	0	0	0	0	0	0
სხვა შეღავათი	236	15	251	7	0	7	258
სულ	547	27	574	10	0	10	584
2019 წელი							
საპატიმრო სასჯელისგან გათავისუფლება	41	5	46	1	0	1	47
საპატიმრო სასჯელისგან შემდგომი გათავისუფლება	0	0	0	0	0	0	0
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა	1	0	1	0	0	0	1
სხვა შეღავათი	1	2	3	0	0	0	3
სულ	43	7	50	0	0	0	51
2020 წელი							
საპატიმრო სასჯელისგან გათავისუფლება	10	10	20	0	0	0	20
საპატიმრო სასჯელისგან შემდგომი გათავისუფლება	0	0	0	0	0	0	0
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა	0	0	0	0	0	0	0
სხვა შეღავათი	1	0	1	0	0	0	1
სულ	11	10	21	0	0	0	21

2021 წელი							
საპატიმრო სასჯელისგან გათავისუფლება	20	7	27	0	0	0	27
საპატიმრო სასჯელისგან შემდგომი გათავისუფლება	0	0	0	0	0	0	0
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა	0	0	0	0	0	0	0
სხვა შეღავათი	12	5	17	0	0	0	17
სულ	32	12	44	0	0	0	44
2022 წელი							
საპატიმრო სასჯელისგან გათავისუფლება	36	10	46	0	0	0	46
საპატიმრო სასჯელისგან შემდგომი გათავისუფლება	0	0	0	0	0	0	0
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა	0	0	0	0	0	0	0
სხვა შეღავათი	10	0	10	0	0	0	10
სულ	46	10	56	0	0	0	56
2023 წელი							
საპატიმრო სასჯელისგან გათავისუფლება	39	7	46	0	0	0	46
საპატიმრო სასჯელისგან შემდგომი გათავისუფლება	1	0	1	0	0	0	1
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა	0	0	0	0	0	0	0
სხვა შეღავათი	6	7	13	0	0	0	13
სულ	46	14	60	0	0	0	60

შენიშვნა: ტერმინი „სხვა შეღავათი“ მოიცავს საპატიმრო სასჯელის განახევრებას, საპატიმრო სასჯელის შემცირებას, პირობითი მსჯავრის მოხსნას.

პრეზიდენტის მიერ შეწყალების განხორციელება ხდება 26/11/2019 №556 ბრძანებულებით „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში – წესი). წესი განსაზღვრავს მსჯავრდებულის შეწყალების პირობებსა და პროცედურას.¹²³⁷

წესი ადგენს იმ პირთა წრეს ვის მიმართ გამოიყენება და არ გამოიყენება შეწყალება. კერძოდ, შეწყალება გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე; იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია სხვა სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.¹²³⁸

შეწყალება არ გამოიყენება იმ მსჯავრდებული პირის მიმართ: ა) რომელსაც შეეფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი არა აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის სახით 15 წელი; ბ) რომელიც მსჯავრდებულია ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენისათვის და მოხდილი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ნახევარი; გ) რომელიც მსჯავრდებულია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, შეფარდებული აქვს თა-

¹²³⁷ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #556 „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“, 26.11.2019, მუხლი 1.1.

¹²³⁸ იქვე, მუხლი 2.2.

ვისუფლებების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით და მოხდელი არა აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი; დ) რომელიც მსჯავრდებულია არაუმეტეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთით და მოხდელი არა აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ერთი მეოთხედი; ე) რომელიც იყო მსჯავრდებული წინათ და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული და არა აქვს მოხდელი პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი; ვ) რომლის მიმართ წინათ გამოყენებულ იქნა ამნისტია ან შეწყალება და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული და მოხდელი არა აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი; ზ) რომელიც სასჯელს იხდის პირობითი მსჯავრდებისას სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩადენილი განზრახი დანაშაულისათვის და მოხდელი არა აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი; თ) რომელიც სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა პირობით ვადამდე და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული და მოხდელი არა აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი; ი) რომლის საქმის განხილვა არ არის დასრულებული საქართველოს სამივე ინსტანციის საერთო სასამართლოში ან თუ არ არის გასული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი ვადა; კ) რომელიც არ ითხოვს შეწყალებას.¹²³⁹

საქართველოს პრეზიდენტისადმი შეწყალების თხოვნით მიმართვის უფლება აქვს პირს, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე, იმ პირს, რომელიც მსჯავრდებულია სხვა სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ან სხვა ნებისმიერ პირს. შეწყალების თხოვნას კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციაში ატარებს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რის შემდეგაც შეწყალების თხოვნა გადაეცემა პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს (შემდგომში - სამსახური).¹²⁴⁰ შეწყალების თხოვნის დარეგისტრირებიდან ერთ თვეში სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი უწყებებიდან სათანადო დოკუმენტების გამოთხოვას, რომელთა საფუძველზეც ამზადებს შეწყალების საქმეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსახილველად.¹²⁴¹ დოკუმენტების გამოთხოვის თაობაზე სამსახურის თხოვნის მიღებიდან ორ კვირაში შესაბამისი უწყება უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტაციის სამსახურში გადაგზავნას.¹²⁴²

¹²³⁹ იქვე, მუხლი 2.3.

¹²⁴⁰ იქვე, მუხლი 3.1.

¹²⁴¹ იქვე, მუხლი 3.2.

¹²⁴² იქვე, მუხლი 3.3.

პირის შეწყალების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საქართველოს პრეზიდენტი, საჭიროების შემთხვევაში, გაივლის კონსულტაციას შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ან/და დარგის სპეციალისტებთან.¹²⁴³ საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეწყალების თხოვნის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე და/ან ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე.¹²⁴⁴ შეწყალების თაობაზე გამოიცემა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება.¹²⁴⁵ მსჯავრდებულის შეწყალების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება შესასრულებლად დაუყოვნებლივ ეგზავნება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს (შემდეგში – პენიტენციური სამსახური), ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო ცნობისათვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.¹²⁴⁶ შეწყალების საქმე საქართველოს პრეზიდენტს ხელახლა წარედგინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულმა შეწყალების ახალი თხოვნით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის შემდეგ.¹²⁴⁷

12.2.4. ავადმყოფობის და ხანდაზმულობის გამო სასჯელისგან გათავისუფლება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომ - ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია) უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, თუ მას აქვს დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია, ამასთანავე, ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალია.¹²⁴⁸

ავადმყოფობის გამო მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებლად მსჯავრდებული, მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან პენიტენციური დაწესებულების დირექტორი კანონით დადგენილი წესით, საექიმო დასკვნის საფუძველზე მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ მიმართავს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას ან სასამართლოს.¹²⁴⁹

განცხადების დაშვებისათვის აუცილებელია მას თან ერთვოდეს ცნობა მსჯავრდებულის პირადი საქმიდან, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) (სტაციონარული

¹²⁴³ იქვე, მუხლი 5.1.

¹²⁴⁴ იქვე, მუხლი 5.2.

¹²⁴⁵ იქვე, მუხლი 5.3.

¹²⁴⁶ იქვე, მუხლი 8.1.

¹²⁴⁷ იქვე, მუხლი 7.

¹²⁴⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 74.2.

¹²⁴⁹ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 88.1.

ან/და ამბულატორიული), ბარათის ასლი (უახლესი ინფორმაციით და შესაბამისი გამოკვლევებით), ექიმთა კონსილიუმის დასკვნა და სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმის/კლინიკური ხელმძღვანელის მიერ შედგენილი სამედიცინო ცნობა, რომელიც უნდა მოიცავდეს ზოგად ინფორმაციას მსჯავრდებულისათვის ჩატარებული გამოკვლევების, დიაგნოზის, დაავადების მიმდინარეობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის შესახებ, ასევე რეკომენდაციას განცხადების განხილვის შემჭიდროებულ ვადებზე.¹²⁵⁰ ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის #01-6/ნ ბრძანებით, რომლითაც განსაზღვრულია იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველია.¹²⁵¹

გამოჯანმრთელების შემთხვევაში პირს შეიძლება კვლავ დაეკისროს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოს სასჯელი, თუ არ გასულა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით (მუხლი 71 და 76) გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.¹²⁵²

სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან), თუ მას სასჯელის სახით დანიშნული არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.¹²⁵³ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზანშეწონილობა, მსჯავრდებულის პიროვნება, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.¹²⁵⁴

2013 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, არც 2010 და არც 2011 წელს არცერთი მსჯავრდებული გათავისუფლებულა ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო; 2012 წელს – 4 გათავისუფლდა ავადმყოფობის გამო (მათ შორი, 3 მამაკაცი და 1 ქალი), ხოლო 21 – ხანდაზმულობის ასაკის გამო (მათ შორის, 16 მამაკაცი და 5 ქალი); 2013 წლის აგვისტოს მდგომარეობით (8 თვე) – 51 გათავისუფლდა ავადმყოფობის გამო (მათ შორის, 50 მამაკაცი და 1 ქალი), ხოლო

¹²⁵⁰ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება #104-#01-56/ნ, 31.08.2017, მუხლი 5.3.

¹²⁵¹ ჩამონათვალი განახლებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 30 აგვისტოს #01-55/ნ ბრძანებით.

¹²⁵² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 74.3.

¹²⁵³ იქვე, მუხლი 74.4.

¹²⁵⁴ იქვე, მუხლი 74.5.

33 – ხანდაზმულობის ასაკის გამო (21 მამაკაცი და 12 ქალი).¹²⁵⁵ 2014-2023 წლებში ავადმყოფობის და ხანდაზმულობის ასაკის გამო პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა გათავისუფლების სტატისტიკა შემდეგია:¹²⁵⁶

წელი	ავადმყოფობის საფუძვლით	ხანდაზმულობის საფუძვლით
2014	23	3
2015	20	4
2016	21	1
2017	9	0
2018	22	0
2019	18	0
2020	21	1
2021	16	0
2022	20	2
2023	17	3

12.2.5. განაჩენის აღსრულების გადავადება

მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაავადლოს განაჩენის გამომტანმა სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განაჩენით, ხოლო მისი გამოტანის შემდეგ – განჩინებით, შემდეგი საფუძვლების არსებობისას: ა) მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, – მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე; ბ) მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე.¹²⁵⁷ ამ უკანასკნელის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია განაჩენის აღსრულება ზეპირი მოსმენის გარეშე გადაავადლოს.¹²⁵⁸ მძიმე ავადმყოფობით დაავადების შემთხვევაში, განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხის განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული/ შესაძლებელი მკურნალობა, დაავადების მიმდინარეობა, აგრეთვე მსჯავრდებულის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებამდე თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის აღსრულების მიზანშეწონილობა, მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება

¹²⁵⁵ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილი MCLA 3 13 00014973, 26.08.2013.

¹²⁵⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი #43754/01, 14.02.2024.

¹²⁵⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 283.1.

¹²⁵⁸ იქვე, მუხლი 283.1¹.

გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.¹²⁵⁹ ასეთ შემთხვევაში საკითხი იხილება ზეპირი მოსმენით და მასში სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონაწილეობა სავალდებულოა.¹²⁶⁰

სასამართლო განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხს განიხილავს მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, კანონიერი წარმომადგენლის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის შუამდგომლობით.¹²⁶¹

მძიმე ავადმყოფობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისას გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ იმავე განაჩენით (განჩინებით) უნდა დაადგინოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის მსჯავრდებულის ხარჯით, წელიწადში სულ მცირე ერთხელ ჩატარებისა და მსჯავრდებულის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის პერიოდულობა. თუ მსჯავრდებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შესაბამისი პერიოდულობით არ წარუდგენს ექსპერტიზის დასკვნას, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.¹²⁶²

მსჯავრდებულის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შემთხვევაში განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ ან გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.¹²⁶³

თუ მსჯავრდებული, რომელსაც განაჩენი გადაუვადდა ორსულობის გამო, მშობიარობის შემდეგ უარს აცხადებს შვილზე ან თავს არიდებს მის აღზრდას, პრობაციის ოფიცერი მას წერილობით აფრთხილებს, რომ ასეთი ქმედება წარდგინებით სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველია, რის შესახებაც ადგენს შესაბამის ოქმს. პრობაციის ოფიცერი ოქმის შედგენისთანავე ამ პუნქტში მითითებული გარემოებების შესახებ ინფორმაციას აწვდის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელიც ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.¹²⁶⁴ თუ აღნიშნული მდგომარეობა 1 თვის ვადაში არ გამოსწორდა, პრობაციის ბიუროს უფროსი სასამართლოს მიმართავს წარდგინებით სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებისა და განაჩენით დანიშნულ ადგილას მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნის შესახებ.¹²⁶⁵

თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას

¹²⁵⁹ იქვე, მუხლი 283.1².

¹²⁶⁰ იქვე, მუხლი 283.1³.

¹²⁶¹ იქვე, მუხლი 283.2.

¹²⁶² იქვე, მუხლი 283.3.

¹²⁶³ იქვე, მუხლი 283.4.

¹²⁶⁴ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონი, მუხლი 42.1.

¹²⁶⁵ იქვე, მუხლი 42.2.

მას შემდეგ, რაც იგი გააფრთხილა პრობაციის ბიურომ, განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით, პრობაციის ბიუროს წარდგინებით გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად გაგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.¹²⁶⁶ როდესაც მსჯავრდებულის შვილი 1 წლის ასაკს მიაღწევს, განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით ათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან ან სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ან/და მიიღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.¹²⁶⁷

2013 წელს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, განაჩენის აღსრულების გადავადება ავადმყოფობის და ორსულობის საფუძველზე 2010 წელს 28 პირს შეეხო; 2011 წელს – 46 პირს; 2012 წელს – 104-ს (მათ შორის, 90 მამაკაცსა და 14 ქალს); 2013 წლის აგვისტოს მდგომარეობით (8 თვე) – 3 მამაკაცს.¹²⁶⁸ 2014 წლიდან 2023 წლის ჩათვლით არსებული სტატისტიკა შემდეგ მონაცემებს გვთავაზობს:¹²⁶⁹

წელი	სასჯელის გადავადებას დაქვემდებარებულ მსჯავრდებულთა რიცხვი
2014	4
2015	17
2016	6
2017	7
2018	9
2019	6
2020	8
2021	13
2022	15
2023	17

12.2.6. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა და მისი აღსრულება

მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა, მისი დამცველისა/კანონიერი წარმომადგენლისა) უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით წარუდგინოს საბჭოს მსჯავრდე-

¹²⁶⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 283.5.

¹²⁶⁷ იქვე, მუხლი 283.6.

¹²⁶⁸ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილი MCLA 3 13 00014973, 26.08.2013.

¹²⁶⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი #43754/01, 14.02.2024.

ბულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით - შეცვლის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია და შესაბამისი შუამდგომლობა.¹²⁷⁰

საბჭოს განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით.¹²⁷¹ ზეპირი მოსმენის გარეშე ადგილობრივი საბჭო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ, ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ან საქმის ზეპირი მოსმენით განსახილველად დაშვების შესახებ.¹²⁷²

მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.¹²⁷³ თუ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, იმავე საკითხზე მსჯავრდებულის შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა არ აღემატება 6 თვეს ან/და თუ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოება.¹²⁷⁴

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს სააგენტოს ტერიტორიული ორგანო – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო (შემდგომ – პრობაციის ბიურო).¹²⁷⁵ როგორც წესი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით; თუ საბჭოს გადაწყვეტილებით მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვლება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც (მსგავს შემთხვევაში კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საათების მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას). ყოველდღიურად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს.¹²⁷⁶

სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის სტატისტიკა 2014-2023 წლებში შემდეგია:¹²⁷⁷

წელი	რაოდენობა
2014	29
2015	7
2016	4

¹²⁷⁰ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 92.1.

¹²⁷¹ იქვე, მუხლი 92.3.

¹²⁷² იქვე, მუხლი 92.4.

¹²⁷³ იქვე, მუხლი 92.8.

¹²⁷⁴ იქვე, მუხლი 92.9.

¹²⁷⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 44.1.

¹²⁷⁶ იქვე, მუხლი 44.2.

¹²⁷⁷ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი #43754/01, 14.02.2024.

2017	32
2018	16
2019	42
2020	137
2021	120
2022	117
2023	88

შინაპატიმრობა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. შინაპატიმრობა ენიშნება ნასამართლობის არმქონე პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით. თავისუფლების აღკვეთის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან ჯარიმის შინაპატიმრობით შეცვლის შემთხვევაში იგი შეიძლება დაინიშნოს ექვს თვეზე მცირე და ორ წელზე მეტი ვადითაც.¹²⁷⁸

სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის სტატისტიკა 2018-2023 წლებში შემდეგია:¹²⁷⁹

წელი	რაოდენობა
2018	67
2019	194
2020	408
2021	320
2022	270
2023	186

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულია იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთაც არ დაენიშნება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა – პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47¹-ე მუხლის მე-6 ნაწილით კი განსაზღვრულია იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთაც არ დაენიშნება შინაპატიმრობა – გაწვეულ სამხედრო მოსამსახურესა და ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირს.

სასჯელის მოუხდელი ნაწილის მსჯავრდებულისთვის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა შესაძლებელია, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის არანაკლებ ერთი მესამედი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, არანაკლებ ნახევარი – მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, არანაკლებ ორი მესამედი – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში და ორი მესამედი სასჯელისა, რო-

¹²⁷⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 47¹.

¹²⁷⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი #43754/01, 14.02.2024.

მელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, ხოლო პირობით ვადამდე გაათავისუფლება გაუქმდა სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მეექვსე ნაწილის¹²⁸⁰ საფუძველზე.¹²⁸¹ მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები.¹²⁸²

რაც შეეხება უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს, მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 15 წელი, წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გაათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულის მიერ ამ სასჯელის მოხდის გაგრძელება. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გაათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, სასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით. მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს არანაკლებ ხუთი და არაუმეტეს ათი წლის ვადით, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით – იმავე ვადით, ამ კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაანგარიშების შესაბამისად (პატიმრობის ერთი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე, შინაპატიმრობის ორი დღე, გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი).¹²⁸³

¹²⁸⁰ თუ მსჯავრდებულმა სასჯელის მოუხდელ ვადაში: ა) ჯიუტად თავი აარიდა პირობით ვადამდე გაათავისუფლებისას მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნული ორგანოების წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს პირობით ვადამდე გაათავისუფლება და აღსრულდეს სასჯელის მოუხდელი ნაწილი; ბ) გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა, პირობით ვადამდე გაათავისუფლების გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო; გ) განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო დაუნიშნავს მას სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. იმავე წესით დაინიშნება სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ სასამართლო გააუქმებს პირობით ვადამდე გაათავისუფლებას.

¹²⁸¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 73.4.

¹²⁸² იქვე, მუხლი 73.6.

¹²⁸³ იქვე, მუხლი 73.7.

მეცამეტე თავი

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შემოწმება/ მონიტორინგი

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები მიეკუთვნება ე. წ. დახურული ტიპის ინსტიტუციებს. ეს უკანასკნელი განიმარტება, როგორც სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, სადაც ადამიანები, როგორც წესი, საკუთარი ნება-სურვილის გარეშე არიან განთავსებული გარკვეული ვადით ან უვადოდ, სადაც ყველა პირს არ აქვს წვდომა და ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე ზედამხედველობას სხვადასხვა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო უწყება ახორციელებს. ასეთ დახურული ტიპის დაწესებულებებს მიეკუთვნება, აგრეთვე, წინასწარი დაკავების იზოლატორები, ფსიქიატრიული დაწესებულებები, ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრები და სხვა.

პენიტენციური კოდექსი ცალკე თავს უთმობს მოსამსახურეთა მიერ ადამიანის უფლებების დაცვისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმებას. პენიტენციურ დაწესებულებათა სისტემურ მონიტორინგს, აგრეთვე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საჩივრების პერიოდულ ანალიზს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურის შიდა კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი.¹²⁸⁴

გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციით აღჭურვილია საქართველოს სახალხო დამცველი, რომლის აპარატშიც შექმნილია სპეციალური პრევენციის ჯგუფი, აღჭურვილი სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და პენიტენციური დაწესებულების მიერ წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობით.¹²⁸⁵

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგს ახორციელებენ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მექანიზმები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით და/ან საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული აქვთ ეს მანდატი.

13.1. მონიტორინგის განმახორციელებელი ადგილობრივი მექანიზმები

13.1.1. საქართველოს სახალხო დამცველი

ინდივიდის უფლებათა დამცავი სხვადასხვა საშუალების არსებობის მიუხედავად, ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ პიროვნება იურიდიულად დაუცველია სხვადასხვა უწყების, დაწესებულების, თანამდებობის პირისა და თვით სახელმწიფოსგან, რადგან კონსტიტუციაში საკმაოდ ფართოდ დეკლარირებული ადამიანის უფლებები ვერ იცავს მას ადმინისტრაციის თვითნებობისა და უსამართლობისგან. ეს

¹²⁸⁴ საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 84.

¹²⁸⁵ იქვე, მუხლი 85.

ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი მექანიზმი იმ ბიუროკრატიული მანქანის წინააღმდეგ, რომელსაც კანონი ან კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე დიდი უფლებამოსილება აქვს.¹²⁸⁶

სახელმწიფოს მხრიდან უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, წარმოადგენს ხელისუფლების მეზღუდვის თავისებურ მექანიზმს, რომელიც ყოველთვის მიისწრაფვის ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში გაძლიერებისა და გაფართოებისკენ. სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ახალი სამართლებრივი ხასიათის მექანიზმების შექმნა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ, მოქმედის სრულყოფა.¹²⁸⁷

ომბუდსმენის ინსტიტუტს განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ მექანიზმებს შორის, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა თვითნებობისგან. ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება განპირობებული იყო სახელმწიფო ორგანოთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევისას უფლებების დაცვის მექანიზმის განმტკიცების, მოქალაქეებში ბიუროკრატიული სისტემის მიმართ დაუცველობის გრძნობის შემცირების, მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებისა და პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ჰუმანიზირების მიზნით.¹²⁸⁸

მთელს მსოფლიოში სახელმწიფო საქმიანობის კრიტიკის მიუხედავად, ომბუდსმენი ხელს უწყობს ადმინისტრაციისადმი ნდობის გაზრდას. სწორედ ამიტომ ეს ინსტიტუტი ითვლება ადმინისტრაციული ხელისუფლების საქმიანობაში კანონიერებისა და სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორად, არასასამართლო კონტროლის ფორმად. მისი მთავარი პრინციპია ადამიანის უფლებების დაცვა, განსხვავებული საპარლამენტო, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ სხვაგვარი კონტროლისა და ზედამხედველობის ფორმისგან.¹²⁸⁹

საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი) არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.¹²⁹⁰

საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ განცხადებასა და საჩივარს იმ შემთხვევაში, თუ

¹²⁸⁶ გ. მიქანაძე, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობისა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 211.

¹²⁸⁷ გ. მიქანაძე, ევროპის ომბუდსმენები, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“-ს გამოცემა, თბილისი, 1999, გვ. 10.

¹²⁸⁸ გ. მიქანაძე, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში: პრობლემები და პერიორიტეტები, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 2002, გვ. 177.

¹²⁸⁹ გ. მიქანაძე, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობისა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 212.

¹²⁹⁰ ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, მუხლი 3(1,2).

განმცხადებელი სადავოდ ხდის: (ა) საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებას; (ბ) სასამართლო განხილვის პროცესში საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას ან დარღვევას; (გ) დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლებამუშვადული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებების დარღვევას; (დ) ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობას; (ე) რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობას.¹²⁹¹

საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს¹²⁹² (იხ. თავი „პრევენციის ეროვნული მექანიზმი“).

საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ქმედებებს ან აქტებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.¹²⁹³

სახალხო დამცველს უფლება აქვს არ განიხილოს განცხადება ან საჩივარი, რომლის თაობაზეც მას მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, თუ არ წარმოიქმნება ახალი გარემოებანი.¹²⁹⁴

განცხადება და საჩივარი არ იბეგრება სახელმწიფო გადასახადით.¹²⁹⁵ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დაინტერესებული პირისათვის გაწეული სამსახური უფასოა.¹²⁹⁶ სახალხო დამცველი განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებით.

განცხადება ან/და საჩივარი უნდა იყოს დაწერილი სახალხო დამცველის სახელზე, გარკვევით, ქართულ ენაზე, უნდა მოიცავდეს ძირითადი საკითხის, გარემოებების აღწერას და განმცხადებლის ზუსტ მისამართს. განცხადება ან/და საჩივარი შეიძლება სახალხო დამცველს გადაეგზავნოს ფოსტით ან მოქალაქემ უშუალოდ მიიტანოს სახალხო დამცველის ოფისში.

დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგი-

¹²⁹¹ იქვე, მუხლი 14(1).

¹²⁹² იქვე, მუხლი 3¹(1).

¹²⁹³ იქვე, მუხლი 13.

¹²⁹⁴ იქვე, მუხლი 14(2).

¹²⁹⁵ იქვე, მუხლი 16(1).

¹²⁹⁶ იქვე, მუხლი 16(2).

ლებში მყოფ პირთა მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის გაგზავნილი განცხადებები, საჩივრები და წერილები კონფიდენციალურია, მათი გახსნა და ცნობურა აკრძალულია; ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საქართველოს სახალხო დამცველს.¹²⁹⁷

უფლებების დარღვევის შემთხვევაში სახალხო დამცველს შეუძლია:

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფის, დაკავებულითა, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესების, აგრეთვე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონპროექტებთან დაკავშირებით წინადადებები, შენიშვნები და რეკომენდაციები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს ან სხვა შესაბამის ორგანოს;

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფის, დაკავებულითა, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესების, აგრეთვე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონპროექტებთან დაკავშირებით წინადადებები, შენიშვნები და რეკომენდაციები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს ან სხვა შესაბამის ორგანოს;

ადამიანის დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღსადგენად წინადადებები და რეკომენდაციები გაუგზავნოს იმ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, მუნიციპალიტეტის ორგანოს, საჯარო დაწესებულებას ან თანამდებობის პირს, ხოლო დისკრიმინაციის საქმესთან დაკავშირებით – აგრეთვე იმ ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს, სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს, პირთა გაერთიანებას იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტს, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა;

წინადადებით მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით, თუ საქმის განხილვის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები;

შესაბამის ორგანოებში შეიტანოს წინადადებები იმ პირთა დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;

ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში;

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აცნობოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით ჩატარებული შემოწმების შედეგები; მიღებული გადაწყვეტილებები შეიტანოს ყოველწლიურ და სპეციალურ ანგარიშებში;

¹²⁹⁷ იქვე, მუხლი 15.

წერილობით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, თუ მიიჩნევს, რომ სახალხო დამცველის განკარგულებაში არსებული რეაგირების საშუალებები არასაკმარისია;

საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს კონსტიტუციური სარჩელით რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, ან თუ ნორმატიული აქტით ან მისი ცალკეული ნორმებით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი;

განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პარლამენტს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისა და პარლამენტის მიერ საკითხის განხილვის მოთხოვნით.¹²⁹⁸

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის მარტში წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.¹²⁹⁹ სახალხო დამცველის ანგარიშში უნდა მიეთითოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ის ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც არღვევდნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არ ითვალისწინებდნენ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებების შესახებ.¹³⁰⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.¹³⁰¹

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს საგაზაფხულო სესიაზე ყოველწლიურ ანგარიშთან დაკავშირებით წარუდგენს მოხსენებას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.¹³⁰²

13.1.2. პრევენციის ეროვნული მექანიზმი

2009 წლის 16 ივლისს „სახალხო დამცველის შესახებ« საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაქულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.¹³⁰³ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი ვალდებულია ითანამშრომლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის ორგანოებთან და მექანიზმებთან, აგრეთვე საერთაშორისო, რეგიონალურ და ეროვნულ ინსტიტუტებთან ან ორგა-

¹²⁹⁸ ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, მუხლი 21.

¹²⁹⁹ იქვე, მუხლი 22(1).

¹³⁰⁰ იქვე, მუხლი 22(2).

¹³⁰¹ იქვე, მუხლი 22(3).

¹³⁰² იქვე, მუხლი 22(4).

¹³⁰³ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, მუხლი 3¹(1)

ნიზაციებთან.¹³⁰⁴

საქართველოს სახალხო დამცველთან იქმნება სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაზე აღუდგულ პირთა და მსჯავრდებულთა, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სათანადო განათლება, პროფესიული გამოცდილება და საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლია შეასრულოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციები. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები მოქმედებენ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნების საფუძველზე და ანგარიშვალდებული არიან მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის წინაშე. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს უფლება აქვთ, არ მისცენ ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მათ გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას. მათ ეს უფლება უნარჩუნდებათ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. არ შეიძლება სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის განკუთვნილ საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე, საფოსტო გზავნილზე ყადაღის დადება, მათი შემოწმება და ამოღება.¹³⁰⁵

საქართველოს სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამოწმებს პენიტენციურ დაწესებულებებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას; პირადად ხვდება და ესაუბრება დაკავებულებს, პატიმრობაში მყოფთა და მსჯავრდებულებს; ამოწმებს მათი აღნიშნულ დაწესებულებებში ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.¹³⁰⁶

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი: ა) მოწმის გარეშე, პირადად ან თარჯიმნის მეშვეობით ხვდება და ესაუბრება დაკავებულებს, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაზე აღუდგულ პირებსა და მსჯავრდებულებს, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ აღნიშნულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ბ) ამოწმებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა იქ ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.¹³⁰⁷

¹³⁰⁴ იქვე, მუხლი 3¹(3).

¹³⁰⁵ იქვე, მუხლი 19⁴.

¹³⁰⁶ იქვე, მუხლი 19(1).

¹³⁰⁷ იქვე, მუხლი 19(2).

საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა დაკავებულებთან, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან და მსჯავრდებულებთან, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირებთან კონფიდენციალურია. რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია.¹³⁰⁸

საზოგადოებრივი მონიტორინგის გაძლიერების მიზნით, პერიოდულად ფართოვდება პრევენციის ეროვნულ მექანიზმში მონაწილე ექსპერტთა სია. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 23 ექსპერტი ირიცხება სპეციალურ პრევენციულ ჯგუფში.¹³⁰⁹

პრევენციის ეროვნული მექანიზმის გაძლიერების მიზნით, სახალხო დამცველთან შექმნილია პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭო, რომელიც 2021 წლის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა 9 წევრით.¹³¹⁰ საკონსულტაციო საბჭოს მიზანია პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა.¹³¹¹ საკონსულტაციო საბჭო სახალხო დამცველს წარუდგენს საკონსულტაციო ხასიათის მოსაზრებებს: ა) პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განსახორციელებელი აქტივობების გეგმის შესახებ; ბ) სამუშაო მეთოდოლოგიის შესახებ; გ) თემატური კვლევების შესახებ; დ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების პროფესიული სწავლების შესახებ; ე) პრევენციის ეროვნული მექანიზმის სხვა სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ; ვ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე. საბჭოს მოსაზრებას აქვს საკონსულტაციო ხასიათი.¹³¹²

13.1.3. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგი

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს მონიტორინგის დეპარტამენტი,¹³¹³ რომლის ამოცანებსაც განეკუთვნება:

- ა) სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა და სამსახურში მიღებულ სამხედრო მოსამსახურეთა – წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულების კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება;
- ბ) სპეციალური პენიტენციური სამსახურის გამგებლობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება;

¹³⁰⁸ იქვე, მუხლი 19(3)

¹³⁰⁹ იხ. სია ვებგვერდზე: <https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-preventsuili-igufi>

¹³¹⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანება #23 პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მოწვეული წევრების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, 01.03.2021, იხ. <https://ombudsman.ge/res/docs/2022041419334750794.pdf>

¹³¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანება #243 პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს დებულების შესახებ, 15.12.2014, მუხლი 2.1, იხ. <https://ombudsman.ge/res/docs/2022041419334764818.pdf>

¹³¹² იქვე, მუხლი 2.2 და 2.3.

¹³¹³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #366 სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, 22.12.2018, მუხლი 10.2.ზ.

- გ) სპეციალური პენიტენციურ სამსახურსა და პენიტენციურ დაწესებულებებში ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა და მათზე რეაგირება;
- დ) სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და მისდამი დაქვემდებარებული პენიტენციური დაწესებულებების საზოგადოებრივი მისაღების საქმიანობისა და მოქალაქეთა სატელეფონო მომსახურების უზრუნველყოფა;
- ე) სპეციალური პენიტენციური სამსახურის გამგებლობის სფეროში სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავებისა და სისტემატიზაციის უზრუნველყოფა;
- ვ) სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემაში სამსახურის მიზნებთან შესაბამის ქმედების არსებობის შემოწმება და აღმოჩენა, მათი გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების დადგენა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება; აუდიტორული შემოწმების შედეგების ანგარიშში ასახვა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა; შიდა აუდიტორული საქმიანობისა და სამსახურის სისტემის მდგომარეობის შესახებ გენერალური დირექტორის პერიოდული ინფორმირება.¹³¹⁴

მონიტორინგის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია: 1. სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო; 2. თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დაცვის სამმართველო; 3. მომსახურების ხარისხის მართვისა და კონტროლის სამმართველო; 4. სტატისტიკის სამმართველო; 5. შიდა კონტროლისა და აუდიტის სამმართველო.¹³¹⁵

13.2. მონიტორინგის განმახორციელებელი საერთაშორისო მექანიზმები

13.2.1. წამების საწინააღმდეგო გაეროს კომიტეტი და პრევენციის ქვეკომიტეტი
 წამების საწინააღმდეგო კომიტეტი გაეროს ადამიანის უფლებათა სისტემის ფარგლებში მოქმედი განსაკუთრებული ორგანოა, რომელშიც გაერთიანებული არიან დამოუკიდებელი ექსპერტები. მის უმთავრეს ფუნქციას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობა წარმოადგენს. კომიტეტი შედგება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აღიარებული ათი ექსპერტისგან.¹³¹⁶

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა წამების საწინააღმდეგო გაეროს კომიტეტს უნდა წარუდგინონ წერილობითი მოხსენება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. კომიტეტი ამოწმებს მოხსენებას და ატარებს ოფიციალურ საჯარო შეხვედრას სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად. კომიტეტი იღებს დამატებით ინფორმაციას არაოფიციალურად, სხვა წყაროებიდან, როგორცაა მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ პროცესის მიზანს წარმოადგენს კომიტეტის მიერ წევრ სახელმწიფოში წამებისა და ცუდი მოპყრობის შესახებ რეა-

¹³¹⁴ იქვე, მუხლი 12.10.

¹³¹⁵ იქვე, მუხლი 12.11.

¹³¹⁶ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენცია, მუხლი 17(1).

ლური სურათის მიღება. აღნიშნულის დადგენის შემთხვევაში, კომიტეტი გასცემს რეკომენდაციებს, რათა უკეთესად იქნეს შესრულებული სახელმწიფოს მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები, წამების თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით.¹³¹⁷

კომიტეტი ასევე ახორციელებს კონფიდენციალურ გამოძიებას სისტემური გამოძიების დასასაბუთებლად. ასეთი გამოძიება ჩატარდება, თუ კომიტეტი მიიღებს უტყუარ ინფორმაციას, რომელიც შეიცავს დასაბუთებულ მონაცემებს წამების სისტემატურ გამოყენებაზე. კომიტეტი სთავაზობს თანამშრომლობას წევრ სახელმწიფოს.¹³¹⁸ კომიტეტმა, სახელმწიფოს თანხმობით, შესაძლოა გამოძიების ფარგლებში განახორციელოს ვიზიტი მის ტერიტორიაზე.¹³¹⁹ მოპოვებული მასალის გამოკვლევის შემდეგ, კომიტეტი გადაუგზავნის სახელმწიფოს აღნიშნულ მასალას იმ კომენტარებთან ან წინადადებებთან ერთად, რომლებიც გამომდინარეობს არსებული სიტუაციიდან.¹³²⁰ ჩატარებულ გამოძიებასთან დაკავშირებული პროცედურების დასრულებისას, კომიტეტს შეუძლია შესაბამის სახელმწიფოსთან კონსულტაციის შემდეგ, ამ პროცედურის შედეგების მოკლე ანგარიში ჩართოს ყოველწლიურ მოხსენებაში.¹³²¹ სახელმწიფოს თანხმობით კომიტეტის მიერ გამოცემული ერთ-ერთი ბოლო მოხსენება არის კონვენციის მე-20 მუხლის პირობების მიხედვით ჩატარებული გამოძიება მექსიკაში (2001–2002წწ.).¹³²²

კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება აგრეთვე ინდივიდუალურ პირთა ან მათი სახელით წარდგენილი შეტყობინებების განხილვა, რომლითაც მათ მიმართ ხდება მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციით დადგენილი დებულებების დარღვევის შესახებ განცხადება. კომიტეტი არ იღებს ანონიმურ შეტყობინებებს. კომიტეტი ატყობინებს შესაბამის სახელმწიფოს წარდგენილი შეტყობინების თაობაზე. სახელმწიფო ვალდებულია ექვსი თვის ვადაში კომიტეტს წარუდგინოს საკითხთან დაკავშირებული წერილობითი ახსნა–განმარტება ან განცხადება იმ საშუალებებისა ან ზომების თაობაზე, რომელთა მიღებასაც შესაძლებლად თვლის.¹³²³

კომიტეტმა არ უნდა განიხილოს შეტყობინება, სანამ არ გარკვევს, რომ: ა) იგივე საკითხი არ ყოფილა განხილული ან არ განიხილება სხვა საერთაშორისო მექანიზმის ფორმატში; ბ) პირმა ამოწურა ყველა ხელმისაწვდომი შიდა მექანიზმი.¹³²⁴ კომიტეტი შეტყობინებებს იხილავს დახურულ სხდომაზე.¹³²⁵ კომიტეტი თავის და-

¹³¹⁷ წამების აღკვეთის პრაქტიკული სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 23.

¹³¹⁸ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენცია, მუხლი 20(1).

¹³¹⁹ იქვე, მუხლი 20(3).

¹³²⁰ იქვე, მუხლი 20(4).

¹³²¹ იქვე, მუხლი 20(5).

¹³²² Report on Mexico produced by the Committee under article 20 of the convention, and reply from the Government of Mexico: Mexico. 05/26/2003. CAT/C/75.at [http://www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/\(Symbol\)/f2950e0f6a5560f1c1256d5500535b97?Opendocument](http://www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/(Symbol)/f2950e0f6a5560f1c1256d5500535b97?Opendocument)

¹³²³ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენცია, მუხლი 22(1,3).

¹³²⁴ იქვე, მუხლი 22(5).

¹³²⁵ იქვე, მუხლი 22(6).

სკვნებს უგზავნის მონაწილე სახელმწიფოსა და განმცხადებელს.¹³²⁶

კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული – წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტი (შემდგომ ტექსტში „პრევენციის ქვეკომიტეტი“). მისი მანდატია რეგულარული ვიზიტების დაწესება თავისუფლებადაკვეთილ პირთა დაკავების ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით.¹³²⁷

ფაკულტატური ოქმის მე-4(2) მუხლის თანახმად, თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს ნებისმიერი ფორმით დაკავებას ან დაპატიმრებას, ან პირის მოთავსებას საერთო ან ცალკე იზოლატორში, რომლის დატოვებაც პირს არ შეუძლია სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა ორგანოს ბრძანების გარეშე. შესაბამისად, პრევენციის ქვეკომიტეტს შეუძლია ესტუმროს ისეთ ადგილებს, როგორცაა: დროებითი დაკავების იზოლატორი, საპატიმრო, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, არასრულწლოვანთა ცენტრი, საიმიგრაციო ცენტრი, საერთაშორისო სატრანზიტო ზონა, თავშესაფარი, ფსიქიატრიული დაწესებულება, ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილი.¹³²⁸

პრევენციის ქვეკომიტეტის მანდატს განეკუთვნება: ა) მის კომპეტენციაში შემავალი ადგილებისა და დაწესებულებების მონახულება და სახელმწიფოსთვის სათანადო რეკომენდაციების წარდგენა თავისუფლებადაკვეთილ პირთა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისგან დაცვასთან დაკავშირებით; ბ) სახელმწიფოს დახმარება პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნაში; გ) პირდაპირი და, საჭიროების შემთხვევაში, კონფიდენციალური ურთიერთობის შენარჩუნება პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან, მისი გაძლიერების ხელშეწყობა.¹³²⁹

პრევენციის ქვეკომიტეტი თავის რეკომენდაციებსა და შენიშვნებს კონფიდენციალური წესით გადასცემს სახელმწიფოს და საჭიროების შემთხვევაში, პრევენციის ეროვნულ მექანიზმს. პრევენციის ქვეკომიტეტი, შესაბამისი სახელმწიფოს მოთხოვნით, აქვეყნებს თავის ანგარიშს სახელმწიფოს მიერ წარდგენილ ნებისმიერ შენიშვნასთან ერთად. თუ სახელმწიფო საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის ანგარიშის რომელიმე ნაწილს, პრევენციის ქვეკომიტეტს შეუძლია ასეთი ანგარიშის გამოქვეყნება როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ. პირადი მონაცემები არ ექვემდებარება გამოქვეყნებას დაინტერესებული პირის მკაფიოდ ფორმულირებული თანხმობის გარეშე. თუ სახელმწიფო უარს იტყვის პრევენციის ქვეკომიტეტთან თანამშრომლობაზე, ან მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ზომების მიღებაზე წარდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად, წამების საწინააღმდეგო გაეროს კომიტეტს, პრევენციის ქვეკომიტეტის მოთხოვნით და თავისი წევრების ნმათა უმრავლესობით, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო განცხადების გაკეთების ან პრევენციის ქვეკომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნების შესახებ, მას

¹³²⁶ იქვე, მუხლი 22(7).

¹³²⁷ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმი, მუხლი 1.

¹³²⁸ წამების აღკვეთის პრაქტიკული სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 146–147.

¹³²⁹ იქვე, მუხლი 11.

შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება მხარის მოსაზრებები. პრევენციის ქვეკომიტეტი ყოველწლიურად წარუდგენს წამების საწინააღმდეგო გაეროს კომიტეტს თავისი საქმიანობის ანგარიშს.¹³³⁰

2023 წლის მარტის მდგომარეობით მსოფლიოს 90 ქვეყანამ (მათ შორის საქართველომ) მოახდინა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება. ხელმომწერია 13 ქვეყანა.

13.2.2. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი¹³³¹ დაარსდა ევროპის საბჭოს „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის“ საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 1989 წელს.¹³³² იგი ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

წამების პრევენციის კომიტეტის სრული დასახელებაა „წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი“. ეს დასახელება გამოკვეთს ორ მნიშვნელოვან შტრიხს: პირველი, ის ფარავს ევროპას და, მეორე, მოიცავს არა მარტო „წამებას“, არამედ გარემოებათა ფართო სპექტრს, რაც შეიძლება გაუთანაბრდეს „არასათანადო ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა თუ დასჯას“.

წამების პრევენციის კომიტეტი არ არის საგამომძიებო ორგანო, არამედ ის უზრუნველყოფს არასამართლებრივ აღმკვეთ მექანიზმს თავისუფლებააღკვეთილ პირთა დასაცავად წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისაგან. ამდენად, იგი ავსებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართლებრივ მუშაობას.

წამების პრევენციის კომიტეტის წევრები არიან სხვადასხვა პროფესიის მქონე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტები, მათ შორის, იურისტები, ექიმები და სპეციალისტები ციხის ან პოლიციის საკითხებში.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ირჩევს თითო წევრს თითოეული წევრი სახელმწიფოდან. ეს წევრი მოქმედებს პირადი შესაძლებლობების ფარგლებში (ანუ არ წარმოადგენს იმ სახელმწიფოს ინტერესებს, რომლიდანაც ის შეირჩა). დამოუკიდებლობის გარანტიისათვის, წევრები არ მიდიან ვიზიტით იმ ქვეყნებში, საიდანაც ისინი შეირჩნენ.

წამების პრევენციის კომიტეტის სამდივნო შეადგენს ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და სამართლებრივ საქმეთა დეპარტამენტის“ ნაწილს.

წამების პრევენციის კომიტეტი ორგანიზებას უწევს ვიზიტებს დაკავების ადგილებში, რათა შეაფასოს თუ როგორ ეპყრობიან თავისუფლებააღკვეთილ პირებს. ეს ადგილები მოიცავს: ციხეებს, არასრულწლოვანთა დაკავების ადგილებს, პო-

¹³³⁰ იქვე, მუხლი 16.

¹³³¹ თავში მოცემული ინფორმაცია ადებულია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ოფიციალური ვებგვერდიდან, იხ. <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-leaflet.pdf>

¹³³² იხ. <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-convention.pdf>

ლიციის განყოფილებებს, იმიგრირებულ პირთა დაკავების ადგილებს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს, სოციალური დაცვის სახლებსა და სხვ.

ჩვეულებრივ, ვიზიტებს ახორციელებენ დელეგაციები, შემდგარი კომიტეტის რამდენიმე წევრისაგან. დელეგაციას თან ახლავს კომიტეტის სამდივნოს თანამშრომლები და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ექსპერტები და თარჯიმნები.

წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციები ვიზიტებს ახორციელებენ პერიოდულად (ჩვეულებრივ, 4 წელიწადში ერთხელ), თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში ხორციელდება დამატებითი საგანგებო ვიზიტები, ე.წ. „ad hoc“ ვიზიტები.¹³³³ კომიტეტმა უნდა აცნობოს შესაბამის სახელმწიფოს, რომ აპირებს ვიზიტის განხორციელებას. შეტყობინების შემდეგ დელეგაციას შეუძლია ნებისმიერ დროს მივიდეს ნებისმიერ ისეთ ადგილას, სადაც თავისუფლებააღკვეთილი პირი შეიძლება იყოს.

წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციები სარგებლობენ შეუზღუდავი შესვლისა და გადაადგილების უფლებით დაკავების ადგილებში. ისინი პირადად ესაუბრებიან თავისუფლებააღკვეთილ პირებს და ასევე თავისუფლად უკავშირდებიან ნებისმიერ ადამიანს, ვისაც კი შეუძლია ინფორმაციის მიწოდება.

თითოეული ვიზიტის შემდეგ წამების პრევენციის კომიტეტი შესაბამის სახელმწიფოს უგზავნის დეტალურ ანგარიშს. ეს ანგარიში მოიცავს წამების პრევენციის კომიტეტის მოპოვებულ მონაცემებს, მის რეკომენდაციებს, შენიშვნებსა და მოთხოვნებს გარკვეული ინფორმაციის მიწოდებაზე. წამების პრევენციის კომიტეტი მოითხოვს ასევე დეტალურ პასუხს ანგარიშში დასმულ საკითხებზე. ეს ანგარიშები და პასუხები ქმნიან ერთგვარ დიალოგს შესაბამის სახელმწიფოებთან.

საერთაშორისო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც დაარსებულია წამების პრევენციის კომიტეტი, ითვალისწინებს თანამშრომლობისა და კონფიდენციალურობის პრინციპებს.

ეროვნულ ხელისუფლებებთან თანამშრომლობა წამების პრევენციის კომიტეტის მუშაობის ქვაკუთხედი, რამდენადაც მუშაობის მიზანია თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვა და არა სახელმწიფოს დადანაშაულება სასტიკი და არასათანადო მოპყრობისათვის.

წამების პრევენციის კომიტეტის მეორე მახასიათებელია კონფიდენციალურობა: კომიტეტის მოპოვებული მონაცემები, მისი ანგარიშები და მთავრობის პასუხები, კონფიდენციალურია. მიუხედავად ამისა, ინფორმაციის დიდი ნაწილი წამების პრევენციის კომიტეტის მუშაობის შესახებ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია.

თავად სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნება, მისივე პასუხებთან ერთად. ამჟამად, სახელმწიფოთა უმეტესობა ამჯობინებს ამ დოკუმენტების გამოქვეყნებას.¹³³⁴ შესაძლებელია სახელმწი-

¹³³³ საქართველოში 2012 წლის დასასრულს განხორციელებული ვიზიტი, სწორედ ამგვარ საგანგებო ვიზიტს წარმოადგენდა. იხილეთ ვიზიტის ამსახველი ანგარიში ვებგვერდზე <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2013-18-inf-eng.pdf> და მთავრობის ოფიციალური პასუხი ვებგვერდზე <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2013-19-inf-eng.pdf>

¹³³⁴ წამების პრევენციის კომიტეტის ვიზიტების ანგარიშები, მთავრობების პასუხები, საჯარო განცხადებები და ზოგადი ანგარიშები ხელმისაწვდომია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის

ფომ მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ვიზიტის ამსახველი ანგარიშები ავტომატურ რეჟიმში გამოქვეყნდეს. დღეის მდგომარეობით ასეთი ნების გამოხატულება დააფიქსირა შემდეგმა 16-მა სახელმწიფომ: ალბანეთი, ავსტრია, ბულგარეთი, ჩეხეთი, დანია, ფინეთი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მოლდოვა, მონაკო, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია, პოლონეთი, სლოვენია, შვედეთი და უკრაინა.¹³³⁵

თუ სახელმწიფო არ თანამშრომლობს წამების პრევენციის კომიტეტთან ან უარს ამბობს, გააუმჯობესოს არსებული ვითარება კომიტეტის რეკომენდაციების კვალად, კომიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს „საჯარო განაცხადის“ გაკეთება.

საქართველოში წამების პრევენციის კომიტეტმა პირველი ვიზიტი 2001 წელს, ხოლო ბოლო – 2023 წელს განახორციელა.¹³³⁶ საქართველოს მთავრობამ მონიშნა ყველა ანგარიშის გასაჯაროება. 2023 წლის ანგარიში 2024 წლის 18 იანვარს გასაჯაროვდა.

გარდა ამისა, წამების პრევენციის კომიტეტი შეიმუშავებს „საერთო ანგარიშს“ მისი საქმიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნდება წელიწადში ერთხელ.¹³³⁷

13.2.3. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი

ადამიანის უფლებათა კომისარი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ინსტიტუტია, რომელიც არაა აღჭურვილი მართლმსაჯულების ფუნქციით. იგი შეიქმნა ევროპის საბჭოში 1999 წელს და აღჭურვილია ადამიანის უფლებების ცნობიერების ამაღლებისა და პატივისცემაზე ზრუნვით ევროპის საბჭოს წევრ 46 სახელმწიფოში. მისი ძირითადი უფლებამოსილებები ასახულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია # (99)50-ში, რაც მოიცავს: ა) ადამიანის უფლებებზე ეფექტიან მონიტორინგსა და წევრი სახელმწიფოებისთვის ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სტანდარტების უზრუნველყოფის ხელშეწყობას; ბ) ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას; გ) ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით კანონმდებლობასა და პრაქტიკაში შესაძლო ხარვეზების გამოვლენას; დ) ეროვნული ომბუდსმენის ინსტიტუტებისა და სხვა ადამიანის უფლებათა სტრუქტურების საქმიანობის ფასილიტირებას; ე) რეგიონის მასშტაბით ადამიანის უფლებების დაცვაზე რჩევისა და ინფორმირების უზრუნველყოფას. ადამიანის უფლებათა კომისრის საქმიანობა სამ მთავარ მიმართულებას უკავშირდება:

1. ვიზიტებს ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოებში და დიალოგის გამართვას ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან; 2. თემატური ანგარიშების მომზადებასა და ადამიანის უფლებების სისტემურ განხორციელებაზე რჩევების მიცემას; და 3. ცნობიერების ამაღლების აქტივობებს. ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოებში ვიზიტის დროს ადამიანის უფლებათა კომისარი სტუმრობს პატი-

ვებგვერდზე (www.cpt.coe.int).

¹³³⁵ წყარო <https://www.coe.int/en/web/cpt/faqs#what-is-the-cpt>

¹³³⁶ საქართველოში ვიზიტების ამსახველი ანგარიშები და მთავრობის მიერ მომზადებული ოფიციალური პასუხი შესაძლოა იხ. ვებგვერდზე: <http://www.cpt.coe.int/en/states/geo.htm>

¹³³⁷ წამების პრევენციის კომიტეტმა შეიმუშავა თავისუფლებაადკვეთილ პირთა მოპყრობასთან დაკავშირებული სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტები გამოქვეყნებულია ბრომურაში „წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტები“ [CPT/Inf/E (2002) 1]. იხ. ვებგვერდი: <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>

მრობისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებს და ეცნობა იქ არსებულ ადამიანის უფლებათა მდგომარეობას. ვიზიტის შედეგად, მას შეუძლია მოამზადოს ანგარიში ან წერილით მიმართოს ქვეყნის ხელისუფლებას ადამიანის უფლებების სფეროში გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით და ასახოს კონკრეტული რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.¹³³⁸

¹³³⁸ იხ. ინფორმაცია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის შესახებ <https://www.coe.int/en/web/commissioner/the-commissioner>

მეთოთხმეტე თავი

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სასჯელადსრულების სამართლის სფეროში

• ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, (22/11/2023) N2/8/1444 გადაწყვეტილებაში დავის საგანს წარმოადგენდა, პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებისა და 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

ფაქტობრივი გარემოებები: 2019 წლის 16 აგვისტოს განმცხადებელმა ნიკოლოზ აკოფოვმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე დადგენილი იყო, რომ განმცხადებლისადმი გამოყენებულ იქნა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა. დაწესებულებაში მოთავსებულს გამომძიებლის დადგენილებით შეუზღუდა ხანმოკლე პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის უფლებები. იმდროინდელი მოქმედი პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებითა და 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის რეგულირებით, პროკურორს ან გამომძიებელს უფლება ჰქონდა შეუზღუდა დადგენილებით დაწესებულებაში ხანმოკლე პაემნის უფლება, ხოლო 79-ე მუხლით მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის უფლება, პროკურორის ან გამომძიებლის მოტივირებული გადაწყვეტილებით, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულის მიმართ. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ საკანონმდებლო რეგულირება პროკურორისა, თუ გამომძიებელს ფართო დისკრეციას ანიჭებდა და ხდებოდა კონსტიტუციის მე-15 მუხლით მოცულ პირად და ოჯახურ უფლებაში გაუმართლებელი და ინტენსიური ჩარევა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით დაცული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და რეგულირება ჩარევის კრიტერიუმებსაც აყალიბებს - „აღამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“- განმცხადებელი უთითებდა, რომ საკანონმდებლო დონეზე არ იყო ბრალდებულისადმი მსგავსი შეზღუდვის დაწესებისას ერთიანი და გამონაკლისობაზე მიმართული სტანდარტი, რითაც სისტემურად და თვალსაჩინოდ მოხდებოდა შემზღუდველი პრაქტიკისას აუცილებლობის განსაზღვრა. შეზღუდვის მკაცრად საგამონაკლისო და აუცილებლობით გამოწვეული ხასიათი არ იყო რეგულირებული და ამით ხელი ეშლებოდა პატიმრისთვის მნიშვნელოვანი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის სათანადო აღსრულებასაც. ასევე ბრალდების მხარისადმი მსგავსი არარეგულირებადი დისკრეცია უფლებაში ჩარევის განურჩევლობისა და ყოვლისმომცველობის საფრთხეს ზრდიდა, რაც საჭიროებდა მკაცრ რეგულირებას. საგულისხმოა ფაქტიც, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა გადაწყვეტილების სავალდებულო, პერიოდული გადასინჯვის მექანიზმსა და წინაპირობების ჩამონათვალს, რომელთა დადგომისას ბრალდების მხარე ვალდებული იქნებოდა, შეეწყვიტა შემზღუდველი ზომების გამოყენება. მოპასუხე მხარემ ცნო

სარჩელი და განმარტა, რომ კონსტიტუციის მე-15 მუხლით მოცულ უფლებაში ჩარევა გამართლებული იყო სუბიექტთა წრის სტატუსიდან გამომწვეული საფრთხეებით, ხოლო საკანონმდებლო რეგულაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ვერ ხდებოდა სათანადო ხარისხობრივი უზრუნველყოფა, რაც გადაცდომის რისკებს აიცილებდა და მავნე პრაქტიკის ჩამოყალიბებას არ შეუწყობდა ხელს.¹³³⁹

სასამართლო მსჯელობა: სასამართლომ კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაზე მსჯელობით, ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას დემოკრატიული საზოგადოებისა და ინდივიდის განვითარებისთვის, ვინაიდან სწორედ მისი სწორხაზოვანი და გარანტირებული დაცვითა და ხელშეწყობით ახდენს პიროვნება სოციალურ წრესა, თუ ინდივიდუალურ დონეზე თავისუფლად ცხოვრების წარმართვას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო აღიარებს მის როლს პიროვნების „თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისათვის“ ასევე განმარტავს, რომ საგამონაკლისოდ შესაძლოა მოხდეს მისი შეზღუდვა. უფლებათა ფარგლებზე საუბრისას ჩარევის სუბიექტის სტატუსს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც მოცემულ სარჩელსაც კონტექსტუალურად უკავშირდება. კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირის სტატუსი და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის ხარისხი განსხვავებულია. პატიმრობა თავისი არსით გულისხმობს, რიგი კონსტიტუციური უფლებების ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, მათ შორისაა, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაც, რაზე ხელმისაწვდომობაც დაწესებულებაში პრივატულობითა და შეუზღუდავი ხასიათის არ არის, ემორჩილება კონტროლს, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს უზრუნველყოფის სრულად და განურჩევლად შეწყვეტას.¹³⁴⁰ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა, რომ ხანმოკლე პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა თვისობრივად წარმოადგენს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის შინაარსს, კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფს გარე სამყაროსა და ოჯახთან უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობას, რაც სხვა აქტივობებით ვერ ჩანაცვლდება, ხოლო გარემოებებიდან გამომდინარე სამივე საშუალების მსგავსად აღკვეთა უფლებაში ჩარევის ინტენსივობასაც ზრდის.¹³⁴¹

პირადი და ოჯახური დაცულობის უფლებათა შეზღუდვის სათანადოობაზე მსჯელობისას ყურადღება გამახვილდა კონსტიტუციის მე-15 მუხლში გათვალისწინებულ ჩარევის წინაპირობებზე „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, ხოლო ინდივიდუალურ გარემოებებთან დაკავშირებით, მსჯელობა წარმართა ლეგიტიმური მიზნებისა და თანაზომიერების პრინციპთან ბმადმი.

თანაზომიერების პრინციპის შემოწმებისას აუცილებელია არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი, რის გარეშეც ნებისმიერ უფლებაში ჩარევა თვითნებური და გამართლებელია. კონკრეტული გარემოებების განხილვისას საკონსტიტუციო

¹³³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/8/1444, 22/11/2023, პარ 1-16.

¹³⁴⁰ იქვე, პარაგრაფი II 3-11.

¹³⁴¹ იქვე, პარაგრაფი II 12-15.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონსტიტუციის მე-15 მუხლში მოცემული უმუ-
ალო მიზნები და მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილი არგუმენტაცია აყალიბებს
ჩარევის გამამართლებელ საფუძველს. ბრალდებულის სტატუსი წარმოქმნის
საგულისხმო რისკ-ფაქტორებს და ხანმოკლე პაემნის, მიმოწერისა და სატელე-
ფონო საუბრის შეზღუდვის გარეშე იქმნება საზოგადოების უსაფრთხოებასა და
თუნდაც, სიცოცხლის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის საფრთხე, აგრეთვე
ბრალდებულმა შეზღუდვის გარეშე შესაძლოა დაზარალოს საგამოძიებო პრო-
ცესი და გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა. თანაზომიერების პრინცი-
პის განხილვა გამოსადეგობისა და აუცილებლობის კრიტერიუმების გარეშე ვერ
მოხდება, კერძოდ, როგორ უზრუნველყოფს ჩარევის მახასიათებელს, რამდენად
იძლევა „სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შე-
საძლებლობას“. პატიმრობის კოდექსის იმდროინდელი მიდგომა პროკურორს/
გამომძიებელს ანიჭებს უფლებამოსილებას შეზღუდოს ხანმოკლე პაემანზე, მი-
მოწერასა და სატელეფონო საუბარზე წვდომა, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებ-
რივი უსაფრთხოების დაცვასა და ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედებების
პრევენციას. საგულისხმოა, რომ თავისი არსით, აკრძალვის ფორმა და შედეგი
ლოგიკურ ბმამია ერთმანეთთან, რაც მას გამოსადეგ საშუალებად აქცევს, ხოლო
აუცილებლობაზე მსჯელობისას დგინდება ხომ არ არსებობდა „მიზნის მიღწევის
იმავე ეფექტიანობის უფლების ნაკლებად მზლუდავი მექანიზმი“. აუცილებლობის
კრიტერიუმზე მსჯელობისას სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, არა მარტო
ბრალდებულისა და საგამოძიებო პროცესის კომპლექსურობის მახასიათებლებსა
და სტატუსზე, არამედ ნორმის რეგულირებით ბრალდებულთა სუბიექტთა კიდევ
მეტად დავიწროებაზე. რეგულირება, პატიმრობა შეფარდებულ პირის მიმალვის,
მისი მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების, მტკიცებულებათა განადგურებისა თუ
ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს უფრო ცხადად წარმოაჩენს.

მოცემულ სარჩელზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა,
რომ საკანონმდებლო ჩარჩო და რეჟიმი არის ზოგადი და ვერ უზრუნველყოფს
უფლებაში ჩარევისას შეფასებისა და სათანადო დასაბუთების შესაძლებლობას,
რაც არაპროპორციული და არასათანადო მოქმედების განხორციელების საფრ-
თხეს ქმნის. აგრეთვე, გადაწყვეტილების გადასინჯვისა და შეზღუდვის მოხსნის
მექანიზმების არარსებობაც არაპროპორციულად ზრდის დისკრეციას. საკონსტი-
ტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვინაიდან პირის პირადი ცხოვრების
დაცვის ინტერესი აღემატება პოტენციური საფრთხეების პრევენციის ინტერესს,
სამართლებრივი რეგულირება არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული.¹³⁴²

გადაწყვეტილების მნიშვნელობა და პენიტენციური კოდექსის რეგულირება
საკონსტიტუციო გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი პატიმრო-
ბის კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებისა და 79-ე მუხლის
მე-2 ნაწილები, მაგრამ მიუხედავად ამისა უნდა დადგინდეს, თუ რამდენად მოი-
ცავს მსგავს და გადაწყვეტილების შედეგზე ორიენტირებულ საკანონმდებლო რე-
გულირებას დღევანდელი პენიტენციური კოდექსი. მიმოწერის უფლებისა და სა-
ტელეფონო კომუნიკაციის შეზღუდვასთან მიმართებით, პენიტენციური კოდექსის
115-ე და 116-ე მუხლების შინაარსი გულისხმობს კორესპონდენციაზე შეზღუდვის

¹³⁴² იქვე, II, პარაგრაფი 18-41.

ორ წინაპირობას, დანაშაულებრივ საქმიანობას ნათესავებს შორისა და პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიებისას. აღნიშნული რეგულირებით, კანონმდებელმა პატიმრობის კოდექსში წამოჭრილი შეზღუდვის გამოყენების მასშტაბი მეტად შეამცირა და კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული უფლების ლეგიტიმურ მიზნებსა და საფრთხეებს მიუსადაგა. აგრეთვე, პენიტენციური კოდექსის 119-ე მუხლის მე-9 ნაწილით „ბრალდებულს გამოძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება შეუზღუდოს ხანმოკლე პაემნის უფლება და ხანგრძლივი პაემნის უფლება“. არსებული ნორმა ახალ პენიტენციურ კოდექსში შესაძლებლობას იძლევა პროკურორმა ან გამოძიებელმა გამოიყენოს დისკრეცია პაემნის შეზღუდვისას, მაგრამ ამისდა მიუხედავად საკონსტიტუციო გადაწყვეტილებაში დადგენილი სტანდარტი საკანონმდებლო დონეზე გაზიარებულია. კანონმდებელმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165² მუხლში განახლებულად წარმოაჩინა ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის ან/და ხანგრძლივი პაემნის, მიმოწერის ან/და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, მისი გასაჩივრებისა და გადასინჯვის სტანდარტი, რაც ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გადაწყვეტილებით მუხლების არაკონსტიტუციურობის ცნობის საფუძველი იყო. შესაბამისად, პენიტენციური კოდექსითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კუმულაციური პროცესუალური მოქმედებით დღეისათვის აღმოფხვრილია პატიმრობის კოდექსში არსებული საკანონმდებლო ხარვეზი, კერძოდ, შემუშავებულია ბრალდებულის პირადი კომუნიკაციის შეზღუდვისას სტანდარტიზირებული და მკაფიო საკანონმდებლო საფუძველი.

• **გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 28 მაისი 2019, N2/1/704** გადაწყვეტილებაში დავის საგანს წარმოადგენდა, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით პატიმრობის კოდექსის 172 მუხლის მე-6 ნაწილის (2014 წლის 2 მაისიდან 2017 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობის დადგენა.

ფაქტობრივი გარემოებები: 2015 წლის 17 დეკემბერს, განმცხადებელმა გიორგი ქართველიშვილმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. სარჩელით დგინდებოდა, რომ პატიმრობის კოდექსის 172 მუხლის მე-6 ნაწილი (2014 წლის 2 მაისიდან 2017 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) ითვალისწინებდა ორ შემთხვევას, როდესაც მსჯავრდებულს უზღუდებოდა ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობა. პირველ შემთხვევაში, ნორმა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის იმპერატიულ და აბსოლუტურ აკრძალვას აწესებდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მიმართ, ხოლო მეორე შემთხვევაში, ნორმა ხანგრძლივ პაემანს დროებით უკრძალავდა მსჯავრდებულს, რომელიც იმყოფება საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა. ასევე კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით, მე-16 და 36-ე მუხლებით დადგენილი იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების გარანტია, მე-16 მუხლით დაცულია პირადი ცხო-

ვრების ხელშეუხებლობის უფლების ისეთი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია გარე სამყაროსთან პატიმრის პიროვნული კავშირების განვითარებასა და შენარჩუნებასთან, ხოლო კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი მოიცავდა ვალდებულებას ერთი მხრივ, ხელშეწყობას ოჯახის კეთილდღეობაზე, ხოლო მეორე მხრივ, არ მიეღო უფლებრივად რეგრესული კანონმდებლობა.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ იმდროინდელი რეგულირებით, არალეგიტიმური მიზნით, ხდებოდა მნიშვნელოვანი უფლების შეზღუდვა, არასათანადოდ დადგენილი საფრთხეების ინდივიდუალურად შეფასების მექანიზმის გარეშე. განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებული პატიმრის, მდგომარეობის სიმძაფრისა და მომატებული მატრავმირებელი წინაპირობების გათვალისწინებით, აუცილებელი იყო ოჯახთან ურთიერთობისა და რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ვალდებულების განხორციელება სათანადო ხარისხით, რაც დადგენილი პრაქტიკით არ იყო უზრუნველყოფილი და ერთგვარ სადამსჯელო ფუნქციასაც ატარებდა. მოსარჩელე აპელირებდა იმ გარემოებებზე, რომ მსგავსი აბსოლუტური შეზღუდვით საფრთხეები არ აღმოიფხვრებოდა და კრიმინალური ქცევის ოჯახის წევრების გამოყენების სურვილის შემთხვევაში, პატიმარს თავისუფლად შეეძლო სხვა შესაძლებლობით ესარგებლა, მაგალითად მიმოწერით. შესაბამისად, იგი მსგავს ჩარევას უხეშად მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოს შეეძლო სხვა საფრთხეების მონიტორინგის მეტად პროპორციული მექანიზმისთვის მიემართა.

მოპასუხის არგუმენტაციით 1) პატიმრობის კოდექსის 36 (2) მუხლით განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად თავსდება სამიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებული, რომლის პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან გარშემომყოფთ, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს ან სამართლებრივი ორგანოების უსაფრთხოებას; 2) ასევე მოპასუხე აღნიშნავდა, რომ დაწესებულების შესაბამის ტიპს, რისკების შეფასების გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, განსაზღვრავს დეპარტამენტის დირექტორი. გარდა ამისა, საკანონმდებლო რეგულირებით დადგენილი იყო პირთა გადაფასების თანამედროვე რეჟიმი, რაც საფრთხის შემცირებისას გულისხმობდა ისეთი ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შესაძლებლობას, სადაც მათ ექნებოდათ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება. ხსენებულის გათვალისწინებით, მოპასუხე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმით დადგენილი რეჟიმი იწვევდა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) გარანტირებული უფლების თანაზომიერ შეზღუდვას.¹³⁴³

სასამართლო მსჯელობა: 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუცია ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ასევე შეიცვალა პატიმრობის კოდექსის

¹³⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 28 მაისი 2019, N2/1/704, I, პარ 3-22.

ნორმატ. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მითითებული კონსტიტუციური დებულებები ძალადაკარგულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა შეაფასა მოქმედი კონსტიტუციის იმ დებულებებთან მიმართებით, რომელთაც მსგავსი/იდენტური შინაარსი გააჩნდათ, კერძოდ, პატიმრობის კოდექსის 172-ე მუხლის მე-6 ნაწილის (2014 წლის 2 მაისიდან 2017 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.¹³⁴⁴

სასამართლო მსჯელობით, კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას, რის შინაარსშიც მოიაზრება ოჯახის წევრებს შორის წარმოქმნილი ურთიერთობები, ვინაიდან თავისი არსით გულისხმობს პირთა ცალკეულ წრესთან დამყარებულ კერძო ურთიერთობებს და ხასიათიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულ ძლიერ ბიოფსიქოლოგიურ კავშირს. უფლების დაცვის მნიშვნელობა დიდია, ვინაიდან ის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან არსობრივ კავშირშია და მოიცავს, არამარტო ინდივიდუალურად, არამედ პირთა ფართო წრეზე უფლების ხელმისაწვდომობით სარგებლობას. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებისა და პატიმრობის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო, პრივატული სფეროს არსებობას, პირის უფლებას, სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან, ასევე ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, მოახდინოს ინფორმაციისა თუ მოსაზრებების გაცვლა-გაზიარება მათთან, თუმცა ამა თუ იმ უფლების ფარგლების განმარტების და მისი დაცვის კონსტიტუციური სტანდარტების დადგენისას, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს უფლების სუბიექტს. პატიმრობა თავისი არსიდან გამომდინარე გულისხმობს უფლებაში ჩარევას, მაგრამ ჩარევის ხარისხი უნდა იყოს გამართლებული და ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნების როლი, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა თუ დანაშაულის პრევენციის მიზნებისათვის არ უნდა დაიკარგოს. უფლების ხელმისაწვდომობისას არ ხდება თავისუფლებაადკვეთილი პირის მიერ თავის სტატუსთან სტიგმატიზაცია, ნარჩუნდება კონტაქტი გარე სამყაროსთან და პირი აგრძელებს თვითგანვითარებას. მიუხედავად უფლებით სარგებლობისას ხარისხობრივი ხელმისაწვდომობის ნაკლებობისა სხვა არათავისუფლებაადკვეთილ პირებთან, აუცილებელია დადგინდეს, თუ რამდენად იყო გამართლებული და შესაბამისი მსგავსი აბსოლუტური შეზღუდვა.

კონსტიტუციის მე-15 მუხლში ჩარევაზე საუბრისას, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ჩარევის აუცილებლობის კომპონენტსა და პროპორციულობაზე, რომელთა შეფასების საფუძველზე არ დაკმაყოფილდა სარჩელი. სასამართლო მსჯელობით ხანგრძლივ პაემანზე ხელმისაწვდომობის აბსოლუტური შეზღუდვა გამართლებულია, ვინაიდან ფუნქციურად ემსახურება, განსაკუთრებულად სახიფათო დანაშაულებრივი ქვევის მქონე პატიმარს. შეზღუდვა მიემართა არა ყველა ტიპის დაწესებულებაში მოთავსებულ პიროვნებას, არამედ სპეციფიკურად სა-

¹³⁴⁴ იქვე, II, პარაგრაფი 1-3.

ზოგადობისა და შიდა სტრუქტურისთვის მომატებულად საფრთხის შემცველ ინდივიდებს, ხოლო ხანგრძლივი პაემნის არაკონტროლირებადი და ხანგრძლივი ხასიათიდან გამომდინარე, ქმნის ინფორმაციისა და არაკანონიერი ნივთების მიმოცვლის საფრთხეს, რაც მსგავს მუზღუღვას ამართლებს, აგრეთვე შემზღუღველი რეჟიმის საპირწონედ განხილულ იქნა ინდივიდუალური გადაფასებისა და აპელაციის მექანიზმების არსებობა, რომელთა რეჟიმი უზრუნველყოფს სიტუაციის გაუმჯობესების ვითარებაში მულტიდისციპლინური შეფასების სქემით, პირად და ოჯახურ უფლებაში მოქცეული, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, უფლებაში ჩარევის არსებობის მიუხედავად, აღნიშნული ჩარევა გამართლებულია და აგრეთვე დარეგულირებულია ქმედითი, ხარისხობრივად სწორად მართული მექანიზმით.¹³⁴⁵

გადაწყვეტილების მნიშვნელობა და პენიტენციური კოდექსის რეგულირება: პენიტენციური კოდექსის 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ პუნქტით განსაზღვრულია საკონსტიტუციო გადაწყვეტილების სადავო ნორმის მოქმედი რეგულირება. პატიმარს უფლება აქვს „განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი“. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისა და პენიტენციური დაწესებულებისთვის მომატებული საფრთხეების გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელის შეხედულება არ გაიზიარა, ახალი საკანონმდებლო რეგულირებით ჩამოყალიბებულია უფლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდადი და პროგრესული სტანდარტი. კონსტიტუციის მე-15 მუხლში მოცული პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვის ხარისხი და ჩარევის ინტენსივობა შემცირებულია და ხელი ეწყობა ოჯახური ურთიერთობების გამყარებასა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესს, აგრეთვე დანაშაულის პრევენციას. დღევანდელი ნორმატიული შინაარსი, პატიმრის უფლებებისადმი საერთაშორისო არეალზე, ჩამოყალიბებული ჰუმანიზაციის პროცესების ადაპტირების ქმედითი მაგალითია და დროსა თუ სივრცეში ცვლადი საკანონმდებლო მიდგომების დანერგვა/გაზიარების პროგრესირებად ხასიათზეც მეტყველებს. აღნიშნული გადაწყვეტილება პრაქტიკული მაგალითია იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თუნდაც უფლებაში ჩარევის გამართლებისას, კანონმდებელმა მუდმივად უნდა იზრუნოს თანამედროვე და ნაკლებ სადამსჯელო ალტერნატივების მყისიერად დანერგვის პრაქტიკაზე.

• საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 27 ივლისი 2023, N1/6/1737

დავის საგანი: საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტის მიმართება, პატიმრობის კოდექსის 17³ მუხლის პირველი ნაწილთან.

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელის პოზიციით, სადავო იყო პატიმრობის კოდექსის მე-17³ მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი, რომლითაც „საოჯახო პაემნით“ სარგებლობის უფლება ენიჭებოდა, მხოლოდ ქალ მსჯავრდებულებს, რითაც საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში დაცული თანასწო-

¹³⁴⁵ იქვე, II, პარაგრაფი 41-59.

რობის უფლება ირღვეოდა ქალ და მამაკაც მსჯავრდებულებს/ბრალდებულებისადმი აღნიშნული შესაძლებლობის არარსებობით.

მოსარჩელის პოზიციით ქალი მსჯავრდებულებისადმი დადგენილი პრივილეგირებული, პოზიტიური დისკრიმინაცია ეფუძნებოდა კულტურულად სტიგმატიზებულ, გენდერულად დისკრიმინაციულ შეხედულებას, აგრეთვე ბრალდებულების სტატუსთან მიმართებითაც განმცხადებელი აპელირებდა ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სტატუსების არამართლზომიერად გამიჯვნაზე, რაც არ მართლდებოდა ორივე სტატუსის მქონე პირების თავისუფლების აღკვეთის მსგავსი თვისებების გათვალისწინებით. რეგულირება პატიმრობის მაქსიმალური ვადის განმავლობაში, „საოჯახო პაემნის“ უფლებით სარგებლობისგან სრულ შეზღუდვას აწესებდა მსჯავრდებული მამაკაცებისთვის და ორივე სქესის ბრალდებული პირების მიმართ გაუმართლებელ და ინტენსიურ ჩარევას გულისხმობდა. მოპასუხის არგუმენტაციით ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სტატუსთა გამიჯვნა გამართლებულია, ვინაიდან საოჯახო პაემანზე ხელმისაწვდომობით საფრთხე ექმნებოდა საზოგადოების მართლმსაჯულების და განსაკუთრებით საგამოძიებო პროცესის მიმდინარეობას, ხოლო ქალი მსჯავრდებულისადმი მსგავსი პრაქტიკა ჩამოყალიბებული იყო არა გენდერული სტერეოტიპით, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტის ოპტიმალურად ხარჯვით, კერძოდ, ქალი მსჯავრდებულების გადაფასების მექანიზმით, სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შესაძლებლობა არ იყო უზრუნველყოფილი, ვინაიდან ქალ მსჯავრდებულთა რაოდენობა არ იძლეოდა რამდენიმე ტიპის დაწესებულების საჭიროებას, რაც უფლებრივი გაუმჯობესების საშუალებას სპობდა და მხოლოდ მსგავსი წამახალისებელი მიდგომით ბალანსდებოდა.¹³⁴⁶

სასამართლო მსჯელობა: საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობით პატიმრობის კოდექსის რეგულირება ქალ მსჯავრდებულებს ანიჭებდა „საოჯახო პაემნით“ სარგებლობის ექსკლუზიურ უფლებას, რითაც გამოირიცხებოდა მსჯავრდებულ მამაკაცებს და ქალ/მამაკაც ბრალდებულების მიმართ მსგავსი უზრუნველყოფა, კონსტიტუციის მე-11 მუხლთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილდა ფაქტზე, რომ მიუხედავად უთანასწორო მოპყრობისა თავისთავად ეს საკმარისი არ არის კონსტიტუციით აკრძალული დისკრიმინაციული მოპყრობის დასადგენად. საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა მოსარჩელის პრეტენზია ქალ და მამაკაც მსჯავრდებულების მიმართ გენდერული სტერეოტიპით დადგენილ მიდგომასთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ სადავო ნორმის მიზანს არ წარმოადგენდა მამაკაცი მსჯავრდებულების დისკრიმინაცია და მას არც შედეგობრივად გამოუწვევია ასეთი მდგომარეობა. ნორმა მიზნად ისახავდა ქალ მსჯავრდებულთა სიმწირით გამოწვეული უფლებრივი შეზღუდვის დაბალანსებასა და ნაკლებად კეთილმოსურნე ვითარების გამოსწორებას. გადაფასებისა და სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შეუძლებლობის გამო, ექსკლუზიური „საოჯახო პაემნის“ უფლებით ხდებოდა კაცი მსჯავრდებულებისადმი დადგენილი ოჯახური ურთიერთობების ხარისხობრივი გარანტირების შეთვისება, შესაბამისად შერჩეული ღონისძიება წარმოადგენდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებას. ბრალდებულებისა

¹³⁴⁶ საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 27 ივლისი 2023, N1/6/1737, I, პარ 4-27.

და მსჯავრდებულების სტატუსზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ბრალდებულის სტატუსსა და „საოჯახო პაემნის“ პრივატული ხასიათის საფრთხეებზე, რაც გამოძიების ინტერესებისთვის, აგრეთვე მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებისთვის რეალურად საფრთხის შემცველად მიიჩნია. დასკვნის სახით საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და განმარტა, რომ მიუხედავად ქალი მსჯავრდებულებისადმი განსხვავებული მიდგომისა, ჩამოყალიბებული პრაქტიკა არ ემსახურებოდა ქალ და მამაკაც მსჯავრდებულთა დისკრიმინაციას, პირიქით არსებული ქმნიდა უფლებრივი ხელმისაწვდომობის აღმოფხვრის ინდივიდუალურ გარემოებას, ხოლო ბრალდებულების სტატუსთან დაკავშირებით, მსგავსი შეზღუდვა გამართლებული იყო სუბიექტის სტატუსისა და „საოჯახო პაემნის“ მახასიათებლების გათვალისწინებით.¹³⁴⁷

გადაწყვეტილების მნიშვნელობა და პენიტენციური კოდექსის რეგულირება:

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, რადგან თავისი არსით შეუძლავს გენდერული სტერეოტიპებით განპირობებულობისა და დისკრიმინაციული მიდგომის ამორიცხვისა და შეფასების მკაცრი ტესტის მექანიზმის სტანდარტს. გადაწყვეტილებით ხაზი გაესვა ინდივიდუალური შეფასების და ყოველმხრივი გამოკვლევის საჭიროებას, განსაკუთრებით სავარაუდო დისკრიმინაციისას. შინაარსი და გადაწყვეტილება ნათლად წარმოაჩინეს, მყიფე ზღვარს, რაც რაციონალური შეფასებით მიიღწევა. საგულისხმოა, რამდენად არის დღევანდელი რეგულირებით, უზრუნველყოფილი არადისკრიმინაციული მიდგომა, პენიტენციური კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილით, საოჯახო პაემნით სარგებლობის უფლება ექსკლუზიურად მიემართება ქალ მსჯავრდებულებს, ხოლო მეორე ნაწილით აღნიშნული შესაძლებლობა უზრუნველყოფილია სუბიექტის წერილობითი თხოვნის საფუძველზე. რეგულირება არ აყალიბებს პატიმრობის კოდექსისგან განსხვავებულ მიდგომას, რაც მართლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წამოჭრილი მსჯელობით, კერძოდ, ისევ აქტუალურია ქალი მსჯავრდებულებისა და დაწესებულების სიმწირის პრობლემა, რაც მსგავსი განსხვავებული უფლებრივი ხელმისაწვდომობით ბალანსდება და ხელს უწყობს ოჯახური ურთიერთობების გაგრძელებას.

• **სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 5 ივლისი 2021, N1/3/1441**

დავის საგანი: საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიმართება, პატიმრობის კოდექსის 71⁸ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის და 88-ე მუხლის მე-2 ნაწილთან.

ფაქტობრივი გარემოებები: 2019 წლის 15 აგვისტოს, სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ იქნა სარჩელი, კერძოდ, პატიმრობის კოდექსის 71⁸ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს უფლებამოსილება ჰქონდა, გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მიმართ, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის სახით, გამოეყენებინა სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა 1 თვემდე ვა-

¹³⁴⁷ იქვე, II, პარაგრაფი 11-52.

დით. ამავე კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი აღგენდა, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დისციპლინური სახდელის სახით, შეიძლება განსაზღვროდა სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით, ასევე რეგულირება შინაარსით მოიცავდა სამართლო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს, მათ შორის, სატელეფონო საუბრის აკრძალვასაც. სახალხო დამცველის წარდგენილი არგუმენტაციით მსგავსი ხარისხით უფლების შეზღუდვა დაუშვებელია და ეწინააღმდეგება, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლს, რაც კრძალავს ადამიანის წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენებას, აგრეთვე მოსარჩელე ხაზს უსვამდა სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებისას პოზიტიურ ვალდებულების არსებობას. მოსარჩელე პრეტენზიას აფუძნებდა ორ არგუმენტზე ესენია: 1) სახალხო დამცველის ცხელი ხაზი უზრუნველყოფს წამების ფაქტზე მყისიერი რეაგირების მთავარ მექანიზმს, რაც სხვა ალტერნატივებით, მაგალითად წერილის გამოგზავნით, ვერ ჩანაცვლებოდა, დროში განწილვალების გამო. აგრეთვე, სახალხო დამცველის აპარატიმ პერსონალის ნაკლებობით ვერ ხდებოდა პირდაპირი კომუნიკაციის სათანადო უზრუნველყოფა. 2) „მოსარჩელე მხარის წარმომადგენელთა აზრით, სამართლო საკანში მყოფი პატიმრების გამოყვანა საკინდან და მათი ტელეფონთან მიყვანა არ გულისხმობს ავტომატურად საფრთხის წარმოქმნას, აგრეთვე სხვა ლეგიტიმური მიზნები, ისევე როგორც, პატიმრების მხრიდან სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე დარეკვის უფლების ბოროტად გამოყენების რისკი ვერ ამართლებდა ბლანკეტური ხასიათის აკრძალვას, განსაკუთრებით საკანონმდებლო დონეზე მონიტორინგის მექანიზმების არსებობისას. მოპასუხე მხარის ძირითადი არგუმენტი კი ეფუძნებოდა სახალხო დამცველის მხოლოდ საზედამხედველო ფუნქციასა და წამების ფაქტს, საგამოძიებო ორგანოს რეალურ ქმედითობას“.¹³⁴⁸

სასამართლო მსჯელობა: კონსტიტუციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, ადამიანის წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენების კონსტიტუციური აკრძალვის აბსოლუტურ ხასიათზე, რაც უფლებაში ნებისმიერი სახის ჩარევის ავტომატურ დარღვევაზე მიუთითებს. ღირსების დაცვის გარანტია დემოკრატიულობისა და თანამედროვე საზოგადოების ფუნდამენტია, შესაბამისად ხაზი გაესვა, როგორც მის ნეგატიურ, აგრეთვე პოზიტიურ ქრილში დაცვის მნიშვნელობას. უშუალოდ პატიმრობის კოდექსის 71⁸ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტზე, 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტსა და 88-ე მუხლის მე-2 ნაწილებზე საუბრისას განიმარტა, რომ უნდა დადგენილიყო სამართლო საკანსა და დისციპლინურად სახდელდადებული პირისთვის სახალხო დამცველთან კონტაქტის შეზღუდვა რამდენად გულისხმობდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას. აგრეთვე მსგავსი რეჟიმი სხვა გარანტირებულ საკომუნიკაციო ალტერნატივებთან მიმართებით იყო თუ არა გამართლებული. სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებზე მსჯელობისას განიმარტა პატიმრების უფლებრივად მოწყვლადი მდგომარეობა და სახელმწიფოს კონტროლზე დაქვე-

¹³⁴⁸ საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 5 ივლისი 2021, N1/3/1441. I, პარ 3-18.

მდებარებულობის ხასიათი, რაც დროული და ეფექტიანი სამართლებრივი რეაგირების, თუ პრევენციის ვალდებულებას აყალიბებს. სატელეფონო წვდომაზე მსგავსი აბსოლუტური აკრძალვის ინტენსივობა საგულისხმოდ იქნა მიჩნეული, ყურადღება გამახვილდა დისციპლინური წესით დასჯილი/სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრებისთვის სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე წვდომის შესაძლებლობის ბლანკეტური აკრძალვით და ინტენსივობით ხომ არ ირღვევა კონსტიტუციის მე-9 მუხლში დაცული უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სახალხო დამცველის სარჩელი დაკმაყოფილდა რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაპირობის გათვალისწინებით, კერძოდ, ხაზი გაესვა სახალხო დამცველი აპარატის, როგორც წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის ეროვნულ მექანიზმს. აგრეთვე, საგამოძიებო ორგანოს ფუნქციურ დატვირთვაზე არგუმენტი არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ პოსტფაქტუმ საგამოძიებო ორგანოების კონკრეტული ვალდებულებაა მსგავსი ფაქტების გამოძიება. სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციური დანიშნულება ჩაუნაცვლებელია მისი სანდო და ორმხრივი კომუნიკაციის გარანტიის გათვალისწინებით. საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა, სხვა კომუნიკაციის შესაძლებლობების, როგორც პრევენციის მექანიზმების სათანადოობაზე, კერძოდ, პატიმართა წერილობითი საჩივრის ადრესატამდე მისვლისას არსებობდა დროში არაეფექტიანად მოქმედებისა და ადმინისტრაციის მხრიდან თვითნებობის გამოვლენის მაღალი ხარისხი, რაც ვერ უზრუნველყოფდა ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენციას. აგრეთვე, სატელეფონო კომუნიკაციის აბსოლუტურად შეზღუდვისას განიმარტა სანქციის მოქმედების ინტენსივობის (14 დღის, 1 თვისა და 3 თვის ვადა) მნიშვნელობა და დადგინდა, რომ პრაქტიკა საფრთხეს უქმნიდა, როგორც ჯანმრთელობას, ასევე მტკიცებულებების მოპოვების პროცესს.

სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციურ დატვირთვაზე მსჯელობისას განიმარტა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებთან სრული, შეუზღუდავი წვდომით, მწირი პერსონალითა და ვიზიტების რაოდენობის შეუზღუდაობის მიუხედავად, აღნიშნულითაც ვერ ხდება ინფორმირებულობის, როგორც რეაგირების წონადი მექანიზმის დაძლევა, ხოლო სავარაუდო არასათანადო მოპყრობის დადგენის სირთულეებიდან გამომდინარე, კომუნიკაციის საშუალების მსგავსი აღმოფხვრა, გაუმართლებლად აუარესებს სავარაუდო დაზარალებულის მდგომარეობას. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში დადგენილი რეჟიმი ვერ პასუხობდა კონსტიტუციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტით მოცულ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებებით უზრუნველყოფის ხარისხს.¹³⁴⁹

გადაწყვეტილების მნიშვნელობა და პენიტენციური კოდექსის რეგულირება პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტში გათვალისწინებულია დისციპლინური სახდელის სახით სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით, ამავე მუხლის მერვე ნაწილით არსებული შეზღუდვა არ ვრცელდება საქართველოს სახალხო დამცველზე, სპეციალური სა-

¹³⁴⁹ იქვე, II, პარაგრაფი 14-31.

გამოძიებო სამსახურსა და სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე სატელეფონო ნომრებზე დაკავშირებაზე, აგრეთვე პენიტენციური კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილით „სამართლო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნარჩუნდება სატელეფონო საუბრის უფლება საქართველოს სახალხო დამცველის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დასაკავშირებლად“. დღევანდელ საკანონმდებლო რეგულაციასა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შედეგების ანალიზისას, სრულად არის გათვალისწინებული პატიმრობის კოდექსში არსებული საკანონმდებლო ხარვეზი, სახელმწიფომ სრულად უზრუნველყო კონსტიტუციის მე-9 მუხლით დაცული ადამიანი წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისას პოზიტიური ვალდებულების დაცვის ვალდებულება. თანამედროვე პრაქტიკით, ხარისხობრივად იმატებს სავარაუდო ღირსებისა და პატივის შემლახავი მოპყრობის აღმოჩენა/რეაგირების მექანიზმი, ხოლო სუბიექტთა წრის გაზრდითა და ნორმაში, არამართო სახალხო დამცველზე აპელირებით ხელი ეწყობა კონსტიტუციური უფლების დაცვისას სუბიექტთა, კომპლექსურად ჩართვის პრაქტიკას.

• საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელ-აღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ, 26 ივლისი 2018, N2/4/665,683

სარჩელი ეხებოდა „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის პირველი აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 113-ე მუხლის და 114-ე მუხლის პირველი და მე-2 წინადადებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან და მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სრული შემოწმებისას ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია, უფლებამოსილი პირის მითითებით მთლიანად გაიხადოს ან გაიშიშვლოს სხეულის შესაბამისი ნაწილები და მიაჩნდა, რომ ამგვარი მოპყრობა იწვევდა პირის დამცირებას და შეურაცხყოფას. შესაბამისად, მისი გამოყენება უნდა მომხდარიყო უკიდურესი აუცილებლობისას ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. ამასთან, თუ არ არსებობდა მიზნის მიღწევის სხვა ნაკლებად შემზღუდავი საშუალება. მოსარჩელე მხარე მიზნის მიღწევის ანალოგიურად ეფექტიან, ამასთან ნაკლებად შემზღუდავ საშუალებად მიიჩნევა სკანერით შემოწმების განხორციელებას, რასაც №200 ბრძანება არ ითვალისწინებდა. განმცხადებელი აგრეთვე აპელირებდა, რომ ბრძანების შესაბამისად, სხეულის გაშიშვლება უალტერნატივოდ იყო გათვალისწინებული სრული შემოწმების სახით, რაც ცალსახად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც ადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას (ახალი რედაქციით მე-12 მუხლი), ასევე მე-17 (ახალი რედაქციით მე-9 მუხლის 2 პუნქტი) მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება“. ხოლო 20 მუხლით

(ახალი რედაქციით მე-15 მუხლი) ასევე დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი და იმავდროულად, ადგენს, რომ ადამიანის პირადი ცხოვრების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. აღნიშნულ კონსტიტუციურ უფლებებზე დაყრდნობით, განმცხადებელი უთითებდა, რომ არსებული რეგულირება სრულიად ლახავდა მის უფლებებს, ასევე ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით ხაზს უსვამდა თანამედროვე სკანერის გამოყენების შესაძლებლობაზე, რომელსაც ანალოგიური ფუნქცია გააჩნდა და არ იწვევდა ადამიანის დამცირებას. ასევე, ბრძანების 113-ე მუხლის 2 ნაწილთან მიმართებით მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სხეულის გამიშვლება როგორც სრული შემოწმების უალტერნატივო საშუალება გამოიყენებოდა, მათ შორის, დაბალი რისკის პატიმრების მიმართაც ინტენსიური ხასიათით, კერძოდ, პირი შეიძლება დღის განმავლობაში რამდენჯერმე დაქვემდებარებოდა სრულ შემოწმებას. მოსარჩელის პოზიციით, იმისთვის, რომ შემოწმება არ ყოფილიყო ბლანკეტური და არ იწვევდეს უფლებაში ინტენსიურ ჩარევას, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის, თუ რა დანაშაულისათვის იმყოფება ადამიანი სასჯელადსრულების დაწესებულებაში და როგორი ყოფაცქევით გამოირჩევა იგი. ნებისმიერი პირის მიმართ ამ ღონისძიების გამოყენება, ინდივიდუალური გარემოებების შესწავლის გარეშე, გაუმართლებლად ლახავს პირის კონსტიტუციურ უფლებებს და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. ხარვეზს მოსარჩელე რუტინულ შემოწმებაში ხედავდა.

შესაბამისად, №200 ბრძანების სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, მოსარჩელე მხარის მიერ შემოთავაზებული არგუმენტაცია ასევე მიემართებოდა №116 ბრძანების სადავო ნორმებსაც. თუმცა საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას №116 ბრძანებაში განხორციელდა რიგი ცვლილებები. კერძოდ, ბრძანების 22-ე მუხლის მე-8 პუნქტს დაემატა 81, 82 და 83 პუნქტები, რომელთა მიხედვითაც, დაინერგა პირადი სრული შემოწმების სკანერის გამოყენებით განხორციელების შესაძლებლობა. შემოწმების საშუალების არჩევა კი ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებამოსილება გახდა, რაც ინდივიდუალიზაციასა და აუცილებლობაზე უსვამს ხაზს. მოსარჩელე მხარემ მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში გასაჩივრებული ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებისას სასამართლო ითვალისწინებს კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. შესაბამისად, მან სადავო ნორმებზე მსჯელობა განავითარა კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების ქრილში. 1) ცვლილებებთან დაკავშირებით მოსარჩელე მხარე განმარტავდა, რომ სადავო ნორმები მისთვის კვლავაც პრობლემურია. მოსარჩელის პოზიციით, ბუნდოვანია, რამდენად არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ სკანერი ზუსტად აღმოაჩენს სხეულის შიგნით არსებულ ნივთებს, რათა გაუმართლებლად არ მოხდეს პირის პირადი შემოწმების მიზნით გამიშვლება. 2) მოსარჩელე მიუთითებს განხორციელებულ ცვლილებებზე, რადროსაც ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია, გაიხადოს ან სხეულის შე-

საბამისი ნაწილი გაიშიშვლოს და აღნიშნავს, რომ პირის გამოიშვლება მაშინ, როდესაც იგი უარს განაცხადებს სკანერით შემოწმებაზე ან/და როდესაც სკანერით შემოწმებამ დაადასტურა ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ აკრძალული ნივთის/ნივთიერების ფლობა, მისთვის არ არის პრობლემური და კონსტიტუციური უფლებების დამრღვევი.

მოპასუხის არგუმენტაციით სრული პირადი შემოწმება ემსახურება მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებს, რაც უსაფრთხოებით იყო განპირობებული, აგრეთვე შემოწმებისას მაქსიმალურად იყო დაცული პატიმრის უფლებები და ესადაგებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, პირადი შემოწმება, ხორციელდებოდა დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ან/და უსაფრთხოების განყოფილების არანაკლებ ორი და არაუმეტეს ხუთი უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ, იმავე სქესის პირის მიერ, ხოლო გამოიშვლება მიმდინარეობდა იზოლირებულ ოთახში, ელექტრონული მონიტორინგის გარეშე. ინდივიდუალური ზაციასთან მიმართებით, მოპასუხის პოზიციით, კონტროლის შესუსტებას შესაძლოა წახალისებინა სამიშროების უფრო ნაკლები რისკის მქონე პირების მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში კანონმდებლობით აკრძალული ნივთის შეტანა ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენა. ამასთან, მოპასუხე აღნიშნავს, რომ სხვადასხვა დაწესებულებაში განთავსებული არიან სხვადასხვა სამიშროების რისკის მქონე პირები, რის გამოც სამიშროების უფრო ნაკლები რისკის მქონე პირები შესაძლოა ნებაყოფლობით ან ნების საწინააღმდეგოდ გამოყენებული იქნენ სამიშროების უფრო მეტი რისკის მქონე მსჯავრდებულების მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში აკრძალული ნივთის შეტანის ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენის მიზნით. მოპასუხის პოზიციით, სკანერი და სრული (სრული შინაგანი) შემოწმება სრულყოფილი შედეგის მისაღწევი და არაალტერნატიული საშუალებებია. კერძოდ, არსებობს ნივთები/ნივთიერებები, რომელთა აღმოჩენაც სკანერის აპარატით შეუძლებელია, რაც დასტურდებოდა ექსპერტის დასკვნითაც.¹³⁵⁰

სასამართლო მსჯელობა და შედეგი: სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის პირველი აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 113-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი (2013 წლის პირველი აგვისტოდან 2017 წლის პირველ სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია) საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2(9 მუხლი) პუნქტთან და მე-20(15) მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა დაწესებულების დროებით დატოვებისას კონტროლის მექანიზმების შესუსტებით გამოწვეულ საფრთხეებს, რაც გაცილების ალტერნატივით ვერ ბალანსდება. ასეთი წინაპირობისას, იზრდება რისკი, რომ პატიმარმა შესაძლოა კონტაქტი დაამყაროს სხვა პირთან, სხვა პირმა გადასცეს (ან გამოართვას) აკრძალული ნივთი, წარწერა და ა. შ. შესაბამისად, იზრდება პენიტენციურ დაწესებულებაში უკანონო და საფრთხის შე-

¹³⁵⁰ საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ, 26 ივლისი 2018, N2/4/665,683 I, პარ 4-42.

მცველი ნივთების მოხვედრისა და მიმოცვლის საფრთხე, რის გამოც არსებობს შემოწმების ჩატარების ლეგიტიმური ინტერესი, ხოლო ღირექტორის აღჭურვა გადაწყვეტილების მიღების დისკრეციით, აღნიშნულს ემსახურება. მოსარჩელის არგუმენტზე მსჯელობისას, რომ სრული შემოწმება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიმართ, ვის მიერ მსგავსი ქმედების განხორციელების მაღალი რისკი არსებობს, სასამართლომ მსჯელობით დაასკვნა, რომ პირთა წრის შემცირება ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების უსაფრთხოებასა და სხვათა სიცოცხლისა, თუ ჯანმრთელობის დაცვას. აგრეთვე, ნაკლებ ინვაზიური სკანერის შემოწმების მეთოდიც არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან მეთოდი ვერ უზრუნველყოფს ყველა სახისა და ზომის ნივთების აღმოჩენას.

საკონსტიტუციო სასამართლომ უფლებაში ჩარევა დაადგინა №200 ბრძანების არასათანადო რეგულირებასთან დაკავშირებით, კერძოდ, უმნიშვნელო საფუძვლის არსებობისას პირის გამიშვლებით შემოწმება, რაც დისკომფორტსა და დამცირებას იწვევს გაუმართლებელია. პირის გამიშვლების ღონისძიების ჩატარებას ისეთ პირობებშიც, როდესაც საფრთხე მინიმალური და ზედმეტად თეორიულია ლახავს კონსტიტუციურ უფლებას და ეწინააღმდეგება მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალული არასათანადო მოპყრობის ხარისხს.

აგრეთვე №200 ბრძანებით, არ იყო მკაფიოდ დადგენილი სრული შემოწმების რეგულირების სტანდარტი და უკვე შემოწმებული პირის მრავალჯერადად შემოწმების საფრთხეს ქმნიდა. ნორმა არ ითვალისწინებდა რაიმე ობიექტურ წინაპირობას, რაც ამასთანავე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის რისკსაც ზრდიდა და შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, არაკონსტიტუციურად. აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა №116 ბრძანების რეგულირებაზე და დაადგინა მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობა, რაც რეჟიმის მკაფიოობითა და უფლებაში ჩარევისას გასაჩივრების მექანიზმებით ბალანსდებოდა.¹³⁵¹

სასამართლოს მიერ წარმართული მსჯელობით ხაზი გაესვა, საკანონმდებლო რეგულირებისას მის დეტალიზებისა და ალტერნატიული ნაკლებ ინვაზიური მეთოდების დანერგვის საჭიროებას, განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ერთი მხრივ ბუნებრივად მიმდინარეობს პატიმრების კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა და აღნიშნულით მათ კეთილდღეობაზე ზემოქმედება. აგრეთვე, საკონსტიტუციო სარჩელი ეხებოდა, ორ საკანონმდებლო აქტს, რომელთაც რეგულირების ხარისხი ერთ თემატიკასა და განსხვავებულ მიდგომას აყალიბებდა, რაც საკანონმდებლო ქმედითობის შეფასების მასშტაბზეც უთითებს. სასამართლო გადაწყვეტილება, ნორმათა შეფასებისას მათი ხარისხობრივი აღსრულების სტანდარტზეც აპელირებს და ნათლად განასხვავებს კონსტიტუციურ უფლებათა ქრილში მათი შესაბამისობის შეფასების კრიტერიუმებს.

• მერაბ მურადაშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, 1 ივნისი 2023, N1/3/1591,1605

დავის საგანი: გადაწყვეტილებაში დავის საგანს წარმოადგენდა „სპეციალური პე-

¹³⁵¹ იქვე, პარაგრაფი 103-140.

ნიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან კონსტიტუციურობის შეფასება.

მოსარჩელის მიერ გამოთქმული პრეტენზია ეხებოდა „სპეციალური პენიტენციური სამსახურის“ 23-ე მუხლის პირველი ნაწილისა და კონსტიტუციის მე-11 მუხლით დაცული თანასწორობის უფლების შესაბამისობას. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ საკანონმდებლო რეგულირებით, რომელიც ბლანკეტური სახის იყო, 60 წელს მიღწეული, პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებული პირი ავტომატურად თავისუფლდებოდა თანამდებობიდან სხვა ალტერნატიული საფუძვლების გათვალისწინების გარეშე. მოსარჩელე აპელირებდა, რომ ზღვრული ასაკის მიღწევისას პოზიციიდან გათავისუფლება არ იყო მართლზომიერი, ვინაიდან ასეთ დროს ნარჩუნდებოდა სამუშაოს სათანადოდ შესრულების შესაძლებლობა. მსგავსი ხისტი საკანონმდებლო მიდგომა, სრულად გამორიცხავდა ინდივიდუალური შეფასების მექანიზმსა და აყალიბებდა დისკრიმინაციულ პრაქტიკას. განმცხადებელი აგრეთვე უთითებდა, რომ ზემოაღნიშნული ზღვრული შეზღუდვა ვრცელდებოდა უმცროსი სპეციალური წოდების მუშაკზე, როდესაც უფროს სპეციალურ მუშაკზე კანონით გათვალისწინებული იყო საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა 5 წლით, რაც სელექციურ და დისკრიმინაციულ მიდგომას აწესებდა. მოპასუხემ ნაწილობრივ სცნო სარჩელი დასაქმებული პერსონალისადმი განსხვავებულ მიდგომასთან დაკავშირებით, ხოლო უშუალოდ ასაკის ზღვრულ რაოდენობაზე ექსპერტის დახმარებით არგუმენტირებდა 60 წლის, როგორც ბუნებრივად წარმართული დაბერებისა და ფიზიკური სამუშაოს შესრულების უნარის დაქვეითებაზე.¹³⁵²

სასამართლო მსჯელობა: სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტაცია 60-წლიანი ზღვრული ასაკის დაწესებით განსხვავებულ რეგულირებასთან დაკავშირებით, რაც სამსახურის ეფექტიან, შეუფერხებელ, უსაფრთხო საქმიანობასა და საჯარო ინტერესის დაცვას ემსახურებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა პენიტენციური დაწესებულების უმცროსი კატეგორიის დასაქმებულის პროფესიულ ვალდებულებებზე და დააკვნა, რომ მათ მიერ შესასრულებელი ვალდებულებები ითვალისწინებს მომატებულ ფიზიკურ მზაობასა და ჯანმრთელობას, რაც გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ შესაძლოა მცირდებოდეს. სასამართლო მსჯელობისას მოყვანილ იქნა ექსპერტის დასკვნა, რომელიც მიუთითებდა, რომ ცალსახად შეუძლებელია ზოგადი ასაკობრივი ტენდენციებით დადგინდეს პიროვნების სამუშაოს შესრულების ხარისხი 60 წელს მიღწევისას. მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულს შეიძლება დაუქვეითდეს მასზე დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად შესრულებისთვის საჭირო უნარები, უნდა არსებობდეს პირთა ინდივიდუალურად შეფასების მექანიზმი, კანონის მსგავსი პრაქტიკა არ იყო რაციონალურ კავშირში დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანთან. ამგვარად, არ არსებობდა ასაკობრივი ნიშნით დაწესებული განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება და განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების მნიშვნელობა და პენიტენციური კოდექსის რეგულირება:

¹³⁵² მერაბ მურადაშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, 1 ივნისი 2023, N1/3/1591,1605 I, პარ 24-39.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის თავისი არსით ეხება დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის ასაკსა და მასთან დაკავშირებულ სამუშაოს შესრულების ხარისხს. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულების ფუნქციონირებისა და უსაფრთხოებისთვის აუცილებელია არსებობდეს დაცვის მაღალი სტანდარტები. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში საჯარო ინტერესი და საზოგადოებრივი უსაფრთხოება დინამიკურად უზრუნველყოფილია დასაქმებული პირების მეშვეობით. მოცემული საკონსტიტუციო გადაწყვეტილება საინტერესო მსჯელობას აყალიბებს და ადგენს, რომ მოუხედავად საფრთხეების არსებობისა ინდივიდუალიზაციის პრინციპი გათვალისწინებული უნდა იყოს, თუნდაც 60-წლიანი ზღვრული ასაკობრივი კატეგორიის მიღწევისას, დისკრიმინაციული პრაქტიკის პრევენციისათვის. პენიტენციური კოდექსის, მე-16 მუხლის შინაარსი სრულად ესადაგება საკონსტიტუციო სასამართლოს მიგნებებს და მოუხედავად იმისა, რომ შენარჩუნებულია უმცროსი (60 წელი) და უფროსი (65 წელი) წოდების მოსამსახურეებს შორის განსხვავებული ასაკობრივი შეზღუდვა, ორივე შემთხვევაში მე-16 მუხლის მე-3 ნაწილით მთლიანად არის მოცული ძველი რეგულირების არაკონსტიტუციურად მიჩნევის საფუძველი, კერძოდ, ასაკობრივი ზღვრის მიღწევისას ორივე კატეგორიის დასაქმებულის მიმართ ჩამოყალიბებულია ინდივიდუალური შეფასების სისტემა. დღევანდელი რეგულირებით სრულად აღმოფხვრილი და სტანდარტიზებულია, ხანდაზმული პირის გადაფასებისა და მისი სამსახურებრივად ქმედუნარიანობის შეფასების მექანიზმი, რაც აბსოლუტურად აღმოფხვრის ადრე წარმოქმნილ დისკრიმინაციულ პრაქტიკას.

• საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ, 21 დეკემბერი 2022, N1/10/1676

დავის საგანი: საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიმართება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №3 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №109 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან.

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე უთითებდა კონსტიტუციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტით დაცულ აბსოლუტურ უფლებაში ჩარევაზე, კერძოდ, №3 და №6 პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა საკანში განთავსების წესზე, რომლის თანახმადაც, „მსჯავრდებული, როგორც წესი, თავსდება ერთ ან ორადგილიან საკანში“. განმცხადებელი აპელირებდა, რომ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში ერთადგილიან საკანში მოთავსებისას გადაწყვეტილების პერიოდული გადასინჯვის მექანიზმი და განწესების ვადა არ არსებობდა, რაც თვითნებობისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის რისკს ზრდიდა. დასტურდებოდა შემთხვევები, როდესაც პატიმრის ერთადგილიან საკანში განთავსება მიმდინარეობდა ხა-

ნგრძლივი დროით. კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებდა სასამართლოს გზით გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმს, შესაბამისად მხარე მიიჩნევდა, რომ მსჯავრდებულის ერთადგილიან საკანში განწესების შესახებ გადაწყვეტილება არ მიიღებოდა განჭვრეტადი და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. აგრეთვე მხარე აპლირებდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას დირექტორის უფლებრივად, ერთპიროვნულად და უსტანდარტოდ აღჭურვაც წარმოქმნიდა უფლების ბოროტად ან თვითნებურად გამოყენების მომატებულ საფრთხეს. მოსარჩელის აზრით, მსგავსი მკაცრი რეჟიმისას აუცილებელია არსებობდეს დეტალიზებული და სტანდარტიზებული რეგულირების მექანიზმი. მოპასუხე მხარის არგუმენტაციით, მსგავსი რეგულაცია მართლდებოდა განსაკუთრებული რისკის დაწესებულების ხასიათისა და მასში მოთავსებული დამნაშავეების მომატებული საფრთხით.¹³⁵³

სასამართლო მსჯელობა: საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და ძალადაკარგულად აღიარა სადავო ბრძანებები. მსჯელობით ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ მსჯავრდებულის იზოლაცია, განსაკუთრებით, როდესაც რეჟიმი ეხება განსაკუთრებული რისკის დაწესებულებას, სადაც სოციალური კავშირები მეტად შესუსტებულია, ხანგრძლივად და განუსაზღვრელი ვადით ერთადგილიან საკანში განთავსება, მით უფრო სათანადო პროცედურული გარანტიების გარეშე, სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ რელატიური იზოლაციისას ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისა, თუ სულიერი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის მაღალი რისკი იქმნება, ხოლო კონსტიტუციის მე-9 მუხლის აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე არსებული მკაცრი შემოწმების სტანდარტს დაექვემდებარა, სოციალური იზოლაცია ხარისხის გათვალისწინებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ რეგულირების ხარისხი და არა-განჭვრეტადი ხასიათი თვითნებობის ხარისხს ზრდის, ხოლო საკანონმდებლო დაზღვევის გარეშე განმარტოებული პატიმრობის ღონისძიების გამოყენება, რომელსაც ისედაც ძლიერად შემზღვეველი ბუნება აქვს, არ პასუხობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს. ნორმებს გააჩნდა ისეთი ნორმატიული შინაარსი, რომლებიც შესაძლებლობას იძლეოდნენ დაწესებულების დირექტორის მხრიდან განუსაზღვრელი ვადით პირის იზოლირებას, სათანადო წერიითი დასაბუთების გარეშე, ინდივიდუალური შეფასებისა და გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებლად, აგრეთვე არ იყო დადგენილი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და გასაჩივრების მექანიზმებიც, საკანონმდებლო რეგულირება არ იყო სათანადო და განჭვრეტადი ხარისხით, რაც კონსტიტუციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტთან სრულიად შეუსაბამო იყო.¹³⁵⁴

გადაწყვეტილების მნიშვნელობა და პენიტენციური კოდექსის რეგულირება საკონსტიტუციო გადაწყვეტილებით სასამართლომ მნიშვნელოვანი ზღვარი გაავლო სოციალური იზოლაციის ხარისხსა და არასათანადო მოპყრობის საფრთხეების პრევენციის მნიშვნელობაზე, მომატებული კრიმინალური ქცევის მსჯა-

¹³⁵³ სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ, 21 დეკემბერი 2022, N1/10/1676, I, პარ 1-23.

¹³⁵⁴ იქვე, II, პარაგრაფი 30-45.

ვრდებულებთან. საკანონმდებლო რეგულაციის სიცხადე და განჭვრეტადობა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულებისას ფუნდამენტურად მოქმედებს, ხოლო ინდივიდუალურ წინაპირობებთან მიმართებით ერთადგილიან საკანში იზოლირების ხარისხი განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში უნდა პასუხობდეს შესაბამის სტანდარტს. დღეისათვის პენიტენციური კოდექსის 38-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი ითვალისწინებს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების ადკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის ერთადგილიან ან ორადგილიან საკანში განთავსებას, რაც ახალი შემუშავებული და მეტად სისტემური დებულებებით რეგულირდება.

მეთხუთმეტე თავი

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები ადამიანის უფლებათა სტრასბურგის ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

მოცემულ თავში განხილულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის რელევანტური, ადამიანის უფლებათა სტრასბურგის ევროპული სასამართლოს 2019-2024 წლებში მიღებული გადაწყვეტილებების უახლოესი პრაქტიკა და სისტემატიზებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით განმტკიცებული სასჯელადსრულების სისტემისთვის აქტიური უფლებების სპექტრი. სტრუქტურით თანმიმდევრულად განხილულია საკითხები, როგორც არის სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, გამონაბტვის თავისუფლება და თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.

- **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლით დაცული უფლებები**

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში-კონვენცია) მე-2 მუხლით დაცულია სიცოცხლის უფლება, რომელიც უნდა განხორციელდეს ეფექტიანი და პრაქტიკული მიდგომებით.¹³⁵⁵ ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არიან უზრუნველყონ უფლების, როგორც მატერიალური, აგრეთვე პროცედურული დაცვა (ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულება). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში - ევროსასამართლო, ან სტრასბურგის სასამართლო) სიცოცხლის უფლებას, წამების აკრძალვასთან ერთად ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებად მიიჩნევს და დემოკრატიული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ქმედით ფუნქციას მიაწერს.¹³⁵⁶ პატიმრებთან დაკავშირებით სიცოცხლის უფლებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ, აბსოლუტურად დაცულ უფლებას წარმოადგენს წამების აკრძალვა, რომლის სამოქმედო არეალი მეტად ფართოა და მოიცავს, როგორც წამებისაგან დაცვას, ასევე არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას. სასამართლო განმარტავს, რომ უფლება ადამიანის „ღირსების“ დაცვას ემსახურება, ხოლო იმ პირობებში, როდესაც მას პატიმრობა და შესაბამისად უფლებათა მრავალი სპექტრის შეზღუდვა ბუნებრივად ახლავს, აუცილებელია გადაიდგას ეფექტიანი ნაბიჯები.¹³⁵⁷ მესამე მუხლის დარღვევის დასადგენად ევროსასამართლო იყენებს „სისასტიკის მინიმალურ ზღვარს“, რომელიც კონტექსტუალური ხასიათისაა და კონკრეტულ გარემოებასთან დაკავშირებით ინდივიდუალურად განიხილება. მიყენებული ტანჯვის სისასტიკისა და ინტენსიურობის დადგენისას, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი გარემოებები: ფსიქიკური და ფსიქოლოგიური

¹³⁵⁵ Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, Right to life (Updated on 31 August 2023), p 6.

¹³⁵⁶ იქვე, p 6.

¹³⁵⁷ Guide on Article 3 of the European Convention on Human Rights (Prohibition of torture) First edition – 31 August 2022, p 6.

შედეგი, გენდერი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა. შ.¹³⁵⁸ შინაარსობრივად წამების აკრძალვა მოიცავს, როგორც წამებას, აგრეთვე არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასაც, რომელთა შორის განსხვავება ჩარევის სიძლიერესა და მიზეზშედეგობრივ კავშირშია. წამების დასადგენად შინაარსობრივად ყველაზე მწვავე გარემოებები უნდა იკვეთებოდეს, ხოლო არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობისთვის ჩარევის ხარისხი და შედეგის ინტენსივობა შემცირებულია.¹³⁵⁹ სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, პატიმარი ე. წ. „მოწყვლად“ ჯგუფადაც განიხილება განსაკუთრებით კონვენციის მესამე მუხლთან მიმართებით, ხოლო გადაწყვეტილებების შინაარსი მახასიათებლების მრავალფეროვნებით განისაზღვრება, გთავაზობთ აღნიშნულის პრაქტიკით გამტკიცებულ მაგალითებს.

ფაქტობრივი გარემოებები: ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში კუნალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (KUKHALASHVILI AND OTHERS v. GEORGIA) გარემოებები ეხებოდა 2006 წელს, სახელმწიფოს მხრიდან ქურდული სამყაროს წევრი პატიმრების მიერ დაგეგმილი ციხის ბუნტის ჩახშობას. კერძოდ, სპეცოპერაციისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით გარდაიცვალა 7 და დაზიანდა 22 პატიმარი, აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან სპეცოპერაციის სათანადოობასთან დაკავშირებით დაკობდნენ გარდაცვლილების მშობლებიც, რომელთაც „დაზარალებულის სტატუსი“ არ მიენიჭათ. სასამართლომ იმსჯელა კონვენციის მეორე მუხლის, როგორც პროცედურულ აგრეთვე მატერიალურ დარღვევაზე.¹³⁶⁰

სასამართლოს მსჯელობა - სასამართლომ იმსჯელა, როგორც სიცოცხლის უფლების ხელყოფაზე პროცედურულ ნაწილში, აგრეთვე მატერიალურ დარღვევაზე. პროცედურული ნაწილის დარღვევისას უშუალოდ განიხილა სპეცოპერაციის წარმართვისა და საექვო გარდაცვალებების შემდეგ სავალდებულო გარდაცვალებების გამოძიების ადეკვატურობა და სათანადოობა. საქმესთან მიმართებით სასამართლომ გამოყო, რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, კერძოდ, დაადგინა, რომ 3 თვით გამოძიების დაწყების გადავადება აუარესებს გამოძიების ხარისხს და არაეფექტურია. აგრეთვე ხაზი გაესვა, თვით სასიკვდილო ძალის საჭიროების გამოძიების აუცილებლობასა და დაზარალებულის უფლებამონაცვლეების სტატუსის არმინიჭებას, რის გამოც გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს არ მიეცათ, რიგი უფლებებით სარგებლობის საშუალება. ყურადღება გამახვილდა, სპეცოპერაციის ჩამტარებელი ინსტიტუციისა და საგამოძიებო ორგანოს თანხვედრაზე, რაც გამოძიების ხარისხსაც აუარესებდა. საქმეში დაადგინა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის გამოყენების შემთხვევის გამოძიება არ იყო ქმედითი და ვერ უზრუნველყოფდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მასშტაბს.¹³⁶¹ აგრეთვე, სასამართლომ იმსჯელა სიცოცხლის უფლების მატერიალური ასპექტის დარღვევაზე და დაადგინა, რომ მომაკვდინებელი ძალის გამოყენება

¹³⁵⁸ იქვე, p 6.

¹³⁵⁹ იქვე, p 8.

¹³⁶⁰ CASE OF KUKHALASHVILI AND OTHERS v. GEORGIA, Applications nos. 8938/07 and 41891/07, 2 April 2020.

¹³⁶¹ იქვე, პუნქტი 132-135.

ლეგიტიმური იყო საქმეში არსებული გარემოებების კონტექსტური შეფასებისას. ბუნტის მასშტაბი და სახიფათო დამნაშავეების შეიარაღება რეალურ საფრთხედ მართლზომიერად იყო მიჩნეული, აქედან გამომდინარე სასამართლო ლეგიტიმურად თვლის ბუნტის ჩასახშობად ძალის გამოყენების საჭიროებას და მათ შორის მსჯელობს ე. წ. „სასიკვდილო ძალის“ გამოყენების პროპორციულობაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ პროპორციულად ვერ ჩაითვლებოდა სახელმწიფოს მიერ ბუნტის ჩახშობისას გამოყენებული სასიკვდილო ძალა, ვინაიდან მიუხედავად წინასწარი ინფორმირებისა, არ იყო ჩატარებული სავარაუდო სიკვდილიანობის შემცირებისთვის აუცილებელი ზომები. აგრეთვე, ლეტალური ძალის გამოყენების საპირწონედ ყურადღება გამახვილდა ალტერნატივის განხილვის მნიშვნელობასა და ევაკუაციის გეგმის ფაქტობრივად არარსებობაზე, რამაც არა მარტო ბუნტში მონაწილე პირები, არამედ განურჩევლად, საფრთხის ქვეშ ჩააგდო პატიმრების უმრავლესობა. გარდა ამისა, ბუნტის შემდგომაც, საფრთხის არარსებობისას, ძალადობის ფაქტებიც ცალსახად სადამსჯელო და არასათანადო ოპერაციის ჩატარებაზე მეტყველებს. სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლით დაცული სიცოცხლის უფლებაში ჩარევა, როგორც მატერიალურად, აგრეთვე პროცედურულად.¹³⁶²

გადაწყვეტილების მნიშვნელობა: გადაწყვეტილება თავისი არსით მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ყურადღებას ამახვილებს პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების მასშტაბსა და კრიმინოლოგიურად აქტიური ზონის საფრთხეების სწორ მონიტორინგსა, თუ აღრიცხვაზე, ასევე, სასიკვდილო ძალის გამოყენებისას კონტექსტისა და საფრთხეების შეფასების მნიშვნელობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ ხაზი გაუსვა ალტერნატიული შესაძლებლობის გამოყენების უპირატესობასა და ბუნტის ჩახშობისას სასიკვდილო საფრთხის შემცირების ვალდებულებას. აგრეთვე, ყურადსაღებია მსჯელობა, მომავლინებული ძალის გამოყენების შემდეგ, სათანადო გამოძიების წარმართვის მნიშვნელობასა და უფლებამონაცვლეთა სტატუსის მინიჭების გარანტირებაზე.

გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (GABLISHVILI AND OTHERS v. GEORGIA) საქმე ეხებოდა ოთხი პატიმრის მხრიდან, ციხის გალავანზე გადაძრომით, გაქცევის მცდელობას, რაც აღკვეთილ იქნა ციხის თანამშრომლების მიერ სავარაუდო, გადამეტებული ძალმომრეობითი ქმედებით. მომჩივნების განცხადებით, ისინი რკინის მილაკებითა და ჯოხებით სასტიკად იყვნენ ნაცემები, ხოლო ფიზიკური ანგარიშსწორება ვითარების განეიტრალების შემდეგ საკანშიც გაგრძელდა. მომჩივნები მიიჩნევდნენ, რომ დაირღვა როგორც კონვენციის მე-3 მუხლით მოცული მატერიალური, აგრეთვე პროცედურული ნაწილები.¹³⁶³

სასამართლოს მსჯელობა: ევროსასამართლომ გაქცევის აღსაკვეთად ჩატარებული ღონისძიების სათანადოობაზე ინდივიდუალურად იმსჯელა და მხოლოდ ორი პატიმრის მიმართ დაადგინა დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი. კერძოდ, სასამართლომ შეისწავლა სამედიცინო ექსპერტიზის მიერ მიღებული დასკვნა, რომელიც სახელმწიფოს განმარტებას ეჭვქვეშ აყენებდა. სიმადლიდან ვარდნისას ნაკლებსავარაუდო იყო მსგავსი ტიპის დაზიანებების მიღება, რაც საჭიროებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. დადგინდა, რომ გაქცევის მცდელობის

¹³⁶² იქვე, პუნქტი 150-155.

¹³⁶³ CASE OF GABLISHVILI AND OTHERS v. GEORGIA ,21 February 2019, Application no. 7088/11 პუნქტი 6-8.

„სპონტანური“ ხასიათის გამო ციხის პერსონალს შესაძლოა არ ჰქონოდა სწრაფი ლავირების შესაძლებლობა, დაზიანებების შემცირებისთვის. აგრეთვე, მომჩივნებთან დაკავშირებით, სასამართლომ თითოეული შემთხვევა განიხილა ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით და დაადგინა, რომ წარდგენილი მტკიცებულებებით ორ მომჩივანთან დაკავშირებით ვერ დგინდება, იყო, თუ არა არასათანადო მოპყრობა, ვინაიდან საქმის მასალებიდან ირკვეოდა, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ პერსონალს, ხოლო მეოთხე და პირველი მომჩივნები არ იყვნენ ბრალდებულები დაუმორჩილებლობისათვის, რაც მსგავს აგრესიულ მიდგომას არასათანადოს ხდიდა. ასევე, საკანში ცემის გაგრძელების ფაქტიც დაზიანებების შესწავლის შემდეგაც ვერ დასტურდებოდა. შესაბამისად, მატერიალური ნაწილი დაირღვა მხოლოდ პირველ და მეორე მომჩივნებთან.¹³⁶⁴ სასამართლომ დაადგინა პროცედურული ნაწილის დარღვევაც, რაც გამოწვეული იყო გამოძიების არაეფექტიანობით. მსჯელობისას ხაზი გაესვა საგამოძიებო პროცესისას დამოუკიდებლობისა და მიკერძოების აღმოფხვრის საჭიროებას, საეჭვოდ იქნა მიჩნეული, ციხის სისტემაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ გამოძიების ჩატარების ფაქტიც. ასევე, პროკურატურის არასათანადო ჩართულობის გამო, არ მოხდა ეფექტიანად გამოძიების წარმართვა, სათანადოდ არ იყვნენ გამოკითხულნი ბრალდებულები და ძალადობის აქტის მოწმე სხვა პერსონალი. საბოლოოდ, გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილებაც გამოწვეულ იქნა არასათანადო მტკიცებულებების არსებობითა და მხოლოდ ერთ მხარის ჩვენებების გათვალისწინებით. სასამართლომ დაასკვნა, რომ გამოძიება არ იყო დამოუკიდებელი, ყოველმხრივი და ეფექტიანი.¹³⁶⁵

გადაწყვეტილების მნიშვნელობა: სასამართლოს მსჯელობა მნიშვნელოვან მიდგომას აყალიბებს, ვინაიდან არსებული გარემოებები ეხება პენიტენციური დაწესებულებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხებს, აგრეთვე გაქცევის აღმოფხვრისას ძალის გამოყენების პროპორციულობასა და არასათანადო მოპყრობის დასაადგენად ინდივიდუალური გარემოებებისა და მტკიცებულებების მნიშვნელობას. გადაწყვეტილებით სასამართლომ ხაზი გაუსვა, დაწესებულებაში მომატებული საფრთხისას „საჭიროების“ მასშტაბის გათვალისწინებისა და დაზიანებების შემცირების აუცილებლობას.

ფაქტობრივი გარემოებები: ლაპტევი რუსეთის წინააღმდეგ (LAPTEV v. RUSSIA)
გადაწყვეტილებაში მომჩივანი გახლდათ გარდაცვლილი ბრალდებულის უფლებამონაცვლე. პატიმრობის მიმდინარეობისას იგი აღნიშნავდა, რომ მის მიმართ ხორციელდებოდა მუქარა და ძალადობა, რაშიც ჩართული იყო თანამესაკნეც, რომელიც შემდგომ პოლიციის მიერ შეგზავნილი ფარული აგენტი აღმოჩნდა. აღიარების მოთხოვნით, ბრალდებულს ემუქრებოდნენ სექსუალური ძალადობითაც. ბრალდებული გარდაცვლილი იპოვეს, არაერთი სისხლჩაქცევითა და წინა დღეებში მიყენებული ძალადობის კვალით, რაც გამოძიების მიერ არასათანადოდ იყო მოკვლეული. სასამართლომ იმსჯელა კონვენციის მეორე მუხლის მატერიალურ და პროცედურულ დარღვევაზე.¹³⁶⁶

¹³⁶⁴ იქვე, პუნქტი 61-64.

¹³⁶⁵ იქვე, პუნქტი 65-69.

¹³⁶⁶ CASE OF LAPTEV v. RUSSIA, Application no. 36480/13, 9 February 2021, პუნქტი 5-9.

სასამართლო მსჯელობა: გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა მეორე მუხლის პროცედურული ნაწილის ცალსახა დარღვევას, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფოს მიერ არაეფექტიანი გამოძიების ჩატარებით. გამოძიება დაეყრდნო მოწმეთა ჩვენებებს, ხოლო საექვო ვითარებაზე მიმანიშნებელი სამედიცინო დასკვნა არ იყო გაზიარებული. ასევე, ფიზიკური მტკიცებულებები სათანადოდ არ იყო მოძიებული. ევროსასამართლომ გააკრიტიკა რუსეთის სისტემურად ქცეული ხარვეზული საგამოძიებო სისტემა და ხაზი გაუსვა, რომ სავარაუდო მკვლელობისა თუ თვითმკვლელობისას გარდაცვალებულის ფსიქოტიპსა, თუ პროფილირებას მნიშვნელობა ენიჭება, რაც ფაქტობრივად სრულიად უგულებელყოფილ იქნა.¹³⁶⁷ აგრეთვე სავარაუდო დამნაშავეს, ჩანერგილი აგენტის დაკითხვაც არ მიმდინარეობდა სათანადოდ. გარდა პროცედურული ნაწილის დარღვევისა, ასევე დადგინდა იქნა მატერიალურიც, კერძოდ, დაადგინა, რომ გარდაცვლილის თვითმკვლელობამდე მიყვანის საფრთხე მომატებული იყო, ციხის პერსონალის ჩართულობით ხელშეწყობილი ფსიქოლოგიური წნეხით. მსჯელობა დაეთმო, გარდაცვალებამდე პირის ქცევას, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ საკვებზე უარის თქმა და ფიზიკური სისუსტე, მსგავსი შედეგის დადგომის ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდიდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარემ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა სავარაუდო სასიკვდილო შედეგის შესახებ.¹³⁶⁸

გადაწყვეტილების მნიშვნელობა: საქმეში ლაპტევი რუსეთის წინააღმდეგ, ხაზი გაესვა პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის ფსიქოლოგიურ მოწყვლადობასა და სავარაუდო თვითმკვლელობისას გამოძიების ჩატარების მნიშვნელობას, არამართო მოწმეების დაკითხვით, არამედ სამედიცინო ექსპერტიზით. საგულისხმოა, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოკვლევაზე ხაზგასმა და ფსიქოლოგიური სტრესის ვითარებაში, სახელმწიფოს მხრიდან გარდაცვალების არიდებისთვის საჭირო ქმედებების განხორციელებაზე მსჯელობაც.

ფაქტობრივი გარემოებები: პატსაკი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (PATSAKI ET AUTRES c. GRÈCE) საქმეში, გარემოებები ეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში ნარკოდამოკიდებული პატიმრის გარდაცვალებას. განმცხადებლები დავობდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა პატიმრის სიცოცხლე. კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე, როგორც იკვეთებოდა, ადმინისტრაციისთვის კარგად იყო ცნობილი გარდაცვლილის ადიქციის შესახებ, ასევე პენიტენციური დაწესებულება ინფორმირებული იყო ციხეში ნარკოტიკული საშუალებების მიმოცვლის შესახებაც, რაც სათანადოდ ვერ აღიკვეთა. პირის აუტოფსიის შედეგმა აჩვენა ექიმის მიერ დანიშნული ფსიქოტროპული მედიკამენტის კვალი, რაც გარდაცვალების დღეს იყო აღებული, ასევე ანამნეზში ფიქსირდებოდა ცე ჰეპატიტით ავადობაც. მოპასუხის განმარტებით, მას არ შეიძლება სცოდნოდა, ფსიქოტროპულ მედიკამენტთან კუმულაციურად ნარკოტიკული საშუალებების სავარაუდო მოხმარების შესახებ და აგრეთვე უთითებდა, რომ ექიმის მიერ დანიშნულ, გაზრდილ დოზაზე პაციენტს უარყოფითი რეაქცია არ ჰქონდა. საგულისხმოა ისიც, რომ თანამესაკნეებსაც დაუფიქსირდათ ნარკოტიკული თრობა და ფაქტის გამოვლენიდან მეორე დღეს სხვა დაწესებულებებში იყ-

¹³⁶⁷ იქვე, პუნქტი 38-41.

¹³⁶⁸ იქვე, პუნქტი 46-47.

ვნივ გადაყვანილები. განმცხადებლები დაკობდნენ პოზიტიური ვალდებულების დარღვევაზე.¹³⁶⁹

სასამართლო მსჯელობა: ევროსასამართლომ კონვენციის მეორე მუხლის მატერიალურ ნაწილზე მსჯელობისას დარღვევა არ დაადგინა. სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა საკმარისი მტკიცებულებები გარდაცვლილის მოწყვლადობის დასადგენად, რაც მას სხვა აღიქვიური პატიმრებისგან განასხვავებდა. დადგინდა, რომ გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებები იყო ბუნდოვანი და ვერ ხდებოდა გარდაცვალების ფაქტსა და სახელმწიფოს უშუალო ქმედებას შორის ცალსახა მიზეზმედგობრიობის დადგენა.¹³⁷⁰ ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ დაირღვა მეორე მუხლის პროცედურული ნაწილი, კერძოდ, სასამართლომ სათანადო ეფექტიანობით არ აწარმოა გამოძიება, არ მოიძია საკმარისი მტკიცებულებები და განმცხადებლებთან უშუალო კომუნიკაციის ვალდებულებაც არ იყო უზრუნველყოფილი. გამოძიების ვადა (4 წელი და 8 თვე) გამოძიებისთვის საჭირო გულმოდგინებისა და ეფექტიანობის წინაპირობებს ვერ აკმაყოფილებდა.¹³⁷¹

ფაქტობრივი გარემოებები: ხოჯოიანი და ვარდაზარიანი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (KHOJOYAN AND VARDAZARYAN v. AZERBAIJAN) გადაწყვეტილებაში გარდაცვლილის შვილები დაკობდნენ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვართან მამის დაკავების საფუძველზე, პატიმრობის მიმდინარეობისას, სახელმწიფოს მხრიდან მომაკვდინებელი ძალის გამოყენებასა და გამოძიების წარმოების ფაქტზე. სომხეთის მოქალაქე დაკავებულ იქნა აზერბაიჯანის სამართალდამცავი ორგანოს მიერ, რომელიც სამედიცინო გართულების შედეგად გარდაიცვალა. აზერბაიჯანის მხარე განმარტავდა, რომ პირს გაქცევის მცდელობისას მხარში ტყვია მოხვდა, როდესაც დაპატიმრებისას ჩაწერილი ვიდეო სხვას ადასტურებდა. სამედიცინო ექსპერტიზის შემდეგ დადგინდა იქნა არაერთი განსხვავებული ფიზიკური დაზიანება და ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების კვალი. დაზარალებულის მხარეები ამტკიცებდნენ, რომ პატიმრობის პერიოდის განმავლობაში ეთნიკურ ნიადაგზე, მათი მამა დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, რამაც გარდაცვალება გამოიწვია.¹³⁷² მსჯელობა წარიმართა კონვენციის მეორე მუხლის პროცედურული და მატერიალური ნაწილების დარღვევასა და წამების ფაქტზე.

სასამართლო მსჯელობა: საქმეზე დაადგინა მე-2 მუხლის, როგორც მატერიალური, აგრეთვე პროცედურული ნაწილების დარღვევა. ევროსასამართლომ იმსჯელა მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და გაქცევის მცდელობისას, გარდაცვლილის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე. ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა ვიდეოჩანაწერის არსებობაზე, სადაც არ ჩანდა დაზიანებული მხარი. აგრეთვე, სახელმწიფოს მიერ წარდგენილი მტკიცებულებების უსისტემობასა და ზოგად ხასიათზე. ყურადღება გაამახვილა, გაქცევის მცდელობისას, 77 წლის ხანდაზმულის ცეცხლსასროლი იარაღით შეკავების აუცილებლობაზე. ასევე, ხოჯო-

¹³⁶⁹ AFFAIRE PATSAKI ET AUTRES c. GRÈCE, Requête no 20444/14, 7 février 2019, პუნქტი 5-41.

¹³⁷⁰ იქვე, პუნქტი 93-95.

¹³⁷¹ იქვე, პუნქტი 70-77.

¹³⁷² CASE OF KHOJOYAN AND VARDAZARYAN v. AZERBAIJAN, 4 November 2021, Application no. 62161/14, პუნქტი 2-4.

ლიანის სომხეთისთვის გადაცემისას მასზე ჩატარებული ექსპერტიზისა და ფოტოსურათებით დგინდებოდა მრავალჯერადი სხეულებრივი დაზიანება, რომელთა წარმოშობა არ იყო განმარტებული მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან. ხოჯოლიანის მდგომარეობის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ მსგავსი სახის დაზიანებები წარმოადგენდა სერიოზულ და გარდაუვალ რისკს პირის სიცოცხლისთვის.¹³⁷³ პროცედურულ ნაწილზე მსჯელობისას, დარღვევისას ხაზი გაესვა, როგორც გამოძიების არასათანადოობას, აგრეთვე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტის მნიშვნელობას, რაც გამოძიების ჩატარების მნიშვნელობას ზრდიდა.¹³⁷⁴ მე-3 მუხლთან და სავარაუდო წამებასთან დაკავშირებით, სასამართლომ დამატებით არ იმსჯელა და დარღვევა არ დაადგინა პროცედურულად. მოპყრობა მოექცა მეორე მუხლის კონტექსტში, ხოლო მატერიალურის კონტექსტზე მსჯელობისას პატიმრის ასაკისა და პატიმრობის ვადის შედარებისას, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპყრობამ მიაღწია „სისასტიკის მინიმალურ“ ზღვარს.¹³⁷⁵

მნიშვნელობა: სახელმწიფოთა შორის დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა და ეთნიკური სიძულვილის გამო გადაწყვეტილება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან არსებულით ხაზი გაესვა მსგავსი სპეციფიკური ვითარებისას, პიროვნების მოწყვლადობასა და მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან საპირწონე ღონისძიების განხორციელების აუცილებლობას. აგრეთვე, კონვენციის მეორე მუხლის გარდა, საგულისხმოა მესამე მუხლის დარღვევის დადგენის სტანდარტიც.

საქმეში ბადალიანი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (BADALYAN v. AZERBAIJAN) სომხური წარმოშობის განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე უკანონოდ იყო დაკავებული აზერბაიჯანის მთავრობის მიერ, როგორც სამხედრო ტყვე და პატიმრობისას წარმართული მოპყრობაც იყო არასათანადო. ინფორმაციის მიღების მიზნით, ფეხის არეში პერმანენტულად სცემდნენ, ელექტრო ძაბვას უერთებდნენ ხელებზე და ფსიქოლოგიური ტერორის მისაღწევად, რკინის ჯოხს ურტყამდნენ საკნის ჩამკეტ კარს, რამაც მომჩივნის სმენადობაზეც იმოქმედა. ბადალიანის სომხეთში დაბრუნების შემდეგ ფსიქოლოგიურმა და ფიზიკურმა ექსპერტიზამ გამოავლინა რიგი დარღვევები, მათ შორის, უძილობა, სმენითი ჰალუცინაციები და პარანოია, რაც თავისუფლების აღკვეთამდე არ ფიქსირდებოდა.¹³⁷⁶

სასამართლო მსჯელობა: სასამართლომ განიხილა განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობა და დელიუზიური ქცევა, რაც არასათანადო მოპყრობის შედეგად მიიჩნია, ასევე ყურადღება გაამახვილა აზერბაიჯანის მხრიდან პატიმრობის პირობების შესახებ ცნობების მიწოდების არარსებობაზე და დაადგინა, რომ მოპასუხე მთავრობამ ვერ წარმოადგინა დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება იმის დასამტკიცებლად, რომ განმცხადებლის სერიოზული ფსიქიკური დაზიანებები, რომლებიც გამოვლინდა გათავისუფლებისთანავე და დიაგნოზირებულ იქნა მოგვიანებით, არ იყო გამოწვეული მისი პატიმრობის პირობებითა და მოპყრობით. უკანონო დაკავებაზე საუბრისას ხაზი გაესვა არგუმენტაციის ნაკლე-

¹³⁷³ იქვე, პუნქტი 39-49.

¹³⁷⁴ იქვე, პუნქტი 50-54.

¹³⁷⁵ იქვე, პუნქტი 64-66.

¹³⁷⁶ CASE OF BADALYAN v. AZERBAIJAN, Application no. 51295/11, 22 July 2021, პუნქტი 5-14

ბობას, რამაც პროცედურული ნაწილისა და კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევაც გამოიწვია.¹³⁷⁷

ფაქტობრივი გარემოებები: ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ (OCHIGAVA v. GEORGIA) გადაწყვეტილებაში მომჩივანი გახლდათ პატიმარი, რომელიც ჩიოდა პენიტენციურ დაწესებულებაში სისტემატურად და განმეორებით განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შესახებ, რაც ციხის ოფიცრების მიერ შიშისა და კონტროლის დანერგვას ემსახურებოდა. იკვთებოდა, გამუდმებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორც განმცხადებელზე, აგრეთვე სხვა პატიმრებზეც. განმცხადებელი ითხოვდა სახელმწიფოს მხრიდან დადგენილიყო, მესამე მუხლის პროცედურული და მატერიალური ნაწილების დარღვევა.¹³⁷⁸

სასამართლო მსჯელობა: სასამართლომ მესამე მუხლის პროცედურულ ნაწილზე მსჯელობისას გაითვალისწინა სახელმწიფოს მხრიდან, ფაქტის გახმაურების შემდეგ 5-წლიანი ფაქტობრივი დუმილი და სავარაუდო დამნაშავეების იდენტიფიცირების პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ სხვა პატიმრების მიმართ გარკვეული ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა გამოძიებისას, იკვთებოდა მოპასუხის მიმართ მიზანმიმართული „თვალის დახუჭვა“ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. საგულისხმოა, რომ წამების ზოგიერთი მონაკვეთი არ იყო სათანადოდ შესწავლილი, რაც პროცესის საფუძვლიანობის, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის ხარისხზე მოქმედებდა. შესაბამისად, დადგინდა პროცედურული ნაწილის დარღვევა.¹³⁷⁹ ასევე, ევროსასამართლომ იმსჯელა სახელმწიფოს მიერ წარდგენილ მტკიცებულებებსა და მსგავსი სისტემური ძალადობის აღიარებაზე, დამოუკიდებლად შეაფასა თითოეული ფაქტი და დაადგინა, რომ ზოგიერთი ძალადობრივი ქმედება ესადაგებოდა წამებას, რის გამოც დაირღვა მისი მატერიალური ნაწილიც.¹³⁸⁰

ფაქტობრივი გარემოებები: საქმეში კუტაიევი რუსეთის წინააღმდეგ (KUTAYEV v. RUSSIA) განმცხადებელი ჩიოდა დაპატიმრებისას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის შესახებ. იგი ჩეჩნეთში ოპოზიციური პოლიტიკური ფრთის წარმომადგენელია, რომელიც შემდეგ დაკავებულ იქნა ოფიცრების მიერ, კერძოდ, ყელზე ცივი იარაღის მიბჯნით, ფიზიკური ანგარიშსწორებითა და ელექტროშოკის გამოყენებით.¹³⁸¹ იგი მიიჩნევდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური და პროცედურული ნაწილები.

სასამართლო მსჯელობა: ევროსასამართლომ იმსჯელა დაზარალებულის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და აღწერის დეტალურობასა და სანდოობაზე, აგრეთვე მის მიერ აღწერილი გარემოებები მტკიცდებოდა ფოტოებითა და მოწმის ჩვენებითაც. ევროსასამართლომ აღიარების მოსაპოვებლად ელექტროშოკის გამოყენებასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ მსგავსი სახის მოპყრობამ გამოიწვია ძლიერი ფსიქიკური და ფიზიკური ტრავმა, რაც წამებას გაუტოლდა.¹³⁸² პრო-

¹³⁷⁷ იქვე, პუნქტი 39-57.

¹³⁷⁸ CASE OF OCHIGAVA v. GEORGIA, Application no. 14142/15, 16 February 2023, პუნქტი 10-17.

¹³⁷⁹ იქვე, პუნქტი 58-60.

¹³⁸⁰ იქვე, პუნქტი 61-62.

¹³⁸¹ CASE OF KUTAYEV v. RUSSIA, Application no. 17912/15, 24 January 2023.

¹³⁸² იქვე, პუნქტები 92-93 და 99-103.

ცედურული ნაწილის დარღვევაზე მსჯელობისას ხაზი გაესვა, რომ გამოძიება არ ჩატარებულა მიუკერძოებლად, ვინაიდან გამოძიება ძირითადად დაეყრდნო მონაწილე ოფიცრების ჩვენებას და ექსპერტიზა დაინიშნა დაგვიანებით, სავარაუდო დაზარალებულის მიერ წარდგენილი ვერსიის უგულვებლყოფით, რამაც საგამოძიებო პროცესი უფუნქციო გახადა. გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი მსჯელობით, სასამართლო აღგენს, რომ მთავრობამ ვერ შეასრულა მტკიცების ტვირთი და არ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა განმცხადებლების აღწერილ მოვლენებს, რაც ცალსახად პროცედურული ნაწილის დარღვევაზე მეტყველებს.¹³⁸³

ფაქტობრივი გარემოებები: ლ. ი. მოლდოვის წინააღმდეგ (I.E. v. THE REPUBLIC OF MOLDOVA) საქმე ეხება 17 წლის მსჯავრდებულს, რომელიც მოგვიანებით აღმოაჩინეს ფიზიკურად დაზიანებული, რაც არაერთი სხეულებრივი სისხლჩაქცევით, თუ ნაკაწრით გამოიხატებოდა. ექიმთან კონსულტაციისას პიროვნებამ განაცხადა, რომ მასზე სექსუალურად ხუთმა პატიმარმა იძალადა. აღნიშნულ ფაქტზე ჩატარდა ექსპერტიზა და დაიწყო საქმისწარმოება. შემდეგ, გამოძიება შეწყდა პროკურორის გადაწყვეტილებით, არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელიც განმცხადებელმა არაერთხელ გაასაჩივრა. საჩივრების წარდგენის შემდეგ, ჩატარდა განმეორებითი ექსპერტიზა და დაზარალებული პოლიგრაფზეც შემოწმდა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სასამართლოში წარდგენილ მოთხოვნაში განმცხადებელი კონვენციით გათვალისწინებული, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებების დარღვევაზე მიუთითებდა (მე-5 მუხლი), კერძოდ, მიიჩნევდა, რომ გონივრულობისა და სწრაფი მართლმსაჯულების სტანდარტი სრულად დარღვეული იყო პროცესის ხელოვნურად გაჭიანურების გამო, ასევე ცალსახა იყო მე-3 მუხლის დარღვევაზე პრეტენზიაც.¹³⁸⁴

სასამართლო მსჯელობა: სასამართლომ დაადგინა მე-3 და მე-5 მუხლების უშუალო დარღვევა. მსჯელობისას ხაზი გაესვა „ევროპული ციხის წესების“ 2006 წლის რეკომენდაციის შინაარსს, რომლის მიხედვითაც, აკრძალულია 18 წლამდე ასაკის, მსჯავრდებულის სრულწლოვნებთან ერთად მოთავსება. გარდა ამისა, მათი მდგომარეობის მონიტორინგი და გარკვეული წინაპირობებისას განცალკევება აუცილებელია, განსაკუთრებით თუ ფიგურირებენ სექსუალური ქმედებისთვის ნასამართლევნი პირები, ხოლო უშუალო ფაქტებზე დაყრდნობით, დამნაშავეებიდან 4 სწორედ მსგავსი დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს. ასევე „ნელსონ მანდელას წესების“ მიხედვით, აუცილებელია პატიმართა გადანაწილება, განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით (სქესი, ასაკი...). ანალოგიურ მიდგომას აყალიბებს „ბეიძინგის წესები“ და არასრულწლოვანს განსაკუთრებული დაცვის ქვეშ არსებულ სუბიექტად წარმოაჩენს. აღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტების დარღვევაზეც ისაუბრა სტრასბურგის სასამართლომ და მხოლოდ შემდეგ დაუკავშირა, დაზარალებულის მიმართ განხორციელებული ქმედება მე-3 მუხლს. როგორც განმცხადებელი აპელირებდა, როდესაც ადმინისტრაციას მსგავსი ტიპის პატიმრებთან ჰქონდა საქმე, აუცილებელი იყო გაეძლიერებინათ კონტროლის მექანიზმები და ძალადობის ფაქტის დადგენის შემდეგ მყისიერად მოეხდინათ რეაგირება, გა-

¹³⁸³ იქვე, პუნქტი 94-98.

¹³⁸⁴ CASE OF I.E. v. THE REPUBLIC OF MOLDOVA, Application no. 45422/13, 26 May 2020. პუნქტი 12-27.

ნმცხადებელს არ უნდა დასჭირვებოდა არაერთი საჩივრის წარდგენა სათანადო რეაგირებისთვის. სექსუალური ძალადობის ხასიათი მეტად მატრავმირებელია, რის გამოც, აუცილებელი იყო მყისიერი რეაგირება. სასამართლომ უშუალოდ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა იმ არგუმენტით, რომ იურისდიქციის ფარგლებში უფლებებისა და მართლმსაჯულების განხორციელებაზე ხელის შეშლაც შეიძლება მოექცეს აღნიშნულ ქმედებაში, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად აქტიური როლი მუშაკებს არ ჰქონდათ, სწრაფი რეაგირება განსაკუთრებით კი მოწყვლად პატიმართან აუცილებელია. პატიმართაშორის კონფლიქტისა და დაწესებულების ზედამხედველობა დაწესებულების თანამშრომლების უშუალო ვალდებულებას წარმოადგენდა, მიუხედავად ამისა, პიროვნების ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, საფრთხის არიდება და დარღვევისას ფაქტზე რეაგირება სათანადოდ არ მომხდარა. ევროსასამართლოს მსჯელობით, არ იყო ხელშემკვრელი მხარის მიერ სათანადო პრევენციული ღონისძიებები გატარებული, მაგალითად, სექსუალური ხასიათის მოძალადეებისგან, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის განცალკევებისა და სათანადო ექსპერტიზის ჩატარების ვალდებულება. ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა სექსუალური ძალადობისას ზედაპირული დათვალიერების პრაქტიკის მავნებლობაზეც, კერძოდ, ასეთ დროს, ქმედითად ვერ ხდება ძალადობის ფაქტის გამოვლენა და მსგავსი მავნე პრაქტიკით, ხელი ეწყობა დანაშაულის განმეორებასა და დაუცველობის განცდას. საქმეზე დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევაც, ვინაიდან პროკურორის გადაწყვეტილებამ, შეწყვიტა გამოძიება, მტკიცებულებათა გაქრობას შეუწყო ხელი და ფაქტობრივად 5 წლით გააჭიანურა საქმის წარმოება.¹³⁸⁵

გადაწყვეტილების მნიშვნელობა: აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის არსობრივად ეხება პენიტენციურ დაწესებულებაში მოწყვლადი ჯგუფების განთავსების სტანდარტსა და ციხის ადმინისტრაციისა, თუ პროკურორის მხრიდან, სქესობრივი ძალადობის გამოვლენისას მოქმედების არეალს. აგრეთვე, დაზარალებულ არასრულწლოვანთან, მოქმედების განსხვავებული და საერთაშორისო გარანტიებით დადგენილ განსხვავებულ სტანდარტებს, რაც არსობრივად, არასრულწლოვნის „საუკეთესო ინტერესსა“ და მათ მოწყვლადობას უკავშირდება.

ფაქტობრივი გარემოებები: გადაწყვეტილებაში ლაპუნოვი რუსეთის წინააღმდეგ (LAPUNOV v. RUSSIA) გარემოებები ეხებოდა ჩეჩნეთში ჩამოყალიბებულ ჰომოფობიურ პრაქტიკას, სადაც უსაფუძვლოდ ხდებოდა „ლოგბტ“ თემის წევრად მიჩნეული პირების გატაცება, დაპატიმრება და ანგარიშსწორება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისგან, ორიენტაციის აღიარების მოტივით. ლაპუნოვიც სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა მოულოდნელად აიყვანეს, უკანონოდ ახსნა-განმარტების გარეშე და პატიმრობის განმავლობაში ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენებით ითხოვდნენ მისგან ორიენტაციის აღიარებასა და პარტნიორების ჩამონათვალის გაცხადებას. პატიმრობის განმავლობაში იგი განთავსებული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველად, ექვემდებარებოდა სექსუალური ძალადობის მუქარასა და წყლის მეტალის მიღე-

¹³⁸⁵ იქვე, პუნქტი 38-68.

ბით ცემას.¹³⁸⁶ განმცხადებელი სახელმწიფოს ამხელდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული და მატერიალური ნაწილების დარღვევაში. აგრეთვე, კონვენციის მე-5 მუხლით მოცულ უკანონო დაკავებაში.

სასამართლო მსჯელობა: განმცხადებლის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებსა და აღწერილ ფაქტებზე მსჯელობისას ხაზი გაესვა მის დეტალურობასა და სიზუსტეს. მაგალითად, თვეების შემდეგ ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზითაც იკვეთებოდა ხელებზე მიღებით მიყენებული დაზიანებების კვალი. დაპატიმრების ფაქტი დადასტურებული იყო, როგორც განმცხადებლის დის, აგრეთვე დაკითხული სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლობის მიერ, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან არგუმენტაციის ნაკლებობისა. სასამართლომ ხაზი გაუსვა ცალსახად არასათანადო მოპყრობის არსებობასა და განიხილა მძიმე ფსიქოლოგიური (ptsd), თუ ფიზიკური შედეგი, რაც გათავისუფლების შემდეგაც უტყუარად დადასტურდა. ამ გარემოებების გამოკვლევისას აღინიშნა, რომ განხორციელდა წამების მატერიალური შემადგენლობა, ხოლო პროცედურულ ნაწილზე მსჯელობისას ასევე დადგინდა დარღვევა, რაც გამოწვეული იყო ჩეჩნეთში ჩამოყალიბებული დისკრიმინაციის წამახალისებელი გარემოსა და გამოძიების არასათანადოდ წარმართვით. მტკიცებულებების შეგროვების პროცესს არ დაეთმო შესაბამისი ყურადღება. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ გამოძიების პროცესი შეაფერხა მოწმეთა რეპრესირების შიშმა, რის გამოც ვერ იქნა უზრუნველყოფილი პროცესის დამოუკიდებლობა.¹³⁸⁷

ფაქტობრივი გარემოებები: ღაზარიანი და ბაირამიანი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (GHAZARYAN AND BAYRAMYAN v. AZERBAIJAN) საქმის გარემოებები ეხებოდა ეროვნებით სომეხი ღაზარიანის აზერბაიჯანის საზღვართან დაკავების ფაქტსა და ოჯახის წევრების მიერ გამოთქმულ ეჭვს, მის მიმართ პატიმრობისას გამოყენებული არასათანადო მოპყრობის შესახებ. ღაზარიანს ალკოჰოლის მოხმარების გამო ჰქონდა ძლიერი ფსიქიატრიულ დარღვევა, საჭიროებდა სამედიცინო უზრუნველყოფასა და მკურნალობას, რაც განმცხადებელთა აზრით თავისუფლების აღკვეთისას არ იყო მიწოდებული. აგრეთვე, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათი შვილი იყო იზოლირებული, არ იყო ადვოკატით უზრუნველყოფილი, შეზღუდული ჰქონდა კორესპონდენციასზე წვდომა და ექვემდებარებოდა ფიზიკურ ძალადობას.¹³⁸⁸

სასამართლო მსჯელობა: საქმეზე წარდგენილ მტკიცებულებებზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ მიუხედავად ღაზარიანის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის უდავო ხასიათისა, პატიმრობისას წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დადასტურებდა არასათანადო მოპყრობის ფაქტს არ იყო საკმარისი. შესაბამისად ფსიქიკური დაზიანების გაწვევასთან მიმართებით, ვერ დადგინდა მესამე მუხლის დარღვევა. თუმცა, რაც შეეხება მის სამართლო საკანში ხანგრძლივი ვადით, განთავსებასა და „ნაწილობრივ იზოლაციას“, სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევას, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ არ იყო მოყვანილი რაიმე სათა-

¹³⁸⁶ CASE OF LAPUNOV v. RUSSIA, Application no. 28834/19, 12 September 2023, პუნქტი 7-28.

¹³⁸⁷ იქვე, პუნქტები 102-110 და 111-118.

¹³⁸⁸ CASE OF GHAZARYAN AND BAYRAMYAN v. AZERBAIJAN, Application no. 33050/18, 5 October 2023, პუნქტი 5-36.

ნადო არგუმენტი მოპყრობის საჭიროებისა და აუცილებლობის დასადგენად.¹³⁸⁹

ფაქტობრივი გარემოებები: გადაწყვეტილებაში შლიკოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (SHLYKOV AND OTHERS v. RUSSIA) მომჩივნები გასამართლეს არაერთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო და მიესაჯათ უვადო თავისუფლების აღკვეთა. განმცხადებლების არგუმენტაციით, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას, მათ დაცვის წევრები ეპყრობოდნენ განსხვავებულად და დადგენილი იყო, სხვა პატიმრებისგან განცალკევებული მოპყრობა, კერძოდ, საკნების დატოვებისას სასჯელაღსრულების კოლონიებსა და წინასწარი პატიმრობის ციხეებში რეგულარულად ატარებდნენ ხელბორკილებს, აღმინისტრაციის იმ არგუმენტით, რომ მათ ჩაიდინეს ძალადობრივი დანაშაული და ითვლებოდნენ სამიმ პატიმრებად. ასევე, მხარეები აცხადებდნენ, რომ ციხის ზოგადი პირობები არააღკვეთური და გაურკვეველი იყო. ხელბორკილები გამოიყენებოდა არასაჭირო დროს საფრთხის არარსებობისას, მაგალითად, ავტოკატან შეხვედრისას. მე-3 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივნები პრეტენზიას აცხადებდნენ ციხეში მათ მიმართ გამოყენებულ რუტინულ ხელბორკილებაზე და მიიჩნევდნენ, რომ აღნიშნული ესადაგებოდა დამამცირებელ მოპყრობას, ვინაიდან დაწესებულებაში ისედაც სათანადოდ უზრუნველყოფილი იყო პირთა უსაფრთხოება. საგულისხმოა, რომ ერთი განმცხადებელი კონკრეტულად ციხის რეჟიმზეც აპელირებდა, ხოლო ასევე ორი საჩივარი წარდგენილი იყო კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებითაც.¹³⁹⁰

სასამართლო გადაწყვეტილება: სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი ყველანაირი შეზღუდვის გარეშე, იცავს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას დემოკრატიის, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვით. ზოგადად აღინიშნა, რომ სასამართლოს სხდომაზე ხელბორკილების გამოყენება ჩვეულებრივ არ იწვევს უფლებების დარღვევას, თუმცა საკნიდან გასვლისას პატიმრისთვის ხელბორკილების სისტემატური დადება შეიძლება ჩაითვალოს უფლებაში ჩარევად, ვინაიდან წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, წლების განმავლობაში ხელბორკილების გამოყენება პირდაპირ მოქმედებდა მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, თვითშეფასებასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე, ხოლო საგულისხმოა, რომ ამ შეზღუდვის დაწესება არ ესადაგებოდა არანაირ შიდასახელმწიფოებრივ რეგულირებას, რაც სახელმწიფოს წარმომადგენლების თვითნებობაზე მეტყველებდა. მთლიანობაში, მომჩივნების ხელბორკილების დადება ყოველ ჯერზე, როცა ისინი ტოვებდნენ საკნებს, მათი უფლებების ცალსახა დარღვევა იყო, კერძოდ, დარღვეული იყო ციხის რეჟიმი, რაც მე-3 მუხლით დაცულ არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებს უტოლდებოდა. მე-6 მუხლზე მსჯელობისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ განმცხადებლებს არ მიეცათ უფლება დასწრებოდნენ მათ სამართალწარმოებას. აგრეთვე, ხაზი გაესვა რუსეთში მსგავსი პრაქტიკის მიმართვის სინშირესაც. სასამართლომ დააკვნა, რომ ამ შემთხვევაშიც იყო უფლებების დარღვევა მე-6 მუხლთან მიმართებით, რომელიც არა მარტო საგამონაკლისო, არამედ სისტემური

¹³⁸⁹ იქვე, პუნქტი 125-131.

¹³⁹⁰ CASE OF SHLYKOV AND OTHERS v. RUSSIA, 19 January 2021, პუნქტი 5-32.

ხასიათის იყო.¹³⁹¹

გადაწყვეტილების მნიშვნელობა: გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეხება სახელმწიფოში სისტემური დარღვევების შემთხვევას, რაც აუარესებდა პატიმართა მდგომარეობასა და საჭიროებდა მყისიერ რეაგირებას. აგრეთვე, საგულისხმოა, რომ სპეციალური პატიმრების ჯგუფისადმი განსხვავებული მიდგომის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონტექსტურად უშვებს, ხოლო საქმეში არსებული გარემოებებიდან ცალსახად იკვეთება, უფლებაში ჩარევასა და შიდა სახელმწიფოებრივად გამართლებულ საჭიროებას შორის თუ როგორი შეფასებითი სტანდარტია დადგენილი. განსაკუთრებით ზემოაღნიშნული ნათლად ჩანს ბორკილების გამოყენების წესთან მიმართებითაც.

პერკოვი ხორვატიის წინააღმდეგ (CASE OF PERKOV v. CROATIA) საქმეში ევროსასამართლომ იმსჯელა კონვენციის მესამე მუხლის პროცედურული და არსებითი ნაწილების დარღვევაზე. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მცველებმა 3-4 წუთის განმავლობაში, მათ მიერვე ინსცენირებული საბაბით ბორკილებდადებულს სცემეს.¹³⁹² გადაწყვეტილებაში ვერ დადგინდა მესამე მუხლით გათვალისწინებული არსებითი ნაწილის დარღვევა, ვინაიდან განმცხადებლის მიერ აღწერილი შემთხვევის ინტენსივობა და მძიმე ცემის კვალი არ იყო თანხვედრაში. ორი ექიმის მიერ დაწერილი დასკვნაც მხოლოდ მცირე სისხლჩაქცევებს აღწერდა, ხოლო მოწმეების ჩვენებით განგრძობადი ცემა არ დასტურდებოდა. შესაბამისად, „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტით, მტკიცებულებების არასაკმარისობით ვერ დადასტურდა დარღვევა. ევროსასამართლომ ფიზიკური ძალის გამოყენების საჭიროებაზე მსჯელობისას ხაზი გაუსვა ძალადობრივ წინაპირობას, კერძოდ, ჩაქუჩის არსებობას, რაც აპლიკანტისა და სხვების სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს. შესაბამისად, ფიზიკური ძალის გამოყენება სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად და გამართლებულად იქნა მიჩნეული. პროცედურული ნაწილის დარღვევა დადგინდა სახელმწიფოს მიმართ არასათანადოდ ჩატარებულ გამოძიებასთან დაკავშირებით.¹³⁹³

ფაქტობრივი გარემოებები: ვუკუსიკი ხორვატიის წინააღმდეგ (CASE OF VUKUŠIĆ v. CROATIA) განმცხადებელი გახლდათ პატიმარი, რომელიც ციხის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაზე ჩიოდა. განმცხადებლის ქცევა, ციხის ადმინისტრაციის მიერ, მრავალჯერადი დისციპლინური სახდელის გამო, მიუღებლად იქნა ცნობილი და ფიზიკურად გაუსწორდნენ. შემდეგში პატიმარს ჩაუტარდა თავის ქალის კვლევა, სადაც აისახა ჰემატომა და ტვინის შერყევა. ყურადსაღებია, რომ აპლიკანტი ითხოვდა სხვა დაწესებულებაში გადაყვანას და მიმართა თვითდაზიანებასაც, რის გამოც ციხის ადმინისტრაციამ, დისციპლინური სახდელი დააკისრა და სპეციალურად დაცულ სამართლო საკანში გადაიყვანა, სადაც შუქი მუდმივად იყო ჩართული, სანიტარული პირობები არ იყო დაცული, აიძულებდნენ შიშვლად ყოფნასა და სახდელს უხანგრძლივებდნენ 48 საათით. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ პროტესტის ნიშნად გადაყლაპა ბატარეები და

¹³⁹¹ იქვე, პუნქტი 77-105.

¹³⁹² CASE OF PERKOV v. CROATIA, Application no. 33754/16, 20 September 2022, პუნქტი 7-16.

¹³⁹³ იქვე, 41-69.

აგრძელებდა დაუმორჩილებლობას, რის გამოც მისი მდგომარეობა უფრო დამძიმდა. სპეციალურად დაცულ საკანში გადაყვანასთან ერთად, ზემოაღნიშნულ პირობებს დაემატა ხელებსა და ფეხზე ბორჯილების დადებაც. მისი სახდელი ყოველ 12 საათში ხანგრძლივდებოდა. არაერთი საჩივრის მიუხედავად, რეაგირება არ მომხდარა. მოპყრობა გაგრძელდა ზაგრების ციხეში გადაყვანამდე.¹³⁹⁴

სასამართლო მსჯელობა: ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა სამართლო საკანში მოთავსების ხანგრძლივობასა და მხარეების მიერ უტყუარად დადასტურებულ ინფორმაციაზე. დაადგინა, რომ თვითდაზიანების არიდებისთვის პირის განმარტოება იყო პროპორციული, მაგრამ თვით განმარტოების პირობები და მუდმივი განხანგრძლივება სტრესის გამომწვევს გარემოებად იქნა მიჩნეული, აგრეთვე ბორჯილების გამოყენების მეთოდიც ჩაითვალა არაპროპორციულად, ვინაიდან განთავსების ადგილას ცალსახად აღკვეთილი იყო თვითდაზიანების რისკი და აღარ იყო ხელბორჯილების გამოყენების საჭიროება. ცემის ფაქტთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ ვერ მოხდა სათანადო მტკიცებულებების წარდგენა, ხოლო თვით პენიტენციური დაწესებულების პირობებთან მიმართებით, დადასტურდა პატიმრისადმი არასათანადო მოპყრობა.¹³⁹⁵

ფაქტობრივი გარემოებები: ს. 3. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (CASE OF S.P. AND OTHERS v. RUSSIA) საქმეში განმცხადებლები აღწერდნენ პატიმართა შორის არსებულ სისტემურ ძალადობას, კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებაში არსებობდა ციხის იერარქია, სადაც ყველაზე დაბალ რგოლს წარმოადგენდნენ. დაბალი რგოლის წარმომადგენლებს, რომელთა უმეტესობა მიჩნეულ იქნენ სექსუალურ მოძალადებად შეზღუდული ჰქონდათ წვდომა ციხის რესურსებზე, სარგებლობდნენ განცალკევებულად. მათ წლების განმავლობაში უწევდათ „უსუფთაო“ სამუშაოს შესრულება და ფსიქიკური, თუ სექსუალური ძალადობის ატანა. მსგავსი სექსუალური კონტაქტისგან ერთ-ერთი განმცხადებელი იმუნოდეფიციტის სინდრომითაც დაავადდა. ისინი აცხადებდნენ, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებს მსგავსი სისტემური მოპყრობის აღსაკვეთად არანაირი ზომისთვის არ მიუმართავთ.¹³⁹⁶

სასამართლო მსჯელობა: სასამართლომ გარემოებების შესწავლის შემდეგ, ყურადღება გაამახვილა წარდგენილი მტკიცებულებების ნამდვილობასა და რუსეთის რესპუბლიკაში, პენიტენციურ დაწესებულებაში მსგავსი სახის იერარქიის რეალურობაზე. აგრეთვე, დაქვემდებარებული მდგომარეობის გამო, სექსუალური და ფიზიკური სახის ძალადობა და რესურსებზე შეზღუდული წვდომაც სასამართლომ მიიჩნია როგორც ფიზიკურ, აგრეთვე ფსიქოლოგიურად დამთრგუნველ გარემოებად, რაც მოთავსდა დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის კონტექსტში. საგულისხმოა, რომ მსგავსი სისტემური იერარქიაზე საუბრისას გაკრიტიკდა მოპასუხე მხარის არგუმენტაცია, არაინფორმირებულობაზე, ვინაიდან მსგავსი მასშტაბის დარღვევისას, როდესაც პენიტენციური დაწესებულების ქცევითი ნორმა პატიმრების მაღალი იერარქიით წარმოშობს მოწყვლადი ჯგუფების დაცვის ვალდებუ-

¹³⁹⁴ CASE OF VUKUŠIĆ v. CROATIA, 14 November 2023, Application no. 37522/16, პუნქტი 2-20

¹³⁹⁵ იქვე, პუნქტი 32-57.

¹³⁹⁶ CASE OF S.P. AND OTHERS v. RUSSIA, Applications nos. 36463/11 and 10 others – see appended list, 2 May 2023, პუნქტი 4-21.

ლებას. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მსგავსი მასშტაბური დარღვევის შესახებ და შესაბამისად, უნდა მიეღო როგორც ინდივიდუალური, ასევე ზოგადი ზომები მოპყრობის აღსაკვეთად.¹³⁹⁷

ფაქტობრივი გარემოებები: „დ“ ლატვიის წინააღმდეგ (CASE OF D v. LATVIA) საქმეში განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ პატიმრობისას დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, რაც მის მიერ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულის იყო გამოწვეული. იგი აცხადებდა, რომ დაწესებულებაში იყო არაფორმალური იერარქია პატიმრებს შორის, სადაც ის გარიყულის სტატუსით სარგებლობდა და მუდმივად ეზღუდებოდა პატიმრობის პირობებზე წვდომას.¹³⁹⁸

მსჯელობისას ხაზი გაესვა, სახელმწიფოს მხრიდან არაფორმალური იერარქიის აღიარებასა და ფაქტის უდავო ხასიათს. სასამართლომ შეაფასა მსგავსი მოპყრობით გამოწვეული ტანჯვა უტოლდებოდა, თუ არა „სისასტიკის მინიმალურ ზღვარს“ და დაადგინა, რომ აღნიშნული სახის „სიმბოლური“ მიდგომა იწვევდა ღირსების შელახვასა და სტრესს, რაც ფსიქოლოგიური ზიანით გამოიხატა. შექმნილმა პირობებმა დაზარალებული იზოლირებულად აქცია და დაუქვემდებარა განსხვავებულ შრომით ვალდებულებებსაც. სოციალურმა და ფიზიკურმა იზოლაციამ, ადამიანებთან კონტაქტისა და რესურსებზე წვდომის შეზღუდვამ, გამოიწვია ფსიქოლოგიური პრობლემები, მიუხედავად ფიზიკური ძალადობის არარსებობისა, აქედან გამომდინარე დაირღვა კონვენციის მესამე მუხლი. გარდა ამისა, სასამართლომ ლატვიის მიმართ აღნიშნა, რომ მათთვის ცნობილი დარღვევის აღსაკვეთად გადადგმული ნაბიჯი არ იყო ადეკვატური და ეფექტიანი.¹³⁹⁹

ფაქტობრივი გარემოებები: მესამე მუხლის მატერიალური ნაწილის დარღვევაზე იმსჯელა ევროსასამართლომ კოსოვანი მოლდოვას წინააღმდეგ (CASE OF COSOVAN v. THE REPUBLIC OF MOLDOVA) საქმეში, სადაც მძიმე ტერმინალურ სტადიაზე მყოფ დაავადებულ ბრალდებულს შეეფარდა პატიმრობა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების უგულებელყოფისა და შეუთავსებელი ფიზიკური ტანჯვის პირობებში.¹⁴⁰⁰

სასამართლო მსჯელობა: სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ქმედებებზე მსჯელობისას სასამართლომ ხაზი გაუსვა რამდენიმე ფაქტორს და დაადგინა, რომ პატიმრობისას მიუხედავად პერმანენტული სამედიცინო უზრუნველყოფისა, სამედიცინო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნულს არ იყო სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული. სამედიცინო მკურნალობა და ექიმთან ვიზიტები იყო დაყოვნებადი, რაც აუარესებდა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას. საგულისხმოდ იქნა მიჩნეული პაციენტის უნდობლობა სამედიცინო სისტემისა და სახელმწიფო წარმომადგენლების ინფორმირებულობა მდგომარეობისადმი. გადაწყვეტილებაში, სასამართლო ადგენს, რომ შიდაკანონმდებლობითა და კოსოვანის სამედიცინო ისტორიით შესაძლო იყო მისი პატიმრობიდან გათავისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ არსებული ვალდებულებას არ წარმოადგენს,

¹³⁹⁷ იქვე, პუნქტი 90-109.

¹³⁹⁸ CASE OF D v. LATVIA, Application no. 76680/17, 11 January 2024.

¹³⁹⁹ იქვე, პუნქტი 39-58.

¹⁴⁰⁰ CASE OF COSOVAN v. THE REPUBLIC OF MOLDOVA, Application no. 13472/18, 22 March 2022, პუნქტი 7-21.

გარდაცვლილის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეუთავსებელი იყო პატიმრობასთან. ზემოაღნიშნულისა და კონკრეტული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა არ შეასრულეს თავიანთი პოზიტიური ვალდებულება, აღეკვეთათ განმცხადებლის მდგომარეობა.¹⁴⁰¹

ფაქტობრივი გარემოებები: გადაწყვეტილებაში შირხანიანი სომხეთის წინააღმდეგ (CASE OF SHIRKHANYAN v. ARMENIA) განმცხადებელი სამედიცინო ხელმისაწვდომობასა და დაწესებულების პირობებზე დავობდა. კერძოდ, აღნიშნავდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო აღეკვეთური სამედიცინო დახმარება, მოვლა და გარე ღონისძიებებით სარგებლობა.¹⁴⁰²

სასამართლო მსჯელობა: ევროსასამართლომ გარემოებათა შეფასებისას, ხაზი გაუსვა სამედიცინო უზრუნველყოფისა და „ადამიანის ღირსებასთან“ შესაბამისობას. სასამართლომ პატიმრობასთან დაკავშირებით იმსჯელა სხვა პატიმრების მიერ სამედიცინო დახმარების გაწევის უარყოფით მხარეებსა და მათ მიერ ყოველდღიურ რუტინაში, დახმარების გაწევის არასათანადობაზე. პოსტოპერაციული პერიოდის განმავლობაში შეზღუდული მოტორიკის მქონე პატიმრის დახმარება უნდა ყოფილიყო აღეკვეთური, თუნდაც ეტლით სარგებლობასთან დაკავშირებით. აგრეთვე, არ უნდა შეზღუდულიყო შიდა კანონმდებლობით დაშვებული ერთსაათიანი გასეირნების უფლება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნისას განმცხადებელს არ უტარდებოდა აღეკვეთური სამედიცინო მკურნალობა და გარე აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობაც შეზღუდული ჰქონდა. სასამართლოს მსჯელობით, ამ ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა ის, რომ მომჩივანი განიცდიდა გახანგრძლივებულ ფსიქიკურ და ფიზიკურ ტანჯვას.¹⁴⁰³

საქმეში ლანიაუსკა ლიეთუვას წინააღმდეგ (CASE OF LANIAUSKAS v. LITHUANIA) განმცხადებელი დავობდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მხედველობადაქვეითებული მსჯავრდებულისთვის სათანადო სამედიცინო დახმარება. აგრეთვე, მომჩივანი ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით, აპელირებდა პენიტენციური დაწესებულების დატოვებაზე უარის არასათანადობაზე.¹⁴⁰⁴

ევროსასამართლომ საქმეზე მესამე მუხლის დარღვევა არ დაადგინა და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მტკიცებულებები იყო მყარი და თვალსაჩინო. ციხიდან გათავისუფლების უარზე მსჯელობისას, განხილულ იქნა თვით შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს დასაბუთების სტანდარტი, რომლითაც დგინდებოდა, რომ პატიმრის მხედველების პრობლემები, მას ხელს არ უშლიდა სოციალურ აქტივობებში მონაწილეობაში, ხოლო სხვა უარის რისკ-ფაქტორები დასაბუთებული იყო. სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობაზე წარდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფდა, რომ ოფთალმოლოგიური შემოწმება არაერთხელ ჩატარდა, ხოლო ციხის საავადმყოფოში გადაყვანაზე მოთხოვნის შემდეგ, სახელმწიფოს მიერ სპე-

¹⁴⁰¹ იქვე, პუნქტი 79-90.

¹⁴⁰² CASE OF SHIRKHANYAN v. ARMENIA, Application no. 54547/16, 22 February 2022, პუნქტი 79-92.

¹⁴⁰³ იქვე, პუნქტი 154 -175.

¹⁴⁰⁴ CASE OF LANIAUSKAS v. LITHUANIA, Application no. 48309/19, 29 March 2022, პუნქტი 8-27.

ციალური საჭიროებების მქონე დაწესებულებაში გადაყვანით რეაგირება შეფასდა დადებითად. დადგინდა, რომ არცერთი წარდგენილი მტკიცებულება არ ადასტურებდა მესამე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას.¹⁴⁰⁵

საქმეში მაჩინა მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ (CASE OF MACHINA v. THE REPUBLIC OF MOLDOVA) განმცხადებელი დავობდა სახელმწიფოს მხრიდან არაადეკვატური სამედიცინო დახმარების განქვავაზე. კერძოდ, ნარკოტიკულ ნივთიერებებთან აქტიური შემხებლობის მიუხედავად, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრისთანავე არ ჩაუტარდა ც ჰეპატიტსა და შიდსზე კვლევა, ხოლო ც ჰეპატიტი გამოვლენილ იქნა მრავალი სამედიცინო ჩვენების შემდეგ. აგრეთვე მხარის განცხადებით მკურნალობის ხარისხი არ იყო სათანადოდ მიწოდებული.¹⁴⁰⁶

ევროსასამართლომ დაადგინა მესამე მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა. სასამართლო მსჯელობით ხაზი გაესვა ც ჰეპატიტით დაავადების დაუდგენლობის შედეგებს. კერძოდ, არასაკმარისი მტკიცებულებებისა და არაეფექტიანი გამოძიების გამო, შეუძლებელი გახდა ინფექციების რეალური წყაროსა და დროის დადგენა. ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ ეფექტიანი და ქმედითი ზომები არ იყო განხორციელებული სახელმწიფოს მხრიდან. აგრეთვე სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების დარღვევა დაადგინა მკურნალობის განქვასას, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არ დადასტურდა სათანადო სამედიცინო კვლევების ჩატარების ფაქტი, რაც განმცხადებლის მკურნალობის ფაქტს ეჭვქვეშ არ დააყენებს. საგულისხმოა, რომ სამედიცინო გამოკვლევების არარსებობის შედეგად არ იყო დადგენილი დაავადების ზუსტი სიმძიმე, რის გამოც, პაციენტს არ შეეძლო უზრუნველყოფილი ყოფილიყო ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.¹⁴⁰⁷

ფენეჩი მალტის წინააღმდეგ (CASE OF FENECH v. MALTA) საქმე ეხებოდა კოვიდ-19-ს, პანდემიის მიმდინარეობისას განმცხადებლის მიერ წაყენებულ პრეტენზიას. ის აცხადებდა, რომ მის მიმართ, როგორც მოწყვლადი პირისადმი (ცალი თირკმელი არ ჰქონდა) სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ადეკვატური და პროპორციული სამედიცინო დახმარება. დამატებით, პატიმარი მიუთითებდა სამართლო საკანში სანიტარ-ჰიგიენური ნორმების დარღვევაზე, გარე კომუნიკაციის შეზღუდვაზე, საერთო საკნების გადატვირთულობაზე, ნათესავებთან ურთიერთობის შეზღუდვასა (მხოლოდ სკაიპის მეშვეობით) და სხვა მრავალ დარღვევაზე.¹⁴⁰⁸

სასამართლო მსჯელობა: სასამართლომ მე-2 მუხლთან მიმართებით განმარტა, რომ მიუხედავად ერთი თირკმლის არსებობისა სამედიცინო მდგომარეობა არ იყო იმდენად სუსტი, რომ დაედგინა სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელი ვითარება, აგრეთვე ყურადღება გამახვილდა პანდემიისას ავადობის არარსებობასა და ვაქცინირების შესაძლებლობაზეც. მესამე მუხლზე მსჯელობისას კვლავ ხაზი გაესვა პანდემიისას, სახელმწიფოების ვალდებულებაზე გაატარონ პროპორციული ზომები ჯანმრთელობის დასაცავად, ხოლო ინდივიდუალურ გარემოებებთან

¹⁴⁰⁵ იქვე, პუნქტი 49-57.

¹⁴⁰⁶ CASE OF MACHINA v. THE REPUBLIC OF MOLDOVA, Application no. 69086/14, 17 January 2023, პუნქტი 6-15.

¹⁴⁰⁷ იქვე, პუნქტი 36-50.

¹⁴⁰⁸ CASE OF FENECH v. MALTA, Application no. 19090/20, 01/06/2022, პუნქტი 11-15.

დაკავშირებით, აღინიშნა, რომ პატიმრის მიერ დადგენილი მოპყრობა, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა „ძლიერი მოწყვლადის“ სტატუსი, განსხვავებული იყო. სახელმწიფო მის ჯანმრთელობას მომატებულად იცავდა, ხოლო ზოგადი პრევენციული ღონისძიებები სტანდარტებს შეეფერებოდა. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი სახის პრევენციული ღონისძიებები იყო პროპორციული და ადეკვატური პანდემიური სიტუაციისთვის და არ მომხდარა უფლებაში ჩარევა, ხოლო ოჯახთან წვდომისა და უფლებრივად განსხვავებული მიდგომაც ევროსასამართლომ გაამართლა პანდემიური მიდგომარეობისა და ადამიანთა სიცოცხლის დაცვის აუცილებლობით.¹⁴⁰⁹

ფაქტობრივი გარემოებები: ევროსასამართლომ გადაწყვეტილებაში იაკოვლევი უკრაინის წინააღმდეგ (CASE OF YAKOVLYEV v. UKRAINE) იმსჯელა პატიმართა დაწესებულების პირობებზე, შიმშილით პროტესტისას იძულებითი კვების მიმართვის საჭიროებასა და სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ციხის ადმინისტრაციამ იძულებით კვებას მიმართა ჯანმრთელობის არამკვეთრი გაუარესების პირობებში, რაც არაკანონიერი იყო. განმცხადებელმა დამატებით აღნიშნა კვების პროცესით გამოწვეული, ფიზიკური ტკივილის შესახებაც.¹⁴¹⁰

სასამართლო მსჯელობა: ევროსასამართლომ განიხილა იძულებით კვებასთან დაკავშირებული პრაქტიკა და იმსჯელა მიმართვის, როგორც სიცოცხლის გადარჩენის უკიდურეს საშუალებაზე. განმცხადებლის მიერ წარდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით ცალსახად დგინდებოდა, რომ იძულებითი კვებითი ჩარევა განხორციელდა შიმშილის დაწყებიდან მოკლე დროში, როდესაც პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იყო საგრძნობლად გაუარესებული. ასევე, იაკოვლევს არ მიეწოდა ინფორმაცია კვების გამოყენებისა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. საგულისხმოა, რომ იძულებითი კვების მიმართვის გარდა, პატიმრების პროტესტზე არ დაწყებულა გამოძიება. დაბოლოს, სასამართლომ დაასკვნა, რომ იძულებითი კვება გამოყენებულ იქნა არა უკანასკნელ მექანიზმად, არამედ პროტესტის აღკვეთის საშუალებად და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული არაეფექტიანი ქმედება, მიჩნეულ იქნა მესამე მუხლის დარღვევად.¹⁴¹¹

ეს-ასმარი დანიის წინააღმდეგ (CASE OF EL-ASMAR v. DENMARK) გადაწყვეტილებაში განმცხადებელი დაკვებდა მესამე მუხლის პროცედურულ და მატერიალურ დარღვევაზე, მის მიმართ გაუფრთხილებლად წიწაკის სპრეის გამოყენებასა და არასათანადო გამოძიების წარმართვასთან დაკავშირებით.¹⁴¹²

სასამართლო მსჯელობა: სასამართლომ იმსჯელა, როგორც განმცხადებლის წინარე ისტორიაზე, აგრეთვე მის შესაკავებლად განხორციელებული ქმედების პროპორციულობაზე. გარემოებებზე დაყრდნობით ხაზი გაესვა შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე პატიმრის აგრესიულ ქცევასა მცველებისადმი და განგრძობად სიცოცხლის მოსპობის მუქარას. წიწაკის სპრეიც გამოყენებულ იქნა, ციხის პერსონალისადმი მიმართული აგრესიული ქცევის სამართავად, მაგრამ როგორც სასა-

¹⁴⁰⁹ იქვე, პუნქტი 41-81.

¹⁴¹⁰ CASE OF YAKOVLYEV v. UKRAINE, Application no. 42010/18, 8 December 2022, პუნქტი 9-25.

¹⁴¹¹ იქვე, პუნქტი 41-51.

¹⁴¹² CASE OF EL-ASMAR v. DENMARK, Application no. 27753/19, 3 October 2023, პუნქტი 4-11.

მართლომ აღნიშნა, მიუხედავად მცველების სიცოცხლის მოსპობის შიშისა, აგრესიული ქმედების გასვლიდან 20 წუთის შემდეგ, სპრეის გამოყენების იმწუთიერი საჭიროება აღარ არსებობდა და აუცილებელი იყო პატიმრის გაფრთხილება. ციხის მცველების ქმედებამ შესაბამისად, გამოიწვია მესამე მუხლის მატერიალური ნაწილის დარღვევა. სასამართლომ იმსჯელა ფაქტზე რეაგირების მექანიზმზე და აღნიშნა, რომ დაგვიანებით გამოძიების დაწყებამ, სახელმწიფოს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის არათანმიმდევრულობამ და სპრეის გამოყენების შემდეგ დაყოვნებულმა ექიმით უზრუნველყოფამ, გავლენა იქონია გამოძიების პროცესზე და იგი არაეფექტიანი გახდა.¹⁴¹³

ბოხონკო საქართველოს წინააღმდეგ (CASE OF BOKHONKO v. GEORGIA) საქმე ეხება მომჩივნის განცხადებას, რომ დაკავებისას მის მიმართ პოლიციელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას. კერძოდ, იგი გამიშვლებულ მდგომარეობაში გაჩხრიკეს და ასევე ანუსიც შეუმოწმეს.¹⁴¹⁴ სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით ვერ დასტურდება პროცედურის არასათანადოდ ჩატარების ფაქტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ სხეულის შემოწმება მიზნად ისახავდა მომჩივნის შეშინებას ან დამცირებას, ან/და მისი ჩატარების მეთოდით მან განიცადა ტვივილი ან დამცირება, იმ დონეზე, რომ ტანჯვამ გადალახა „სისასტიკის მინიმალური“ ზღვარი. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმის დადგენის შეუძლებლობა, იყო თუ არა ჩხრეკის დროს მომჩივნის მიმართ მოპყრობა მე-3 მუხლის საწინააღმდეგო, მომდინარეობს ეროვნული ხელისუფლების მარცხისგან, ეფექტიანად გამოძიებინა მისი ბრალდებები. ამგვარად სასამართლომ დაადგინა მესამე მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ნაწილის დარღვევა.¹⁴¹⁵

ბიგოვიკი მონტენეგროს წინააღმდეგ (CASE OF BIGOVIĆ v. MONTENEGRO) საქმეში გარემოებები ეხებოდა პატიმრობის აღსრულებისას არასათანადო პირობებს, გადატვირთულობას, აუცილებელი რესურსების ნაკლებობასა და არასათანადო სამედიცინო დახმარების გაწევას. მოპასუხე მხარე აღნიშნავდა, რომ ეტაპობრივად პატიმრობის პირობები გაუმჯობესებული იყო, განსაკუთრებით „CPT“ ის ვიზიტის შემდეგ.¹⁴¹⁶

ევროსასამართლომ სახელმწიფოს მიერ „CPT“-ის ვიზიტის შემდეგ გაუმჯობესებული მდგომარეობა დადებითად შეაფასა, მაგრამ აღინიშნა, რომ 2006-2009 წლებში, მსგავს პირობებში 23 საათის განმავლობაში ყოფნა, წარმოადგენდა მესამე მუხლის დარღვევას.¹⁴¹⁷ სამედიცინო დახმარების გაწევასთან დაკავშირებით, ასევე დაადგინა, რომ მხედველობისა და მუხლის პრობლემებთან დაკავშირებულ ჩივილებზე გადადგმული ნაბიჯები იყო ადეკვატური და შესაბამისად მოპყრობა ვერ ლახავს „სისასტიკის მინიმალურ ზღვარს“. სპეციალური დიეტის ხელშეწყობაზე მსჯელობისას, მიუხედავად დაწესებულებაში რესურსის არარსებობისა, ალტერნატიული კვების მიწოდების ხერხები გათვალისწინებულ იქნა განმცხა-

¹⁴¹³ იქვე, პუნქტი 50-80.

¹⁴¹⁴ CASE OF BOKHONKO v. GEORGIA, Application no. 6739/11, 22 October 2020, პუნქტი 6-28.

¹⁴¹⁵ იქვე, პუნქტი 72-83.

¹⁴¹⁶ CASE OF BIGOVIĆ v. MONTENEGRO, Application no. 48343/16, 19 March 2019, პუნქტი 10-83.

¹⁴¹⁷ იქვე, პუნქტი 144-147.

დებლის ოჯახისთვის საკვების მიწოდების შესაძლებლობით, რაც სათანადო ზომად იქნა მიჩნეული. ფსიქიატრიული დახმარების აღსრულებასთან დაკავშირებით კი, სტრასბურგის სასამართლომ იმსჯელა და დაასკვნა, რომ მიუხედავად „ყოველ ან მეორე თვეში“ შემოწმების რეკომენდაციისა, არსებული არ გამოხატავდა სავალდებულო ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საჭიროებას და მსჯავრებულზეც არ ჰქონია ძლიერი გავლენა. ასევე, დაცვის წევრების აქტიური მონაწილეობა სამედიცინო დახმარების გაწევისას გამართლებულ იქნა პატიმრის მაღალი კრიმინოგენური რისკის გათვალისწინებით. სასამართლომ სამედიცინო დახმარების ასპექტში არ დაადგინა მესამე მუხლის დარღვევა.¹⁴¹⁸

საქმეში ილერდე და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (CASE OF İLERDE AND OTHERS v. TÜRKİYE) განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ პენიტენციური დაწესებულების პირობებით დაირღვა მათი უფლებები. კერძოდ, ციხის გადატვირთულობა, სათანადო პირადი სივრცე, გარე ეზოთი სარგებლობა და სხვა გარემოებები შეადგენდნენ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, ხოლო ოჯახის წევრებისგან მოშორებით გადაყვანით, ალტერნატიული მექანიზმების გარეშე, მომჩივანი მიიჩნევდა, რომ მის მიმართ დაირღვა მე-8 მუხლი.¹⁴¹⁹

აღნიშნული საქმე ხასიათდება მრავალმხრივი ასპექტირებით, კერძოდ, არსებული გარემოებები ეხება პენიტენციურ დაწესებულებაში სისტემურ დარღვევასა და განმცხადებლების მიერ ინდივიდუალურ პრეტენზიებს. სასამართლომ ნებისმიერი გარემოება გულმოდგინედ შეისწავლა და დაადგინა, რომ ძირითად შემთხვევაში, პირობები არ აღწევდა სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, თუმცა დარღვევა დაადგინა მცირე პირად სივრცესთან დაკავშირებით, რისი უზრუნველყოფის ვალდებულებაც სახელმწიფოს ჰქონდა. მერვე მუხლზე ორი განმცხადებლის საჩივრიდან მხოლოდ ერთი იქნა დაკმაყოფილებული, იმ არგუმენტით, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა ოჯახთან უფრო ახლოს მდებარე დაწესებულების ალტერნატივაც.¹⁴²⁰

საქმეში ჰანჟევაჩკი ხორვატიის წინააღმდეგ (CASE OF HANŽEVAČKI v. CROATIA) სასამართლომ იმსჯელა პენიტენციურ დაწესებულებაში არასათანადო პირობების შესახებ. განმცხადებლის არგუმენტაციით, საკანში უზრუნველყოფილი არ იყო პირადი სივრცე, სათანადოდ ვერ სარგებლობდა გასეირნების უფლებით და სხვა პირობებთან ერთად დაცული არ იყო ჰიგიენური სანიტარული ნორმებიც.¹⁴²¹

სასამართლომ განიხილა განსხვავებულ პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი პირობები და მხოლოდ ნაწილზე დაადგინა დარღვევა, კერძოდ, 3 კვ.მ სივრცეში 45 დღის განმავლობაში ყოფნისას, ხოლო დანარჩენ პირობებსა და უფლებებზე სარგებლობასთან მიმართებით, დაასკვნა, რომ არსებული თავისი მასშტაბით იყო მცირედ მნიშვნელოვანი და დაკომპენსირებული სხვა აქტივობებით.¹⁴²²

¹⁴¹⁸ იქვე, პუნქტი 167-174.

¹⁴¹⁹ CASE OF İLERDE AND OTHERS v. TÜRKİYE, Applications nos. 35614/19 and 10 others, 5 December 2023, პუნქტი 8-106.

¹⁴²⁰ იქვე, პუნქტი 168-220.

¹⁴²¹ CASE OF HANŽEVAČKI v. CROATIA, Application no. 49439/21, 5 September 2023, პუნქტი 6-17.

¹⁴²² იქვე, პუნქტი 53-58.

სილი უკრაინის წინააღმდეგ (CASE OF SILI v. UKRAINE) გადაწყვეტილებაში სამუდამო თავისუფლებააღკვეთილი პატიმარი ჩიოდა დაწესებულებაში ხშირად გადაყვანის, საკნის გადატვირთულობის, ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დარღვევისა და გასეირნების უფლების შეზღუდვაზე.¹⁴²³

სასამართლო მსჯელობა: სასამართლომ განიხილა აპელანტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და მტკიცებულებები მისაღებად სცნო, ხოლო პატიმრობის პირობებზე მსჯელობისას აღნიშნა საერთაშორისო სტანდარტით 3-4 მ2-ზე ნაკლები პირადი სივრცის დარღვევა. აგრეთვე, საგულისხმოდ მიიჩნია, რომ პატიმარი განსაკუთრებულად დაცულ საკანში იყო მოთავსებული, რის გამოც უზღუდებოდა გარე აქტივობებზე წვდომა და მომატებული ინტენსივობით უწევდა ანტისანიტარიიში ყოფნა, სათანადო განიავების, სინათლისა და გათბობის გარეშე. ევროსასამართლოს დასკვნით, პატიმრობის პირობები გაუტოლდა დამამცირებელ მოპყრობას.¹⁴²⁴

მშიდტი და სმიგოლი ესტონეთის წინააღმდეგ (CASE OF SCHMIDT AND ŠMIGOL v. ESTONIA) გადაწყვეტილება ეხებოდა დისციპლინური სახდელის სახეს, კერძოდ, სამართლო საკანში მოთავსების გახანგრძლივების მავნე გავლენას, პატიმრების ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას.¹⁴²⁵

სასამართლომ მრავალმხრივი მსჯელობა წარმოადგინა სამართლო საკანთან დაკავშირებულ პრაქტიკაზე და საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით ხაზი გაუსვა რამდენიმე ნიშანდობლივ საკითხს, კონკრეტულად, ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური დაზმარების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას. განმარტოების ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო სახელმწიფოს ეფექტიანად უზრუნველყო სპეციალისტების ჩართულობა, რაც წარდგენილი ფაქტებით სრულად ვერ დადასტურდა. აგრეთვე, გახანგრძლივებულ სამართლო საკანში მოთავსებასთან დაკავშირებით, სასამართლომ იმსჯელა უწყვეტად მიმდინარე დისციპლინური სახდელის მავნე შედეგებსა და გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი განმცხადებლის მიმართ დაირღვა მესამე მუხლი.

საქმეში კუპინსკი უკრაინის წინააღმდეგ (CASE OF KUPINSKY v. UKRAINE) გარემოებები ეხებოდა ბულგარეთში სამუდამო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრის აპელაციის უფლების შეზღუდვას, კერძოდ, უკრაინაში გადაყვანისას სახელმწიფომ არაერთხელ უარი განაცხადა, შიდა კანონმდებლობაზე დაყრდნობით, საჩივრის მიღებაზე.¹⁴²⁶

გარემოებებზე მსჯელობისას სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა უკრაინაში მომხდარ საკანონმდებლო ცვლილებებს, რითაც არსებული რეგულირება არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, მაგრამ სასამართლომ არ გაამართლა არსებული სამ წელზე მეტი ხნის უარისა და ამ ეტაპზე არარეგულირებადი გასაჩივრების უფლების სარგებლობის, არარსებული საკანონმდებლო ჩარჩო. ევროსასამართლომ დაადგინა დამამცირებელი მოპყრობა.¹⁴²⁷

¹⁴²³ CASE OF SILI v. UKRAINE, Application no. 42903/14, 8 July 2021, პუნქტი 6-10.

¹⁴²⁴ იქვე, პუნქტი 41-51.

¹⁴²⁵ CASE OF SCHMIDT AND ŠMIGOL v. ESTONIA, Applications nos. 3501/20 and 2 others, 28 November 2023, პუნქტი 9-15.

¹⁴²⁶ CASE OF KUPINSKY v. UKRAINE, Application no. 5084/18, 10 November 2022, პუნქტი 2-23.

¹⁴²⁷ იქვე, პუნქტი 41-43.

ბიჯანი ბალახანი შვედეთის წინააღმდეგ (CASE OF BIJAN BALAHAN v. SWEDEN)

გადაწყვეტილებაში განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი შვედეთში მტატებში ექსტრადიცია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა იქნებოდა, რადგან მას ემუქრებოდა უვადო თავისუფლების აღკვეთა ვადამდე გათავისუფლების გარეშე, აგრეთვე უხეშად არაპროპორციული სასჯელი. ის ასევე ჩიოდა, რომ მისი ექსტრადიცია არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს, რადგან მას საფრთხე ემუქრებოდა აშშ-ს საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი სხვა პატიმრებისგან.¹⁴²⁸

ევროსასამართლომ საზი გაუსვა გარემოებას, რომ რეალურად განმცხადებელი არ ჩიოდა აპელაციის უფლების სარგებლობაზე აკრძალვის შესახებ, არამედ იგი თვლიდა, რომ აპელაციის უფლების ვადა აშშ-ში, კალიფორნიის შტატში იყო ზედმეტად დიდი და არაპროპორციული, რაც მესამე მუხლის კონტექსტში ჯდებოდა. სასამართლომ აგრეთვე იმსჯელა, აპელაციის უფლების ვადასა და პატიმრის მიერ წარმოდგენილი ფაქტების არასათანადოობაზე, კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი დანაშაულის ხარისხისა და საპირწონე ფაქტების შედარებისას, ვერ დადგინდა მესამე მუხლის დარღვევა.¹⁴²⁹

ლანგი უკრაინის წინააღმდეგ (CASE OF LANG v. UKRAINE) გადაწყვეტილება ეხებოდა პატიმრის ექსტრადიციასა და მესამე მუხლთან მიმართებას. საჩივარი ეფუძნებოდა ორ სავარაუდო საფრთხეს. ესენია: სიკვდილით დასჯის რისკი და შემცირებული უვადო თავისუფლების აღკვეთა.¹⁴³⁰

სასამართლომ არ დაადგინა მესამე მუხლში ჩარევა, ვინაიდან მომჩივანს არ წარმოუდგენია, არც შიდა სასამართლოების და არც სასამართლოს წინაშე რაიმე მტკიცებულება, რომელიც გამოავლენდა აღწერილი საფრთხეების რეალურობას. სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანმა არ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მისი ექსტრადიცია აშშ-ში არასათანადო მოპყრობის რეალურ საფრთხეს ქმნიდა.¹⁴³¹

ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (CASE OF LIU v. POLAND) განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი ექსტრადიცია ჩინეთში თუ განხორციელდება, იქნებოდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დარღვევა. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-3 მუხლს და აცხადებდა, რომ სახელმწიფომ არ გაითვალისწინა ჩინეთის კორუფციული ვითარება და საქმის პოლიტიკური ხასიათი, რაც კონვენციის მეორე და მესამე მუხლების დარღვევის საფრთხეს ქმნიდა.¹⁴³²

სასამართლომ გაითვალისწინა მხარეების მიერ წარდგენილი ინფორმაცია და სახელმწიფოს მიერ მოკვლევულ გარემოებებზე დაასკვნა, რომ ჩინეთის სახელმწიფოსთან პოლონეთის კომუნიკაცია იყო არაფორმალური, რაც ექსტრადიციისას ვერ შექმნიდა პატიმრის უფლებრივად უზრუნველყოფის გარანტს, განსაკუთრებით სისტემურად ქცეული მესამე მუხლის დარღვევისას. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია და საფრთხე იყო რეალური.¹⁴³³

¹⁴²⁸ CASE OF BIJAN BALAHAN v. SWEDEN, Application no. 9839/22, 29 June 2023, პუნქტი 37-38.

¹⁴²⁹ იქვე, პუნქტი 55-64.

¹⁴³⁰ CASE OF LANG v. UKRAINE, Application no. 49134/20, 9 November 2023, პუნქტი 23-32.

¹⁴³¹ იქვე, პუნქტი 33-40.

¹⁴³² CASE OF LIU v. POLAND, Application no. 37610/18, 6 October 2022, პუნქტი 57-60.

¹⁴³³ იქვე, პუნქტი 71-84.

• **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლება პირადი და ოჯახური ცხოვრების შესახებ**

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლში მოცემულია პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, რომლის სამოქმედო არეალი ფართოა და ჩარევის დასაბუთებად ოთხი სიკეთიდან, რომელიმე უნდა ეხებოდეს. ესენია: პირადი ცხოვრება, ოჯახური ცხოვრება, მიმოწერა და სახლი.¹⁴³⁴ ევროსასამართლო განმარტავს, რომ აუცილებელია, როგორც სახელმწიფოს მიერ ნეგატიური, აგრეთვე პოზიტიური ვალდებულებების აღსრულება „ფუნდამენტური ღირებულებებისა“ ან „საჭირო ასპექტების“ გათვალისწინებით.¹⁴³⁵ ევროსასამართლო დადგენილი პრაქტიკით, ყურადღებას ამახვილებს პატიმრობისას მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის ხასიათსა და სახელმწიფოს უშუალო ვალდებულებაზე დაიცვას არამართლზომიერი ჩარევისგან ინდივიდი.¹⁴³⁶ უფლების მრავალმხრივობის გათვალისწინებით გათვალისწინებით ევროსასამართლოს უშუალო პრაქტიკას.

პირადი ცხოვრება

ფაქტობრივი გარემოებები: ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში სტანისლავ ლუცენკო უკრაინის წინააღმდეგ (CASE OF STANISLAV LUTSENKO v. UKRAINE) გარემოები ეხებოდა არარსებული სამართლებრივი საფუძვლით, დისციპლინური სანქციების დაწესებას, რამაც პატიმრობის რეჟიმის გამკაცრება და მრავალჯერადი გადაყვანა გამოიწვია პენიტენციურ დაწესებულებებში. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მისი გადაყვანა სარეაბილიტაციო განყოფილებიდან რესოცი-ალიზაციის განყოფილებაში, სადამსჯელო ხასიათის იყო და ეფუძნებოდა არაკანონიერ გადაწყვეტილებას, რაც შემდგომ პროკურატურის მიერ აღიარებულ იქნა. აგრეთვე, ლუცენკო აღნიშნავდა ციხეებში ხშირი გადაყვანისას ოჯახის წევრებისა, თუ ადვოკატის არაინფორმირებულობის შესახებაც.¹⁴³⁷

სასამართლოს მსჯელობა: საქმეში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პირადი ცხოვრების უფლების ხარისხის შემცირებაზე, რაც გამოწვეული იყო, პატიმრის ოჯახისგან მოშორებით, პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანითა და რეჟიმის მყისიერი გამკაცრებით. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად მკვეთრად შემცირდა პატიმრის უფლებები (ვედარ სარგებლობდა დროებითი გათავისუფლების, ოჯახის ნახვის, თანხის ფლობისა და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობის შესაძლებლობით), რაც მე-8 მუხლით დაცული სიკეთეა.¹⁴³⁸ ქმედებათა კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე სასამართლომ იმსჯელა და დაასკვნა, რომ მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები გადაყვანასა და რეჟიმის გამკაცრებაზე, არ იყო სრული. აგრეთვე, წარდგენილი დოკუმენტებიდან დგინდებოდა, რომ მიუხედავად შიდასახელმწიფოებრივად აღიარებული უკანონო და არაგონივრულად მიჩნეული სანქციებისა, არსებული

¹⁴³⁴ Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights- Right to respect for private and family life, home and correspondence (2022), P 7.

¹⁴³⁵ იქვე, p 7.

¹⁴³⁶ Guide on the case-law of the European Convention on Human Rights Prisoners’ rights (2022), P 21.

¹⁴³⁷ STANISLAV LUTSENKO v. UKRAINE, განაცხადი no. 81292/17, 15/12/2022, პუნქტი 52.

¹⁴³⁸ იქვე, პუნქტი 57.

არ გაუმჯობესებულა პატიმრის მდგომარეობა, რეჟიმი უცვლელი დარჩა. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ყველაზე საშიში დამნაშავეების შემთხვევაშიც კი, აუცილებელია საგამონაკლისოდ იყოს გამოყენებული გადაყვანა. საბოლოოდ, სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა, რომ პატიმრის მიმართ გამოყენებული გამკაცრებული რეჟიმი და გადაყვანა იყო უკანონო და წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.¹⁴³⁹

გადაწყვეტილების მნიშვნელობა: მოცემული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, რადგან გარემოებები უშუალოდ ეხება ციხის რეჟიმის გამკაცრებისა და გადაყვანის კანონიერებას, ასევე პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის მიზანშეწონილობას, კერძოდ, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ უფლებით სარგებლობისას პრივილეგირებული მდგომარეობიდან, მყისიერად რეჟიმის გამკაცრებისას აუცილებელია ყოველმხრივ გამოკვლეული და დასაბუთებულ იქნეს გადაწყვეტილება, უფლებაში ჩარევის მასშტაბისა და პატიმარზე ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით.

საქმეში შომჰლაკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (CASE OF CHOCHOLÁČ v. SLOVAKIA) განმცხადებელი გახლდათ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პატიმარი, რომელიც მიიჩნევდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლები. კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით, განმცხადებელი განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იყო მოთავსებული და რიგ უფლებებზე ჰქონდა წვდომის შეზღუდვა. მას არ შეეძლო საზოგადოებასა და მესამე პირებთან ურთიერთობა, მათ შორის, საპირისპირო სქესთან. დაწესებულებაში ჩატარებული ჩხრეკისას, განმცხადებელს აღმოუჩინეს ჟურნალიდან ამოჭრილი პორნოგრაფიული შინაარსის მასალა, რაც ამორალურობის მიზეზით ჩამოართვეს და პატიმრის მიმართ დაიწყეს დისციპლინური წარმოება. განმცხადებელი უთითებდა, რომ მსგავსი მასალის წართმევით მოხდა პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა, ასევე პიროვნება ხაზს უსვამდა უვადოდ პატიმრობამისჯილისთვის ფაქტობრივად სოციალური ცხოვრების არარსებობასა და მსგავსი მასალის დადებით, ემოციურად განმმუხტავ როლზე. განმცხადებელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ ჩამორთმეული მასალის ბუნება არ იყო აგრესიული და ამორალური, არ იყო დანაშაულებრივი ან ძალადობრივი (მაგ: პედოფილური). იგი ასევე აცხადებდა ჰეტეროსექსუალი პატიმრისთვის მსგავს მასალაზე აკრძალვის საჭიროებაზეც.¹⁴⁴⁰

კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, სასამართლომ ხაზი გაუსვა უშუალოდ მომჩივნის ინდივიდუალურ მდგომარეობასა და ჩამორთმეული მასალის დანიშნულების მნიშვნელობას მისი პირადი ცხოვრებისთვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი მასალის ფლობა ჩვეულებრივ არ ეწინააღმდეგებოდა მოპასუხე სახელმწიფოს კანონს. თუმცა, განმცხადებლის პატიმრობის სიტუაციაში ეს აკრძალული იყო. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ცოლქმრული ვიზიტის აკრძალვაზე, რამაც უშუალო სექსუალური ცხოვრების სურვილისამებრ წარმართვის შესაძლებლობაზე იქონია გავლენა და მოთავსდა კონვენციის მერვე მუხლით დაცული უფლების შინაარსში. ხოლო ჩარევის მიზანზე მსჯელობისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსი ქმედება არ იყო აუცილებელი/გამართლებული დემოკრატი-

¹⁴³⁹ იქვე, პუნქტი 58-63.

¹⁴⁴⁰ CASE OF CHOCHOLÁČ v. SLOVAKIA, Application no. 81292/17, 7 July 2022, პუნქტი 11-24.

ული საზოგადოებისთვის. საზოგადოებრივ ინტერესზე მსჯელობისას ხაზი გაესვა მსგავსი მასალის დანიშნულებასა და ბუნებას, კერძოდ, პატიმრის მიერ აუტოკროტიზმისთვის გამოყენებული ფოტოები არ შეიცავდა დანაშაულებრივ მახასიათებელსა და იყო მკაცრად თვითგამოყენებისათვის. აგრეთვე, მისი სასჯელის ხასიათიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატივაც არ იყო ხელმისაწვდომი. სახელმწიფოს არგუმენტები არ იყო ევროსასამართლოს მიერ გაზიარებული, ვინაიდან დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვაზე არგუმენტი არ იყო სათანადოდ გამოყენებული, ხოლო საზოგადოებისთვის მსგავსი მასალის ამორალურად მიჩნევაც ვერ მიიჩნეოდა ლოგიკურ არგუმენტად. დაბოლოს, სასამართლომ დაასკვნა, რომ მსგავსი პრაქტიკა საჯარო და ინდივიდუალური ინტერესების პროპორციულ აღსრულებას უშლიდა ხელს. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აკრძალვა არ იყო პროპორციული.¹⁴⁴¹

კავანცი თურქეთის წინააღმდეგ (CASE OF CANAVCI AND OTHERS v. TÜRKİYE)

განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ მიმართ დაირღვა მერვე მუხლით მოცული პირადი ცხოვრების უფლება. განმცხადებლები სახელმწიფო გადატრიალებისთვის იყვნენ ბრალდებულები და ამტკიცებდნენ, რომ ადვოკატთან შეხვედრისას სავალდებულო კონფიდენციალურობა არ იყო უზრუნველყოფილი. კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, ყველა განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მათ შეხვედრებსა და გასაუბრებებს ადვოკატებთან თვითნებურად აკვირდებოდა მცველი, ან შეხვედრები ექვემდებარებოდა აუდიო- და ვიდეოჩაწერას.¹⁴⁴²

ევროსასამართლომ უფლებაში ჩარევასთან მიმართებით დაასკვნა, რომ არსებული სადავო არ იყო, ვინაიდან ორივე მხარე თანხმდებოდა და აღიარებდა, ხოლო ჩარევის კანონიერებასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ იმსჯელა ბრალდებულთა დანაშაულის საფრთხეებსა და ჩატარებული ქმედებების ადეკვატურობაზე, კონფიდენციალურობაში ჩარევა სახელმწიფოს არგუმენტაციით დაკავშირებული იყო სახელმწიფო საფრთხეებთან, რის გამოც პროკურორის მიერ ბრალდებულებისადმი დადგენილი იყო განსხვავებული რეჟიმი. ევროსასამართლომ მსჯელობისას ხაზი გაუსვა აუცილებელი მდგომარეობის რეალურობას, მაგრამ ამასთანავე ყურადღება გაამახვილა აღწერილი მიდგომის ხანგრძლივობაზე, რაც არასათანადოდ მიიჩნია. საგულისხმოა, რომ პროკურორის დისკრეციიდან გამომდინარე ხაზი გაესვა საპირწონე გარანტიის მიზანშეწონილობას, რამაც დადგენილი რეჟიმი თვითნებურად და კანონთან შეუფერებლად აქცია. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლის 1 ნაწილი.¹⁴⁴³

ლესვაფ ვუიჩიკი პოლონეთის წინააღმდეგ (CASE OF LESŁAW WÓJCİK v. POLAND)

საქმეში მომჩივანი მიიჩნევდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით მოცული ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება. როგორც განმცხადებელი აღნიშნავდა, თავისუფლებააღკვეთის დაწესებულებაში ცოლქმრულ ვიზიტებზე უარმა დაარღვია მისი კანონიერი უფლება, ხოლო სახელმწიფოს არგუმენტაციით, თავდაპირველად არამეთვალყურეობადი ცოლქმრული შეხვედრები დაკმაყოფილებულ და აღსრულებულ იქნა, მეთვალყურეობად შეხვედრებთან

¹⁴⁴¹ იქვე, პუნქტი 64-78.

¹⁴⁴² CASE OF CANAVCI AND OTHERS v. TÜRKİYE, Applications nos. 24074/19, 14 November 2023, პუნქტი 4-36.

¹⁴⁴³ იქვე, პუნქტი 93-108.

ერთად. შემდგომ, უფლებით სარგებლობაზე უარი გამოიწვია განმცხადებლის მხრიდან არაერთმა დისციპლინურმა სანქციამ და მისმა არაკოოპერატიულმა დამოკიდებულებამ. გარდა ამისა, სახელმწიფოს არგუმენტაციით, მიდგომა ადეკვატური იყო, რადგან განმცხადებლის სურვილი აღდგენილიყო განმარტოებული პაემანი მრავალჯერ იყო გადასინჯული და დაკმაყოფილებული, ხოლო უფლებრივი შეზღუდვა მომდინარეობდა ისევ განმეორებადი უდისციპლინო ქცევით, რაც თითოეული პრეტენზიის წარმოდგენისას არგუმენტირებულად იყო დოკუმენტირებული.¹⁴⁴⁴

ინდივიდუალურ გარემოებებზე მსჯელობისას ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა მოპასუხე სახელმწიფოში დადგენილ სტანდარტს ცოლქმრული, არამეთვალყურეობადი შეხვედრების შესახებ, რასაც წამახალისებელი ფუნქცია ჰქონდა კარგი ყოფაქცევის პატიმრებისადმი და შესაბამისად, გარანტიით განმცხადებელი დისციპლინურ დარღვევებამდე სარგებლობდა. მიუხედავად რეგულირების ბუნებისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაძლოა დარღვევა ყოფილიყო უშუალოდ არაპროპორციული გაუმართლებელი პრაქტიკით. მხარეების მიერ წარდგენილი არგუმენტაციისა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ასევე შიდასაკანონმდებლო დონეზე, პროცესებზე დაკვირვების შედეგად, არ დადგინდა დარღვევა, რაც გამოწვეულია სახელმწიფოს მხრიდან სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფით. აგრეთვე, ნიშანდობლივია, რომ გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა ცოლქმრული პრივატული შეხვედრის მიუხედავად, მეთვალყურეობად საოჯახო შეხვედრებზე ხელმისაწვდომობასაც. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს ქმედება არ იყო თვითნებური ან არაგონივრული.¹⁴⁴⁵

გადაწყვეტილებაში სუბასი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (CASE OF SUBAŞI AND OTHERS v. TÜRKİYE) განმცხადებლები იყვნენ სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადანაწილებულები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდა კონვენციის მე-8 მუხლით მოცული ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩარევა. საქმეში მოყვანილი გარემოებებით ირკვეოდა, რომ საკანონმდებლო რეგულირებით პატიმრებს შეეძლოთ კვირაში ერთხელ, ციხის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული პირობებით, ესარგებლათ შეხვედრის უფლებით. შემდგომ ციხის ადმინისტრაციამ შემოიღო შეზღუდვები შაბათ-კვირის განმავლობაში ვიზიტების აკრძალვის შესახებ, რის მიზეზადაც დასახელდა გადატვირთულობა, პერსონალის ნაკლებობა და უსაფრთხოების საკითხები. პატიმართა პროტესტიც აღნიშნულ ფაქტს მოჰყვა, ვინაიდან ყველა განმცხადებელს ჰყავდა სასკოლო ასაკის შვილი, რომელთა ნახვის საშუალებაც მხოლოდ არასაგანმანათლებლო დღეებში ეძლეოდათ და ამით ფაქტობრივად ესპობოდათ მათი ნახვის შესაძლებლობა. ასევე, ორმა მომჩივანმა გაასაჩივრა ციხის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება შაბათ-კვირას სატელეფონო ზარების აკრძალვის შესახებ. სახელმწიფოს აპელანტთა შიდა საჩივრებზე რეაგირება არ ჰქონიათ.¹⁴⁴⁶

ევროსასამართლომ მსჯელობით ყურადღება გაამახვილა, რომ შაბათ-კვირას

¹⁴⁴⁴ CASE OF LESŁAW WÓJCIK v. POLAND, Application no. 66424/09, 1 July 2021, პუნქტი 7-19.

¹⁴⁴⁵ იქვე, პუნქტი 125-134.

¹⁴⁴⁶ CASE OF SUBAŞI AND OTHERS v. TÜRKİYE, Applications nos. 3468/20 and 18 others) 6 December 2022, პუნქტი 5-11.

შვილების ნახვაზე შეზღუდვით, კონფლიქტური სიტუაცია წარმოიშვა ბავშვებთან ურთიერთობის შესაძლებლობასა და მათ სასკოლო განრიგებთან, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რეჟიმი კანონით იყო რეგულირებული, აუცილებელი იყო მე-8 მუხლში ჩარევისას შეზღუდვის პროპორციულობაზე ემსჯელათ. შეზღუდვის ბუნებიდან გამომდინარე აღინიშნა, რომ დაწესებულების სიმორისა და სასკოლო პროცესის მიმდინარეობის გამო, ვერ ხდებოდა ბავშვების სხვა კვირის დღეებში მიყვანა, ხოლო ადმინისტრაციის რეგულირებით არ იყო გათვალისწინებული პატიმრებისთვის, ინდივიდუალურ მიდგომაზე დამყარებული ალტერნატივა. მსგავსი შეზღუდვების საჭიროებაზე სახელმწიფოს არგუმენტაციაც იყო არასათანადო და ზედმეტად შემზღუდველი, რაც ართულებდა მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობას. სახელმწიფოს ჰქონდა პოზიტიური ვალდებულება ხელი შეეწყოს ოჯახური ვიზიტებისთვის, რაც სათანადოდ ვერ განხორციელდა. ადმინისტრაციის შეზღუდვაზე ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ მიდგომა შაბათ-კვირას სატელეფონო ზარების აკრძალვის შესახებ იყო ჩამოყალიბებული ზედმეტად ზოგადი სახით, პატიმართა საჭიროებების კონკრეტული შეფასების ან სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების გათვალისწინების გარეშე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებული იყო უზრუნველყო სატელეფონო საუბრების რეგულირებისას პოზიტიური ვალდებულება. სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.¹⁴⁴⁷

დელტუვა ლიეტუვას წინააღმდეგ (CASE OF DELTUVA v. LITHUANIA) საქმეში განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლით მოცული ოჯახური ცხოვრების უფლება. კერძოდ, მას ბრალი ედებოდა ნარკოტიკული დანაშაულისთვის და პატიმრობის პირველი ცხრა თვის განმავლობაში, მიუხედავად არაერთი ოფიციალური მოთხოვნისა, პროკურორმა განმცხადებელს მხოლოდ ერთი შეხვედრის უფლება მისცა მეუღლესა და ათი წლის შვილთან იმ არგუმენტით, რომ ასეთ ვიზიტებს შეიძლება ხელი შეეშალოს გამოძიებისათვის. საგულისხმოა ისიც, რომ დაკმაყოფილებულ მოთხოვნას ახლდა ფსიქოლოგის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ განმცხადებლის ქალიშვილი განიცდიდა დიდ სტრესსა და შფოთვის მამის ნახვის შეუძლებლობის გამო. 2020 წელს განმცხადებელს უკონტაქტო ვიზიტის უფლება მიენიჭა. 2020 წელს პირმა დატოვა საპატიმრო დაწესებულება, ხოლო სისხლისსამართლებრივი წარმოება კიდევ გრძელდება.¹⁴⁴⁸

ევროსასამართლოს მსჯელობით განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის პირველი ცხრა თვის განმავლობაში ოჯახთან ვიზიტების შეზღუდვა წარმოადგენდა ჩარევას ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. შეზღუდვა იყო კანონთან შესაბამისი და ესადაგებოდა ლეგიტიმურ მიზანს, არეულობის კონტროლს ან დანაშაულის პრევენციას, მაგრამ სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს აუცილებელი არ იყო დემოკრატიული საზოგადოებისთვის. სახელმწიფოს არგუმენტაციის შეზღუდვა გამოწვეული იყო ბრალდებულის დანაშაულის ბუნებითა და საგამოძიებო პროცესის დაზიანების საფრთხეებით, რაც ლეგიტიმურად შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული. ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა დელტუვას ოჯახის

¹⁴⁴⁷ იქვე, პუნქტი 80-109.

¹⁴⁴⁸ CASE OF DELTUVA v. LITHUANIA, Application no. 38144/20, 21 March 2023, პუნქტი 7-15.

წევრების ვიზიტზე, როგორც საფრთხეზე და აღნიშნა, რომ არ იყო წარდგენილი საფრთხეთა რეალურობისთვის მყარი არგუმენტაცია, პირიქით ისინი არ იყვნენ დანაშაულთან კავშირში, არ წარმოადგენდნენ მოწმეებსა და არ არსებობდა მათზე ზემოქმედების საფრთხე. სასამართლომ აღნიშნა, რომ არაერთი პრეტენზიისათანადოდ არ იყო შესწავლილი და განხილული ვიზიტების ნების დართვის საკითხი. გარდა ამისა, ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა ბრალდებულის შვილის ასაკსა და მის მშობელთან ურთიერთობის მნიშვნელობაზე, წარდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფდა, რომ შეხვედრის უფლებაზე შეზღუდვამ ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფითად იმოქმედა, ხოლო მსგავსი ჩარევისას სახელმწიფოს მიერ წარდგენილი არგუმენტაცია და მტკიცებულებები არ იყო წონადი, მათ ვერ ახსნეს შვილთან შეხვედრებს გამოძიების პროცესისთვის, რა ნიშნადობლივი საფრთხე შეეძლო შეექმნა. ამ არგუმენტებზე დაყრდნობით სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა.¹⁴⁴⁹

დანილევჩი რუსეთის წინააღმდეგ (DANILEVICH v. RUSSIA) გადაწყვეტილებაში განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი - ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება. მომჩივანი, ოჯახისგან მოშორებით, უვადოდ იყო თავისუფლებააღკვეთილი და მიუხედავად მიმოწერის შესაძლებლობისა, მიიჩნევდა, რომ ადმინისტრაციას დარეკვის შესაძლებლობაზე მოთხოვნა უნდა დაეშვა, ვინაიდან ეკონომიკური მდგომარეობისა და 1000 კმ-ზე მეტი ტერიტორიული დაშორების გამო, ნათესავები მონახულებას ვერ ახერხებდნენ. დანილევჩი აღნიშნავდა, რომ მისი შვილიც მცირეწლოვანი იყო და ვერ ხერხდებოდა მიმოწერით სათანადო ურთიერთობა.¹⁴⁵⁰

სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა და ხაზი გაუსვა ინდივიდუალურ გარემოებებს. იმ ფაქტებს, რომ ოჯახთან ურთიერთობის მხოლოდ მიმოწერით უზრუნველყოფა აუარესებდა ურთიერთობის ხარისხს მის წევრებს შორის, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხებოდა მკაცრი რეჟიმის ციხეში მყოფ პატიმარს. აუცილებელი იყო გამართლებული ყოფილიყო მსგავსი შეზღუდვა, რაც ევროსასამართლომ არ დაადგინა და აპელირდა იმ ფაქტზე, რომ პირადი ვიზიტები ვერ ხორციელდებოდა ფინანსური და ტერიტორიული სიძნელეებით, აგრეთვე მცირეწლოვანი შვილის მდგომარეობით. ხოლო მიმოწერით არსებული უზრუნველყოფა არ იძლეოდა ოჯახური კავშირების შენარჩუნების სათანადო ხარისხს, განსაკუთრებით წერილების დაგვიანებისა და დროში განწილვადების გამო. ევროსასამართლო უთითებს, რომ მკაცრი რეჟიმის ციხეში მსგავსი სახის შეზღუდვები ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით დაშვებულია, მაგრამ არსებული გამართლებული უნდა იყოს, ხოლო საქმის ინდივიდუალურ ფაქტორებზე დაყრდნობით, არსებული მიდგომა რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციის პროცესს აფერხებდა, ნებისმიერი წონადი არგუმენტაციის გარეშე. ასევე ხაზი გაესვა ფაქტს, რომ დაწესებულებაში მსჯავრდებულებს სისტემურად ეძლეოდათ ზარების განხორციელების საშუალებაც, შესაბამისად, არსებული ფინანსურ ტვირთსაც არ აკისრებდა ადმინისტრაციას და პრივილეგირებულ მდგომარეობასაც არ ჰქმნიდა. დაბოლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნით,

¹⁴⁴⁹ იქვე, პუნქტი 38-49.

¹⁴⁵⁰ CASE OF DANILEVICH v. RUSSIA, Application no. 31469/08, 19 October 2021, პუნქტი 5-18.

სოციალური კავშირებზე მსგავსი შეზღუდვა დაუშვებელი იყო, არ პასუხობდა სამართლიანობის მოთხოვნასა და არ იყო „დემოკრატიული საზოგადოების საჭიროებით გამართლებული“.¹⁴⁵¹

ჰალიტ ქარა თურქეთის წინააღმდეგ (CASE OF HALIT KARA v. TÜRKİYE) საჩივარი ეხებოდა წინასასამართლო პატიმრობისას ციხის ადმინისტრაციის მიერ, ძმისთვის გადასაცემი წერილის კონფისკაციას. განმცხადებლის ძმა ტერორისტული საქმიანობისთვის იყო თავისუფლებააკვეთილი. სახელმწიფოს მტკიცებით არსებული შეზღუდვა გამართლებული იყო წერილის შინაარსისა და პატიმრების მიერ მომდინარე საფრთხით, ხოლო განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ წერილის შინაარსი არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა და მიმოწერაში ამგვარი ჩარევა იყო გაუმართლებელი.¹⁴⁵²

ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა მიმოწერის შემოწმებისა და მე-8 მუხლის დაცულ სიკეთეს, რაც შინაარსობრივად ერთმანეთს მოიცავს. ასევე აღინიშნა, რომ სადავო ფაქტს არ წარმოადგენდა თვით განხორციელებული ქმედების კანონიერი საფუძვლიც და აუცილებელი იყო მის „საჭიროებაზე“ ემსჯელა. სახელმწიფოს მიერ წარდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების შეფასებისას, ყურადღება გამახვილდა წერილის შინაარსზე, კონკრეტულად, მიუხედავად მოყვანილი ციტირებისა, წერილის კონტექსტიდან ვერ იკვეთებოდა თანამდებობის პირებისადმი ცრუ და ცილისმწამებლური ბრალდება. ფაქტობრივად, წარდგენილი მასალით, არ იყო იდენტიფიცირებული პიროვნება, ვისი რეპუტაციის შებღალვითაც ციხის რეპუტაცია და წესრიგი დაირღვეოდა. საბოლოოდ, წინამდებარე საქმეში ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება დაებალანსებინათ და თავიდან აეცილებინათ მიმოწერისას უხეში ჩარევა. ასევე, საგულისხმოა, რომ არგუმენტაციით ვერ მტკიცდება დემოკრატიული საზოგადოებისთვის ჩარევის საჭიროება, აუცილებელი იყო დაცვის მინიმალური ხარისხით მაინც ყოფილიყო განმცხადებელი უზრუნველყოფილი, რაც მე-8 მუხლში ჩარევისას აუცილებელი წინაპირობაა. შესაბამისად, ევროსასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა.¹⁴⁵³

გიმონი საფრანგეთის წინააღმდეგ (GUIMON v. FRANCE) განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი - ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება. განმცხადებელი ტერორისტული აქტისთვის იყო მსჯავრდებული და სასჯელის მოხდის მიმდინარეობისას მამა გარდაეცვალა. როგორც განმცხადებელი აღნიშნავდა, მან მოითხოვა ციხის ესკორტის თანდასწრებით, მამის დაკრძალვაზე მისვლის შესაძლებლობის მიცემა. გუიმონი აღნიშნავდა, რომ მამასთან ახლო ურთიერთობის მიუხედავად, ბოლო პერიოდში მისი ავადობის გამო, ვერ ახერხებდა ნახვას, რის გამოც უკანასკნელი პატივის მიგება მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მოპასუხე მხარე ლოჯისტიკურ მიზეზებზე აპელირებდა.¹⁴⁵⁴

სასამართლომ დაადგინა, რომ უარი განმცხადებლის მოთხოვნაზე, რომ დასწრე-

¹⁴⁵¹ იქვე, პუნქტი 52-64.

¹⁴⁵² CASE OF HALIT KARA v. TÜRKİYE, Application no. 60846/19, 12 December 2023, პუნქტი 2-14.

¹⁴⁵³ იქვე, პუნქტი 51-60.

¹⁴⁵⁴ GUIMON v. FRANCE, Application no. 48798/14, 11 April 2019, პუნქტი 5-20.

ბოდა დაკრძალვას და პატივი მიეგო მამისთვის, იყო პროპორციული, ვინაიდან რუსურსულად შეუძლებელი იყო არსებული გამონაკლისის დაშვება. პატიმრის კრიმინალური წარსული და ტერორისტული ორგანიზაციის აქტიური სტატუსი საზოგადოებას უქმნიდა საფრთხეს, ხოლო სახელმწიფოს არ ჰყავდა მსგავს დანაშაულში მსჯავრედული პირის გაყვანაზე სპეციალიზებული პირები. ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ 2009 წელს მამის ბოლო ვიზიტის მიუხედავად, განმცხადებელი სხვა ნათესავებს შეუზღუდავად ხვდებოდა და არ იკვეთებოდა უთანასწორო მიდგომა. არ მომხდარა კონვენციის მე-8 მუხლში არასათანადო ჩარევა.¹⁴⁵⁵

• **ზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება**

საქმეში კოროსტელევი რუსეთის წინააღმდეგ (CASE OF KOROSTELEV v. RUSSIA)

განმცხადებელი უთითებდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი. კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას, მას მცველებმა არ მისცეს რიტუალური ლოცვის ჩატარების საშუალება, იმ არგუმენტით, რომ ღამით ლოცვა ეწინააღმდეგებოდა პატიმართა ქცევის წესებს. აპელანტი აღნიშნავდა, რომ, როგორც ისლამის წარმომადგენელს მისთვის ლოცვის შესრულება სავალდებულო იყო, ხოლო ღამით დაძინება წარმომადგენდა მის უფლებას და არა ვალდებულებას. შიდასახელმწიფოებრივად პატიმარს დისციპლინური სახდელი დაედო.¹⁴⁵⁶

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული, თუ სისხლის-სამართლებრივი სანქციის დაწესება რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებულ საკითხებზე თავსდება კონვენციის მე-9 მუხლის განმარტებაში. აღინიშნა, რომ ციხის ადმინისტრაციის მიერ დადებულ, აგრეთვე დისციპლინურ სახდელს ჰქონდა საკანონმდებლო, განჭვრეტადი საფუძველი და გააჩნდა ლეგიტიმური მიზანი. საგულისხმოდ იყო დემოკრატიული საზოგადოებისთვის საჭიროების კომპონენტიც, რაზეც მსჯელობისას დადგინდა, რომ რელიგიური რიტუალი არ წარმომადგენდა დაწესებულებისთვის საფრთხის შემცველ რისკს (მაგ, არ გამოიყენებოდა სახიფათო საგნები). აგრეთვე, ხაზი გაესვა იმ ასპექტს, რომ ლოცვა სხვა პატიმრების რუტინასა და ცხოვრებაზე შემაწუხებელ გავლენას არ ახდენდა, ხოლო ღამის ლოცვა რამადანისას წესისამებრ სავალდებულოდ განსაზღვრულ დროის მონაკვეთში უნდა აღსრულებულიყო. ამ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩარევა და დისციპლინური სახდელი არ იყო პროპორციული და ვერ უზრუნველყოფდა სამართლიანი ბალანსის დაცვას, არ იყო დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი და წარმომადგენდა მე-9 მუხლი დარღვევას.¹⁴⁵⁷

საქმეში სარანი რუმინეთის წინააღმდეგ (Saran v. Romania) განმცხადებელი აღ-

ნიშნავდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი. მან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განაცხადა, რომ ესაჭიროებოდა მუსლიმანური წესით დამზადებული საკვები, ვინაიდან არ იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი. ადმინისტრაციამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა, იმ არგუმენტით, რომ აუცილებელი იყო რე-

¹⁴⁵⁵ იქვე, პუნქტი 27-52.

¹⁴⁵⁶ CASE OF KOROSTELEV v. RUSSIA, Application no. 29290/10, 12 May 2020, პუნქტი 8-13.

¹⁴⁵⁷ იქვე, პუნქტი 57-65.

ლიგიის შეცვლისას სხვა რელიგიის წარმომადგენლების მიერ ყოფილიყო ფაქტი დადასტურებული.

ევროსასამართლოს მსჯელობით ხაზი გაესვა შეცვლილი რელიგიისა და მრწამსიდან გამომდინარე, სპეციფიკური მიდგომის დაწესების სირთულეს, რაც შეიძლება ამართლებდეს სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის შეცვლის დადასტურებას. საგულისხმოა, რომ რუმინეთის პენიტენციურ სისტემაში დადგენილი რეგულაციით, მსჯავრდებულებს დაწესებულებაში მოხვედრისას რელიგიის აღიარება არ მოეთხოვებოდათ და მხოლოდ მრწამსის შეცვლის შემდეგ უწევდათ არსებულის დამტკიცება მკაცრად გაწერილი სტანდარტით, რაც ევროსასამართლომ მეტად ხისტ მიდგომად მიიჩნია და დაადგინა მე-9 მუხლში ჩარევა.¹⁴⁵⁸

გადაწყვეტილების მნიშვნელობა: თავისი არსით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განხილული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, რადგან რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფა შეუზღუდავი უფლება არ არის და შესაბამისად, დაშვებულია, რომ სახელმწიფო რეგულირებით, თავისუფლებააღკვეთილ პირს, რაიმე ფორმით უფლებაზე ხელმისაწვდომობა შეეზღუდოს, მაგალითად, აღწერილ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით ვადგენთ, რომ რელიგიის ცვლილებისას მტკიცებითი სტანდარტი ზოგადად არ არის აკრძალული პრაქტიკით, მაგრამ არსებული სისტემატიზებული უნდა იყოს და ადვილად ლავირებადი სტანდარტით. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, ევროსასამართლო, შიდა საკანონმდებლო რეგულირებასა და კონვენციის ფარგლებს მიმართებაზე, მნიშვნელოვან კონტექსტუალურ წინაპირობას აყალიბებს, კერძოდ, თუ როგორ უნდა პასუხობდეს სასამართლოს მოთხოვნა, ხელშემკვრელი მხარის მიერ დადგენილ რეგულირებას.

საქმეში აბდულა იალჩინი თურქეთის წინააღმდეგ (CASE OF ABDULLAH YALÇIN v. TURKEY) განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი. კერძოდ, ის მოთავსებული იყო მაღალი დაცვის დაწესებულებაში, სადაც კრებსითი ისლამური ლოცვის აღსრულებას მოითხოვდა, რაზეც უარი მიიღო ადმინისტრაციისგან, პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებისა და მომატებული კრიმინალური ქცევის მქონე პატიმრების შეკრებასთან დაკავშირებული საფრთხეების გამო.¹⁴⁵⁹

ევროსასამართლომ იმსჯელა პარასკევის ლოცვისა და კონვენციის მე-9 მუხლის კონტექსტზე და დაადგინა, რომ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია კოლექტიური პარასკევის ლოცვები ისლამური ტრადიციისთვის, რაც თავსდება რელიგიის უფლების შინაარსში, აგრეთვე ყურადსაღებია, რომ მოპასუხე სახელმწიფოსაც არ წამოუყენებია რაიმე კონტრარგუმენტი ამგვარი ტრადიციის არასათანადოობასთან მიმართებით. სახელმწიფოს უარის შეფასებისას ევროსასამართლომ გაითვალისწინა მაღალი რისკის დაწესებულებაში მომდინარე საფრთხეები, მაგრამ ხაზი გაუსვა რისკების ინდივიდუალურად შეფასების ვალდებულებას, რათა მართლზომიერად და პროპორციულად მომხდარიყო უფლებაში ჩარევა. დაბოლოს, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო სათანადოდ პოზიტიური ვალდებულების აღსრულება, რამაც გამოიწვია რელიგიის უფლებაში

¹⁴⁵⁸ Saran v. Romania - 65993/16 Judgment 10.11.2020 .

¹⁴⁵⁹ CASE OF ABDULLAH YALÇIN v. TURKEY, Application no. 34417/10, 14 June 2022, პუნქტი 2-12.

არასათანადო ჩარევა, კერძოდ, სახელმწიფოს არ მოუძიებია ნაკლებ ინვაზიური მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც პატიმრის რელიგიური გრძნობები ნაკლებად შეილახებოდა.¹⁴⁶⁰

საქმეში ულჭირი და კასტრო რუმინეთის წინააღმდეგ (Erlich and Kastro v. Romania)

განმცხადებლები თვლიდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კონვენციის მე-9 მუხლის დაცვა. კერძოდ, ისინი იყვნენ იუდაიზმის მიმდევრები, ებრაელები, რომლებიც მოითხოვდნენ კომერული წესით დამზადებული საკვების მიღებას, რაც რელიგიის წარმომადგენლების ჩართულობასაც გულისხმობდა. აღსანიშნია, რომ ციხის ადმინისტრაციამ ითანამშრომლა რელიგიურ ორგანიზაციასთან, რომელსაც შეეძლო განმცხადებლების წესის დაცვით შედგენილი მენიუთი უზრუნველყოფა. გამოიყო დამატებითი სივრცე ებრაული საკვების მომზადებისთვის, ხოლო საკვების შექმნა პატიმრებს უწევდათ თავიანთი ხარჯით.

წარდგენილ გარემოებებზე მსჯელობისას, ყურადღება გამახვილდა სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შესრულების ხარისხზე, რაც დადებითად შეფასდა. განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი საკვების დამუშავების წესი სრულიად განსხვავებული იყო და ითვალისწინებდა განსხვავებულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფილი იყო. დადებითი ასპექტი იყო სპეციალური რელიგიური ორგანიზაციის ჩართვა, ხოლო საკუთარი ხარჯებით საკვების შექმნის წინაპირობაზე მსჯელობისას ხაზი გაესვა, რომ მხარეს არ ევალუბოდა ზედმეტად დიდი ძალისხმევის გაწევა. ევროსასამართლოს დასკვნით, რუმინეთის სახელმწიფოში საკანონმდებლო დონეზე იყო კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობა, რითაც განმცხადებლებს არ უსარგებლიათ. ევროსასამართლოს დასკვნით, არ დარღვეულა კონვენციის მე-9 მუხლი.¹⁴⁶¹

• გამონატვის თავისუფლება

ზაიდოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (ZAYIDOV v. AZERBAIJAN) საქმის განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლით მოცული გამონატვის თავისუფლება. პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას მან დაწერა წიგნი ორ ნაწილად (203 და 75 გვერდები), რომლის შინაარსიც თანამესაგნეების ისტორიებს, სახელმწიფო კრიტიკასა და მის მემუარებს მოიცავდა. განმცხადებელმა წიგნის პირველი ნაწილი ციხის ადმინისტრაციას გადასცა ნათესავებთან მისაწოდებლად, თუმცა რეალურად ხელნაწერი კონფისკაციასა და შემოწმებას დაექვემდებარა. გარემოებებით დგინდებოდა, რომ შესწავლის ფაქტზე მოკვლევის ჩატარების შესახებ მხარე ინფორმირებული არ იყო და ციხის ადმინისტრაციამ მოტყუებით დაადასტურა ნათესავებისთვის მასალების გადაცემა. საგულისხმოა, რომ ხელნაწერის შესწავლის შემდეგ, მისი შინაარსი სახელმწიფოებრიობისა და პოლიტიკური ფიგურებისთვის შეურაცხმყოფლად და სახიფათოდ იქნა მიჩნეული, რის საფუძველზეც გაიცა მისი განადგურების ბრძანება. ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული ჩხრეკისას აღმოჩენილი მეორე ნაწილის მიმართაც, ხოლო ყურადსაღებია, ის რელევანტური მოცემულობა, რომ განადგურებაზე გამოცემული ბრძანებებიდან, არცერთში არ იყო მტკიცებულებების სახით

¹⁴⁶⁰ იქვე, პუნქტი 24-36.

¹⁴⁶¹ Erlich and Kastro v. Romania, 23735/16 and 23740/16 Judgment 9.6.2020.

წიგნიდან ციტატები მოყვანილი და მხოლოდ მომდინარე საფრთხეებზე იყო საუბარი. ხელნაწერი, განმცხადებლის დაბრუნების მოთხოვნის მიუხედავად, განადგურდა.¹⁴⁶²

ევროსასამართლოს მსჯელობით ხაზი გაესვა მიმოწერის უფლების კონვენციის მე-8 მუხლში მოქცევასა და საქმის საგამონაკლისო ხასიათს, კერძოდ, ხელნაწერის გამოცემისა და გასაჯაროების განზრახვა მოთავსდა კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებაში. ასევე შიდა რეგულირებაზე დაყრდნობით ყურადღება გამახვილდა საკანონმდებლო ბაზის არასათანადოობაზე, კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრება შემოწმებული იყო ზოგადი და ღრობით მოქმედი რეჟიმით, რომელიც არ იყო კონკრეტული და შესაბამისი. საკანონმდებლო რეგულაციით არ იკვეთებოდა, თუ როგორც უნდა მომხდარიყო ხელნაწერის შესწავლა. სახელმწიფოს მიერ ხელნაწერის განადგურებაზე გადაწყვეტილების ტექსტი ვერ უზრუნველყოფდა არგუმენტაციას ციტირებით, თუ რატომ იყო „არასათანადოდ“ შინაარსი მიჩნეული, ხოლო მასში მოყვანილი არგუმენტაცია ზოგადი და გაუმყარებელი ხასიათის იყო. ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა და აღნიშნა, რომ შიდა რეგულირება არ იყო სათანადო, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება ვერ პასუხობდა არგუმენტაციის სათანადო ხარისხს.¹⁴⁶³

აჰმეთ ჰუსრევ ალტანი თურქეთის წინააღმდეგ (AHMET HÜSREV ALTAN v. TURKEY)

- განმცხადებელი გახლდათ ცნობილი ჟურნალისტი და ეკავა ყოველდღიური გაზეთის მთავარი რედაქტორის თანამდებობა. განმცხადებელი დააკავეს თანამდებობის გამოყენებით, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისა და უკანონო ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ბრალდებით. განმცხადებელმა წარუმატებლად მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ არგუმენტით, რომ მისი პატიმრობა იყო უკანონო და იწვევდა კონვენციის მე-10 მუხლში უსაფუძვლო ჩარევას, რადგან თავისუფლების აღკვეთა ემსახურებოდა მისი პროფესიული მოვალეობის მიზანმიმართულ შეფერხებას. აგრეთვე მომჩივანი აპელირებდა კონვენციის მე-5 თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებაში ჩარევაზე.¹⁴⁶⁴

ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა იმ წინაპირობას, რომ პატიმრობა გამოწვეული იყო მომჩივნის პროფესიული საქმიანობისა და მისი სტატიების, თუ განცხადებების გამო. აღინიშნა, რომ დაკავება არ ეფუძნებოდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

ევროსასამართლოს მსჯელობით ხაზი გაესვა იმ რელევანტურ მოცემულობას, რომ კონვენციის მე-5 და მე-10 მუხლების მიზანს პიროვნების თვითნებობისგან დაცვა განაპირობებს, ხოლო პოლიტიკური მოტივაციით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის გვერდის ავლით დადგენილი თავისუფლების აღკვეთა, უტყუარად წარმოადგენდა ხელშემკვრელი მხარის თვითნებობის გამოვლენას და აგრეთვე, ცალსახა იყო, რომ განმცხადებელს დაკავების მიზეზი ხელს უშლიდა ესარგებლა მე-10 მუხლით გარანტირებული უფლებით. საბოლოოდ, გადაწყვეტილებაში ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იყო

¹⁴⁶² CASE OF ZAYIDOV v. AZERBAIJAN, Application no. 5386/10, 24 March 2022, პუნქტი 6-16.

¹⁴⁶³ იქვე, პუნქტი 62-76.

¹⁴⁶⁴ AHMET HÜSREV ALTAN v. TURKEY, Application no. 13252/17, 13 April 2021.

უფლებადმი ჩარევა, კანონიერი საფუძვლის გარეშე, რის გამოც დადგინდა მე-5 და მე-10 მუხლების დარღვევა.

• **თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება**

ო. ჯ. და ჯ. ო. საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ (O.J. AND J.O. v. GEORGIA AND RUSSIA) - ეხებოდა ჯაშუშობის ბრალდებით ორი პირის დაკავებას და განაჩენის აღსრულებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დე ფაქტო ტერიტორიაზე. აფხაზეთის დე ფაქტო წარმომადგენლები ფიზიკურად უსწორდებოდნენ და ითხოვდნენ აღიარებას, შემდგომ შეუფარდეს თავისუფლების აღკვეთა. უკანონო დაკავება 10 თვის განმავლობაში გახანგრძლივდა, საქართველოს წარმომადგენლობა ინფორმირებული იყო ფაქტის შესახებ, თავისუფლების აღკვეთისა და დაკავების კანონიერებასა და საქართველოს ჩართულობაზე სასამართლომ შემდგომში იმსჯელა.¹⁴⁶⁵

სასამართლომ აღნიშნა, რომ მათი უკანონო დაკავებისა და სასამართლო პროცესის საკითხი ეხება კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ც“ პუნქტებს. ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა აფხაზეთის ავტონომიაში საკანონმდებლო პრაქტიკის არარსებობასა და არგუმენტაციის ნაკლებობას, არ არსებობდა საკმარისი საკანონმდებლო საფუძველი, რაც სისტემურად იკვეთებოდა **მამასახლისი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ (Mamasakhlishi and Others v. Georgia and Russia)** გადაწყვეტილებაშიც. რუსეთის წინააღმდეგ დადგინდა მე-5 მუხლის დარღვევა, ხოლო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მსგავსად ევროსასამართლომ ასევე იმსჯელა დე ფაქტო აფხაზეთსა და საქართველოს პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე, აგრეთვე ტერიტორიაზე მიუხედავად რთული კონტროლირებადი სიტუაციისა საქართველოს წარმომადგენლების ქმედითი და დროული ჩართულობის მნიშვნელობაზე. სწორედ ამან გამოიწვია ორივე საქმეში პირების უკანონო თავისუფლების აღკვეთიდან გათავისუფლება. შესაბამისად, საქართველოს მიმართ დარღვევა არ დადგინდა.¹⁴⁶⁶

გადაწყვეტილების მნიშვნელობა: გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, ვინაიდან არსობრივად ეხება დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან უკანონო თავისუფლების აღკვეთის მნიშვნელობასა და უფლებამოსილი სახელმწიფოს სათანადო მოქმედების მასშტაბს.

დენისი და სხვები ბელგიის წინააღმდეგ (DENIS AND IRVINE v. BELGIUM) - გადაწყვეტილება ეხებოდა სახელმწიფოს მხრიდან, 1930 წლის სოციალური დაცვის აქტის საფუძველზე, ქურდობისა და ყაჩაღობისთვის ბრალდებულ ფსიქიკურად არასტაბილური პირებისადმი დადგენილ რეჟიმს, რითაც გათვალისწინებული იყო პატიმრობის იძულებითი აღსრულება და თერაპიული მკურნალობა სპეციალურ დაწესებულებაში. 2016 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელმაც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის კატეგორია ამორიცხა მსგავსი სასჯელის სიიდან, რის საფუძველზეც განმცხადებლებმა მოითხოვეს გათავისუფლება. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ განმცხადებლების ფსიქიკური მდგომარეობა

¹⁴⁶⁵ O.J. AND J.O. v. GEORGIA AND RUSSIA, Applications nos. 42126/15 and 42127/15, 19 December 2023, პუნქტი 7-22.

¹⁴⁶⁶ იქვე, პუნქტი 71-82.

არ იყო დაბალანსებული და არ გასულა სამწლიანი გამოსაცდელი ვადა, რათა ესარგებლათ მუდმივი გათავისუფლებით.¹⁴⁶⁷

ევროსასამართლომ იმსჯელა კონვენციის 5 § 1 და 5 § 4 მუხლებზე და დარღვევა არ დაადგინა. არ იყო სადავო, რომ განმცხადებლების თავისუფლების აღკვეთა ექვემდებარებოდა მე-5 მუხლის 1 (ე) პუნქტს, ვინაიდან აღსრულებოდა იძულებითი პატიმრობა, რომელიც იყო პრევენციული და არა სადამსჯელო ხასიათის, დადგენილი იყო უსაფრთხოების დონის ძიება პირების ფსიქიატრიული მდგომარეობის გამო. საკანონმდებლო ცვლილებისა და მოპასუხე სახელმწიფოს უარზე მსჯელობისას ხაზი გაესვა შიდა სახელმწიფოებრივ რეგულირებას, რომლის მიხედვითაც ორი განსხვავებული და ურთიერთშემძვები მიდგომით ხდებოდა პირების მონიტორინგი და გათავისუფლება. მიუხედავად ახალი ცვლილების თანახმად, ერთ-ერთი საფუძვლის შეცვლისა მეორე რეგულირებით, აუცილებელი იყო რისკ-ფაქტორების მონიტორინგი განხორციელებულიყო საზოგადოებრივი და პიროვნული უსაფრთხოების გათვალისწინებით. მოსარჩელების მდგომარეობა იყო საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი, იკვებებოდა ძალადობრივი ქცევის გაგრძელების მაღალი რისკი, რაც ორი კუმულაციური წინაპირობიდან ერთის დარღვევას იწვევდა. აგრეთვე, მათი შემოწმება კანონის სრული დაცვით მიმდინარეობდა, ხოლო უარი იყო გონივრული. შესაბამისად, არ დაადგინა მე-5 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა. აგრეთვე მე-5 მუხლის მე-4 ნაწილზე მსჯელობისას სასამართლომ დაადგინა, რომ უარი განაცხადეს განმცხადებლის მოთხოვნაზე საბოლოო გათავისუფლების შესახებ იმ არგუმენტით, რომ კანონის მიხედვით არცერთი კუმულაციური პირობა არ იყო დაკმაყოფილებული, ხოლო რეგულირებით გამოსაცდელი პირობა არ იყო გადამწყვეტი, რადგან მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა ასევე არ იყო საკმარისად მართავი და პროგრესირებადი. ევროსასამართლომ დადებითად შეაფასა გარემოება, რომ საკასაციო სასამართლომ შიდა წარმოებისას მხარეებს განუმარტა უარის საფუძველი და ნათლად გამოკვეთა საკანონმდებლო ნორმის მოქმედების ფარგლები. სტრასბურგის სასამართლომ არ დაადგინა მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევა.¹⁴⁶⁸

საქმეში სტოტი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (STOTT v. THE UNITED KINGDOM)

- განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ვადაზე ადრე გათავისუფლების ნორმები იყო დისკრიმინაციული (კონვ. მე-14 მუხლი) და ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლს. კერძოდ, 2013 წლის 3 მაისს ის გაასამართლეს სხვადასხვა სექსუალურ დანაშაულში, მათ შორის, ფიქსირდებოდა 13 წლამდე ბავშვებზე სექსუალური ძალადობის 11 შემთხვევა. ის ადრეც იყო ნასამართლევ მსგავსი დანაშაულის ჩადენისთვის. ამავ წელს მის მიმართ დადგა „განხანგრძლივებული სასჯელი“, რაც გულისხმობდა 21-წლიან თავისუფლების აღკვეთასა და ოთხწლიან პირობითს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, პატიმარს შეეძლებოდა პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობით ესარგებლა. განმცხადებელმა მოითხოვა პირობითი გარანტიებით სარგებლობა, რაზეც სასამართლო წესით უარი ეთქვა, იმ საფუძველით, რომ სასჯელის ორი მესამედის მოხდის შემდეგ საზოგადოებისთვის საშიშროების მაჩვენებლის შემოწმებით მიმდინარეობდა მსგავსი საკანონ-

¹⁴⁶⁷ DENIS AND IRVINE v. BELGIUM, Applications nos. 62819/17 and 63921/17, 1 June 2021, პუნქტი 7-69.

¹⁴⁶⁸ იქვე, პუნქტი 139 -198 .

მდებლო რეგულირებით სარგებლობა.¹⁴⁶⁹

ევროსასამართლომ საკმარის არგუმენტად მიიჩნია მოპასუხე მხარის განმარტება იმ საკანონმდებლო წინაპირობის თაობაზე, რომ თავისუფლების აღკვეთიდან პირობით ვადამდე გათავისუფლება საზოგადოებისთვის რისკების შეფასებასაც უნდა ეფუძნებოდეს და მათ შორის, შეიძლება, ზღუდავდეს კონკრეტული კატეგორიის მსჯავრდებულებს. სასამართლომ განმარტა, რომ საკანონმდებლო ნორმის ფორმულირებისას განსხვავებული სამოქმედო ჯგუფების ჩამოყალიბებისა და უფლებაზე ხელმისაწვდომობის ინდივიდუალურად განსაზღვრის უფლება სახელმწიფოს გააჩნია, გამართლებადი არგუმენტაციისას, რაც დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში საზოგადოებრივი საფრთხეებიდან გამომდინარე დადასტურდა. ევროსასამართლომ პირობით ვადამდე გათავისუფლებისას, შეფასების სტანდარტზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ პატიმრის კრიმინალური გადაფასების დამატებითი მექანიზმი გამართლებული და რეალურია მსჯავრდებულის დანაშაულის კატეგორიისა და მომატებული კრიმინალური საფრთხიდან გამომდინარე. ამ მიზეზების გამო, არ შეიძლება ითქვას, რომ პატიმრების ვადამდე გათავისუფლების შესახებ მოქმედი დებულებები სცილდებოდა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ პატიმართა და სასჯელაღსრულების საკითხებში შეფასების ფართო ზღვარს. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-14 და მე-5 მუხლები.¹⁴⁷⁰

ეტიუტი ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Etute v. Luxembourg) საქმეში განმცხადებელს 2010 წელს სააპელაციო სასამართლომ მიუსაჯა 30 თვით თავისუფლების აღკვეთა. მან სასჯელის გარკვეული ნაწილი მოიხადა, ხოლო შემდეგ პირობით ვადამდე გათავისუფლდა, სავალდებულოდ შესასრულებელი პირობებით, რომელიც კრძალავდა ნარკომონმარებასა და დანაშაულებრივ საქმიანობას. 2015 წელს მხარეებს შორის დადებული შეთანხმება გაუქმდა დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფუძვლით.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევაზე იმსჯელა და გარემოებებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ შიდა საკანონმდებლო რეგულაცია არ იყო სათანადო, კერძოდ, გენერალური პროკურორი იღებდა ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას და იჭრებოდა სასამართლოს კომპეტენციაში. რეალურად არ არსებობდა გარანტია, რაც გადაწყვეტილების სასამართლო პროცესით განხილვასა და კანონიერების დადგენას უზრუნველყოფდა. ევროსასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევა დაადგინა ერთხმად.¹⁴⁷¹

¹⁴⁶⁹ STOTT v. THE UNITED KINGDOM (Application no. 26104/19) 31 October 2023, პუნქტი 2-8.

¹⁴⁷⁰ იქვე, პუნქტი 97-109.

¹⁴⁷¹ Etute v. Luxembourg - 18233/16, January 2018.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები

საქართველოს კონსტიტუცია, 1995.

საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, 1996.

საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, 2023.

საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015.

საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999.

საქართველოს კანონი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, 2007.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო

კონვენცია, 1984.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის აღმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ.

გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის 34/169 რეზოლუცია.

გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, 1990.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989.

გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის 45/113 რეზოლუცია.

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, 1955.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით.

საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97)12 საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ.

ჰავანას წესები თავისუფლებადაკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, 1990.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ.

წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), 2010.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12 უცხოელი პატიმრების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), 2015.

გაერთიანებული ერების კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, 1984.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (98)7 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი ციხეში ჯანდაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების თაობაზე.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (76)2 გრძელვადიან პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, 1976.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია # (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, 1999.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის თაობაზე, 2003.

გაეროს მინიშნული სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები).

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(89)12 წევრი სახელმწიფოებისათვის R(89) 12 ციხეში განათლების შესახებ.

ქართულენოვანი ლიტერატურა

ავტ. კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015.

ბ. ბალიაშვილი, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2010.

ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004.

ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები – პრეცედენტული სამართალით დადგენილი უახლესი სტანდარტები; კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2009.

გ. გაბრიჩიძე, თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში; კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბილისი, 2006.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლების შესახებ, იხ. <https://georgia.un.org/sites/default/files/2022-05/geo%20%20WEB.pdf> [01.04.2024].

ოთ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2013.

ენ. გილენსი, სოციოლოგია, თბილისი, 2011.

ავ. დემეტრაშვილი / ირ. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011.

ქ. ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013.

იოპ. ვესელსი / ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანამაული და მისი აგებულება, 38-ე გამოცემა, თბილისი, 2010.

ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, თბილისი, 2015.

თ. ზაალიშვილი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი, თსუ-ს ჟურნალი „სამართალი“, 2012.

ბ. ზოიძე, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა: უპირატესად ადამიანის უფლებათა ქრილში, თბილისი, 2013.

ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა კონტროლი საქართველოში, თბილისი, 2007.

კ-პ. ზომერმანი, საჯარო მმართველობა დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოში, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, სახელმძღვანელო, გ. ხუბუა, კ-პ. ზომერმანი (რედ.), თბილისი, 2016.

- გ. თუმანიშვილი, პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, თსუ-ს ჟურნალი „სამართალი“, #1, 2009.
- ღ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009.
- ღ. იზორია, ადამიანის უფლებების მეზღუდა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული, თბილისი, 2002.
- ღ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005.
- ქ. კალაშინი / დ. ლაითი / ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4), თბილისი, 2007.
- ქ. კალაშინი / დ. ლაითი / ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 5-13), თბილისი 2007.
- გ. კაჭაშვილი, კერძო და საჯარო სამართლის გამოიჯვინის პრინციპები, ზურაბ ახვლედიანის 80 წლის საიუბილეო გამოცემა (დავით ბატონიშვილის ინსტიტუტის სტატიათა კრებული), თბილისი, 2013.
- ენ. კოილი, პენიტენციარული სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციარული სისტემის თანამშრომლებისთვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2007.
- ირ. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2023.
- ირ. კობახიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013.
- ნ. კრისტი, დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია, გულაგების მიმართ დასავლური მიდგომა, თბილისი, 2019.
- კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003.
- კ. კუბლაშვილი, სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველო კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, თბილისი, 2006.
- ბ. ლოლაძე / ან. ფირცხალაიშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბილისი, 2023.
- ბ. ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო-საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2012.
- მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი, სახელმძღვანელო, თარგმნის ავტორი: კ. გოშაძე რედ.: მ. ბეგიაშვილი, თბილისი, 2015.
- გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლება დაცვითი პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი, 2008.
- გ. მიქანაძე, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, თბილისი, 2006.
- გ. მიქანაძე, ევროპის ომბუდსმენები, თბილისი, 1999.
- გ. მიქანაძე, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში: პრობლემები და პრიორიტეტები, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, თბილისი, 2002.
- ნ. მჭედლიძე, სახელმძღვანელო პატიმარობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი, 2019.
- ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, მ. ლეკვიშვილი / მ. შალიკაშვილი (რედ.), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2011.

გ. ნაჭყებია /ი. დვალაძე (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სახელმძღვანელო, თბილისი, 2007.

ს. პაპუაშვილი, თავისუფლება დეკლარირებული პირობების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეწყობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, თბილისი, 2006.

რ. დ. პატინგი, როგორ ვამუშაოთ დემოკრატია, თბილისი, 2005.

პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ექვეტიანი გამოყენებისათვის, თბილისი, 2000.

ი. პონტი, ტ. ვილფრიდ ჰარდინგ, ციხის ჯანდაცვის ორგანიზება და მართვა სახელმძღვანელო მითითებები, თბილისი, 2019, <https://rm.coe.int/organisation-and-management-geo/1680a61f9e> [29.04.2024].

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში 2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2024.

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში, <https://ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf> [30.03.2024].

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში, თბილისი, 2019, www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf [29.04.2024].

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე, თბილისი, 2018, <https://ombudsman.ge/res/docs/2019060317571314166.pdf> [30.03.2024].

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი, 2018 წლის ანგარიში პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის შესახებ, <https://ombudsman.ge/res/docs/2019040410062929010.pdf> [30.03.2024].

სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიში, <https://ombudsman.ge/res/docs/2019040514154865723.pdf> [30.03.2024].

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019, <https://ombudsman.ge/res/docs/2019121618092132463.pdf> [29.04.2024].

სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, ციხის საერთაშორისო რეფორმა / დია საზოგადოების ფონდი, თბილისი, 2018, www.osce.org/files/ODIHR_MR_Guidance_Doc_Georgian_AW_WEB_MR.pdf [09.03.2024].

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ექვეტიანობის აუდიტის ანგარიში #64/36, 2017.

გ. სლივი / ტ. ქელბაქიანი / ნ. ცაგარელი, კრიმინალური სუბკულტურის გავლენა პენიტენციური დაწესებულების მართვაზე, 2020, 21, იხ. <https://csf.ge/wp-content/uploads/2020/09/852475fa2ef4b65c-d0207afc1db4f1eb.pdf> [30.03.2024].

თ. ტულუმი / გ. ბურჯანაძე / გ. მშვენიერაძე / გ. გოცირიძე / ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013.

მ. ტურავა, წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად... სისხლის სამართლებრივად ნებადართული ღონისძიება? ეროვნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით, კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, სტატიათა კრებული, თბილისი, 2011.

- მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, სისხლის სამართლი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2011.
- მ. ყიფშიძე, საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის პრინციპი, როგორც კარგი მმართველობის უფლების შემადგენელი ელემენტი, ჟურნალი „ორბელიანი“, #5, 2022.
- მ. შალიკაშვილი / ხ. თანდილაშვილი / უშ. ბახტაძე, ვიქტიმოლოგია, მენეიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, მეორე გამოცემა, თბილისი, 2023.
- მ. შალიკაშვილი / გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016.
- მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013.
- მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი – www.dgstz.de, 2/2016.
- მ. შალიკაშვილი, სასჯელის და სისხლის სამართლის პოლიტიკა, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი – www.dgstz.de, 2/2022.
- მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012.
- მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017.
- იურ. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011.
- არ. ჩიქობავა (მთ. რედ.), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986.
- ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005.
- პ. ცნობილაძე (რედ.), კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი, ცნობარი, თბილისი, 1998.
- ზ. ხასია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელაღსრულების სისტემაში, თბილისი, 2023.
- ჯ. ხევრიანი, ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2011.
- გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004.
- გ. ხუბუა / ლ. თორთლაძე (რედ.), განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2012.
- გ. ხუბუა და კ. პ. ზომერმანი (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2016.
- გ. ხუბუა, საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, სახელმძღვანელო, გ. ხუბუა, კ-პ. ზომერმანი (რედ.), თბილისი, 2016.
- წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, ევროპის საბჭოს გამოცემა, თბილისი, 2014.
- წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2013.
- წამების პრევენციის კომიტეტის ვიზიტების ანგარიშები, მთავრობების პასუხები, საჯარო განცხადებები და ზოგადი ანგარიშები: www.cpt.coe.int [30.03.2024].
- წამების პრევენციის კომიტეტმა შეიმუშავა თავისუფლებაადკვეთილ პირთა მოპყრობასთან დაკავშირებული სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტები გამოქვეყნებულია ბროშურაში „წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტები“ [CPT/Inf/E (2002) 1]. იხ. <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf> [30.03.2024].
- ლ. ქანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.

უცხოენოვანი ლიტერატურა

- Blais, A./ Massicotte, L. / Yoshinaka, A., Deciding Who Has the Right to Vote: a Comparative Analysis of Election Laws, Electoral Studies, 20, 2001.
- Briant, S., The requirements of prisoners voting rights: mixed messages from Strasbourg, The Cambridge Law Journal, Volume 70, Issue 02, July 2011.
- Callies, R-P. / Müller-Dietz, H., Strafvollzugsgesetz-Kommentar. München, 2000.
- Cid, J. / Tebar, B.R., Evoking early conditional release measures in Spain, European Journal of Probation, Vol. 4, N1, 2012.
- Coyle, A. / Fair, H., Handbook for Prison Staff, A Human Rights Approach to Prison Management, Third ed., London, 2018.
- Coyle, A., A Human Rights Approach to Prison Management, Handbook for prison staff, 2nd ed., International Centre for Prison Studies, London, 2009.
- CoE, Living space per prisoner in prison establishments CPT Standard, 1. <https://rm.coe.int/16806cc449> [30.03.2024].
- Cornel, H. / Kavamura-Reindl, G./ Maelicke, B. / Sonnen, B.R. (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden, 2009.
- Clemmer, D. The Prison Community, New York, 1958.
- Criminal justice responses to prison overcrowding in Eastern Partnership countries (Compilation of the Reports on Study carried in Armenia, Georgia, Moldova and Ukraine), Council of Europe publication, Tbilisi, 2016.
- Gratz, W., Voraussetzung und Möglichkeiten wirksamer Autoritäten im Strafvollzug. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe (ZfStrVo) 1999.
- Gratz, W., Das System Gefängnis oder: ist das Gefängnis mit System zu ändern? In: Neue Kriminalpolitik, 1995.
- Greve, W. / Hossler, D. / Pfeiffer, Ch. Gefängnis und die Folgen. Identitätsentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. Hannover, 1997.
- Grzywa-Holten, J., Strafvollzug in Polen – Historische, rechtliche, rechtstatsächliche, menschenrechtliche und international vergleichende Aspekte. Mönchengladbach, 2015.
- Goffman, E., Asyl. Über die soziale Situation psychiatrischer Patienten und anderer Insassen. Frankfurt am Main, 1972.
- Diemer, H. / Schoreit, A. / Sonnen, B-R., Jugendgerichtsgesetz-Kommentar. 3. Auflage. Heidelberg, 1999.
- Debus, E. K., Konzeptionen ausgewählter deutscher Bundesländer zum Umgang mit besonders sicherungsbedürftigen Gefangenen. Mönchengladbach, 2020.
- Drenkhahn, K., Langstrafenvollzug und Menschenrechte. In: Neue Kriminalpolitik 1/2009.
- Dünkel, F. / Geng, B., Fakten zur Überbelegung im Strafvollzug und Wege zur Reduzierung von Gefangenenraten. In: Neue Kriminalpolitik 3/2004.
- Dünkel, F., Konzepte der „Humanisierung des Strafvollzugs“ in den Bundesländern – Ergebnisse einer Umfrage. In: Frieder Dünkel, Kirstin Drenkhahn, Christine Morgenstern (Hrsg.) Humanisierung des Strafvollzugs – Konzepte und Praxismodelle. Mönchengladbach, 2008.
- Harbordt, S., Die Subkultur des Gefängnisses. Eine soziologische Studie zur Resozialisierung. Stuttgart, 1967.
- Hillebrand, J., Organisation und Ausgestaltung der Gefangenenarbeit in Deutschland. Mönchengladbach, 2009.
- Hufen, F., Staatsrecht II. Grundrechte. München, 2007.
- Human Rights Watch, ანგარიში „პატიმართა უფლებების დარღვევა საქართველოში“, 2006.

- Hürlimann, M., Führer und Einflußfaktoren in der Subkultur des Strafvollzugs. Pfaffenweiler, 1993.
- Dunkel, F., Kommentierung §57 StGB, in U. Kindhäuser, U. Neumann and H. Paeffgen (eds) Nomos Kommentar zum Strafgesetzbuch. Vol. 1 (3rd edn.). Baden-Baden, 2010.
- Irvin, J./Cressey, D.R., Thieves, Convicts and the Inmate Culture. *Social Problems* 10/1964.
- Jehle, J-M., Ein Problemabriss unter Datenschutzaspekten. In: J-M. Jehle (Hrsg.), Datenzugang und Datenschutz in der kriminologischen Forschung. Wiesbaden, 1987.
- Jikia, B./ Shalikashvili, M., Georgia. In: Does Torture Prevention Work? Carver, R. / Handley L. (Eds.). Liverpool University Press 2016. p. 395-417.
- Kalmthout, A. van / Hofstee-van der Muelen, F. / Dünkel, F. (eds), Foreign Prisoners in European Prisons, 2007.
- Kawamura-Reindl, G., Entlassung nach langem Freiheitsentzug – Voraussetzungen und Erfordernisse für eine Rückkehr in die Gesellschaft. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe. Heft 5, 2004.
- Kaiser, G./ Kerner, H-J./ Schöch, H., Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg, 1982.
- Kaiser, G., Kriminologie. 3. Auflage. Heidelberg, 1996.
- Kommentar zum Sreafvollzugsgesetz. 3. Auflage. Darmstat, 1990.
- Klingemann, H. u.a., Prüfung der kulturellen Übertragungstheorie und der strukturell- funktionalen Theorie als Erklärungsansätze für die Insassensubkultur im Jugendstrafvollzug. In: Kriminologisches Journal 1978.
- Kerner, J. / Schöch, H., Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982.
- Kreuzer, A., Gebhardt Ch., Maassen, M., Opfer innerhalb krimineller Subkulturen - unter besonderer Berücksichtigung der Drogen-Subkulturen. In: Das Verbrechenopfer in der Strafrechtspflege, Referate des Dritten internationalen Symposiums für Viktimologie 1979 in Münster/Westfalen, H.J. Schneider (Hrsg.), Berlin, 1982.
- Krivec, B., Von Versailles nach Rom – Der lange Weg von Nullum crimen, nulla poena sine lege. Hamburg, 2004.
- Laubenthal, K., Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg, 2011.
- Life Imprisonment, United Nations Office at Vienna, Crime Prevention and Criminal Justice Branch, Vienna, 1994, ob. <http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/06/UNODC-1994-Lifers.pdf>
- Levy, R., Pardon and Amnesties as Policy Instruments in Contemporary France (2007) 36, *Crime and Justice*.
- Meier, A., Subkultur im Jugendstrafvollzug im Kontext von Jugendlichen-biographien. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe (ZfStrVo) 2002.
- Morgenstern, Ch., Internationale Instrumente und Entwicklungen zur Humanisierung im Strafvollzug. In: Frieder Dünkel, Kirstin Drenkhahn, Christine Morgenstern (Hrsg.) Humanisierung des Strafvollzugs – Konzepte und Praxismodelle. Mönchengladbach, 2008.
- McBride, J., Organization for Security and Co-operation in Europe, Review Conference, September 1999. ODIHR Background Paper 1999/2.
- Mbodla, N., Should Prisoners Have a Right to Vote?, *Journal of African Law*, Vol. 46, No. 1, 2002.
- Murdoch, J. / Jiricka, V., Combating Ill-treatment in Prisons, A Handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, 2016
- Neubacher, F., Kriminologie. 5. Auflage. Baden-Baden, 2023.
- Neubacher, F. / Bögelein, N. / Kant, D., „Worauf es im Gefängnis wirklich ankommt ...“ - Ein Forschungsprojekt zum Sozialen Klima in Justizvollzugsanstalten. In: BAG-S Informationsdienst Straffälligenhilfe 31. Heft 3. 2023.
- Neubacher, F./ Walter, M. (Hrsg), Sozialpsychologische Experimente in der Kriminologie. Milgram, Zimbardo und Rosenhan kriminologisch gedeutet, mit einem Seitenblick auf Dürrenmatt. Münster, 2005.
- Opp, K-D., Abweichendes Verhalten und Gesellschaftsstruktur. Neuwid 1974.

- Padfield, N. / Zyl Smit, D. van / Dunkel, F., Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010.
- Preusker, H., Stationen im Vollzug der lebenslangen Freiheitsstrafe. In: W. Nickolai/R. Reindl, Lebenslänglich –Zur Diskussion um die Abschaffung der lebenslänglichen Freiheitsstrafe. Freiburg, 1993.
- Report to the Turkish Government on the visit to Turkey carried by the CPT from 16 to 29 March 2004 (CPT/Inf2005)18, paragraph 73), www.cpt.coe.int
- Shalikashvili, M., „Diebe im Gesetz“: Eine kriminelle Organisation im deutschen Jugendstrafvollzug? Die aus der ehemaligen UdSSR stammende kriminelle Organisation „Wor v Sakone“ – „Diebe im Gesetz“ und ihre subkulturelle Existenz unter russischsprachigen Gefangenen in einer deutschen Jugendstrafanstalt bei Hamburg. Berlin, 2009.
- Sykes, G. M., The society of captives. A Study of Maximum Security Prisons. Princeton 1958.
- Seifert, H.-J., Wohngruppenvollzug für Untersuchungsgefangene in der Teilanstalt III der Justizvollzugsanstalt Moabit. In: Frieder Dünkel, Kirstin Drenkhahn, Christine Morgenstern (Hrsg.) Humanisierung des Strafvollzugs – Konzepte und Praxismodelle. Mönchengladbach, 2008.
- Schweizerisches Kompetenzzentrum für Menschenrechte (SKMR), Nelson-Mandela-Regeln. Das Regelwerk der UNO für die Behandlung der Gefangenen und seine Bedeutung für die Schweiz, verfasst von Künzli J./ Büchler A./ Weber F., Bern 2020.
- Schönke, A. / Schröder, H., Strafgesetzbuchkommentar. 27. Auflage, München, 2006.
- Schrag, C., Some Foundation for a Theory of Correction. In: D. Cressey, (Ed.): The Prison. New York 1964.
- Schneider, H.J., Kriminologie der Gewalt. Leipzig 1994.
- Thiele, Ch. W., Ehe- und Familienschutz im Strafvollzug. Strafvollzugsrechtliche und –praktische Maßnahmen und Rahmenbedingungen zur Aufrechterhaltung familiärer Beziehungen von Strafgefangenen. Mönchengladbach, 2016.
- Tubex, H. / Tournier P.V. Study of Conditional Release (Parole) in the Member States, Analysis of Replies to the General Questionnaire (Council for Penological Co-operation, PC-CP 2003.
- Roos, H., Eicke E.-M., Die Abteilung für ältere Gefangene in der Justizvollzugsanstalt Schwalmstadt – Abteilung Kornhaus –. In: Frieder Dünkel, Kirstin Drenkhahn, Christine Morgenstern (Hrsg.) Humanisierung des Strafvollzugs – Konzepte und Praxismodelle. Mönchengladbach, 2008.
- UNODC, Handbook on Dynamic Security and Prison Intelligence, 2015, https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/UNODC_Handbook_on_Dynamic_Security_and_Prison_Intelligence.pdf [01 04 2024].
- UNODC, Handbook on Prisoners with special needs, 2009, https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf [01 04 2024].
- Weaver, B./ Tata, C./ Munro, M. / Barry, M., The Failure of Recall to Prison: Early Release, Front-Door and Back-Door Sentencing and the Revolving Prison Door in Scotland, European Journal of Probation, Vol. 4, N1, 2012.
- Zyl Smit, D. van / Snacken, S., Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N2/8/1444 (22/11/2023).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N2/1/704 (28/05/2019).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1/6/1737 (27/07/2023).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1/3/1441 (05/07/2021).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ, N2/4/665,683 (26/07/2018).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მერაბ მურადაშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, N1/3/1591,1605 (01/07/2023).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ, N1/10/1676 (21/12/2022).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები (2019-2024)

კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (KUKHALASHVILI AND OTHERS v. GEORGIA), Applications nos. 8938/07 and 41891/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება.

გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (GABLISHVILI AND OTHERS v. GEORGIA), Application no. 7088/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება.

ლაპტევი რუსეთის წინააღმდეგ (LAPTEV v. RUSSIA), Application no. 36480/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება.

პატსაკი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (PATSAKI ET AUTRES c. GRÈCE), Requête no 20444/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება.

ხოჯოიანი და ვარდაზარიანი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (KHOJOYAN AND VARDAZARYAN v. AZERBAIJAN), Application no. 62161/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ბადალიანი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (BADALYAN v. AZERBAIJAN), Application no. 51295/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება.

ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ (OCHIGAVA v. GEORGIA), Application no. 14142/15, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება.

კუტაიევი რუსეთის წინააღმდეგ (KUTAYEV v. RUSSIA), Application no. 17912/15, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება.

ლ. ი. მოლდოვის წინააღმდეგ (I.E. v. THE REPUBLIC OF MOLDOVA), Application no. 45422/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება.

ლაპუნოვი რუსეთის წინააღმდეგ (LAPUNOV v. RUSSIA), Application no. 28834/19, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ღაზარიანი და ბაირამიანი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (GHAZARYAN AND BAYRAMYAN v. AZERBAIJAN), Application no. 33050/18, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილებაში შლიკოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (SHLYKOV AND OTHERS v. RUSSIA), Applications nos. 78638/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება.

პერკოვი ხორვატიის წინააღმდეგ (PERKOV v. CROATIA), Application no. 33754/16, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ვუკუსიკი ხორვატიის წინააღმდეგ (VUKUŠIĆ v. CROATIA), Application no. 37522/16, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ს. პ. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (S.P. AND OTHERS v. RUSSIA), Applications nos. 36463/11 and 10 others – see appended list, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება.

„დ“ ლატვიის წინააღმდეგ (D v. LATVIA), Application no. 76680/17, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება.

კოსოვანი მოლდოვას წინააღმდეგ (COSOVAN v. THE REPUBLIC OF MOLDOVA), Application no. 13472/18, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება.

შირხანიანი სომხეთის წინააღმდეგ (SHIRKHANYAN v. ARMENIA), Application no. 54547/16, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება.

ლანიაუსკა ლიეტუვას წინააღმდეგ (LANIAUSKAS v. LITHUANIA), Application no. 48309/19, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება.

მაჩინა მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ (CASE OF MACHINA v. THE REPUBLIC OF MOLDOVA), Application no. 69086/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება.

ფენეჩი მალტის წინააღმდეგ (FENECH v. MALTA), Application no. 19090/20, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება.

იაკოვლევი უკრაინის წინააღმდეგ (YAKOVLYEV v. UKRAINE), Application no. 42010/18, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 08 დეკემბრის გადაწყვეტილება.

ეს-ასმარი დანიის წინააღმდეგ (EL-ASMAR v. DENMARK), Application no. 27753/19, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 03 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ბოხონკო საქართველოს წინააღმდეგ (BOKHONKO v. GEORGIA), Application no. 6739/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ბიგოვიკი მონტენეგროს წინააღმდეგ (BIGOVIĆ v. MONTENEGRO), Application no. 48343/16, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება.

ილერდე და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (İLERDE AND OTHERS v. TÜRKİYE), Applications nos. 35614/19 and 10 others, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება.

ჰანჟევაჩკი ხორვატიის წინააღმდეგ (HANŽEVAČKI v. CROATIA), Application no. 49439/21, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სილი უკრაინის წინააღმდეგ (SILI v. UKRAINE), Application no. 42903/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება.

შმიდტი და სმიგოლი ესტონეთის წინააღმდეგ (SCHMIDT AND ŠMIGOL v. ESTONIA), Applications nos. 3501/20 and 2 others, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

კუპინსკი უკრაინის წინააღმდეგ (KUPINSKY v. UKRAINE), Application no. 5084/18, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ბიჯანი ბალაჰანი შვედეთის წინააღმდეგ (BIJAN BALAHAN v. SWEDEN), Application no. 9839/22, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

ლანგი უკრაინის წინააღმდეგ (LANG v. UKRAINE), Application no. 49134/20, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (LIU v. POLAND), Application no. 37610/18, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სტანისლავ ლუცენკო უკრაინის წინააღმდეგ (STANISLAV LUTSENKO v. UKRAINE), Application no 81292/17, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება.

მომოლაკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (CHOCHOLÁČ v. SLOVAKIA), Application no. 81292/17, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება.

კავანგი თურქეთის წინააღმდეგ (CANAVCI AND OTHERS v. TÜRKİYE), Applications nos. 24074/19, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ლესლავ ვიჩიკი პოლონეთის წინააღმდეგ (LESŁAW WÓJCIK v. POLAND), Application no. 66424/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება.

სუბაში და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (SUBAŞI AND OTHERS v. TÜRKİYE), Applications nos. 3468/20 and 18 others, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება.

დელტუვა ლიეტუვის წინააღმდეგ (DELTUVA v. LITHUANIA), Application no. 38144/20, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება.

დანილევჩი რუსეთის წინააღმდეგ (DANILEVICH v. RUSSIA), Application no. 31469/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ჰალიტ ქარა თურქეთის წინააღმდეგ (HALİT KARA v. TÜRKİYE), Application no. 60846/19, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება.

გუიმონი საფრანგეთის წინააღმდეგ (GUIMON v. FRANCE), Application no. 48798/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება.

კოროსტელევი რუსეთის წინააღმდეგ (KOROSTELEV v. RUSSIA), Application no. 29290/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება.

სარანი რუმინეთის წინააღმდეგ (Saran v. Romania), Application no 65993/16, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აბდულა იალჩინი თურქეთის წინააღმდეგ (ABDULLAH YALÇIN v. TURKEY), Application no. 34417/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება.

ელჩირი და კასტრო რუმინეთის წინააღმდეგ (Erlich and Kastro v. Romania), 23735/16 and 23740/16, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება.

ზაიდოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (ZAYIDOV v. AZERBAIJAN), Application no. 5386/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება.

აჰმეთ ჰუსრევ ალტანი თურქეთის წინააღმდეგ (AHMET HÜSREV ALTAN v. TURKEY), Application no. 13252/17, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება.

ო. ჯ. და ჯ. ო. საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ (O.J. AND J.O. v. GEORGIA AND RUSSIA), Applications nos. 42126/15 and 42127/15, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება.

დენისი და სხვები ბელგიის წინააღმდეგ (DENIS AND IRVINE v. BELGIUM), Applications nos. 62819/17 and 63921/17, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება.

ეტიუტი ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Etute v. Luxembourg), 18233/16, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სტოტი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (STOTT v. THE UNITED KINGDOM), Application no. 26104/19, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ინტერნეტწყაროები

<https://justice.gov.ge> [11.03.2024].

www.ombudsman.ge [19.03.2024].

<https://www.geostat.ge> [30.04.2024].

www.justiz.nrw.de [30.04.2024].

<https://de.statista.com> [30.04.2024].

<https://de.euronews.com> [30.04.2024].

<https://www.stanford-prison-experiment.de> [30.04.2024].

<https://www.supremecourt.ge> [01 04 2024].

<http://prisonstudies.org> [30.04.2024].

